ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის
ინსტიტუტი

•

პროგრამა «ლოგოსი»

პუბლიკაციები და ღონისძიებები კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სფეროში

სტრატეგოსები
და
კეისრები

ძველი საბერძნეთისა და რომის სახელოვან მოღვაწეთა
ცხოვრების აღწერილობანი ანტიკურ წყაროთა
გათვალისწინებით შეადგინა
ნანა ტონიამ

რედაქტორები: იამზე გაგუა
მანანა ღარიბაშვილი

რეცენზენტები: ადა ტრაპაიძე
დალი ქურიძე

© პროგრამა „ლოგოსი“, 2005

ISBN 99940-31-90-2

პროგრამა „ლოგოსი“
ილია ჭავჭავაძის გამზირი 13
(თსუ VIII კორპ.), 0179 თბილისი
ტელ. 25-02-58, ფაქსი 22-11-81

სარჩევი

წინათქმა	9
ლიკურგოსი	15
სოლონი	35
თემისტოკლესი	53
არისტიდესი	69
პერიკლესი	85
ნიკიასი	107
ალკიბიადესი	123
ლისანდროსი	141
აგესილაოსი	153
პელოპიდასი	165
დემოსთენესი	179
ალექსანდრე მაკედონელი	195
იულიუს კეისარი	233
ავგუსტუსი	253
ტიბერიუსი	267
კალიგულა	275
კლავდიუსი	285
ნერონი	293
ვესპასიანუსი	305
მარკუს ავრელიუსი	315
უმნიშვნელოვანეს ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი	329
უმნიშვნელოვანეს პიროვნებათა განმარტებითი ლექსიკონი	341

„ნურასოდეს დაივიწყებ, რომ რაც იყო, იგივე არის, და რაც არის, იგივე იქნება მარად... წარმოიდგინე თუნდაც ჰადრიანეს, ანტონინუსის, ფილიპეს, ალექსანდრეს თუ კროისოსის სასახლის კარნი: სპექტაკლი ყველგან ერთი და იგივეა, იცვლებიან მხოლოდ მსახიობები".

(მარკუს ავრელიუსი, ფიქრები (X, 27), ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ, თბილისი, 1972).



ადამიანები, რომელთა სახელებსაც ამ წიგნში ამოიკითხავთ, დიდი ხანია წარსულში დარჩნენ, თუმცა მათ სამუდამოდ დაიმკვიდრეს ადგილი ისტორიის ოქროს ფოლიანტში. ასეთი პატივის ღირსნი მხოლოდ რჩეულნი იყვნენ. ისინი თავიანთი აზროვნებითა თუ მოღვაწეობით წინ უსწრებდნენ იმ დროს, რომელშიც ცხოვრობდნენ და ეპოქის მომავალს განაპირობებდნენ. მათ დიადი მიზნები ჰქონდათ და ამ მიზნების განსახორციელებლად ბუნებისაგან სულიერი სიმდიდრით, შინაგანი კეთილშობილებით, გასაოცარი ნებისყოფით, იშვიათი თავგანწირვითა და გრანდიოზული გამბედაობით იყვნენ დაჯილდოებულნი. ისინი ყველაზე კარგად გრძნობდნენ იმ სირთულეებს, ეამთა ცვალებას რომ სდევდა თან და ამ სირთულეთა დაძლევის გზებს სთავაზობდნენ ხალხებს, რომელთა ბედსაც განაგებდნენ (თუმცა საიმპერატორო ტახტზე ზოგჯერ უღირსნიც აღზევებულან). ადამიანები მათ თავიანთ წინამძღოლებად ირჩევდნენ და ემორჩილებოდნენ, რადგანაც სწორედ მათში ჭვრეტდნენ იმ ძალებს, თავად რომ არ გააჩნდათ. ამიტომ, როგორიც იყო საზოგადოება, ისეთივე იყო მისი რჩეულიც. იმსახურებდა ხალხი ალექსანდრეს? ჰყავდა ალექსანდრე! იმსახურებდა კალიგულას? ჰყავდა კალიგულა!

ანტიკური სამყარო სახელმწიფო მოღვაწეთა გასაოცარი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. ზოგი მათგანი ქვეყნის კეთილდღეობისათვის გულწრფელად ილვწოდა; ზოგსაც განდიდების მანია არ ასვენებდა; უფრო ხშირად კი ძნელდებოდა

იმის დადგენა, თუ სად იყო ზღვარი ჭეშმარიტ მამულიშვილობასა და პატივმოყვარეობას შორის. მიუხედავად იმისა, თუ როგორი იყო მბრძანებელი, მისი ცხოვრება მუდამ დიდ ინტერესს იწვევდა საზოგადოებაში. ამიტომ გამოჩნდნენ მწერლები, რომლებმაც სახელოვან ადამიანთა „ცხოვრების აღწერილობანი" დაუტოვეს შთამომავლობას. მათგან უმნიშვნელოვანესი იყო ბერძენი სწავლული და საზოგადო მოღვაწე პლუტარქოსი (ახ.წ. 46-120 წწ.), თავისი დროის უგანათლებულეს ადამიანად შერაცხული ანტიკურ სამყაროშივე.

პლუტარქოსი დაიბადა პატარა ბერძნულ ქალაქ ქერონეაში (ბეოტია). იგი წარჩინებული ოჯახიშვილი იყო და განათლება ათენში მიიღო. რომსაც ხშირად სწვევია, თუმცა იმდროინდელი მსოფლიოს ამ უდიდეს ქალაქებში ცხოვრებას თავის სამშობლოში ყოფნა ერჩია. ღრმად განათლებული და მრავალ მეცნიერებათა მცოდნე, იგი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა როგორც თანამოქალაქეთა შორის, ასევე რომაელ იმპერატორთა კარზე; მინიჭებული ჰქონდა კონსულარისის (consularis – კონსულის რანგის პირი) წოდება და არჩეული იყო დელფოს აპოლონის ტაძრის ქურუმად. მოღვაწეობდა მეგობართა და მოწაფეთა წრეში, რომელსაც სკოლას უწოდებდა. ამ სკოლამ მისი გარდაცვალების შემდეგ თითქმის მთელი საუკუნე იარსება.

პლუტარქოსს ორასზე მეტი ნაწარმოები შეუქმნია, მათგან ჩვენამდე მოაღწია ას ორმოცდაათმა, რომელთაც ორ კატეგორიად ჰყოფენ: პირველს უწოდებენ „მორალიებს" („Moralia"). ამ სახელწოდებით გაერთიანებულ ტრაქტატებში მწერალი საუბრობს სიყვარულსა და მეგობრობაზე, რელიგიასა და ფილოსოფიაზე, ფსიქოლოგიასა და პოლიტიკაზე, პედაგოგიკასა და ლიტერატურაზე, ჰიგიენაზე და ა.შ. მეორე კატეგორია ეთმობა ე.წ. „პარალელურ ბიოგრაფიებს" („Bioi paralleloi"). ეს გახლავთ სახელოვან ბერძენთა და რომაელთა „ცხოვრების აღწერილობანი", წყვილ-წყვილად წარმოდგენილი. ასე მაგალითად, ავტორი ერთმანეთის შეპირისპირებით გვთავაზობს ბერძენი ალექსანდრე მაკედონელისა და რომაელი იულიუს კეისრის, ბერძენი დემოსთენესისა და რომაელი ციცერონის ბიოგრაფიებს და ა.შ. სულ ჩვენამდე მოაღწია ასეთ შეპირისპირებათა 23 წყვილმა. ყოველი ბიოგრაფია დასრულებული ქმნილებაა, სადაც ავტორს ისტორიული მოვლენები კი არ აინტერესებს იმდენად, რამდენადაც „ადამიანური სულის" წარმომჩენი ის თუნდაც უმნიშვნელო ფაქტები თუ გამონათქვამები, რომლებიც მისი გმირის სახის სრულყოფილებას განაპირობებენ. პლუტარქოსის ბიოგრაფიები თავშესაქცევი, საინტერესო მოთხრობებია, რომელთაც მორალურ-ზნეობრივი დატვირთვა გააჩნიათ. ხშირად ავტორი თავის გმირებს აიდეალებს კიდეც, ხაზს უსვამს მათ სულიერ სიწმინდესა და კეთილშობილებას, სამშობლოსადმი თავდადებასა და თავისუფლების სიყვარულს, რათა მკითხველი ჩააფიქროს ისტორიულ მოვლენათა კანონზომიერებებზე, სახელოვან ადამიანთა ადგილზე ამ კანონზომიერებათა სისტემაში, მათ როლზე სახელმწიფოთა ისტორიაში. „ურგია ისეთი ქმნილებები, – წერს პლუტარქოსი პერიკლესის ბიოგრაფიაში, – რომლებიც მიბაძვის

სურვილს არ აღძრავენ. ღირსეული საქმეები ადამიანთა აღფრთოვანებას კი არ იწვევენ მხოლოდ, არამედ შთააგონებენ მათ, მიბაძონ იმ პიროვნებებს, რომლებიც ამ საქმეებს აღასრულებენ". და მართლაც, პლუტარქოსმა მიაღწია თავის მიზანს: სხვადასხვა ეპოქის გამოჩენილი ადამიანები იზრდებოდნენ მის ქმნილებებზე.

ანტიკური სამყაროს მეორე სახელოვანი ბიოგრაფოსი სვეტონიუსი, რომელიც თითქმის პლუტარქოსის თანამედროვე იყო (იგი ოცდახუთი წლით გვიან დაიბადა, ვარაუდობენ 69/70 წელს, გარდაიცვალა, ალბათ, 130 წელს), სულ სხვაგვარად აღიქვამდა მოვლენებს. შესაძლოა, ამიტომ არ გაუმართლა გვიანი ხანის კომენტატორთა შეფასებებში: როგორც ისტორიოგრაფოსს, მას ყოველთვის ჩრდილავდა ტაციტუსი; როგორც ბიოგრაფოსს – პლუტარქოსი. მაინც რას ედავებოდნენ სვეტონიუსს, რომელიც გამოირჩეოდა თავისი მრავალმხრივი განათლებულობით? ტრაიანუსის დროს მას საიმპერატორო ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობა ეკავა; როდესაც ტახტზე ჰადრიანე ავიდა, მან ნიჭიერი იურისტი თავის კორესპონდენციათა მდივნად დანიშნა. სვეტონიუსი პირველი იყო ისტორიკოს-ბიოგრაფოსთა შორის, რომელიც ლათინურ ენაზე წერდა. ისტორიული და გრამატიკული ხასიათის ნაშრომებთან ერთად მისი ტალანტის დიაპაზონზე მიგვანიშნებს ორი კრებული: „ბრწყინვალე კაცთა შესახებ" („De viris illustribus") და „კეისართა ცხოვრების შესახებ" („De vita Caesarum"). პირველ კრებულში, რომელსაც ბერძნული გავლენა ეტყობა, გაერთიანებული ყოფილა რომაული ლიტერატურისა და ისტორიოგრაფიის ბრწყინვალე წარმომადგენელთა ბიოგრაფიები. სამწუხაროდ, მათგან მხოლოდ ფრაგმენტებია შემონახული. სამაგიეროდ, სრულად შემორჩა მეორე კრებული (თუ არ მივიღებთ მხედველობაში იულიუს კეისრის ბიოგრაფიის დაკარგულ დასაწყისს), რომელსაც თანამედროვე გამოცემებში „თორმეტი კეისრის ცხოვრება" ეწოდა. მისი კითხვისას ცხადი ხდება, რომ სვეტონიუსი შეგნებულად გაურბოდა მკაცრ, ტრადიციულ-ქრონოლოგიურ სტილს და თავის თხრობას ეპიზოდურ-ანეკდოტური საბურველით ახალისებდა, რაც ავტორისეულ ხელწერას თვითმყოფადობას ანიჭებდა.

ახლა დავუბრუნდეთ კითხვას: რას უწუნებდნენ სვეტონიუსს? კრიტიკოსთა აზრით, იგი უგულებელყოფდა ფსიქოლოგიურ თანმიმდევრობას: ცალ-ცალკე ჩამოთვლიდა თითოეული იმპერატორის ღირსებებსა თუ მანკიერებებს და არაფერს ამბობდა იმაზე, თუ როგორ შეეძლოთ მათ თანაარსებობა ერთ პიროვნებაში; იგი არც ქრონოლოგიური თანამიმდევრობის დაცვას სცნობდა საჭიროდ: აღნუსხავდა ფაქტებს ყოველგვარი ლოგიკისა და კავშირის გარეშე; სვეტონიუსი ვერ გრძნობდა ისტორიას: იმპერატორთა პორტრეტებს წარმოადგენდა ისტორიული ფონისგან განრიდებით. დეტალურად აღწერდა რა მათი პირადი ცხოვრების ფაქტებს, მხოლოდ გაკვრით ეხებოდა ჭეშმარიტად მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენებს; სვეტონიუსი არ იყო კრიტიკული: იგი თავის ბიოგრაფიებში ეყრდნობოდა აშკარად ტენდენციურ წყაროებს და არ ცდილობდა მათ შეპირისპირებას. ამ ნუსხას შეიძლება კი-

დევ რამდენიმე დეტალი დაემატოს, თუმცა ისინი სვეტონიუსის ღირსებებს ვერაფერს აკლებენ. წარმოდგენილი ჩამონათვალი უსაფუძვლო როდია. მაგრამ, როდესაც სვეტონიუსს სხვა ბიოგრაფოსებს ადარებენ, გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: ტაციტუსი ისტორიოგრაფოსი იყო და ისტორიის კანონების შეცნობას ისახავდა მიზნად; პლუტარქოსი მორალისტი იყო და ადამიანური სულის კანონების ჩაწვდომას ლამობდა. თუმცა ორივე გვთავაზობდა იმის ახსნას, თუ როგორ შეეძლო ერთ პიროვნებაში ამაღლებულ სულსა და სიმდაბალეს თანაარსებობა. ამ თვალსაზრისით მათ მიერ წარმოდგენილი სახეები ანტიკური ფსიქოლოგიური პორტრეტის დიდებულ ნიმუშებად იქნა შერაცხული.

რაც შეეხება სვეტონიუსს, მისი მიზანი უფრო მოკრძალებული იყო: იგი მოვლენათა შეცნობას კი არა, უბრალოდ, მათ აღწერასა და შეფასებას გვთავაზობდა; ამასთანავე ცალ-ცალკე ჩამოთვლიდა რა ამა თუ იმ კეისრის მიერ განხორციელებულ სასიკეთო და სააუგო საქმეებს, ღირსებებსა და მანკიერებებს, მათ სიღრმეებში წვდომის სარბიელს მკითხველს უთმობდა.

სვეტონიუსის მსგავსად ამ წიგნში ჩვენც ერთად წარმოვადგინეთ ანტიკური სამყაროს ღირსეულ თუ უღირს სტრატეგოსთა და კეისართა პორტრეტები. ისინი, კარგები იყვნენ თუ ცუდები, განაგებდნენ სახელმწიფოთა და ადამიანთა ბედს და ქმნიდნენ ისტორიას.

სტრატეგოსთა ბიოგრაფიები პლუტარქოსის თხზულებათა გათვალისწინებით არის შესრულებული, კეისართა კი – სვეტონიუსის მიხედვით. მხოლოდ ერთი, მარკუს ავრელიუსის ცხოვრების აღწერილობაა წარმოდგენილი იულიუს კაპიტოლინუსის (ახ.წ. III საუკუნე) გადმოცემათა შესაბამისად.

„ფილოსოფოს მარკუს ანტონინუსის ცხოვრების აღწერილობა" – ასე ეწოდება რომის ამ უბრწყინვალეს იმპერატორზე დაწერილ თხზულებას, რომელიც მოთავსებულია კრებულში „Scriptores historiae Augustae" („ავგუსტუსთა ისტორიების ავტორები"). ეს წიგნი სვეტონიუსის „ბიოგრაფიათა" ერთგვარი გაგრძელებაა. იგი რომის იმპერიის საუკუნენახევრიან პერიოდს (ახ.წ. 117-284 წ.წ.) მოიცავს. მასში წარმოდგენილ თხზულებებს იულიუს კაპიტოლინუსის გარდა კიდევ ხუთი ავტორი წერდა. მათ სხვა არაფერი შეუქმნიათ. მათ შესახებ ისტორიამ არაფერი იცის გარდა იმისა, რომ აღნიშნული კრებული იმპერატორების, დიოკლეტიანესა და კონსტანტინეს შეკვეთით შეითხზა.

ჩვენს წიგნში წარმოდგენილი პორტრეტები აღნიშნულ გამოცემებში არსებული ბიოგრაფიების გაიოლებული მონათხრობებია, რადგანაც მათი სრული ტექსტები რთულად აღსაქმელია თანამედროვე მკითხველისათვის. ეს სირთულე დაკავშირებულია თავისი დროისათვის მნიშვნელოვან, მაგრამ ჩვენთვის უკვე გაუგებარ მოვლენათა და სახელთა სიმრავლესთან, ისეთ გეოგრაფიულ თუ ისტორიულ ტერმინთა მრავალგზის ხმარებასთან, რომლებიც პირველი წაკითხვით, კომენტარის გარეშე არაპროფესიონალი მკითხველისათვის შეუცნობელია.

პოპულარიზატორი ისტორიოგრაფოსები დიდი ხანია გვთავაზობენ ამდაგვარ წიგნებს. რჩეულ ბიოგრაფიათა გამოცემის ეს წესი მრავალ ქვეყანაში უკვე ტრადიციად იქცა. ქართულ სინამდვილეში მსგავსი გამოცემა პირველად ხორციელდება. რა თქმა უნდა, მისმა ავტორმა გაითვალისწინა წინამორბედთა გამოცდილება და შეეცადა, რაც შეიძლება გასაგები გაეხადა მრავალი საუკუნის წინ დაწერილი „ცხოვრებათა აღწერილობანი" თანამედროვე მკითხველისათვის. ამისათვის აუცილებელი გახდა უარი მეთქვა მოვლენათა დეტალურ აღწერაზე, ავტორისეულ ჩანართებზე; შეგნებულად გამოვტოვე „ბიოგრაფიათა" მეორეხარისხოვანი გმირები და მათი თავგადასავლები, თუმცა, ისტორიული პერსპექტივა რომ არ დამერღვია, ზოგიერთ შემთხვევაში თავს უფლება მივეცი, თხრობაში ჩამერთო სხვა ძველ ავტორთა თხზულებებში დადასტურებული ფაქტები, ბუნებრივია, წყაროთა მითითებით. აუცილებლად მივიჩნიე, აგრეთვე, წიგნის ბოლოს დამერთო უმნიშვნელოვანეს ტერმინთა და ისტორიულ პირთა განმარტებითი ლექსიკონიც.

ისტორიულ პიროვნებათა ბიოგრაფიების კითხვა არა მხოლოდ სახალისო, არამედ სამოძღვროცაა. იგი აფართოებს დაინტერესებული მკითხველის თვალსაწიერს, აღვიძებს აზრს და, როგორც პლუტარქოსი იტყოდა, აღძრავს მიბაძვის სურვილს. ძველი სამყაროს დიდებულ ადამიანთა ბედი კიდევ ერთხელ გვიდასტურებს იმ ჭეშმარიტებას, რომ გონიერება, ნიჭი და გამბედაობა ხშირად არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ცხოვრება ღირსეულად განვლოს ადამიანმა. აქ შეგახსენებდით სიტყვებს, რომლითაც პერიკლესის ცხოვრების აღწერილობას იწყებს პლუტარქოსი: „ამბობენ, ერთხელ რომში კეისარს დაუნახავს, თუ როგორ ეფერებოდნენ მდიდარი უცხოელები ლეკვებსა და პატარა მაიმუნებს, რომლებსაც უბით დაატარებდნენ. გაოცებულს უკითხავს: ნუთუ თქვენს ქვეყანაში ქალები არ შობენ შვილებსო? ქვეყნის მბრძანებლის დამამშვენებელი ამ სიტყვებით მან შეგონებით მიმართა ყველას, ვინც უაზროდ ხარჯავს სიყვარულისა და სითბოს გამოვლენის ჩვენს არსებაში ჩაბუდებულ ნიჭს, რომ ეს ნიჭი ადამიანთა მისაფერებლად გვაქვს მომადლებული".

ნანა ტონია

ლიკურგოსი

სპარტის ლეგენდარული მეფე და კანონმდებელი (ძვ.წ. IX, VIII ან VII საუკუნე)

პელოპონესოსის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობდა მხარე, რომელსაც ლაკონიას უწოდებდნენ ბერძნები. როგორც სახელმწიფოს, მას ლაკედემონად მოიხსენიებდნენ, ხოლო მის ცენტრს – სპარტად. ძვ.წ. VII-VI საუკუნეთა მიჯნაზე იქ საბრძოლო-საზოგადოებრივი ერთობა დაარსდა, რომელსაც მოგვიანებით სპარტული კოსმოსი შეარქვეს ჟამთააღმწერებმა. მის შექმნას კი ტრადიცია ლეგენდარულ კანონმდებელს, ლიკურგოსს მიაწერდა. მეცნიერთა დიდი ნაწილის აზრით, ცნობები სპარტის ამ პირველ კანონმდებელზე იმდენად ურთიერთგამომრიცხავია, რომ მისი ისტორიულ პიროვნებად მიჩნევის საფუძველი თითქმის არ არსებობს. კანონები, რომელთა შექმნაც მიეწერება ლიკურგოსს, სპარტაში ნაწილობრივ ძვ.წ. VIII საუკუნეში გატარდა, ძირითადად კი ძვ.წ. VII საუკუნის II ნახევარში. მიუხედავად იმისა, რომ ამ პირველი კანონმდებლის ცხოვრების აღწერილობა ნდობას არ იწვევს, მასში მოიპოვება ერთობ საინტერესო მასალა სპარტელთა ყოფასა და კანონებზე მათი სახელმწიფოს უმაღლესი ძალმოსილების ჟამს.

ლიკურგოსის წარმომავლობის, საზოგადოებრივი მოღვაწეობისა თუ გარდაცვალების თაობაზე მრავალი განსხვავებული აზრი არსებობს. ყველაზე მეტ დავას იწვევს ამ კანონმდებლის ცხოვრების დათარიღების საკითხი. ძველ სწავლულთაგან უმეტესობას მიაჩნდა, რომ იგი ცხოვრობდა მაშინ, როდესაც დაწესდა ოლიმ-

პიური ასპარეზობები. უფრო მეტიც, მათივე აზრით, თავად ლიკურგოსს მიუძღვის უდიდესი წვლილი ამ საერთო-ბერძნულ შეჯიბრთა კანონების შექმნაში.

ლიკურგოსის მმართველობამდე რამდენიმე ხნით ადრე სპარტაში დაიწყო შფოთი. ხალხი არ ემადლიერებოდა მმართველებს, მდიდრები ჩაგრავდნენ ღარიბებს, ქუჩებში ხშირად გამოდიოდნენ ამბოხებულები. ერთ-ერთი შეტაკების დროს მოუკლავთ ლიკურგოსის მამა, რომელიც ლამობდა მოჩხუბართა გაშველებას. იგი სპარტის მეფე იყო და, ადათის თანახმად, მისი ძალაუფლება გადაეცა უფროს ვაჟს, ლიკურგოსის ძმას, პოლიდექტესს, მაგრამ რამდენადაც იგი მალე უშვილოდ გარდაიცვალა, ლიკურგოსი დარჩა სამეფო ტახტის ერთდაერთ მემკვიდრედ. მეფედ ნაკურთხმა მალე შეიტყო, რომ დედოფალი, გარდაცვლილი ძმის მეუღლე, შვილს ელოდა. ლიკურგოსმა გამოაცხადა, რომ თუ მისი ძმისშვილი იქნებოდა ვაჟი, მას გადასცემდა სამეფო სკიპტრას. თავად კი, ვიდრე ბავშვი გაიზრდებოდა, განაგრძობდა სახელმწიფოს მართვას ისე, როგორც ეს მეურვეს ეკადრებოდა.

ძმის ქვრივმა შეიყვარა ლიკურგოსი და ქორწინება შესთავაზა. იგი ვარაუდობდა, რომ მის მაზლს გაუძნელდებოდა უარი ეთქვა იმ სამეფო ძალაუფლებაზე, რომლის მოსაპოვებლადაც ბევრი იბრძოდა, ღირსეულიც და უღირსიც. დედოფალმა აღუთქვა ლიკურგოსს, რომ თუ იგი დათანხმდებოდა ამ ქორწინებას, მოკლავდა თავის შვილს და ამგვარად აღარ ეყოლებოდა მას სპარტის ტახტის მოციქლე. მაგრამ ლიკურგოსმა არ ისურვა უწმინდური გზით მოპოვებული ძალაუფლება, თუმცა პირდაპირ უარის თქმასაც მოერიდა, რადგან შიშობდა, რომ სიყვარულისგან გონს გადასული ქალი მართლაც მოკლავდა მისთვის საძულველ შვილს.

ლიკურგოსმა დაარწმუნა დედოფალი, რომ თავად შეძლებდა მათი ბედნიერების გზად აღმდგარი ბავშვის ჩამოცილებას. ამგვარად დაიმედებულ დედოფალს მიუგზავნა შევრდომილთაგან რამდენიმე კაცი, რათა დაბადებისთანავე მოეცილებინათ დედისთვის ახალშობილი და მასთან მიეყვანათ.

დედოფალმა შვა ტახტის მემკვიდრე. როდესაც ჩვილი მიჰგვარეს მეფეს, მან დააწვინა იგი ტახტზე და შეკრებილთ ასე მიმართა: „აი, თქვენი მეფე, სპარტელებო! მოდით, მას ვუწოდოთ ქარილაოსი' და იყოს იგი ჩვენი მბრძანებელი ხალხის საკეთილდღეოდ!" განცვიფრებულნი იყვნენ დედოფლის ნათესავები, რომლებმაც ყველაფერი იცოდნენ.

თავისი მმართველობის მცირე ხნის განმავლობაში ლიკურგოსმა მოასწრო თანამოქალაქეთა სიყვარულისა და პატივისცემის დამსახურება. მას ხალხი ემორჩილებოდა არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი იყო სახელმწიფოს მმართველი, არამედ იმიტომაც, რომ მასში ბრძენსა და სამართლიან კაცს ხედავდა. თუმცა ლიკურგოსს ჰყავდა მოწინააღმდეგენიც. განსაკუთრებით სძულდათ იგი მის მიერ უარყოფილი



დედოფლის ნათესავებსა და ახლობლებს. ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ მის დამდაბლებას და ხმებს ავრცელებდნენ, თითქოსდა მეფის მეურვე თავად ლამობდა ტახტის ხელში ჩაგდებას.

ლიკურგოსი შიშობდა, ახალგაზრდა მეფეს რაიმე რომ შემთხვეოდა, მას მიიჩნევდნენ ბრალეულად. ამიტომ მოსალოდნელ ცილისწამებას რომ განრიდებოდა, განიზრახა გადახვეწილიყო სამშობლოდან და არ დაბრუნებულიყო მანამ, სანამ ქარილაოსს არ შეეძინებოდა მემკვიდრე. აი, მაშინ კი ქარილაოსს თუკი რაიმე შეემთხვეოდა, ლიკურგოსი ვერ იქნებოდა ტახტის მემკვიდრე და აღარავის შეეძლებოდა მისი დადანაშაულება.

თავდაპირველად ლიკურგოსი ეწვია კრეტას. მან ყურადღებით შეისწავლა ამ ქვეყნის სახელმწიფოებრივი წყობა, რათა სამშობლოში დაბრუნებულს თანამოქალაქეთათვის შეეთავაზებინა კრეტულ კანონთაგან უაღრესად მნიშვნელოვანნი სპარტაში დასაწესებლად. ლიკურგოსის კრეტაზე მოგზაურობის აღწერით ძველი მწერლები ცდილობდნენ აეხსნათ ის დიდი მსგავსება, რაც კრეტისა და სპარტის სახელმწიფო წყობათა შორის არსებობდა.

კრეტადან ლიკურგოსი აზიაში გაემგზავრა. მას სურდა, კრეტელთა სადა, მკაცრი ცხოვრების ნირი იონიელთა ფუფუნებისა და განცხრომისათვის შეედარებინა, მათი ყოფისა და სახელმწიფობერივი წყობის სხვაობას დაჰკვირვებოდა.

აზიაში ლიკურგოსმა შეიტყო ჰომეროსის პოემათა არსებობის შესახებ. მას ძლიერ შოეწონა ეს ქმნილებები, დიდი სიბეჯითით გადაიწერა და სამშობლოში წასაღებად კრებული შეადგინა. მართალია, ბერძნებს იმხანად უკვე ჰქონდათ ბუნდოვანი წარმოდგენა ამ პოემებზე, მის ცალკეულ ნაწილებს კითხულობდნენ კიდეც ოჯახებში, მაგრამ ლიკურგოსი იყო პირველი, ვინც ეს ეპოსი საყოველთაოდ ცნობილი გახადა. იგი მიიჩნევდა, რომ პოემებში წარმოდგენილი ზნეობა და ადათ-წესები გამოადგებოდა მის ხალხს.

— სპარტელები ნანობდნენ, რომ ლიკურგოსი მათგან წავიდა და სთხოვდნენ, დაბრუნებულიყო. ისინი მიიჩნევდნენ, რომ მეფე თავის ქვეშევრდომთაგან გამორჩეული უნდა ყოფილიყო არა მხოლოდ წოდებით, არამედ ისეთი ღირსებებითაც, რომ შეძლებოდა თავის თანამოქალაქეთა მართვა.

ლიკურგოსი კი თვლიდა, რომ უმნიშვნელო რეფორმებით შეუძლებელია სპარტის წყობის გამოჯანსაღება, რომ საჭიროა მთელი სახელმწიფოებრივი სისტემის ძირეული შეცვლა. იგი არ იყო დარწმუნებული, რომ თანამოქალაქენი, რომლებიც მას უხმობდნენ, შისცემდნენ აუცილებელ გარდაქმნათა განხორციელების შესაძლებლობას და ამიტომაც, ვიდრე სპარტაში დაბრუნდებოდა, განიზრახა დელფოს მისნის აზრის გაგება.



პითია ტაძარში შესულ ლიკურგოსს ამ სიტყვებით შეხვდა: „გიმზერ, ლიკურგოს, ჩემს დიდებულ ტაძარში მოსულს, მაღალი ზეცისა და დიადი ღმერთების რჩეულს. გითხრა სიმართლე, მე არ ვიცი, როგორ გიწოდო, მოკვდავთა მსგავსი ხარ, მაგრამ უმალ უკვდავად გიხმობ, ვიდრე ადამიანად". როდესაც ლიკურგოსმა სთხოვა, საუკეთესო კანონები შეეთავაზებინა მისთვის, პითიამ მიუგო, რომ მის კანონებზე უმჯობესი არ ექნებოდა სხვა სახელმწიფოს. ამ მისნობით გახალისებულმა ლიკურგოსმა გადაწყვიტა, დაბრუნებულიყო სპარტაში, სადაც იმხანად მეფობდა მისი უნებისყოფო ძმისშვილი ქარილაოსი და სადაც სრული ქაოსი იყო.

უპირველეს ყოვლისა, ლიკურგოსმა მოინახულა თავისი მეგობრები, შემდეგ კი თანდათანობით მიიმხრო უამრავი თანამოქალაქე. როდესაც იგრძნო, რომ დადგა ჟამი და თანამზრახველნიც მრავლად ჰყავდა, მან 30 შეიარაღებულ მეგობართან ერთად (ისინი სპარტის წარჩინებულთა ოჯახების წარმომადგენელნი იყვნენ) დაიკავა ქალაქის მოედანი, რათა მოსალოდნელი ამბოხება ჩაეხშო. ქარილაოსმა, იფიქრა რა, რომ შეთქმულება მის წინააღმდეგ იყო მიმართული, ათენას ტაძარს შეაფარა თავი. მალე დარწმუნდა, რომ საშიში არა ჰქონდა რა, გამოვიდა თავშესაფრიდან და სხვა არისტოკრატებთან ერთად განიზრახა მონაწილეობა მიეღო სახელმწიფოს გარდაქმნაში.

ლიკურგოსის კანონების თანახმად, უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ ორგანოდ იქცა გერუსია – უხუცესთა (გერონთა) საბჭო, რომელიც 30 კაცისგან შედგებოდა. გერუსია წყვეტდა დავებსა და შეეძლო მიეცა მითითება მეფეთათვისაც. საქმე ის იყო, რომ სპარტის სათავეში ოდითგანვე იდგა ორი მეფე. ისინი წარმოდგებოდნენ ორი მუდამ მოშუღლე აგიადებისა და ევრიპონტიდების გვარიდან. ასე რომ, ევრიპონტიდთა მოდგმის ქარილაოსთან ერთად სპარტას განაგებდა აგიადების გვარის ჩამომავალი არქელაოსი. მათ ერთმანეთი სძულდათ. თითოეული მათგანი მიისწრაფოდა ერთპიროვნული, შეუზღუდავი ძალაუფლებისაკენ, რომელიც საბერძნეთში დესპოტიად იწოდებოდა. ეს შულლი ასუსტებდა სახელმწიფოებრივ წყობას, რითაც სარგებლობდნენ უბრალო ხალხის – დემოსის ბელადები. ისინი ცდილობდნენ, დაემხოთ წარჩინებულთა მმართველობა და დაემყარებინათ დემოკრატია – ხალხის მმართველობა.

ახლა კი, ლიკურგოსის კანონმდებლობის თანახმად, მეფეებს შერჩათ



ძველი უფლებები მხოლოდ ბრძოლის ველზე. ლაშქრობათა ჟამს ისინი ძველებურად განაგებდნენ მოქალაქეთა სიკვდილ-სიცოცხლეს. მშვიდობიან დროს კი სპარტელი მეფეები გერუსიას რიგით წევრებად ითვლებოდნენ. გერუსიას დანარჩენ 28 წევრს კი ირჩევდა ხალხი სამუდამოდ 60 წელს გადაცილებულ მოხუცთაგან.

არჩევნები იმართებოდა იმ შემთხვევაში, თუ გერონთაგან ვინმე გარდაიცვლებოდა და ამდენად, გერუსიას რაოდენობრივი შემადგენლობა (30 კაცი მეფეთა ჩათვლით) უცვლელი რჩებოდა. ეს რიცხვი, ძველების აზრით, განისაზღვრებოდა იმით, რომ სწორედ 30 არისტოკრატის თანხლებით გამოვიდა ლიკურგოსი მოედანზე, რათა დაეწყო სპარტის გარდაქმნა. ეს არისტოკრატები იყვნენ გერუსიას პირველი წევრები. მისი შემადგენლობა დროდადრო იცვლებოდა, მაგრამ სპარტის მთელი ისტორიის მანძილზე უხუცესთა საბჭო ინარჩუნებდა არისტოკრატულ ხასიათს. კანონის თანახმად, 60 წელს მიღწეულ ყოველ სპარტელს შეეძლო ყოფილიყო გერონი, თუმცა გერუსიაში ძირითადად ირჩევდნენ უხუცესებს შედარებით გავლენიანი ოჯახებიდან.

მეფეებს, გერონებსა და ხალხს რომ არ მოსვლოდათ დავა უფლებათა თაობაზე, ლიკურგოსმა შემოიღო ძალაუფლების დანაწილების კანონი, რომელსაც შემდგომ უწოდებდნენ „ლიკურგოსის რეტრას“:[2] სპარტელები თვლიდნენ, რომ კანონმდებელს იგი თვით ღმერთმა აპოლონმა შთააგონა. „რეტრას“ შინაარსი ასეთი იყო: „დაე, ხალხი დაიყოს ფილეებად და ობეებად; დაე, გერუსიას შემადგენლობა განისაზღვროს 30 კაცით, მეფეთა ჩათვლით, ხოლო ხალხი დროდადრო შეიკრიბოს ხოლმე სათათბიროდ მდინარე ევროტასის სანაპიროსთან; იქ გადაწყვიტოს, რა არის მისაღები თუ მიუღებელი; დაე, ხალხს ჰქონდეს უმაღლესი ძალა და უფლება“.

არისტოკრატები უკმაყოფილონი იყვნენ ამ კანონით, რამეთუ ყველა საკითხის საბოლოო გადაწყვეტის უფლება ხალხს ენიჭებოდა. ლიკურგოსის გარდაცვალების შემდეგ „რეტრას“ დაემატა ასეთი მუხლი: „თუ ხალხი მიიღებს არასწორ გადაწყვეტილებას, გერონებსა და მეფეებს უფლება ეძლევათ უგულებელყონ იგი და დაშალონ სახალხო კრება“. ამ დამატების აუცილებლობაში ხალხის დასარწმუნებლად უფლებააყრილი არისტოკრატები განმარტავდნენ, რომ ეს იყო აპოლონის ნება, განცხადებული დელფოს მისნის მიერ: „ხამს ღვთისთანასწორ მეფეთ ერგოთ თავყრილობის ჟამს უმაღლესი ძალაუფლება. ო, ძვირფასია მათთვის სპარტა, უმშვენესი ქალაქთა შორის; შემდეგ გერონთა რჩევას უნდა მიუგდოთ ყური; ხალხმა კი უნდა გამოხატოს თანხმობა ან უთანხმოება საკრებულოში“.

ალბათ ამ დროიდან დამკვიდრდა სპარტაში სახალხო კრებათა ჩატარების წესი. მოედანი, სადაც ეს კრება ეწყობოდა, არ იყო მორთული: ბრ ყოფილა იქ არც

მზისგან თავშესაფარი დერეფნები, არც ქანდაკებები, არც ნახატებით დამშვენებული შენობები. სპარტელები შიშობდნენ, რომ ადგილის სიმყუდროვეს და სილამაზეს არ გამოეწვია ორატორთა მრავალსიტყვაობა, რასაც შედეგად მოჰყვებოდა კრების გახანგრძლივება. ღია, ქარის თუ მზისგან დაუფარავ მოედანზე, სადაც ჩამოსაჯდომი ადგილიც კი არ იყო, კრება მალე მთავრდებოდა. მოისმენდა რა მეფისა თუ გერონის სიტყვას, ხალხი ყვირილით გამოხატავდა თანხმობას თუ უთანხმოებას. მეფისა და გერონის გარდა არავის ჰქონდა თავისი აზრის გამოთქმის უფლება. მმართველთა გამოსვლა ხანმოკლე იყო.

სახელმწიფო საქმეთა წარმოების ამგვარი წესი არისტოკრატებს მმართველობასთან დაკავშირებულ საკითხთა თვითნებური გადაწყვეტის საშუალებას აძლევდა. მაგრამ ხალხმა არ მოისურვა ამ უსამართლობის მოთმენა და ლიკურგოსის გარდაცვალებიდან 130 წლის შემდეგ, თეოპომპოსის[3] მმართველობის ჟამს, დაწესდა ეფოროსთა ანუ მზირთა თანამდებობა. ზოგი ძველი მწერალი ამტკიცებს, რომ ეს თანამდებობა არსებობდა ჯერ კიდევ ლიკურგოსის დროს, თუმცა თავდაპირველად ეფოროსები იყვნენ ქურუმი-წინასწარმეტყველები,[4] რომლებიც არ მონაწილეობდნენ სახელმწიფოს მართვაში. თეოპომპოსის დროიდან კი გამუდმებით ირჩევდნენ თითო ეფოროსს ლაკონიის ყოველი ხუთი მხრიდან. მეფეთა არყოფნის დროს ისინი ასამართლებდნენ მოქალაქეებს. მათი მთავარი დანიშნულება იყო თანამდებობის პირთა მოღვაწეობის შემოწმება და მეთვალყურეობა იმისა, რომ ყველას შეესრულებინა სპარტული კანონები. დარღვევის შემთხვევაში ეფოროსებს უფლება ჰქონდათ დაესაჯათ თავად მეფენიც. ამბობენ, თურმე მეფე თეოპომპოსს მეუღლე კიცხავდა იმის გამო, რომ მან ეფოროსებს მეტისმეტად დიდი ნდობა გამოუცხადა, რომ მათ შვილებს იგი უფრო მცირე ძალაუფლებას გადასცემდა, ვიდრე მიიღო მამისგან. პასუხად მეფეს მიუგია: „თუმც უფრო მცირეს, მაგრამ უფრო მძლავრს“.

და მართლაც, მეფენი მეთვალყურეობამ აიძულა უფრო მეტი ანგარიში გაეწიათ ხალხისთვის, რათა მათი ცხოვრების წესს სახალხო რისხვა არ გამოეწვია. შესაძლოა, სწორედ ამიტომ მეფეთა მმართველობა შედარებით ხანგრძლივად შემორჩა ლაკონიაში, ვიდრე პელოპონესოსის სხვა სახელმწიფოებში.

ლიკურგოსის მიერ განხორციელებულ გარდაქმნათაგან ყველაზე მნიშვნელოვანი და მთავარი იყო მიწათა გადანაწილება. იმ დროისათვის მთელი სიმდიდრე დაგროვდა მცირერიცხოვან არისტოკრატთა ხელში, ხოლო ღარიბები, დაკარგეს რა საკუთარი მიწები, იმუქრებოდნენ ამბოხებითა და მდიდართა ძალაუფლების განადგურებით. ლიკურგოსმა დაარწმუნა თანამოქალაქენი, სახელმწიფოს ინტერესებისათვის უარი ეთქვათ მიწათა მფლობელობაზე. ამიერიდან არავის ჰქონდა უფლება გაეყიდა ან ეყიდა მიწა. მთელი მიწა დაიყო თანატოლ ნაკვეთებად და



ყოველი სპარტული ოჯახი იღებდა თავის კუთვნილ სხვის თანაბარ წილს.[5] ამით ლიკურგოსს სურდა, მოესპო სილარიბე და სიმდიდრე, იძულებული გაეხადა მოქალაქეები, ეცხოვრათ ერთნაირ პირობებში, რათა არავინ ამაღლებულიყო სხვაზე. ყოველი ნაკვეთი უზრუნველყოფდა ოჯახს ფქვილით, ზეთითა და ღვინით, რაც ლიკურგოსის აზრით, საკმარისი იყო, რათა ადამიანს შეენარჩუნებინა ჯანმრთელობა და ჰქონოდა ის, რაც მისთვის მხოლოდ აუცილებელი იყო.

საბოლოოდ რომ მოესპო ყოველგვარი აღმატებულება, ლიკურგოსს სურდა არა მხოლოდ მიწათა, არამედ მთელი მოძრავი ქონების გადანაწილება. მართალია, მას ესმოდა, რომ მდიდრები არასოდეს დათანხმებოდნენ ამაზე. ამიტომაც გადაწყვიტა, მოეტყუებინა პატივმოყვარენი: მან დაარწმუნა ისინი, ეცნოთ კანონები, რომელთა მიხედვითაც სიმდიდრე გამოუსადეგარ ტვირთად იქცეოდა. ასე რომ, ბევრი ხალისით უარყოფდა თავის ქონებას.

უპირველეს ყოვლისა, მან აკრძალა ოქროს და ვერცხლის ფულით სარგებლობა და ბრძანა რკინის ფულის მოჭრა. რკინა, რომლისგანაც მზადდებოდა ფული, გამოუსადეგარი რომ გაეხადა, ლიკურგოსმა ბრძანა მისი გალღვობა და ძმარში ამოვლება. ამით მეტალს ეკარგებოდა სიმტკიცე, ხდებოდა მყიფე და უვარგისი სხვა ნაკეთობათათვის.

ეს ფული იყო იმდენად მძიმე და იმდენად ნაკლებღირებული, რომ მისი დიდი რაოდენობით შენახვა საჭიროებდა ცალკე სარდაფს, გადაზიდვა კი – ურემს, რომელშიც ულელი ხარი იყო შებმული.

ახალი მონეტების წყალობით სპარტაში შეწყდა დანაშაულობანი; ვინ იქურდებდა, ან ვინ აიღებდა ქრთამს, თუ ნადავლის დაფარვა შეუძლებელი იყო?

შემდეგ ლიკურგოსმა სპარტაში აკრძალა ყველა გამოუსადეგარი ხელობა. თუმცა, რომც არ გაეძევებინათ ხელოსნები, ისინი თავადაც გაქრებოდნენ, რადგანაც მათი ნაკეთობანი აღარავის ესაჭიროებოდა. რკინის ფული სხვა სახელმწიფოში გამოუსადეგარი იყო: ვერაფერს შეიძენდი, ხოლო შემოსულ ხელოსნებს სასაცილოდ არ ჰყოფნიდათ, თუკი ვინმე საზღაურად მათ რკინის ფულს შესთავაზებდა. ამგვარად, სპარტამ დაივიწყა ფუფუნება, მდიდარს არ ჰქონდა უპირატესობა ღარიბთან შედარებით, რამდენადაც არ შეეძლო თავისი სიმდიდრის გამოყენება.

მოქალაქეებში სიმდიდრის დაგროვების სურვილის მოსასპობად ლიკურგოსის მიერ წარმოებულ გარდაქმნათაგან მესამე იყო სისიტიების დაარსება. სისიტიები, რომლებსაც სპარტაში ფიდიტიებსაც უწოდებდნენ, იყო თავისუფალ სპარტელთა ერთობლივი სადილები, მაგრამ სისიტია იყო არა უბრალოდ საერთო სადილი, არამედ ერთ სამხედრო განაყოფში მომსახურე მტკიცე მეგობრობით შეკრული 15-20 კაცის ამხანაგობაც.



სისიტიას წევრები მეგობრებად რომ ქცეულიყვნენ, რათა თავი დაედოთ ერთმანეთისათვის, ყოველი ახალი წევრი უნდა შემოწმებულიყო. სადილის დროს ახალბედას შემოიყვანდნენ ხოლმე კარავში, ხოლო მონა თავზე შედგმული თასით შემოივლიდა ყველა იქ დამსწრეს. ის, ვისაც იგი მიუახლოვდებოდა, თასში აგდებდა პურის პატარა ბურთულას. ვერავინ ხედავდა, ეს ბურთულა იყო მრგვალი თუ თითუბით გაბრტყელებული. ბრტყელ ბურთულათა აღმოჩენა თასში იმის მაუწყებელი იყო, რომ ვიღაცას არ მოსწონდა ახალბედა და მას ამხანაგობის წევრად აღარ მიიღებდნენ.

დაუშვებელი იყო, რომ სისიტიას თუნდაც ორ წევრს ერთმანეთი არ ჰყვარებოდა. ამ ბზარს საშინელი შედეგი მოჰყვებოდა ბრძოლის ველზე, სადაც მეგობრებს მხარდამხარ უნდა ებრძოლათ. ყოველ სისიტოსს ყოველთვიურად უნდა ეხადა ერთი წილი ქერი (ყოველდღიურად ეს ორი კილოგრამის ტოლფასი იყო), მცირეოდენი ყველი, ხილი, რამდენიმე თასი ღვინო.[6] გარდა ამისა, ყოველი, ვინც კი ღმერთებს მსხვერპლს შესწირავდა, სისიტიაში აგზავნიდა დაღუპული ცხოველის საუკეთესო ხორცს. მონადირეებსაც აქ მოჰქონდათ თავისი ნადავლის ნაწილი.

ვინც იგვიანებდა მსხვერპლშეწირვის თუ ნადირობის გამო, შეეძლო სახლშიც ესადილა, დანარჩენნი კი ვალდებულნი იყვნენ დროზე გამოცხადებულიყვნენ სისიტიაზე. სპარტელებს ეკრძალებოდათ სადილზე მაძღრად მოსვლა. ყველა მკაცრად ადევნებდა თვალს იმას, რომ არავის დაეტოვებინა თავისი წილი საკვები. ეს იყო იმის მაუწყებელი, რომ სისიტოსმა სხვაგან მიირთვა, რადგან საერთო სადილი არ აკმაყოფილებდა. მას ამისათვის აზღვევინებდნენ და შეეძლოთ, გაერიცხათ კიდეც სისიტიადან.

სისიტოსთა საყვარელი კერძი იყო შავი წვნიანი შეჭამადი. იგი მზადდებოდა ოსპისა და ხარის სისხლისგან. განსაკუთრებით უყვარდათ იგი მოხუცებს, რომლებიც უარს ამბობდნენ ხორცზე, უთმობდნენ რა თავის წილს ახალგაზრდებს.

ერთხელ სხვა ქვეყნის მეფემ გადაწყვიტა, გაესინჯა ეს შეჭამადი. ამისათვის შეისყიდა სპარტელი მზარეული, რომელმაც მოუმზადა მას ეს წვნიანი. მეფემ გასინჯა თუ არა, ფურთხება იწყო.

– რა მოამზადე? – შეჰყვირა მან – ამის ჭამა შეუძლებელია!

– მეფეო, – მიუგო მზარეულმა – ვიდრე მიირთმევ ამ შავ შეჭამადს, მდინარე ევროტასში უნდა განიბანო.

მძიმე ფიზიკური ვარჯიშები და საკვების სიმწირე აგემრიელებდა იმას, რაც სხვა ბერძნებს უვარგისი ეჩვენებოდათ.

სისიტიებზე ხშირად მოდიოდნენ ბავშვები. ითვლებოდა, რომ სასარგებლოა უფროსთა საუბრების მოსმენა და მათგან გამოცდილების მიღება. გარდა ამისა,



ყმაწვილები სწავლობდნენ ისე ეცინათ ნაკლოვანებებზე, რომ სხვებისთვის არ მიეყენებინათ შეურაცხყოფა. როდესაც ისინი პირველად გადააბიჯებდნენ იმ კარვის ზღურბლს, სადაც სადილობდნენ, უფროსი სისიტოსი მათ ასე მიმართავდა: „ამ კარებს იქით არ უნდა გავიდეს აქ წარმოთქმული არცერთი სიტყვა".

ბიჭებს აჩვევდნენ იმ აზრს, რომ სპარტელისათვის შეურაცხმყოფელია გულის მოსვლა ხუმრობის გამო, თუმცა დაიძებნებოდნენ ისეთებიც, რომლებიც ვერ იტანდნენ ქილიკს. საკმარისი იყო ვინმეს ეთქვა, რომ დაცინვა არ მოსწონდა და იმწამსვე დუმდებოდა ის, ვინც მასხრობდა.

ლიკურგოსმა ერთობლივი ტრაპეზების დაწესებით მდიდრებს წაართვა გემრიელად კვების შესაძლებლობა – ერთი იმ მთავარ სიხარულთაგან, რასაც სიმდიდრე იძლეოდა. ყველაზე მეტად სწორედ სისიტიების შემოღებამ განაწყო მდიდრები ლიკურგოსის წინააღმდეგ. სისინი ისე განრისხდნენ მმართველზე, რომ ერთხელ ჯოხებით სცემეს და ცალი თვალიც ამოუგდეს. მაგრამ ხალხი ლიკურგოსს მხარში ამოუდგა და მდიდრები დასაჯა. ერთად სადილობის წესი სპარტაში მრავალი ასწლეულის მანძილზე შემოინახა.

ლიკურგოსმა ფუფუნების წინააღმდეგ სისიტიების გარდა სხვა კანონებიც შემოიღო: მან აკრძალა ხუროთა რთული ხელსაწყოებით სარგებლობა და მოითხოვა, რომ სპარტელთა სახლების მშენებლობის დროს ხელოსნებს მხოლოდ ნაჯახითა და ხერხით ესარგებლათ. ლიკურგოსს ესმოდა, რომ ასე ნაგებ სახლში ფუფუნება ვერ შეაღწევდა. ხის კედლებს როდი დაამშვენებდა ძოწისფერი ხალიჩები, ოქროს თასები ან მოვერცხლილი საწოლები.

ლიკურგოსის კანონთაგან ერთ-ერთი კრძალავდა ომის დიდხანს წარმოებას ერთსა და იმავე მოწინააღმდეგესთან. კანონმდებელი თვლიდა, რომ მტერს არ უნდა მისცე ნება, განუწყვეტლივ ავარჯიშოს თავისი ლაშქარი: ეს გამოიწვევს იმას, რომ მეზობლები გაუტოლდებიან სპარტელებს მებრძოლეობით.

ლიკურგოსის კანონები არ იყო ჩაწერილი. მეფის აზრით, ყოველივე ის, რაც სახელმწიფოს ბედნიერებისათვის აუცილებელი და მნიშვნელოვანია, მოქალაქეთა ცხოვრების წესსა და ჩვეულებში ადრეული ბავშვობიდან უნდა გამომუშავდეს. სწორედ ამიტომ მისი, როგორც კანონმდებლის მთელი გულისყური მიმართული იყო ბავშვების აღზრდისაკენ.

ლიკურგოსი თვლიდა, რომ ბავშვებზე ზრუნვა მათ დედებზე ზრუნვით უნდა დაიწყოს. ქალი უნდა იყოს ჯანმრთელი და მხიარული. მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებიან მისი შვილები ჯანსაღნი და ძლიერნი. ლიკურგოსის კანონების თანახმად, გოგონებს უნდა ერბინათ, ეჭიდავათ, ეტყორცნათ დისკო და შუბი. ჭაბუკთა მსგავსად ისინიც უნდა დასწრებოდნენ ზეიმებს, მათაც უნდა ეცეკვათ ქოროებსა და ემ-



ღერათ გუნდებში. გოგონები სიმღერებით განადიდებდნენ ძლევამოსილებს და შეუდრეკლებს და აღძრავდნენ ახალგაზრდებში უაღრესობის მხურვალე სურვილს.

ქალები სპარტაში მონაწილეობდნენ აგონებში, სადაც შეეძლოთ გამოევლინათ თავიანთი სიმედგარე და მოეხვეჭათ დიდი სახელი. სპარტის დედოფალმა გორგომ ერთ უცხოელ ქალს, რომელიც ქილიკობდა იმაზე, რომ სპარტელი ქალები თავიანთ ქმრებს განაგებენო, ასე მიუგო: „განა ჩვენ არ ვშობთ ამ კაცებსაცო".

უცოლრდ დარჩენა სპარტაში სამარცხვინოდ ითვლებოდა. კანონის ძალით, ზამთარში შიშველ ბერბიჭებს ბაზრის მოედანი უნდა შემოევლოთ და ემღერათ ისეთი სიმღერა, სადაც აღინიშნებოდა, რომ ამ სასჯელის მიზეზი იყო ადათ-წესებისადმი მათი დაუმორჩილებლობა. ახალგაზრდები არ მიაგებდნენ ბერბიჭებს ისეთ პატივს, როგორიც სხვა უფროსებისადმი იყო მიღებული. ერთხელ, ამბობენ, უცოლო მხედართმთავარი შემოვიდაო კარავში. ერთი ახალგაზრდა არ წამოდგა მისასალმებლად. შენიშვნაზე მან ასე მიუგო: „რა მრჯის მოგესალმო, თუკი არ გყავს ძე, რომელიც მე მომესალმება მომავალში". და ეს პასუხი სამართლიანად მიიჩნიეს.

სპარტაში მამას უფლება არ ჰქონდა გადაეწყვიტა შვილის ბედი. დაიბადებოდა თუ არა ბიჭი, მამა მიიყვანდა მას უხუცესთა საკრებულოში დანიშნულებისამბერ. უხუცესნი ყურადღებით დაათვალიერებდნენ ახალშობილს. თუ მიიჩნევდნენ, რომ იგი ჯანმრთელი და მაგარი იყო, მამას მისი აღზრდის უფლებას მისცემდნენ და გამოუყოფდნენ მიწის ნაკვეთს. თუკი ბავშვი სუსტი გამოდგებოდა, უხუცესნი ბრძანებდნენ, ჩაეგდოთ იგი უფსკრულში, რადგან ეგონათ, რომ ახალშობილისათვის უმჯობესი იქნებოდა არ ეცოცხლა, ხოლო სახელმწიფოსთვის — არ ჰყოლოდა სუსტი და ავადმყოფი მოქალაქეთა შორის.

ქალები ახალშობილებს წყლით კი არა ღვინით ბანდნენ, რამეთუ სწამდათ, რომ ბნედით ან სხვა რამ სენით შეპყრობილები კვდებიან ღვინით, მაშინ როდესაც ჯანმრთელები ძლიერდებიან. ბავშვებს ჩვრებში არ ახვევდნენ, აჩვევდნენ მარტოობასა და სიბნელეს, ცდილობდნენ მათში დაეთრგუნათ მავნე ჩვევები, თავნებობა თუ ღნავილი, აიძულებდნენ მიეღოთ ყოველნაირი საკვები. ბავშვები ისეთი ჯანმრთელები იზრდებოდნენ, რომ სპარტელი ძიძები მთელ საბერძნეთში იყვნენ განთქმულნი.

სპარტაში არავის ჰქონდა უფლება აღეზარდა ბავშვი ისე, როგორც თავად თვლიდა საჭიროდ. ბავშვებთან არ უშვებდნენ ნაყიდ ანდა დაქირავებულ აღმზრდელებს. შვიდი წლის ბიჭებს მოაცილებდნენ ხოლმე დედის კალთას და რომელიმე ჯგუფს შეუერთებდნენ. ოჯახიდან მოშორებულ ბავშვებს ჯგუფებად ზრდიდნენ, აჩვევდნენ რა მკაცრ მორჩილებას. ყოველი ჯგუფის სათავეში იდგა სიბრძნით და სიმამაცით გამორჩეული კაცი. ბავშვები მისგან ილებდნენ მაგალითს, ემორჩილებოდნენ და მოთმინებით იტანდნენ სასჯელს. ბავშვების თამაშს თვალყურს ადევ-

ნებდნენ მოხუცები. ისინი პატარებს ხშირად განგებ წააჩხუბებდნენ ხოლმე, რათა გაეგოთ, მათგან ვინ უფრო მამაცი იყო.

ბიჭებს მხოლოდ აუცილებელ განათლებას აძლევდნენ. მათ უნდა შეძლებოდათ ბრძანების წაკითხვა და საკუთარი სახელის წერა. დანარჩენი სწავლების მიზანი იყო უსიტყვო მორჩილების, სასჯელის მოთმინებით ატანისა და ბრძოლებში გამარჯვების ჩვევის სრულყოფა.

რაც უფრო იზრდებოდნენ ბავშვები, მით უფრო მკაცრდებოდა აღზრდის წესები. მათ კრეჭდნენ თმას, აიძულებდნენ ევლოთ ფეხშიშველთ და ყოველგვარ ამინდში ტანთგანძარცვულთ ეთამაშათ. მხოლოდ თორმეტი წლის ასაკში აძლევდნენ მოსასხამს, რომელიც მთელი წელი უნდა ეტარებინათ. ბავშვებს წყლით დაბანის ნებას წელიწადში მხოლოდ რამდენიმეჯერ რთავდნენ. მათ ყველას ერთად ეძინათ ლერწმის წნულებზე. ამ ლერწმებს კი ისინი შიშველი ხელებით ტეხდნენ მდინარე ევროტასის ნაპირებთან.

უფროსები ბავშვებს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ, დადიოდნენ სკოლებში, თვალყურს ადევნებდნენ მეცადინეობებს. ბავშვების აღმზრდელს „პედონომოსს“ უწოდებდნენ. ამას გარდა, ყოველი ჯგუფი ირჩევდა თავის ბელადს – ყველაზე ძლიერსა და ჭკვიან ჭაბუკს, რომელიც საბავშვო ასაკიდან იყო გამოსული. მას ირენი ეწოდებოდა. როდესაც ბავშვები ომობანას თამაშობდნენ, ამით მათ ბრძოლას აჩვევდნენ, ირენებს მეთაურობა ევალებოდათ.

ბავშვებს თავად უნდა მოეპოვებინათ საკვები და მოეგროვებინათ სამყოფი შეშა. ყველაფერი, რაც მათ მოჰქონდათ, იყო მოპარული. ზოგი მიეშურებოდა ბაღებისაკენ, ზოგიც – სისიტიებისაკენ, ცდილობდნენ რა გამოევლინათ უდიდესი სიფრთხილე და მოხერხებულობა. ახალგაზრდა სპარტელებს განგებ აძლევდნენ ერთობ მწირ საკვებს, რათა იძულებულნი გაეხადათ ეშმაკობით და მოხერხებულობით მოეპოვებინათ ის, რაც აკლდათ. მათ უხდებოდათ საკვების არა მხოლოდ მოპარვა, არამედ ყარაულებზე თავდასხმაცა და სასურველის ძალით წართმევაც. თუკი ვინმე სისუსტეს გამოიჩენდა, უმოწყალოდ გაიროზგებოდა, როგორც ცუდი და მოუხერხებელი ქურდი. მას შიმშილი ელოდა.

სასჯელის შიშით ბიჭები ყოველნაირად ცდილობდნენ, დაეფარათ თავიანთი დანაშაულობანი. ერთხელ, გადმოგვცემენ, ბიჭს პატარა მელა მოუპარავს და თავისი მოსასხამის ქვეშ დაუმალავს. მხეცს ბრჭყალებითა და კბილებით მისთვის მუცელი გამოუფატრავს. საკუთარი თავი რომ არ გაეთქვა, ბიჭს ხმა არ ამოუღია მანამ, სანამ სისხლისგან დაცლილი არ დაცემულა. ამ გადმოცემას შესაძლებელია ვენდოთ, რადგანაც ჩვენთვის ცნობილია, რომ მრავალ ჭაბუკს სული ამოხდომია მათრახით გვემის დროს არტემისის საკურთხეველთან.[7]



სადილის შემდეგ ირენი ბიჭებს ერთგვარ გაკვეთილს უტარებდა: ზოგს ამღერებდა, ზოგს კი შეკითხვებზე პასუხის გაცემას სთავაზობდა. შეკითხვებს ბავშვებისათვის უნდა ესწავლებინა კარგისა და ცუდის გარჩევა, ადამიანთა საქციელის შეფასება. თუ ბიჭი ვერ ახსნიდა, ვის თვლიდა ღირსად ეტარებინა სპარტის მოქალაქის სახელი, ან რა საქციელი განაპირობებდა ადამიანისათვის პატივის აყრას, მას გონებაჩლუნგად მიიჩნევდნენ და ირენს უბრძანებდნენ, ეზრუნა მის განვითარებაზე.

ირენი ხშირად სჯიდა ბავშვებს უხუცესთა თანდასწრებით, რათა მათთვის საშუალება მიეცა ემსჯელათ მისი აღზრდის მეთოდებზე. მეცადინეობებში უფროსები არ ერეოდნენ, მაგრამ როცა ირენს მარტო დაიხელთებდნენ, უცილობლად აზღვევინებდნენ, თუკი იგი ბიჭუნების დასჯისას გამოიჩენდა გადამეტებულ სიმკაცრეს ან ლმობიერებას.

ბავშვებს აჩვევდნენ, გამოეთქვათ თავისი სათქმელი ზუსტად და მოკლედ.[8] ლიკურგოსს სურდა, რომ პატარა, უბრალო სიტყვას დიდი აზრი გამოეხატა. მისი ნათქვამი მუდამ მოკლე და მრავალმნიშვნელოვანი იყო. როდესაც ვილაცამ მოითხოვა, რომ ლიკურგოსს სახელმწიფოში დემოკრატია დაემყარებინა, კანონმდებელმა ასე მიუგო: „თავდაპირველად დემოკრატია დაამყარე თავად შენს სახლში“.

ერთხელ სპარტელებმა ჰკითხეს ლიკურგოსს: „როგორ მოვიქცეთ, მეზობელი ქვეყნები რომ თავს არ დაგვესხან?“ მან უპასუხა: „იყავით ღარიბნი და ნუ ისურვებთ, მეზობლებზე მდიდრები გახდეთ“.

ლიკურგოსმა თავისი აზრი ქალაქის გამაგრების თაობაზე ასე გამოთქვა: „თუ ქალაქი ადამიანებითაა გამაგრებული და არა აგურებით, მას აქვს კედლები!“

საერთოდ სპარტელებს უყვარდათ მოკლე და მახვილგონივრული პასუხები. თუ კაცი ბრძნულ აზრს გამოთქვამდა, მაგრამ უდროოდ, მას მიუგებდნენ: „საქმიანია შენი სიტყვა, მაგრამ უსაქმო“.

ერთ ფილოსოფოსს ჰკიცხავდნენ იმის გამო, რომ სამეფო სუფრასთან მიწვეულს სიტყვაც არ დასცდენია. მის დასაცავად მეფეს უთქვამს: „ვისაც შეუძლია საუბარი, მისთვის სათანადო დროის შერჩევაც შეუძლიაო“.

ერთმა კაცმა თავი მოაბეზრა მეფეს შეკითხვით, სპარტელთაგან ვინ არისო საუკეთესო. არავის გაჰკვირვებია მეფის პასუხი: „ის, ვინც შენ ყველაზე ნაკლებად გგავსო“.

ბევრი აღფრთოვანებულა გამარჯვებულთა დაჯილდოებისას ოლიმპიური ასპარეზობების მომწყობთა პირუთვნელობით. „რა გასაკვირია – უთქვამს სპარტელს – თუკი ადამიანი ოთხ წელიწადში ერთხელ შეძლებს იყოს სამართლიანი“.

როდესაც მეფე არქიდამოსს ჰკითხეს, სპარტას ჰყავს თუ არა დიდძალი ლაშქარი, მან უპასუხა: „საკმარისი, რათა მხდალნი უკუაქციოს“.

ერთი ათენელი მასხრად იგდებდა სპარტელთა მოკლე მახვილებს, რაზედაც მეფე აგისმა ასე მიუგო: „სიმოკლე როდი უშლის ხელს ჩვენს მახვილს მისწვდეს მეტოქეს".

სპარტელთა პასუხები საშუალებას გვაძლევს წარმოდგენა შევიქმნათ მათი ცხოვრების წესზე. ბავშვობიდანვე აჩვევდნენ სპარტელებს არ გამოეთქვათ თავისი აზრი, თუ ეს არ იყო საჭირო, და თუ იტყოდნენ რაიმეს, ეთქვათ მხოლოდ აუცილებელი.

ერთ სპარტელს შესთავაზეს მოესმინა კაცისთვის, რომელიც ბულბულს ბაძავდა. მან კი მიუგო: „მე თავად ბულბულისთვის მისმენიაო".

სხვას შეჰპირდნენ, რომ აჩუქებდნენ მამლებს, რომლებიც იბრძოდნენ, ვიდრე არ დაიხოცებოდნენ.[9] მან კი მიუგო: „უმჯობესია ისეთები მაჩუქო, რომლებიც სხვას მოკლავენო".

ერთხელ სპარტელმა საძმო საფლავზე წაიკითხა წარწერა. სახელთა ჩამოთვლა ამ სიტყვებით ბოლოვდებოდა: „ისინი დაეცნენ ბრძოლის ველზე მაშინ, როდესაც ტირანიის ცეცხლს აქრობდნენ".

– ასეც მოუხდებათ! – აღმოხდა სპარტელს მოულოდნელად – რა საჭირო იყო ტირანიის ცეცხლის ჩაქრობა, დაე, ბოლომდე დაფერფლილიყო.

სიტყვის სიზუსტესა და სიცხადესთან ერთად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სპარტაში საგუნდო სიმღერასაც. სპარტული საგუნდო სიმღერები გამოირჩეოდნენ ვაჟკაცური შემართებით, უბრალოებითა და სისადავით, ამავე დროს სერიოზულობითა და დამრიგებლური ხასიათით. ეს იყო ან სპარტისათვის მებრძოლთა ხოტბები, ან საგმირო საქმეებისთვის მოწოდებები, ან მხდალთა კიცხვანი. აი, ერთ-ერთი სპარტულ სიმღერათაგან:

მოხუცთა ქორო: „ოდესღაც ვიყავით ჭაბუკნი და შეუდრეკელნი!"

კაცების ქორო: „შეუდრეკელნი ჩვენ ვართ ახლაც, მაშ, გამოგვცადეთ!"

ჭაბუკთა ქორო: „ჩვენ კი ვიქნებით უფრო მეტად შეუდრეკელნი!"

ასევე დიდი ყურადღება ექცეოდა სპარტაში მუსიკას. სპარტელები საბრძოლველად ფლეიტის ხმაზე მიემართებოდნენ. ერთ-ერთი სპარტელი პოეტის თქმით: „კარგი მუსიკა არანაკლებ მოქმედებს სულზე, ვიდრე იარაღი" გადმოგვცემენ, რომ სპარტელი მეფე ბრძოლის დაწყების წინ მსხვერპლს სწირავდა მუზებს, რათა მებრძოლთათვის შეეხსენებინა, რომ აუცილებელია სიმღერებით განსადიდებელ გმირობათა აღსრულება.

როდესაც ჭაბუკნი მებრძოლთა რიგებში გადადიოდნენ, მათი აღზრდის სიმკაცრე შედარებით სუსტდებოდა. მეომრებს უფლება ჰქონდათ ეზრუნათ საკუთარ სამოსზე, თმებსა და იარაღზე. ბრძოლის დაწყების წინ სპარტელები ლამობდნენ



განსაკუთრებულად შეემკოთ თავი: ისინი ივარცხნიდნენ თმებსა და ზედ ზეთს იცხებდნენ, ახსოვდათ რა ლიკურგოსის ნათქვამი: „თმები ლამაზებს ალამაზებენ, ხოლო უშნოებს უფრო მეტად აუშნოებენ“.

ლაშქრობათა ჟამს ახალგაზრდათა საწვრთნელი ვარჯიშები აღარ იყო რთული, და საერთოდ, მათი ცხოვრება უფრო იოლი ხდებოდა. სპარტა იყო ერთადერთი ქვეყანა, რომლის მკვიდრთათვის ბრძოლა დასვენებად ითვლებოდა მშვიდობიანი ცხოვრების დაუსრულებელ წვრთნებთან შედარებით.

როდესაც ბრძოლის დაწყების წინ ლაშქარი დაეწყობოდა, მეფე მსხვერპლს სწირავდა ღმერთებს და მებრძოლებს მოუწოდებდა, თავს დაერქვათ გვირგვინები. ფლეიტის ხმაზე ყველა იწყებდა საბრძოლო სიმღერას. დიდებულ სანახაობას წარმოადგენდა ფლეიტის ხმაზე ფეხაწყობილი მებრძოლების მწყობრი რიგები. არავის უთრთოდა შიშით გული. ისინი საფრთხის შესახვედრად ეშურებოდნენ სიმღერებით, ხოლო სახეზე სიმშვიდისა და სიხარულის სხივი ეფინათ. თავად მეფე კი მიაბიჯებდა მათ მხარდამხარ, ვინც გამარჯვება მოიპოვა უკანასკნელ ოლიმპიურ ასპარეზობათა ჟამს.

ასე ჰყვებიან, თითქოს ერთ სპარტელს შესთავაზეს დიდძალი თანხა, თუ ოლიმპიურ აგონებზე გამარჯვებას დაუთმობდა თავის მეტოქეს. ხოლო როდესაც მან უარი თქვა ამ სარგებელზე და გამარჯვება მოიპოვა მძიმე ბრძოლაში, ჰკითხეს: „ამ გამარჯვებით რას დაიმსახურებ ისეთს, მის გამო უარი რომ თქვი სიმდიდრეზე?“ „ბრძოლებში ლაშქარს წარვუძღვები მეფის მხარდამხარ!“ – ასე ამაყად მიუგო მათ ძლევამოსილმა.

როდეს მეტოქეს უკუაქცევდნენ სპარტელები, დიდხანს არ სდევდნენ, მათი გაგებით, დამარცხებული მტრის კვლა და ჩეხვა უკადრისი საქციელი იყო და სულის სიმდაბლედ აღიქმებოდა. ეს წესი იყო არა მხოლოდ ღირსეული, არამედ ხელსაყრელიც, რამეთუ დამარცხებული მტერი ამჯობინებდა უმალ გაქცევას, ვიდრე ბრძოლას, რადგან იცოდა, რომ სპარტელები გაქცეულებს არას ერჩოდნენ.

ზოგიერთი ისტორიოგრაფოსი ირწმუნება, რომ ლიკურგოსი თავად იყო დიდი მებრძოლი. მაგრამ უფრო მართალნი უნდა იყვნენ ისინი, რომლებიც თვლიან, რომ ლიკურგოსს არ მიუღია მონაწილეობა არცერთ ბრძოლაში, და რომ თავისი გარდაქმნები განახორციელა იმ წლებში, როდესაც სპარტა არავის ეომებოდა. ოთხ წელიწადში ერთხელ, ოლიმპიური თამაშების განმავლობაში რომ მთელ საბერძნეთში მშვიდობის სუფევა იყო,[10] გადმოცემის თანახმად, ლიკურგოსის დამსახურებაა, რაც მის მშვიდობისმოყვარეობაზე მიგვანიშნებს.



ლიკურგოსის აზრით, სპარტელის აღზრდა მისი მოწიფულობის ასაკშიც უნდა გაგრძელებულიყო. მოზრდილებსაც უნდა დაეცვათ კანონით გათვალისწინებული ადათ-წესები. სპარტა მსგავსი იყო იმ ბანაკისა, სადაც ყოველი ადამიანი ცხოვრების მკაცრად განსაზღვრულ წესებს ემორჩილებოდა. ლუკი სპარტელებს არ ეძლეოდათ სხვა დავალება, ისინი უვლიდნენ ბავშვებს, მოძღვრავდნენ მათ, ან თავად ისმენდნენ ხანდაზმულთა შეგონებებს.

სპარტელებს ჰქონდათ ბევრი თავისუფალი დრო, რადგანაც ხელოსნობა და სხვა სასარგებლო შრომა მათთვის აკრძალული იყო. დროის დიდ ნაწილს ისინი ატარებდნენ გიმნასიონებში ან საუბრობდნენ ერთმანეთში ავსა თუ კარგზე. ცეკვები, თამაშები, ნადირობანი, სიმღერები და სხეულთა ვარჯიშები შთანთქავდნენ სპარტელთა მთელ დროს, თუ ისინი ბრძოლით არ იყვნენ დაკავებულნი.

როდესაც ათენში ჩასულმა სპარტელმა გაიგო, რომ იქ უქმობისთვის დასაჯეს ვილაც, მან ითხოვა ეჩვენებინათ მისთვის ეს ვილაც, თავისუფლების სიყვარულისთვის დასჯილი კაცი. ისე ვერ ეგუებოდნენ სპარტელები შრომას, რომ უქმობას „თავისუფლების სიყვარულს" უწოდებდნენ.

სპარტელებს შეეძლოთ უზრუნველად ეცხოვრათ, რადგანაც მათ მიწებს ჰელოტები ამუშავებდნენ. ესენი იყვნენ სპარტელთა მიერ დაპყრობილი ქვეყნების მკვიდრთა ჩამომავალნი. ჰელოტები სახლობდნენ იმ მიწებზე, რომლებსაც ადრე ფლობდნენ. ისინი იძულებულნი იყვნენ დამპყრობლებისთვის მიეცათ მოწეული მოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი. ჰელოტები და მათ მიერ დამუშავებული მიწის ნაკვეთები სპარტელთა შორის თანაბრად იყო დანაწილებული. ყოველი სპარტული ოჯახი მისთვის კუთვნილი ნაკვეთიდან საკვების საკმარის რაოდენობას იღებდა.

რამდენადაც ჰელოტები მნიშვნელოვნად სჭარბობდნენ სპარტელებს, ამ უკანასკნელთ მუდამ ჰქონდათ მათი ამბოხების შიში. ჰელოტთა აჯანყების თავიდან ასაცილებლად სპარტაში შემოიღეს კრიპტიები, რამაც საფუძველი მისცა ზოგიერთს ლიკურგოსისთვის სისასტიკე და უსამართლობა დაებრალებინა. აი, რას გულისხმობდა კრიპტია: ეფოროსები დროდადრო ქალაქგარეთ აგზავნიდნენ სატევრებით შეიარაღებულ ჭაბუკებს. დღისით ისინი იმალებოდნენ, ხოლო ღამ-ღამობით გამოდიოდნენ გზებზე და კლავდნენ ჰელოტებს. ამ შემაძრწუნებელი მკვლელობისთვის კანონიერი ხასიათი რომ მიეცათ, უფროსები, იღებდნენ რა თანამდებობას, ომს უცხადებდნენ ჰელოტებს. ხანდახან ისინი სოფლად აგზავნიდნენ ახალგაზრდათა დიდ რაზმებს, რათა მათ ანაზდეული თავდასხმებით გაენადგურებინათ უძლიერესნი და უმამაცესნი ჰელოტთა შორის.



გადმოგვცემენ, რომ ერთხელ სპარტელებმა ორი ათას რჩეულ ჰელოტს თავისუფლება მიანიჭეს. გახარებულმა ჰელოტებმა თავს დაირქვეს გვირგვინები და ტაძრები შემოიარეს, რათა მადლობა აღევლინათ ღმერთებისადმი მოულოდნელი ბედნიერებისათვის. მაგრამ ღამით ისინი გაქრნენ და არავის ძალუძდა ეთქვა რაიმე მათი დაღუპვის თაობაზე.

სპარტელები ხანდახან საგანგებოდ აიძულებდნენ ჰელოტებს უზომოდ შეესვათ განუზავებელი ღვინო, რათა ახალგაზრდებისათვის ეჩვენებინათ, თუ რაოდენ საზარელია უგონოდ თრობა. საშინელი სასჯელის ძალით ჰელოტებს ეკრძალებოდათ თავისუფალთა სიმღერების მღერა. ისინი იმდენად ყოფილან დაშინებულნი, რომ ერთხელ, ლაკონიის სამანთა მიღმა, იქაც კი, სადაც უკვე აღარ ვრცელდებოდა მათი მეპატრონეების კანონები, ვერ გაუბედავთ ემღერათ სპარტელ პოეტთა სიმღერები. სამართლიანად შენიშნეს ბერძნებმა, რომ სპარტაში თავისუფალი თუ ალმატებულად იყო თავისუფალი, მონაც ასევე ალმატებულად იყო დამონებული.

თუმცა უსაფუძვლოა იმის მკტიცება, თითქოს ჰელოტთა წინააღმდეგ მიმართული ეს ულმობელი კანონები ლიკურგოსის შემოღებული იყოს. ისინი დააკანონეს შედარებით გვიან, მაშინ, როდესაც ჰელოტთა რიცხვი მეტისმეტად გაიზარდა. განსაკუთრებული სიმკაცრით ექცეოდნენ სპარტელები მათ დიდი მიწისძვრის[2] შემდეგ. მაშინ ჰელოტებმა, ისარგებლეს რა უბედურებით, კინალამ აიღეს სპარტა და მოიპოვეს თავისუფლება.

როდესაც კანონთაგან უმნიშვნელოვანესნი ცხოვრებაში დამკვიდრდნენ, ლიკურგოსმა იხმო მოქალაქენი და მოიწვია სახალხო კრება. კანონმდებელმა აღნიშნა, რომ ყოველი მოქალაქის გასაბედნიერებლად საჭიროა მოხდეს კიდევ ერთი, უმთავრესი გარდაქმნა. ამისთვის კი აუცილებელია კვლავ ეწვიოს დელფოს სამისნოს. ლიკურგოსმა სთხოვა გერონებსა და მოქალაქეებს დაედოთ ფიცი, რომ არაფერი შეიცვლებოდა კანონებში მის დაბრუნებამდე. ყოველმა დადო ფიცი, ხოლო ლიკურგოსი გაეშურა დელფოსკენ. მისანმა ამცნო მეფეს, რომ მის მიერ შექმნილი კანონები დიდებულია და ვიდრე სპარტა ამ კანონებს შეინარჩუნებს, იბედნიერებს და იბატონებს სხვა ქვეყნებზე.

ლიკურგოსმა ამ წინასწარმეტყველების უწყებით თავის სამშობლოში მაცნე წარგზავნა, ხოლო თავად გადაწყვიტა, მომკვდარიყო, რათა თანამოქალაქეთათვის საშუალება არ მიეცა, ოდესმე შეეცვალათ კანონები. მათ ხომ დიადი ფიცი დასდეს, რომ მის დაბრუნებამდე სხვა გარდაქმნებს არ განახორციელებდნენ.

ლიკურგოსი კი უკვე იმ ასაკს მიუახლოვდა (დაახლოებით 85 წელს), როდესაც, ძველების აზრით, თუმცა სიცოცხლე შესაძლო იყო, მაგრამ კარგი იქნებოდა სიკვდილიც, განსაკუთრებით მისთვის, ვინც ყველა სურვილი აღისრულა.



ლიკურგოსი თვლიდა, რომ საზოგადო მოღვაწის სიკვდილიც კი სასარგებლო უნდა გახდეს სახელმწიფოსთვის, ეს უნდა იყოს მთელი ცხოვრების ღირსეული დასასრული. ამიტომ იგი გამოეთხოვა მეგობრებს, ვაჟს და უარი თქვა რა საკვების მიღებაზე, მალე შიმშილით გარდაიცვალა. იგი შიშობდა, რომ მის ნეშტს სპარტაში გადაასვენებდნენ, რითაც მოქალაქეები ფიცისაგან თავს გაითავისუფლებდნენ. ამიტომ სიკვდილის წინ მეგობრებს უბრძანა, დაეწვათ მისი გვამი, ხოლო ფერფლი ზღვაში ჩაეყარათ.

იმედები არ გაცრუებია ლიკურგოსს. ასწლეულების განმავლობაში სპარტა, ვიდრე მის კანონებს იცავდა, უძლიერესი სახელმწიფო იყო მთელ საბერძნეთში. მხოლოდ ძვ.წ. V საუკუნის ბოლოს, როდესაც იქ ოქროსა და ვერცხლთან ერთად შუღლმაც შეაღწია, ლიკურგოსის კანონები დავიწყებას მიეცა.



შენიშვნები

[1] ქარილაოსი ბერძნულად „ხალხის რჩეულს“ ნიშნავს.

[2] „რეტრა“ ბერძნულად ნიშნავს ზეპირ შეთანხმებას. ზეპირი კანონის არსებობა მიუთითებს ამ დადგენილების უძველეს წარმომავლობაზე. ამაზევე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ყოველი სახელმწიფოსთვის ჩვეულ მოქალაქეთა ტერიტორიული ნიშნით დაყოფასთან ერთად (5 მხარე), სპარტაში შემორჩა აგრეთვე ძველი, ტომობრივი ნიშნით დაყოფა (3 ფილე ტომიდან). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ დადგენილებაში შემონახულია პირველყოფილი თემური წყობისათვის დამახასიათებელი ნიშნები ხალხის უმაღლეს ძალაუფლებაზე, რომელიც არისტოკრატიის დამხობასთან ერთად გაქრა. საბუთის ენის სიძველეც იმაზე მიგვანიშნებს, რომ იგი შედგენილი უნდა ყოფილიყო გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე ის რეფორმები, რომლებსაც მიაკუთვნებდნენ ლიკურგოსს.

[3] მეფეები პოლიდოროსი და თეოპომპოსი ძვ.წ. VIII ს-ის მიწურულს განაგებდნენ სპარტას. მათ დროს მიმდინარეობდა ლაკონიის ჩრდილოეთით მდებარე ნაყოფიერი მესენიის დაპყრობა. შესაძლოა, ამ მძიმე ომით გამოწვეულმა დაძაბულობამ ურთიერთობა გაამწვავა ხალხსა და არისტოკრატიას შორის, რამაც აუცილებელი გახადა ეფორატის დაკანონება.

[4] სიტყვა „ეფოროსი“ ბერძნულად აღნიშნავს „ზედამხედველს“, „მზირს“, „მეთვალყურეს“. ასე ეწოდებოდათ ქურუმებს, რომელთა დანიშნულება ვარსკვლავების თვალთვალიც იყო. განსაზღვრული წლების შემდეგ ეფოროსებს ვარსკვლავების მიხედვით უნდა დაედგინათ, სპარტის მმართველი მეფეები ღმერთებს სურდათ თუ არა. თუ ღამეულ ცაზე დაკვირვებისას ისინი შეამჩნევდნენ ვარსკვლავის ვარდნას, ეს იმის მაუწყებელი იყო, რომ მეფეთაგან ერთ-ერთი უნდა შეცვლილიყო.

[5] მიწათა გადანაწილება და ლიკურგოსის სახელით ცნობილი ყველა მომდევნო რეფორმა, სხვა წყაროთა და არქეოლოგიურ მონაცემთა გათვალისწინებით, უნდა განხორციელებულიყო არა უადრეს ძვ.წ. VII საუკუნისა. დაუჯერებელი როდია ის, რომ იმხანად სპარტაში მოღვაწეობდა სახელმორჭმული წინამძღვარი და კანონმდებელი, მაგრამ რამდენადაც სპარტული კანონები არ ჩაწერილა, ლიკურგოსის სახელი წარწერებზე არ გვხვდება. მიწათა გადანაწილება ლიკურგოსის დამსახურება კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ გაცხოველებული კლასობრივი ბრძოლისა, რომლის დროსაც წარჩინებულნი იძულებულნი გახდნენ დაეთ-

მოთ.

[6] ბერძნები ღვინოში წყალს აზავებდნენ, განზავებული ღვინო უბრალო წყალზე უკეთესად კლავდა წყურვილს. მას არ შეეძლო კაცის დათრობა.

[7] სპარტაში მარვალი ასწლეულის მანძილზე ინახებოდა ბიჭების სახალხოდ გამათრახების ადათი მათი ირენებად გადაყვანისას. არტემისის საკურთხეველთან ბიჭებს უნდა გამოევლინათ სიმედგრე და ტკივილების დათმენის უნარი. ზოგი, მათრახით გვემული, ხმის ამოუღებლად კვდებოდა. ღვთაების საკურთხევლის სისხლით დათბობის ეს ადათი, შესაძლებელია, იყო უძველეს წარსულში არსებული ადამიანთა მსხვერპლად შეწირვის გადმონაშთი.

[8] თანამედროვე სიტყვა „ლაკონიზმი", რომელიც აზრის მოკლედ გამოთქმას ნიშნავს, სპარტელთა ქვეყნის – ლაკონიის სახელწოდებიდან მომდინარეობს.

[9] ძველ საბერძნეთში ყველაზე მეტად გავრცელებული გასართობი იყო მამალთა და მწყერთა ბრძოლა. ამ სანახაობას უდიდეს აღმზრდელობით მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რამეთუ თვლიდნენ, რომ მამლები სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ბრძოლის მაგალითს იძლეოდნენ. ბრძოლებისათვის ფრინველებს სანაგებოდ წვრთნიდნენ, ხოლო კარგად მებრძოლი მამლები ძვირად ფასობდნენ.

[10] ოლიმპიურ ასპარეზობათა და სხვა უდიდეს რელიგიურ ზეიმთა დროს ბრძოლათა შეწყვეტის წესი, შესაძლოა, ძ.წ. VIII საუკუნეში შემოიღეს არა მხოლოდ რელიგიური, არამედ სავაჭრო ურთიერთობათა თვალსაზრისითაც. საქმე ისაა, რომ საერთო ბერძნულ დღესასწაულთა განმავლობაში იმართებოდა დიდი ბაზრობებიც.

[11] ჰელოტთა განადგურება რომ საიდუმლოებით იყო მოცული, ამაზე მეტყველებს თვით ამ წინასწარგანზრახული მკვლელობის სახელწოდებაც: ტერმინი „კრიპტია" ბერძნულად ნიშნავს „საიდუმლოს".

[12] ეს მოხდა ძ.წ. 465 წელს. იმდენად ძლიერი იყო მიწისძვრა, რომ სპარტა თითქმის მთლიანად დაინგრა. ჰელოტები თავს დაესხნენ გადარჩენილ სპარტელებს, რომლებიც საშველად უხმობდნენ ათენელებს. დაიწყო მესამე მესენიური ომი, რომელიც თითქმის ათი წელი გრძელდებოდა. ომის შედეგად ჰელოტთა ნაწილი იძულებული შეიქნა კვლავ სპარტელებს დამორჩილებოდა, ნაწილმა კი დატოვა ქვეყანა და კორინთოს ყურეს ჩრდილოეთ ნაპირებთან დასახლდა.

სოლონი

ათენელი სახელმწიფო
მოღვაწე და პოეტი
(დაახლ. ძვ.წ. 640-559 წწ.)

სოლონს ძველ სამყაროშივე მოიხსენიებდნენ „შვიდ ბრძენთა“ შორის. მის განსწავლულობაზე ბევრს მოგვითხრობენ ანტიკური წყაროები. მათ შემოგვინახეს სენტენციებად გავრცელებული მისი გამონათქვამები. სოლონს მიაკუთვნებდნენ დელფოს სამისნოს წარწერებს: „შეიცან თავი შენი“ და „არაფერი უზომოდ“, აგრეთვე ცნობილ სენტენციას: „ყველაფერს ბოლო გამოაჩენს“. სოლონს მიეწერება იმ ათენური კონსტიტუციის შექმნა, თანამედროვე ისტორიკოსები რომ ევროპული აზროვნების დემოკრატიული იდეალების საწინდრად მიიჩნევენ. ლიტერატურის ისტორიაში იგი ცნობილია პოეტად, რომელმაც ბერძნულ ლირიკაში შემოიტანა სრულიად ახალი ნაკადი, რაც პიროვნული პოზიციის წარმოჩენით გამოიხატა. ასე რომ, სოლონი ისტორიაში შევიდა ვითარცა ბრძენიც, კანონმდებელიცა და პოეტიც.

სოლონი წარჩინებულთა გვარის ჩამომავალი იყო. მის დიდ წინაპრად ასახელებენ ათენის მეფე კოდროსს (ძვ.წ. VIII ს.), რომელმაც, გადმოცემათა თანახმად, გმირულად გაწირა თავი სამშობლოსათვის.[2]

სოლონის ბავშვობასა და სიყმაწვილეზე არაფერს მოგვითხრობენ ანტიკური ხანის ბიოგრაფოსები. ცნობილია მხოლოდ ის, რომ მამამისი არ ყოფილა მდიდარი კაცი. მამის გარდაცვალების შემდეგ სოლონი თითქმის უსახსროდ დარჩენილა, უცხოთაგან დახმარების მიღება სამარცხვნიოდ მიუჩნევია და განუზრახავს ზღვის გაღმა ეცადა ბედი. მას შორეულ ქვეყნებში ხომალდებით გადაჰქონდა ათენური ნაწარმი, ხოლო იქიდან სხვა საქონელს ეზიდებოდა.



იმხანად ათენში ზღვის მილმა ქვეყნებთან ვაჭრობით თამამ მოქალაქეთაგან მცირეოდენნი თუ იყვნენ დაინტერესებულნი. უპირველეს ყოვლისა, ესენი იყვნენ მდიდარი არისტოკრატები, აგრეთვე ხალხიდან გამოსული შეძლებული და გამბედავი ვაჭრები. ზღვის მილმა მოგზაურობა სახიფათო იყო, სამაგიეროდ ერთი წარმატებით დაგვირგვინებული საქმე უზარმაზარ მოგებას იძლეოდა. ადამიანს, რომელმაც იმოგზაურა უცხო ქვეყნებში, რომელმაც სათანადო ცოდნა და ცხოვრებისეული გამოცდილება შეიძინა, თანამოქალაქენი დიდი პატივით ეპყრობოდნენ.

სოლონი ზღვის გადალმა მიემგზავრებოდა არა მხოლოდ სიმდიდრის მოსახვეჭად, არამედ სიბრძნის შესაძენად, ადამიანთა მრავალფეროვანი ზნისა და ჩვეულების შესასწავლად, სამყაროს შესაცნობად. ქონებას ქონებისათვის სოლონი არ სცნობდა. იგი თვლიდა, რომ ბედნიერება მხოლოდ ფული არ არის. მისი თქმით: „თანაბრად მდიდარია ორივე, ისიც, ვინც უხვად ფლობს ვერცხლსა თუ ოქროს, პურით მდიდარი მიწის ველებს, ცხენებს და ჯორებს, და ისიც, ვინც თავის დროზე დაოჯახდა, ჰყავს ცოლიც, შვილიც, რაკილა ძალუძს სიჭაბუკის ასაკით ტკბობა". სხვა ადგილას იგი აღნიშნავს: „მსურს მოვიხვეჭო სიმდიდრე, მაგრამ მისი უსამართლოდ მოპოვება როდი მწადია, რადგანაც ბოლოს სამართალი უნდა აღსრულდეს".

მართალია, სოლონი წარმატებული მოგზაურობების წყალობით გამდიდრდა, მაგრამ სიქველესა და კეთილ სახელს ამჯობინებდა მუდამ სიმდიდრეს. აი, რას ამბობდა იგი ერთ ლექსში: „მრავალია ბოროტი კაცი მდიდართა შორის, ხოლო კეთილი – ღარიბთა შორის. მაგრამ სიქველე სიმდიდრეზე არ გაიცვლება. იგი ჩვენშია შეუცვლელად. ფულს კი დღეს ერთნი, ხვალ სულ სხვანი ეუფლებიან".

მოგზაურობიდან დაბრუნებული სოლონი სამშობლოში პარტიათა გაცხოველებული ბრძოლების მოწმე შეიქნა. უბრალო ხალხს მიწა არ ჰქონდა, იგი გმინავდა წარჩინებულთა უღელქვეშ. ხალხი იბრძოდა ევპატრიდების წინააღმდეგ პურისა და თავისუფლების მოთხოვნით.

სოლონმა იმთავითვე ხალხს დაუჭირა მხარი და მისი პატივისცემა დაიმსახურა. ღარიბებმა იგი მფარველად მიიჩნიეს. სოლონმა თავისი არაჩვეულებრივი პოეტური ნიჭი ხალხის სამსახურისკენ მიმართა. შესანიშნავი ლექსებით, რომლებიც მაშინ ყველამ ზეპირად იცოდა, პოეტი მოწინააღმდეგეებს შთააგონებდა, შეენდოთ ერთმანეთისთვის სამშობლოს საკეთილდღეოდ, შემდგომში კი განმარტავდა მის მიერვე გამოცემული კანონების აზრსა და მიზანს.

იმხანად ათენელებს მძიმე და ხანგრძლივი ბრძოლა ჰქონდათ მეზობელ მეგარასთან კუნძულ სალამისის გამო. ეს კუნძული გზას უხშობდა ათენისაკენ მიმავალ და ათენიდან მომავალ ხომალდებს. სალამისის მფლობელ მეგარელებს შეეძლოთ,



შეეფერხებინათ ათენში პერის შეტანა (საკუთარი პური ათენს არ ჰყოფნიდა); ქალაქს შიმშილი ემუქრებოდა; ამიტომ ათენელები ამ კუნძულს უნდა დაპატრონებოდნენ. ათენის ლაშქარმა შეძლო კიდეც ხანმოკლე დროით ხელში ჩაეგდო სალამისი, მაგრამ შინაური აშლილობისა და პარტიათა შუღლის გამო ვერ შეინარჩუნა იგი.

მდიდარ ევპატრიდებს, რომლებიც მაშინ ათენს განაგებდნენ, არ ესაჭიროებოდათ ზღვის მილმა ვაჭრობის წარმოება. მათ გამოსცეს კანონი, რომელიც კრძალავდა სახალხო კრებაზე სალამისის საკითხის წამოჭრას.

უბრალო ხალხი – მეზღვაურები, ქალაქის ხელოსნები, ვაჭრები, ნავსადგურის მუშები – პირიქით, მოითხოვდა ბრძოლის გაგრძელებას, რადგანაც საზღვაო ვაჭრობის შეწყვეტა მათთვის სილატაკესა და დაქცევას ნიშნავდა.

სოლონი, ჩაუდგა რა სათავეში უბრალო მოქალაქეებს, იბრძოდა ომის განსაახლებლად. რამდენადაც კანონი ამგვარ ქმედებას კრძალავდა, მან თავი მოიგიჟიანა.

ერთხელ ათენელებმა დაინახეს მაცნეს სამოსში გამოწყობილი უცნაური კაცი, რომელიც თავქუდმოგლეჯილი მირბოდა ქალაქის მოედნისკენ. ეს იყო სოლონი. მოედანზე მის გარშემო თავი მოიყარა ბრბომ. სოლონის სიგიჟის ამბავი მთელმა ქალაქმა იცოდა. იგი ავიდა მაცნეთათვის განკუთვნილ ლოდზე და დაიწყო საკუთარი ლექსის სიმღერით თქმა: „მაცნე გეახლეთ სასურველი სალამისიდან, ნაცვლად მჭევრმეტყველებისა ისმინეთ სიმღერა, სიტყვათა მშვენება“. ამ ლექსით იგი ეუბნებოდა შეკრებილებს, რომ სამარცხვინოა ათენელად მოჰქონდეთ თავი, რამეთუ არ შეუძლიათ სალამისის შენარჩუნება: „მალე იხილავთ, გავრცელდება ჩვენზე საზარი მიეთ-მოეთი, ასე იტყვიან, ეს კაცი ხომ ატიკელია, სადაც გაჰყიდეს სალამისი“. შემდეგ სოლონი მხურვალედ მოუწოდებდა ხალხს: „სალამისისკენ ვისწრაფოთ, თავი გავწიროთ სასურველი კუნძულისათვის, რათა ეს სამარცხვინო დამლა ჩამოვიცილოთ“.

ხალხი სიხარულით შეეგება სოლონის მოწოდებას. მალე მკაცრი კანონი შეიცვალა და ომი განახლდა. ათენის ლაშქარს სათავეში ჩაუდგა სოლონი. მან პისისტრატოსთან ერთად, რომელიც შემდგომ ათენის ტირანად აირჩიეს, გაცურა კუნძულ სალამისის მოპირდაპირე კონცხისკენ. იქ ათენელი ქალები იმხანად ზეიმობდნენ თესმოფორიებს, რომელიც ქალღმერთ დემეტრეს პატივსაცემად იმართებოდა.[3]

სოლონმა თავის მეომრებს უბრძანა, გადაეცვათ ქალის სამოსი და იარაღი მოსასხამის ქვეშ დაემალათ. იმავე დროს სალამისზე გადაგზავნა ერთი მებრძოლი. წარგზავნილმა მეგარელებს ურჩია, ტყვედ ჩაეგდოთ ათენელი ქალები, რომლებ-



საც მრავლად მოეყარათ თავი დღესასწაულზე. მეგარელებმა ყურად იღეს მისი რჩევა, იარაღი აისხეს და ატიკის სანაპიროებს მიადგნენ. მოულოდნელად მათ თავს დაესხნენ ჩასაფრებული ათენელები პისისტრატოსის მეთაურობით. მათ მეგარელთა დიდი ნაწილი გაანადგურეს და ხელთ ჩაიგდეს ხომალდები. შემდეგ ათენელებმა გასცურეს სალამისისკენ და დაიკავეს კუნძული.

მეგარელებმა როდი სცნეს თავი დამარცხებულად. ომი გაგრძელდა. ბოლოს ორივე მხარემ გადაწყვიტა შუამავლობა ეთხოვა სპარტასთვის – იმხანად ყველაზე ძლიერი ბერძნული სახელმწიფოსთვის.

სოლონი ოსტატურად ცდილობდა, დაემტკიცებინა სპარტელებისთვის, რომ სალამისზე ოდითგანვე ვრცელდებოდა ათენელთა უფლებები. იგი იმოწმებდა პოემა „ილიადას", რომელსაც დიდად აფასებდნენ ბერძნები. „ილიადაში", რომელიც პირველად ათენში, გადმოცემათა თანახმად, სოლონის დროს ჩაიწერა, ვკითხულობთ, რომ ჰომეროსის ეპოქაში სალამისი ათენელთა ძალაუფლებას მორჩილებდა.[4] თუმცა ჯერ კიდევ უძველეს დროში მიაჩნდათ, რომ პოემის ეს ადგილი ათენელთა მიერ იყო ჩამატებული სალამისზე საკუთარი უფლებების დასამტკიცებლად.

სპარტის ხუთმა მსაჯულმა, მოუსმინა რა ორივე მხარეს, სალამისი ათენელებს მიაკუთვნა.

ათენელთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. სოლონის სახელს მთელს ატიკაში განადიდებდნენ. თუკი ადრე მას მხოლოდ ქალაქის მოსახლეობა სცნობდა ბელადად, დახმარებისთვის მიმართავდნენ უკვე გლეხებიც, რომლებიც უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდნენ.

ატიკის მოსახლეობა სოფლის მეურნეობას მისდევდა, მაგრამ სოლონის დროიდან განვითარება დაიწყო ხელოსნობამაც. ათენში წარჩინებულთა (ევპატრიდთა) გარდა ცხოვრობდნენ ხელოსნები, ზღვაოსნები, მოვაჭრენი, აგრეთვე უცხოელები – მეტოიკოსები.[5] მდიდარ ევპატრიდთა უმეტესობა ფლობდა ოდინდელ საგვარეულო მიწებს, რომელთაც ამუშავებდა მონათა და თავისუფალ გლეხთა შრომის გამოყენებით. გლეხებს მხოლოდ უმნიშვნელო ნაკვეთები ერგებოდათ. რამდენადაც საუკეთესო მიწებს ევპატრიდები ისაკუთრებდნენ, გლეხებს მიწის უვარგისობის გამო ძლივსლა შეეძლოთ საკუთარი ოჯახების გამოკვება. ისინი დახმარებისთვის მიმართავდნენ ევპატრიდებს, მათგან სესხად იღებდნენ დასათეს მარცვლეულს, თხოულობდნენ ხარებს სამიწათმოქმედო სამუშაოებისათვის.

თანდათანობით გლეხები მდიდარ ევპატრიდთა თუ ქალაქის მევახშეთა მძიმე წნეხის ქვეშ ექცეოდნენ. მუშაობდნენ რა გამთენიიდან დაღამებამდე, ისინი იძულებულნი იყვნენ მოწეული მოსავლის 5/6 ვალში მიეცათ. თუკი დროულად არ

გადაიხდიდნენ ვალს, მათი მიწები ევპატრიდთა ან მევახშეთა ხელში გადადიოდა, თავად კი, ოჯახთან ერთად მონებად იქცეოდნენ.

აუტანელი შრომით ქანცგაწყვეტილი მრავალი გლეხი იძულებული იყო, მიეტოვებინა კუთვნილი მიწის ნაკვეთი, მონად გაეყიდა შვილები და ქალაქში გაქცეულიყო. შედარებით გამბედავნი კი საძულველ მჩაგვრელ-ევპატრიდთა წინააღმდეგ შეიარაღებულ ამბოხებებს აწყობდნენ, მოითხოვდნენ ვალების გაუქმებასა და საკუთარ მიწათა დაბრუნებას.

და ბოლოს, გაღატაკებულმა გლეხებმა შეძლეს ქალაქის ხელოსნებთან გაერთიანება და სოლონის არქონად არჩევა (ძვ.წ. 594 წ.).

სოლონი გახდა შუამავალი მებრძოლ პარტიათა შორის. მან მიიღო „არსებულ კანონთა შეცვლის ან შენარჩუნებისა და ახალთა შემოღების" უფლება.

ორივე მხარე სოლონზე დიდ იმედებს ამყარებდა. გლეხები მას სამართლიან კაცად თვლიდნენ და სწამდათ, რომ იგი მათ იმედებს გაამართლებდა. ევპატრიდები კი მიიჩნევდნენ, რომ წარჩინებულთა წრიდან გამოსული სოლონი მათ ინტერესებს დაიცავდა. ისინი იმოწმებდნენ მის ადრეულ გამონათქვამს: „თანასწორობას თან არ სდევს ომი", ეს სიტყვები მოსწონდათ მდიდრებსაც და ღარიბებსაც. ერთნი იმედოვნებდნენ, რომ პატივდებულნი იქნებოდნენ ღირსებისა და დამსახურებისამებრ, სხვანი კანონმდებლისგან მიწისა და ქონების სამართლიან გადანაწილებას ელოდნენ.

ზოგნი არწმუნებდნენ სოლონს, გამხდარიყო ათენის ერთპიროვნული განმგებელი (ტირანი). მაგრამ სოლონმა უგულებელყო ეს წინადადება. იგი ამბობდა, რომ ტირანია ეს არის ციხე, საიდანაც შეუძლებელია გამოსვლა. ადამიანი, რომელიც ძალით ჩაიგდებს ხელში უფლებებს მშობლიურ ქალაქში, არ მოისურვებს მისგან განდგომასა და აუცილებლად გამოიყენებს მას მოქალაქეთა დასათრგუნავად. მოგვიანებით, იხსენებდა რა ამ დროებას, სოლონი სიამაყით აღნიშნავდა: „ჩემი სამშობლო დავინდე და იქ ტირანიის სისასტიკე არ შემოვუშვი, ჩემი სახელი არ წავბილწე, არ შევარცხვინე; ამას არ ვნანობ, ასე უფრო მალე მივაღწევ გამარჯვებას". თუმცა, უარყო რა ტირანია, სოლონმა რიდი გამოავლინა შეტისმეტი ლმობიერება. იგი ლამობდა ძალისა და სამართლიანობის შეთავსებას.

ადათის მიხედვით, თანამდებობის დაკავების წინ სოლონმა რჩევა ჰკითხა აპოლონის ბისანს დელფოში. ქურუმთა ღმერთებისმიერი პასუხი ასეთი იყო: „ხომალდში მჯდომმა ალასრულე მესაჭის საქმე, ათენელთაგან მაშინ შენთან მრავალს იხილავ".

სოლონმა არ ისურვა, ანდა ვერ შეძლო გაღატაკებული ხალხის ყველა სამართლიანი მოთხოვნის დაკმაყოფილება. თავად წარჩინებულთა წრიდან გამოსული მდიდარი კაცი თვლიდა, რომ უბრალო ხალხი ევპატრიდთა თანაბარი არ უნდა

ყოფილიყო. სოლონმა გლეხებს, მიუხედავად მათი მოთხოვნისა, კი არ გაუდიდა მიწის ნაკვეთები მდიდართა ხარჯზე, არამედ დაუბრუნა მხოლოდ ის, რაც მათ ვალის გამო დაკარგეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მან მიწა სამართლიანად არ გადაანაწილა.

გლეხებს, რომლებიც მიწის გადანაწილებას მოითხოვდნენ, იგი „მტაცებლებს" უწოდებდა და აღნიშნავდა, რომ „შეუძლებელია მდაბიოსა და კეთილშობილს თანაბარი წილი ერგოთო".

მეორეს მხრივ, იგი არწმუნებდა მდიდრებს, შეეწყვიტათ ღარიბთა თრგუნვა: „ხამს დავიოკოთ სიამაყე, სული აღვივსოთ ლმობიერებით, მეტისმეტსაც ნუ მოვისურვებთ, ჩვენ ხომ, თავადაც მოგეხსენებათ, მათ არ დავუთმობთ"...

სოლონმა გამოაცხადა, რომ სურს აღადგინოს ძველი „მამაპაპეული" წესრიგი. მოგვიანებით, განმარტავდა რა თავის რეფორმებს, სოლონი აღნიშნავდა: „დიალაც, ხალხს სასურველი პატივი მივაგე ისე, რომ მათი უფლებები არ შემიზღუდავს, სამაგიეროდ არც ახალი მიმინიჭებია. მათზეც ვიფიქრე, ვინც ძალას და სიმდიდრეს ფლობდა, რომ არაფერი დაჰკლებოდათ".

ამისთვის სოლონი ხალხისგან მადლიერებას ელოდა, წარჩინებულთაგან კი მეგობრობასა და თანადგომას. იგი ამბობდა: „მწარე სიმართლე რომ გაუწყოთ, ესეც იცოდეთ: ხალხს რაც მიეგო, სიზმრადაც არ ეზმანებოდა, ხოლო მდიდარნი და ძალმოსილნი მე უნდა მცემდნენ პატივსა და მეგობრად მაღიარებდნენ".

უპირველეს ყოვლისა, სოლონმა გააუქმა ვალები და აკრძალა ვალებით გამოწვეული მონობა.

ათენში წესად იყო შემოღებული მოვალის მიწაზე ვალის ოდენობის მაჩვენებელი ლორფინის ან ქვის სვეტის დადგმა. სოლონმა ბრძანა ასეთი სვეტების მოხსნა, საზღვრებს მიღმა ვალში გაყიდულ გლეხთა მოძებნა და სახელმწიფოს ხარჯით გამოხსნა.

მოგვიანებით სოლონი ამის თაობაზე სიამაყით აღნიშნავდა თავის ლექსებში: „ხომ აღვასრულე ყოველივე, რაც ხალხს აღვუთქვი, რითაც ხალხი შევაკავშირე? დროის სამსჯავროს უკეთესად მოახსენებდა ამას ალბათ ოლიმპოსის[6] ღვთაებათაგან უმაღლესი – შავადმოსილი დედამიწა, მონადყოფილი, მაგრამ ახლა თავისუფალი, რომლის პირიდან ჩამოვხსენი მევალეთა ყველა ლორფინი. მშობლიურ ათენს, ღვთითნაშენებს, მე დავუბრუნე მრავალი ადამიანი: ზოგი, ვით მონა, სამართლიანად თუ უსამართლოდ გაყიდული სამანთა მიღმა, ზოგი დუხჭირი ცხოვრებისგან გადახვეწილი, ატიკის ენა რომ არც ახსოვდათ – ასეთია ყარიბთა ხვედრი – მრავალიც, მონის სამარცხვინო უღლის დამთმენი, აქ, ჩვენს მიწაზე ვათავი-



სუფლე. ხოლო ამას კი მივაღწიე კანონის ძალით, ჩემი უფლება სამართალს რომ მივუსადაგე".

სოლონის ამ ღონისძიებას „სეისახთეიები" ეწოდება, რაც „ულლისგან განთავისუფლებას" ნიშნავს.

ვალების გაუქმებას ბოროტმზრახველთა დაპირისპირებაც მოჰყვა. თავად სოლონს მტრებმა არაკეთილსინდისიერებაში დასდეს ბრალი. ვალებზე კანონის გამოქვეყნებამდე რამდენიმე ხნით ადრე ეს განზრახვა სოლონმა თავის სამ მეგობარს გაანდო. მათ დრო იხელთეს და გამდიდრება მოისურვეს: ამ „მეგობრებმა" მდიდრებისგან დიდძალი თანხა ისესხეს და მიწის ვრცელი ნაკვეთები შეიძინეს. კანონის გამოქვეყნების შემდეგ კი არ გადაიხადეს ვალები და დაიტოვეს შესყიდული მიწები. მაშინ სოლონი დაადანაშაულეს იმაში, რომ მან წინასწარგანზრახულად აუწყა თავის მეგობრებს კანონის თაობაზე, რათა მიელო მიწის ნაწილი ფულის გადაუხდელად. მაგრამ ეს ბრალდება უმალ გაქარწყლდა, როგორც კი კანონმდებელმა პირველმა თქვა უარი ვალად გაცემული დიდძალი თანხის აღებაზე.

შემდეგ სოლონი შეუდგა არსებული სახელმწიფოებრივი წყობის გარდაქმნას. მანამდე, ათენში ძალაუფლება ევპატრიდების ხელში იყო. ხალხი არ მონაწილეობდა სახელმწიფოს მართვაში. ყველა საქმეს აწარმოებდა წარჩინებულთა საბჭო (არეოპაგი), რომელიც ნიშნავდა მაღალი თანამდებობის პირებს (არქონებს). სამსჯავროც მათ განკარგულებაში იყო. სახალხო კრებას დაკარგული ჰქონდა ყველა უფლება.

სახელმწიფოში ამგვარი მდგომარეობით უკმაყოფილონი იყვნენ არა მხოლოდ გლეხები და ღარიბი მოქალაქეები, არამედ ხალხის წრიდან გამოსული მდიდრებიც. უკმაყოფილება ისე იზრდებოდა, რომ ყოველდღე მოსალოდნელი იყო ხალხის რისხვის აბობოქრება.

უპირველეს ყოვლისა, სოლონმა გააუქმა დრაკონის[7] ოდინდელი კანონები მათი გარდამეტებული სიმკაცრის გამო. ამ კანონების მიხედვით, ყოველგვარ დანაშაულზე ერთადერთი სასჯელი იყო – სიკვდილი. ასე მაგალითად, კაცი, რომელმაც ბაზარში ხილი მოიპარა, ისევე ისჯებოდა, როგორც მხეცური მკვლელობის ჩამდენი.

სოლონმა სახელმწიფოს მართვისათვის მოიწვია არა მხოლოდ ევპატრიდები, არამედ დაბალი წარმომავლობის გამდიდრებული მოქალაქეებიც. მან საზოგადოება ოთხ ნაწილად დაჰყო შემოსავლის მიხედვით. ფული იმხანად იშვიათობას წარმოადგენდა და ამიტომ შემოსავალი განისაზღვრებოდა მარცვლის, ღვინის ან ზეითუნის ზეთის რაოდენობით.



პირველ, უმაღლეს ფენას განეკუთვნებოდნენ მოქალაქენი, რომელთა შემოსავალი 500 წილით (მარცვლის, ღვინისა და ზეთის) განისაზღვრებოდა. მათ ხუთასწილიანებს უწოდებდნენ; მეორე ფენას შეადგენდნენ მოქალაქენი 300 წილი შემოსავლით (სამასწილიანები); მესამე ფენაში შედიოდნენ ისინი, რომელთა შემოსავალი 200 წილს აღემატებოდა; ბოლო, მეოთხე ფენა აერთიანებდა ყველა დანარჩენს (მონათა გარდა), მათ თეტებს უწოდებდნენ.

მოქალაქეთა დაყოფა ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით გავლენას ახდენდა სამხედრო სამსახურებზეც. ხუთასწილიანებს ევალებოდათ ხომალდთა და ლაშქართა აღჭურვა, სამასწილიანებს უნდა ემსახურათ ცხენოსანთა რაზმებში და თავისი სახსრებით შეენახათ საბრძოლო ცხენები (ამიტომაც უწოდებდნენ მათ მხედრებს); მესამე ფენის მოქალაქეები ქვეითი ჯარის (ჰოპლიტების) ძირითად მასას შეადგენდნენ, მათი შემოსავალი მძიმე შეიარაღებას ჰყოფნიდა; თეტები მეხოფურებად მსახურობდნენ, ქვეით ლაშქარში კი – მსუბუქად შეიარაღებულ მებრძოლებად.

პირველი სამი ფენის მოქალაქეებს მაღალი სახელმწიფოებრივი თანამდებობების დაკავება შეეძლოთ. თეტებს კი მხოლოდ სახალხო კრებებსა და სამსჯავროებში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ.

მოგვიანებით სოლონმა ევპატრიდებს ჩამოართვა სამოსამართლო უფლებები და უბრალო ხალხს გადასცა. სახალხო სამსჯავრო სოლონის დროს ყველა მოქალაქეს აერთიანებდა და ამიტომ ხალხის ინტერესებს იცავდა.

სამსჯავროში მისვლა ყველა თავისუფალ მოქალაქეს შეეძლო. ადრე გლეხი იძულებული იყო, თავად გამოცხადებულიყო სასამართლოზე. შორეულ მხარეთა მკვიდრნი ხანგრძლივი დროით ტოვებდნენ სახლ-კარს, სამუშაო დროს აცდენდნენ, რათა თავიანთი უფლებები დაეცვათ მსაჯულთა წინაშე. ახლა კი, კანონი ყოველ მოქალაქეს უფლებას ანიჭებდა დაექირავებინა შუამავალი, რომელიც მის საქმეებს მოაგვარებდა. ყოველ განაწყენებულ ან შეურაცხყოფილ მოსახლეს უფლება ჰქონდა მოეთხოვა შეურაცხმყოფელის გასამართლება. ამ ბრძნული დადგენილებით აღიკვეთა ევპატრიდთა თავნებობა და უკანონობა.

როდესაც სოლონს ჰკითხეს, თუ რომელ სახელმწიფოს თვლიდა შედარებით კეთილმოწყობილად, მან უპასუხა: „იმას, სადაც მოქალაქენი ერთნაირად მფარველობენ დაჩაგრულებს და სდევნიან უსამართლობას".

ათენში იმხანად უმაღლეს საკანონმდებლო ძალად იქცა სახალხო კრება. მაგრამ სოლონმა არ დაუშვა, რომ ხალხს თავად ეწარმოებინა საქმეები. მან შექმნა ოთხასთა საგანგებო საბჭო კანონთა წინასწარი განხილვებისთვის. ხალხს მხოლოდ უნდა დაემტკიცებინა ან უგულებელეყო კანონთა შეთავაზებული პროექტები. და



მაინც, სახალხო კრება საქმეთა მიმდინარეობაზე დიდ გავლენას ახდენდა, რამდენადაც მასზე იყო დამოკიდებული უმაღლეს თანამდებობრივ პირთა არჩევა. სახალხო კრებაში მონაწილეობის უფლება ენიჭებოდათ მხოლოდ ათენის სრულუფლებიან მოქალაქეებს. მონებს, ქალებსა და მეტოიკოსებს ეს უფლებები არ გააჩნდათ.

კანონთა დაცვა და მათი აღსრულების ზედამხედველობა მინდობილი ჰქონდა არეოპაგს.

ათენის ნიადაგი მწირი იყო და მიწათმოქმედებისათვის მოუხერხებელი. ხალხს, განსაკუთრებით კი ქალაქის მოსახლეობას, არ ჰყოფნიდა საკუთარი პური. აუცილებელი იყო მისი შემოტანა ადგილობრივ ხელოსანთა ნაწარმის გაცვლის გზით. ამიტომ იგი, ვინც არ იცოდა რაიმე ხელობა ან არ ისურვებდა მუშაობას, იძულებული ხდებოდა, ეშიმშილა ან ემათხოვრა.

სოლონი ხელს უწყობდა ხელოსნობის განვითარებას. ქვეყნად მათხოვრები რომ არ ყოფილიყვნენ, გამოსცა კანონი, რომლის თანახმადაც შვილს უფლება ენიჭებოდა, არ ეზრუნა ღრმად მოხუცებულ მამაზე, თუ მისი შემწეობით რაიმე ხელობას არ ფლობდა.

სხვა კანონთაგან საინტერესოა კიდევ ერთი: სამოქალაქო არეულობის ჟამს ყოველი უნდა მიმხრობოდა რომელიმე ჯგუფს. ამით კანონმდებელს სურდა მოქალაქეებში საზოგადოებრივი საქმეებისადმი ინტერესის ჩვევა აღეძრა. სოლონი თვლიდა, რომ მოქალაქეს კი არ უნდა ეცადა, როდის მიაღწევდნენ გამარჯვებას უძლიერესნი, არამედ თავად უნდა ებძროლა სამართლიანი საქმისათვის.

სოლონის კანონებს ასი წლის მანძილზე უნდა ემოქმედათ. ისინი დაიწერა ხის დაფებზე და ჩაისვა ოთხკუთხა მბრუნავ ჩარჩოებში, რათა უფრო მოხერხებული ყოფილიყო მათი წაკითხვა.

როდესაც კანონები ამოქმედდა, კანონმდებელთან იწყეს მოსვლა უკმაყოფილო მოქალაქეებმა.

სოლონმა თავისი რეფორმებით ვერ ასიამოვნა ვერც ერთ, ვერც მეორე მხარეს. ღარიბნი, აღშფოთებულნი იმით, რომ ვერ ელირსნენ მიწათა გადანაწილებას, ვერ დააღწიეს თავი დამთრგუნველ სილარიბესა და მძიმე შრომას, განაგრძობდნენ ბრძოლას. მდიდარნი კი ვალების გაუქმების გამო გმობდნენ სოლონს.

სოლონი დარწმუნდა, რომ ორივე მხარე უკმაყოფილო იყო მისი რეფორმებით. იგი აღნიშნავდა, რომ გლეხებს „სურდათ ეძარცვათ, ყოველს ეგონა, კეთილდღეობას მიაღწევდა დაუსრულებელს; ყოველს ეგონა, სისასტიკე იმალებოდა ჩემი სანდომიანი სახის ქვეშ. ფუჭი გამოდგა მათი იმედი... ისე ბოროტად მიმზერენ ახლა, თითქოსდა მტერი ვიყო მათი".

ბერძნული კოლონიზაცია (ძვ.წ. VIII-V სს.)

სოლონი ერთობ მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. თავადვე წერდა: „ყოველი მხრიდან თავს ვიცავდი, ვითარცა მგელი ქოფაკთა შორის... სხვა ჩემს ადგილას, – განაგრძობდა პოეტი, – ხალხს ვერაფრით დააოკებდა, სამაგიეროდ, მოხდიდა ნაღებს და შეანჯღრევდა რძეს.[8] მე კი ვიდექი მხოლოდ, როგორც სამანი ორ ლაშქარს შორის".

კანონმდებელს ესმოდა, რომ ასეთ მნიშვნელოვან საქმეში ძნელი იყო ყველას ამება. თანამოქალაქეთა მოსალოდნელ ბოროტებას რომ გაქცეოდა, მან გადაწყვიტა, ათი წლით გასცლოდა მშობლიურ ქალაქს. ამ მიზეზით, რომ სავაჭრო საქმეთა მოსაგვარებლად საჭირო იყო ზღვის მიღმა ქვეყნებში წასვლა, სოლონმა დატოვა ათენი. გადმოცემათა თანახმად, გამგზავრების წინ მან ფიცი დაადებინა მოქალაქეებს, რომ ათი წლის განმავლობაში კანონებს არ შეცვლიდნენ.

უპირველეს ყოვლისა, იგი ეწვია ეგვიპტეს და საცხოვრებლად დასახლდა ქალაქ კანობისში. ეს იყო მსხვილი სავაჭრო ნავსადგომი მდინარე ნილოსის სანაპიროზე. ეგვიპტეში სოლონი დაუახლოვდა განსწავლულ ეგვიპტელ ქურუმებს.

ქურუმთაგან მან მოისმინა ოდინდელი გადმოცემა ჩაძირულ ატლანტისზე. ეს იყო კუნძული, რომელიც ქურუმთა ცნობით, მდებარეობდა ატლანტის ოკეანეში, ჰიბრალტარის სრუტის დასავლეთით. ამ მჭიდროდ დასახლებული კუნძულის მკვიდრნი სიმდიდრით ყოფილან გამორჩეულნი. მიწისძვრის დროს მთელი ხმელეთი ზღვას დაუფარავს, მოსახლენი კი დაღუპულან.

შემდეგ სოლონი გაემართა კვიპროსისაკენ, სადაც ერთ-ერთმა მეფემ იგი გულთბილად მიიღო. სოლონმა მეფეს ურჩია დედაქალაქი სხვა ადგილას გადაეტანა და უწინდელზე უფრო ლამაზად აეშენებინა. მეფე დათანხმდა. ახალი ქალაქი სოლონის მეთვალყურეობით შენდებოდა.

ამის შემდეგ სოლონი ლიდიაში (მცირე აზიაში) სახელოვან მეფე კროისოსს ესტუმრა.

ლიდიის მეფე კროისოსი თავისი აღურაცხელი სიმდიდრით იყო სახელგანთქმული. დიდძალი ქონების მფლობელზე ახლაც ამბობენ: „მდიდარიაო კროისოსივით".

სარდეს სამეფო სასახლე ბრწყინავდა ძვირფასეულობითა და დიდებულებით, წარჩინებულთა სამოსი კი მთელ ქონებად შეფასდებოდა.

სასახლის კარზე სეირნობისას სოლონმა იხილა უძვირფასეს სამოსში გამოწყობილი მრავალი დიდებული, თითოეული მათგანი მას ლიდიის განმგებელი ეგონა. ბოლოს იგი მეფეს წარუდგინეს.

კროისოსს სურდა, გაეოგნებინა სტუმარი. შეიმოსა უძვირფასესი, ნაირფერი სამოსით, რომელსაც ამშვენებდა იშვიათი ოსტატობით ნაკეთი ოქროსა და პატიოსანი თვლების ფასდაუდებელი სამკაულები. შემდეგ მეფემ ბრძანა, სოლონისათ-

ვის ეჩვენებინათ თავისი საგანძურები და სასახლის უბრწყინვალესი დარბაზები. მაგრამ სოლონს არ გამოუხატავს აღტაცება. სასახლისა და საგანძურთა დათვალიერების შემდეგ სტუმარი კვლავ წარუდგინეს მეფეს, რომელმაც ამგვარი კითხვით მიმართა ბრძენკაცს: „ჩემზე ბედნიერს თუ იცნობდი ოდესმე ვინმეს?" მეფე ელოდა, რომ უცხოელი მას აღიარებდა უბედნიერესად. სოლონმა კი ასე მიუგო: „უბედნიერეს კაცად ამქვეყნად მე მივიჩნევდი ათენელ ტელოსს; იგი პატიოსანი და სამართლიანი კაცი იყო, შვილებიც პატიოსან და ღირსეულ მოქალაქეებად აღზარდა. ბოლოს სიკვდილიც დიდებული ჰქონდა ამ ტელოსს: სამშობლოსათვის მებრძოლი გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე".

კროისოსმა სოლონი უცნაურ კაცად მიიჩნია. მას ვერ გაეგო, როგორ შეიძლებოდა უბრალო კაცის ცხოვრება ძლევამოსილი მეფის ცხოვრებაზე ღირსეული ყოფილიყო. და მაინც კროისოსმა კვლავ ჰკითხა სოლონს; „ტელოსის მერე ვის მიიჩნევო უბედნიერესად?" იგი ელოდა, რომ ახლა მაინც დაასახელებდა ეს „უცნაური კაცი" უბედნიერესად. მაგრამ სოლონმა კროისოსს საოცარი რამ უამბო ორ ჭაბუკ ძმაზე, რომლებმაც სახელი გაითქვეს დედისადმი უსაზღვრო სიყვარულით: ძლევამოსილნი იყვნენ ეს ძმები, ისინი მუდამ იმარჯვებდნენ სპორტულ ასპარეზობებზე. მათი დედა კი ქალღმერთ ჰერას ქურუმი იყო. ძველი ადათით, დღესასწაულის დღეებში ჰერას ქურუმი საზეიმო სვლით მიემართებოდა ღვთაების ტაძრისკენ ეტლით, რომელშიც ხარები იყვნენ შებმულნი. იმხანად ჰერას დღესასწაულს აღნიშნავდნენ ბერძნები. დედა ტაძრისკენ წასასვლელად გაემზადა, მაგრამ ეტლში შესაბმელი ხარები ველად გაიჭრნენ და უკან აღარ დაბრუნებულან. მაშინ ჭაბუკებმა დაიდგეს ეტლის მძიმე უღელი და თავიანთი დედა – ჰერას ქურუმი – ქალაქში ჩაიყვანეს. ზეიმის შემდეგ დედამ ლოცვით მიმართა ქალღმერთს, მისი შვილებისათვის ამ გმირობის წილ ადამიანთათვის განკუთვნილი უმაღლესი ბედნიერება მიენიჭებინა. ღმერთქალმა აღასრულა დედის ვედრება: იმ საღამოს ყველა ჭაბუკთა სიქველეს განადიდებდა. სიამაყით აღვსილმა გმირებმა დაიძინეს და დილას აღარ გამოიღვიძეს. გარდაიცვალნენ უშფოთველად თანამოქალაქეთა შორის ერთობ პატივდებულნი, მიაღწიეს რა დიდების უმაღლეს მწვერვალს. განა წარმოსადგენია ამაზე დიდი ბედნიერება მოკვდავისათვის?! „როგორ? – ახლა უკვე გაგულისებით შეჰყვირა კროისოსმა, – განა მე არ მთვლი ბედნიერად?" სოლონმა, რომელსაც არც ის სურდა, რომ პირფერობით მოეგო მეფის გული და არც ის, რომ მისი მრისხანება გამოეწვია, ასე მიუგო: „ლიდიელთა დიდო მეფეო, სხვა წყალობასთან ერთად ღმერთმა ჩვენ, ბერძენთ, ზომიერების გრძნობაც მოგვანიჭა. ჩვენ ვხედავთ, რომ ადამიანის ცხოვრება ცვალებადია. ამიტომ არ ღირს, აწმყოს სიკეთით მეტისმეტად ვიამაყოთ და გავიკვირვოთ ადამიანის ბედნიერება, რომე-

ლიც დროისაგან განწირულია და როცა იქნება, შეიცვლება. თითოეული ჩვენთა-განის მომავალი ბურუსითაა მოცული. ჩვენ მხოლოდ იმას ვთვლით ბედნიერად, ვისაც ღმერთმა ბედნიერი ბოლო უბოძა. ცოცხალი და ამიტომაც ჯერ კიდევ საფ-რთხეში მყოფი ადამიანის ნეტარად აღიარება ისევე ნაადრევია, როგორც შუა ბრძოლაში მყოფი მებრძოლისათვის გამარჯვებულის სახელისა და გვირგვინის მიკუთვნება." – თქვა სოლონმა და თვალს მიეფარა. კროისოსმა კი, უცნაურ სტუ-მართან საუბრით შეურაცხყოფილმა, მიაშურა თავის განსაცხრომელს.

იმხანად სარდეში იმყოფებოდა ასევე სახელმოხვეჭილი მეიგავე ესოპოსი, რომე-ლიც კროისოსს სოლონის მსგავსად თავის კარზე ჰყავდა მიწვეული. ესოპოსი მე-ტისმეტად შეწუხდა, როცა გაიგო, სოლონის მიმართ სითბო რომ არ გამოიჩინეს ლიდიელმა დიდებულებმა. როდესაც იგი შეხვდა ბერძენ ბრძენს, ასე უთხრა: „მეფე-ებს, სოლონ, ან სულ არ უნდა გაეკარო, და თუ ეწვევი, გუნდრუკიც უნდა უკმიო".

„უფრო სწორად კი, – ასე მოუჭრა მას სოლონმა, – თუკი მეფესთან მივა კაცი, მხოლოდ სიმართლე უნდა უთხრას!"

მართალი გამოდგა სოლონი. რამდენიმე ხნის შემდეგ კროისოსი სპარსეთის მეფე კიროსის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში დამარცხდა. სარდე დაემხო. ტყვედ ჩავარდნილ კროისოსს კი კოცონზე დაწვა მიუსაჯეს. მეფე კიროსისა და სპარსელ დიდებულთა თვალწინ ლიდიის განმგებელი კოცონზე აიყვანეს. ამ დროს სასოწრაკვეთილ კროისოსს აღმოხდა: „ეჰ, სოლონ, სოლონ!" გაოცებულმა კიროსმა ბრძანა, ეკითხათ, თუ ვინ იყო ეს სოლონი, რომელსაც სიკვდილის წინ მოუხმობდა ბედკრული ტყვე. ასე მიუგო კროისოსმა: „იგი ბერძენი ბრძენი გახლავთ, კარზე მეწვია და მირჩია, სიცოცხლის დასასრულს დავლოდებოდი და წარმავალი ბედ-ნიერებით მეტისმეტად არ მეამაყნა. არ შევისმინე მისი სიტყვა, რადგანაც მხო-ლოდ ჩემს სიმდიდრეზე ვფიქრობდი, მასში ვხედავდი ბედნიერებას. მიხაროდა, რომ ჩემი სიმდიდრისა და ბედნიერების ამბავი მთელ ქვეყანას ეფინებოდა". ამ აღიარების გამო კიროსმა შეიწყალა კროისოსი და სიცოცხლე უბოძა. ასე გადა-არჩინა სოლონმა განწირული მეფე.

ათენიდან სოლონის წასვლის შემდეგ ისევ დაიწყო მღელვარება და პარტიათა ბრძოლა. მოქალაქეთა შორის იმდენად დიდი იყო უთანხმოება, რომ მათ ვერ შეძ-ლეს კარგა ხანს არქონის არჩევა.

საზოგადოება დაიყო სამ მოწინააღმდეგე ჯგუფად თუ პარტიად. პირველ პარ-ტიას მიეკუთვნებოდნენ ათენის მახლობლად მდებარე ნაყოფიერი მიწების მკვიდ-რნი, ძირითადად ევპატრიდები. მათ სურდათ სოლონამდელი წყობის აღდგენა, ანუ გლეხთა დაკაბალება. მეორე პარტიას წარმოადგენდნენ სანაპირო ზოლის მცხოვრებნი – ვაჭრები და ხელოსნები; ისინი ახალი, სოლონის წყობის მომხრენი



იყვნენ. დაბოლოს, მესამე პარტიას შეადგენდნენ ატიკის მთიანი მხარის გლეხები, რომლებიც მიწათა გადანაწილებას მოითხოვდნენ. ამ პარტიას მხარს უჭერდა ქალაქის ღარიბი მოსახლეობა და ვაჭართა ნაწილი. მათ სიკვდილივით სძულდათ მდიდრები. ამ პარტიის სათავეში იდგა სოლონის შორეული ნათესავი პისისტრატოსი, მეგარელების წინააღმდეგ ბრძოლაში გამარჯვებული და სახელმორჭმული მხედართმთავარი.

ათენს ჯერ კიდევ სოლონის კანონებით მართავდნენ, მაგრამ მრავალი მეამბოხე სახელმწიფოებრივი გადატრიალების მოსურნე იყო.

ასეთი დახვდა სოლონს ათენი, როდესაც იგი მოგზაურობიდან დაბრუნდა. მოქალაქეებმა მას ღირსეული შეხვედრა მოუწყვეს.

სოლონი უკვე ხანდაზმული იყო და არ შეეძლო, იქნებ არც სურდა, ხალხის წინაშე გამოსვლა და პარტიათა შუღლში ჩარევა. იგი ძველებურად ცდილობდა მოწინააღმდეგეთა შერიგებას.

გლეხთა ბელადმა პისისტრატოსმა, ჩანს, სხვებზე მეტად შეისმინა სოლონის სიტყვები. იგი, პატივმოყვარე, ჭკვიანი და საქმიანი კაცი, თვლიდა, რომ მხოლოდ ძალაუფლების ხელში ჩაგდებით შეძლებდა ღარიბთა სამართლიანი მოთხოვნების აღსრულებას.

სოლონი მალე მიუხვდა თავმოყვარე პისისტრატოსს ტირანობას რომ ესწრაფოდა და მისი გონზე მოყვანა სცადა. „პისისტრატოსის გულიდან რომ მბრძანებლობისადმი სწრაფვა აღმოგვაფხვრევინა, – ამბობდა სოლონი, – მოქალაქეთა შორის იგი საუკეთესო იქნებოდა".

სწორედ იმ ხანებში ცნობილმა დრამატურგმა თესპიდესმა ახალი ტრაგედია დადგა. რაკი სოლონი ბუნებით ცოდნისმოყვარე კაცი იყო და სიბერის ჟამს თავი მისცა განცხრომასა და მხიარულებას, ხალისით გაემართა თესპიდესის სანახავად, რომელიც, ძველი წესის თანახმად, თავადვე მსახიობობდა.

ტრაგედიაში გამოთქმული მოსაზრებები სოლონს არ მოეწონა. მან თესპიდესი იხმო და ჰკითხა: „ნუთუ არ გრცხვენია, ამდენი მაყურებლის წინაშე ასე რომ ტყუი?" თესპიდესმა მიუგო: „გასართობად ნათქვამ ტყუილში სათაკილოს ვერაფერს ვხედავ". მაშინ სოლონმა ჯოხი დაჰკრა მიწას და გაგულისებულმა წამოიძახა: „აი, ამ გართობას, ხალხმა რომ ასე აიტაცა, სულ მალე სამოქალაქო ხელშეკრულებებში აღმოვაჩენთო!"

ძალაუფლება ხელთ რომ ჩაეგდო, პისისტრატოსმა ხერხს მიმართა – თავი დაიჭრა. ნაიარევი მიიყვანეს იგი აგორაზე, სადაც სახალხო კრება უნდა გამართულიყო. პისისტრატოსმა განაცხადა, რომ დაჭრეს ევპატრიდებმა, რომელთაც მისი სიკვდილი სურდათ. ხალხმა მას თანაუგრძნო.



სოლონიც მოვიდა აგორაზე და ასე მიმართა ხალხის წინამძღოლს: „პისისტრატოს, ძალიან ცუდად ჰბაძავ ჰომეროსის ოდისეევსს. მან მტერთა მოსატყუებლად დაიჭრა თავი, შენ კი ყველაფერს იმიტომ ჩადიხარ, რომ თანამოქალაქენი შეაცდინო!"

დაიწყო სახალხო კრება. ერთ-ერთმა მოქალაქემ დამსწრეთ შესთავაზა, პისისტრატოსისათვის გამოეყოთ დაცვა შეიარაღებულ მებრძოლთა სახით, რომლებიც აარიდებდნენ მას თავდასხმებს. სოლონი წინააღმდეგი იყო, მაგრამ ხალხის ნებას დაჰყვა. მათი მეოხებით კი პისისტრატოსმა მალე ხელში ჩაიგდო აკროპოლისი და ტირანობას მიაღწია (ძვ.წ. 560 წ.).

პისისტრატოსის მოწინააღმდეგეები ათენიდან გაიქცნენ. სოლონი კი გამოვიდა მოედანზე და სიტყვით მიმართა ათენელებს. იგი გმობდა ხალხის უმეცრებას, სიბრიყვეს და ქადაგებდა, სამშობლო და თავისუფლება არ ჩაეგდოთ ტირანის ხელში. მაგრამ პისისტრატოსის შეპირებებს მინდობილმა ხალხმა არ ისურვა მისი მოსმენა.

მაშინ სოლონი დაბრუნდა სახლში, აიღო თავისი იარაღი და კარის ზღურბლთან დადო ამ სიტყვებით: „სანამ შემეძლო, სამშობლოსა და კანონებს ვიცავდი, ან კი, მოვხუცდი".

მეგობრები ურჩევდნენ სოლონს, გადახვეწილიყო სამშობლოდან. ისინი არწმუნებდნენ მას, რომ ტირანი აუცილებლად დასჯიდა. ხოლო სოლონი პასუხობდა, რომ მან უკვე იმ ასაკს მიაღწია, როცა სიკვდილის არ ეშინიათ. პისისტრატოსმა კი, მოულოდნელად, სოლონს ნდობა გამოუცხადა და თავის მრჩეველად მიიწვია.

პისისტრატოსმა სოლონის კანონთა დიდი ნაწილი შეუცვლელი დატოვა და თავადვე იძლეოდა უწინარეს მათი მორჩილების ნიმუშს. ასე მოხდა მაშინ, როდესაც უკვე ტირანი, სამსჯავროზე მიიწვიეს და ბრალი დასდეს მკვლელობაში. იგი, ვითარცა ჩვეულებრივი მოქალაქე, სამსჯავროს წინაშე წარდგა თავდასაცავად. მაგრამ შეშინდა ბრალმდებელი და სასამართლოზე არ გამოცხადდა.

რამდენადაც პისისტრატოსის ყველა ქმედება მიმართული იყო უბრალო ხალხისა და ღარიბთა საკეთილდღეოდ, იგი სოლონის შე-



ქებას იმსახურებდა. ბადლიერმა ხალხმა კი პისისტრატოსის მმართველობის ხანას „ოქროს საუკუნე" შეარქვა.

ცხოვრების ბოლოს სოლონმა ლიტერატურულ მოღვაწეობას მიჰყო ხელი. „ახლა მე მხოლოდ პოეზია მანიჭებს სიამოვნებას. კიპროსშობილი აფროდიტე მესათნოება, და დიონისე, და მუზები– ყველაფერი, რაც კაცს ახალისებს", – წერდა იგი.

ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა სოლონი, ღვაწლმოსილი სახელმწიფო მოღვაწე და პოეტი.



შენიშვნები:

[1] ანტიკურ სამყაროში წესად იყო რჩეულ დიდოსტატთა ნუსხების შედგენა. ჩვენამდე მოაღწია სახელოვან პოეტთა, ტრაგიკოსთა და სხვა ნუსხებმა. განსაკუთრებული რუდუნებით შეუდგენიათ ძველებს ღვაწლმოსილ სწავლულთა, მოაზროვნეთა და კანონმდებელთა შორის სიბრძნით აღმატებულთა ნუსხა. ისინი შვიდნი იყვნენ: ათენელი სოლონი, მიტილენელი პიტაკოსი, ლინდოსელი კლეობულოსი, კორინთოსელი პერიანდროსი, სპარტელი ქილონი, მილეტოსელი თალესი და პრიენელი ბიასი.

[2] კოდროსი ბრძნულად განაგებდა ატიკას, რომელსაც მოულოდნელად თავს დაესხნენ დორიელები. დელფოს ორაკულმა განაცხადა: „მტერი ვერ ჩაიგდებს ხელში ათენს, თუ მისი მეფე დაილუპება". მაშინ კოდროსი მათხოვრის სამოსით შეიმოსა, მტრის ბანაკს მიუახლოვდა და უაზრო ჩხუბი წამოიწყო. დორიელმა მეომრებმა „ათენელი მათხოვარი" სიცოცხლეს გამოასალმეს. ორაკულის სიტყვა გამართლდა. მტერმა ვერ დაარბია ქალაქი. ათენელებმა ირწმუნეს, რომ მსგავს მეფეს ველარ ელირსებოდნენ; მათ გააუქმეს მეფის ძალაუფლება და დააარსეს რესპუბლიკა. სინამდვილეში ძალაუფლება წარჩინებულთა გვარის წარმომადგენელთა ხელში გადავიდა.

[3] დემეტრე – ნაყოფიერებისა და მიწათმოქმედების ღვთაება. მის პატივსადებად იმართებოდა საყოველთაო ზეიმი – თესმოფორიები. ეს იყო მიწის სამუშაოთა დასრულების შემდეგ მოწყობილი ხუთდღიანი დღესასწაული, როდესაც ღვთაებას მადლს სწირავდნენ გარდმოვლენილი სიკეთისათვის.

[4] ჰომეროსის პოემები პირველად ჩაიწერეს ათენში ტირან პისისტრატოსის დროს.

[5] მეტოიკოსები, ჩვეულებრივ, იყვნენ სხვა ქალაქ-სახელმწიფოთა მკვიდრნი. ისინი ლაპარაკობდნენ ბერძნულად, მრავალი წელი ცხოვრობდნენ ათენში, მაგრამ არ ჰქონდათ თანამდებობათა დაკავებისა თუ სახალხო კრებებზე დასწრების უფლება. იკრძალებოდა ათენელთა და მეტოიკოსთა ქორწინებაც.

[6] ბერძნები თაყვანს სცემდნენ ზეციურ და მიწისქვეშა ღვთაებებს. მათ სწამდათ, რომ ზეციური ღმერთები ცხოვრობდნენ საბერძნეთის ყველაზე მაღალი მთის – ოლიმპოსის თხემზე (თესალიაში); ამიტომ ღმერთებს უწოდებდნენ „ოლიმპიელებს".

[7] დრაკონი – პირველი კანონმდებელი ათენში (დაახლ. ძვ.წ. 620 წ.). თანამედროვე გაგებით დრაკონის კანონი მკაცრ, სასტიკ კანონს გულისხმობს.

[8] იგულისხმება: გახდებოდა ერთპიროვნული მმართველი – ტირანი.



თემისტოკლესი

ათენელი მთავარსარდალი და პოლიტიკოსი

(დაახლ. ძვ.წ. 526-460 წწ.)

ეპოქა, როდესაც მოღვაწეობდა თემისტოკლესი, მეტად რთული და დაძაბული ისტორიული პროცესებით გამოირჩეოდა. ეს იყო ბერძენ-სპარსელთა ომების (ძვ.წ. 500-449 წწ.) პერიოდი, რომელსაც ძველი მსოფლიოს განვითარებაში ეტაპური მნიშვნელობა ჰქონდა: ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი სამყარო, ორი კულტურა. იმხანად იმდენად ძლევამოსილი იყო სპარსეთის სახელმწიფო, რომ მისი დამარცხება შეუძლებელი ჩანდა. სპარსელთა უზარმაზარი არმიის მიახლოებას კონტინენტურ საბერძნეთთან ელინები შიშით უმზერდნენ. საბერძნეთის მრავალი ოლქი მზად იყო, უომრად დამორჩილებოდა მტერს, მხოლოდ სპარტა და ათენი ცდილობდნენ, დაეცვათ საკუთარი თავისუფლება. ბერძენ-სპარსელთა ომებმა წარმოაჩინეს სამშობლოსათვის მებრძოლ ბერძენთა თაობა. ისტორიამ მცირეოდენი ცნობები შემოგვინახა მათ ცხოვრებასა და გმირობაზე. ხალხის რჩეულ ბელადთა ბიოგრაფიები მეხსიერებაში შემორჩა სამშობლოსადმი უანგარო თავდადების ნიმუშად სპარსეთის წინააღმდეგ მიმართულ გამათავისუფლებელ ბრძოლაში. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ათენის დემოკრატთა ბელადის, თემისტოკლესის ცხოვრება.

მომავალ სტრატეგოსს არ ჰქონია ისეთი ჩამომავლობა, რომ მას სახელის მოხვეჭაში შეშველებოდა. იგი ათენის ერთ-ერთი დემოსის, ფრეარეს მკვიდრი იყო და მამის მხრიდან ლიკომიდების უძველეს გვარს მიეკუთვნებოდა. დედამისი არ იყო ათენელი და ამიტომ თანამოქალაქეთაგან ზოგიერთები მის წარმომავლობას



აუგად მოიხსენიებდნენ, სრულუფლებიან ათენელად არ სცნობდნენ' და სიძულვილით ეპყრობოდნენ.

ამგვარმა დამოკიდებულებამ თემისტოკლესში ბავშვობიდანვე განავითარა ავადმყოფური თავმოყვარეობის გრძნობა. ყოველთვის – თამაშის, სპორტული ვარჯიშებისა თუ მეცადინეობათა ჟამს იგი პირველობას ლამობდა. ნიჭიერი ჭაბუკი სახელის მოხვეჭაზე ოცნებობდა, რათა საქმეთა ბრწყინვალებით ყველასათვის დაევიწყებინა მისი წარმომავლობა. თავისუფალ დროს, მეცადინეობების შემდეგ, იგი უქმად კი არ იყო, არამედ თხზავდა სიტყვებს, რადგანაც იცოდა, რომ ათენში რჩეულთა შორის მოხვდებოდა მხოლოდ ის, ვინც სახალხო კრებაზე გამოსული შეძლებდა ხალხის მიმხრობას. მოძღვარმა, მიაქცია რა ყურადღება მის ნიჭსა და უნარს, უწინასწარმეტყველა: „შენგან, ყმაწვილო, ან ძლიერ კარგი კაცი დადგება, ან ძლიერ ცუდი. უბადრუკი შენ არ იქნები!" თემისტოკლესის თანამედროვენი ხშირად იხსენებდნენ მოძღვრის ამ სიტყვებს.

ერთნაირი გულმოდგინებით როდი ეუფლებოდა ჭაბუკი ყველა მეცნიერებას. ათენელის განათლებისათვის აუცილებელ მუსიკას, პოეზიასა და სხვა საგნებს იგი იძულებით სწავლობდა. სამაგიეროდ, ყოველელივე ის, რაც სახელმწიფოს მომავალ განმგებელს გამოადგებოდა, ძლიერ იტაცებდა. მოგვიანებით თუკი ვინმე მასხრად აიგდებდა თემისტოკლესს იმის გამო, რომ მან დახვეწილი განათლება ვერ მიიღო, იგი ამაყად უპასუხებდა: „მართალია, ჩანგის აწყობა და ბარბითზე დაკვრა არ ვიცი, სამაგიეროდ განვადიდე და ძლევამოსილი გავხადე მშობლიური ათენი".

ადრეულ ახალგაზრდობაში თემისტოკლესი თავშეუკავებელი იყო და ხშირად წინდაუხედავადაც იქცეოდა. წარჩინებულ ათენელთაგან შეურაცხმყოფელი დამოკიდებულება აშმაგებდა. იგი ლამობდა, გამორჩეული ყოფილიყო თუნდაც სიცუდით. მოგვიანებით, უკვე სახელმწიფო მოღვაწე იგონებდა რა თავის ბავშვობას, ასე ამბობდა: „ყველაზე ურა და დაუოკებელი კვიცებიც კი საუკეთესო ბედაურებად იქცევიან, თუ მათ ჯეროვნად გაწვრთნიან და გახედნავენო".

თემისტოკლესის ახალგაზრდულმა ქცევებმა შემდგომ მის მტრებს საშუალება მისცა ხალხისთვის შეეხსენებინათ ძველი ცოდვები, უფრო მეტიც, დაებრალებინათ მისთვის განზრახ ჩადენილი დანაშაული. ჰყვებოდნენ, თითქოს მაქამ უარყო თემისტოკლესი და ჩამოართვა მემკვიდრეობის უფლება, ხოლო დედამ, შვილის სამარცხვინო საქციელით სასოწარკვეთილმა, თავი მოიკლა. ეს ყოველივე, რა თქმა უნდა, მონაგონია, მაგრამ ახალგაზრდა კაცის საქციელი, ალბათ, იძლეოდა ამგვარი ბრალდების საბაბს.

დიდების წადილმა მალე ჩაახშო ჭაბუკში მავნე ვნებები. მამის წინააღმდეგობისდა მიუხედავად მან სახალხო კრებებზე დაიწყო გამოსვლა. არ ეპუებოდა რა

არისტოკრატებს, იგი მოითხოვდა ძირეულ გარდაქმნათა განხორციელებას ჯარსა თუ სახელმწიფოში, რითაც ფართო საზოგადოების მოწონება დაიმსახურა.

თემისტოკლესის სამშობლოსათვის მძიმე დრო იდგა. მრისხანე ღრუბლები იკრიბებოდნენ აღმოსავლეთით. ძლევამოსილი სპარსეთის სამეფო ძველებურად ემუქრებოდა ელადის პატარა, დაქსაქსულ ქალაქთა დამოუკიდებელ არსებობას. ახალი დაპყრობები აუცილებელი იყო სპარსეთის მეფეებისთვის ძალაუფლების განსამტკიცებლად და საბერძნეთზე ლაშქრობის პირველი მარცხები მათ ვერ შეაჩერებდნენ. თვით მარათონის ბრძოლამაც,[2] რომელიც „დიადი მეფის" აქამდე დაუმარცხებელი არმიის სრული განადგურებით დასრულდა, ვერ შეაკრთო სპარსელები: მეტისმეტად ცხადი იყო ეგვიპტიდან ინდოეთის მდინარეებამდე გადაჭიმული უზარმაზარი სამეფოს ძალთა უაღრესობა საბერძნეთის პატარა და თავისუფლებისმოყვარე სახელმწიფოსთან შედარებით.

მაგრამ ათენში არცთუ ისე მცირე იყო იმ ადამიანთა რიცხვი, რომელთაც სჯეროდათ, რომ სპარსელებთან ომი აღარ განახლდებოდა. ისინი ვერ ხედავდნენ და არც უნდოდათ დაენახათ საფრთხე, რომელიც მათ სამშობლოს ემუქრებოდა. ესენი ძირითადად არისტოკრატები იყვნენ, მათ შორის იყო მარათონის გმირი მილტიადესი. ამ ადამიანებმა იცოდნენ, რომ ომისათვის მზადებას მოჰყვებოდა ათენელ ღარიბთა გაწვევა არმიაში, ეს კი ნიშნავდა მათთვის უფლების მინიჭებას სახელმწიფოს მმართველობაში. აი, რად არ აქცევდნენ ეს არისტოკრატები (რომელთა შორისაც იყვნენ სპარსელთა მიერ მოსყიდული მოღალატენი) ყურადღებას სპარსელთა საბრძოლო მზადყოფნას, რად მოუწოდებდნენ მოქალაქეებს, შეენარჩუნებინათ სიმშვიდე და არ დათანხმოდნენ სახელმწიფოში მოსალოდნელ გარდაქმნებს. იმხანად ათენის სათავეში მდგომი არისტოკრატები უიმედო საქმედ მიიჩნევდნენ ძლევამოსილი სპარსეთის წინააღმდეგ გალაშქრებას. თემისტოკლესს ესმოდა, რომ მარათონის ბრძოლა სპარსეთთან ხანგრძლივი და დაძაბული ომის დასაწყისი იყო მხოლოდ. მას მიაჩნდა, რომ აუცილებელი იყო თავდაცვისათვის მზადების გაძლიერება. შეგნებული ჰქონდა რა, რომ სპარსეთის ლაშქარი ათგზის მაინც აღემატებოდა მთელი საბერძნეთის სახელმწიფოთა გაერთიანებულ არმიას, იგი ბერძენთა ერთადერთ ხსნას ძლიერი ფლოტის შექმნაში ხედავდა.

მოვლენები თემისტოკლესის წინდახედულების სიმართლეს ამტკიცებდნენ. მას შემდეგ, რაც ბერძნებმა ზღვაზე გამარჯვება მოიპოვეს, სპარსელებმა ველარ შეძლეს ბრძოლის გაგრძელება, თუმცა მათი ქვეითი ჯარები ძლიერებას ინარჩუნებდნენ.

ათენელთა დიდ ნაწილს შეგნებული ჰქონდა მძლავრი საბრძოლო ფლოტის შენების აუცილებლობა, მაგრამ სახელმწიფოს არ გააჩნდა ხომალდების აგებისათვის საჭირო სახსრები. მაშინ თემისტოკლესმა, იცოდა რა, რომ დაიმსახურებდა



არისტოკრატთა რისხვას, მაინც გაბედა და სახალხო კრებას შესთავაზა ლავრიონის სახელმწიფო საზოგადოების მთელი შემოსავლის ფლოტის მშენებლობისათვის გამოყენება.

ოდესღაც ლავრიონის ვერცხლის საბადოები ათენელ ტირანთა საკუთრება იყო. ტირანიის დამხობის შემდეგ საბადოები ხალხს გადაეცა. ვერცხლი უნაწილდებოდა სახელმწიფოს ყველა მოქალაქეს. ომის საშიშროების თავიდან აცილების მიზნით სახალხო კრებამ მიიღო თემისტოკლესის წინადადება მისი პირადი მტრის, არისტიდესისა და არისტოკრატთა წინააღმდეგობების მიუხედავად. სულ ორიოდე წელი მოანდომეს ბერძნებმა მრავალრიცხოვანი და მძლავრი ფლოტის შექმნას. მოქალაქეთა თავდაუზოგავი შრომის წყალობით საფუძველი ჩაეყარა ათენის საზღვაო ძლიერებას.

ათენელმა არისტოკრატებმა ვერ გაბედეს სახელმწიფოს დაცვის პატრიოტული საქმის აშკარა წინაღობა. მათ ამჯობინეს დემოკრატიის ბელადის, თემისტოკლესისათვის ფარული ხრიკების მოწყობა. ერთნი ამბობდნენ, რომ თემისტოკლესმა ათენელ ჰოპლიტთა საბრძოლო სიმედგრე რაღაც ხომალდის მშენებელ ძალად გარდაქმნა, რომ მათ ხელთაგან ფარი და მახვილი გააგდებინა და ხომალდის სკამებს მიაჯაჭვაო. მეორენი მას მფლანგველობაში სდებდნენ ბრალს, მესამენი კი ფლიდად და გამომძალველად იხსენიებდნენ. მაგრამ არისტოკრატთა ამ მცდელობებს წარმატება არ მოჰყოლია. ხალხს სჯეროდა თემისტოკლესისა და არ სურდა ნიჭიერი წინამძღოლის დაკარგვა. სპარსელთა მომხრენი და არისტოკრატთა ბელადები ერთი მეორის მიყოლებით განდევნეს ათენიდან ოსტრაკისმოსის წესით. ძვ.წ. 483 წელს, ომის დაწყებამდე მცირე ხნით ადრე, ოსტრაკისმოსით განიდევნა თემისტოკლესის პირადი მტერი არისტიდესიც.

და აი, თემისტოკლესი შეუდგა სპარსეთის წინააღმდეგ ბრძოლის შემძლე მთელ ძალთა გაერთიანებას. იგი ცდილობდა საბერძნეთის სახელმწიფოთა არსებული კავშირის გაძლიერებასა და გაფართოებას. კრებაზე მან დაარწმუნა ელინები, შეეწყვიტათ შინაური შფოთი და მთელი საბრძოლო ძალების მეთაურობა სპარტელებისთვის მიენდოთ. კავშირის სათავეში სპარტელები იდგნენ, მაგრამ ძლიერი ფლოტის წყალობით ათენელები მათი თანაბარი გავლენით სარგებლობდნენ.

ყველა ბერძნული სახელმწიფო როდი გაერთიანდა ამ კავშირში. ათენისა და სპარტის უახლოესი მეზობლები და ოდინდელი მტრები, ბეოტია და არგოსი განზე გადგნენ, ხოლო თესალია ომის დაწყებისთანავე აშკარად სპარსელთა მხარეს გადავიდა. სამხრეთ იტალიისა და სიცილიის ბერძნული სახელმწიფოები კი სპარსელთა მეკავშირე კართაგენელების თავდასხმის შიშით არ შეუერთდნენ ამ საზღვაო კავშირს.

ამასობაში სპარსეთის მეფე დარიოსი ბრძოლისათვის ემზადებოდა. სპარსეთის მთელი სამფლობელო ფეხზე იდგა. სპარსელების მორჩილ აღურაცხელ ხალხებს და ტომებს თავიანთი რჩეული რაზმები უნდა წარეგზავნათ „დიადი მეფის" ლაშქარში. ფინიკიელებმა, სირიელებმა, იონიურ კუნძულებზე მოსახლე ელინებმა შეუგროვეს სპარსელებს 1200 ტრიერი. ისტორიკოსთა გადმოცემით, სპარსეთის არმიის ქვეითთა რიცხვი 800 ათას კაცს აღწევდა, მხედართა კი – 80 ათასს, მათ ჰყავდათ აქლემები და საბრძოლო ეტლები. სხვა მწერლები უფრო დიდ რიცხვებს ასახელებენ. ამ უზარმაზარი არმიის მოსამარაგებლად მცირე აზიასა და თრაკიაში განალაგეს საწყობები. სპარსელთა განზრახვით, მთელი ეს ლაშქარი ელადას თავს უნდა დასხმოდა ერთდროულად ზღვითა და ხმელეთით.

ჯერარნახული ლაშქრობის წინ მოულოდნელად გარდაიცვალა მეფე დარიოსი. მისი სიკვდილის შემდეგ სპარსეთში, ბაბილონსა და ბოლოს ეგვიპტეშიც იფეთქეს ამბოხებებმა, რომლებიც ძლივს ჩაახშო დარიოსის მემკვიდრე ქსერქსესმა. მარათონის ბრძოლიდან მხოლოდ 9 წლის შემდეგ შეძლეს სპარსელებმა ელადის, პირველ რიგში კი ათენის წინააღმდეგ გალაშქრება.

ლაშქრობის დაწყების წინ ქსერქსესმა „მიწისა და წყლის" (ანუ უსიტყვო მორჩილების) მოთხოვნით გაგზავნა საბერძნეთში ელჩები. ბრძოლის დაწყების ნიშნად კი სპარსელთა მიერ ათენის არხის გათხრა იქცა. მეფეს სურდა, ამ გზით თავი დაეღწია იმ უბედურებისათვის, რომელიც წინა ბრძოლაში ეწია სპარსეთის ფლოტს ათონის ყურის შემოვლისას. ქვეითი არმიის აზიიდან ევროპაში გადასაყვანად ქსერქსესმა ჰელესპონტოსზე (დარდანელის სრუტე) ხიდის აგება ბრძანა, მაგრამ მოულოდნელმა ქარიშხალმა ეს უდიდესი და უმძიმესი შრომით აშენებული ხიდი დაანგრია. მაშინ ქსერქსესმა, ბერძნულ წყაროთა თანახმად, განკარგულება გასცა დაესაჯათ ხიდის ამგებნი, ზღვა გაეშოლტათ, ხოლო ფსკერზე მისი ჯაჭვი ჩაეშვათ იმის ნიშნად, რომ ჰელესპონტოსი ამიერიდან „დიად მეფეს" ემონებოდა.

ხიდი თავიდან ააშენეს, ამჯერად უფრო მყარი და მდგრადი. მასზე სპარსეთის ლაშქარი შვიდი დღის განმავლობაში უწყვეტ ნაკადად ეშურებოდა ევროპის ნაპირისაკენ. სპარსეთის ფლოტმა მშვიდობიანად გადალახა ათონის გადასასვლელი და თესალიის ნაპირებისკენ დაიძრა. თესალიელები დაუფარავად მიემხრნენ სპარსელებს, ხოლო ბეოტიამ და არგოსმა მეფეს მორჩილება გამოუცხადეს.

შიშის თავზარი ეცათ ელინებს. მრავალ ქალაქთა მკვიდრნი სპარსელთა მიახლოებისთანავე ხომალდებით იტალიისკენ მიისწრაფოდნენ. ოლონდაც თავი დაეღწიათ მონობისთვის და მშობლიურ ქალაქებს მტერს უტოვებდნენ დასარბევად.

ბერძენთა ფლოტი კუნძულ ევბოასთან შეიკრიბა ქვეითი ლაშქრის მისახმარებლად. ფლოტს წინამძღოლობდა სპარტელი მთავარსარდალი ევრიბიადესი. პირ-



ველი საბრძოლო შეტაკება ევბოას ჩრდილოეთით მდებარე არტემისიონის კონცხთან მოხდა. იგი ბერძენთა გამარჯვებით დასრულდა. თუმცა ამ ბრძოლას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონია, რადგანაც ბერძნულმა ფლოტმა ვერ აღასრულა ძირითადი მიზანი – შეშველებოდა ქვეით ლაშქარს თესალიაში.

საბერძნეთის არმიამ თავდაპირველად დაიკავა თესალიის ჩრდილოეთით მდებარე ტემპეს გასასვლელი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ საფრთხე ზურგიდან იყო მოსალოდნელი. მაშინ ბერძნებმა სამხრეთისაკენ დაიხიეს და დაიკავეს თერმოპილეს გასასვლელი, რომელიც თესალიას გამოყოფდა შუა საბერძნეთისგან. თერმოპილეს ხეობა მოსახერხებელი იყო თავდაცვისათვის. ბერძენთა რამდენიმე ათასიანი რაზმი სპარტელთა მეფე ლეონიდასის მეთაურობით იმ მაღლობებზე ჩასაფრდა, რომლებიც თავს დაჰყურებდნენ სანაპიროს ვიწრო გასასვლელს და რამდენიმე დღის განმავლობაში წარმატებით იგერიებდა სპარსელთა ძირითადი ძალების შემოსევას.

მტერი დარწმუნდა, რომ თერმოპილეს შუბლით აღება შეუძლებელი იქნებოდა და გადაწყვიტა ზურგიდან მიხდომოდა ბერძენთა ჯარს. ელინთა შორის აღმოჩნდა მოღალატე, სახელად ეფიალტესი, რომელმაც მთის ვიწრო ბილიკით გაიყვანა სპარსელები ბერძენთა ზურგს უკან. ასე იმსხვერპლა ერთი ნაძირალას ვერაგობამ უდრეკ მებრძოლთა მთელი რაზმი.

შეიტყო თუ არა, რომ სპარსელებმა ზურგიდან მოუარეს, მეფე ლეონიდასი მიხვდა, წინააღმდეგობის გაწევა დაღუპვას უქადდა მთელ ბერძნულ ლაშქარს. ამიტომ მეკავშირენი უკუაქცია, თავად კი, სამას სპარტელთან ერთად, იფარავდა რა უკანდახეულთ, მახვილით ხელში მტერს შეაკვდა. გმირულად იბრძოდნენ სპარტელები, მაგრამ ისინიც თავის მეფესთან ერთად დაეცნენ ბრძოლის ველზე. მოგვიანებით, თერმოპილესთან დაღუპულ სპარტელებს თაყვანს სცემდნენ, როგორც საბერძნეთის გმირებს. მათ სამაროვანთან აღმართულ საფლავის ქვაზე ამოტვიფრული იყო პოეტ სიმონიდესის ეს სიტყვები:

„გამვლელო, ისწრაფე სპარტისკენ და მოქალაქეებს აუწყე,
რომ ამ მიწაში ვწევართ აღმსრულებელნი აღთქმის“.

სპარტელთა გმირული თავგანწირვის ამბავმა აღარფრიოვანა და ძალა შეჰმატა ელინებს. თერმოპილეს აღებისთანავე ბერძენთა ფლოტი არტემისიონის კონცხიდან ატიკის სანაპიროთა გასამაგრებლად დაიძრა. თემისტოკლესი მიცურავდა კუნძულ ევბოას გასწვრივ და იმ ადგილებში, სადაც სპარსელთა დაბანაკება იყო შესაძლებელი, ტოვებდა წარწერებს; იგი მოუწოდებდა იონიელ ელინებს, რომლებიც სპარსელთა ფლოტში მსახურობდნენ, თანამემამულეთა მხარეს გადმოსულიყვნენ.

ამასობაში, ქსერქსესის ლაშქარი გასცდა თერმოპილეს და ქალაქთა ძარცვითა და აოხრებით ატიკის საზღვრებს მიუახლოვდა.

ათენელები ცდილობდნენ, დაერწმუნებინათ მეკავშირენი, რომ სპარსელებისთვის გადამწყვეტი ბრძოლა ბეოტიაში მოეწყოთ ათენის გადასარჩენად. მაგრამ მეკავშირეებს ამის გაგონებაც კი არ სურდათ. მათ გადაწყვიტეს, მთელი ძალები შეეგროვებინათ კორინთოს ყელთან. აქ უკვე დაიწყეს კედლის აგება, რათა სპარსელები შეეჩერებინათ და დაეცვათ საბერძნეთის სამხრეთით მდებარე პელოპონესოსი. ათენს იმხანად ჯერ კიდევ არ ჰქონდა ქალაქის ნავსაყუდელთან შემაერთებელი ზღუდე. სპარსელებს შეეძლოთ, ალყა შემოერტყათ ათენისათვის როგორც ხმელეთიდან, ისე ზღვიდან.

თემისტოკლესმა მიიღო გმირული გადაწყვეტილება, დაერწმუნებინა მოქალაქენი, ათენი ფლოტის იმედად დაეტოვებინათ და გადასახლებულიყვნენ მეზობელ კუნძულ სალამისსა და ქალაქ ტროიძენში.[3] თავდაპირველად, ხალხის დიდ ნაწილს ამის გაგონებაც კი არ სურდა. ისინი თვლიდნენ, თუ ღმერთთა ტაძრებისა და წინაპართა საფლავების დატოვება მოუხდებოდათ, არც გადარჩენა ღირდა მაშინ, არც გამარჯვება.

მაშინ თემისტოკლესმა უკიდურეს ზომას მიმართა – ხალხზე სხვაგვარად იმოქმედა: ათენის ერთ-ერთ ტაძარში გაქრა ქალაქის მფარველი ქალღმერთის – ათენას წმინდა გველი. ქურუმებმა თემისტოკლესის შეგონებით გამოაცხადეს, რომ ქალღმერთმა დატოვა ქალაქი და ათენელებსაც თან უხმობს ზღვისკენ. დელფოს მისანიც ურჩევდა ათენელებს „თავი გადაერჩინათ ხის კედლებს მიღმა". თემისტოკლესმა ქურუმის იდუმალებით მოცული სიტყვები ასე ახსნა: „ხის კედლებში" იგულისხმება ხომალდები. თუ ჩასხდებიან ამ ხომალდებში, ათენელები მოიპოვებენ გამარჯვებას საზღვაო ბრძოლით. ხალხმა გადაწყვიტა, გასცლოდა ათენს, ხოლო მტრისთვის საძარცვად აყვავებული ბაღები და ვენახები, მშვენიერი შენობები, ღვთაებათა ტაძრები და წინაპართა საფლავები მიეგდო. მხოლოდ რამდენიმე ხანდაზმულმა არ ისურვა წმინდა ქალაქის მიტოვება. შემდეგ მათ ყველას მოუსწრაფეს სიცოცხლე დამარცხებულმა სპარსელებმა. მალე მტერმა გაანადგურა ატიკა და გადაწვა წმინდა ათენი.

ათენელების ხომალდებზე ასვლისას, ჟამთააღმწერნი, ქალებისა და ბავშვების ქმრებთან და მამებთან გამოთხოვების სევდის აღმძვრელი სურათების მხილველნი, მოგვიანებით დაწერენ, რომ „ქალაქი სავსე იყო ქალთა და ბავშვთა მოთქმით და ვაებით, დაცარიელებულ ქუჩებში მობორიალე შინაურ ცხოველთა საწყალობელი ღმუილით".



ახალ ადგილებში მოქალაქეთა გადასახლებასა და დაბინავებას ხელმძღვანელობდა არეოპაგი. თემისტოკლესმა კი ფლოტისა და ლაშქრის შენახვისათვის აუცილებელი ფული იშოვა. ქალაქიდან ხომალდებზე ასასვლელად ნავსადგომ პირეოსისკენ დაძრულმა ათენელებმა იხილეს, რომ აკროპოლისის თხემზე ქალღმერთ ათენას ქანდაკება ოქროს ფარის გარეშე იდგა. „სად გაქრა მრისხანე ღვთაების მბრწყინავი ფარი?" – კითხულობდა გაოგნებული ხალხი. თემისტოკლესი შეუდგა დაკარგული ფარის ძებნას, მაგრამ ვერსად აღმოაჩინა, რადგანაც ფარი, შესაძლოა, მისივე ბრძანებით გადამალეს. სამაგიეროდ იგი წააწყდა მდიდართა მიერ ჩაფლულ საგანძურს. ეს სიმდიდრე თემისტოკლესის განკარგულებით ათენელებს გაუნაწილეს.

ამ უმძიმეს დროს საჭირო იყო სამოქალაქო უთანხმოებათა დავიწყება. თემისტოკლესმაც ხალხს მოუწოდა, სამშობლოში დაებრუნებინათ გაძევებული არისტიდესი და არისტოკრატთა ბელადები. მას სურდა, მათთვისაც მიეცა საბერძნეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლის საშუალება. სამშობლოს ხსნის გრძნობა ასულდგმულებდა ახლა უკვე ყოველ ათენელს: არისტოკრატებიც, ხელოსნებიცა და გლეხებიც მხოლოდ იმ აზრით იყვნენ შთაგონებულნი, თუ როგორ დაემარცხებინათ სპარსელები და გაეძევებინათ მშობლიური ქვეყნიდან.

ახლოვდებოდა სპარსელებთან გადამწყვეტი შებმის ჟამი. ათენელები სპარსელებთან დაუხანებელი ბძროლის სურვილით იწვოდნენ. მეკავშირეები ფლოტის მთავარსარდლის, სპარტელი ევრიბიადესის მეთაურობით მოუწოდებდნენ დაეცვათ პელოპონესოსი, რისთვისაც მებრძოლი ქვეითი ჯარის დასახმარებლად საჭირო იყო ისთმოსის ყურისკენ გაცურვა. სამხედრო საბჭოზე თემისტოკლესი წინ აღუდგა ამ განზრახვას. იგი მთავარ საქმედ სპარსეთის ფლოტის ატიკის სანაპიროებთან განადგურებას მიიჩნევდა. ევრიბიადესმა თემისტოკლესის ამ საქციელში მთავარსარდლისადმი დაუმორჩილებლობა დაინახა. მან ჯოხით ხელში თემისტოკლესისაკენ წაიწია. „დამარტყი, ოღონდ შეისმინე!" – წამოიძახა თემისტოკლესმა და ამ სიტყვებით ფიცხი სპარტელის რისხვა დააცხრო.

კორინთოს სტრატეგოსმა გესლიანად მიმართა თემისტოკლესს, რომ მას, ათენელს, რომელმაც დაკარგა სამშობლო, არ მართებს იმათი წაქეზება, რომლებმაც ჯერ კიდევ შეინარჩუნეს იგი; არ მართებს საკუთარი მიწა-წყლის ბედის ანაბარა მიგდება. თემისტოკლესმა მკაცრად მოუჭრა: „რეგვენო, ჩვენ, ათენელებმა, დავტოვეთ ჭერი და კედლები იმიტომ, რომ არ ვისურვეთ მონობა უსულო საგანთა ფასად. მაგრამ არის ქალაქი, უდიადესი ელადის ქალაქთა შორის – ეს არის ორასი ათენური ხომალდი, თქვენს წინ ჩამწკრივებული, თქვენდა სახსნელად შემართული, თუკი ისურვებთ; ხოლო თუ წახვალთ, ისევ გვიმუხთლებთ, მაშინ ჩვენ, ათენე-

ლები მიგატოვებთ თქვენ და გავცურავთ სამხრეთ იტალიისკენ, იქ აღვაშენებთ ახალ ქალაქს!"

თემისტოკლესის ზვიადმა პასუხმა დაადუმა სულმოკლენი, მან შეძლო ყველას გადაბირება. როდესაც დილის ბინდი გადაიყარა, ელინებმა მტრის უზარმაზარი ფლოტი იხილეს ფალერონთან. ამ სანახაობამ შეაშფოთა მეკავშირენი, მათ განიზრახეს იმავე ღამეს გაეცურათ პელოპონესოსისაკენ. თემისტოკლესმა კვლავაც შეძლო მეკავშირეთა შეჩერება. იგი თვლიდა, და სავსებით სწორადაც, რომ მტერთან შებმა უმჯობესი იქნებოდა სალამისის ვიწრო ყურეში. აქ ელინთა სწრაფმავალ ხომალდებს დიდი უპირატესობა ექნებოდათ სპარსელთა თუმც მრავალრიცხოვან, მაგრამ მძიმე და მოუქნელ გემებთან შედარებით.

თემისტოკლესმა ერთი ახლობელი კაცის მეშვეობით შეატყობინა სპარსეთის მეფეს, თითქოს ელინები ღამით უკან დახევას აპირებდნენ, რომ თითქოს თავად სპარსელთა მხარეს გადავიდა და ურჩევს მეფეს, ვიდრე ბერძნები შიშისგან არ მობრუნებულან, დაუყოვნებლივ თავს დაესხას.

მეფე ქსერქსესი დარწმუნებული იყო, რომ გაიმარჯვებდა. მან ბრძანა, დაუყოვნებლივ ჩაეკეტათ სალამისის ყურის გასასვლელი, რათა ბერძნულ ხომალდთაგან ვერცერთს იქიდან ვერ გაეღწია. ამასობაში გაძევებიდან სამშობლოში მომავალმა არისტიდესმა მალულად გამოცურა სპარსელთა ხომალდებს შორის და თან ამბავიც ჩამოიტანა – ელინთა ფლოტი სპარსელებით არის გარემოცულიო. ახლა კი მეკავშირეთა ხომალდები ველარ შეძლებდნენ ათენელთა მიტოვებას.

თემისტოკლესმა კარგად იცოდა არისტიდესის სულგრძელობის ამბავი, თუმცა არ უყვარდა იგი. მან უამბო არისტიდესს იმის თაობაზე, თუ როგორ მიუგზავნა სპარსელებს სანდო კაცი, ბოლოს თავისი გეგმაც გაანდო. თემისტოკლესმა სთხოვა არისტიდესს, ყოველი ღონე ეხმარა მეკავშირეთა ბრძოლის ველზე გამოსაყვანად.

კიდევ ერთი დღე გავიდა. იმ დილას, როდესაც სალამისის ბრძოლა მოხდა (ძვ.წ. 480 წ.), ელინებმა ისევ იხილეს სპარსელთა ფლოტი საბრძოლო მზადყოფნაში. მოშორებით, ბორცვზე, ოქროცურვილი ბალდახინის ქვეშ, ოქროს ტახტზე დაბრძანდა ქსერქსესი. მეფის გარეშემო მოთავსდნენ მასთან დაახლოებული პირნი და მწერლები, რომელთაც სპარსელთა დიადი გამარჯვება უნდა აღეწერათ.

ათენის ფლოტი 180 მალემავალი ხომალდისაგან შედგებოდა. ყოველი ხომალდის ქორედზე იყო 14 მძიმედ შეიარაღებული მეომარი (ჰოპლიტი) და 4 მშვილდოსანი. ამ ბრძოლის მონაწილის, სახელოვანი პოეტის, ესქილეს გადმოცემით, სპარსელებს ჰქონდათ 1000 დიდი ხომალდი, მათ შორის 207 – სწრაფმავალი.

ბრძოლის დასაწყებად თემისტოკლესმა ის დრო შეარჩია, როდესაც ზღვიდან ქარმა დაჰბერა. იგი ვერაფერს ავნებდა ელინთა დაბალბანიან და ბრტყელ ხომალ-



დებს; სპარსელთა მძიმე ხომალდებს კი, რომელთაც მაღლა აწეული ბოლოები ჰქონდათ, ეს ქარი მძლავრად არყევდა.

ყოველი ელინის მზერა თემისტოკლესისადმი იყო მიპყრობილი. მეფე ქსერქსესის ძმამ, გამოცდილმა ხომალდთმთავარმა არიამენმა, უზარმაზარი ხომალდიდან შენიშნა თემისტოკლესი და ბრძანა მისდამი მიემართათ ისრები და შუბები. მაშინ ათენელთა ხომალდი, რომელიც თემისტოკლესის ტრიერის გვერდით მიცურავდა, არიამენის ტრიერს შეეჯახა ცხვირით. მეტოქეთა ხომალდები ერთმანეთს გადაეჯაჭვნენ. არიამენი თავის მებრძოლებთან ერთად ცდილობდა ათენელთა ხომალდზე გადასვლას. გაჩაღდა უმოწყალო ხელჩართული ბრძოლა. მედგრად მებრძოლმა ათენელებმა სპარსელთა ხომალდთმთავარი განგმირეს, თავდამსხმელები გაანადგურეს და მათი გვამები ზღვას მისცეს. მეთაურის სიკვდილმა სპარსელები სულიერად დასცა, მათი სიმამაცე გააცამტვერა. ძალაშესხმული ბერძნები კი არნახული გამბედაობით იბრძოდნენ. მათთვის ნათელი იყო: ან გამარჯვება უნდა მოეპოვებინათ, ან ბრძოლის ველზე დაცემულიყვნენ.

ათენელი ლიკომედესი პირველი დაეუფლა მტრის ხომალდს. შემდეგ კი ათენელებმა ხელთ იგდეს სპარსელთა მრავალი ხომალდი და ჩაძირეს. სპარსელები მედგრად იბრძოდნენ, მაგრამ მათი უზარმაზარი გემები ვერ იგერიებდნენ ორივე მხრიდან შემტევ ელინთა მოქნილ ხომალდებს.

მთელი დღე გრძელდებოდა ბრძოლა. მიმწუხრის ჟამს კი სპარსეთის ფლოტმა ველარ გაუძლო შემოტევებს და უკუიქცა.

ასე მოიპოვეს ელინებმა სალამისთან უბრწყინვალესი გამარჯვება ძალებით ესოდენ აღმატებულ მტერზე. განრისხებულმა ქსერქსესმა კი განიზრახა თავისი ქვეითი ლაშქრის ხიდით გადაყვანა კუნძულ სალამისზე. თემისტოკლესი მებრძოლებს მოუწოდებდა, უკუქცევის გზა მოეჭრათ მათთვის: იგი ურჩევდა, დაენგრიათ ჰელესპონტოსზე გადამავალი ხიდი, რათა, მისი სიტყვებით „დაეჭირათ აზია ევროპაში".

არისტიდესი, რომელსაც თემისტოკლესმა გაანდო ეს განზრახვა, უარზე იდგა. იგი ამბობდა, რომ არ ღირდა სპარსელთა უკიდურესობამდე მიყვანა, რადგანაც მაშინ ისინი თავგანწირული სიმამაცით დაიწყებენო ბრძოლას. „პირიქით – ამბობდა არისტიდესი, – ჩვენ არათუ უნდა დავანგრიოთ, არამედ საშუალება რომ იყოს, უნდა ავაგოთ ახალი ხიდიც, რათა რაც შეიძლებდა მალე განვდევნოთ სპარსელები". თემისტოკლესი დათანხმდა.

მან ახალი გზა გამონახა სპარსელთა მეფის ელადიდან გასაძევებლად. წარჩინებულ სპარსელ ტყვეთაგან ერთი რჩეული წარგზავნა მეფესთან ამბით, თითქოს ელინებს განეზრახათ ჰელესპონტოსის ხიდის დანგრევა. თემისტოკლესი ურჩევდა

მეფეს, ვიდრე ბერძნები აყოვნებენ ახალ იერიშს, დაეჩქარებინათ თავისი ლაშქრის ხიდზე გადასვლა.

შეძრწუნებულმა ქსერქსესმა უკანდახევა განიზრახა. მან ელადაში მხოლოდ ნაწილი დატოვა თავის ლაშქრისა მხედართმთავარ მარდონიოსის მეთაურობით. მალე მარდონიოსის არმია დამარცხდა პლატეასთან, გადარჩენილმა ნაწილმა ელადა დატოვა.

ასე გადაურჩა საბერძნეთი საშინელ საფრთხეს. მიუხედავად მტრის შურისა და ძალისხმევისა, ელინებმა თემისტოკლესს არნახული პატივი მიაგეს. სპარტელებმაც კი, რომელთაც არ უყვარდათ უცხოელები, თავის ქალაქში მიიწვიეს ათენელი მხედართმთავარი და იქ შეამკეს ზეთისხილის დიადემებით დიდი სიბრძნისთვის, გმირობისთვის კი მდიდრული ეტლი აჩუქეს. ახალგაზრდა მებრძოლთა სამასკაციანი საპატიო რაზმი მიაცილებდა მას სპარტის სახელმწიფოს სამანებამდე. როგორც კი თემისტოკლესი გამოჩნდა ოლიმპიაში – საერთო ბერძნულ ოლიმპიურ თამაშობებზე – ელადის ყველა ქალაქმა საზეიმო შეხვედრით ღირსეული პატივი მიაგო.

თემისტოკლესი ამაყობდა თავისი დიდებით. ერთხელ პატარა კუნძულის, სერიფოსის ერთმა მოსახლემ შეახსენა თემისტოკლესს, რომ ამ დიდებას იგი საკუთარ თავს კი არა, სახელმწიფოს უნდა უმადლოდეს. „შენ მართალი ხარ, – მიუგო გმირმა – მე ვერასოდეს მოვიპოვებდი ასეთ დიდებას, სერიფოსელი რომ ვყოფილიყავ, ისევე, როგორც შენ, ათენლობა რომ გხდომოდა წილად!“

ერთხელ ერთმა სტრატეგოსმა, გამოდიოდა რა თემისტოკლესის წინააღმდეგ, მოისურვა თავის გმირობათა თემისტოკლესის გმირობებთან გათანაბრება. მაშინ თემისტოკლესმა მას ასეთი იგავი უამბო: უქმე და სადაგი დღეები შეკამათდნენ, სადაგი ირწმუნებოდა, რომ უქმმა დღემ სხვა არა იცის რა, გარდა ფუსფუსისა და თავმომწონეობისა, მაშინ როდესაც მომდევნო დღეს, მოცალეობის ჟამს, ყველა დასვენებით ტკბება. „მართალს ამბობ – შენიშნა უქმმა დღემ – მაგრამ მე რომ არ დავბადებულიყავ, არც შენ იქნებოდიო“. „სწორედ ასევე – განაგრძო თემისტოკლესმა – მე რომ არ ვყოფილიყავი, სად იქნებოდით ახლა თქვენ?" თემისტოკლესს ესმოდა, რომ ახლა, სპარსელთა განდევნის შემდეგ, ათენელთა მთავარი მტრები სპარტელები იყვნენ. ამიტომ მან დაარწმუნა სახალხო კრება, დაუხანებლივ შესდგომოდნენ ათენის ირგვლივ გალავნის აგებას, რათა საფრთხის ჟამს მოქალაქეებს მის კედლებს მილმა თავის შეფარების შესაძლებლობა ჰქონოდათ. და თუ ათენელები ზღვაზე იბატონებდნენ, გალავანი მათ ნებისმიერი ალყის გაძლების საშუალებას მისცემდა. კედლების აგება არნახული სისწრაფით ხდებოდა. სამუშაოებში მონაწილეობდა ათენის ყოველი მკვიდრი, უცხოელი თუ მონა, ქალი თუ ბავშვი.



მაგრამ მტრები როდი თვლემდნენ. ათენელი არისტოკრატების მიერ შეგულიანებული სპარტელები შიშითა და შურით უმზერდნენ ათენელთა ძლიერების ზრდას. ათენის გალავნის აგებას ეწინააღმდეგებოდნენ სპარტელები. მათ ესმოდათ, რომ ათენელები სპარტელთა შიშით ამაგრებდნენ ქალაქს და ამიტომ სამუშაოთა დაუყოვნებლივ შეწყვეტას მოითხოვდნენ. ისინი ამბობდნენ, რომ სპარსელთა თავდასხმის მოგერიება შესაძლებელია მხოლოდ პელოპონესოსში, იქ კი უკვე აგებულია ყურეს ჩამკეტი კედელი. შუა საბერძნეთში მდებარე ყველა სიმაგრე დასანგრევია, როგორც გამოუსადეგარიო.

მაგრამ თემისტოკლესმა აქაც აჯობა ჭკუით სპარტელებს. მისი წინამძღოლობით სპარტაში გაემგზავრა ათენის წარმომადგენლობა. როდესაც სპარტელებმა საყვედური გამოთქვეს, რომ ათენელები იარაღს ისხამენ და ქალაქს კედლებით ამაგრებენო, თემისტოკლესმა მათ შესთავაზა წარეგზავნათ ათენში ელჩები იმის სანახავად, თუ რა ხდებოდა იქ. ამით მას სურდა კედლების ასაგები დრო მოეგო, ამასთანავე ჰყოლოდა მძევლები სპარტელ ელჩთა სახით. ასე რომ, სპარტელები იძულებულნი შეიქნენ თემისტოკლესი შინ გაეშვათ.

თემისტოკლესი განაგრძობდა ათენის საზღვაო ძლიერების ზრდას. იგი ახალ ხომალდებს აგებდა. მისი რჩევით, ბერძნულ სახელმწიფოთა კავშირი კიდევ უფრო გაფართოვდა. ბევრი ახალი ქალაქი-სახელმწიფო შეუერთდა ამ კავშირს და ცნო ათენის უალრესობა.

თემისტოკლესის ამგვარმა პოლიტიკამ ათენში გააძლიერა დემოსი, უბრალო ხალხი. მეზღვაურებმა, მესაჭეებმა, მეხოფურებმა, მრავალრიცხოვანმა ხელოსნებმა სახალხო კრებაზე ხმის უფლებები მოიპოვეს. თემისტოკლესმა ათენელები საზღვაო ხალხად აქცია და გააძლიერა რა პირეოსი,[4] „მიამაგრა ქალაქი ნავსადგომს, ხმელეთი – ზღვას“.

იმხანად სპარტელებმა მოითხოვეს კავშირიდან დაეთხოვათ ის ბერძნული სახელმწიფოები, რომლებსაც სპარსელთა წინააღმდეგ ომში არ მიუღიათ მონაწილეობა (თებე, არგოსი). თემისტოკლესმა ამის წინააღმდეგ გაილაშქრა. მას ესმოდა, რომ, თუ ამ მოთხოვნას აღასრულებდნენ, კავშირში უპირატესობას მოიპოვებდნენ სპარტელები და მათზე დამოკიდებული წვრილი პელეპონესური სახელმწიფოები.

კუნძულთა სახელმწიფოებს თემისტოკლესი მბრძანებლურად და მედიდურად ეპყრობოდა, სთხოვდა ფულად გადასახადსა და ათენის უსიტყვო მორჩილებას. ასე მოექცა იგი კარისტოსისა და პაროსის[5] მკვიდრებს. მან მრავალრიცხოვანი ფლოტით ალყა შემოარტყა კუნძულ ანდროსს[6] და ფული მოითხოვა. იგი არწმუნებდა მის მაცხოვრებლებს, რომ მოსული იყო ორი ღვთაების – დარწმუნებისა და

ძალის თანხლებით. ვინც არ მიენდობოდა პირველ ღვთაებას, იძულებული გახდებოდა, დამორჩილებოდა მეორეს. ანდროსელები იძულებულნი გახდნენ დაეთმოთ. უფრო მნიშვნელოვან კუნძულთა სახელმწიფოები კავშირში მოლაპარაკების გზით მიიზიდეს. ამ მოლაპარაკებების დროს თემისტოკლესი იყო მთავარი. ათენელებმა მეკავშირეთა შორის მალე მოიპოვეს უპირატესობა ზღვაზე.

ამასობაში თემისტოკლესის მტრებმა ცუდი რამ განიზრახეს. მათ მიაღწიეს იმას, რომ თემისტოკლესი ათენიდან განდევნეს ოსტრაკისმოსის წესით. განდევნის მიზეზი ხალხის კეთილგანწყობის დაკარგვა იყო. ათენელებს ეშინოდათ სპარტის წინააღმდეგ მიმართული მეტისმეტად მკაცრი პოლიტიკისა. ხალხი დაიღალა სპარსელთა წინააღმდეგ ომით და აღარ სურდა ახალი ომი სპარტასთან, რომლის სახმელეთო ძალები აღემატებოდა ათენელებისას.

გაძევებულმა თემისტოკლესმა თავდაპირველად არგოსს შეაფარა თავი. მალე სპარტელებმა თემისტოკლესი დაადანაშაულეს იმაში, რომ იგი სპარტის მეფე პავსანიასთან ერთად სპარსელებთან იყო დაკავშირებული. იმჟამად სპარსელებთან ყოველგვარი ურთიერთობა სახელმწიფოებრივ ღალატად ითვლებოდა. ამ ბრალდებას მხარი დაუჭირეს თემისტოკლესის მტრებმა – ათენელმა არისტოკრატებმა. მათ სახალხო კრებას მიაღებინეს გადაწყვეტილება სამსჯავროში თემისტოკლესის ძალით მოყვანის თაობაზე.

ამ ცნობის მიღებისთანავე თემისტოკლესი კერკირაზე (კუნძული იონიის ზღვაში) გაემგზავრა, მაგრამ მალე იძულებული გახდა თავშესაფარი ეთხოვა ეპიროსის[7] მეფე ადმეტოსისთვის.

აქ თემისტოკლესი დიდხანს არ დარჩენილა. იგი სატვირთო გემით გაეშურა აზიის ნაპირებისკენ. არავინ იცოდა მისი ვინაობა მანამ, ვიდრე ქარმა ხომალდი კუნძულ ფასოსს (საბერძნეთის დასავლეთ სანაპირო) არ მიაყენა. იმ დროს ეს კუნძული ათენელთა ფლოტით იყო გარემოცული, ამიტომ თემისტოკლესი შიშობდა, ხელში არ ჩაჯარდნოდა თანამოქალაქეებს. მან თავისი ვინაობა გაუმხილა ხომალდის მეთაურს, შეძლო დაერწმუნებინა იგი, გვერდი აევლოთ კუნძულისთვის და მცირე აზიის ნაპირებს მისდგომოდნენ. როდესაც გემი ქალაქ კიმეს მიუახლოვდა, თემისტოკლესმა შენიშნა, რომ იქ მისი შეპყრობა სურდათ. სპარსეთის მეფე ხომ თემისტოკლესის დამჭერს 200 ტალანტონს ჰპირდებოდა საზღაურად.

კიმედან თემისტოკლესი გაემგზავრა ეოლიურ ქალაქ ეგეში, სადაც იგი მისმა ძველმა მეგობარმა ნიკოგენესმა მიიღო. აქ თემისტოკლესმა გადაწყვიტა საკუთარი ნებით ჩაბარებოდა სპარსელებს. იგი მალულად გაეშურა სპარსეთის მეფე არტაქსერქსესთან, რომელმაც ქსერქსესის შემდეგ მემკვიდრეობით ჩაიბარა სამეფო



სკიპტრა. თემისტოკლესი მეფეს წარუდგინეს. მან ქვეგანრთხმით თაყვანი სცა არტაქსერქსესს და ასე მიმართა: „დიდო მეფეო, ელინთაგან დევნილი შენთან მოვსულვარ. ჩემი წყალობით სპარსებმა ბევრი ვნება იგემეს, მაგრამ უფრო მეტი სიკეთეც ნახეს, ვინაიდან მათი დევნა მე შევაჩერე. ყველაფერს ველი. მზად ვარ მივიღო მოწყალება, თუ სიკეთის ქმნა შეგიძლია და გთხოვო რისხვის დაცხრობა, თუკი ხსოვნაში სიავე ჩაგრჩენია. ჩემი მტრები იმ სიკეთეთა მოწმეებად უნდა ჩათვალო, რაც სპარსეთისთვის გამიწევია. ხოლო ჩემი ხვედრი, გიჯობს, შენი კეთილმოწყალების საჩვენებლად გამოიყენო, ვიდრე შურის საძიებლად. მხოლოდ შენ შეგიძლია გადაარჩინო შენთან ვედრებით მოსული კაცი, ელინთა მტრად რომ გადაქცეულა!"

სპარსთა მეფემ დუმილით მოისმინა ეს სიტყვები, ხოლო როდესაც თემისტოკლესმა დატოვა დარბაზი, ღმერთებს მსხვერპლი შესწირა და სამადლობელო აღუვლინა ამ სიტყვებით: „დაე, სპარსელთა მტრებმა მუდამ ასე დევნონო თავიანთი საუკეთესო ადამიანები!" ღამით, კი, შუაძილში, სიხარულისგან სამგზის წამოიძახა: „ათენელი თემისტოკლესი ჩემს ხელშიაო!"

არტაქსერქსესმა კეთილად მიიღო თემისტოკლესი. სამი ქალაქი უბოძა სამართავად და მეტისმეტად დაიახლოვა. უცხოელთაგან არავის ღირსებია სპარსთა მეფის კარზე ასეთი პატივი. ამიტომ მისი აქაც შურდათ. მაშინ ელინი განერიდა იქაურობას და მისთვის ბოძებულ ერთ-ერთ ქალაქში დასახლდა. ერთხანს მშვიდად ცხოვრობდა, თუმცა დიდხანს არ გაგრძელებია ეს ნეტარება: ეგვიპტე აღსდგა სპარსეთის წინააღმდეგ, ათენელებმა მხარი დაუჭირეს ეგვიპტელებს. არტაქსერქსესმა შეახსენა თემისტოკლესს, რომ პირობისამებრ მას სპარსეთის ინტერესები უნდა დაეცვა. მაგრამ ბერძენმა მთავარსარდალმა არ ისურვა გალაშქრება თანამემამულეთა წინააღმდეგ და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

შენიშვნები:

[1] ათენის კანონიერ მოქალაქედ ითვლებოდა მხოლოდ ის, ვინც დედითაც და მამითაც ათენელი იყო.

[2] ძვ.წ. 490 წელს სპარსეთის ლაშქარი დაამარცხეს ათენელებმა, რომელთაც წინამძღოლობდა სტრატეგოსი მილტიადესი.

[3] ატიკის არგოლისის მთავარი ქალაქი.

[4] პირეოსი – ათენის ნავსაყუდელი.

[5] კარისტოსი – ქალაქი კუნძულ ევბოაზე. პაროსი – ერთ-ერთი კიკლადური კუნძული ეგეოსის ზღვაში.

[6] ანდროსი – კიკლადური კუნძული ეგეოსის ზღვაში.

[7] ეპიროსი – ქალაქი საბერძნეთის ჩრდილო-დასავლეთით.

არისტიდესი

ათენელი მთავარსარდალი
და პოლიტიკოსი
(დაახლ. ძვ.წ. 540-467 წწ.)

თეატრში, როდესაც ესქილეს ტრაგედია „შვიდნი თებეს წინააღმდეგ“ მიმდინარეობდა, ათენელებმა მითოსურ ამფიარაოსზე ნათქვამი ასეთი სიტყვები მოისმინეს:

„სამართლიანი სურს რომ იყოს და არა სჩანდეს;
იმ ღრმა კვალთაგან, გონებაში რომ გაატარა,
ის სასიკეთო რჩევა-ზრახვის უხვ ნაყოფს იმკის“.

ყველამ მზერა მიაპყრო არისტიდესს, რადგანაც მხოლოდ იგი მიაჩნდათ ამდაგვარი შექების ღირსად. პლუტარქოსი, რომელმაც მისი ბიოგრაფია აღწერა, გვამცნობს: „საკვირველი იყო არისტიდესის სიმტკიცე სახელმწიფოში არსებულ გარდაქმნათა ჟამს. პატივსა და დიდებას ის არასოდეს ესწრაფოდა, დამარცხებული კი სულის სიმშვიდეს და სიდინჯეს ინარჩუნებდა. ამასთან თვლიდა, რომ სიცოცხლე სამშობლოს კეთილდღეობაზე ზრუნვაში უნდა გაეტარებინა უანგაროდ, პატივისა და სამაგიეროს მიღებაზე ფიქრის გარეშე“.

არისტიდესის ცხოვრებამ ათენელ დემოკრატთა ბელადის, თემისტოკლესის წინააღმდეგ ბრძოლაში განვლო. გადმოგვცემენ, რომ მათი მეტოქეობა ჯერ კიდევ ბავშვობის ხანაში დაწყებულა. ხასიათთა განსხვავებულობის გამო ისინი თამაშის დროსაც კი ჩხუბობდნენ. მარჯვე, მამაცი და მოხერხებული თემისტოკლესი ყოველ საქმეს იოლად და სწრაფად ალასრულებდა. არისტიდესი ხასიათით იყო მტკიცე, სამართლიანი საქმისთვის თავდადებული; სიცრუეს, ოინბაზობასა და თაღლი-

თობას ხუმრობითაც კი ვერ იტანდა. როდესაც ისინი გაიზარდნენ, ათენის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის საშუალება მიეცათ. მათი მოღვაწეობა სპარსეთის უზარმაზარი სამეფოს აღზევების ხანას დაემთხვა. სპარსელებმა მცირე აზიის ბერძნული ქალაქები ხელთ ჩაიგდეს და ბალკანეთის საბერძნეთს მიუახლოვდნენ. მრისხანე საფრთხის ჟამს ბერძნები არ იყვნენ ერთსულოვანნი. კონტინენტური საბერძნეთი მტრულ სახელმწიფოებად იყო დაქსაქსული. ზოგიერთი მათგანი მზად იყო საკუთარი ნებით დამორჩილებოდა სპარსეთს.

ამ უმძიმეს დროს ათენში, საბერძნეთის ერთ-ერთ უდიდეს ქალაქ-სახელმწიფოში, მძაფრი პოლიტიკური ბრძოლა გაჩაღდა. არისტიდესი წარმომავლობისა და ძველთაგან დამყარებული წყობის ერთგულების გამო არისტოკრატიულ პარტიას მიემხრო. თავის იდეალად დაისახა სპარტელი ლიკურგოსი, რომელსაც მისაბაძ პოლიტიკურ მოღვაწედ თვლიდა. არისტიდესის მოწინააღმდეგე იყო დემოკრატთა ბელადი თემისტოკლესი.

ისევე, როგორც ბავშვობაში, მოწიფულ ასაკშიც არისტიდესი იყო უჩვეულოდ პატიოსანი და სამართლიანი. მისი მრწამსისადმი ერთგულება და სამართლიანობა უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენდა თანამედროვეებზე. მასზე ლეგენდებს ჰყვებოდნენ. თანამოაზრეებმა არისტიდესს მეტსახელად „სამართლიანი" უწოდეს.

თავისი მოღვაწეობის მიზნად მან ძველი წყობის შენარჩუნება დაისახა. არისტიდესი მიიჩნევდა, რომ კანონთა განახლებისას აუცილებელია სიფრთხილე, რათა არ დაირღვეს ძველი კანონი. ამ მხრივ იგი ქედუხრელი მეტოქე იყო თემისტოკლესისა, რომელიც ხალხს მნიშვნელოვანი გარდაქმნებისკენ მოუწოდებდა. არისტიდესი თვლიდა, რომ თუ ძალაუფლებას ხელში ჩაიგდებდა თემისტოკლესი, საუკუნეებით გამყარებულ წესრიგს ძირფესვიანად შეცვლიდა. ამიტომ იგი წინააღმდეგი იყო თემისტოკლესის, მისი აზრით, სასარგებლო წინადადებებისაც, რამეთუ სურდა შეერყია მისი გავლენა, რათა არ მიეცა გაძლიერებისა და ძალაუფლების ხელში ჩაგდების შესაძლებლობა.

ერთხელ არისტიდესმა გაილაშქრა თემისტოკლესის ერთ-ერთი ასეთი წინადადების წინააღმდეგ და გაიმარჯვა კიდეც. მაგრამ წარმატებამ როდი მოჰგვარა სიხარული. იგი გრძნობდა, რომ თემისტოკლესსთან მეტოქეობამ მეტისმეტად ღრმად ჩაითრია, რომ მათი ბრძოლა სამშობლოსათვის სასარგებლო კი აღარ იყო, არამედ საზიანო. ტოვებდა რა სახალხო კრებას, არისტიდესმა მწარედ შენიშნა, რომ სახელმწიფოს საქმეები უკეთ იქნება, თუ მასა და თემისტოკლესს უფსკრული შთანთქავს.

სამართლიანობა აიძულებდა არისტიდესს მიუკერძოებელი ყოფილიყო არა მხოლოდ სხვებისადმი, არამედ საკუთარი თავისადმიც კი. ერთხელ მან თავად წამოა-



ყენა ახალი წინადადება, რომელმაც დიდი აღშფოთება გამოიწვია, მაგრამ გამარჯვება მაინც მის მხარეს იხრებოდა. კენჭისყრის წინ, გაიაზრა რა ყოველივე, არისტიდესი დარწმუნდა, რომ მის მიერ შეთავაზებული სიახლე არ მოუტანდა სარგებლობას სახელმწიფოს და თავად მოხსნა ეს საკითხი.

თავისი სამართლიანობის გამო არისტიდესი თანამოქალაქეთა შორის უდიდესი ნდობით სარგებლობდა. ათენელებს კამათისას უფრო მეტად სჯეროდათ არისტიდესისა, ვიდრე სახელმწიფოს მიერ დანიშნული მსაჯულებისა.

ერთხელ არისტიდესი საქმეს ურჩევდა ორ მოქალაქეს. ერთ-ერთმა მათგანმა, ისურვა რა არისტიდესის გადაბირება, შეახსენა, რომ ამ მოკამათისგან თავის დროზე მას ბევრი უსიამოვნება შემთხვევია. „ჩემო ბატონო, – მშვიდად უთქვამს არისტიდესს – სჯობს ის მიამბო, თუ რით შეურაცხგყო მან შენ. მე ახლა ვმსჯელობ არა ჩემი, არამედ შენი შეურაცხყოფის გამოო“.

სხვა დროს არისტიდესმა თავად უჩივლა თავის მეტოქეს და სამსჯავროს წინაშე წარდგა. არისტიდესის გულწრფელობასა და პატიოსნებაში დარწმუნებულმა მსაჯულებმა მისი გამოსვლის შემდეგ არ ისურვეს ბრალდებულის მოსმენა. აღშფოთებული ზეწამოიჭრა მაშინ არისტიდესი და მოითხოვა, ნება დაერთოთ მისი მეტოქისათვის გამოეთქვა თავისი აზრი.

დრო გადიოდა, სპარსეთის მეფე დარიოსი ბერძენთა წინააღმდეგ სალაშქროდ ემზადებოდა. ეს იცოდნენ ათენელებმა. ადათის თანახმად, სპარსელთა წინააღმდეგ ბრძოლის წარმოება ათ სტრატეგოსს დაევალა. ყოველ მათგანს რიგ-რიგობით ენიჭებოდა უმაღლესი ძალაუფლება. სტრატეგოსთაგან ერთ-ერთი იყო არისტიდესი. მან თავისი უფლებები გადააბარა მილტიადესს, როგორც ყველაზე გამოცდილსა და ნიჭიერ მხედართმთავარს. არისტიდესს ესმოდა, რომ ომის წარმოებისთვის აუცილებელი იყო ერთმმართველობა. მან მეგობრებიც აიძულა მიებაძათ მისთვის.

ხელში ჩაიგდო რა მთელი ძალაუფლება, მილტიადესმა მარათონის მახლობლად მდებარე მთის ვიწრობებში განალაგა ჯარი. პირველად ათენელებმა შეუტიეს მტერს. ყველაზე მეტი დარტყმა ათენის ლაშქრის შუაგულში მებრძოლებმა დაითმინეს. აქ, ერთმანეთის მხარდამხარ მედგრად იგერიებდნენ მტერს თემისტოკლესი და არისტიდესი.

უკუაქციეს რა მოწინააღმდეგენი, ათენელებმა დაინახეს, რომ ხომალდებს შეხიზნული სპარსელები მიემართებოდნენ არა აღმოსავლეთისაკენ, არამედ ათენისაკენ. სტრატეგოსები შეშინდნენ, რომ სპარსელები იოლად ჩაიგდებდნენ ხელთ ქალაქს, რომელსაც აღარ ჰყავდა დამცველები. მათ სასწრაფოდ გაგზავნეს ათენში ლაშქრის დიდი ნაწილი. მარათონში ტყვეთა და ნადავლის მეთვალყურედ და-



ტოვეს მხოლოდ არისტიდესი მცირერიცხოვანი რაზმის თანხლებით. ამ კეთილშობილ სტრატეგოსს არ გაუცრუებია თანამოსაგრეთა იმედი. მიუხედავად იმისა, რომ კარვებში თუ მიწაზე უხვად ეყარა ვერცხლი, ოქრო, მდიდრული სამოსი და სხვა ძვირფასეულობა, მას აზრადაც არ მოსვლია მიეთვისებინა რაიმე ამ განძიდან. ულირსი საქციელის ჩადენის ნება არც სხვისთვის დაურთავს.

მარათონის ბრძოლიდან ერთი წლის თავზე არისტიდესმა მიიღო პირველი არქონის თანამდებობა. მაგრამ განვლო სულ რამდენიმე წელმა და სახელოვანი სტრატეგოსი ოსტრაკისმოსის წესით განდევნეს ათენიდან. გადმოგვცემენ, რომ ამის მიზეზი იყო ხალხში გავრცელებული მიეთ-მოეთი, თითქოს არისტიდესი, არ ჩევდა რა საქმეებს, სახალხო სამსჯავროს მნიშვნელობას აკნინებდა და მონარქიულ ძალაუფლებას იმზადებდა თავისთვის.

უნდა ვივარაუდოთ, რომ არისტიდესის გაძევების ჭეშმარიტი მიზეზები უფრო ღრმა იყო. იმხანად განსაკუთრებული სიმძაფრით გაჩაღდა ბრძოლა არისტოკრატთა და დემოკრატთა შორის. მოქალაქეთა ინტერესების წარმომადგენელი თემისტოკლესის პარტია მოითხოვდა საზღვაო ვაჭრობის გაფართოებას, რაც დაკავშირებული იყო ათენის სამხედრო ფლოტის გაძლიერებასთან. თავის მხრივ, ფლოტის შენებას თან სდევდა სამხედრო სამსახურისთვის მრავლად მოწვეული უღარიბესი „მეხომალდე ხალხის" საზოგადოებრივი მნიშვნელობის ზრდა. არისტოკრატული პარტია, რომლის წარმომადგენელიც იყო არისტიდესი, მიწათმფლობელთა ინტერესებს იცავდა და ნაკლებად იყო დაინტერესებული ვაჭრობის განვითარებით. ამიტომ არისტოკრატები თემისტოკლესის საზღვაო პოლიტიკის წინააღმდეგნი იყვნენ. დემოკრატიული პარტიის გამარჯვება იყო ალბათ არისტიდესის გაძევების ჭეშმარიტი მიზეზი.

ოსტრაკისმოსი არ იყო სასჯელი რაღაც ულირსი საქციელისთვის. უბრალოდ ამ გზით სურდათ თავიდან მოეცილებინათ კაცი, რომლის გავლენასა და ძალმოსილებას ესოდენ უფრთხოდნენ. აი, როგორ სრულდებოდა გასამართლების წესი, რომელსაც ოსტრაკისმოსი ეწოდებოდა: მოქალაქე თიხის ქოთნის ნამტვრევზე ამოკაწრავდა ხოლმე იმ კაცის სახელს, რომელსაც სახელმწიფოსთვის სახიფათოდ მიიჩნევდა. ქოთნის ნამტვრევებს აგროვებდნენ და ითვლიდნენ. ოსტრაკისმოსი რომ შემდგარიყო, ნამტვრევთა საერთო რიცხვი სამოცი ათასზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. შემდეგ ხდებოდა მათი დახარისხება. მას, ვისი სახელიც ყველაზე ხშირად მოიხსენიებოდა ნამსხვრევებზე, ათი წლით აძევებდნენ სახელმწიფოდან. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გაძევებული თავისი ქონების მფლობელი რჩებოდა, ამასთანავე, ათი წლის შემდეგ მას კვლავ შეეძლო ათენში დაბრუნება და პოლიტიკური მოღვაწეობის გაგრძელება.

საგულისხმოა ერთი ამბავი. ვილაც უმეცარ, უწიგნურ და, როგორც პლუტარქოსი იტყოდა, გამოყეყეჩებულ ათენელს თხოვნით მიუმართავს გვერდით მდგომი უცნობი კაცისათვის, ქოთნის ნამტვრევზე ამოეკაწრა არისტიდესის სახელი.

– რა გაგიკეთა ცუდი ამ კაცმა? – უკითხავს მისთვის უცნობს, რომელიც თავად ყოფილა არისტიდესი.

– არაფერი – უთქვამს მთხოვნელს – არც კი ვიცნობ, მაგრამ მომბეზრდა იმის მოსმენა, რომ მას გამუდმებით უწოდებენ სამართლიანს.

არისტიდესს უსიტყვოდ ამოუკაწრავს თავისი სახელი ქოთნის ნამტვრევზე და დაუბრუნებია პატრონისათვის. იგი ათი წლით გააძევეს სახელმწიფოდან. როცა უკვე ქალაქს ტოვებდა, მან ხელები ზეცად აღაპყრო და ასეთი ლოცვა წარმოთქვა: „დაე, ნუ დაუდგებათ ათენელებს ისეთი მძიმე ჟამი, არისტიდესის გახსენებას რომ აიძულებსო".

სამი წლის შემდეგ, მაშინ როდესაც ქსერქსესი შეიჭრა ატიკაში (ძვ.წ. 480 წ.), ათენელებმა გაძევებულებს შინ დაბრუნების ნება დართეს. ბევრი შიშობდა, რომ ღატაკთაგან გაძევებული არისტიდესი მტრის მხარეზე გადავიდოდა და დანარჩენ არისტოკრატებსაც იმავეს ჩაადენინებდა. მაგრამ ისინი არ იცნობდნენ ამ ღირსეულ კაცს. არისტიდესი, შეწყნარებამდე კარგა ხნით ადრე მოუწოდებდა ელინებს, ებრძოლათ სპარსელთა წინააღმდეგ. როდესაც იგი შინ დაბრუნდა, სტრატეგოსად არჩეული იყო თემისტოკლესი განუსაზღვრელი უფლებებით. არისტიდესი მას ყოველნაირად ეხმარებოდა, სიტყვით თუ საქმით, თუმცა კარგად იცოდა, რომ ამით თავისი მრისხანე მეტოქის გაძლიერებას უწყობდა ხელს. არისტიდესს არასოდეს ახსოვდა პირადი ინტერესები, როდესაც საქმე სამშობლოს კეთილდღეობას ეხებოდა.

ბერძენთა მდგომარეობა ერთობ მძიმე იყო. სპარსეთის ჯარმა ჩრდილოეთ საბერძნეთის გავლით შეძლო თერმოპილეს გასასვლელამდე მიღწევა. სპარსელებმა დაუბრკოლებლად დაიკავეს შუა საბერძნეთი და ათენს მიუახლოვდნენ. ყოველმა ათენელმა, რომელსაც კი იარაღის ტარება შეეძლო, ხომალდს მიაშურა, რათა ზღვაზე გაეგრძელებინა ბრძოლა. ბავშვები, ქალები და მოხუცები ათენიდან ატიკის სანაპიროსთან მდებარე კუნძულ სალამისზე გახიზნეს. მალე სპარსელებმა ათენიც დაიკავეს, მათი ფლოტი კი სალამისს მიუახლოვდა.

ბერძენთა ფლოტის განმგებელ სპარტელ მხედართმთავრებს სურდათ სალამისიდან უკან დახევა და ათენელთა ბედის ანაბარა მიტოვება. ამასობაში სპარსეთის ფლოტმა ღამით ალყა შემოარტყა სალამისის გასასვლელს და ბერძნებს უკან დასახევი გზა მოუჭრა.

ზუსტად იმხანად კუნძულ ეგინადან დაბრუნდა იქ გაძევებული არისტიდესი. მან გაბედულად გაიყვანა თავისი ხომალდი მტრის გემებს შორის და შელამებისას



თემისტოკლესის კარავს მიადგა. არისტიდესმა იხმო ბერძენთა სტრატეგოსი და ასე უთხრა: „გვმართებს მოვუხმოთ კეთილგონიერებასა და შევწყვიტოთ ბავშვური შუღლი. ახლა მთავარია ვიხსნათ საბერძნეთი, შენ – როგორც მხედართმთავარმა და მბრძანებელმა, მე კი – ვითარცა შენმა შემწემ და მრჩეველმა. შენ იცი, რომ აუცილებელია, რაც შეიძლება სწრაფად შევებრძოლოთ სპარსელებს ვიწრო გასასვლელთან. მეც ვიზიარებ შენს აზრს, მაგრამ სპარტელები გეწინააღმდეგებიან. სამაგიეროდ მტერი გიწყობს ხელს განზრახულის აღსრულებაში. მოწინააღმდეგეთა ხომალდებმა ყოველი მხრიდან შემოგვარტყეს ალყა, ბერძნებს სხვა არაფერი დაგვრჩენია, გარდა იმისა, რომ ვიბრძოლოთ, უკან დასახევი ყველა გზა მოჭრილია“.

თემისტოკლესი ფრიად გაახარა არისტიდესის ნათქვამმა. მან სთხოვა არისტოკრატთა ბელადს, რომელსაც გამორჩეულად ეთაყვანებოდნენ სპარტელები, დაერწმუნებინა მათი ფლოტის მბრძანებელი ევრიბიადესი, დაუხანებლივ დაეწყო საზღვაო ბრძოლა.

როდესაც ნავარქოსთა საბჭოზე იხილავდნენ ბრძოლის საკითხს, არისტიდესს არ მოუთხოვია სიტყვა. შეამჩნია რა ეს, ერთ-ერთმა სტრატეგოსმა თემისტოკლესს მიმართა: „არისტიდესსაც არ მოსწონს შენი გეგმა. ხომ ხედავ, ზის და არაფერს ამბობს“.

მაშინ კი შეეპასუხა არისტიდესი: „არ გავჩუმდებოდი, თემისტოკლესის ჩანაფიქრი საუკეთესოდ რომ არ მიმაჩნდესო“.

არისტიდესი ათენის ჯარს მთავარსარდლობდა სალამისის ბრძოლაში. მან შენიშნა, რომ სალამისის მახლობლად მდებარე კუნძულ ფსიტალიაზე მოწინააღმდეგეთა დიდძალი რაზმები იყვნენ დაბანაკებულნი. ყველაზე მეტად გამბედავ და მეომარ მოქალაქეებთან ერთად არისტიდესი ხომალდებით მიადგა ამ კუნძულს. ბერძნები შეებრძოლნენ სპარსელებსა და მტერთაგან გაწმინდეს ფსიტალია. რამდენიმე ცნობილი სპარსი ტყვედ აიყვანეს. მათ შორის იყვნენ მეფის ახლობლები, რომლებიც არისტიდესმა თემისტოკლესს გაუგზავნა. სპარსი ჭაბუკები ღვთაება დიონისეს შესწირეს მსხვერპლად.

არისტიდესი თავის მეომრებთან ერთად ჩასაფრდა ამ კუნძულზე და ჩაძირული ხომალდებიდან გადარჩენილ სპარსელებს დაუდარაჯდა. აღმოჩნდა, რომ ყველაზე მეტ ხომალდს იქ მოეყარა თავი. ამიტომ სწორედ იქ გაიმართა ყველაზე ცხარე ბრძოლა; სწორედ იქ ალმართეს გამარჯვების ტროპეონიც.

ბრძოლის შემდეგ თემისტოკლესმა ურჩია ბერძნებს დაუყოვნებლივ გაეცურათ ჰელესპონტოსისკენ, დაენგრიათ სპარსელების მიერ აგებული ხიდი, რათა მოწინააღმდეგეთა ლაშქრისთვის არ მიეცათ ევროპიდან შინ დაბრუნების საშუალება. არის-

ტიდესი წინ აღუდგა ამ მოწოდებას. მას სურდა, სპარსელები რაც შეიძლება სწრაფად გასცლოდნენ საბერძნეთს. არისტიდესის აზრით, უკანდასახევ გზას მოწყვეტილი სპარსელები მათდა უნებურად კვლავ დაიწყებდნენ გაცხოველებულ ბრძოლას.

სალამისთან ომის შემდეგ ქსერქსესმა ლაშქრის ნაწილი სასწრაფოდ გაგზავნა აზიაში. საბერძნეთში კი დატოვა თავისი მხედართმთავარი მარდონიოსი, რომელიც მედიდურად სწერდა ბერძნებს:

„თქვენ დაგვამარცხეთ ზღვაზე, მაგრამ ახლა ჩვენს წინაა თესალიისა და ბეოტიის ვრცელი ველები, რაც ესოდენ ხელსაყრელია ჩემი ლაშქრისთვის".

ათენელებს კი გაუგზავნა წერილი, რომელშიც აღუთქვამდა, რომ თუკი ისინი სპარსელებთან დაზავდებოდნენ, აღუდგენდა დარბეულ ქალაქს, მისცემდა დიდძალ ფულსა და სხვა ბერძნებზე აბატონებდა.

სპარტელებმა, შეშინებულებმა იმით, რომ ათენელები მიიღებდნენ ამ წინადადებას, წარგზავნეს ელჩები. ისინი ათენელებს სთავაზობდნენ, ბავშვები და ქალები გამოეგზავნათ სპარტაში, სადაც მათ უზრუნველჰყოფდნენ კვებით.

არისტიდესის რჩევით ათენელებმა მხნე და სიამაყით აღსავსე პასუხი გაუგზავნეს სპარტელებს:

„რა გასაკვირია – ეწერა წერილში – მტრებს რომ ჩვენი მოსყიდვა სურდეთ. შესაძლოა, მათ არ იციან, რომ არც მიწაზე და არც მიწის ქვეშ მოიპოვება იმდენი ოქრო, რომელსაც ათენელები ელინთა თავისუფლებას ანაცვალებენ. თქვენ კი, სპარტელებს, უნდა გრცხვენოდეთ, ათენელებს რომ სთავაზობთ საზღაურის წილ მათი სამშობლოს დაცვას".

მარდონიოსის ელჩებს კი არისტიდესმა ასე მიუგო, მიახედა რა მზისკენ: „ვიდრე მნათობი თავისი გზით ივლის ტატნობზე, ათენელები სპარსელებთან იბრძოლებენ თავიანთი აწიოკებული ქვეყნისა და შეგინებული და დაფერფლილი ტაძრებისათვის".

როდესაც მარდონიოსი მეორეგზის შეიჭრა ატიკაში (ძვ.წ. 479 წ.), ქალაქის მკვიდრნი კვლავ სალამისზე გადასახლდნენ. არისტიდესის რჩევით ათენელებმა სპარტაში წარგზავნეს ელჩები. ისინი შველას სთხოვდნენ სპარტელებს. სპარტის მმართველებმა მათ გაუგზავნეს ხუთი ათასი მეომარი. საბრძოლო რაზმებს შვიდშვიდი ჰელოტი ედგა სათავეში.

მოსალოდნელ ბრძოლაში ათენელთა წინამძღოლობისათვის სტრატეგოსად არჩეული არისტიდესი პლატეაში ათენელ ჰოპლიტთა თანხლებით ჩავიდა. აქ მას შეუერთდა სპარტის მეფე პავსანიასი, რომელიც სათავეში ედგა საერთო ბერძნულ ლაშქარს. მათთან განუწყვეტლივ მოდიოდნენ სხვა ბერძნულ სახელმწიფოთა საბრძოლო რაზმები. სპარსელები მდინარე ასოპოსის გასწვრივ დაბანაკდნენ.

სპარტელებთან ერთად პელოპონესოსიდან მოსული ტეგეელები[1] მოითხოვდნენ, რომ მათი რაზმისთვის მიენიჭებინათ ბერძნული ლაშქრის მარცხენა ფრთის დაკავების უფლება.[2] ამასთანავე, ისინი ყოველნაირად აქებდნენ თავიანთ წინაპრებს, რომლებიც, მათი თქმით, მუდამ ამ ფრთაზე იბრძოდნენ და იმარჯვებდნენ კიდეც.

არისტიდესი, რომელმაც შენიშნა, რომ ათენელები აღშფოთებულნი იყვნენ, მიუახლოვდა მათ და უთხრა:

– ახლა წინაპართა სიმამაცეზე კამათის დრო არ გვაქვს. როგორი ადგილიც არ უნდა მოგვაკუთვნონ მწკრივში, ჩვენ შევეცდებით არ შევლახოთ უწინდელ ბრძოლებში მოპოვებული დიდება. ჩვენ აქ მოვედით არა მოკავშირეებთან საკამათოდ, არამედ მტერთან საბრძოლველად. ადგილი როდი ანიჭებს კაცს უაღრესობას. დაე, თვით ბრძოლამ დაგვანახოს, ვინ უფრო მეტი პატივის ღირსია.

ბერძენთა ძალებსა და ერთიანობას მხოლოდ მოკავშირეთა უთანხმოება როდი ასუსტებდა. ბრძოლის წინა დღეს ათენელები შეაშფოთა მდიდართა ქცევამ. ომით დაქცეულებმა დაინახეს, რომ სიმდიდრესთან ერთად გაქრა მათი ძალმოსილებაც. პლატეაში მალულად შეკრებილმა მდიდრებმა დემოკრატიის დასამხობად შეთქმულება მოაწყვეს. წარუმატებლობის შემთხვევაში მათ განზრახული ჰქონდათ სპარსელთა მხარეს გადასვლა, რაც ღალატის ტოლფასი იყო. შეთქმულებს მრავალი მომხრე აღმოაჩნდათ. მოლაშქრეთაგან მრავალი მზად იყო, მათ კვალს გაჰყოლოდა.

არისტიდესმა შეიტყო შეთქმულების ამბავი, მაგრამ დრო ძიებისათვის ხელსაყრელად არ მიიჩნია. თუმცა ამ ამბის უყურადღებოდ მიტოვებაც არ შეიძლებოდა. შეთქმულთა შორის არსტიდესმა მხოლოდ რვა კაცი შეიპყრო. ყველაზე მეტად დამნაშავე ორი შეთქმული გაიქცა. დანარჩენები არისტიდესმა თავად გაუშვა. მას სურდა, მათთვის მონანიებისა და დანაშაულის გამოსყიდვის საშუალება მიეცა გადამწყვეტ ბრძოლაში.

ამასობაში მარდონიოსი მთავარი ომისთვის ემზადებოდა. იგი იმედებს თავის მხედრიონზე ამყარებდა. ბერძენთა მთელი ლაშქარი კითერონის მიუვალ კლდოვან ფერდობებზე ჩასაფრდა. მხოლოდ სამი ათასი მეგარელი დაბანაკდა გაშლილ ზეგანზე. ამიტომაც ჩავარდნენ უმძიმეს მდგომარეობაში. ყოველი მხრიდან ღია ბანაკს სპარსი მხედრები დაესხნენ თავს. მეგარელებმა დაუყოვნებლივ აფრინეს მაცნე სპარტის მეფე პავსანიასსთან დახმარების თხოვნით. მაგრამ მეფე ვერ ბედავდა სპარს ცხენოსნებთან ომის უმეცარ სპარტელ ჰოპლიტთა ბრძოლის ველზე გაგზავნას. ამასობაში მტრისგან ნატყორცნი შუბებითა და ისრებით დაფარული მეგარელთა ბანაკი სავსებით მიეფარა თვალს.

მაშინ პავსანიასმა სთხოვა მის ირგვლივ მდგომ მხედართმთავრებს, დახმარებოდნენ მეგარელებს. არავინ გამოხმაურებია ამ მოწოდებას. მხოლოდ არისტიდესმა შეკრიბა ათენელთა სახელით სამასი რჩეული მებრძოლი. მათ ერთად მოიყარეს თავი და სირბილით ისწრაფეს ბრძოლის ველისკენ.

სპარსეთის ცხენოსანთა ჯარის მეთაურმა, ძალითა და ახოვანებით გამორჩეულმა მასისტიოსმა დაინახა თუ არა ათენელები, მოაბრუნა ცხენი და მათ შესახვედრად გააჭენა. გაჩაღდა სასტიკი ბრძოლა. ბერძნები მტერს ხელდახელ ებრძოდნენ. მათი ისარი მასისტიოსის ცხენს მოხვდა. გამძვინვარებულმა ცხენმა თავისი მხედარი ძირს დაანარცხა. სპარსთა მხედართმთავარი მძიმე აბჯრით იყო აღჭურვილი. ამიტომ მას თავად არ შეეძლო წამოდგომა, ვერც ათენელებმა შეძლეს მისი განგმირვა. ბოლოს, როგორც იქნა ერთ-ერთმა მეომარმა მუზარადის თვალისთვის განკუთვნილ ადგილას ჩაარჭო შუბი და ასე მოკლა მიწად განრთხმული მასისტიოსი. გადარჩენილმა სპარსელებმა მხედართმთავრის გვამი მიაგდეს და პირი იბრუნეს.

შიშის ზარმა მოიცვა სპარსეთის ლაშქარი. ბრძოლის ველი გლოვითა და მოთქმით აღივსო. მძიმე იყო სპარსელებისთვის მასისტიოსის დაკარგვა, რადგანაც იგი სიქველითა და სიმამაცით მხოლოდ და მხოლოდ მარდონიოსს თუ ჩამოუვარდებოდა.

სპარსეთის მხედრიონთან შებმის შემდეგ ბრძოლა დიდი ხნით შეწყდა. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ მისნებმა გამარჯვება უწინასწარმეტყველეს მას, ვინც თავდასხმით კი არა, თავდაცვით ბრძოლაში ჩაებმებოდა. სპარსელებისთვის ხელსაყრელი იყო ბრძოლა გაშლილ ველზე, სადაც ისინი წარმატებით ისარგებლებდნენ თავისი ცხენოსნებით. ბერძნებს კი სურდათ ებრძოლათ კლდოვან ფერდობებზე, სადაც სპარს მხედართა გამოყენება შეუძლო იყო. ესმოდათ რა, რომ მოპირისპირე ძალთაგან ყოველი უკეთ იომებდა იქ, სადაც იყო ჩასაფრებული, სპარსი და ბერძენი მისნები თავიანთ მოსაზრებებს ღვთის ნებად აცხადებდნენ და წინასწარმეტყველებდნენ, რომ თავდასხმას არ მოჰყვებოდა წარმატება. გარემოებათა გამო სპარსელები იძულებულნი იყვნენ ეჩქარათ. მარდონიოსს შემორჩენილი ჰქონდა მხოლოდ რამდენიმე დღის საკვები მარაგი. ბერძენთა რიცხვი კი განუწყვეტლივ იზრდებოდა. მარდონიოსმა გადაწყვიტა, აღარ გადაედო ბრძოლა.

შუაღამისას ბერძენთა ბანაკს მალულად მიუახლოვდა ცხენზე ამხედრებული კაცი. მან არისტიდესი იხმო და უთხრა:

– მე მაკედონიის[3] მეფე ვარ, ალექსანდრე. თუმცა უდიდეს საფრთხეში ჩავიგდე თავი, მაგრამ მაინც მოვედი, რათა გაგაფრთხილოთ: ხვალ მარდონიოსი იწყებს ბრძოლას, რადგანაც სხვა გამოსავალი არა აქვს.

ასე თქვა ალექსანდრემ და სთხოვა არისტიდესს არ გაეთქვა მისი მოსვლის ამბავი.



– მე ვერ დავუმალავ შენს ნათქვამს პავსანიასს, მაგრამ მის გარდა ამას ვერავინ გაიგებს – აღუთქვა არისტიდესმა.

როდესაც მაკედონელთა მეფე თვალს მიეფარა, არისტიდესმა ყველაფერი უამბო პავსანიასს. მან დაუხანებლივ იხმო სტრატეგოსები და ლაშქრის საბრძოლო მზადყოფნის ბრძანება გასცა. არისტიდესს კი სპარტის მეფემ თხოვნით მიმართა, გადაეყვანა ათენელები მარჯვენა ფრთაზე და სპარსელების პირისპირ განელაგებინა. იგი ვარაუდობდა, რომ ათენელები სხვებზე უკეთ შეებრძოლებოდნენ მტერს, რამეთუ მათთან შებმის გამოცდილება უკვე ჰქონდათ. მარცხენა ფრთა კი, რომლის პირისპირ განლაგებულნი იყვნენ სპარსეთის არმიაში შემავალი მცირეაზიელი ბერძნები, მან სპარტელებისთვის ითხოვა.

ათენელი სტრატეგოსები თვლიდნენ, რომ პავსანიასი უსამართლოდ მოიქცა, მიუჩინა რა მათ ყველაზე სახიფათო ადგილი. მაგრამ არისტიდესმა მიიღო სპარტელთა წინადადება. მან შეახსენა თავის თანამემამულეებს, რომ სულ ახლახანს ისინი ტეგეელებს ედავებოდნენ მარცხენა ფრთის საპატიო ადგილისათვის. ახლა კი, ოდეს სპარტელებმა საკუთარი ნებით დაუთმეს მათ უფრო საპატიო მარჯვენა ფრთა, ისინი ისევ უკმაყოფილონი არიან მინიჭებული პატივით.

არისტიდესის სიტყვამ გონს მოაგო ათენელები და მათ ხალისით გაუცვალეს ადგილი სპარტელთ. მთელ ბანაკს მოედო არისტიდესის ნათქვამი:

„რისი უნდა გვეშინოდეს? განა მტერი უფრო მეტად მამაცი გახდა, მისი იარაღი კი – უკეთესი? არაფერი შეცვლილა მარათონის ბრძოლების შემდეგ. ჩვენ გავიმარჯვებთ!"

მარდონიოსმა ბერძენთა განლაგების თაობაზე მტრის მხარეზე გადასულთაგან შეიტყო და სასწრაფოდ შეუცვალა წყობა თავის ლაშქარსაც. მას სურდა, რომ სპარსელთა პირისპირ სპარტელები ყოფილიყვნენ. შესაძლოა, იმის გამო, რომ ეშინოდა ათენელებისა, ისიც შესაძლოა, რომ დიდ პატივად მიაჩნდა ბრძოლა სწორედ სპარტელთა წინაალმდეგ.

როგორც კი პავსანიასმა ეს შენიშნა, კვლავ განალაგა ათენელები სპარსელთა პირისპირ.

და კვლავ შეუცვალა წყობა მარდონიოსმა თავის ლაშქარს.

დღემ ამაო გადალაგებებში განვლო. შეღამებისას ბერძნებმა გადაწყვიტეს უფრო ხელსაყრელი პოზიცია დაეკავებინათ. სტრატეგოსებმა ჯარი შერჩეული ადგილისაკენ წაიყვანეს, მაგრამ მეომრები ზანტად და უხალისოდ მიაბიჯებდნენ.

მარდონიოსს შეუმჩნეველი არ დარჩენია ის, რომ ბერძნებმა დატოვეს ძველი სამყოფელი. მან ჩათვალა, რომ მტერი უკან იხევდა და თავისი ჯარი კვალდაკვალ დაადევნა სპარტელებს. სპარსელები ხმამაღალი ყვირილითა და იარაღის ჟღარუ-



ნით მირბოდნენ. ისინი თვლიდნენ, რომ მტერთან შებმა კი არა, არამედ ძარცვა და გაქცეულთა ხოცვა უწევდათ. და მართლაც, კინალამ ისე მოხდა, როგორც ისინი ვარაუდობდნენ.

სპარსელთა მოახლოება რომ შენიშნა, პავსანიასმა რაზმების საბრძოლო მზადყოფნის განკარგულება გასცა. მან სპარტელებს უბრძანა, ფარები აეფარებინათ და მტერს დალოდებოდნენ. სპარსელთა ისრები უკვე ბერძენთა ლაშქარს სწვდებოდა, მაგრამ სპარტელები განაგრძობდნენ ადგილზე დგომას. ისრით განგმირული ბევრი მეომარი ძირს ეცემოდა, თუმცა ფალანგა ერთი ნაბიჯითაც არ იხევდა უკან. ბოლოს პავსანიასმა ბრძოლის დაწყების ნიშანი მისცა. მხოლოდ ახლა გაიგეს სპარსელებმა, რომ მათ წინააღმდეგ ილაშქრებდნენ, რომელთაც გადაწყვეტილი ჰქონდათ ებრძოლათ სულის ამოხდომამდე.

როდესაც წნელისგან დაწნულ ფართა უზარმაზარი ზღუდე იხილეს, სპარსელებმა წინ გაიყვანეს მშვილდოსნები, რომლებმაც ნატყორცნი ისრებით დაფარეს ბერძენთა ჯარი.

სპარტელები ფარით ფარზე მიბჯენილები მიიწევდნენ სპარსელებისკენ. ისინი მიუახლოვდნენ მტერს, გაარღვიეს მჭიდრო მწკრივები და შუბებით დაიწყეს ბძროლა. სპარსელებმა შიშველი ხელები შეაგებეს შუბებს და მათი დიდი ნაწილი გადატეხეს. შემდეგ ქარქაშებიდან ამოაძრეს იარაღი და მახვილები და სატევრები დააბზრიალეს. სისხლისმღვრელი და სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა.

როდესაც ათენელებს ბრძოლის ყიჟინა ესმათ, სასწრაფოდ გაეშურნენ სპარტელთა დასახმარებლად. ხმამაღალი ყვირილით დაეშვნენ ისინი ველზე. წინ სპარსთა მხარეს გადასული ბერძნები შემოეფეთათ. როგორც კი მათ თვალი მოჰკრა, არისტიდესი საკმაო მანძილით წინ გაიჭრა და ელინთა ყველა ღმერთის მოხმობით ეეედრებოდა მომხდურებს: ნუ შეგვებრძოლებით, ხელს ნუ შეგვიშლით დავეხმაროთ იმათ, ვისაც ელადისათვის თავი აქვს დადებულიო. როცა დაინახა, მას ყურს არ უგდებდნენ და საბრძოლველად მწკრივდებოდნენ, არისტიდესმა სპარტელთა დასახმარებლად სვლა შეწყვიტა და მოლალატე ბერძნებს ეკვეთა. მათი რიცხვი ორმოცდაათი ათასს აღწევდა. მიუხედავად სიმრავლისა, მოლალატე ბერძენთა დიდი ნაწილი უკუიქცა.

ბრძოლა ერთდროულად ორ ადგილას იყო გაჩაღებული. სპარტელებმა მალე დაამარცხეს მოწინააღმდეგე და აიძულეს იმ გალავანს მიღმა მიმალულიყო, რომელიც მტრის აღალს ერტყა.

სპარსელთა მხარეს მებრძოლ ბერძენთა დამარცხებიდან მცირე ხნის შემდეგ ათენელებთან მოვიდა მაცნე იმ უწყებით, რომ სპარსელები უკუიქცნენ თავის ბანაკში. ათენელებმა იცოდნენ, რომ სპარტელებს არ შეეძლოთ გამაგრებული ად-

გილის იერიშით აღება და ამიტომ სასწრაფოდ დაიძრნენ მათ მისაშველებლად. ათენელებმა მისვლისთანავე აიღეს აღალი და დაამარცხეს დიდძალი მტერი. ეს ბრძოლა ძვ.წ. 479 წელს მოხდა. ბერძნებმა დაკარგეს ათას ხუთას მებრძოლზე ნაკლები. სპარსელთა დანაკარგი გაცილებით დიდი იყო.

ბრძოლის შემდეგ ბერძენმა სტრატეგოსებმა დაიწყეს დავა იმაზე, თუ ვისთვის მიეკუთვნებინათ გამარჯვების ჯილდო. ათენელებს არ სურდათ დაეთმოთ სპარტელებისთვის. დავა გამძაფრდა, ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ მოდავეები იარაღსაც კი აღმართავდნენ ერთმნეთზე. ამ უმძიმეს დროს, როდესაც თავისუფლების საქმე უკულმა უნდა დატრიალებულიყო, არისტიდესმა დაარწმუნა სტრატეგოსები, დავის გადაწყვეტა მიენდოთ მთელი ბერძნული ლაშქრისთვის.

ყველას ესმოდა, რომ თუ საქმე ათენელთა ან სპარტელთა სასარგებლოდ გადაწყდებოდა, მათ შორის ომი გარდაუვალი იყო. ხანგრძლივი განსჯის შემდეგ დაადგინეს, გამარჯვების ჯილდო მიეკუთვნებინათ პლატეელთათვის, ვის მიწაწყალზეც ეს დიადი ბრძოლა გამარჯვებით დაგვირგვინდა.

ამ გადაწყვეტილებას პირველი არისტიდესი მიესალმა ათენელთა სახელით, შემდეგ კი პავსანიასიც – სპარტელთა სახელით.

პლატეელებს გამოუყვეს 80 ტალანტონი. ამ ფულით მათ ქალღმერთ ათენას აუგეს დიდებული ტაძარი. სპარტელებმა და ათენელებმა კი თავ-თავიანთი ტროპეონები აღმართეს.

ბერძნებმა დელფოს მისანს მიმართეს მსხვერპლშეწირვების თაობაზე. მისნის პასუხი ასეთი იყო: სამადლობელი მსხვერპლი მხოლოდ მას შემდეგ უნდა შეეწირათ, როდესაც მთელ საბერძნეთში ჩააქრობდნენ სპარსელთა მიერ გაჩაღებულ წაბილწულ ცეცხლს და აღანთებდნენ ახალს, რომელიც დელფოს საერთო კერიიდან იქნებოდა აგზნებული.

მაშინ ბერძენთა ბელადებმა ბრძანეს, ყოველგან ჩაეხშოთ ცეცხლი. ევქიდას პლატეელმა კი იკისრა დელფოს ცეცხლის რაც შეიძლება სწრაფად ჩამოტანა. მან თავი შეიმკო დაფნის გვირგვინით, საკუთრხევლიდან აიღო ცეცხლი და სირბილით დაეშვა დაბლა. გადმოგვცემენ, რომ ევქიდასმა იმავე დღეს, მზის დახდომამდე მიაღწია პლატეას, გაირბინა რა ათასი სტადიონი (დაახლოებით 180 კმ.). ჩამოიტანა თუ არა ცეცხლი, იგი იმ წამსვე დაეცა სულამოხდილი.

ამის შემდეგ მოწვეულ იქნა ბერძნული სახელმწიფოების წარმომადგენელთა კრება. არისტიდესმა ხალხს ურჩია, რომ პლატეაში ყოველწლიურად შეკრებილიყვნენ ბერძენთაგან ურჩეულესნი და რომ ყოველ ხუთ წელში ერთხელ აქ გაემართათ ელევთერიული ასპარეზობები.[4] ამავე კრებაზე გადაწყდა, რომ სპარსე-



ლებთან შემდგომი ბრძოლებისათვის შეეკრიბათ მოკავშირეთა ლაშქარი, რომელიც გააერთიანებდა 10 000 მძიმედ შეიარაღებულ მეომარს, 1000 მხედარსა და 100 ხომალდს.

ამ დღიდან მოყოლებული პლატეას მიწა ბერძენთათვის ხელშეუხებელი იყო. პლატეელებს დაეკისრათ, სრულიად საბერძნეთის სახელით შეეწირათ მსხვერპლი ღმერთებისათვის.

როდესაც არისტიდესი ათენში დაბრუნდა, თემისტოკლესმა სახალხო კრებაზე განაცხადა, რომ განიზრახა სახელმწიფოსთვის სასარგებლო რამ, „მაგრამ – თქვა თემისტოკლესმა – არ შემიძლია ასე ცხადად მისი გამხელა".

ათენელებმა მოსთხოვეს თემისტოკლესს, ყოველივე გაენდო მხოლოდ არისტიდესისათვის, ვის სამართლიანობასა და პატიოსნებაშიც არ ეპარებოდათ ეჭვი. როგორც გაირკვა, ბერძნულ სახელმწიფოთა ხომალდები დაუცველად იყვნენ თავმოყრილნი ერთ ნაპირთან. თემისტოკლესს სურდა, ესარგებლა ამით, ხელში ჩაეგდო ისინი და დაეწვა. მისი აზრით, მაშინ ათენელები შეიქმნებოდნენ უძლიერესნი ზღვაზე, რაც საშუალებას მისცემდა მათ ებატონათ მთელ საბერძნეთში.

სახალხო კრებაზე გამოსულმა არისტიდესმა აღნიშნა, რომ არაფერი იქნებოდა უფრო მნიშვნელოვანი ათენისათვის, ვიდრე ის, რაც განიზრახა თემისტოკლესმა, მაგრამ არც არაფერი იქნებოდა უფრო უზნეოც. არისტიდესის ამ განაჩენის შემდეგ ათენელებმა თემისტოკლესს მოსთხოვეს უკუეგდო თავისი ჩანაფიქრი.

მალე სტრატეგოსად არჩეული არისტიდესი გაგზავნეს სპარსელთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ადგილზე მისულმა ნახა, რომ პავსანიასი და სხვა სპარტელი მხედართმთავრები უხეშად და მედიდურად ეპყრობოდნენ ბერძნებს. ისინი სასტიკად სჯიდნენ რიგით მეომრებს. პავსანიასი სხვა ბერძენ მეომართა ხარჯზე სპარტელებს უკეთეს პირობებს უქმნიდა, კადნიერად და ქედმაღლურად ექცეოდა ყველას.

არისტიდესმა შეძლო მოკავშირეთა კეთილგანწყობის დამსახურება და სპარტელთა უპირატესობის გაქარწყლება. მრავალი მხედართმთავარი, განსაკუთრებით კუნძულების სახელმწიფოებისა, სთხოვდა მას, ხელში აეღო მთელი ლაშქრის განმგებლობა. არისტიდესს არ სურდა სპარტელების განაწყენება, იგი ჯერ არ იყო დარწმუნებული, რომ მოკავშირეები სათანადო ჟამს მას დაუჭერდნენ მხარს. არისტიდესისათვის რომ თავისი ერთგულება დაემტკიცებინათ, მოკავშირეები თავს დაესხნენ პავსანიასის ხომალდს. მათი მოთხოვნით პავსანიასი იძულებული გახდა უარი ეთქვა მთავარსარდლობაზე.

სპრატელმა კანონმდებლებმა გადაწყვიტეს, კავშირის წინამძღოლობის გამო არ შებმოდნენ ათენელებს. მათ უკან გაიწვიეს პავსანიასი, ხოლო შემცვლელი მხე-



დართმთავარი არ გაგზავნეს. მათი ჯარები მეტად აღარ მონაწილეობდნენ სპარსელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. სპარტელები თვლიდნენ, რომ მათ აღარ ეყოფოდათ ძალა ჰელოტების შესანახად და პელოპონესოსში გაბატონებული მდგომარეობის შესანარჩუნებლად, თუკი დაიწყებდნენ ზღვაზე უპირატესობის მოპოვებისათვის ბრძოლას.

ასე რომ, ნაცვლად სპარტის მეთაურობით არსებული ანტისპარსული კავშირისა, შეიქმნა ათენის საზღვაო კავშირი (ძვ.წ. 478 წ.).

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც სპარტა მეთაურობდა კავშირს, გადაწყდა, რომ ყოველ ბერძნულ სახელმწიფოს ომის საჭიროებისათვის გარკვეული გაადსახადი უნდა გაელო. თავის დროზე ამ გადასახადთა ოდენობამ დიდი კამათი გამოიწვია. ახლა, როდესაც მეთაურობა ათენის ხელში გადავიდა, არისტიდესს დაეკისრა სახელმწიფოთა ადგილ-სამყოფელისა და შემოსავლის გათვალისწინებით დაედგინა გამოსაღების სიდიდე.

არისტიდესის ხელთ უდიდესი ძალაუფლება აღმოჩნდა, მაგრამ მას არ უსარგებლია ამით. გადასახადთა სამართლიანი განაწილებით მან ისეთი დიდება მოიპოვა, როგორიც არ ჰქონია არცერთ ადამიანს. აღნიშნულ მოვლენათა თანამედროვე ჰეროდოტოსი გადმოგვცემს, რომ არისტიდესის მიერ დაწესებული გადასახადი არ განსხვავდებოდა იმ გამოსაღებისაგან, რომელსაც უხდიდნენ სპარსელებს დამონებული ბერძნული სახელმწიფოები.

თემისტოკლესი კვლავაც ეპაექრებოდა არისტიდესს. იგი ამბობდა, სტრატეგოსის ყველაზე დიდ ღირსებად მტრების ზრახვათა გამოცნობის და წინასწარი მხილების უნარს ვთვლიო.

– ეს რა თქმა უნდა, მართალია, – უპასუხებდა არისტიდესი, – მაგრამ უმთავრესი და ჭეშმარიტად სარდლის საკადრი ღირსება მაინც ისაა, ხელები სუფთა ჰქონდესო.

არისტიდესის მთელი ცხოვრება ამ სიტყვათა დასტური იყო. იგი გარდაიცვალა ათენში, ღრმად მოხუცებული, თანამოქალაქეთა სიყვარულითა და პატივით მოსილი. არისტიდესი იმდენად ღარიბი იყო, რომ მის სახლში დასაკრძალი ფულიც კი არ აღმოჩნდა. სახელმწიფომ თავისი სახსრებით აღმართა ძეგლი მის სამარესთან. იმასაც ამბობენ, რომ ამ დიდებული კაცის ქალიშვილებიც საზოგადოებამ დაათხოვა, ხოლო ვაჟს, ლისიმაქოსს საკადრისი ქონება და მამული უბოძაო.

შენიშვნები:

[1] ქალაქი ტეგეა მდებარეობს არკადიაში, პელოპონესოსის ცენტრალურ ნაწილში.

[2] ლაშქრის ერთ-ერთი ფრთის დაკავება განსაკუთრებულად საპასუხისმგებლო და საპატიო მოვალეობად ითვლებოდა. მარჯვენა ფრთა (ყველაზე საპატიო ადგილი) სპარტას ეკუთვნოდა, მარცხენა ფრთის დაკავების უფლება კი უნდა მინიჭებოდა მნიშვნელობით მეორე სახელმწიფოს – ათენს.

[3] მაკედონია სპარსელთა მეკავშირე იყო.

[4] ეს იყო სპარსეთის უღლისაგან განთავისუფლების სადიდებლად დაწესებული ასპარეზობა. ელევთერია ბერძნულად „თავისუფლებას“ ნიშნავს.



პერიკლესი

ათენელი სახელმწიფო
მოღვაწე, სტრატეგოსი
(დაახლ. ძვ.წ. 490-429 წწ.)

ისტორიოგრაფოსები პერიკლესს ათენური დემოკრატიის მამად აღიარებენ. იმ დროს, როდესაც ეს დიდებული ელინი მოღვაწეობდა, ათენის პოლიტიკურ ცხოვრებაში ორი ძირითადი ძალა მონაწილეობდა. ერთი მიიჩნევდა, რომ ქვეყნის სწორად მართვა მხოლოდ წარჩინებულებს შეუძლიათ, რადგანაც ისინი შეძლებულნიც არიან, განათლებულნიც და ღირსეულთა ჩამომავალნიც; მეორე ძალა დემოსს ეყრდნობოდა და ქადაგებდა, რომ საკუთარი თავის მიუკერძოებელი შემფასებელი თავად ხალხი იყო. ჯერ კიდევ ბერძენ-სპარსელთა ომებამდე ათენში კლისთენესის სახელით ცნობილი რეფორმები განხორციელდა (ძვ.წ. 510 წ.). მისი წინადადებით სახელმწიფოს მმართველობა გადაეცა მოქალაქეთა შორის კენჭისყრით არჩეულ „ხუთასთა საბჭოსა" და ათ სტრატეგოსს, რომელთაც სახალხო კრება ირჩევდა. უმაღლეს ხელისუფლებას სახელმწიფოში განაგებდა სახალხო საბჭო, რომელიც ყველა თავისუფალ მოქალაქეს აერთიანებდა. კლისთენესის რეფორმებმა საბოლოოდ დაასუსტეს ათენში დიდგვაროვანთა უპირატესობა და დააამყარეს დემოკრატია, ანუ ხალხის მმართველობა. არ უნდა დავიმიწყოთ ისიც, რომ იმხანად „ხალხის" ცნება არ გულისხმობდა მონებს, ქალებსა და სხვა სახელმწიფოებში მოსახლე ბერძნებს. ასე რომ, ეს „ხალხი" მთელი მოსახლეობის ერთ მერვედზე მეტს არ შეადგენდა.

პერიკლესის მშობლები, ქსანთიპოსი და აგარისტე ათენის ყველაზე ცნობილ გვართა ჩამომავლები იყვნენ. ქსანთიპოსმა სახელი მოიხვეჭა ბერძენ-სპარსელთა ომების დროს. იგი მეთაურობდა ათენის ფლოტს, რომელმაც მცირე აზიის სანაპი-



როსთან მდებარე მიკალესთან ბრძოლაში მოიპოვა გამარჯვება. აგარისტე ალკმეონიდების იმ გვარის ჩამომავალი იყო, რომელსაც მიეკუთვნებოდა ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე კლისთენესი, სწორედ ის, ვინც ტირანია დაამხო, კანონები დაამკვიდრა და შექმნა სახელმწიფო წყობილება, რომელშიც საუკეთესოდ იყო ერთმანეთთან შეხამებული თანხმობა და კეთილდღეობა.

დაბადებისთანავე პერიკლესმა, ძლიერმა და ჯანსაღმა ბავშვმა, ყველა გააოცა იმით, რომ თავი ჰქონდა უჩვეულო სიდიდისა და ფორმის. ეს ნაკლი მას მთელი ცხოვრების მანძილზე შერჩა და რომ დაეფარათ იგი, სახელოვან სტრატეგოსს მუდამ მუზარადით გამოსახავდნენ ხოლმე. სამაგიეროდ, კომედიოგრაფოსებს ჰქონდათ ყბადაღებული მისი საოცრად დიდი თავი. ატიკელი პოეტები მას სქინოკეფალოსს, ანუ „ზღვის ხახვისთავას“ უწოდებდნენ.

პერიკლესმა ჩინებული განათლება მიიღო. მას ასწავლიდნენ მუსიკასაც და ლექსთწყობასაც. ისმენდა იგი ფილოსოფოს ძენონის ლექციებსაც. ძენონი კამათის დიდოსტატად ითვლებოდა. მას შეეძლო მახვილგონივრული დავით გამოუვალ მდგომარეობაში ჩაეგდო მოპაექრე. მაგრამ ყველაზე მეტად პერიკლესმა დაიახლოვა მცირე აზიიდან ათენში ჩამოსული ფილოსოფოსი ანაქსაგორასი, რომელსაც „გონება“ უწოდეს მისივე თანამედროვეებმა. იგი ამტკიცებდა, რომ მოვლენებს განაგებს არა ღმერთთა დასი, არამედ გონება, რომლის ძალითაც შესაძლებელია მთელი გარემომცველი სამყაროს შეცნობა.

ამ სწავლულმა თავის თხზულებაში „ბუნებისათვის“, შეძლო ეჩვენებინა, მატერიის თუ რა მცირე ნაწილაკებისაგან შეიქმნა მიწა, ზღვები და მნათობებიც კი, რომლებიც, მორწმუნე ბერძენთა აზრით, მაშინ ჩნდებოდნენ, როდესაც ღმერთები ცად აღაზევებდნენ ხოლმე მიწაზე გამორჩეულ რომელიმე გმირს.

მნათობთა ბუნება რომ შეეცნო, ანაქსაგორასმა შეისწავლა მეტეორიტები და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ვარსკვლავთა ნათება დაკავშირებულია სწრაფად მფრინავ „ქვათა ნატეხების“ ფრენით გამოწვეულ სიმხურვალესთან. მზე, ანაქსაგორასის აზრით, გავარვარებული ქვის ნატეხია და არა ღმერთი. სიშორის გამო ჩვენ იგი მცირედ გვეჩვენება, სინამდვილეში კი სიდიდით მთელ საბერძნეთს აღემატება. ის, რასაც ჩვენ მთვარის ნათებად მივიჩნევთ, მზის სინათლის ანარეკლია მხოლოდ. რამდენადაც მთვარე არ არის გავარვარებული სფერო, უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი დედამიწის მსგავსია და შესაძლოა, ქადაგებდა ანაქსაგორასი, მასზეც ცხოვრობენ ადამიანები.

ანაქსაგორასის წიგნში არაფერი იყო ნათქვამი ღმერთებზე. ამიტომ რელიგიურად განწყობილნი ვერ იტანდნენ ამ სწავლულსა და მის ათენიდან განდევნაზე



ოცნებობდნენ. მაგრამ პერიკლესი აღფრთოვანებული იყო ფილოსოფოსით და მისი ხელმძღვანელობით საფუძვლიანად დაეუფლა ციურ მოვლენათა მოძღვრებას.

დიდი ცოდნისა და თანდაყოლილი ნიჭიერების წყალობით პერიკლესის სიტყვები გამოირჩეოდა სილრმითა და დიდებულებით. იგი დადიოდა დინჯად, სამოსი მის სხეულს სწორ ნაკეცებად ეფინა მუდამ, საუბარი ჰქონდა მშვიდი და თავშეკავებული.

არავის შეეძლო მისი აღელვება. ერთხელ, ვილაც ვიგინდარა და თავხედი კაცი განურისხდა. მთელი დღის მანძილზე ლანძღავდა და აგინებდა. პერიკლესი დუმილით ითმენდა ამას მოედანზე და თან რაღაც საქმით იყო დაკავებული. საღამოჟამს, როდესაც შინ ბრუნდებოდა, ეს ვიგინდარა დაედევნა და მთელი გზა წყევლითა და კრულვით აიკლო. სიბნელე იყო, პერიკლესი რომ სახლს მიუახლოვდა. მონას უბრძანა, აეღო სანათური და უცნობი სახლამდე მიეცილებინა.

პერიკლესი, ისევე როგორც მისი მოძღვარი ანაქსაგორასი, არ იყო ცრუმორწმუნე. ერთხელ მასთან მივიდა მისანი, რომელსაც ხელში ცალრქა ვერძის მოკვეთილი თავი ეკავა და უწინასწარმეტყველა, რომ უმოკლეს ხანში სახელმწიფოში მთელი ძალაუფლება ერთი კაცის ხელში მოიყრიდა თავს. მართლაც, მალე პერიკლესმა შეძლო თავისი მოწინააღმდეგის ჩამოცილება და მთელი სახელმწიფოებრივი საქმეები მის ხელთ აღმოჩნდა. მაგრამ სტრატეგოსი მაინც არ უჯერებდა მისანს, რომელიც ისევ არწმუნებდა, რომ წარმატება დაკავშირებული იყო კეთილისმაუწყებელ ნიშანთან. მან ანაქსაგორასს დაავალა, გაერკვია ვერძის სიმახინჯის მიზეზი. სწავლულმა დაამტკიცა, რომ თავის ქალის არასწორი აგებულების გამო მეორე რქა ვერ ამოიზარდა და ამიტომაც არ იყო საკვირველი ის, რომ ვერძს ერთი რქა ჰქონდა მხოლოდ.

ახალგაზრდობისას პერიკლესს ეშინოდა ოსტრაკისმოსისა, რამეთუ წარჩინებულთა მოდგმისა იყო და თანაც მდიდარი, მისი მეგობრები კი სახელმწიფოში ყველაზე გავლენიან ხალხად ითვლებოდნენ. გარდა ამისა, იმასაც ამბობდნენ, რომ პერიკლესი ჩამოჰგავდა ათენის ოდინდელ განმგებელს, ტირან პისისტრატოსს. ხანდაზმულები განცვიფრებას ვერ მალავდნენ, ისე ემსგავსებოდა იგი ხმითა და ლაპარაკის მანერით ათენელ ტირანს.

გაძევების შიშმა აიძულა პერიკლესი ჩამოსცილებოდა სახელმწიფო საქმეებს. მაგრამ იგი მრავალი ლაშქრობის მონაწილე იყო და სიქველით და სიმამაცით გამოირჩეოდა.

იმხანად ათენში აღარ იყვნენ სახელმორჭმული სახელმწიფო მოღვაწეები: არისტიდესი გარდაიცვალა, თემისტოკლესი გააძევეს, ხოლო კიმონი მუდამ შორეულ ლაშქრობებში იმყოფებოდა. ისე მოხდა, რომ პერიკლესი მისდა უნებლიეთ ჩაით-



რიეს სახელმწიფოებრივ საქმიანობაში და მაღალ თანამდებობაზე აირჩიეს. მიუხედავად დიდგვაროვნებისა, პერიკლესი სიცოცხლის ბოლომდე იბრძოდა ათენის სახელმწიფოს ღარიბ მოქალაქეთა უფლებებისათვის. როდესაც დემოკრატიული პარტიის ბელადად აღიარეს, მან მკვეთრად იცვალა ცხოვრების ნირი: შეწყვიტა თავის ნათესავებთან სიარული და წარჩინებულებთან მეგობრობა.

პერიკლესი იშვიათად გამოდიოდა სახალხო კრებებზე. იგი გაურბოდა უმნიშვნელო საკითხებზე სჯა-ბაასს, რადგანაც არ სურდა, მის გამოსვლებს შეჩვეოდა ხალხი. პერიკლესის სიყტვა ყოველთვის იყო ხატოვანი და შთამაგონებელი. ნიჭიერებისა და ღრმა განათლებულობის წყალობით მისი გამოსვლები მჭევრმეტყველების მაღალი ხელოვნებით გამოირჩეოდნენ. პოეტთა თქმით, როდესაც იგი ხალხის წინაშე სიტყვას ამბობდა, „ქუხდა" და „ელავდა", ხოლო ენაზე მეხი ეკიდა. ამის გამო, ასე თვლიდნენ ზოგიერთები, მას „ოლიმპიელი" უწოდეს.[1] თუმცა, უფრო სარწმუნოა, რომ მან ეს სახელი დაიმსახურა არა იმდენად ენამჭევრული ნიჭისათვის, რამდენადაც სახელმწიფოში მოპოვებული უფლებებისთვის. პერიკლესს გააჩნდა დარწმუნების გამაოგნებელი უნარი. ერთხელ სპარტის მეფემ სახელოვან მოასპარეზე თუკიდიდესს ჰკითხა, ვის თვლიდა უფრო ძალმოსილად – თავის თავსა თუ პერიკლესს. თუკიდიდესმა ასე მიუგო: „ორთავე ბეჭითაც რომ დავცე მიწად პერიკლესი, მაშინაც კი დაამტკიცებს, რომ მე დავმარცხდი და ხალხიც მას დაუჯერებს!"

პერიკლესს თავად ეშინოდა საკუთარი მჭევრმეტყველებისა. როდესაც სიტყვა გაიტაცებდა, შეეძლო საკუთარი თავის საზიანოდაც კი ესაუბრა. ამიტომ ყოველი გამოსვლის წინ იგი ღმერთებს ევედრებოდა, ბაგეთაგან არ დასცდენოდა მოუფიქრებელი სიტყვა. იმხანად გამოსვლებს არ იწერდნენ. სულ, რაც შემორჩა მისი ბრწყინვალე მჭევრმეტყველებიდან, ეს არის მისივე სიტყვების საფუძველზე მიღებული დადგენილებები.

როდესაც პერიკლესი ჯერ კიდევ ჭაბუკი იყო, დემოკრატიული პარტიის სათავეში იდგა ეფიალტესი, ვისი წინადადებითაც არისტოკრატთა საბჭოს – არეოპაგს ჩამოერთვა უფლებები. პერიკლესი მისი უახლოესი მეგობარი და თანამოაზრე იყო. ეფიალტესი საშიში იყო წარჩინებულთათვის და უმოწყალო იმ ადამიანთა მიმართ, რომელთაც ხალხის წინაშე შეეძლოთ, ჩაედინათ დანაშაული. ერთი არისტოკრატი მწერლის ხატოვანი თქმით, ეფიალტესი ხალხს „განუზავებელი თავისუფლებით" გაუმასპინძლდა. ამ ულუფის მერე კი ამავე ხალხმა აღარ ისურვა ესმინა ძველი ბელადებისთვის.[2]

მტრებმა ეფიალტესს დაქირავებული მკვლელი მიუგზავნეს და დემოკრატთა ბელადი მისი ხელით განგმირეს. დემოკრატიული პარტიის სათავეში დარჩა მხოლოდ პერიკლესი. არისტოკრატთა ბელადი კიმონი ოსტრაკისმოსის წესით განდევნეს, რა-



მეთუ იგი სპარტული წყობის მომხრე იყო და ხალხს მოუწოდებდა მეამბოხე ჰელოტებთან მებრძოლ სპარტელთა დასახმარებლად გალაშქრებას. არად ჩააგდო ხალხმა მისი სპარსელებთან ბრძოლის ჟამს მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვებებიც.

კიმონის გაძევების ვადა ჯერ არც კი იყო გასული, როდესაც გაჩაღდა ბრძოლა სპარტასა და ათენს შორის. სპარტელთა დიდძალი ლაშქარი შეიჭრა ატიკის მოსაზღვრე ბეოტიაში. ათენელები მაშინვე გაეშურნენ სპარტელთა წინააღმდეგ საბრძოლველად. შეიტყო რა ეს ამბავი, გაძევებული კიმონი თვითნებურად დაბრუნდა ათენში, რათა ბრძოლაში მიეღო მონაწილეობა. ამით სურდა, დაემტკიცებინა, რომ სამშობლოს ინტერესები უფრო ძვირფასი იყო მისთვის, ვიდრე სპარტა. მაგრამ პერიკლესის მომხრეებმა კიმონს, ახსოვდათ რა მისი გაძევების მიზეზები, მწყობრში ჩადგომის ნება არ დართეს. ტანაგრასთან, ბეოტიისა და ატიკის სამანთან უმოწყალო ბრძოლა გაჩაღდა (ძვ.წ. 457 წ.). პერიკლესი თავს არ ზოგავდა და განსაკუთრებული სიმამაცით იბრძოდა. და მაინც, ათენელები დამარცხდნენ.

გამოცდილი მხედართმთავრის, კიმონის გაძევება სანანებელი გაუხდათ ათენელებს, რომლებიც თვლიდნენ, რომ იგი მათ ქალაქს ამ სამარცხვინო მარცხამდე არ მიიყვანდა. პერიკლესი გრძნობდა მოქალაქეთა უკმაყოფილებას და განიზრახა, თავად დაჰყოლოდა მათ ნებას. მან ურჩია ხალხს, დაებრუნებინათ კიმონი ათენში. ასეც მოიქცნენ. კიმონი დაბრუნდა და მიაღწია ზავს ათენსა და სპარტას შორის. ათენელებში ხმა დაირხა, თითქოს პერიკლესმა მხოლოდ მას შემდეგ შეიწყალა კიმონი, რაც კიმონის დამ, ელპინიკემ აღუთქვა, რომ მისი ძმა დაბრუნებისთანავე ჩაებმებოდა სპარსეთის წინააღმდეგ საზღვაო ბრძოლაში. ხოლო ამას შედეგად მოჰყვებოდა ის, რომ მთელი ძალაუფლება ათენში კვლავ პერიკლესის ხელში მოიყრიდა თავს. ამ ლაშქრობის ჟამს, კუნძულ კვიპროსზე, როდესაც ათენელები ალყაში იქცევდნენ სპარსეთისათვის კუთვნილ ქალაქებს, კიმონი დასნეულდა და გარდაიცვალა (ძვ.წ. 449 წ.).

კიმონი

კიმონის სიკვდილმა დაასუსტა არისტოკრატები, რომლებმაც აღარ იცოდნენ, ვინ დაეპირისპირებინათ უკვე სახელმოხვეჭილი პერიკლესისათვის. არისტოკრატებმა თავის ბელადად აირჩიეს კიმონის სიძე თუკიდიდესი, მელესიასის ძე, კაცი შეუბღალავი სახელით.[3] მართალია, მას არ ჰქონია კიმონისმაგვარი სამხედრო ნიჭი, მაგრამ თავისი დიდებული მჭევრმეტყველებით შეძლო არისტოკრატთა გაერთიანება და მათი ინტერესების წარმატებით დაცვა სახალხო კრებაზე.



კიმონის მსგავსად, თუკიდიდესიც ლამობდა მოქალაქეთა გადაბირებას სხვადასხვაგვარი საჩუქრებითა და ღარიბებისადმი დახმარების გაწევით.

სულ სხვაგვარად მოქმედებდნენ დემოკრატები. ისინი თვლიდნენ, რომ ღარიბებს ისეთივე უფლებები უნდა ჰქონოდათ, როგორც შეძლებულ მოქალაქეებს. მართალია, ათენში სიმდიდრე არ მოეთხოვებოდა თანამდებობის პირს, მაგრამ ღარიბ კაცს არ შეეძლო სახელმწიფოებრივ საქმეებში მონაწილეობის მიღება, რადგანაც მთელი მისი დრო ოჯახისათვის ზრუნვას ხმარდებოდა. პერიკლესის წინადადებით, სახელმწიფოებრივი საქმიანობისათვის დაწესდა გასამრჯელო. თავდაპირველად სახალხო სამსჯავროს ნაფიც მსაჯულებს, შემდეგ კი სხვა თანამდებობის პირებსაც საზოგადოებრივი სამსახურისთვის ეძლეოდათ საზღაური. მაგრამ გასამრჯელოიანი თანამდებობა ყოველი ღარიბი მოქალაქისათვის როდი იყო ხელმისაწვდომი. მათი მდგომარეობის შესამსუბუქებლად პერიკლესმა საბჭოს შესთავაზა, ყოველწლიურად ზღვაზე გაეგზავნათ სამოცი ტრიერი, რომლის ეკიპაჟიც ექვსი თვის განმავლობაში მიიღებდა საფასურს. ახალგაზრდები უნდა დაუფლებოდნენ საზღვაო საქმეს, რომლის ცოდნაც ომის დროს გამოადგებოდათ. ამას გარდა, ათენის კავშირში შემავალ სახელმწიფოებში უნდა დაარსებულიყო ათენური დასახლებები, სადაც ყოველ ათენელეს შეეძლო, მიეღო მიწის ნაკვეთი. ამ დასახლებებით ერთდროულად ორი საქმე კეთდებოდა: ატიკის ფარგლებს გარეთ იქმნებოდა გარნიზონები და უბრალო ხალხს მდგომარეობა უმსუბუქდებოდა.

ათენში დარჩენილ ღარიბთა გასართობად პერიკლესი ხშირად აწყობდა საერთო სახალხო ნადიმებს, საზეიმო სვლებსა და თეატრალურ სანახაობებს. თეატრს იმდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რომ პერიკლესის წინადადებით, სადღესასწაულო დღეებში ღატაკებს ფულსაც კი ურიგებდნენ, რათა მათთვის წარმოდგენებზე დასწრების შესაძლებლობა მიეცათ.

პერიკლესმა იზრუნა იმაზეც, რამაც ათენს სამარადისო სახელი მოუხვეჭა, სხვა სახელმწიფოებში კი ერთდროულად გამოიწვია შურიც და აღტაცებაც: მისი განმგებლობის წლებში ათენის აკროპოლისი არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების დიდებული ნიმუშებით შეიმკო. პერიკლესის მიერ აღსრულებულ სახელმწიფოებრივ საქმეთა შორის ამ მშენებლობამ გამოიწვია მოწინააღმდეგეთა გააფთრებული თავდასხმები.

„ათენის ხალხი – გაჰყვიროდნენ ისინი – თანდათან კარგავს სხვა ბერძენთა პატივისცემას. მოკავშირეები გვსაყვედურობენ, რომ ჩვენ საერთო ბერძნული ხაზინა კუნძულ დელოსიდან ათენში გადმოვიტანეთ. ადრე თავს იმით მაინც ვიმართლებდით, რომ საკავშირო ხაზინას აქ უფრო მეტად დავიცავდით, ვიდრე ნებისმიერ სხვა ადგილას. ახლა პერიკლესმა თავის მართლების უფლებაც წაგვართვა.



ომების წარმოებისთვის შეგროვებული ფული ჩვენ თავად დავხარჯეთ იმისთვის, რომ ქალაქი ოქროთი და ძვირფასი ქვებით დაგვემშვენებინა".

ბრალმდებლებს პერიკლესი ასე უპასუხებდა: „ვალდებულნი როდი ვართ ანგარიში ჩავაბაროთ ვინმეს საერთო ხაზინის ხარჯებისათვის. ჩვენ პირნათლად ვასრულებთ ვალდებულებას მოკავშირეთა მიმართ – მათ მტერთა თავდასხმებისგან ვიცავთ. განა ყველასთვის ნათელი არ არის, რომ თავდაცვისათვის გაღებული თანხა ეკუთვნის არა იმას, რომელმაც გასცა, არამედ იმას, ვინც მიიღო, თუ იგი თავის მოვალეობას ასრულებს. მას შემდეგ, რაც ეს კავშირი[4] შეიქმნა, ჩვენ არასოდეს დაგვირღვევია პირობა. სახელმწიფო ომისთვის მზად არის და სწორადაც ვიქცევით, მოკავშირეთაგან შემოსულ ფულს რომ ვახმართ იმას, რაც ჩვენს ქალაქს მარადიულ დიდებას მოუპოვებს, რაც ჩვენს ხალხს არსებობის წყაროთი უზრუნველყოფს. იმ სამუშაოთა წყალობით, რომელიც ათენში მიმდინარეობს, არცერთი ხელობა არ რჩება გამოუყენებელი, არცერთი ხელი – დაუსაქმებელი. სამხედრო სამსახურისთვის გამოსადეგი მოქალაქეები ხომ ლაშქრობათა და სწავლებათა ჟამს იღებენ სახელმწიფო ხაზინიდან საზღაურს. ხელოსნებსაც, რომლებიც სამხედრო საქმეებით არ არიან დაკავებულნი, უფლება აქვთ მხარდაჭერა მოითხოვონ სახელმწიფოსაგან. უქმად მყოფთათვის რომ არ გვერიგებინა ფული, დიახაც, საჭირო იყო ისეთი საქმის წამოწყება, სადაც ყოველი ოსტატისათვის გამოიძებნებოდა მისი ნიჭისა და უნარის შესაფერისი სამუშაო".

პერიკლესმა ხალხს შესთავაზა დიად მშენებლობათა გეგმა, რომლის განსახორციელებლად აუცილებელი იყო მრავალგვარი ხელობის ხანგრძლივი გამოყენება. დასაქმდნენ ხუროთმოძღვრებიცა და მოქანდაკენიც, თოქმაჩებიცა და ქვის მთლელებიც, მღებარები, ოქრომჭედლები, სპილოს ძვლის ოსტატები, მხატვრები, მემინანქრენი და თურძები. ყველა იღვწოდა: ზღვის გზით – ვაჭრნი, მეხომალდენი თუ მესაჭენი; ხმელეთის გზით – ფორან-ურემთა მეპატრონენი თუ მეეტლენი; მათ შორის იყვნენ მებაგირე – მეთოკენი, სირაჯები, გზათა ოსტატნი თუ მემთამადნენი. მიგნებული სამუშაო ყოველი ასაკისა და უნარის შესაბამისად ანაწილებდა და თესდა კეთილდღეობას.

პერიკლესის დროს აღმართული ნაგებობები გამოირჩეოდნენ არა მხოლოდ გრანდიოზულობით, არამედ განუმეორებელი მშვენიერებითაც. ყოველი მშენებელი ცდილობდა თავისი დახვეწილი ოსტატობით გასჯიბრებოდა მეორეს. გასაოცარი მაინც საქმის აღსრულების სისწრაფე იყო. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს თითოეული ნაგებობის აღმართვას თაობათა შრომა უნდა მოხმარებოდა. სინამდვილეში კი ყველაფერი იმ მცირე ხანში აღსრულდა, ვიდრე ათენის სახელმწიფოს სათავეში იდგა პერიკლესი.



აღმშენებლობით სამუშაოებს ხელმძღვანელობდა ფიდიასი,[5] მაგრამ ათენის აკროპოლისის შესამკობად სხვა უდიდესი ხუროთმოძღვრები და მშენებლებიც იღვწოდნენ. ქალაქის მფარველი ღვთაების, ქალწულ ათენას ტაძარი – პართენონი[6] ააგეს კალიკრატესმა და იქტინოსმა, ათენისა და პირეოსის შემაერთებელი „გრძელი კედელიც" კალიკრატესის ნახელავია.

პირველად პერიკლესმა მიიღო სახალხო კრებაზე დადგენილება, რომ პანათენური[7] დღესასწაულები ჩატარებულიყო არა მხოლოდ გიმნასტიკური, არამედ მუსიკალური ასპარეზობებითაც. აირჩიეს რა ამ აგონთა განმკარგულებლად, მან შემოიღო წესები ზეიმში მონაწილე მომღერალთა და მუსიკოსთათვის და სწორედ მაშინ აღაშენა მათი ხელოვნების უკეთ წარმოსაჩენი მრგვალი შენობა – ოდეონი.[8]

საყოველთაო აღტაცება გამოიწვია აკროპოლისის კოლონებით დამშვენებულმა შესასვლელმა – პროპილეებმა. მისი მშენებლობა ხუთი წელი გრძელდებოდა. ჩვენამდე შემორჩენილი ეს ნაგებობა იმდენად მშვენიერია, იმდენად ჰარმონიულად ერწყმის იგი აკროპოლისის სხვა ნაგებობებს, რომ მარად არსებულის შთაბეჭდილებას ტოვებს.

თუკიდიდესი და მისი მომხრეები გამუდმებით კიცხავდნენ პერიკლესს აღმშენებლობითი ხარჯებისათვის. ისე გამწვავდა ბძროლა მათ შორის, რომ სახალხო საბჭოზე ოსტრაკისმოსის საკითხი დაისვა. პერიკლესი საფრთხეში აღმოჩნდა, მაგრამ ხალხის უმრავლესობა მას ემხრობოდა; თუკიდიდესი გააძევეს.

ამით გასრულდა შიდა ბრძოლები. წინამძღოლის გარეშე დარჩენილმა არისტოკრატებმა ყოველგვარი გავლენა დაკარგეს სახალხო საბჭოზე. პერიკლესს აღარ ჰყავდა მოწინააღმდეგეები. ხალხი ყველა მნიშვნელოვან საქმეს: ლაშქარს, ფლოტს, სახელმწიფო ხაზინას მას ანდობდა.

ორმოცი წელი იდგა პერიკლესი სახელმწიფოს სათავეში. თუკიდიდესის გაძევების შემდეგ მისი გავლენა ისე გაიზარდა, რომ სახელმწიფოს მართვის საქმეში სრული უფლებამოსილებით სარგებლობდა, ხალხი თხუთმეტი წლის განმავლობაში ყოველწლიურად ირჩევდა მას სტრატეგოსად. იგი სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის ზრუნავდა, ყურად არ იღებდა არც ცალკეულ მოქალაქეთა ახირებას, არც ბრბოის სურვილს, თუ ამ ბრბოს სურდა არასწორი გადაწყვეტილების მიღება. ჩვეულებრივ, მისი განმგებლობა ხალხის მხარდაჭერას ეფუძნებოდა; მაგრამ ისეც ხდებოდა, რომ იგი ხალხს თავის ნებაზე იყოლიებდა, თუკი სახელმწიფოსთვის სასარგებლო საქმე წყდებოდა. ამ დროს პერიკლესი მოჰგავდა ექიმს, რომელიც ლმობას აყენებდა ისედაც დასნეულებულ ავადმყოფს, ანდა აძლევდა მწარე, მაგრამ უებრო წამალს.

სრული ძალაუფლება პერიკლესმა მოიპოვა არა იმდენად თავისი მჭევრმეტყველების წყალობით, რამდენადაც ხალხის ღრმა რწმენით, რომ მისი მოღვაწეობა მუდამ სახელმწიფოს საკეთილდღეოდ წარიმართებოდა. ყველამ იცოდა, აქცია რა ათენი უმდიდრეს ქალაქად, მას არაფრით გაუუმჯობესებია საკუთარი საბადებელი. პერიკლესი სიმდიდრეს არ ესწრაფოდა. მამისგან მემკვიდრეობით მიღებული მდიდარი მამული მოხერხებულად გამოიყენა: მინდვრებში მოწეულ მთელ მოსავალს ყიდდა, ხოლო ყველაფერს, რაც საჭირო იყო მეურნეობისათვის, ყიდულობდა ბაზარზე. ასეთი ცხოვრება უაზრო ხარჯის საშუალებას არ აძლევდა ოჯახის წევრებს. მის სახლში არ იგრძნობოდა ფუფუნება, ყველაფერი წინასწარგანსაზღვრული წესით ხორციელდებოდა. პერიკლესის ჩინებულად ორგანიზებულ მეურნეობას უძღვებოდა მისი ერთგული მოურავი.

პერიკლესი არ იყო ძუნწი. იგი ფულს ხალისით ხარჯავდა ლატაკთა დასახმარებლად. ეს კარგად ჩანს ანაქსაგორასსთან დაკავშირებული ამბიდანაც: უკვე სიბერეს მიტანებული ფილოსოფოსი დასნეულებული იწვა უპატრონოდ. ყველასგან მიგდებული ბრძენი სიკვდილს ნატრობდა. მან უარი თქვა საკვების მიღებაზე, თავზე საბურველი გადაიფარა და აღსასრულის დღეს დაუწყო ასე ლოდინი. როგორც კი პერიკლესმა ეს შეიტყო, შეძრწუნებულმა მისკენ ისწრაფა და სთხოვა, ხელი აეღო განზრახვაზე, თან არწმუნებდა, რომ გაუჭირდებოდა იმ ბრძენის გარეშე ცხოვრება, ვისი რჩევებიც ყველაზე მეტად სჭირდებოდა. მაშინ ანაქსაგორასმა თავიდან მოიხადა საბურველი და მიუგო: „ვისაც ლამპარი სჭირდება, ზეთს თვითონ ასხამს შიგაო". პერიკლესმა კარგად გაიგო ნათქვამი და ბრძენი მოძღვრისათვის უხვად გაიღო წყალობა.

მეცნიერებითა და ფილოსოფიით გატაცებამ პერიკლესი ჰეტერა ასპასიასთან დააახლოვა. ვინ იყო ეს ქალი, რომელსაც ისეთი ძალა გააჩნდა, რომ სახელმწიფო მოღვაწეთაგან რჩეულ თავკაცებს ითვინიერებდა და ფილოსოფოსებსაც უხვად აქებინებდა თავს?

ძველ მწერალთა აღიარებით, იგი მილეტოსის მკვიდრი ყოფილა, მაგრამ გადმოსახლებულა ათენში, სადაც თავს იყრიდნენ სხვადასხვა სახელმწიფოებიდან ჩამოსული მეცნიერები, ლიტერატორები, ფილოსოფოსები თუ მხატვრები. მათივე თქმით, იგი ერთ იონიელ დიაცს, ვინმე თარგელიას ჰბაძავდა და ყველაზე დიდი ძალის პატრონ მამაკაცებს ეძლეოდა. ასე იყო თუ ისე, ასპასიამ პერიკლესი თავისი სიბრძნით და სახელმწიფოებრივი ინტერესების ზუსტი აღქმის უნარით მოხიბლა. ეს მშვენიერი ჰეტერა გატაცებული ყოფილა მჭევრმეტყველებითაც. სახელმორჭმული ათენელი ბრძენკაცები, მათ შორის სოკრატეც, თავიანთი მოწაფეებით მოდიოდნენ ასპასიასთან, რათა მისი სიტყვებისათვის ესმინათ. ასპასია ფილოსოფი-



ასაც ეუფლებოდა. მის სახლში მუდამ შეხვდებოდით გამოჩენილ ფილოსოფოსებს, მწერლებს, სახელმწიფო მოღვაწეებს.

ასპასია

ასპასია მკვეთრად გამოირჩეოდა კარჩაკეტილ ცხოვრებას მიჩვეულ ათენელ ქალთაგან, რომელთათვისაც სააუგოდ ითვლებოდა ოჯახის გარდა სხვა საქმეებით გატაცება. პერიკლესი აღფრთოვანებული იყო ამ ნიჭიერი ქალითა და მის გამო გაცილდა კიდეც თავის პირველ ცოლს, რომლისაგანც ორი ძე ჰყავდა – ქსანთიპოსი და პარალოსი. ამ დიდი სახელმწიფო მოღვაწის ასპასიასადმი სიყვარული იმდენად ძლიერი იყო, რომ უფლებას აძლევდა მას დაერღვია ათენის ადათი: ასპასიას შეეძლო, გამოსულიყო ქმრის სტუმრებთან, ესაუბრა მათთან და ეკამათა კიდეც. პერიკლესზე ამბობდნენ, რომ იგი ქალის კალთას იყო გამოკერებული, რომ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის არცერთ საქმეს არ წყვეტდა მის გარეშე. ამის გამო უმოწყალოდ დასცინოდნენ მტრები. ისინი ირწმუნებოდნენ, რომ ახლა უკვე ათენი ომებსაც იმიტომ აწარმოებს, რომ უცხოელ ასპასიას ასიამოვნოს და მისი სამშობლო მილეტოსი განადიდოსო.

ათენის აღმავალი ძლიერება მოსვენებას უკარგავდა სპარტას, რომელიც ბერძენ-სპარსელთა ომებიდან მოყოლებული პირველობდა ელინურ სამყაროში. კიდევ უფრო მეტად რომ განედიდებინა თავისი სამშობლო, უფრო მეტად რომ გაეზარდა მისი მნიშვნელობა მთელ საბერძნეთში, პერიკლესმა განიზრახა სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლობის ათენში მოწვევა. ამ თავყრილობას უნდა გადაეწყვიტა ბერძენ-სპარსელთა ომების დროს დარბეული ტაძრების აღდგენის, ეგეოსის ზღვის უსაფრთხოებისა და ბერძნულ სახელმწიფოთა შორის მშვიდობის დამყარების საკითხები.

მაგრამ სპარტელები მიხვდნენ, თუ პერიკლესის გეგმა განხორციელდებოდა, ათენი საბერძნეთის რელიგიურ და პოლიტიკურ ცენტრად გადაიქცეოდა. ამიტომ სპარტამ მასზე დამოკიდებულ სახელმწიფოებს აუკრძალა ამ თავყრილობაზე თავის წარმომადგენელთა გაგზავნა. ასე რომ, პერიკლესის ცდა დასაბამშივე განიწირა, თუმცა ნათელი იყო, თუ რა ფართო ინტერესები ამოძრავებდა მის შემოქმედს.

უდიდეს პატივისცემას იმსახურებდა პერიკლესი, ვითარცა მხედართმთავარი. იგი არასოდეს გაირჯებოდა წარუმატებელი საქმისათვის, არასოდეს იწყებდა ბრძოლას, თუ მისი ბოლო საეჭვოდ ეჩვენებოდა. ლაშქარი პერიკლესის წინამძღოლობით არასოდეს დამარცხებულა. მის მოწონებას არ იმსახურებდნენ ისეთი სტრატეგოსები, რომლებიც თავის საფრთხეში ჩაგდებით შემთხვევით აღწევდნენ თუნდაც ბრწყინვალე გამარჯვებას.

ერთხელ მხედართმთავარმა ტოლმიდესმა, რომელიც უწინდელმა სამხედრო წარმატებებმა მეტისმეტად თვითდაჯერებული გახადეს, გადაწყვიტა, ყოვლად არახელსაყრელ დროს შეჭრილიყო ბეოტიაში. მან დაიყოლია ათასობით წარჩინებული ათენელი მასთან ერთად მიეღო მონაწილეობა ამ ლაშქრობაში. პერიკლესმა სცადა მისი შეკავება, მაგრამ დაინახა რა, რომ ტოლმიდესს გაგონებაც არ სურდა მისი, უთხრა: „თუ შენ არ გსურს ერწმუნო პერიკლესს, კარგი იქნება, ყოვლად ბრძენ მრჩეველს – დროს თუ შეარჩევ". მაშინ არავის მიუქცევია ყურადღება ამ სიტყვებისთვის, მაგრამ გავიდა რამდენიმე დღე და ათენში მოვიდა ცნობა ტოლმიდესისა და მის თანამზრახველთა დაღუპვის თაობაზე. მაშინ კი დააფასეს ათენელებმა პერიკლესის ჭკუა და წინდახედულება.

პერიკლესი არაერთგზის მდგარა ლაშქრის სათავეში. ყველაზე მნიშვნელოვანი მის ლაშქრობათა შორის იყო თრაკიული: თრაკიელთა ხერსონესის ვიწრო ნახევარკუნძულზე, რომელიც ჰელესპონტოსის სრუტის შესასვლელს ფარავდა, ცხოვრობდნენ ათენელები. ამ ნახევარკუნძულს უდიდესი მნიშნველობა ჰქონდა, რამეთუ მისი მფლობელი ათენის ხომალდებს გზას უხსნიდა ნებისმიერ დროს შემოეტანა იაფფასიანი პური შავიზღვისპირეთის მდიდარი კოლონიებიდან. თრაკიელები ხშირად ესხმოდნენ თავს ათენელებს და კოლონისტებს განადგურებით ემუქრებოდნენ. პერიკლესმა დაამარცხა თრაკიელები და სრუტე ზღვიდან ზღვამდე გადატიხრა სიმაგრეებით, რომელთა წყალობითაც კოლონიაზე თავდასხმები შეუძლებელი გახადა. ამას გარდა, პერიკლესმა ხერსონესზე დაამკვიდრა ათასი მოსახლე, რითაც გააძლიერა ბერძენთა ლაშქარი.

ათენელები გამუდმებით ზრუნავდნენ ევქსენოს პონტოს ნაპირებზე საკუთარი გავლენის გასაძლიერებლად. ევქსენოს პონტოს, ანუ სტუმართმოყვარე ზღვას ისინი უწოდებდნენ შავ ზღვას, საიდანაც გამოჰქონდათ პური. იმისათვის, რომ ათენის სახელმწიფოს სიძლიერე ყველასათვის ცხადი გაეხადა და შავიზღვისპირეთის ბერძნული სახელმწიფოები ათენის კავშირში მიეზიდა, პერიკლესმა შორეული საზღვაო ლაშქრობა მოაწყო. დიდი, მდიდრულად მორთული ესკადრა სრუტეთა გავლით შევიდა შავ ზღვაში. პერიკლესმა სანაპიროზე მცხოვრებ ბერძენთა ყველა სურვილი აღასრულა, გაუწია მათ საშხედრო დახმარება, ხოლო ბარბაროს ტომთა მბრძანებლებს დაანახა, რაოდენ დიადი იყო ათენის ძალმოსილება.

პერიკლესი ყოველთვის როდი უჭერდა მხარს თავის თანამოქალაქეთა დამპყრობლურ მისწრაფებებს. მას ხშირად უწევდა მათი დაოკება. როდესაც სამხედრო წარმატებებით გამხნევებულმა ათენელებმა ეგვიპტის ხელში ჩაგდება ისურვეს, პერიკლესმა ხელი ააღებინა მათ ამ სახიფათო განზრახვაზე. ხოლო როდესაც ზოგიერთმა უმეცარმა სიცილიისა და შემდეგ უკვე თვით კართაგენის დაპყრობაზეც



დაიწყო ოცნება, მან მთელი ძალით გაილაშქრა მათ წინააღმდეგ, თითქოს წინასწარ ჭვრეტდა მოსალოდნელ უბედურებას.

პერიკლესი ყოველნაირად ცდილობდა ათენელთა დამპყრობლური მისწრაფებების მოთოკვას. სახელმწიფოს მთელი ძალები მან უკვე კუთვნილი მიწების დასაცავად მიმართა. იგი შიშობდა, რომ ათენის მორჩილი სახელმწიფოები ამბოხდებოდნენ, თუკი მის ჯარებს ზღვის მიღმა, შორეულ ლაშქრობაში დაიგულებდნენ.

პერიკლესის შიში გამართლდა. ათენის კავშირის წევრებისათვის საკმარისი იყო ტოლმიდესის ბეოტიაში დამარცხების ამბის გაგება, რომ ამბოხებულიყვნენ. თავდაპირველად აჯანყდნენ კუნძულ ევბოაზე და პერიკლესიც დიდძალი ლაშქრით გაეშურა მათ დასამორჩილებლად (ძვ.წ. 446 წ.).

მალე სტრატეგოსს აცნობეს, რომ ატიკის სამხრეთით მდებარე მეგარა აუჯანყდა ათენს და დასახმარებლად მიმართა სპარტას, რომელმაც სასწრაფოდ გაუგზავნა მას ჯარი პლეისტოანაქსის მეთაურობით. პერიკლესმა დაუხანებლად მიატოვა ევბოა, მაგრამ ვერ გაბედა სპარტის წინააღმდეგ გალაშქრება. ივარაუდარა, რომ სპარტელთა ჯარი უძლიერესია, პერიკლესმა ხერხს მიმართა. მან იცოდა, რომ პლეისტოანაქსი ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო და ყველაფერში ენდობოდა მრჩეველს, რომელიც თან ახლდა. პერიკლესმა სცადა მისი მრჩევლის მოსყიდვა და მოახერხა კიდეც. სპარტელებმა შეწყვიტეს თავდასხმა და დატოვეს ატიკა. წლის ბოლოს, როდესაც პერიკლესი სახალხო საბჭოს ხარჯების ანგარიშს აბარებდა, ისიც აღნიშნა, რომ ათი ტალანტონი „საჭირო საქმისთვის" გაიღო; ხალხს სწამდა პერიკლესის კეთილსინდისიერებისა და ყოველგვარი განმარტების გარეშე მიიღო ეს ანგარიში.

სპარტის განმგებელნი კი აღშფოთებულნი იყვნენ მეფე პლეისტოანაქსის საქციელით და ისეთი დიდი თანხით დააჯარიმეს, რომ მან ვერ შეძლო მისი გადახდა. ბოლოს კი, იძულებული გახდა საკუთარი ნებით დაეტოვებინა სამშობლო.

მას შემდეგ, რაც ატიკას საფრთხე განარიდა, პერიკლესი ორმოცდაათი ხომალდითა და ხუთიათასიანი ლაშქრით ისევ ევბოას მიადგა, ამბოხება ჩაახშო და კუნძულის სახელმწიფოები კვლავ ათენის კავშირს დაუქვემდებარა.

მალე ათენსა და სპარტას შორის ოცდაათი წლით დაიდო ზავი.

იმხანად მეგარის კავშირის ორი მონაწილე – სამოსი და მილეტოსი ერთმანეთს ეომებოდა მცირე აზიის სანაპიროზე მდებარე პატარა სახელმწიფოსთვის. მაშინ, როდესაც გამარჯვება სამოსელების მხარეს იხრებოდა, ათენელებმა ბრძანეს, შეეწყვიტათ ომი, რათა სადავო საკითხები სამედიატორო სასამართლოზე განეხილათ. სამოსელებმა ყურად არ იღეს ეს ბრძანება. მაშინ პერიკლესმა სახალხო საბჭოს მიაღებინა დადგენილება კუნძულ სამოსზე დამსჯელი რაზმების გაგზავნის თაობაზე.

ათენელთა შეუვალობის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ კუნძულ სამოსს განაგებდნენ არისტოკრატები. პერიკლესს კი კარგად ესმოდა, თუ ათენსა და სპარტას შორის ომი დაიწყებოდა, არისტოკრატები ამ უკანასკნელს მიემხრობოდნენ.

პერიკლესი თავად წინამძღოლობდა სამოსისაკენ დაძრულ 40 ათენურ ხომალდს. მან შეძლო კუნძულზე დემოკრატიის დამყარება. ხოლო მისი წასვლის შემდგომ რომ იქ კვლავ ძველი წესრიგი არ აღედგინათ, მძევლებად აიყვანა 50 ყველაზე წარჩინებული მოქალაქე და 50 ჭაბუკი მდიდართა ოჯახებიდან. მაგრამ იმის გამო, რომ მძევლები ათენში ვერ გაამგზავრეს, არისტოკრატებმა შეძლეს მათი გათავისუფლება. კუნძულზე კვლავ იფეთქა აჯანყებამ. ათენის ფლოტი დაბრუნდა და კუნძულ სამოსის ახლოს უმოწყალო ბრძოლა გამართა. აქ პერიკლესმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა, მიუხედავად იმისა, რომ 44 ხომალდი ჰყავდა 70-ის წინააღმდეგ. გამარჯვებული მტერს დაედევნა და მალე მათი ნავსაყუდელიც აიღო. ამასობაში ათენიდან მოვიდა მეორე, უფრო მრავალრიცხოვანი ესკადრა და დაიწყო კუნძულის დაპყრობა.

სამოსზე ბრძოლა ხანგრძლივი იყო, იგი ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. ალყაშემორტყმული კუნძულელები მხოლოდ მეცხრე თვეზე დანებდნენ (ძვ.წ. 440 წ.). პერიკლესმა მოანგრია ქალაქის კედლები, ხელთ ჩაიგდო მისი ხომალდები და სახელმწიფოს უზარმაზარი გადასახადი დააკისრა. მისი ნაწილი სამოსელებმა მაშინვე გაიღეს, ნაწილი კი თანდათანობით უნდა ეხადათ.

ათენში დაბრუნებისთანავე პერიკლესმა სამოსელთა წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპულ მებრძოლთა საზეიმო დაკრძალვა მოაწყო. აქ მან წარმოთქვა სიტყვა, რომელმაც უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. როდესაც იგი ტრიბუნიდან ჩამოდიოდა, მრავალი ისწრაფოდა მისკენ ხელის ჩამოსართმევად, ხოლო ქალები გვირგვინებითა და ყვავილწნულებით ამკობდნენ გამარჯვების ნიშნად.

სამოსის დაპყრობამ კიდევ უფრო გაამყარა პერიკლესის ძალა და გავლენა. სულ რაღაც ცხრა თვის განმავლობაში მან შეძლო, დაემორჩილებინა საბერძნეთის ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო, რომელმაც კინალამ წაართვა ათენს ზღვაზე ბატონობის უფლებები.

სპარტასთან დამოკიდებულება თანდათან იძაბებოდა. პერიკლესი თვლიდა, რომ ათენისათვის აუცილებელი იყო მოკავშირეები არა მარტო აღმოსავლეთ საბერძნეთიდან, არამედ დასავლეთიდანაც. იმხანად, დიდი ფლოტის მქონე კუნძულ კერკირას[9] მკვიდრნი ებრძოდნენ კორინთელებს. პერიკლესმა დაარწმუნა საბჭო, 10 ხომალდი გაეგზავნა კუნძულ კერკირას დასახმარებლად. ამ ესკადრას ევალებოდა, არ ჩარეულიყო ომში და ბრძოლა დაეწყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პელოპონესელები შეეცდებოდნენ კუნძულის დაპყრობას.

ათენელები ვარაუდობდნენ, რომ უმნიშვნელო დახმარება კერკირას ვერ იხსნიდა დამარცხებისგან. პერიკლესს ბრალი დასდეს იმაში, რომ მან არ გაუწია სათანადო დახმარება მოკავშირეებს და ამით მტერს ათენელების საზავო ხელშეკრულების ღარღვევაში დადანაშაულების შესანიშნავი საბაბი მისცა.

მაშინ პერიკლესმა კიდევ 20 ხომალდი გაგზავნა კერკირელთა მისაშველებლად. მათ ზუსტად იმ დროს მიაღწიეს კერკირას სანაპიროს მახლობლად მდებარე კუნძულებს, როდესაც მიმღინარეობდა დიდი საზღვაო ბრძოლები (ძვ.წ. 433 წ.). კორინთელები იმარჯვებდნენ და უკვე ემზადებოდნენ კიდეც კუნძულზე გადასასვლელად, როდესაც გამოჩნდნენ ათენის ხომალდები, რის გამოც იძულებულნი იყვნენ უკან დაეხიათ.

კორინთელები პელოპონესოსის კავშირის წევრები იყვნენ და ათენის ფლოტის გამოჩენა მათ შორის დადებული საზავო ხელშეკრულების დარღვევად ჩათვალეს. კორინთელებმა მიმართეს სპარტას საჩივრით, მათ შეუერთდნენ მეგარელებიც. საქმე ის იყო, რომ ათენელებმა აუკრძალეს მეგარელებს ათენის კავშირში შემავალ სახელმწიფოებთან ვაჭრობა (ძვ.წ. 432 წ.), რასაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა მეგარელთა გაკოტრება, უკეთეს შემთხვევაში ისინი ათენს უნდა დამორჩილებოდნენ.

იმავე დროს, კორინთელთა მიერ დაარსებულმა, მაგრამ იმხანად ათენს დაქვემდებარებულმა ქალაქმა პოტიდეამ კავშირიდან გასვლა ისურვა, რის გამოც ამ ქალაქს ათენის ჯარმა ალყა შემოარტყა. კორინთელები მოუწოდებდნენ პელოპონესელებს დახმარება გაეწიათ პოტიდეასთვის. მაგრამ სპარტა არ იყო ომისთვის მზად. მეფე არქიდამოსი ლამობდა მოკავშირეთა დამშვიდებას.

შედარებით მძაფრად იდგა მეგარის საკითხი. ვაჭრობის აკრძალვა მეგარელებს შიმშილით სიკვდილს უქადდა. არქიდამოსს ან უნდა გაეუქმებინა ეს დადგენილება, ან ბრძოლა უნდა დაეწყო. ათენში რამდენიმეგზის გაგზავნეს წარმომადგენლობა, მაგრამ პერიკლესი შეუპოვრად ეწინააღმდეგებოდა დადგენილების შეცვლას, ამიტომაც მხოლოდ მას დაეკისრა ომის მთელი პასუხისმგებლობა.

პერიკლესს გადაწყვეტილი ჰქონდა, არ დაეთმო სპარტელებისთვის. „თუ თქვენ დაუთმობთ პელოპონესელებს – ამბობდა იგი – ისინი დარწმუნდებიან რომ შეშინდით და კიდევ უფრო მძიმე მოთხოვნებს წამოგიყენებენ“.

პერიკლესის ასეთ სიმტკიცეს ზოგი მის პირად ინტერესებს უკავშირებდა. ნათელი იყო, რომ მხოლოდ სამხედრო წარმატებებს შეეძლო მისი შერყეული ავტორიტეტის აღდგენა.

პერიკლესის მტრებს ეშინოდათ მის წინააღმდეგ აშკარა ბრძოლა. ამიტომ მათ დევნა დაუწყეს სტრატეგოსის მეგობრებს. ფიდიასი, რომელიც აკროპოლისის აღ-



მშენებლობით სამუშაოებს ხელმძღვანელობდა, დაადანაშაულეს პართენონის ტაძრად აღმართული ქალწულ ათენას ქანდაკებისთვის განკუთვნილი ოქროს მითვისებაში. მაგრამ ეს ცილისწამება მალე მოიხსნა. პერიკლესის რჩევით, ფიდიასმა ისე შეამკო ქანდაკება ოქროთი, რომ იოლი იყო მისი მოხსნა და აწონა. შემოწმებამ ცხადყო დიადი მოქანდაკის პატიოსნება.[10]

მიუხედავად ამისა, ფიდიასს მრავალი მოშურნე ჰყავდა, რადგანაც თავისი ქმნილებებით უდიდესი სახელი და დიდება მოიხვეჭა. მტრებმა მას მკრეხელობაში დასდეს ბრალი: ათენას ფარზე გამოსახული იყო ბრძოლა ამორძალებთან. ამბობდნენ, რომ ფიდიასმა მებრძოლთა შორის გამოსახაო თავისი მფარველი პერიკლესი და საკუთარი თავი მელოტი მოხუცის სახით, რომელსაც ქვა ეპყრა ზეკისკენ აღმართულ ხელში.[11]

ფიდიასმა ვერ შეძლო თავის მართლება და იგი საპყრობილეში ჩასვეს, სადაც გარდაიცვალა კიდეც ავადმყოფობით. თუმცა იმასაც ამბობენ, ეს უდიდესი ხელოვანი პერიკლესის მტრებმა მოწამლესო.

ფიდიასის სამსჯავროს შემდეგ პერიკლესის მოწინააღმდეგეებმა დევნა დაუწყეს მის მოძღვარს, ანაქსაგორასს. ათენელებმა მიიღეს დადგენილება იმათი დასჯის თაობაზე, რომლებიც არ სცნობდნენ ღმერთებსა და სწავლობდნენ ციურ მოვლენებს. ნათელი იყო, რომ ეს დადგენილება ანაქსაგორასის წინააღმდეგ იყო მიმართული და პერიკლესმა ხელი შეუწყო მას, გაქცეულიყო ათენიდან.

სახელოვანი სტრატეგოსის მტრებმა ძალა შეიგრძნეს და ახლა სცადეს მისი მეუღლის, ფილოსოფოსი ქალის, ასპასიას სამსჯავროზე წარდგენა. იგი უღვთოობაში დაადანაშაულეს. მის გასამართლებლად პერიკლესს თავად მოუხდა სამსჯავროს წინაშე წარდგომა და თავის დამცირება იმის სათხოვნელად, რომ მისი მეუღლე არ დაესაჯათ.

სპარტელები როდი ცდებოდნენ, პერიკლესის სახით რომ ათენის ხალხის ბრძენ წინამძღოლს ჭვრეტდნენ. ისინი ვარაუდობდნენ, რომ, თუ შესაძლებელი იქნებოდა მისი თავიდან მოცილება, ათენელებს იოლად დაიმორჩილებდნენ. მათ ათენში გაგზავნეს წარმომადგენლობა იმ მიზნით, რომ ათენელებისათვის შეეხსენებინათ ამბავი პერიკლესის წინაპართა თაობაზე. საქმე ის იყო, რომ ალკმეონიდების მოდგმას მკრეხელობაში ადანაშაულებდნენ და, ამდენად, ცოდვა პერიკლესზეც გადადიოდა.[12] ეს კი მისი სახელმწიფოდან განდევნის საბაბს იძლეოდა. მაგრამ ათენელები მიუხვდნენ სპარტელებს. მოწინააღმდეგეთა მტრობამ არა თუ ავნო პერიკლესს, რასაც ესოდენ ესწრაფოდნენ სპარტელები, არამედ პირიქით, აღუდგინა ოდინდელი დიდება.

მალე დაიწყო პელოპონესოსის ომი.[13] სპარტელები მოკავშირეებთან ერთად ატიკაში შეიჭრნენ (ძვ.წ. 431 წ.), დაარბიეს, მიაღწიეს აქარნეს და იქ დაბანაკდნენ. ისინი

ყარაულობდნენ, რომ ამას ვერ მოითმენდნენ ათენელები, გამოვიდოდნენ ქალაქის გალავნიდან და ბრძოლას დაიწყებდნენ. მაგრამ პერიკლესს პელოპონესოსის უზარმაზარი ლაშქრის წინააღმდეგ ბრძოლა სახიფათოდ მიაჩნდა. იგი ქალაქში შემოხიზნულ ბლეხებს, რომლებიც თავიანთ განადგურებულ ბაღებს მისტირიდნენ, აშშვიდებდა და არწმუნებდა, რომ გადაბუგულ ხეთა ნაცვლად შესაძლებელი იქნებოდა ახლების გაზრდა, ხოლო დაღუპულ მეომართა შეცვლა კი – შეუძლებელი.

ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე პერიკლესმა იცოდა, რომ სპარტელთა მხედართმთავარს, მეფე არქიდამოსს, ათენელთა განმგებლის სახელის დაკნინების მიზნით განზრახული ჰქონდა მიწის პირისგან აღეგავა მთელი ატიკა ისე, რომ ხელი არ ეხლო მხოლოდ მისი მამულებისთვის. პერიკლესმა მტრის ვერაგული გეგმა ჩაშალა, განუცხადა რა სახალხო კრებას, რომ თუ სპარტელები მის მამულებს არას ავნებდნენ, მათ სახელმწიფოს საკუთრებაში გადასცემდა.

როდესაც სპარტელებმა ათენს ალყა შემოარტყეს, პერიკლესმა განიზრახა დროებით არ ჩაეტარებინა სახალხო კრებები, რათა სასოწარკვეთილ ხალხს არაკეთილგონივრული გადაწყვეტილებები არ მიეღო. როგორც ხომალდის მეთაური, ქარაშოტის ჟამს აფრების აწევასა და ბაგირთა მოჭიმვას ბრძანებს ოლონდ ისე, რომ არად აგდებს ზღვის სნეულებით შეძრწუნებულ მგზავრთა მუდარას, ზუსტად ასევე პერიკლესიც იმას იქმოდა, რაც საჭიროდ მიაჩნდა, ყურადღებას არ აქცევდა რა ათენელთა მუქარასა და მძვინვარებას.

პერიკლესს არად მიაჩნდა ის, რომ თავისივე მეგობრები საყვედურობდნენ, მტრები ემუქრებოდნენ, ხოლო თანამოქალაქეთაგან მრავალი მშიშარასა და უღირსს უწოდებდა. ღარიბთა ბელადი კლეონი მას ადანაშაულებდა იმაში, რომ მტერს თავს არ ესხმოდა და ომის წარმოების მთელს ინიციატივას სპარტას უთმობდა. კომედიოგრაფოსები ირწმუნებოდნენ, რომ კლეონი უკვე მახვილს ლესავდა, რათა პერიკლესი განეგმირა. ერთ-ერთ კომედიაში პერიკლესს ასეთი სიტყვებით მიმართავდნენ:

„რად არ აღმართავ შუბს, სატირთა დიდო მეფეო,
ომზე ნათქვამი ცხარე სიტყვა რის მაქნისია?
მახვილს ლესავენ ბასრ სალესზე, შენ კი წკმუტუნებ
კლეონისაგან შერისხული და დაკბენილი“.[14]

მაგრამ ეს თავდასხმები არ აღელვებდა პერიკლესს. იგი თავდაჭერილად და მშვიდად იტანდა შეურაცხყოფებს. მან პელოპონესელთა წინააღმდეგ ასი ხომალდი გაგზავნა, თუმცა თავად არ გაჰყოლია. სამაგიეროდ სათავეში ჩაუდგა ქვეით ჯარს, შეიჭრა მეგარის სამფლობელოებში და დაარბია. პელოპონესოსის ირგვლივ გაგზავნილმა ათენის ფლოტმა კი მრავალი ქალაქი და დასახლება გაანადგურა.



და თუ სპარტელებმა ათენის გლეხთა ბაღები გაკაფეს, რითაც დიდად დაამწუხრეს მოქალაქენი, ახლა თავადაც იწვნიეს დიდი გასაჭირი.

სპარტელები იძულებულნი გახდებოდნენ, შეეწყვიტათ ბრძოლა, მოულოდნელ უბედურებას რომ არ ჩაეშალა პერიკლესის გეგმები. ომის მეორე წელს ათენს ეწვია საშინელი სტუმარი – შავი ჭირი, რომელმაც უფრო მეტი მოქალაქე იმსხვერპლა, ვიდრე ყველაზე სისხლისმღვრელმა ბრძოლამ.

ეპიდემიით გამოწვეულმა უბედობამ გააბოროტა ათენელები. მათი რისხვა სახელმწიფოს წინამძღოლ პერიკლესს დაატყდა თავს. ავადმყოფობით გონდაკარგულნი უსამართლოდ რომ შეურაცხყოფენ ხოლმე მკურნალ ექიმს, ანდა შვილები – მამას, ისე დაიწყეს ათენელებმა პერიკლესზე იერიშის მიტანა. ხალხის გაუცნობიერებელი რისხვით ისარგებლეს პერიკლესის მტრებმა. ისინი ირწმუნებოდნენ, რომ ჭირი სოფლის მოსახლეობის ქალაქში თავმოყრით არისო გამოწვეული; როდესაც უსაქმური ხალხის დიდი რაოდენობა ცხოვრობს უჰაერო კარვებში ან პირდაპირ ქუჩებში, არ არის გასაკვირი, რომ ეპიდემიამ იფეთქოსო. დამნაშავეა ერთადერთი პერიკლესი, რომელმაც სოფლელები ქალაქის კედლებში შემოხიზნა. ვითარცა ბოსელში შეყრილი საქონელი, ხალხი ერთმანეთს ასენიანებს, რამეთუ არა აქვს ცხოვრების წესის შეცვლისა თუ გაქცევის საშუალება.

მოქალაქეთა დასამშვიდებლად და მტერთან საბრძოლველად პერიკლესმა 150 ხომალდი აღჭურვა, დიდძალი ლაშქარი შეაგროვა და პელოპონესოსში გასამგზავრებლად მოამზადა. ათენელებს გამარჯვების იმედი აღეძრათ. როდესაც პერიკლესი გემბანზე იდგა და ის-ის იყო გამგზავრების ბრძანება უნდა გაეცა, დაიწყო მზის დაბნელება. ამ უჩვეულო მოვლენამ ცრუმორწმუნე ათენელები შეაძრწუნა.

მათ ეს სიბნელე ღვთის მრისხანე უწყებად მიიღეს.

მაშინ პაერიკლესი მიუახლოვდა შეშინებულ მესაჭეს, თავისი მოსასხამი გადააფარა და ჰკითხა:

– შეგეშინდა?

– რა თქმა უნდა არა! – მიუგო მესაჭემ.

– სხვათა შორის, – განაგრძო პერიკლესმა, – ეს მოსასხამი, შენ რომ სინათლე დაგიბნელა, იმისგან, რამაც ჩვენი ხალხი ასე შეაშფოთა, მხოლოდ ზომით თუ განსხვავდება. მზე მხოლოდ იმიტომ გაუჩინარდა, რომ იგი უფრო დიდმა საგანმა დაფარა, ვიდრე ჩემი მოსასხამია!

ლაშქრობამ არ გაამართლა იმედები. მომდევნო წელს (ძვ.წ. 430 წ.) პერიკლესი სტრატეგოსად აღარ აირჩიეს. მის წინააღმდეგ საქმეც კი აღიძრა სამსჯავროში. მტაცებლობაში სდებდნენ ბრალს და თუმცა იგი ცნობილი იყო თავისი უანგაროობით, წინამძღოლობაც აღუკვეთეს და ფულადი ჯარიმაც დაადეს.



არც ოჯახში ჰქონია სიმშვიდე პერიკლესს. მის უფროს ძეს, ქსანთიპოსს ბავშვობიდანვე უყვარდა ფლანგვა. დაქორწინების შემდეგ კი სულ უფრო და უფრო მეტი თანხები სჭირდებოდა. ცხოვრება იმ სახლში, სადაც ფული კანონზომიერად იხარჯებოდა, მას აღარ მოსწონდა.

ერთხელ ქსანთიპოსმა, ვითომცდა მამის დავალებით, პერიკლესის მეგობრისაგან ისესხა ფული. როდესაც პატრონმა ვალის დაბრუნება მოითხოვა, პერიკლესმა უარით გაისტუმრა. ქსანთიპოსი თვლიდა, რომ მამამისი უსამართლოდ იქცეოდა. იგი დადიოდა მთელ ქალაქში და მასხრად იგდებდა პერიკლესს. ეს შუღლი მამასა და შვილს შორის ქსანთიპოსის ცხოვრების ბოლომდე გაგრძელდა. გარდაიცვალა კი იგი ჟამიანობის დროს. იმხანად დაკარგა პერიკლესმა დაც და მრავალი ახლობელი თუ მეგობარი.

უბედურებებმა ვერ გატეხეს დიდი ათენელი. არავის უნახავს იგი ატირებული, ვიდრე არ დაკარგა უმცროსი ძე პარალოსი. ამ უბედურებამ შეძრა პერიკლესი. იგი თავს იმაგრებდა, მხნედ იდგა, მაგრამ როდესაც გვირგვინს ჰკიდებდა მიცვალებულს, ველარ გაძლო და მწარედ აქვითინდა, პირველად თავის სიცოცხლეში.

ხალხმა ვერავინ ნახა ისეთი, რომელიც პერიკლესის მსგავსად, ღირსეულად აღასრულებდა პირველი სტრატეგოსის საპასუხისმგებლო მოვალეობას: ათენელებმა ეს შეიგნეს და გადაწყვიტეს მისი სახალხო საბჭოზე მოწვევა.

პერიკლესი თავს დატეხილი უბედურების გამო სახლიდან არ გამოდიოდა. ალკიბიადესი და სხვა მეგობრები ურჩევდნენ, ხალხში გამოჩენილიყო. მას ბოდიში მოუხადეს უმართებულო ჯარიმისათვის და კვლავ სტრატეგოსად აირჩიეს. მაშინ მან ხალხს მიმართა თხოვნით, გაეუქმებინათ კანონი უკანონოდ შობილთა თაობაზე, რათა პირდაპირი მემკვიდრის უყოლობით მთლად არ გადაშენებულიყო მისი მოდგმა. საქმე ის იყო, რომ სულ რამდენიმე ხნის წინ, როდესაც პერიკლესს კანონიერი შვილები ჰყავდა, მისივე ბრძანებით მიიღეს კანონი, რომლის ძალითაც ათენელებად მხოლოდ ისინი ჩაითვლებოდნენ, რომელთა მშობლებიც წარმოშობით ათენელები იყვნენ.

რამდენადაც პერიკლესს პირველი ცოლისაგან ნაშობი ორივე ძე დაეღუპა და სხვა მემკვიდრე არ გააჩნდა, ათენელები დათანხმდნენ, რომ მისი ვაჟი ასპასიასგან ათენელად შეერაცხათ.

მოვლენები ისე დატრიალდა, რომ პერიკლესს აღარ ეწერა ათენის სახელმწიფოს სათავეში დგომა. მალე მას ჭირი შეეყარა. სენი ნელ-ნელა აცლიდა ძალას და როდესაც პერიკლესი უკვე სიკვდილის პირზე იყო, მის სარეცელთან თავი მოიყარეს საუკეთესო მოქალაქეებმა და მეგობრებმა. ისინი მსჯელობდნენ მისი ადამიანური სრულყოფილებისა და ძალმოსილების თაობაზე. ორმოცი წელი იდგა იგი

სახელმწიფოს სათავეში და ათენის მტრებს ამარცხებდა, აშენებდა დიდებულ ტაძრებსა და მშობლიურ ქალაქს ალამაზებდა. მეგობრები საუბარს განაგრძობდნენ, მათ ეგონათ, რომ მომაკვდავს გონება ჰქონდა უკვე დაბინდული და მათი არ ესმოდა. მაგრამ პერიკლესი ყველაფერს ყურს უგდებდა თურმე. მოულოდნელად იგი საუბარში ჩაერია: „მიკვირს ამდენს რომ მაქებთ და მოიხსენიებთ ისეთ დამსახურებებს, რომლებიც უბრალოდ ბედის განგებით ალმისრულებია სხვა სტრატეგოსთა მსგავსად, მაგრამ არაფერს ამბობთ იმ უმშვენიერესსა და უდიდეს დამსახურებაზე, რომ ჩემი განმგებლობის ჟამს არცერთი ათენელი არ დასჯილა ჩემი ბრძანებით!"

მხოლოდ პერიკლესის გარდაცვალების შემდეგ შეიგრძნეს ათენელებმა, თუ რაოდენ დიდებული მბრძანებელი დაკარგეს. მოწინააღმდეგენიც კი იძულებულნი იყვნენ, ელიარებინათ, რომ ამ ბრძენკაცის უდიდესი სახელი, ხალხის სიყვარულსა და მხარდაჭერაზე რომ იყო დაფუძნებული, სახელმწიფოს მხსნელ ბურჯად ედგა.

აი, როგორ ახასიათებს მას პლუტარქოსი: „საოცარი იყო ეს კაცი არა მარტო თავისი სიმშვიდითა და ლმობიერებით, რომელსაც მრავალფეროვანი სახელმწიფო მოღვაწეობის ჟამსა თუ მტრებთან მეტოქეობისას ინარჩუნებდა, არამედ საღი აზროვნებითაც. თავის საუკეთესო თვისებად იგი თვლიდა იმას, რომ ესოდენ დიდი ძალაუფლების მქონეს არასოდეს აღძვრია შური, მრისხანება და მტერთაგან არცერთი შეურიგებელ მტრად არ მიუჩნევია".



შენიშვნები:

[1] ბერძენთა წარმოდგენით, ოლიმპოსის მთაზე ცხოვრობდნენ ღმერთები, რომელთაც „ოლიმპიელებს“ უწოდებდნენ.

[2] წყურვილის მოსაკლავად ბერძნები წყალთან განზავებულ ღვინოს სვამდნენ. განუზავებელი ღვინის სმა არ იყო მიღებული და თავისუფალი კაცისთვის ულირს საქციელად ითვლებოდა. არისტოკრატები, რომლებიც ლამობდნენ შეენარჩუნებინათ საკუთარი პრივილეგიები, ამტკიცებდნენ, რომ სრული, განუსაზღვრელი უფლებების ხალხისთვის მინიჭება ისევე საზიანოა და მიუღებელი, როგორც განუზავებელი ღვინის სმა.

[3] ეს თუკიდიდესი არ უნდა აგვერიოს სახელოვან ისტორიოგრაფოს თუკიდიდესში, იგი ოლორესის ძე იყო.

[4] საუბარია ათენის კავშირზე, რომლის დაარსებასაც არისტიდესს მიაწერენ.

[5] ფიდიასი (დაახლ. ძვ.წ. 500-431 წწ.) – კლასიკური საბერძნეთის უდიდესი მოქანდაკე და არქიტექტორი, ათენა-პალასისა და ოლიმპიელი ზევსის საქვეყნოდ ცნობილ ქანდაკებათა ავტორი. სამწუხაროდ, ჩვენამდე ამ ცნობილ ქანდაკებათა ასლებია შემორჩენილი. თავდაპირველი სახით მოაღწიეს მხოლოდ იმ სკულპტურულმა გამოსახულებებმა, რომლებიც ამ უბრწყინვალესი მოქანდაკის ხელმძღვანელობით სრულდებოდა.

[6] ამ დიდებული ტაძრის სახელწოდება წარმოდგება ბერძნული სიტყვიდან „პართენოს“, რაც „ქალწულს“ ნიშნავს.

[7] ატიკის ეს უმთავრესი დღესასწაული სამ წელიწადში ერთხელ იმართებოდა ქალღმერთ ათენას პატივსადებად. ზეიმისას ტარდებოდა საერთობერძნული ასპარეზობები, რომელთა გამარჯვებულებსაც მშვენიერი ლარნაკებით აჯილდოებდნენ. ეს ე.წ. პანათენეური ლარნაკები გამარჯვებულებს მიჰქონდათ შინ, სამშობლოში. დაკრძალვისას ლარნაკს თან ატანდნენ მიცვალებულს. რამდენიმე პანათენეური ლარნაკი ნაპოვნია

შავი ზღვის სანაპიროზეც. ისინი ინახება ერმიტაჟის სახელმწიფო მუზეუმში.

[8] ბერძნული სიტყვა „ოდეონი" წარმოსდგება სიტყვისგან „ოდე" – სიმღერა.

[9] კერკირა (ახლა საბერძნეთის კუნძული კორფუ) მდებარეობს შუა საბერძნეთის ჩრდილოეთ სანაპიროსთან.

[10] ქანდაკების ოქროს სამოსი ტონაზე მეტს იწონიდა. იგი სახელმწიფოს ოქროს ფონდს განეკუთვნებოდა და შესაბამისად, შესაძლებელი იყო მისი მოხსნა და საჭიროებისამებრ გამოყენება.

[11] მითის თანახმად, ამორძალები, ანუ მებრძოლი ქალები, თავს დაესხნენ ატიკას. მათზე გამარჯვება ათენის ლეგენდარული მეფის, თესევსის, უდიდეს გმირობად ითვლებოდა. ფიდიასის ათენას ქანდაკება არ შემორჩენილა, მაგრამ ჩვენამდე მოაღწია მისმა ასლებმა. ზოგიერთ მათგანზე მართლაც არის შესაძლებელი ფიდიასისა და პერიკლესის პორტრეტების გარჩევა. ფიდიასის ხელით შესრულებული სამკაული ათენას თავის გამოსახულებით ნაპოვნია ყირიმის კულ-ობის სამარხში და იგი სახელმწიფო ერმიტაჟის საგანძურს ამშვენებს.

[12] აღწერილ ამბებამდე დაახლოებით 200 წლის წინ ალკმეონიდები სასტიკად გაუსწორდნენ თავიანთ მონინააღმდეგეებს, რომლებიც ათენის ამბოხებას მეთაურობდნენ. მათ საკურთხეველს თავშეფარებული ხალხი ამოხოცეს, რის გამოც გაძევებულ იქნენ ქალაქიდან. მაგრამ ალკმეონიდები მალე დაბრუნდნენ და მათი გვარის წარმომადგენლებს ხშირად ეკავათ ათენში უმაღლესი თანამდებობები.

[13] პელოპონესოსის ომი (ძვ.წ. 431-404 წწ.) მიმდინარეობდა პელოპონესოსის კავშირსა და ათენს შორის. ომმა თანდათანობით ჩაითრია საბერძნეთის ყველა სახელმწიფო. ამ ომისა და სპარტელთა გამარჯვების თაობაზე უფრო დაწვრილებით მოთხრობილია ალკიბიადესისა და ლისანდროსის ბიოგრაფიებში.

[14] პლუტარქოსის თქმით, ეს სიტყვები ეკუთვნოდა ძველი ატიკური კომედიის ერთ-ერთ წარმომადგენელს, ჰერმიპოსს.

ნიკიასი

ათენელი სახელმწიფო მოღვაწე და სტრატეგოსი

(გარდ. ძვ.წ. 413 წ.)

ნიკიასს ბერძნები მშვიდობისმოყვარე სტრატეგოსად თვლიდნენ და ამ ნიშნით ღირსშესანიშნავ სახელმწიფო მოღვაწედ აღიარებდნენ. იგი არ იყო დაჯილდოებული ისეთი ბრწყინვალე ნიჭით, როგორითაც თემისტოკლესი ან სოლონი. მისი ხასიათის ძირითად თვისებებს – გაუბედაობას, სიზანტეს, სიდინჯეს, რასაც მტრები ლაჩრობად უთვლიდნენ, ბერძნები კეთილგონივრულ სიფრთხილედ მიიჩნევდნენ.

ნიკიასის ბავშვობასა და ახალგაზრდობაზე არაფერია ცნობილი გარდა იმისა, რომ იგი მდიდარი და სახელმორჭმული გვარის ჩამომავალი და მსხვილი მონათმფლობელი ყოფილა. სახელმწიფოს ვერცხლის საბადოებში მუშაობდა ნიკიასის 1000 მონა, რომელთაც იგი ივარით აბარებდა და თითოეულ მათგანში დღეში 1 ობოლოსს ილებდა. გადმოგვცემენ, რომ მისი კაპიტალი იმ დროისათვის უდიდეს თანხას – 100 ტალანტონს შეადგენდა.

იმხანად წარჩინებული და მდიდარი ადამიანები ადრე ებმებოდნენ სახელმწიფოებრივ საქმიანობაში. ახალგაზრდა ნიკიასი ჯერ კიდევ დიდი პერიკლესის დროს არაერთგზის აურჩევიათ სტრატეგოსად, მას თავიც კი გამოუჩენია ხმელეთსა თუ ზღვაზე ლაშქრობათა ჟამს.

ახალგაზრდა ნიკიასი ხალხში ცნობილი იყო თავისი განსაკუთრებული გულუხვობით. როდესაც ქორეგოსის საპატიო მოვალეობის აღსრულება უხდებოდა, იგი თეატრალურ წარმოდგენებს არნახული ბრწყინვალებით მართავდა.

ათენში ძვირადღირებულ თეატრალურ სანახაობათა ხარჯები კენჭისყრით ეკისრებოდათ ყველაზე მდიდარ მოქალაქეებს. ყოველწლიურ ასპარეზობებზე გამარ-

ჯვებული პოეტის სახელის გვერდით მოიხსენიებოდა იმ მოქალაქის სახელიც, რომელიც იხდიდა ქოროს სწავლებისა თუ პიესის განხორციელებისათვის საჭირო ხარჯებს. ეს მოქალაქე ქორეგოსად, ანუ ქოროს ხელმძღვანელად იწოდებოდა.

ნიკიასი გამოირჩეოდა იმ დროისთვისაც კი გასაოცარი მორწმუნეობით. ღმერთები რომ არ განერისხებინა, იგი ყოველწლიურად აღასრულებდა მსხვერპლშეწირვის წესს, ხოლო თეატრალური სანახაობებისათვის გაწეული უდიდესი ხარჯებით ღმერთების კეთილგანწყობასაც იმსახურებდა.

ყოველწლიურად ათენიდან დელოსის[1] წმინდა კუნძულისაკენ აპოლონის დღესასწაულზე მიემართებოდა მომღერალთა საზეიმო პროცესია, წმიდა ჰიმნებით ღვთაება რომ ედიდებინათ.

ერთხელ, ნიკიასის ქორეგოსობის ჟამს, დღესასწაულზე დასასწრებად ათენიდან გაემართა ხომალდი, რომელიც დელოსის მეზობელ კუნძულს მიადგა. იქ მიტანეს ათენელებმა ძვირფასი მასალით აგებული ოქროცურვილი ხიდი, რომელიც დღესასწაულის წინაღამეს ამ კუნძულის დელოსთან შემაერთებელ ვიწრო გადასასვლელზე გადაჭიმეს. დილით კი მდიდრული სამოსით მოსილმა ქორომ აპოლონის სადიდებელი სიმღერებით გადაიარა ამ ხიდზე და საზეიმო სვლით გაემართა ღვთაების წმინდა ტაძრისაკენ. მსხვერპლშეწირვების, ასპარეზობათა და მდიდრული ნადიმის შემდეგ ნიკიასმა აპოლონის ტაძრის წინ მდიდრული ძღვენი – ბრინჯაოს პალმა – აღმართა ღვთაების პატივსაცემად და მასვე უძღვნა მიწის დიდი ნაკვეთი ტაძრის მახლობლად.

ნიკიასს არ წამოუწყია არცერთი მნიშვნელოვანი საქმე ისე, რომ არ გაეგო ღმერთების ნება იმ წინასწარმეტყველებისგან, რომლებიც გამუდმებით ცხოვრობდნენ მის სახლში. იგი იმასაც კი ეკითხებოდა ღმერთებს, თუ როგორ უნდა ემართა თავისი საბადოები.

მაგრამ ღმერთებზე უფრო მეტად ნიკიასს თანამოქალაქეებისა ეშინოდა. მთელი ცხოვრების განმავლობაში მას აძრწუნებდნენ სიკოფანტესები.[2] ნიკიასი ლამობდა, თავი დაეღწია მათგან ფულებით: გულუხვად აძლევდა სესხს მეგობრებსაც და მტრებსაც. სიფრთხილის გამო იგი თანამოქალაქეებთან სიახლოვესაც კი გაურბოდა, არასოდეს ესაუბრებოდა მათ, არავისთან სადილობდა, დილიდან საღამომდე სახელმწიფოებრივი საქმეებით იყო დაკავებული, თავისუფალ დროს კი იკეტებოდა სახლში მეგობრებს და ახლობლებს განრიდებული.

გამუდმებულმა შიშმა, ბუნებით ისედაც ფრთხილი და გაუბედავი ნიკიასი, კიდევ უფრო მფრთხალი და წინდახედული გახადა. მას ეშინოდა სახელმწიფოებრივი გარდაქმნებისა და მიაჩნდა, რომ საჭიროა „მამათა წესით" ცხოვრება. ვითარცა წარჩინებული და შეძლებული მოქალაქე, ნიკიასი არისტოკრატული წყობის მომ-



ხრე იყო და დემოსის მოწინააღმდეგე. იგი უფრთხოდა ხალხის ბელადებს, უფრო მეტიც, სძულდა ისინი.

უკიდურეს სიფრთხილეს, გაუბედაობასა და სიზანტეს ნიკიასი ბრძოლათა ჟამსაც ამჟღავნებდა. იგი ამჯობინებდა სულაც უარი ეთქვა სახიფათო ბრძოლებისას მხედართმთავრობაზე, რადგანაც იცოდა, რომ წარუმატებლობის შემთხვევაში გაძევება ან სიკვდილით დასჯა ელოდა. მაგრამ თუკი ოდესმე გასძღოლია ლაშქარს, ყოველთვის გამარჯვებული დაბრუნებულა. მის წარმატებებს მტრები თუ მეგობრები მიაწერდნენ წლებით დაგროვილ გამოცდილებასა და გასაოცარ იღბლიანობას. პერიკლესის გარდაცვალების შემდეგ ნიკიასი პირველ სტრატეგოსად აირჩიეს. მან იმთავითვე აღიარა, რომ ომის მოწინააღმდეგე იქნებოდა და მალე ბრძოლებით განაწამებ ატიკის მკვიდრთა შორის უდიდესი მხარდაჭერაც ჰპოვა.

ყველაზე მეტად ომებმა ათენის გლეხობა დააზარალა. მათი მიწები გადაბუგული იყო, ვენახი აჩეხილი, საქონელი გატაცებული. ამიტომაც გლეხებს ყველაზე მეტად სძულდათ ომი. ისინი მშვიდობას ითხოვდნენ. მათ მდიდარ მიწათმფლობელებთან ერთად შექმნეს მშვიდობის პარტია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ნიკიასი.

სხვა პარტია (ეგრეთ წოდებული „პირეოსული") შედგებოდა იმ ხალხისაგან, რომელთაც ასე ძალუმად არ შეხებია ომის სიმძიმე. ძირითადად ესენი იყვნენ ქალაქელი ხელოსნები, წვრილი მოვაჭრენი, მეზღვაურები და სოვდაგრები, რომლებიც ზღვის მილმა ვაჭრობას ეწეოდნენ. ისინი ომის მომხრენი იყვნენ. პირეოსული პარტიის სათავეში იდგნენ ცნობილი ორატორი და ბელადი კლეონი, ჰიპერბოლოსი და სხვები.

კლეონმა და მისმა პარტიამ შეძლო ძალაუფლების ხელში ჩაგდება. იგი დაუხანებლივ შეუდგა სპარტის წინააღმდეგ ომისთვის მზადებას. მან განიზრახა თვით პელოპონესოსში მოეწყო ჰელოტთა ამბოხება.

ათენელმა მხედართმთავარმა დემოსთენესმა ბრძანება მიიღო, თავს დასხმოდა სპარტელებს პელოპონესოსში. ათენელთა იქ გამოჩენას ჰელოტთა ამბოხება უნდა მოჰყოლოდა. დემოსთენესმა ხელში ჩაიგდო ქალაქი პილოსი, სპარტელთა მნიშვნელოვანი ნავსადგომი მესენიის სანაპიროზე. აქედან უფრო იოლი იყო ჰელოტთა ამბოხების მოწყობა. სპარტელებმა, იგრძნეს რა მოსალოდნელი საფრთხე, მრავალრიცხოვანი ქვეითი და საზღვაო ძალა გაგზავნეს კუნძულ სფაქტერიისკენ, რომელიც პილოსის მოპირდაპირედ მდებარეობდა. მაგრამ ათენელებმა დაამარცხეს სპარტის ესკადრა და ალყა შემოარტყეს კუნძულზე დაბანაკებულ 400 სპარტელს.

როდესაც სპარტელებმა დაინახეს, რომ ბრძოლის ბედი ათენელებისკენ გადაიხარა, პირველებმა შესთავაზეს ზავის დადება. ნიკიასის წინააღმდეგობისდა მიუხედავად, ათენელებმა არ მიიღეს წინადადება.



ბრძოლა გრძელდებოდა, მაგრამ სფაქტერიის ალყას წარმატება არ მოჰყოლია. ბლოკადისდა მიუხედავად, სპარტელები ახერხებდნენ კუნძულზე საკვების შეგზავნას, ამიტომ ალყაში მოქცეულთა დამორჩილება შეუძლებელი გახდა შიმშილის ძალით.

მაშინ კლეონმა ათენის სახალხო საბჭოზე გაილაშქრა დემოსთენესისა და ნიკიასის წინააღმდეგ. პასუხად ნიკიასმა ასე მიუგო: „კლეონ, შენ თავად ხომ არ გაეგმართებოდი სპარტელების წინააღმდეგ საბრძოლველად?" მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ კლეონმა მიიღო ნიკიასის წინადადება და სათავეში ჩაუდგა იმ ჯარს, რომელიც ალყას არტყამდა კუნძულს. მან განაცხადა, რომ გამგზავრებიდან ოცი დღის შემდეგ გაანადგურებდა სპარტელებს, ან ტყვედ წამოასხამდა მათ ათენში.

კლეონმა დემოსთენესსთან ერთად ისე წაიყვანა ბრძოლის საქმე, რომ ოცი დღის შემდეგ ცოცხლად გადარჩენილი სპარტელები (300 კაცი) ტყვედ ჩაიგდო და ათენში ჩამოიყვანა. ამან აიძულა სპარტელები ეფიქრათ ზავზე ათენელთათვის ხელსაყრელი პირობებით.

კლეონმა გააფრთხილა სპარტელები, რომ, თუ ისინი ისევ შემოიჭრებოდნენ ატიკაში, ტყვეებს სიკვდილით დასჯიდნენ. და მართლაც, იმ დროიდან სპარტელთა ატიკაში თარეში შეწყდა.

ხმელეთზე დაუმარცხებელ სპარტელებზე კლეონის უზადო გამარჯვებამ ათენში დიდი სიხარული გამოიწვია. სახალხო საბჭომ იგი სახელმწიფოს მხსნელად და გმირად აღიარა და სათანადო პატივიც მიაგო. სამაგიეროდ მრავალი ადანაშაულებდა ნიკიასს სიმხდალესა და სიზანტეში იმის გამო, რომ თავისი მოწინააღმდეგის სასარგებლოდ უარი თქვა მთავარსარდლობაზე. ცნობილი კომიკოსი პოეტი არისტოფანე ასეთი სიტყვებით ამასხრებდა მას:

„ზევსია მოწმე,
მძინარა ნიკიასივით მთვლემარების დრო აღარა გვაქვს,
და არც ჭოჭმანის"...

კლეონი კი ამასობაში მისთვის ჩვეული ენერგიით განაგრძობდა ომს სპარტისა და მის მოკავშირეთა წინააღმდეგ. თავდაპირველად ომის ბედი ათენელების მხარეს იხრებოდა. მათ შეძლეს ეგეოსის ზღვიდან მოეკვეთათ კუნძული მეგარა, ხელში ჩაიგდეს რა მისი ნავსაყუდელი და დაეკავებინათ სპარტელთა ფლოტის მთავარი სადგომი – კუნძული კითერა, რომელიც პელოპონესოსის სამხრეთით მდებარეობდა.

შემდეგ ომის ღმერთმა მიატოვა ათენელები და მათ მწარე დამარცხება აგემა ბეოტიელებთან ბრძოლაში. ათენელთა ამ წარუმატებლობამ სპარტელები გამარჯვების რწმენით აღავსო. მათ განიზრახეს, ბრძოლა დაეწყოთ თრაკიაში, რათა ხელთ ეგდოთ ათენელთა იქაური სამფლობელოები.



ნიჭიერმა სპარტელმა მხედართმთავარმა ბრასიდასმა შეძლო რამდენიმე თრაკიული სახელმწიფოს ათენის წინააღმდეგ განწყობა.

კლეონი ათენის ლაშქარს ჩაუდგა სათავეში და ბრასიდასის წინააღმდეგ გაილაშქრა. თრაკიის ქალაქ ამფიპოლისსთან ბრძოლის ჟამს, სადაც ორივე მხედართმთავარი – კლეონიცა და ბრასიდასიც – სიცოცხლეს გამოესალმა, დამარცხდნენ ათენელები (ძვ.წ. 422 წ.).

ამ ბელადთა დაღუპვის შემდეგ ათენშიც და სპარტაშიც მშვიდობის პარტიებმა იმძლავრეს.

მალე ნიკიასისა და მის მომხრეთა წყალობით შესაძლებელი გახდა სპარტასთან ორმოცდაათწლიანი, ეგრეთ წოდებული ნიკიასის ზავის დადება იმ საფუძველზე, რაც ომამდე იყო. ათენელებს სპარტისთვის უნდა დაებრუნებინათ ტყვეები, დაეთმოთ პილოსი და სფაქტერია; სპარტელები ამფიპოლისიდან უნდა წასულიყვნენ.

მაგრამ მშვიდობა დიდხანს არ გაგრძელებულა: ორივე მხარე უკმაყოფილო იყო და ზავს ისე უმზერდა, როგორც სულის მოთქმას ახალი, გადამწყვეტი ბრძოლის წინ. სპარტელებმა არ დაუბრუნეს ათენელებს ამფიპოლისი. ამის პასუხად ათენელებმა შეინარჩუნეს პილოსი და სფაქტერია.

მიუხედავად ათენისა და სპარტის დაზავებისა, მთელი საბერძნეთი განხეთქილებამ მოიცვა. თვით პელოპონესოსი უკმაყოფილო იყო სპარტის მოქმედებით. ყველაზე მეტად აღშფოთებულნი იყვნენ კორინთოელები, მანტინეელები და არგოსელები. სპარტელთა შეურიგებელი მტრები – არგოსელები და მანტინეელები ათენთან დაახლოებას ისწრაფოდნენ.

ამ დროს ათენის პოლიტიკურ სარბიელზე გამოჩნდა ალკიბიადესი.[3] იგი შეეცადა არგოსთან და სხვა პელოპონესურ სახელმწიფოებთან ზავის დამყარებას. ნიკიასი ამაოდ იბრძოდა ალკიბიადესის ამ ჩანაფიქრის წინააღმდეგ. ნიკიასი სათავეში ჩაუდგა ათენის წარმომადგენლობას და გაემგზავრა სპარტაში, რათა ჩაეწყნარებინა ათენელთა და სპარტელთა შორის არსებული უთანხმოება. იგი ვარაუდობდა, რომ ათენელები თავს შეიკავებდნენ არგოსელებთან კავშირისაგან. მაგრამ ელჩობა წარუმატებელი აღმოჩნდა. ნიკიასის გავლენა დაეცა.

ხელისუფლების სათავეში მოექცა ალკიბიადესი. მან არგოსთან და პელოპონესოსის სხვა სახელმწიფოებთან შეკრა კავშირი.

სპარტა ერთობ მძიმე და სახიფათო მდგომარეობაში აღმოჩნდა: იგი გარემოცული იყო მისდამი მტრულად განწყობილი დემოკრატიული სახელმწიფოებით. ახლა სპარტისთვის მტრებზე გამარჯვებას სამკვდრო-სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა.

მოკავშირეთა ლაშქარი მანტინეასთან შეება სპარტელებს. ნიკიასის სიზანტის გამო ათენელებმა ვერ გაუწიეს მოკავშირეებს სათანადო დახმარება და მათ სრული დამარცხება განიცადეს.



ამ მარცხმა ათენში ალკიბიადესისა და ომის მომხრეთა გავლენები შეასუსტა და სახელმწიფოს სათავეში კვლავ ნიკიასი მოექცა.

ათენელთა ადათის თანახმად, დამარცხებულთა ბელადს ოსტრაკისმოსის წესით განდევნა ემუქრებოდა. ალკიბიადესის გაძევება თითქოს გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ მან მოახერხა ნიკიასის მომხრეებთან მოლაპარაკება და გაძევებული ალმოჩნდა ჰიპერბოლოსი, დემოკრატიული პარტიის ბელადი. ალკიბიადესი და ნიკიასი კვლავ ხელისუფლების სადავეებს დაეპატრონნენ. მოწინააღმდეგენი ნიკიასს კიცხავდნენ იმის გამო, რომ მას არ შეეძლო ამფიპოლისის დაბრუნება.

ნიკიასს საკუთარი სურვილის წინააღმდეგ მოუხდა თრაკიაში გალაშქრება ამფიპოლისის დასაბრუნებულად. ლაშქრობა სრული კრახით დასრულდა, რამეთუ მაკედონიის მეფემ, რომლის სამფლობელოზეც გადიოდა გზა, სპარტელთა მხარე დაიკავა და ათენელთა ჯარს არ მისცა იქ გავლის უფლება. ალკიბიადესი ახლა უკვე პირეოსის დემოკრატიულ პარტიას დაუახლოვდა, რომელიც ომის მოსურნე იყო.

პირეოსის პარტიის მომხრენი ათენის სახელმწიფოს დასავლეთ საზღვრების გაფართოებაზე ოცნებობდნენ. მათ სურდათ სიცილიის, კართაგენისა და აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროს (ლიბიის) დაპყრობა.

ალკიბიადესს დიდი ხანია ფიქრად ჰქონდა, გამხდარიყო ათენის მეთაურობით გაერთიანებული მთელი საბერძნეთის განმგებელი – ტირანი. მას მხოლოდ პირადი მისწრაფებები ამოძრავებდა, როდესაც ემხრობოდა ხან დემოკრატიულ, ხან არისტოკრატიულ პარტიას. ახლა ალკიბიადესის ჩანაფიქრს პასუხობდა პირეოსის დემოკრატიული პარტიის გეგმა და იგიც სიცილიაზე ლაშქრობის მომხრეთა ბელადად იქცა.

მთელი თავისი მჭევრმეტყველება და გავლენები ალკიბიადესმა იქით მიმართა, რომ სახალხო კრებაზე ათენელები სიცილიაზე ლაშქრობის აუცილებლობაში დაერწმუნებინა. ემოციური ათენელები გაიტაცა მის მიერ წარმოსახულმა სურათებმა. „თავდაპირველად, – ამბობდა იგი, – აუცილებელია დავიპყროთ სიცილია, ვითარცა ჩრდილოეთისკენ ლაშქრობათა საფუძარი. სიცილიის და კართაგენის დამორჩილების შემდეგ ათენელები ხელთ იგდებენ ზღაპრულად მდიდარ ნადავლს და მაშინ ყოველი მოქალაქე გამდიდრდება; აღარ იქნება საჭირო შრომა, თქვენ მხოლოდ ბრძანებთ და ყოველივეს ხელქვეითნი აღგისრულებენ“.

ათენელთა მღელვარებამ და სალაშქრო გეგმებით გატაცებამ უმაღლეს მწვერვალს მიაღწია, როდესაც ათენში გამოჩნდნენ სიცილიის ქალაქთა – ლეონტინის და ეგესტეს ელჩები. ისინი ათენელებს დახმარებას სთხოვდნენ და არწმუნებდნენ, რომ კუნძულზე იფეთქებდა დემოკრატების ამბოხება, როგორც კი იქ ათენელთა ლაშქარი გამოჩნდებოდა. ისინი პირობას დებდნენ, რომ ათენელ ჯარისკაცებს დაუნიშნავდნენ დიდ გასამრჯელოს.



ათენის სახალხო კრებებზე ცხარე დავა იმართებოდა იმის თაობაზე, ღირდა თუ არა სიცილიური ქალაქების დასახმარებლად გალაშქრება. ათენელთა დიდ ნაწილს წარმოდგენაც არ ჰქონდა შორეულ კუნძულზე. იგი ზღაპრულად მდიდარ ქვეყნად მიაჩნდა, მისი დაპყრობა კი – უიოლეს საქმედ. სახალხო კრებათა შემდეგ დავა გრძელდებოდა ქუჩებში, მოედნებზე, დახლებსა თუ სახელოსნოებში. ყველა ასაკის ადამიანი – ხანდაზმულიცა და ახალგაზრდაც – ქვიშაზე ხატავდა სიცილიის რუკას და ამ კუნძულთან დაკავშირებით ყოვლად შესაძლო გაუგონარ ამბებს ჰყვებოდა.

ვერავინ ბედავდა ამ ფანტასტიკური ჩანაფიქრის წინააღმდეგ გამოსვლას. ერთადერთმა ნიკიასმა, მისთვის ჩვეული გაუბედაობისა და მფრთხალობისდა მიუხედავად, პირდაპირ გაილაშქრა ომის წინააღმდეგ. „სიცილიაზე, – ამბობდა იგი, – ათენის წინააღმდეგ განწყობილი მრავალრიცხოვანი მოსახლეობაა. კუნძულის მკვიდრნი ბრწყინვალედ არიან შეიარაღებულნი და ომების საწარმოებლად დიდძალი სახსრებიც გააჩნიათ. ჩვენ კი, ათენელებს, მრავალრიცხოვანი ომების გამო ხაზინაც ცარიელი გვაქვს".

სახალხო კრებამ გადაწყვიტა, გაეგზავნა სიცილიაზე ესკადრა 6000 რჩეული მეომრის შემადგენლობით. ლაშქარს სათავეში ჩაუყენეს ალკიბიადესი, ნიკიასი და ლამაქოსი (რომელიც თავისი საბრძოლო საქმეებთი იყო განთქმული). ათენელები ვარაუდობდნენ, რომ ალკიბიადესის სიმამაცესა და ლამაქოსის სიფიცხეს შერწყმული ნიკიასის გამოცდილება და სიფრთხილე საქმეს დიდად წაადგებოდა.

ამ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მომდევნო სახალხო კრებაზე ნიკიასი კვლავ შეეცადა თანამოქალაქეთა გონზე მოყვანას. ნიკიასი ბრალს სდებდა ალკიბიადესს იმაში, რომ იგი პირად მოგებასა და დიდებას გამოდევნებული, სახელმწიფოს უდიდეს საფრთხეში აგდებდა. „ალკიბიადესმა, ისევე როგორც დანარჩენმა ათენელებმა, ზუსტად არ იცის, – ამბობდა იგი, – რა ქვეყანაა სიცილია და რა მოგველის ჩვენ ამ დიდსა და მტრულად განწყობილ კუნძულზე. თუკი ჩვენ საქმე სიცილიაზე ცუდად წაგვივა, მტერი უმალ თავს დაგვაცხრება. სპარტასთან დადებული ზავი ხომ ერთობ არასაიმედოა. ლაშქრობა და სიცილიის დაპყრობაც კი მხოლოდ დაასუსტებს ჩვენს ძალებს".

სახალხო კრებამ ყურად არ იღო მისი რჩევა. მთელი ქალაქი აბობოქრდა: მდიდრებს ხომალდთა აგება და აღჭურვა დაევალათ, მოკავშირეებს შემოჰქონდათ აუცილებელი აღსაჭურველი, ყოველი მოქალაქე, რომელსაც იარაღის ტარება შეეძლო, გამალებით ემზადებოდა სალაშქროდ, მესაჭეები და მეზღვაურები საზღვაოსნო ხელოვნებას ეუფლებოდნენ.

სახელმწიფო ხაზინის მთელი სახსრები მოხმარდა 134 ტრიერისაგან შემდგარი უდიდესი ფლოტის აგებას. დიდძალი თანხა დაიხარჯა აღსაჭურველისათვის, მეომართა საზღაურმა 1620 ტალანტონი შეადგინა. ფლოტის გამგზავრების წინადღეს კი საბედისწერო რამ მოხდა, რამაც უკიდურესად დაძაბული ათენელები კიდევ



უფრო მეტად დაძაბა და ააღელვა: ღამით უცნობმა პირებმა დაარბიეს და დამსხვრიეს ათენის გზაჯვარედინებზე აღმართული ჰერმები – ღვთაება ჰერმესის ქანდაკებები.[4] ხალხი ალკიბიადესს ადანაშაულებდა. ალკიბიადესმა მოითხოვა საქმის დაუხანებლივ გარჩევა, მაგრამ მტრებმა ვერ გაბედეს მის წინააღმდეგ აშკარა გამოსვლა. ამას გარდა, მისი სამსჯავროს წინაშე წაყენება ესკადრის გამგზავრებას დააყოვნებდა, ათენის სახალხო კრება კი ლაშქრობის სასწრაფოდ დაწყებას მოითხოვდა. გადაწყდა, რომ ალკიბიადესი სასამართლოზე წარდგებოდა ომის დამთავრების შემდეგ, ჯერ-ჯერობით კი იგი სიცილიაზე უნდა გამგზავრებულიყო.

და ბოლოს, ფლოტის გამგზავრების დღეც დაინიშნა (ძვ.წ. 415 წ.). ათენელები და მოკავშირეები სხდებოდნენ ხომალდებზე და ზღვაში გასასვლელად ემზადებოდნენ. თითქმის მთელი ქალაქი გამოვიდა მათ გასაცილებლად; მოქალაქეები ემშვიდობებოდნენ თავიანთ ახლობლებს, მეგობრებსა და ნაცნობებს. მრავალი მოიცვა შიშისა და სინანულის გრძნობამ: როგორ გასრულდება შორეული ლაშქრობა? ეღირსებათ კი ახლობლების ნახვა ისევ?!

მრავალმა მოცლილმა და უქნარამ მოიყარა თავი ნავსადგომში არნახული სანახაობის სამზერად. და მართლაც, ბრწყინვალედ აღკაზმულ და მდიდრულად მორთულ ხომალდთა სიმრავლე, მეომართა აღსაჭურველის ბზინვარება დიდებულ შთაბეჭდილებას ახდენდა.

როდესაც მეომრები ავიდნენ ხომალდებზე და ჯარების დაბარგება დასრულდა, გაისმა საყვირის ხმა. ყოველ ხომალდზე მქადაგებლები ერთდროულად აღავლენდნენ ლოცვას, რომელსაც იმეორებდნენ მეომრებიცა და ნაპირთან თავშეყრილი ბრბოც. მთავარსარდლები და მეზღვაურები ოქროს და ვერცხლის სასმისებით ღმერთებს ზედაშეს სწირავდნენ. ბოლოს იმღერეს საზეიმო ჰიმნი (პეანი). ხომალდებმა აუშვეს ღუზა და აბობოქრებული ნავსადგომი შორს მოიტოვეს.

ათენის ფლოტმა ჩაუარა პელოპონესოსს და კუნძულ კერკირასთან (ეპიროსის სანაპიროზე) ჩაუშვა ღუზა. აქ თავი მოეყარა მოკავშირეთა დანარჩენ ლაშქარს. სტრატეგოსებმა ერთხელ კიდევ შეამოწმეს თავიანთი ძალები. ფლოტი სამ ესკადრად დაიყო, თითოეულს საკუთარი ნავარქოსი მეთაურობდა. ეს ესკადრები დიდძალი სატრანსპორტო ხომალდების თანხლებით დაიძრნენ იტალიის ნაპირებისკენ.

სალაშქროდ შერჩეულმა სამმა სტრატეგოსმა გამგზავრების შემდეგაც კი ვერ მოახერხა მოქმედების საერთო გეგმის შედგენა. ალკიბიადესი, ძლიერი ნების ადამიანი, რომელიც მთელი ძალაუფლების ხელში ჩაგდებას ესწრაფოდა, საჭიროდ მიიჩნევდა, უპირველეს ყოვლისა არა სიცილიის მთავარი ქალაქის – სირაკუსას, არამედ მისი მოკავშირე სახელმწიფოების აღებას. ლამაქოსი, მგზნებარე მხედართმთავარი, მოუწოდებდა, გაეცურათ პირდაპირ სირაკუსასკენ და ვიდრე მისი მოქალა-



ქენი გონს მოეგებოდნენ, ზედ ქალაქის კედლებთან დაეწყოთ ბრძოლა. ნიკიასი კი ორივეს ეწინააღმდეგებოდა. იგი არ იყო დარწმუნებული ლაშქრობის წარმატებაში და ამიტომ მისი გეგმა ასეთი იყო: მცირეოდენი დახმარება გაეწიათ ეგესტეს მკვიდრთათვის, შემდეგ გარსშემოევლოთ სიცილიისთვის, მტერი დაეფრთხოთ და შინისაკენ მიქცეულიყვნენ. ამ წინადადებით ნიკიასმა მყის დაბლა დასცა ათენელების საბრძოლო სული და შემართება. ესეც არ იკმარა, ზღვად გასვლის მერეც იგი საოცარ სიზანტესა და გაუბედავობას იჩენდა. ნიკიასის ასეთი ქმედება სხვა მხედართმთავრებსაც უქრობდა ბრძოლის ხალისს, ხოლო ფლოტი უაზროდ კარგავდა დროს.

ბოლოს და ბოლოს, ლამაქოსი მხარში ამოუდგა ალკიბიადესს, ნიკიასი კი იძულებული იყო მათ დამორჩილებოდა.

იტალიის სანაპიროებთან ათენის უზარმაზარი ფლოტის გამოჩენამ სამხრეთ იტალიის სახელმწიფოთა შორის უდიდესი მღელვარება გამოიწვია: ყველას ესმოდა, რომ ათენელებმა აქ მოცურეს არა მათ დასახმარებლად, არამედ დასაპყრობად. ამიტომ ქალაქ რეგიუმამდე (იტალიის სამხრეთით) ათენელებმა არა თუ გადმოსვლა, დასალევი წყლის აღებაც კი ვერ მოახერხეს. რეგიუმში კი, როგორც იქნა, შეძლეს სურსათით მომარაგება. მაგრამ ათენელ სტრატეგოსებს კვლავ გაუცრუვდათ იმედები: მალე ნათელი გახდა, რომ ეგესტეს წარმომადგენლები ნაცვლად შეპირებული დიდძალი თანხისა, მეზღვაურებს სთავაზობდნენ უმცირეს გადასახადს, სულ 30 ტალანტონს.

აქედან მოლაშქრეებმა გასწიეს სიცილიის ქალაქებისკენ – ნაქსოსისა და კატანესაკენ, რომლებიც ათენელებს მიემხრნენ.

ამ დროს გამოჩნდა ათენიდან მომავალი სახელმწიფო ხომალდი „სალამინია“, რომელმაც სახალხო კრების გადაწყვეტილება აუწყა ბერძნებს: ალკიბიადესს უნდა მოეხსნა მთავარსარდლობა და დაუყოვნებლივ დაბრუნებულიყო ათენში სამსჯავროზე წარსადგომად. საქმე ის იყო, რომ აღმოჩნდა მის მიერ ჩადენილი მკრეხელობის დამადასტურებელი ახალი საბუთები. ალკიბიადესი დაემორჩილა ამ ბრძანებას, მაგრამ გზიდან გაიქცა და სპარტას შეაფარა თავი. ათენელებმა ალკიბიადესის გაქცევა მის მიერ ჩადენილი დანაშაულის მხილებად სცნეს და დაუსწრებლად სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს.

ალკიბიადესის წასვლის შემდეგ განმგებლობა ნიკიასს დაევალა. მას მართებდა დაუხანებლივ მოექცია სირაკუსა ალყაში. ეს უნდა მომხდარიყო მანამ, ვიდრე სირაკუსელები შეაგროვებდნენ დიდძალ ლაშქარს და სახსრებს თავდაცვისათვის და ვიდრე ბრძოლის ბედი ათენელებისკენ იხრებოდა. ეს იყო ომის მოგების ერთადერთი გზა.

ნიკიასს კი ვერ გადაეწყვიტა, დაეწყო სერიოზული საბრძოლო მოქმედებანი თუ არა. ის ჯერ კიდევ ლამობდა თავისი ფლოტის ძალმოსილების ჩვენებით სიცილიური



ქალაქების მიმხრობას. ამ მიზნით მან უაზროდ ისეირნა სიცილიის ნაპირებთან და ზაფ-ხულის უძვირფასესი დრო ამაოდ დაკარგა. ბოლოს უშედეგოდ დაბრუნდა კატანეში.

ამასობაში სირაკუსელები თავდაცვისათვის ემზადებოდნენ. მათ დახმარების-თვის მიმართეს სპარტასა და ათენის მოწინააღმდეგე სხვა ბერძნულ სახელმწიფო-ებს და დაქირავებულ მეომართა დიდი ლაშქარი შეაგროვეს. ბოლოს ისეთ ძა-ლებს მოუყარეს თავი, რომ განიზრახეს, თავად დასხმოდნენ თავს ათენელებს.

სირაკუსელთა ამბებმა ათენელთა ყურამდეც მიაღწია. მხოლოდ მაშინ, და ისიც ძალით, დაითანხმეს ნიკიასი შეტევაზე გადასულიყო. იმხანად ბერძენთა საომარი მოქმედებები წლის დროებთან იყო დაკავშირებული. ისინი ზამთრობით, ჩვეუ-ლებრივ, არ იბრძოდნენ და ათენელი სტრატეგოსიც ბრძოლის დაწყებას გაზაფ-ხულისთვის ვარაუდობდა.

საბრძოლო მზაკვრობით ათენელებმა შეძლეს სირაკუსელთა ჯარის ქალაქის კედლებიდან გამოყვანა. მაშინ ნიკიასმა დატოვა კატანე, დაიპყრო სირაკუსას ნავ-სადგომები და დასაბანაკებლად ხელსაყრელი ადგილი შეარჩია. როცა სირაკუსე-ლები თავისი ქალაქის კედლებთან მიბრუნდნენ, ათენელები თავს დაესხნენ და გა-იმარჯვეს კიდეც. მაგრამ ნიკიასმა არ ისარგებლა ამ გამარჯვებით და ნაცვლად იმისა, რომ სირაკუსა აეღო ბრძოლით, ნაქსოსზე დაბრუნდა გამოსაზამთრებლად.

როდესაც სირაკუსელებმა ეს გაიგეს, ათენელთა ბანაკს კატანეში თავს დაეს-ხნენ და გადაწვეს. ამ მარცხს ყველა ათენელ სტრატეგოსს აბრალებდა.

ახლა კი, როგორც იქნა, ნიკიასმა გადაწყვიტა ალყაში მოექცია სირაკუსა. ათე-ნელებმა შეძლეს მის მახლობლად შეუმჩნევლად გადმომსხდარიყვნენ და დაეკავე-ბინათ ის მაღლობი, ქალაქს რომ ჩრდილოეთიდან დაჰყურებდა. ამასობაში სირა-კუსელთა მხედრიონმაც ისწრაფა მათკენ და გაიმართა სასტიკი ბრძოლა. ათენე-ლებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს, ტყვედ 300 კაცი ჩაიგდეს.

შემდეგ ნიკიასმა მეტად მცირე დროში სირაკუსას გარსშემოავლო კედელი, რათა ქალაქისათვის ალყა შემოერტყა ზღვიდანაც და ხმელეთიდანაც. ათენის ფლო-ტი სირაკუსელთა დიდ ნავსადგომში შენავდა.

ალყაში მოქცეული სირაკუსელები თავს იცავდნენ და თავის მხრიდანაც აგებ-დნენ კედელს, რომელიც ათენელთა კედლის შემხვედრი უნდა ყოფილიყო. სირა-კუსელები ყოველნაირად ცდილობდნენ, ხელი შეეშალათ ათენელთათვის, ხანგა-მოშვებით ისინი ებრძოდნენ კიდეც ერთმანეთს. ასეთი შეტაკებისას მოკლეს ათე-ნელთა მეორე სტრატეგოსი, შეუპოვარი ლამაქოსი.

ახლა ჯარების გამნმგებელი მხოლოდ ნიკიასი იყო.

სასოწარკვეთილი სირაკუსელები თავს იცავდნენ, მაგრამ მათი მდგომარეობა დღითი-დღე უარესდებოდა: ათენელთა მიერ ქალაქის გარეშემო აგებული გალა-

ვანი თითქმის მზად იყო, ნიკიასი ალყის შემორტყმას იწყებდა. სიცილიის ზოგიერთი ქალაქი ათენელთა მხარეს გადავიდა. სირაკუსელებმა იმედი დაკარგეს და ათენის მთავარსარდალთან მოლაპარაკება გამართეს.

მაგრამ მოულოდნელად შეიცვალა ომის ბედი. სამშობლოს მოღალატე ალკიბიადესის რჩევით, სპარტელებმა სირაკუსელთა დასახმარებლად გაგზავნეს 700 მეომარი გამოცდილი მხედართმთავრის, ჰილიპოსის მეთაურობით. მან შეძლო მალულად გადაელახა სრუტე და სიცილიის ჩრდილო-დასავლეთით გადმოესხა თავისი ლაშქარი. ნიკიასს გამარჯვების ისეთი რწმენა ჰქონდა, რომ მეთვალყურენიც კი არ განუწესებია, თუმცა იცოდა, რომ ჰილიპოსი უახლოვდებოდა.

სირაკუსას მახლობლად დაბანაკებულმა ჰილიპოსმა თავდაპირველად ნიკიასთან გაგზავნა მაცნე. იგი ათენელებს სთავაზობდა, დაუყოვნებლივ ასულიყვნენ ხომალდებზე და ათენისკენ გაეცურათ. ნიკიასს პასუხიც არ გაუცია სპარტელთა მხედართმთავრისთვის. მაშინ ჰილიპოსი სირაკუსელებთან ერთად თავს დაესხა ათენელებს. პირველ ბრძოლაში ათენელებმა გამარჯვება მოიპოვეს, მაგრამ შემდეგ მტერმა დაიკავა მათი რამდენიმე სიმაგრე და ალყაშემორტყმულ ქალაქში შეაღწია.

ამ წარუმატებლობამ ათენის სტრატეგოსი სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. იგი მიხვდა, რომ ათენელებს აღარ შეეძლოთ ქალაქის ალყის შენარჩუნება ხმელეთიდან. უფრო მეტიც, ათენელები მალე თავად აღმოჩნდებოდნენ ალყაში, რამეთუ სირაკუსელებმა კედელი ააგეს იქვე, მათ სიმაგრეებთან.

ახლა ათენელებს ერთი გამოსავალი რჩებოდათ – ეთხოვათ დახმარება ათენისათვის. ნიკიასი ასეც მოიქცა. მან გაუგზავნა ათენის სახალხო კრებას წერილი, რომელშიც მრუმე საღებავებით ხატავდა შექმნილ მდგომარეობას, იმიზეზებდა ავადმყოფობასა და თავის სანაცვლოდ ახალ სტრატეგოსს ითხოვდა. „ვიდრე ჯანმრთელი ვიყავი, – წერდა ნიკიასი, – სახელმწიფოს ვემსახურებოდი. ახლა კი უკვე აღარ შემიძლია სტრატეგოსის თანამდებობის აღსრულება. სასწრაფოდ გვჭირდება შველა, რამეთუ ჩვენი ხომალდები დაზიანდნენ და გამოუსადეგარნი ხდებიან, მოკავშირეები გარბიან. ლაშქარი საჭიროებისამებრ ვერ მარაგდება, ფული აღარ არის და არც იშოვება, რადგან მოკავშირეები აღარ გვეხმარებიან“.

ნიკიასის წერილი ათენში მაშინ მიიტანეს, როდესაც ქალაქს მძიმე დრო ედგა: სპარტელებმა კვლავ წამოიწყეს ომი. ალკიბიადესის რჩევით, მათ დაიკავეს დეკელეა – ატიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სიმაგრე. აქედან სპარტელები ატიკისა და მის მეზობლად მდებარე ევბოიას ველებზე მოწეულ ხორბალს არ უშვებდნენ ათენში. დღითა და ღამით მტერი მოსვენებას არ აძლევდა ათენელებს. ქალაქის მთელი მოსახლეობა თავს იცავდა. მტერთან შეტაკებები ყოველდღიურ მოვლენად იქცა.



მიუხედავად ამისა, სახალხო კრებამ სახელმწიფოს მთელი ძალების დაძაბვით ხომალდთა ორი ესკადრა აღჭურვა 1200 ათენელი ჰოპლიტით, მრავალრიცხოვანი მოკავშირეებით და გამოცდილი მხედართმთავრის, დემოსთენესის მეთაურობით სიცილიისკენ გაგზავნა, თან გაატანა დიდძალი ფულიც.

ამასობაში ნიკიასს თავს დაესხნენ ხმელეთიდან და ზღვიდან. მტერმა ჩაძირა ათენელთა 7 ხომალდი, სხვები მნიშვნელოვნად დააზიანა და, რაც მთავარია, ხელში ჩაიგდო ათენის ბაზა, პლემირიას კონცხი, დიდძალი მარაგით, იარაღითა და ფულით.

მას შემდეგ, რაც ათენელები პლემირიადან გააძევეს, ლაშქრის მომარაგება მეტისმეტად გაძნელდა, რადგანაც მტრის ხომალდები ხელს უშლიდნენ სურსათსაზღვაგის შემოზიდვას. ათენელთა ამ მარცხს თან მოჰყვა თითქმის ყველა სიცილიური ქალაქის სირაკუსელთა მხარეს გადასვლა.

ათენის ჯარი საბოლოოდ დაეცა სულით; ათენელთაგან აღარავის სჯეროდა გამარჯვებისა და შინ მშვიდობით დაბრუნებისა.

სწორედ ამ დროს ათენის ბანაკში შენიშნეს, რომ ახლოვდებოდა დიდი ესკადრა. მუსიკის ხმაზე დემოსთენესის ფლოტი, რომელიც 73 ხომალდისაგან შედგებოდა და რომელსაც 5000 ჰოპლიტი, 3000 მსუბუქად შეიარაღებული მეომარი და დიდძალი აღჭურვილობა მოჰქონდა, ნავსაყუდელში შემოვიდა. ათენელები გამხნევდნენ და აღფრთოვანდნენ. როგორც იქნა, ფიქრობდნენ ისინი, ჩვენ შევძლებთ სირაკუსას აღებასა და მდიდარი ნადავლით შინ დაბრუნებას.

სირაკუსელები კი, პირიქით, სასოწარკვეთილებაში ჩაცვივდნენ: მათ დაინახეს, რომ შემოვიდა ლაშქარი, არანაკლები უწინდელზე, და რომ ათენელები ძველებურად ძალმოსილები არიან.

დემოსთენესმა განიზრახა, დაუხანებლივ თავს დასხმოდა მტერს. „საჭიროა, – ამბობდა იგი – ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდეს: ან უნდა დავიპყროთ სირაკუსა, ან შინ უნდა დავბრუნდეთ“.

ნიკიასი, როგორც ყოველთვის, წინააღმდეგი იყო. იგი ამბობდა, რომ მტერს სახსრები აღარა აქვს და რომ მალე მოკავშირეები მათ მიატოვებენ; მაშინ ისინი ზავს მოითხოვენო. და მართლაც, სირაკუსელებმა ისევ წამოიწყეს ზავზე მალული მოლაპარაკება ათენელებთან. სხვა სტრატეგოსები დემოსთენესს მიემხრნენ. ისინი ამბობდნენ, რომ ნიკიასი ადრეც ვერ ბედავდა ბრძოლის დაწყებას და ძვირფას დროს კარგავდა, რომ იგი ახლაც თავს იტყუებსო.

ნიკიასი მეგობრების ძალისხმევით ძლივს დაიყოლიეს.

დემოსთენესმა იმავე ღამეს სცადა სირაკუსელთა დამორჩილება. თავდაპირველად, ათენელებმა შეძლეს მტრის შევიწროვება; მაგრამ შემდეგ, უკანდახეულთა დევნისას, სიბნელეში უწესრიგო ბრძოლა გაიმართა. ათენელები მტერს ველარ

არჩევდნენ. დემოსთენესი მწარედ დამარცხდა. ბრძოლის ველზე ათენელთა და მის მოკავშირეთა 2000 ცხედარი დარჩა.

ამ წარუმატებლობის შემდეგ ათენელი სტრატეგოსები მოსათათბირებლად შეიკრიბნენ. საჭირო იყო, გადაეწყვიტათ, რა ელონათ. არაჯანსაღ ადგილას განლაგებულ ათენელთა ბანაკში სენიანობა დაიწყო; მებრძოლები დაეცნენ სულით; მდგომარეობა თითქმის უიმედო იყო. ამიტომ დემოსთენესმა შესთავაზა კრებას, ან დაუყოვნებლივ დაბრუნებულიყვნენ შინ, ანდა ბანაკი სხვა ადგილას გადაეტანათ, სირაკუსადან მოშორებით და იქიდან ეწარმოებინათ ბრძოლები. მაგრამ ამ წინადადებას მოულოდნელად წინ აღუდგა ნიკიასი. მას უწინდებურად გამარჯვებისა არა სწამდა რა, მაგრამ სირაკუსელებზე უფრო მეტად ეშინოდა თავისი მტრების – დემოკრატების, რომლებიც, მისი აზრით, ათენში დაბრუნებისთანავე მას სამსჯავროზე გაიყვანდნენ ამ მარცხის გამო და დასჯიდნენ. „მე ვამჯობინებ, – ამბობდა იგი, – ბოლო მომილოს მტერმა, ვიდრე ჩემივე თანამოქალაქემ".

ამასობაში სირაკუსაში კვლავ შემოვიდა დიდძალი მეშველი ლაშქარი. მაშინ კი მიხვდა ნიკიასი, რომ ომი წაგებულია, რომ საჭიროა ალყის მოხსნა და შინ დაბრუნება. როდესაც უკვე ყველაფერი მზად იყო გასამგზავრებლად, ღამით დაბნელდა მთვარე, რამაც ძლიერ შეაშინა ნიკიასიცა და სხვა მეომრებიც. ათენის ლაშქარში მყოფმა წინასწარმეტყველებმა განაცხადეს, რომ ღმერთები წინააღმდეგნი არიან უკან დახევისა, და რომ საჭიროა დაცდა მთვარის მომავალ მოვანებამდე.

ასეც მოიქცნენ. და მაშინ მოხდა ყველაზე უფრო საშინელი რამ: ორდღიანი საზღვაო ბრძოლების შემდეგ, რამაც მრავალი ათენელი იმსხვერპლა, სირაკუსელებმა ათენის ფლოტს უკან დასახევი გზა გადაუჭრეს. ათენელები ხაფანგში გაებნენ.

ათენის ბანაკში კვლავ შეიკრიბა სამხედრო საბჭო, რომელმაც გადაწყვიტა: ავადმყოფთა და დაჭრილთათვის დაეტოვებინათ დაცვა, დანარჩენებს კი, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, გაერღვიათ მტრის ალყა და სასწრაფოდ გამგზავრებულიყვნენ სამშობლოში.

ათენის ქვეითი ჯარის საუკეთესო ნაწილი ჩასხეს გადარჩენილ ხომალდებში. გამგზავრების წინ ნიკიასმა მოკლე სიტყვით მიმართა მეომრებს: „ჩვენ სამშობლოსათვის ბრძოლა მოგველის. გახსოვდეთ, რომ სამშობლოს უკანასკნელი იმედი თქვენ ხართ; ჩვენს სახელმწიფოს აღარც ფლოტი აქვს და არც ლაშქარი. თუკი დავმარცხდით, სამშობლო დაუცველი აღმოჩნდება. ჩვენ ყველაფერი გავითვალისწინეთ. ხომალდები მზად არიან შეტევისათვის. ჩვენ შევებმებით მტრის ხომალდებს და ისევე ვიბრძოლებთ, როგორც ხმელეთზე".

ათენის მძიმე ხომალდებისათვის არახელსაყრელ ადგილას ფიცხელი ომი გაჩაღდა. ზღვის მომცრო უბეში ორას ხომალდამდე შეიკრიბა.



სირაკუსელთა და ათენელთა ქვეითი ჯარი ნაპირიდან უმზერდა ბრძოლას. სირაკუსელთა მსუბუქი ხომალდები ყოველი მხრიდან უტევდნენ ათენელთა მძიმე ტრიერებს. მტერი უზარმაზარ ლოდებს უშენდა ათენელებს, რომლებიც ისრების და შუბების სროლით პასუხობდნენ. მტრის ალყის გარღვევის ყოველი ცდა ამაო იყო. ბოლოს სირაკუსელებმა გადამწყვეტი იერიშით უკუაქციეს ათენელთა ხომალდები. დაიწყო დამარცხებულთა ჟლეტა. ათენელები უიმედო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ: ზღვისკენ გზა მოჭრილი იყო, ხმელეთზეც უკანდახევა შეუძლებელი აღმოჩნდა – მტერს მოხელთებული ჰქონდა ყველა მაღლობი თუ გადასასვლელი, ხიდები დანგრეული იყო, ხოლო გაშლილი ველები ცხენოსანთა ჯარებს ეკავათ.

ათენელთა ჯარს ერთადერთი გზა ჰქონდა ხსნისა – იგი სიცილიის შიდა მხარეებს უნდა შეფარებოდა. უკანდახევა დროულად რომ დაწყებულიყო, ათენის ჯარი გადარჩებოდა. მაგრამ ნიკიასმა ზღვაზე დამარცხებიდან მხოლოდ ორი დღის შემდეგ გასცა ბრძანება.

მთელი ამ დანაკარგის შემდეგაც ათენის ლაშქარი 40 ათას მეომარს ითვლიდა. იგი დაიყო ორ რაზმად: წინ მიემართებოდა ნიკიასი, უკან – დემოსთენესი. მეომრებს სურსათ-სანოვაგის მხოლოდ ხუთი დღის მარაგი მიჰქონდათ.

თავიდანვე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ათენელები. ისინი იძულებულნი იყვნენ, გზიდან გადაეხვიათ, რადგანაც ეს გზა სირაკუსელებს ჰქონდათ გადახერგილი. ამის შემდეგ ისინი ალალბედზე დაეხეტებოდნენ: იქით მიდიოდნენ, საითაც ნაკლები საფრთხე ელოდათ ან სურსათი ეგულებოდათ. მტრის მხედრიონი მათ მოსვენებას არ აძლევდა. შიმშილი და წყურვილი ახელებდა უკანდახეულთ.

თავად ნიკიასი, თავს დამტყდარი უბედურებისა და ავადმყოფობისდა მიუხედავად, ინარჩუნებდა სულის სიმხნევეს და ცდილობდა, თავის უბედურ მეომრებში ხსნის იმედი არ მოესპო.

უკანდახევის მეექვსე დღეს თავისიანებს ჩამორჩენილი დემოსთენესის რაზმი ალყაში მოექცა. მტერი მთელი დღე უშენდა ათენელებს ისრებსა და შუბებს. როდესაც ცხადი გახდა, რომ წინააღმდეგობის გაწევას მთელი რაზმის განადგურება მოჰყვებოდა, დემოსთენესი თვითმკვლელობის წარუმატებელი ცდის შემდეგ ტყვედ ჩაბარდა იმ პირობით, რომ მის მეომრებს სიცოცხლეს შეუნარჩუნებდნენ.

ორი დღის შემდეგ იარაღი დაყარა ნიკიასმაც. მასაც შეჰპირდნენ ცოცხლად დატოვებას. მაგრამ სირაკუსას სახალხო კრებამ დაადგინა, რომ ნიკიასი, დემოსთენესი და სხვა სტრატეგოსები სიკვდილით დაესაჯათ, ათენელთა მოკავშირეები მონებად გაეყიდათ, ხოლო თვით ათენელები სირაკუსას მახლობლად მდებარე საპყრობილეებში ჩაეგდოთ.



ასე დაიღუპა ნიკიასი. მან თავისი გაუბედაობითა და სიმხდალით სამშობლოს დიდი უბედურება მოუტანა.

ათენელ ტყვეთა დიდ ნაწილს საპყრობილეებში აღმოხდა სული. საბრალო ტყვეები ენამებოდნენ წყურვილით, სიცივით, საშინელი სივიწროვით; მათ შორის გავრცელდა მოარული ავადმყოფობები; ზოგი კვდებოდა მწირი და ერთფეროვანი საკვებით დაუძლურებული. მხოლოდ მონებად გაყიდულებმა შეინარჩუნეს სიცოცხლე. გადმოგვცემენ, რომ ზოგიერთმა ტყვემ თავი დაიხსნა და თავისუფლებაც კი მიიღო იმის წყალობით, რომ ზეპირად ახსოვდა ნაწყვეტები ბერძნულ სამყაროში სახელმოხვეჭილი ათენელი ტრაგიკოსის, ევრიპიდეს ქმნილებებიდან.

მთელი ლაშქრისა და ფლოტის დაღუპვის ამბავი ათენელებს ვილაც უცხოელმა ამცნო. იგი პირეოსის ნავსადგომში ჩამოვიდა და გასაკრეჭად სადალაქოს მიადგა. ეს დიდი უბედურება მან ისე ახსენა, როგორც ყველასთვის ცნობილი რამ. სადალაქოს მეპატრონე თავქუდმოგლეჯილი გავარდა ქალაქში და მოსმენილი თანამდებობათა პირებს შეატყობინა.

ატყდა საშინელი აურზაური. სასწრაფოდ შეიკრიბა სახალხო კრება, სადაც მიიყვანეს ეს უცხოელი და დაწვრილებით დაუწყეს გამოკითხვა, თუ ვინ იყო, სად ან ვისგან გაიგო ეს ამბავი. უცხოელს შიშისგან ენა ჩაუვარდა და გარკვევით ვერაფერი თქვა. ათენელებმა იფიქრეს, ეს კაცი ბოროტმოქმედია და განგებ ავრცელებს ჭორს სახელმწიფოში განგაში რომ ატყდესო. უცხოელი აწამეს და მანამდე ჰყავდათ დამწყვდეული საპყრობილეში, ვიდრე ბოლოს და ბოლოს თავად მაცნეები არ გამოცხადდნენ ამ შემაძრწუნებელი უწყებით.

შენიშვნები

[1] დელოსი ითვლებოდა ღვთაება აპოლონისა და მისი დის, არტემისის სამშობლოდ.

[2] იმხანად ათენში იყვნენ ადამიანები, რომლებიც მდიდართა დაბეზღებითა და მათი სამსჯავროზე წარდგენით შოულობდნენ სახსრებს. მათ სიკოფანტესებს ანუ დამსმენებს უწოდებდნენ. ისინი ფულს ძალავდნენ წინასწარ შერჩეულ მსხვერპლს და სამსჯავროზე გადაცემის მუქარით ხშირად გაკოტრებამდე მიჰყავდათ იგი.

[3] იხ. ალკიბიადესის ბიოგრაფია.

[4] ჰერმესი იყო გზათა და ვაჭრობის ღვთაება. ჰერმების წაბილწვა რელიგიის წინააღმდეგ მიმართულ შემზარავ დანაშაულად ითვლებოდა.

ალკიბიადესი

ათენელი სახელმწიფო
მოღვაწე და სტრატეგოსი
(დაახლ. ძვ.წ. 450-404 წწ.)

ევრიპიდე ამბობდა, ყოველი მშვენიერი შემოდგომაზეც მშვენიერიაო. ეს სიტყვები ყოველ პიროვნებაზე როდი ითქმის, მაგრამ ალკიბიადესს ნამდვილად შეეფერება. მისი ცხოვრების ყოველ ასაკში, დროის ყოველ მონაკვეთში – ბავშვობაშიც, სიყმაწვილეშიცა და მოწიფულობაშიც სხეულის მოხდენილი და მომხიბლავი აღნაგობის გამო იგი მუდამ მშვენიერი იყო, – ასე ახასიათებდა პლუტარქოსი ალკიბიადესს, თანაც დასძენდა, რომ „მას თურმე ენა ებმოდა და ეს ენაბრგვილობა უხდებოდა კიდეც, რადგანაც მის ლაღ მეტყველებას დამაჯერებელსა და მადლიან ძალას ჰმატებდა".

ალკიბიადესი იყო მდიდარი და წარჩინებული ათენელის, კლინიასის ძე. მისი დედა საბერძნეთის ისტორიაში ცნობილი ალკმეონიდების გვარიდან იყო და ნათესავად ერგებოდა სახელოვან სახელმწიფო მოღვაწეს, პერიკლესს.

კლინიასმა სახელი მოიხვეჭა ბერძენ-სპარსელთა ომების დროს დაბა არტემისიონთან გამართულ საზღვაო ბრძოლაში, სადაც მტერს საკუთარი სახსრებით აგებული ტრიერით შეება. დაილუპა კი იგი ბეოტიელებთან ბრძოლისას. მისი გარდაცვალების შემდეგ ალკიბიადესს მეურვეობდა სახელოვანი პერიკლესი თავის ძმასთან ერთად. ასე რომ, ალკიბიადესი იზრდებოდა პერიკლესის სახლში, სადაც იმ დროის მრავალ გამოჩენილ ადამიანს ხვდებოდა. მათ შორის ფილოსოფოს ანაქსაგორასს, პოეტ სოფოკლეს, სახელმოხვეჭილ ასპასიას, რომელიც იმხანად უგანათლებულეს ქალად ითვლებოდა და სხვებს.

ჭაბუკმა ბრწყინვალე განათლება მიიღო. გარეგნულად მშვენიერი, გონიერებითა და არაჩვეულებრივი ნიჭიერებითაც გამოირჩეოდა. ბედმა მას უხვად მია-



მადლა მრავალი სიკეთე. ალბათ, ამის გამო ხასიათიც თავისებური და წინააღმდეგობრივი ჰქონდა. იგი მეტისმეტად პატივმოყვარე ყოფილა. უფრო ცუდი კი ის იყო, რომ სახელმწიფოს ინტერესებისადმი გულგრილობას იჩენდა და არც ხალხის ბედი აწუხებდა. ეს მაშინ, როდესაც თავს მბრძანებლობისთვის დაბადებულად მიიჩნევდა.

ალკიბიადესის პატივმოყვარეობა და პირველობისკენ მისწრაფება ცხადად ჩანს მისი ბავშვობის ხანის ამსახველ მოგონებებში: ერთხელ იგი თანატოლს ეჭიდავებოდა. როდესაც იგრძნო, რომ ვერ ერეოდა, ტანშებოჭილმა მეტოქის ხელები პირთან მიიტანა და კბენა დაუწყო. გამწარებულმა მოწინააღმდეგემ ხელი შეუშვა და შესძახა: „ეი, შენ რა ქალივით იკბინები!" – „ქალივით კი არა, ლომივითო!" – უპასუხა ალკიბიადესმა.

ერთხელ იგი ქუჩაში კამათელს თამაშობდა. ის-ის იყო გააგორა კიდეც, რომ ამ დროს გამოჩნდა ეტლი, რომელიც დიდი სისწრაფით უახლოვდებოდა მოთამაშეებს. ალკიბიადესმა შესძახა მეეტლეს, რომ შეეჩერებინა ეტლი და დაეცადა, ვიდრე ბიჭები არ ნახავდნენ, რამდენი ქულა დაგროვდა გაგორებულ კოჭებზე. მეეტლეს ყურადღება არ მიუქცევია მოთამაშე ბიჭებისათვის, სვლაც არ შეუნელებია. მაშინ ალკიბიადესი წინ გაუწვა ეტლს და შეჰყვირა, რომ უფრო მალე თავს გაასრესინებს, ვიდრე კამათლებს. ზარდაცემული შედგა მეეტლე, და მხოლოდ მაშინ, როდესაც კოჭები აიკრიფა, საშუალება მიეცა მას, გაეგრძელებინა თავისი გზა.

ნიჭმა და მშვენიერებამ, ირგვლივ მყოფთა აღფრთოვანებას რომ იწვევდა და პირფერობამ ახალგაზრდა ალკიბიადესს თავბრუ დაახვია. მან გადაწყვიტა, რომ მისთვის ყველაფერი ნებადართულია და ამიტომ კეთილშობილი კაცისათვის ულირს საქციელსაც კი კადრულობდა, ოლონდაც ყურადღება მიეპყრო და ხალხი აელაპარაკებინა. ერთხელ ალკიბიადესმა ბრძანა, კუდი მოეჭრათ მისი დიდი და ლამაზი ძაღლისთვის მხოლოდ იმიტომ, რომ სალაპარაკო გამხდარიყო.

ერთხელ იგი ქუჩაში შეხვდა ნაცნობ გრამატიკოსს, სკოლის მოძღვარს, რომელსაც ჰომეროსის პოემები სთხოვა. როდესაც მოძღვარმა მიუგო, რომ არ ჰქონდა ეს ქმნილებები, ალკიბიადესმა მას სილა გააწნა.

საერთოდ, ალკიბიადესი იოლად აძლევდა თავს უფლებას, ეხმარა ხელი თვით საპატიო ადამიანებთან დავისას. ერთხელ მან ყველას თანდასწრებით შემოარტყა მდიდარ ჰიპონიკოსს არაფრის გამო, სეირისათვის. მომდევნო დღეს კი დარცხვენილი გამოცხადდა მასთან და სთხოვა, რომ სამაგიეროს გადახდის მიზნით გაერიზგა. მაგრამ ჰიპონიკოსმა მას მიუტევა, მოგვიანებით კი თავის ასულიც მიათხოვა.

სრულწლოვანი ალკიბიადესი ისეთი მდიდარი იყო, რომ ჰქონდა უზარმაზარი თავლა ცხენებით და საყოველთაოდ ცნობილ ოლიმპიურ ასპარეზობებზე ეტლთა შეჯიბრებებში მონაწილეობდა.

ძველი ბერძნების წარმოდგენით, ოლიმპიურ ასპარეზობათა გამარჯვებულს სახელმწიფოს მმართველობაში მონაწილეობის უფლება ენიჭებოდა. ძვ.წ. VII-VI საუკუნეების საბერძნეთის მრავალი განმგებელი (ტირანი) ყოველნაირად ცდილობდა, გამარჯვების დიდება მოეხვეჭა ოლიმპიაში. იქ ტირანები დიდძალ თანხებს ხარჯავდნენ ხალხის გასამასპინძლებლად და თუკი გაიმარჯვებდნენ, სადიდებელ ჰიმნს უკვეთავდნენ თავისი დროის საუკეთესო პოეტებს. ალკიბიადესმა ოლიმპიურ თამაშობებზე ერთდროულად სამი ჯილდო დაიმსახურა – პირველი, მეორე და მეოთხე (რაც არავის ხვდომია წილად), და მანაც, ტირანთა მსგავსად გადაწყვიტა, განეცვიფრებინა ხალხი თავისი გულუხვობით: გამარჯვების სადიდებელი შეუკვეთა სახელმოხვეჭილ პოეტ ევრიპიდეს, ხოლო საუკეთესო მხატვრებს – სურათები თავის გამარჯვებათა გამოსახულებით. ათენის მოკავშირე მრავალმა ბერძნულმა სახელმწიფომ, წინასწარ განჭვრიტა რა ალკიბიადესის მომავალი, უხვად ჩამოიტანა მდიდრული სანოვაგე მის მიერ მოწყობილი ნადიმისათვის.

ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა ალკიბიადესის ახალგაზრდობაში იყო მისი შეხვედრა, შემდგომ კი მეგობრობა ცნობილ ფილოსოფოს სოკრატესთან.[1] იგი დიდი გავლენით სარგებლობდა ათენის ახალგაზრდობაში და მალე ალკიბიადესის მოძღვარიც გახდა. პელოპონესოსის ომის ერთ-ერთი ლაშქრობისას სოკრატე თავის მოწაფესთან ერთად ცხოვრობდა კარავში, მასთან ერთად იბრძოდა და სიკვდილისგანაც იხსნა. ალკიბიადესიც, თავის მხრივ, იცავდა სოკრატეს და რამდენიმეჯერ ააცილა კიდეც საფრთხე თავიდან. ბოლოს და ბოლოს, ალკიბიადესი ისე მიეჩვია სოკრატეს, რომ თავისი ბრძენი მეგობრისა და მოძღვრის გარეშე დიდხანს ველარ ძლებდა. ყველა გაოცებული იყო იმით, რომ ალკიბიადესი ვახშმობდა და ვარჯიშობდა და საერთოდ, ცხოვრობდა მასზე ბევრად ხნიერ ფილოსოფოსთან ერთად.

სოკრატე არ ერიდებოდა ალკიბიადესის ნაკლოვანი მხარეების საჯაროდ მხილებას. იგი ლამობდა, თავისი ახალგაზრდა მეგობრისათვის ჩამოეცილებინა ფარისეველნი, მოქეიფენი და მდიდარი უსაქმურები. მაგრამ, მიუხედავად სოკრატესადმი დიდი მოწიწებისა, ალკიბიადესი ვერ გათავისუფლდა თავისი მავნე ჩვეულებისაგან.

იმხანად, ათენში სახელის მოსახვეჭად და მალალი თანამდებობების დასაკავებლად აუცილებელი იყო, კაცს ჰქონოდა მჭევრმეტყველებისა და სახალხო კრებაზე გამოსვლის უნარი. ათენის სახელოვანი ორატორის, დემოსთენესის ცნობით, ალკიბიადესი გამოირჩეოდა ბრწყინვალე მჭევრმეტყველებით. მას შეეძლო ხალხის დარწმუნება თავისი სიტყვის ძალით და გააჩნდა იშვიათი უნარი, მოუმზადებლად ესაუბრა ოსტატურად. იგი არასოდეს იბნეოდა და ყოველთვის პოულობდა აზრისთვის შესაბამის გამოთქმას.



ალკიბიადესი საკუთარ მისწრაფებათა განხორციელების მიზნით ათენში მებრძოლ პოლიტიკურ პარტიათაგან ხან ერთს ემხრობოდა, ხან მეორეს. ჯერ კიდევ ჭაბუკი ოცნებობდა, ყოფილიყო ათენის სახელმწიფოს განმგებელი, ხოლო შემდეგ კი – მთელი საბერძნეთისა. ალკიბიადესი ვერ იტანდა ხალხს და მიიჩნევდა, რომ დემოკრატია უნდა შეიცვალოს ერთმმართველობით. ერთხელ იგი შინ ეწვია პერიკლესს, რომელიც მრავალი წელი განაგებდა ათენის სახელმწიფოს. პერიკლესი თავისი მოღვაწეობის ანგარიშს წერდა. „განა უმჯობესი არ არის, – უთხრა მას ახალგაზრდა სტუმარმა, – იფიქრო იმაზე, რომ საერთოდ არ წარუდგინო ანგარიში ათენელებს".

ათენელები იმხანად არისტოკრატულ სპარტას ებრძოდნენ. ათი წელი სრულდებოდა, რაც მათ შორის დაიძაბა ურთიერთობა. ამ დროის განმავლობაში სენმა იმსხვერპლა პერიკლესი, ბრძოლის ველზე დაეცა ათენის დემოკრატიის მეორე შესანიშნავი ბელადი კლეონი. მაგრამ ვერც ათენმა და ვერც სპარტამ ვერ შეძლეს გადამწყვეტი გამარჯვების მოპოვება. „ზომიერთა" პარტიის ბელადის, ნიკიასის რჩევით, ათენელებმა ზავი დადეს (ძვ.წ. 421 წ.), რომლის თანახმადაც მოწინააღმდეგენი ომამდელ მდგომარეობას უნდა დაბრუნებოდნენ.

ათენის გლეხობას გულწრფელად სურდა მშვიდობა. მათ ყველაზე მეტი იწვნიეს მტრისგან, რომელმაც ერთიანად გაანადგურა მთელი ბაღები და ვენახები. მაგრამ ქალაქის ხელოსნები, ვაჭრები და მეზღვაურები ომის გაგრძელებაზე ოცნებობდნენ, რამეთუ ბრძოლების დროს მათ დიდ საზღაურს უხდიდნენ. გამარჯვების შემთხვევაში კი იმედი ჰქონდათ, რომ გამდიდრებული სახელმწიფო მოქალაქეებს უფრო მეტ პურსა და ფულს დაურიგებდა.

ასეთი იყო მდგომარეობა სახელმწიფოში, როდესაც ალკიბიადესმა თავისი პოლიტიკური მოღვაწეობა დაიწყო.

წარჩინებულმა წარმომავლობამ, გავლენიანმა მეგობრებმა და მჭევრმეტყველებამ მას სახელმწიფობრივი თანამდებობისკენ გზა გაუხსნეს. ახალგაზრდა კაცს კარგად ესმოდა, რომ ომის მოწინააღმდეგე წარჩინებულნი წარმატებას ვერ მოიპოვებდნენ სახალხო კრებაზე. ამიტომაც მიემხრო ქალაქის მოსახლეობის ომის მოსურნეთა პარტიას, რომლის ბელადიც იყო ჰიპერბოლისი. თავისი ენამჭევრობის მთელი ძალისხმევით ცდილობდა იგი ხალხის დარწმუნებას ომის აუცილებლობაში.

ალკიბიადესის მოწინააღმდეგე იყო ნიკიასი, რომელიც იღვწოდა სპარტასთან ზავისა და კავშირისათვის. ალკიბიადესი ნიკიასისა და მის მომხრეთა წინააღმდეგ იბრძოდა მთელი ძალებით და გაიმარჯვა კიდეც.

ძვ.წ. 420 წელს იგი აირჩიეს პირველ სტრატეგოსად და სახელმწიფოს განმგებლად. ახალმა მთავრობამ გადაწყვიტა, მტრისთვის დაერტყა თავად პელოპონე-



სოსში. ალკიბიადესმა შეძლო ყოველგვარი ძალდატანების გარეშე დაეყოლიებინა ზოგიერთი პელოპონესური სახელმწიფო (მათ შორის არგოსი – სპარტის ოდინდელი მტერი), შემოსულიყო ათენის კავშირში. ამის პასუხად სპარტელებმა დაუხანებლად გაილაშქრეს არგოსზე.

ამ დროს ალკიბიადესი ათენში შეცვალა ნიკიასმა, რომელმაც არ ისურვა, თუ ვერ მოასწრო ახალი მოკავშირეებისათვის სათანადო მხარდაჭერა გაეწია, თუმცა მან ნება დართო ათენელ მოხალისეებს, ალკიბიადესის მეთაურობით წასულიყვნენ მეამბოხე პელოპონესელების დასახმარებლად. გადამწყვეტ ბრძოლაში მანტინეასთან (ძვ.წ. 418 წ.) სპარტელებმა იოლად გაიმარჯვეს. არგოსელები იძულებულნი იყვნენ ისევ დაედოთ ზავი სპარტასთან. მთელ რიგ პელოპონესურ სახელმწიფოებში არისტოკრატული წყობა დამყარდა.

მანტინეასთან დამარცხებამ ომის მოსურნე ალკიბიადესის პარტიას კრახი განაცდევინა. ათენის ადათის თანახმად, დამარცხებული პარტიის ბელადს ოსტრაკისმოსი ელოდა. ალკიბიადესის გაძევება გარდაუვალი ჩანდა. მაგრამ მან, დროულად შეაფასა რა შექმნილი მდგომარეობა, წინასწარ განჭვრიტა საფრთხე და მოახერხა შეთანხმებოდა ნიკიასს. ალკიბიადესისა და ნიკიასის მომხრეები გაერთიანდნენ, გაძევებული მოულოდნელად აღმოჩნდა ყოვლად უდანაშაულო ჰიპერბოლისი. მის მიმართ ჩადენილი უსამართლობა იმდენად ცხადი იყო ყველასთვის, რომ დაიწყეს ოსტრაკისმოსის წესის გამასხრება, მალე კიდეც უგულებელყვეს იგი. კოლეგიაში სტრატეგოსებად არჩეული ალკიბიადესი და ნიკიასი სახელმწიფოს მართვის სათავეში მოექცნენ.

მეორედ ჩაიგდო რა ძალაუფლება ხელში, ალკიბიადესმა სახელმწიფო მოღვაწისა და მხედართმთავრის ბრწყინვალე თვისებები გამოამჟღავნა. თავისი ცხოვრების წესითა და საქმიანობით იგი ცდილობდა, დაემტკიცებინა, რომ ის იშვიათი ადამიანი იყო, რომელიც ღმერთებმა მოავლინეს მოქალაქეთა მბრძანებლად. დიდი კომიკოსი პოეტის, არისტოფანეს თქმით, „ხალხს უყვარდა კიდეც და სძულდა კიდეც ალკიბიადესი და არ სურდა მის გარეშე ყოფნა". მოქალაქეთაგან გონიერნი კარგად ხვდებოდნენ, ვინ იყო ეს კაცი. ისინი ცდილობდნენ, დაენახვებინათ ხალხისთვის, რომ მათი რჩეული ერთმმართველობისკენ ისწრაფოდა. იმავე არისტოფანეს ერთ-ერთ კომედიაში ათენელები ასეთ აზრს გამოთქვამდნენ:

„რა საჭიროა, იზრდებოდეს ქალაქში ლეკვი,
გალომებული გაიძულებს დაემორჩილო".[2]

ამ სიტყვებით ავტორს სურდა, შეეხსენებინა თანამოქალაქეთათვის, რომ ვიდრე ალკიბიადესს არ ჩაუგდია ხელში მთელი ძალაუფლება და არ დაუმხია დემოკ-



რატია, საჭიროა მისგან თავის დაღწევა. მაგრამ ალკიბიადესის მიერ გაღებული შეწირულობანი, გულუხვი ქორეგია,[3] ქალაქისათვის მირთმეული უბადლო საჩუქრები, წინაპართა პატივისცემა, მჭევრმეტყველება, გარეგნული მშვენიერება, ძალა, სამხედრო გამოცდილება და სიმედგრე ათენელებს აიძულებდა, ყველაფერი მიეტევებინათ მისთვის. უხუცესებს ალკიბიადესი არ მოსწონდათ, რადგანაც მასში მომავალ ტირანს ხედავდნენ. სტრატეგოს არქესტრატოსს უთქვამს: „ორ ალკიბიადესს ელადა ნამდვილად ველარ აიტანსო".

იმხანად ათენში ცხოვრობდა ვინმე ტიმონი, პირქუში და ადამიანთაგან განდგომილი კაცი. ერთხელ იგი გამოცხადდა სახალხო კრებაზე, რაც მისგან მოულოდნელი იყო და ალკიბიადესის ბრწყინვალე გამოსვლის შემდეგ დარბაზი კი არ დატოვა, არამედ მიუახლოვდა ორატორს, მიესალმა და უთხრა: „კარგია ასე რომ იზრდები. ბოლოს და ბოლოს უდიდეს ბოროტებად გადაიზრდები". ზოგმა გაიცინა, ზოგმაც გალანძღა ტიმონი. ზოგიერთი კი ამ ნათქვამმა ღრმად ჩააფიქრა. და მართლაც, ალკიბიადესმა მალე დიდი ბოროტება მოუტანა თავის სამშობლოს. მან განიზრახა, მთელს საბერძნეთსა და მის მოსაზღვრე ქვეყნებში ათენის მმართველობა დაემყარებინა. ამ საქმის აღსასრულებლად პირველი ნაბიჯი უნდა ყოფილიყო სიცილიის დაპყრობა, შემდეგ კი სამხრეთ იტალიისა, კართაგენისა და აფრიკისა.

ალკიბიადესი ენერგიულად არწმუნებდა ხალხს, რომ საჭირო იყო დაუყოვნებლივ გაელაშქრათ სიცილიაზე, დაუფლებოდნენ მის სიმდიდრეს და მერე სხვა, უფრო დიდი ჩანაფიქრები აღესრულებინათ. მან შეძლო, ისე ხატოვნად წარმოედგინა სიცილიისა და დასავლეთის სხვა სახელმწიფოების ზღაპრული სიმდიდრე, რომ თავბრუ დაახვია ახალგაზრდობასა და ათენის ნავსადგომ პირეოსში თავშეყრილ მეზღვაურებს. ალკიბიადესის მომხრეები ავრცელებდნენ ყველანაირ წინასწარმეტყველებას იმაზე, რომ ათენელები სიცილიის ხელში ჩაგდების შემდეგ მთელი სამყაროს მბრძანებლები შეიქნებოდნენ. მთელი დღეების განმავლობაში ახალი ამბების მოსასმენად აგორასა თუ სადალაქოებში თავშეყრილი ხალხი მსჯელობდა მომავალ ლაშქრობაზე, დიდი თუ პატარა ქვიშაზე ხაზავდა სიცილიის, აფრიკისა თუ კართაგენის რუკებს. მრავალი შეღიოლა არმიასა და ფლოტში მდიდარი ნადავლის მოპოვების მიზნით. ნიკიასი და მისი მომხრეები ამაოდ მოუწოდებდნენ ხალხს, უარი ეთქვათ ლაშქრობაზე. ისინი მიუთითებდნენ სიცილიის სიდიდეზე, მისი მოსახლეობის სიმრავლეზე, ბრძოლის სიძნელეებზე და ა.შ. მრავალი გამჭრიახი მოქალაქე ლაშქრობის წინააღმდეგი იყო. ასე მაგალითად, ფილოსოფოს სოკრატეს და ასტრონომ მეტონს არ სჯეროდათ გამარჯვებისა და ყოველნაირად ცდილობდნენ მოქალაქეთა გადარწმუნებას. მეტონმა სიგიჟეც კი მოიგონა, ცეცხლი წაუკიდა თავის სახლს, ხო-



ლო დილას კი გამოცხადდა სახალხო კრებაზე და თავს დატეხილი უბედურების გამო თავისი შვილის ჯარიდან გათავისუფლება ითხოვა.

ბოლოს და ბოლოს სახალხო კრებამ გადაწყვიტა, სიცილიაზე გაეგზავნა დიდი ესკადრა მრავალრიცხოვანი ლაშქრით, სტრატეგოსებად დაასახელეს ალკიბიადესი, ნიკიასი და ლამაქოსი. ნიკიასი მისი სურვილის წინააღმდეგ აირჩიეს სტრატეგოსად, მხოლოდ იმიტომ, რომ თავისი სერიოზულობითა და კეთილგონიერებით შეეკავებინა ახალგაზრდა და ფიცხი მხედართმთავრები.

ყველაფერი მზად იყო გამგზავრებისთვის, რომ მოულოდნელად მოხდა საიდუმლოებით მოცული რამ, რამაც არსებითად შეცვალა ომის ბედი: ათენის ქუჩებში აღმართული იყო ათენელთათვის წმინდა და ხელშეუხებელი ჰერმები, გზათა ღვთაება ჰერმესის უხეშად გამოთლილი გამოსახულებები. ფლოტის გამგზავრების წინაღამეს უცნობმა ადამიანებმა ეს ჰერმები დაჩეხეს.

ბრალი ედებოდათ კორინთოელებს. თითქოსდა მათ იმიტომ ჩაიდინეს ეს დანაშაული, რომ იძულებული გაეხადათ ათენელები ან გადაედოთ ექსპედიცია, ანდა სულაც ხელი აეღოთ მათი თანატომელი სირაკუსელების წინააღმდეგ გალაშქრებაზე. ისინი იმედოვნებდნენ, რომ ცრუმორწმუნე ათენი ჰერმების დაჩეხვას ბოროტ უწყებად მიიღებდა და ექსპედიციას ჩაშლიდა. მრავალი ამ საქციელს დემოკრატიის მოწინააღმდეგეთა ღალატად აღიქვამდა. დაიწყო მკაცრი გამოძიება, რომელმაც ცხადი გახადა რელიგიის წინააღმდეგ ჩადენილი კიდევ ერთი დანაშაული. გამოირკვა, რომ ათენელ ახალგაზრდათა ერთმა ნაწილმა ნადიმის დროს განიზრახა ღვთაება დემეტრეს მისტერიის[4] გათამაშება. ხმა დაირხა, რომ მისტერიების, ამ წმინდა წესის შეურაცხყოფაში მონაწილეობდნენ ალკიბიადესი და მისი მეგობრები. ზოგიერთი პირდაპირ ადანაშაულებდა ალკიბიადესს ჰერმების წაბილწვასა და სიწმინდეთა შეურაცხყოფაში.

ალკიბიადესი და მისი მეგობრები დაიბნენ. ხომალდზე ასულმა მეზღვაურებმა, მეომრებმა და მოკავშირეებმა კი განაცხადეს, რომ არ წავიდოდნენ სალაშქროდ თავიანთი ბელადის გარეშე.

ალკიბიადესმა, დარწმუნებულმა, რომ დიდ გავლენას მოახდენდა სახალხო კრებაზე, საქმის დაუყოვნებლივ განხილვა მოითხოვა. მოწინააღმდეგეები შიშობდნენ, რომ იგი მოახერხებდა თავის გამართლებას და ამიტომ ხერხს მიმართეს. „ახლა არ არის იმის დრო, რომ ესოდენ მნიშვნელოვანი საქმე გავარჩიოთ, – ამბობდნენ ისინი, – დაე, ალკიბიადესი გზას გაუდგეს, ჩვენ მას მშვიდობით მგზავრობას ვუსურვებთ. ომი რომ გასრულდება, მაშინ გამოცხადდეს სამსჯავროზე თავის გასამართლებლად!“



საქმის ამ მზაკვრული გადადების აზრს ალკიბიადესი იმთავითვე ჩასწვდა და განაცხადა: „გონივრულია განა, ამ უზარმაზარი ლაშქრის სათავეში მყოფი კაცი საომრად გაგზავნოთ ისე, რომ მის წინააღმდეგ აღძრული ბრალდებანი და ცილისწამებანი მოუხსნელი დატოვოთ? სჯობს მოვკვდე, თუ თავს არ ვიმართლებ. ჰოდა, როდესაც გავმართლდები, მაშინ ცილისმწამებელთა შიში აღარ მექნება და ხალისით გავემართები სალაშქროდ!"

ალკიბიადესმა თავისი ვერ გაიტანა. სახალხო კრებამ მას სხვა სტრატეგოსებთან ერთად ზღვაში გასვლა უბრძანა.

ძვ.წ. 415 წლის მაისში ალკიბიადესის 134 ტრიერისა და 5000 მძიმედ შეიარაღებული მეომრისაგან შემდგარი ფლოტი, როგორც იქნა, სიცილიისკენ გაემგზავრა. იტალიის ნაპირებთან ათენის ესკადრას პირველი უბედურება შეემთხვა: სამხრეთ იტალიის ბერძნულ სახელმწიფოთა უმეტესობა ათენელებს მტრულად შეხვდა. უზარმაზარი ესკადრის გამოჩენამ ჩრდილოეთით მცხოვრებ ბერძენთა მღელვარება გამოიწვია. მათ ესმოდათ, რომ ათენელები მოვიდნენ არა მათ დასახმარებლად, არამედ იტალიის დამოუკიდებელ ბერძნულ სახელმწიფოთა დასამორჩილებლად.

ალკიბიადესმა აიღო ქალაქი რეგიუმი, შემდეგ კი გადავიდა სიცილიაზე. ხელში ჩაიგდო ქალაქი კატანე და ის-ის იყო სირაკუსას ალყას იწყებდა, რომ მოულოდნელმა შემთხვევამ ყველაფერი შეცვალა.

საქმე ის იყო, რომ ათენში ალკიბიადესის ფლოტის გამგზავრების შემდეგ, სახალხო კრებაზე მის მოწინააღმდეგეთა განწყობილებამ იმძლავრა, მტრები არ ცხრებოდნენ. „ჰერმების დამახინჯება და მისტერიების შეურაცხყოფა, – ამბობდნენ ისინი, – ეს საქმის მხოლოდ ერთი მხარეა. ურწმუნო დამნაშავეთა მთავარი მიზანი ათენის დემოკრატიის განადგურებაა". დაიწყო ეჭვმიტანილთა დევნა, წამება, დასჯა.

დაპატიმრებულთა შორის იყო ვინმე ანდოკიდესი, დემოკრატიის აშკარა მოძულე. იგი მხოლოდ იმიტომ მოხვდა მსჯავრდებულებში, რომ მისი სახლის წინ აღმართული უზარმაზარი ჰერმა არ იყო დაზიანებული. ციხეში ანდოკიდესმა გაიცნო კიდევ ერთი მსჯავრდებული, სახელად ტიმეოსი, რომელმაც დაარწმუნა იგი, მიეცა ყალბი ჩვენება მის ამხანაგებზე. „ვინც თავს დამნაშავედ სცნობს და თანამზრახველებს გასცემს, შეწყალებული იქნება, – ამბობდა ტიმეოსი, – სამსჯავროს დასკვნა არავინ იცის, ხალხი დევნის დემოკრატიის მტრებს. ჩვენ, ალბათ, ყველას სასიკვდილო განაჩენს გამოგვიტანენ. უმჯობესია, – განაგრძობდა იგი, – თავი ვიხსნათ თუნდაც სიცრუით, გავწიროთ ზოგი ეჭვმიტანილი, თუკი მრავალ პატიოსან კაცს ხალხის რისხვისგან ვიხსნით".

ტიმეოსისგან დარწმუნებულმა ანდოკიდესმა თავის თავსა და სხვებზეც ყალბი ჩვენება მისცა. თავად გადარჩა, მაგრამ მის მიერ დასმენილი უდანაშაულო ხალხი დაისაჯა.



სახალხო კრება ისევ მძვინვარებდა. ახლა უკვე ხალხის რისხვა ალკიბიადესისკენ წარიმართა. ყველაფერი იმით დასრულდა, რომ გადაწყვიტეს, გაეგზავნათ მისთვის ხომალდი „სალამინია", ჩამოეყვანათ იგი ათენში და დაუყოვნებლივ წარედგინათ სამსჯავროზე.

ალკიბიადესს შეეძლო არ დამორჩილებოდა ამ განაჩენს და დარჩენილიყო მისი ერთგული ფლოტისა და ლაშქრის სათავეში, მაგრამ მან გადაწყვიტა, დაეთმო მთავარსარდლის უფლებები. ათენისაკენ მომავალი ის გაიქცა.

ალკიბიადესი დაუსწრებლად გაასამართლეს. მას ბრალად დასდეს ჰერმების წაბილწვა, მისტერიების შეურაცხყოფა და სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს, ქონება ჩამოართვეს; სამსჯავროს გადაწყვეტილებით, ქურუმებს უნდა შეეჩვენებინათ იგი, ვითარცა მოლალატე და სიწმინდეთა წამბილწველი. როდესაც ეს ალკიბიადესს შეატყობინეს, მან წამოიძახა: „მალე იგრძნობენ ათენელები, რომ ცოცხალი ვარ!"

ახლა უკვე სამშობლოში დაბრუნების იმედი საბოლოოდ დაკარგული იყო. იმის შიშით, რომ ათენელებისათვის არ გადაეცათ, ალკიბიადესმა ღალატი განიზრახა. მან სპარტელებს თავშესაფარი სთხოვა, სამაგიეროდ შეპპირდა, რომ ამიერიდან მათ გაცილებით მეტ სიკეთესა და სარგებლობას მოუტანდა, ვიდრე ის ვნება იყო, რომელიც მტრობის ჟამს მიაყენა. სპარტელებმა თანხმობა განაცხადეს მის მიღებაზე და ალკიბიადესიც უხიფათოდ ჩავიდა სპარტაში.

უპირველეს ყოვლისა, მან სპარტელებს ურჩია, სირაკუსელთა დასახმარებლად მეომრები გაეგზავნათ, ხოლო შემდეგ კი დაეკავებინათ და გაემაგრებინათ დეკელეა – ატიკის მნიშვნელოვანი პუნქტი. ამ რჩევით ალკიბიადესმა საშინელი უბედურება დაატეხა თავს ათენელებს.

მან სპარტელთა კეთილგანწყობა დაიმსახურა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ხალხი ყოველთვის უნდობლად ხვდებოდა უცხოელებს. ალკიბიადესი ცდილობდა, ეცხოვრა სპარტული ცხოვრების წესით. მან გრძლად მოუშვა თმა, ბანაობდა მთის მდინარეთა ცივ წყალში, მიირთმევდა ცნობილ სპარტულ შავ წვნიან კერძს. სპარტელებს არ სჯეროდათ, რომ ეს კაცი მიჩვეული იყო გემრიელ საკვებს და რომ ათენში იგი ოდესმე მედიდურად მიაბიჯებდა მილეტური ქსოვილის ძვირფასი მოსასხამით მოსილი.

ალკიბიადესს ჰქონდა იშვიათი ნიჭი, მიეზიდა სხვადასხვა ჯურის ხალხი და თანაც მათი ცხოვრების წესი და ჩვევები მიეღო. მას ერთნაირად შეეძლო კარგისა და ცუდის შეგუება. იგი სპარტაში ბევრს ვარჯიშობდა, იყო უბრალო, სერიოზული, სიტყვაძუნწი; მცირე აზიის იონიელებში მდიდრულად ცხრვრობდა, ერთობოდა თავდავიწყებით; თრაკიაში უგონოდ სვამდა, თრაკიელთა წესისამებრ; თესა-

ლიაში ჯირითით იყო გატაცებული, მაგრამ ტისაფერნესის კარზე ისეთი ბრწყინვალებითა და განცხრომით ცხოვრობდა, რომ ფუფუნებას მიჩვეულ სპარსელებსაც კი აკვირვებდა. ეს შინაგანი გარდასახვანი ალკიბიადესისათვის ნიღბები იყო, რომელთაც მხოლოდ იმიტომ ირგებდა, რომ ხალხისთვის თავი მოეწონებინა, მათგან ის მიეღო, რაც სჭირდებოდა.

ალკიბიადესის მეგობრობა სპარტელებთან დიდხანს არ გაგრძელებულა. მისმა რჩევებმა მტერს სარგებლობა მოუტანა. სპარტამ იძალა. სიცილიური ექსპედიცია დასრულდა ათენელთა მწარე დამარცხებით. დაილუპა მთელი ფლოტი, მთელი ლაშქარი, ყველა სტრატეგოსი. მარცხისდა მიუხედავად ათენელები ჯიუტად განაგრძობდნენ ბრძოლას.

სპარტელები მიხვდნენ, რომ მხოლოდ საკუთარი ძალებით ვერ გაანადგურებდნენ ათენის სამხედრო ძლიერებას და დახმარებისათვის მიმართეს სპარსელებს. სპარსეთის მეფემ აღუთქვა სპარტელებს, რომ დაეხმარებოდა ფულითა და მეომრებით. სპარტელები სპარსული ფულით აწარმოებდნენ ომს, გასამრჯელოს უხდიდნენ დაქირავებულებს; ამავე ფულით მათ ააგეს უზარმაზარი ფლოტი, რომელიც ზღვაზე ბატონობაში ეცილებოდა ათენელებს.

სპარტის განმგებელთ ახლა უკვე აღარ სჭირდებოდათ ალკიბიადესი. ერთ-ერთი მეფე, აგისი, რომელიც პირადად შეურაცხყო ალკიბიადესმა, მისი დაუძინებელი მტერი გახდა. მრავალი წარჩინებული და გავლენიანი სპარტელი მას შურითა და უნდობლობით ეპყრობოდა. ამას კარგად გრძნობდა ალკიბიადესი და გაქცევა განიზრახა. ამ ჩანაფიქრის აღსასრულებლად მალე მას ჩინებული შემთხვევა მიეცა.

ალკიბიადესმა ესკადრასთან ერთად იონიისკენ გასწია ქიოსელების დასახმარებლად და თითქმის ყველა ბერძნული სახელმწიფო ათენისაგან განსადგომად განაწყო. ამ დროს მას გააგებინეს, რომ სპარტელებს მისი მოკვლა განეზრახათ.

მაშინ იგი გაიქცა სპარსეთის მეფისნაცვალ სატრაპ ტისაფერნესსთან. ეს ეშმაკი და გაიძვერა ადამიანი ბერძენთა მოსისხლე მტერი იყო. სატრაპმა თავაზიანად მიიღო ალკიბიადესი, რომელიც მალე მის კარზე ყველაზე უფრო გავლენიან კაცად იქცა. ვერავინ უძლებდა ალკიბიადესის მაცდუნებელ ხიბლს.

სპარტელებზე განაწყენებულმა ალკიბიადესმა ახლა მათი მტრობა ჩაიდო გულში. მან ურჩია ტისაფერნესს, სპარტელებისადმი დახმარების შესუსტებით თანდათან დაესუსტებინა ერთმანეთთან მოქიშპე ქვეყნები. „ასე ამოწყვეტენ ბერძნები ერთმანეთს, – ამბობდა იგი, – და მოქნილ იარაღად აღმოჩნდებიან სპარსეთის მეფის ხელებში“.

მზაკვარი სატრაპი ხვდებოდა, რომ ალკიბიადესის რჩევა სპარსეთს ერთობ წაადგებოდა და ყოველთვის მისი მითითებისამებრ იქცეოდა.



მალე სპარტელებმაც და ათენელებმაც შეიგნეს, თუ რამდენი რამ იყო ალკიბიადესზე დამოკიდებული და სცადეს მისი გადმობირება.

ალკიბიადესს მშვენივრად ესმოდა, რომ ათენელების ძალებს აღემატებოდა ერთდროული ბრძოლა ისეთი ძლევამოსილი ქვეყნების წინააღმდეგ, როგორებიც იყვნენ სპარტა და სპარსეთი. ამიტომ ათენელთათვის ერთადერთ გამოსავალს იგი სპარსეთთან დაახლოებაში ხედავდა. ალკიბიადესს ახლა მიეცა ხელსაყრელი შემთხვევა სპარსეთთან დაეზავებინა ათენი, რაც მას სამშობლოს ერთგულ შვილად წარმოაჩენდა.

ამასობაში ათენელმა არისტოკრატებმა და მდიდრებმა ისარგებლეს იმით, რომ დემოკრატიის მომხრენი საბრძოლველად იყვნენ წასულნი და სახელმწიფო გადატრიალება განიზრახეს.

იმხანად ათენის ფლოტი კუნძულ სამოსთან იდგა. მიუხედავად ყველა უბედურებისა, იგი ჯერ კიდევ მრისხანე ძალად რჩებოდა. მაგრამ ათენელებს ეშინოდათ ტისაფერნესისა, რომელიც სპარტელებს შეჰპირდა 150 ფინიკიურ[5] ტრიერს: ეს სპარტელთათვის გამარჯვებას ნიშნავდა.

როდესაც ალკიბიადესმა ყოველივე შეიტყო, საიდუმლო მოლაპარაკება გამართა სამოსთან მდგომი ათენის ესკადრის მთავარსარდლებთან, რომლებიც მხარს უჭერდნენ არისტოკრატებს. მოაჩვენა რა თავი არისტოკრატთა მომხრედ, ალკიბიადესი მათ ტისაფერნესსთან დაზავებას შეჰპირდა: „არა იმიტომ, რომ ათენის ხალხს გამოვადგე, – ამბობდა იგი, – არამედ იმიტომ, რომ მსურს გაიმარჯვოს არისტოკრატიამ, რომელსაც ერთადერთს ძალუძს დალუპვის გზად მიმავალი სახელმწიფოს ხსნა“.

ათენის ესკადრის მეთაურთაგან ალკიბიადესის მომხრეებმა მეზღვაურებისაგან ფარულად გაგზავნეს ათენში ერთ-ერთი თანამოაზრე. მას უნდა ენახა გავლენიანი მოქალაქეები და ერჩია, დაემხოთ დემოკრატია, რასაც შედეგად მოჰყვებოდა ალკიბიადესის მიერ აღთქმული ზავი ტისაფერნესსთან. არისტოკრატიული წყობის მომხრე სპარტელებიც უფრო მეტად იქონიებდნენ კავშირს არისტოკრატებთან, ვიდრე დემოკრატებთან. ასე დაწესდა ათენში 400 მდიდარი და გავლენიანი მოქალაქის ბატონობა.

როდესაც ეს ამბავი სამოსის ესკადრის დემოკრატმა ზღვაოსნებმა გაიგეს, თავიანთ სტრატეგოსებზე განრისხებულებმა მოიწვიეს ალკიბიადესი და სთხოვეს ფლოტის მთავარსარდლობა. მათ სურდათ, დაუხანებლივ გაეცურათ პირეოსისკენ ტირანიის დასამხობად.

მაგრამ ალკიბიადესი თვლიდა, რომ თუ იგი ათენისკენ გაემართებოდა, მტერი ხელთ იგდებდა იონიას, ჰელესპონტოსის სანაპიროებსა და ქალაქი ვეღარ მიი-

ღებდა პურს შავი ზღვიდან; მაშინ ომი წაგებული იქნებოდა. ამას გარდა, აუცილებელი იყო ფინიკიური ესკადრისა და სპარტის ფლოტის შეერთების ჩაშლა.

ალკიბიადესმა მიიღო ათენის ფლოტის მთავარსარდლობა, დაუყოვნებლივ გავიდა ზღვაში და ტისაფერნესი დაიყოლია, განერიდებინა ფინიკიური ესკადრა სპარტელთა ფლოტისგან.

მალე ათენში „ოთხასთა" მმართველობა დაეცა. ალკიბიადესის მეგობრები დიდად ეხმარებოდნენ სახალხო პარტიას. ათენელები ახლა უკვე ალკიბიადესს უხმობდნენ. მაგრამ მან განიზრახა, მხოლოდ როგორც გამარჯვებული და სამშობლოს მხსნელი ისე დაბრუნებულიყო ქალაქში.

იმხანად ათენის ფლოტი ებრძოდა სპარტის ფლოტს. ალკიბიადესი რამდენიმე ხომალდით დაიძრა თანამემამულეთა მისაშველებლად. იგი ზუსტად იმ დროს მიადგა აბიდოსს, როდესაც გამარჯვებულმა სპარტელებმა დევნა დაუწყეს ათენელებს. მაშინ ალკიბიადესი თავს დაესხა სპარტელებს და უკუაქცია ისინი. ათენელებმა მტრის მიერ ხელში ჩაგდებული ხომალდები დაიბრუნეს, ბევრი სპარტული ხომალდი ჩაძირეს, ოცდაათი კი ტყვედ ჩაიგდეს.

წარმატებებით აღფრთოვანებული ალკიბიადესი ტისაფერნესსთან გაემართა, რათა ათენელთათვის დახმარების გაწევაზე მოლაპარაკებოდა. მაგრამ მზაკვარმა სატრაპმა მისი შეპყრობა და სარდეს საპყრობილეში ჩაგდება ბრძანა. ერთი თვის შემდეგ ალკიბიადესმა გაქცევა და კვლავ ათენის ფლოტთან დაკავშირება მოახერხა.

ქალაქ კიძიკოსის[6] მახლობლად ალკიბიადესმა სპარტის ფლოტი აღმოაჩინა. იგი თავისი 40 ხომალდით თავს დაესხა სპარტელებს. ხომალდები ერთმანეთს შეებნენ. ამ დროს გამოჩნდნენ ათენის მთავარი ძალებიც. შეშინებული სპარტელები უკუიქცნენ და ხმელეთზე ეძიებდნენ ხსნას. მაშინ ალკიბიადესმა გადასხა დესანტი და შეუტია სპარტელთა და სპარსელთა მთავარ ძალებს, რომელთაც მეთაურობდნენ მინდაროსი და სატრაპი ფარნაბაძოსი.

ათენელებმა გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვეს. მამაცურად მებძოლი მინდაროსი ბრძოლის ველზე დაეცა, ხოლო ფარნაბაძოსი უკუიქცა. მტრის ყველა ხომალდი ტყვედ ჩაბარდა, სპარტის ფლოტი ერთიანად დაიღუპა; ათენელებმა კვლავ დაიბრუნეს ზღვაზე ბატონობა. მათ კიძიკოსიც კი დაიპყრეს, რითაც უზრუნველყვეს ათენის პურით მომარაგება ჰელესპონტოსიდან.

ათენელთა ხელში სპარტელთა წერილი აღმოჩნდა. იგი მათთვის დამახასიათებელი ლაკონიურობით იყო დაწერილი: „ყოველი სიკეთე დაიღუპა. მინდაროსი მკვდარია. ხალხი შიმშილობს. არ ვიცით, რა ვიღონოთ".

ალკიბიადესი შეუდგა ათენისაგან გამდგარ სახელმწიფოთა დამორჩილებას. ათენის სტრატეგოს თრასილოსსთან ერთად მან დაამარცხა ფარნაბაძოსის დიდძალი



ლაშქარი და მისი სატრაპიის ძარცვა დაიწყო. შემდეგ ქალაქ ქალკედონში[7] ალყაში მოიმწყვდია სპარტული გარნიზონი, რომლის მისაშველებლადაც ისწრაფა ფარნაბაძოსმა. ალკიბიადესმა დაამარცხა ისინი. სპარტელთა მხედართმთავარი ბძროლაში დაეცა, ფარნაბაძოსმა კი კვლავ მოახერხა გაქცევა.

ამის მერე ალკიბიადესი ბიძანტიონისკენ გაემართა და ქალაქს ალყა შემოარტყა. შემდეგ ხმა დაარხია, რომ ხსნის ალყას და მთელი თავისი ფლოტით ზღვაში გავიდა. ღამით კი ისევ მობრუნდა და ჰოპლიტთა დესანტი გადასხა ხმელეთზე. ნაპირს მთელი ესკადრა მიუახლოვდა. ათენელთა მომხრეებმა ქალაქის კარიბჭე გახსნეს.

ამასობაში ქალაქში მყოფმა პელოპონესელმა, ბეოტიელმა და მეგარელმა მეომრებმა მოიგერიეს დესანტის თავდასხმა და ხომალდებისკენ განდევნეს მტერი. შემდეგ კი თავს დაესხნენ ათენელებს. მაგრამ ალკიბიადესმა ეს სისხლისმღვრელი ომიც მოიგო. ბიძანტიონი დაეცა.

ახლა კი, რვაწლიანი განშორების შემდეგ, იგი მდიდარი ნადავლით ბრუნდებოდა ათენში, ვითარცა გამარჯვებული და სამშობლოს მსხნელი. მას თან მიჰქონდა მტერთან ბრძოლის ჟამს ხელში ჩაგდებული მრავალი ხომალდი. ალკიბიადესის ტრიერებზე გამოფენილი იყო მოწინააღმდეგეთა ჩაძირული ხომალდების კიჩოთა აღსაკაზმავი.

მოქალაქეთა მრავალრიცხოვანი ბრბო მას გვირგვინებით ეგებებოდა. ყოველი მხრიდან მოისწრაფოდა ხალხი მისასალმებელი შეძახილებით. ხანდაზმულები ახალგაზრდებს მოარბენინებდნენ მის სამზერად.

მაგრამ ხალხის სიხარულს დათმენილ უბედურებათა ნაღვლიანი მოგონება აუფერულებდა. მრავალი მოქალაქე მიიჩნევდა, რომ სიცილიის ექსპედიციას ასეთი სავალალო ბოლო არ ექნებოდა, მის სათავეში ალკიბიადესი რომ დარჩენილიყო.

სახალხო კრებაზე ალკიბიადესი აცრემლებული ჰყვებოდა თავის უბედურებებზე. შემდეგ შეეცადა ათენელებში მტერზე საბოლოო გამარჯვების იმედი აღეძრა. მისმა სიტყვამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. სახალხო კრებამ იგი განუსაზღვრელი უფლებებით აირჩია სტრატეგოსად ხმელეთსა და ზღვაზე ომებისათვის. ამას გარდა, ალკიბიადესი შეამკეს ოქროს გვირგვინით, დაუბრუნეს ჩამორთმეული ქონება და საზეიმოდ მოხსნეს ის წყევლა, რომლითაც იგი შეაჩვენეს, ვითარცა სამშობლოს მოღალატე.

ალკიბიადესი ბედნიერების მწვერვალზე იყო. ხალხი მხოლოდ მას ენდობოდა, მხოლოდ მას მიიჩნევდა მხსნელად. მრავალი მომხრე არწმუნებდა ალკიბიადესს დაეშალა სახალხო კრება, განედევნა სახელმწიფოს დამლუპველი მოლაყბე ორატორები და თავი ტირანად გამოეცხადებინა. მაშინ მისმა მოწინააღმდეგე არისტოკრატებმა განიზრახეს, რაც შეიძლება სწრაფად გაეძევებინათ იგი ათენიდან.

100 ტრიერისგან შემდგარი ფლოტით ალკიბიადესმა ათენიდან გაცურა და თავს დაესხა ანდროსს. მან დაამარცხა ანდროსელები, სპარტის ჯარი, მაგრამ ქალაქ-ბის აღება ვერ მოახერხა. ალკიბიადესის მტრებმა სცადეს, გაეზვიადებინათ ეს უმნიშვნელო მარცხი. ხალხს კი ძველებურად სჯეროდა მისი და მიიჩნევდა, რომ ამ კაცისთვის არაფერი იყო შეუძლებელი. ელოდნენ დიად გამარჯვებებს, თანაც და-უყოვნებლივ, ქიოსისა და მთელი იონიის დამორჩილებას. როდესაც გაიგეს, რომ საქმე არც თუ ისე სწრაფად მიიწევდა წინ, მრავალმა უკმაყოფილება გამოხატა და ალკიბიადესი დაუდევრობაში დაადანაშაულა.

სხვათა შორის, ალკიბიადესს თავის მეზღვაურთა შესანახი სახსრები არ ჰქონ-და. მას ხშირად უხდებოდა ფულისა და სანოვაგის მოსამარაგებლად ლაშქრისა და ფლოტის მიტოვება ხანგრძლივი დროით.

ერთ-ერთი ასეთი ექსპედიციის დროს ალკიბიადესი კარიის ნაპირებისკენ გაე-მართა. ფლოტის მეთაურობა სტრატეგოს ანტიოქოსს დაავალა. იგი შესანიშნავი ზღვაოსანი იყო, მაგრამ ამასთანავე გულზვიადი და გონებაშეზღუდულიც. ალკი-ბიადესისგან მას ნაბრძანები ჰქონდა, მტრებს სულ ახლოსაც რომ მოეცურათ თავ-დასასხმელად, არამც და არამც ზღვაზე ბრძოლაში არ ჩაბმულიყო. მაგრამ მან არად ჩააგდო ეს ბრძანება, მოამზადა ერთი თავისი და ერთიც სხვა ტრიერი, მი-ცურდა ეფესოსსთან და მტრის ხომალდების წინ თავმომწონედ გაცურა. მაშინ სპარ-ტის ფლოტს მეთაურობდა ლისანდროსი, რომელიც დაედევნა უგუნურ ანტიო-ქოსს და დაამარცხა. შემდეგ ხელთ იგდო მრავალი ხომალდი, ტყვე და ტროპეო-ნიც აღმართა.

გაიგო თუ არა ეს ამბავი ალკიბიადესმა, დაბრუნდა სამოსზე (იქ იდგა ათენის მთელი ფლოტი), ღუზა აუშვა და ხომალდები სპარტელთა წინააღმდეგ დაძრა. მაგრამ ლისანდროსი, რომელმაც კარგად უწყოდა ალკიბიადესის საბრძოლო ხე-ლოვნების სიდიადე, ბრძოლას განერიდა.

იმხანად ფლოტში მსახურობდა ალკიბიადესის პირადი მიტერი, ვინმე თრასი-ბულოსი. ამ მარცხის შემდეგ იგი ათენში დაბრუნდა, რათა სახალხო კრება ალკი-ბიადესის წინააღმდეგ განეწყო. მისი თქმით, ალკიბიადესი იმიტომ იყო დამნაშა-ვე, რომ ფლოტის განმგებლობა უნიჭო ხალხს გადააბარა, თავად კი აქეთ-იქეთ მოგზაურობდა, ფულს აგროვებდა და მხიარულად ატარებდა დროს, მაშინ, რო-დესაც მტერი კარზე ჰყავდა მომდგარი.

სახალხო კრებამ ირწმუნა ეს და სხვა ბრალდებებიც და ალკიბიადესს უნდობ-ლობა გამოუცხადა: აირჩია სხვა სტრატეგოსები.

ალკიბიადესმა სახალხო კრების ეს გადაწყვეტილება მაშინ შეიტყო, თრაკიაში რომ იმყოფებოდა ფულის შესაგროვებლად. იგი შეშინდა და ათენის ფლოტთან



ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა. შეაგროვა დაქირავებული ჯარი და თრაკიული ტომების წინააღმდეგ ბრძოლა საკუთარ თავზე აიღო.

ამასობაში ალკიბიადესის შემცვლელმა სტრატეგოსებმა შეაგროვეს ათენის მთელი ფლოტი და საბრძოლველად შეიკრიბნენ ეგოსპოტამოსსთან. დილით ისინი მიუახლოვდნენ ლისანდროსის ესკადრას, რომელიც მეორე ნაპირზე იდგა ლამფსაკოსის ყურეში. ათენელებმა ბრძოლად იხმეს მტერი, ხოლო შემდეგ უწესრიგოდ დაიხიეს უკან.

ათენის ფლოტის ეს უწესრიგობა შენიშნა ალკიბიადესმა, რომელიც შემთხვევით იქვე იმყოფებოდა. იგი ცხენზე ამხედრებული მიიჭრა სტრატეგოსებთან და აუწყა, რომ მათ არახელსაყრელი პოზიცია ჰქონდათ შერჩეული. ურჩია, გადაეყვანათ ფლოტი სხვა ადგილზე. ისიც უთხრა, რომ ისინი მეზღვაურებს სულ ამაოდ აძლევდნენ უფლებას დიდი ხნით დაეტოვებინათ ხომალდები ან გაეყვანათ ისინი მტრის ნაპირზე. პასუხად ალკიბიადესს ერთ-ერთმა სტრატეგოსმა უხეშად უბრძანა, გასცლოდა იქაურობასა და სხვის საქმეში არ ჩარეულიყო.

მალე დრომ ნათელყო, რომ ალკიბიადესი მართალი იყო: ლისანდროსი მოულოდნელად თავს დაესხა ათენის ფლოტს და ერთიანად გაანადგურა. გადარჩა მხოლოდ 8 ხომალდი კონონოსის მეთაურობით. ათენელებს აღარ დარჩათ ფლოტი, ბრძოლის გაგრძელება უიმედო იყო. მალე ათენელებმა თავი დამარცხებულად სცნეს და მტერს დანებდნენ.

ახლა უკვე ხმელეთსა და ზღვაზე სპარტელები მბრძანებლობდნენ. ალკიბიადესი გაემგზავრა ფრიგიაში, სატრაპ ფარნაბაძოსსთან და მის კარზე ცხოვრობდა დიდი პატივით.

სამარცხვინო და დამამცირებელი იყო იმხანად მძიმე გასაჭირში ჩავარდნილ ათენელთა მდგომარეობა. ახლა, როდესაც ყველაფერი დაღუპული იყო, ხალხი ცრემლებით იგონებდა თავის შეცდომებს. უმძიმეს ცოდვად მიიჩნევდნენ ათენელები იმას, რომ უმნიშვნელო წარუმატებლობის გამო სახელმწიფოს განარიდეს ყველაზე მოხერხებული და ნიჭიერი ბელადი. ბევრი ფიქრობდა, რომ ვიდრე ალკიბიადესი ცოცხალი იყო, ათენს ჯერ კიდევ უნდა ჰქონოდა ხსნის იმედი.

მაგრამ სპარტელები არ ასვენებდნენ ალკიბიადესს. არ არის ზუსტად ცნობილი, თუ როგორ დაიღუპა იგი. ზოგიერთები გადმოგვცემენ, რომ ლისანდროსმა ელჩი აახლა ფარნაბაძოსს ალკიბიადესის მოკვლის მოთხოვნით. ფარნაბაძოსმა კი მკვლელები გაგზავნა თრაკიის იმ პატარა სოფელში, სადაც ცხოვრობდა ალკიბიადესი. მკვლელებმა ცეცხლს მისცეს მისი სახლი, და როდესაც გარეთ გამოვარდა ალკიბიადესი, ისრებით განგმირეს.

სხვები ამბობენ, რომ ალკიბიადესი ულირსი საქციელისთვის ხალხმა მოკლაო ფარნაბაძოსის წაქეზებით.

შენიშვნები:

[1] სოკრატე (ძვ.წ. 469-399 წწ.) – სახელოვანი ათენელი ფილოსოფოსი, იდეალისტი, პლატონის მოძღვარი. დემოკრატიისათვის მიუღებელი შეხედულებების ქადაგების გამო იგი სიკვდილით დასაჯეს.

[2] „ბაყაყები", სტრ. 1425; 1432-1433.

[3] საკუთარი სახსრებით საზოგადო სანახაობათა მოწყობა.

[4] მისტერია – ღვთაებისადმი მიძღვნილი საიდუმლო წესი, რომელსაც მხოლოდ განდობილები აღასრულებდნენ-ხოლმე. ყველაზე მეტად ცნობილი იყო ელევსინური მისტერიები, რომლებიც ღვთაება დემეტრესა და მის ასულ პერსეფონეს ეძღვნებოდა. იგი ატიკის ქალაქ ელევსინში იმართებოდა.

[5] ფინიკია – ქვეყანა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე (ახლანდელი – სირია და ლიბანი). ფინიკიელებს იცნობდნენ, როგორც დახელოვნებულ ზღვაოსნებსა და ხომალდმშენებლებს.

[6] კიძიკოსი – ქალაქი მცირე აზიის ფრიგიაში.

[7] ქალკედონი – ქალაქი ბითვინიაში (მცირე აზია), ბოსფორის სრუტის გასასვლელში.


ადრიატიკის ზღვა
ილირია
ტბა ოხრიდი
მაკედონია
ქალკიდიკე
ეგეოსი
ეგეოსი
ეგინა
ეგესა
ეგინა
ეგესა
ეგესა
ეგეს

ლისანდროსი

სპარტელი მხედართმთავარი

(გარდაიცვალა ძვ.წ. 395 წ.)

ვადმოგვცემენ, რომ ლისანდროსის მამა, არისტოკრიტოსი, მართალია, მეფეთა მოდგმას არ მიეკუთვნებოდა, მაგრამ სპარტელი ჰერაკლიდების[1] წარჩინებულთა გვარის ჩამომავალი კი იყო. თავად ლისანდროსი სიღარიბეში გაიზარდა მამის ზედამხედველობით. იგი ბავშვობიდანვე მიაჩვიეს წინაპართა და კეთილშობილ ადამიანთა პატივისცემას, ყოველგვარ უბედობათა ღირსეულად დათმენასა და დიდებულ საქმეთა აღსრულებისაკენ სწრაფვას.

ყმაწვილი ლისანდროსი გამოირჩეოდა მტკიცე ნებისყოფით, გონიერებით, ჩინებული ფიზიკური მონაცემებითა და იშვიათი პატივმოყვარეობით. ადრევე გამოამჟღავნა მან ხასიათის მდარე თვისებებიც: პირფერობა და მზაკვრობა. მას შეეძლო ფარისევლობა მაღალი წოდების ადამიანებთან; მზად იყო აეტანა ნებისმიერი შეურაცხყოფა, თუკი ეს მის საქმეს წაადგებოდა.

იმხანად ლისანდროსის სამშობლო სპარტა ათენის სახელმწიფოს ებრძოდა საბერძნეთში ბატონობისთვის. ბრძოლამ დიდხანს გასტანა. მიუხედავად იმისა, რომ ორივე მხარემ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა, საბოლოო გამარჯვებას ვერცერთმა მიაღწია. მართალია, ათენელებმა სიცილიის საბედისწერო ექსპედიციას შესწირეს მთელი ფლოტი და ლაშქარი, იმედი მაინც არ დაკარგეს. მათი საზღვაო ძალმოსილება ჯერ კიდევ არ იყო განადგურებული. ათენმა ახალი ფლოტის შენება იწყო.

სპარტელმა ეფოროსებმა ათენელთა წინააღმდეგ საბრძოლველად დახმარებისათვის სპარსელებს მიმართეს. სპარსეთის მეფემ დიდძალი თანხა გაუგზავნა მათ ლაშქრის შესანახად და ფლოტის ასაგებად.



იმ დროისათვის ლისანდროსს ნიჭიერი მხედართმთავრისა და მოქნილი დიპლომატის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. სწორედ ამიტომ ანდეს მას ფლოტის მეთაურობა და, რაც მთავარია, სპარსელებთან მოლაპარაკების წარმოება. ლისანდროსმა შეადგინა საბრძოლო გეგმა, რომლის თანახმადაც სპარტელებს უარი უნდა ეთქვათ ბრძოლაზე მტრის უპირატესობის ხილვისთანავე და დაეწყოთ თავდასხმა მაშინ, როდესაც ირწმუნებდნენ საკუთარ ძალმოსილებას.

თავდაპირველად ლისანდროსი ესკადრით ეფესოსისკენ გაემართა. სპარსელებთან მოლაპარაკება კეთილად დასრულდა. მან ლიდიის მეფისნაცვალ კიროს უმცროსისაგან[2] მიიღო დიდძალი თანხა. უფრო მეტიც, მას ნება დართეს, თავად კიროსის სახელით აეღო ხარკი მცირე აზიის მოსახლეობისაგან. ამ ფულით ლისანდროსმა დაუხანებლივ გაუორმაგა თავის მეხომალდეებს გასამრჯელო. შემდეგ გამოაცხადა, რომ თუ ათენის დაქირავებული მეომრები მის მხარეს გადმოვიდოდნენ, მათაც მსგავს გასამრჯელოს დაუნიშნავდა. სწორედ იმხანად ათენელებმა ვერ შეძლეს თავის მეხომალდეთათვის კუთვნილი საზღაურის გადახდა. ათენის დაქირავებული მეომრები ჯგუფებად გადადიოდნენ ლისანდროსის მხარეს და სულ მცირე ხანში ათენის ფლოტი მეხოფურთა გარეშე დარჩა.

ათენელმა მხედართმთავარმა ანტიოქოსმა, ალკიბიადესის ბრძანების მიუხედავად, წინდაუხედაობა გამოიჩინა და მტერს შეუტია. იგი იოლად დაამარცხა ლისანდროსმა იონიის საპორტო ქალაქ ნოტიონთან (ძვ.წ. 407 წ.). ათენის სახალხო კრებამ ეს მარცხი ალკიბიადესს დააბრალა, რის გამოც იგი იძულებული გახდა, გადახვეწილიყო.

ასე მოიცილა თავიდან ლისანდროსმა ყველაზე ნიჭიერი და სახიფათო მტერი.

ლისანდროსმა ეფესოსში მიიწვია მოკავშირე ბერძნული და მცირეაზიული ქალაქების არისტოკრატიული წრეების წარმომადგენლები. იგი გულუხვად ურიგებდა არისტოკრატებს ფულს იმ საიდუმლო კავშირების შესაქმნელად, რომლებსაც დემოკრატიის დამხობა უნდა მოემზადებინათ. ამით მან არისტოკრატთა კეთილგანწყობა და ერთგულება დაიმსახურა.

ამასობაში ლისანდროსის განმგებლობის დრო ამოიწურა და მის ადგილზე სპარტიდან გამოაგზავნეს სხვა მეთაური სახელად კალიკრატიდასი. ეს იყო პირდაპირი და მართალი, მაგრამ გონებაშეზღუდული კაცი. ლისანდროსი განაწყენებული იყო კალიკრატიდასის გამოჩენით და ყოველი ხერხით ლამობდა მის ჩამოცილებას. ერთხელ მან მორჩენილი ფული უკან დაუბრუნა კიროს უმცროსს, ხოლო შემდეგ შესთავაზა კალიკრატიდასს თავად გამოეთხოვა უკან ეს ფული, ანდა სხვა გზებით მოეპოვებინა. მეზღვაურები, მეთაურები და მოკავშირეებიც ასევე უკმაყოფილონი იყვნენ მთავარსარდლის შეცვლით.



კალიკრატიდასი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ამაყი სპარტელი დამამცირებლად თვლიდა სპარსელთაგან ფულის აღებას. მეზღვაურთა შორის მღელვარებამ იჩინა თავი. მათთვის გასამრჯელო აღარ იყო სახელმწიფოში. მაშინ მთავარსარდალმა ძალა მოიკრიბა და კიროს უმცროსისაკენ გასწია სარდეში.

სასახლეში მისულმა მსახურთ უბრძანა, მოეხსენებინათ კიროსისათვის, რომ სპარტელ კალიკრატიდასს სურდა მისი ნახვა. ერთ-ერთმა კარისკაცმა დაცინვით აუწყა: „კიროსი დაკავებულია, ის სვამს. დაცდა მოგიწევს". კალიკრატიდასმა უპასუხა: „კარგი, დალიოს, მე დავიცდი". სპარსელმა კარისკაცებმა სასაცილოდ აიგდეს იგი. კალიკრატიდასი გაბრაზდა და იქაურობას გაეცალა.

მეორე დღეს იგი კვლავ ეწვია კიროსს და ისევ ვერ მოახერხა მასთან შესვლა. მიხვდა, რომ კიროსი მასხრად იგდებდა და განრისხებული დაბრუნდა ეფესოსში, თან თავის თანამოქალაქეებს, უპირველეს ყოვლისა კი ლისანდროსს კიცხავდა იმის გამო, რომ „ბარბაროსებს" თავი გაუყადრეს და ბერძნებზე მბრძანებლობას შეაჩვიეს.

მან დაიფიცა, რომ სპარტაში ჩასვლისთანავე ყოველგვარ ღონეს იხმარდა ძმათა შორის სისხლისმღვრელი ომის შესაწყვეტად. „მაშინ, – ამბობდა იგი, – ბერძნები, ისევე როგორც უწინ, კვლავ ბარბაროსთა რისხვად იქცევიან და აღარასოდეს მიირთმევენ მათ ნასუფრალს ერთმანეთის გასანადგურებლად".

მალე კალიკრატიდასი ათენელთა წინააღმდეგ საზღვაო ბრძოლაში დამარცხდა და თავადაც დაიღუპა ბრძოლის ველზე.

მაშინ სპარტელთა მოკავშირეებმა, კიროს უმცროსის ჩათვლით, სპარტაში გაგზავნეს ელჩები, რომლებიც ითხოვდნენ ფლოტის სათავეში კვლავ ლისანდროსის დაყენებას.

უბრალო მეზღვაურები კმაყოფილნი კი იყვნენ ლისანდროსის გულუხვობით, მაგრამ მაინც არ იწონებდნენ ბრძოლის მის მიერ შემოთავაზებულ წესს. ისინი მთავარსარდალს შეახსენებდნენ, რომ ჰერაკლეს ჩამომავალ წარჩინებულ სპარტელს არ ეკადრებოდა მზაკვრული ხერხებით ბრძოლა. ამის პასუხად ლისანდროსი მათ ასე მიუგებდა ხოლმე სიცილით: „სადაც ლომის ტყავი ვერ გაეტევა, მელიის ტყავით უნდა შეიცვალოსო". ამ სიტყვათა აზრი ასეთი იყო: თუ ვერ იძალე, ხერხს უნდა მიმართო.

სპარტელმა ეფოროსებმა კიროს უმცროსისა და მოკავშირეთა მოსამადლიერებლად კვლავ ლისანდროსი დანიშნეს ფლოტის მთავარსარდლად. თუმცა რადგანაც კანონით იკრძალებოდა ერთი და იმავე პირის მაღალ თანამდებობაზე ორგზის ზედიზედ არჩევა, ლაშქრის განმგებლად ვინმე არაკოსი იხმეს.

ლისანდროსმა ხელთ იგდო თუ არა ძალაუფლება, ყველა მოკავშირე სახელმწიფოში დემოკრატიული წყობის გაუქმება და არისტოკრატიული მმართველო-



ბის შემოღება იწყო. მაგრამ ყოველგან როდი მოქმედებდა იგი ძალითა და მუქარით, ყველაზე ხშირად ხერხსა და ხრიკებსაც მიმართავდა.

აი, რა მოხდა მილეტოსში: იქ ხალხსა და არისტოკრატებს შორის ცხოველი ბრძოლა იყო გაჩაღებული. არისტოკრატებმა ლისანდროსის მეშვეობით გაანადგურეს დემოკრატები და მოწინააღმდეგენი ქალაქიდან გააძევეს. შემდეგ არისტოკრატები ისევ შეურიგდნენ დემოკრატებს. მაშინ ლისანდროსმა საჯაროდ გამოხატა სიხარული ამ შერიგების თაობაზე, სინამდვილეში კი დემოკრატებს მასხრად იგდებდა. მან აიძულა არისტოკრატები ამბოხებულიყვნენ. შემდეგ ჯარით ქალაქში შეიჭრა და ამბოხებულებს დასჯით დაემუქრა, რა თქმა უნდა ფარისევლურად, ფარულად კი ხელს უწყობდა დემოკრატთა განადგურებას.

ლისანდროსი ხშირად იძლეოდა დაპირებებსა და დებდა ფიცს, მაგრამ არასოდეს იწუხებდა თავს მათი აღსრულებით. „ბავშვების მოტყუება, – ამბობდა იგი, – შესაძლებელია სათამაშოებით, მოზრდილებისა კი – ფიცით".

ასეთი იყო ლისანდროსი – გაიძვერა, უნამუსო და ორპირი ადამიანი.

კიროს უმცროსმა სარდეში მიიწვია ლისანდროსი, ფულად დახმარებასა და ფლოტს შეჰპირდა. კიროსმა თავის სპარტელ მეგობარს ხარკის აკრეფა და მცირე აზიის ბერძნული ქალაქების მართვაც კი ანდო მისი არყოფნის დროს.

ახლა კი მართლაც უხვად გაიღო საზღაური სპარტელმა მთავარსარდალმა თავისი მეზღვაურებისათვის და ესკადრის თანხლებით დაბრუნდა ჰელესპონტოსში, სადაც იერიშით აიღო ქალაქი ლამფსაკოსი.

ათენის ას ოთხმოცი ტრიერისაგან შემდგარი ესკადრა საბრძოლო მზადყოფნაში იდგა თრაკიის ხერსონესთან. გაიგეს თუ არა ლამფსაკოსის აღების ამბავი, ათენელები დაიძრნენ ეგოსპოტამოსისკენ და ფლოტი მტრის პირისპირ განალაგეს. ათენელებს რამდენიმე სტრატეგოსი მეთაურობდა, მათ შორის იყო ფილოკლესიც. მან სახელი გაითქვა იმით, რომ ათენის სახალხო კრებას შესთავაზა – ყოველი სპარტელი ტყვისათვის მოეკვეთათ მარჯვენა ხელის დიდი თითი, რათა მას აღარასოდეს შეძლებოდა შუბისა და მახვილის ხმარება.

მტრულ ესკადრათა ხომალდებზე მთელი დღე არავის დაუსვენია: ყველა მომავალი დღის გადამწყვეტი ბრძოლისთვის ემზადებოდა. ათენელებმა იცოდნენ, რომ მათთვის დამარცხება სამშობლოს დაღუპვის ტოლფასი იყო და ამიტომ გადაწყვიტეს, ან გაემარჯვათ, ან ბრძოლის ველზე დარჩენილიყვნენ.

ლისანდროსმა ხერხს მიმართა. მან მეზღვაურებსა და მესაჭეებს უბრძანა, ბრძოლისთვის მზად ყოფილიყვნენ, რათა ინათებდა თუ არა მტერს შებმობდნენ, ხოლო ქვეითი ლაშქარი ხმელეთზე დატოვა.



მეორე დღეს, მზის ამოსვლისთანავე, ათენის ფლოტი დაიძრა სპარტელთა წინააღმდეგ. ლისანდროსმა არ მიიღო ეს გამოწვევა. მან წინა ხაზზე მდგომ ხომალდებს უბრძანა, შეენარჩუნებინათ სიმშვიდე და არ დაეწყოთ ბრძოლა. საღამოსათვის ათენელებმა უკან დაიხიეს, მეზღვაურები ხმელეთზე ჩავიდნენ; ლისანდროსმაც დართო ნება თავის მეზღვაურებს ხმელეთზე გადასულიყვნენ.

მომდევნო ოთხი დღის განმავლობაშიც ათენელები ცდილობდნენ, ლისანდროსი გამოეწვიათ საბრძოლველად, მაგრამ ამაოდ. მეხუთე დღეს ათენელებმა დაიწყეს მათთვის ჩვეული მოძრაობა – მეზღვაურების ხმელეთზე გადმოსხმა და დილით ისევ ხომალდებზე აყვანა უკვე ყოველგვარი სიფრთხილის გარეშე, მიიჩნიეს რა, რომ მტერი ვერ გაბედავდა მათზე თავდასხმას. მაშინ ლისანდროსმა უბრძანა ლაშქარს გადასულიყო შეტევაზე ზღვაზეც და ხმელეთზეც.

სპარტელთა ფლოტი სასწრაფოდ დაიძრა მოპირდაპირე ნაპირისაკენ (სრუტის სიგანე იქ 2 კილომეტრამდე აღწევდა), ხოლო ქვეითმა ჯარმა ხმელეთზე თანდათანობით დაიკავა უმჯობესი პოზიცია. ერთ-ერთმა ათენელმა სტრატეგოსმა როგორც კი თვალი მოჰკრა მოწინააღმდეგის მოახლოებულ ფლოტს, მეზღვაურებს ხომალდებზე ასვლა უბრძანა. მაგრამ ხომალდთა საბრძოლო შემადგენლობა დაშლილი იყო: ზოგს მშვიდად ეძინა კარვებში, ზოგი ვახშამს ამზადებდა, ზოგიც სასეირნოდ იყო გასული.

სტრატეგოსების დანაშაულებრივი დაუდევრობის გამო ათენელთაგან არავინ ელოდა თავდასხმას, არავის ეგონა, რომ ლისანდროსი შეტევაზე გადმოვიდოდა. ათენელთა ზოგი ხომალდი ხმელეთზეც იყო გამოტანილი. ბრძოლამ საათზე ნაკლებ ხანს გასტანა. ამ ხნის განმავლობაში ლისანდროსმა გაანადგურა ათენელთა მთელი ფლოტი. გადარჩა მხოლოდ რვა ტრიერი კონოსის მეთაურობით, რომელმაც კუნძულ კვიპროსს შეაფარა თავი.

ამ ბრძოლის შედეგი ის იყო, რომ ათენელთა საზღვაო ძლიერებას ბოლო მოეღო. ახლა უკვე ათენს აღარც ფლოტი გააჩნდა, აღარც ფული, აღარც მეზღვაურები. ტყვედ ჩავარდა 3000 მებრძოლი სტრატეგოსებთან ერთად. ლისანდროსმა ტყვეები ხომალდებზე აიყვანა და კვლავ ლამფსაკოსისკენ გასწია.

სპარტის ხელისუფლებამ და მოკავშირეთა საბჭომ გადანყვიტეს, დაესაჯათ ტყვეები. ლისანდროსმა გამოიძახა ტყვე ფილოკლესი და ჰკითხა: „რა სასჯელს იმსახურებ შენ, რომელმაც ათენის სახალხო კრებას მიაღებინე დადგენილება ყოველი სპარტელი ტყვისთვის მარჯვენა ხელის დიდი თითის მოკვეთის თაობაზე?“ ფილოკლესმა, რომელიც ვერ გატეხა უბედურებამ, ასე მიუგო: „სასწრაფოდ დასაჯე ტყვეები, შენც ხომ მსგავსი ბედი გეწეოდა, ჩვენ რომ გაგვემარჯვა“, – და პირველი გაემართა სასიკვდილოდ.



ტყვეთა დასჯის შემდეგ ლისანდროსმა დიაწყო სანაპირო ქალაქების შემოვლა. იგი ყველგან ახშობდა დემოკრატიულ სულისკვეთებასა და აწესებდა არისტოკრატიულ მმართველობას, რომელსაც სათავეში უყენებდა სპარტელ განმგებელს. დაუხანებლივ იწყებოდა დემოკრატიის მომხრეთა დასჯა და გაძევება.

ათენის ხელში ჩასაგდებად ლისანდროსმა ისევ მზაკვრობა ჩაიდო გულში. მან გამოაცხადა, რომ ქალაქგარეთ მყოფი ყოველი ათენელი დაუყოვნებლივ დაისჯებოდა. იგი იმედოვნებდა, რომ ხალხის სიჭარბე ქალაქში შიმშილს გამოიწვევდა და ათენი ველარ გაუძლებდა ხანგრძლივ ალყას.

ლისანდროსის ვარაუდი გამართლდა: მალე ათენში უკიდურესმა გაჭირვებამ დაისადგურა. მაშინ იგი ესკადრის თანხლებით პირეოსისკენ გაემართა და ქალაქს უსიტყვო მორჩილება მოსთხოვა.

დამარცხებულები იძულებულნი გახდნენ, მიეღოთ სპარტელთა მძიმე და სამარცხვინო პირობები: ათენელებს უნდა დაენგრიათ თავისი ნავსადგომი პირეოსი და „გრძელი გალავანი", ამასთანავე უკან უნდა დაებრუნებინათ გაძევებული არისტოკრატები. ათენის საზღვაო კავშირს ბოლო ეღებოდა, ამაყმა ათენმა დაკარგა ყველა საზღვაო სამფლობელო. ათენელებს შერჩათ მხოლოდ ატიკა და კუნძული სალამისი.

ლისანდროსი დაეპატრონა ათენელთა გადარჩენილ ხომალდებს (დამარცხებულებს დაუტოვეს მხოლოდ თორმეტი მომცრო გემი) და ქალაქში შევიდა სწორედ იმ დღეს, როდესაც სპარსეთზე ათენის დიადი გამარჯვების წლისთავი აღნიშნებოდა. ეს მოხდა ძვ.წ. 404 წელს.

სპარტელებმა დაუხანებლივ დაამხეს ათენში დემოკრატთა და 30 კაცის მმართველობა დააწესეს (მათ ოცდაათ ტირანად იხსენიებდნენ). ისინი ხალხის აშკარა მოწინააღმდეგენი იყვნენ. ახალი ხელისუფლება ათენში სპარტის გარნიზონს ეფუძნებოდა.

ათენელებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ გრძელი გალავანი მოთხრილი, რომ ლისანდროსმა მოკავშირეთა საბჭო მოიწვია, რათა პირობების შეუსრულებლობისათვის ათენელთა დასჯის საკითხი გადაეწყვიტა. მოკავშირეებში ათენის სავსებით დანგრევის ხმაც კი დაირხა. ზოგი იმასაც მოითხოვდა, რომ დედა-ბოძიანად ამოეძირკვათ ეს ქალაქი, მოსახლეობა მონებად გაეყიდათ, ხოლო ათენის მიწა საქონელთა საძოვრებად გადაექციათ.

მაგრამ სპარტელებმა ვერ გაბედეს დიადი ქალაქის განადგურება. ათენელების დასამდაბლებლად ლისანდროსმა ბრძანა, დაენგრიათ გრძელი გალავანი, რაც აღასრულეს კიდეც საგანგებოდ შეკრებილი მოკავშირეების ყიჟინის, მხიარული შეძახილებისა და ფლეიტის ჰანგთა თანხლებით. ათენის ფლოტის გადარჩენილი ნაწილი დაწვეს.



ათენში დაიწყო ძალადობა, დევნა და დემოკრატიის მომხრეთა განადგურება. მაგრამ ათენის ხალხი, რომელმაც ყველანაირი დამცირება და შეურაცხყოფა დაითმინა, სულით არ დაეცა, რისხვა დაიცხრო და სულ მალე აღსდგა სპარტელთა და მათი დამქაშების – 30 ტირანის წინააღმდეგ.

ლისანდროსმა თავისი ფლოტით თრაკიისაკენ გასწია. მთელი ნადავლისა და ფულის სპარტაში ტომრებით გაზიდვა კი დაავალა ჰილიპოსს – თავის თანაშემწეს. მან, ათენელების წინააღმდეგ ბრძოლებში დიად გამარჯვებათა მომპოვებელმა და ყველასგან ერთობ დაფასებულმა კაცმა, ცთუნებას ვერ გაუძლო და სამარცხვინო რამ ჩაიდინა, ფულის ნაწილის მითვისება განიზრახა: ტომრების გარღვევა და იქიდან დიდძალი თანხის ამოღება ბრძანა. მაგრამ ჰილიპოსმა არ იცოდა, რომ ყოველ ტომარაში იდო ნუსხა ფულის აღწერილობით. მან სპარტაში ჩამოსვლისთანავე ეს ფული თავისი სახლის სხვენზე, კრამიტების ქვეშ გადამალა. ეფორებმა გახსნეს ტომრები და ნახეს, რომ ბეჭდები ხელუხლებელია, თუმცა ფული კი დიდძალი რაოდენობით აკლია.

დაჰკითხეს ჰილიპოსის მსახურები. ერთ-ერთმა მათგანმა განაცხადა, რომ მისი მბრძანებლის სახლის კრამიტების ქვეშ მრავალმა ბუმ დაიბუდა. ამით მას სურდა ეთქვა, რომ ჰილიპოსის სახლის სახურავზე ინახება ათენური მონეტები, რომლებზეც გამოსახულია სახელმწიფო გერბი – ღვთაება ათენას ფრთოსანი – ბუ. ჰილიპოსი გაჩხრიკეს და მოპარული ფული აღმოუჩინეს.

ჰილიპოსის საქციელმა სპარტელთა დიდი აღშფოთება გამოიწვია. კვლავ აიკრძალა ოქროს და ვერცხლის მონეტები. მოქალაქეებს მხოლოდ რკინის მძიმე მონეტებით უნდა ესარგებლათ, რათა ცალკეულ პირთა ხელში ფულის დიდი რაოდენობით დაგროვება აღკვეთილიყო. სხვა კანონით, ლისანდროსის მიერ შემოტანილი ფული მხოლოდ სახელმწიფოს საჭიროებებისთვის უნდა დახარჯულიყო. სიკვდილით დასჯა ელოდა მას, ვის ხელშიც ეს ფული აღმოჩნდებოდა.

მაგრამ ამ ზომებმა ვერ დააოკეს სპარტელთა სწრაფვა სიმდიდრისა და ფუფუნებისკენ. გავლენიანი მოქალაქეები არ ეპუებოდნენ ამ აკრძალვებს და დიდძალი სიმდიდრის მოხვეჭას ლამობდნენ. თავად ლისანდროსს კი, ასე ამბობდნენ, არაფერი მიუთვისებია მის მიერ მოპოვებული უზარმაზარი განძეულიდანო.

ლისანდროსი საბერძნეთის ქალაქებში მის მიერ დაყენებულ მმართველთა შემწეობით მთელი საბერძნეთის განმგებელი გახდა. პირმოთნეები, მლიქვნელები და ყველა ჯურის ვიგინდარები მას მხსნელ ღვთაებად აღიარებდნენ და მსხვერპლს სწირავდნენ, ვითარცა ღმერთს.

ახლა უკვე მთელი სავსებით გამომჟღავნდა მისი ხასიათის უსაზარლესი თვისებები: დაუცხრომელი, უმოწყალო სისასტიკე და ვერაგობა. იგი თავად ესწრებო-



და ხოლმე დემოკრატთა სიკვდილით დასჯას. ერთ-ერთ დიდ ქალაქში, მილეტოსში, მან დაიფიცა, რომ უკანონოდ არ მოიქცეოდა და პირობა დადო, თუ დემოკრატები ჩაბარდებოდნენ, მათ სიცოცხლეს შეუნარჩუნებდა. ამ სიტყვებს მინდობილმა დემოკრატებმა მიატოვეს თუ არა თავშესაფარი, ლისანდროსმა მათგან 800 კაცის დასჯა ბრძანა. ქალაქის ზოგიერთი მკვიდრი ლისანდროსმა საერთოდ გააძევა და მათი მიწა და ქონება თავის მომხრეებს გადაულოცა.

დასმენა და ცილისწამება გამეფდა ირგვლივ. სპარტელ მმართველთა ანგარებამ ისეთი საოცარი სახე მიიღო, რომ საყოველთაო სიძულვილი გამოიწვია. ახლა უკვე სპარტელი საბერძნეთში ნიშნავდა მოძალადეს, მკვლელსა და ტირანს.

ლისანდროსი ანგარიშს არ უწევდა თავის მოკავშირე სპარსელებსაც კი: იგი არბევდა და აცარიელებდა სპარსელ სატრაპთა სამფლობელოებსაც; მისმა უახლოესმა ხელქვეითებმა დიდძალი სიმდიდრე მოიხვეჭეს.

სპარტაში ყოველი მხრიდან მოდიოდა ხმა ლისანდროსის უკანონობაზე, ძალადობაზე, უმოწყალეობაზე. მაგრამ ეფოროსები ამას ყურადღებას არ აქცევდნენ.

ბოლოს ლისანდროსის საქციელი თავად ეფორებისთვისაც სახიფათო აღმოჩნდა: ლისანდროსის ხელში თავი მოიყარა მთელმა სამხედრო ძალამ, მას შეეძლო ნებისმიერ დროს გამხდარიყო ტირანი. გადაწყდა, ლისანდროსი დაებრუნებინათ სპარტაში.

გამოძახების საბაბი იყო სპარსეთის სატრაპის, ფარნასოსის საჩივარი იმის თაობაზე, რომ ლისანდროსი მის სამფლობელოს ძარცვავდა. ეფოროსებმა ლისანდროსს უბრძანეს, დაუყოვნებლივ დაბრუნებულიყო შინ.

უწყების მიღებისთანავე ლისანდროსი სატრაპ ფარნასოსისკენ გაეშურა იმ იმედით, რომ მოლაპარაკების გზით შეძლებდა მის მოლმობიერებას. მან სთხოვა სატრაპს ახალი წერილი გაეგზავნა ეფოროსებისთვის და უკან წაელო თავისი საჩივარი. მაგრამ გაქნილმა და ვერაგმა სპარსმა უმუხთლა გამოცდილ და მზაკვარ ლისანდროსს. მან თავაზიანად მიიღო სპარტელი და მისივე თანდასწრებით ისეთი წერილი შეადგინა, როგორიც მის სტუმარს სურდა. სატრაპმა მთავარსარდლის თვალწინ დალუქა წერილი და იქვე მოახერხა მისი შეცვლა მეორე, წინდაწინ დაწერილით, რომელსაც სულ სხვა შინაარსი ჰქონდა.

ლისანდროსი სპარტაში ჩავიდა თუ არა, ეფოროსებისკენ გაემართა წერილის გადასაცემად იმ იმედით, რომ შეძლებდა თავის მართლებას. ეფოროსებმა წერილი წაიკითხეს და ლისანდროსი მიხვდა, რომ ამჯერად მწარედ მოტყუვდა.

რამდენიმე დღის შემდეგ ლისანდროსმა სპარტა დატოვა თითქოს იმ მიზნით, რომ ზევს – ამონის[3] ტაძარში მსხვერპლი შეეწირა. ეფოროსებმა ვერ გაბედეს მისი დაკავება. მაშინ სპარტის მეფეებმა ისარგებლეს ლისანდროსის არყოფნით და სცადეს მისი სახელის შებღალვა. ისინი შორიდან უმზერდნენ ოცდაათი ტირა-



ნის წინააღმდეგ ამბოხებულ ათენელებს, მათ მიერ ტირანიის დამხობასა და დემოკრატიის აღდგენას.

დაბრუნდა თუ არა ლისანდროსი, დაუყოვნებლივ გაემართა ათენელთა დასამორჩილებლად. მას თან ახლდა სპარტის ერთ-ერთი მეფე პავსანიასი, რომელმაც სცნო ათენელთა უფლება, თავად აერჩიათ განმგებელი. მან არ ისურვა ამბოხების ჩახშობა.

ლისანდროსი სპარტაში უშედეგოდ უნდა დაბრუნებულიყო. ეფოროსებმა აღარ მოიწონეს პავსანიასის საქციელი და ლისანდროსის გამართლება სცადეს. მაგრამ უკვე გვიანი იყო: ათენელებს ძალით ვეღარავინ აარჩევინებდა საძულველ მბრძანებლებს.

ლისანდროსის უფლებები ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ შერყეული: იგი კვლავ განაგრძობდა ბერძნულ სახელმწიფოთა თვითნებურ განმგებლობას, მის ხელში იყო ძალა. როდესაც არგოსელები ეახლნენ მას და წართმეული მიწების დაბრუნება სთხოვეს, ლისანდროსმა თავის მახვილზე მიუთითა და ასე მიუგო: „ვის ხელშიც არის მახვილი, სამანებსაც ის განაგებსო“.

ამასობაში სპარტაში გარდაიცვალა მოხუცი მეფე აგისი. ლისანდროსმა, ისარგებლა რა თავისი გავლენით, მეფედ გამოაცხადა აგესილაოსი, რომელსაც ტახტზე ასვლის კანონიერი უფლებები არ გააჩნდა. ლისანდროსი იმედოვნებდა, რომ აგესილაოსი მისი ყურმოჭრილი ყმა შეიქნებოდა. მან მოახერხა მისი დანიშვნა სპარტის ლაშქრის მეთაურად სპარსეთის წინააღმდეგ წარმოებულ ომში იმ იმედით, რომ ბრძოლათა მთავარსარდალი თავად იქნებოდა, ისევე როგორც უწინ, ათენის დამორჩილების ჟამს.

მაგრამ ლისანდროსს ახალმა მეფემ იმედები არ გაუმართლა. იგი ისეთივე პატივმოყვარე აღმოჩნდა, ვით ლისანდროსი და ვერ იტანდა მეტოქეებს. მეფემ ლისანდროსი თან წაიყვანა მრჩევლად და თავდაპირველად დიდი პატივითა და მოკრძალებით ექცეოდა.

მცირეაზიელი ბერძნები, რომლებიც იცნობდნენ ლისანდროსსა და მიჩვეულნი იყვნენ მის მთავარსარდლობას, აგესილაოსის გვერდის ავლით ყველაფერზე მას მიმართავდნენ. მაშინ აგესილაოსმა ლისანდროსის ჩამოცილება და მთელი ძალაუფლების ხელში ჩაგდება განიზრახა. მან ლისანდროსს დამამცირებელი საქმე დაავალა – მოკავშირეთათვის ხორცის დარიგება. „დაე, ამ ხალხმა თაყვანი სცეს ჩემს მეხორცეს“, – თქვა მეფემ და იმ იონიელ ბერძნებზე მიანიშნა, რომლებიც ლისანდროსს პატივით ეპყრობოდნენ.

მაშინ ლისანდროსმა აგესილაოსსთან მოლაპარაკება განიზრახა. მათ შორის მოკლე საუბარი შედგა: „აგესილაოს, – მიმართა ლისანდროსმა, – შენ შეგძლებია



მეგობართა დამცირება". „დიახაც, – მიუგო აგესილაოსმა, – თუკი ისინი ისურვებენ ჩემს მაღლა დგომას; ხოლო მათ, ვინც ჩემი ძალაუფლების გამყარებას ემსახურება, მუდამ მივაგებ კუთვნილ პატივს". შემდეგ აგესილაოსმა უმნიშვნელო დავალება მისცა ლისანდროსს, ჰელესპონტოსისკენ გაისტუმრა და მთელი ომის განმავლობაში სხვა არაფერი დაუკისრებია.

ლისანდროსი აგესილაოსზე და ეფოროსებზე ერთობ გაღიზიანებული და განრისხებული დაბრუნდა სპარტაში. იგი თვლიდა, რომ სპარტისთვის ესოდენ თავდადებული დიადი მთავარსარდლის დამსახურება ჯეროვნად არ იყო დაფასებული. მან განიზრახა თავისი დიდი ხნის ჩანაფიქრის განხორციელება: მეფობა სურდა. ამ მიზნით სახალხო კრებას შესთავაზა მიეღო ახალი კანონი კანონიერ მეფეთათვის ძალაუფლების ჩამორთმევისა და ახალ მეფეთა არჩევითობის თაობაზე. მაშინ, ფიქრობდა იგი, თანამოქალაქეები მას აირჩევდნენ მეფედ, როგორც ყველაზე ძლევამოსილსა და სახელმორჭმულ კაცს მთელ სპარტაში.

მორწმუნე სპარტელებზე რომ ემოქმედა, ლისანდროსმა დაიწყო ყოველნაირ წინასწარმეტყველებათა გავრცელება, სადაც იგი წარმოდგენილი იყო სპარტისა და მთელი საბერძნეთის მხსნელად. მან სცადა თავად დელფოს მისნის მოსყიდვაც, რათა მიეღო მისთვის საჭირო წინასწართქმა. ეგვიპტეში მდებარე ზევს-ამონის ტაძრის ქურუმთა მოსყიდვის ცდა კი იმით დასრულდა, რომ წინასწარმეტყველმა მისნებმა სპარტაში გაგზავნეს ელჩები ლისანდროსის ულირსი საქციელის სამხილებლად. იგი სამსჯავროზე გაიყვანეს, მაგრამ მსაჯულებმა სახელმორჭმულ მთავარსარდალს მსჯავრი ვერ დასდეს და გაამართლეს.

ამასობაში სპარტელთაგან გაწამებულმა ბერძნულმა სახელმწიფოებმა დაიწყეს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა. ათენში ოცდაათი ტირანის დამხობის შემდეგ სპარტას თებე აუმბოხდა. მის წინაალმდეგ წარგზავნილ დიდძალ ლაშქარს სათავეში ჩაუდგა ლისანდროსი და ბეოტიისკენ გაემართა. დასახმარებლად მომავალ მეფე პავსანიასს შეხვედრა დაუნიშნა ქალაქ ჰალიარტოსსთან. მაგრამ ქალაქს მიახლოებულმა პავსანიასი რომ ვერ იხილა, ვერ გაბედა იერიშზე გადასვლა. აღმოჩნდა, რომ პავსანიასსთან წარგზავნილი ელჩი ხელთ იგდეს თებელებმა და ქალაქის გამაგრებაზე იზრუნეს.

მცირე ხნის შემდეგ ლისანდროსმა მაინც გადაწყვიტა ბრძოლის დაწყება. მან განალაგა ლაშქარი და თავად წარუძღვა მოწინავე რაზმს. თებელებმა ლისანდროსი ქალაქის კედლებთან მიუშვეს, შემდეგ კი, მოულოდნელად გახსნეს ქალაქის კარიბჭე და მტერს გამოუხდნენ.



ლისანდროსი ბრძოლის ველზე დაეცა. მეთაურის დაღუპვისთანავე სპარტელებმა უკან დახევა განიზრახეს, მაგრამ ამ დროს მათ ზურგიდან თავს დაესხნენ თებელთა ახალი რაზმები. ალყაში მოქცეული სპარტელები დამარცხდნენ.

პავსანიასმა როგორც კი შეიტყო ამ უბედურების ამბავი, ჰალიარტოსისაკენ ისწრაფა, მაგრამ თებელთა და ათენელთა გაერთიანებული ლაშქრის წინააღმდეგ ბრძოლა ვერ გაბედა. მან მტერს დაზავება შესთავაზა დაღუპულთა დაკრძალვის მიზნით და იქაურობას გაეცალა.

ასეთი იყო ცხოვრება იმ კაცისა, რომელიც ბუნებამ ბრწყინვალე ნიჭით დააჯილდოვა, და რომელმაც მთელი თავისი უნარი შესწირა არა სამშობლოს კეთილდღეობას, არამედ პირადი დიდებისათვის ბრძოლას.

ლისანდროსი დაკრძალეს ბეოტიის საზღვართან, იმ ქვეყნის მიწად, რომელიც სპარტასთან კეთილმეგობრულ დამოკიდებულებაში იყო. სპარტაში კი მას ისეთი პატივი მიაგეს, როგორც ეს დიად მთავარსარდალს ეკადრებოდა.

შენიშვნები:

[1] სპარტელი წარჩინებულები თავიანთ წინაპრად თვლიდნენ ლეგენდარულ გმირს, ჰერაკლეს – უზენაესი ღმერთის, ზევსის ძეს.

[2] სპარსეთის სახელოვანი მეფის, დარიოსის ძე კიროსი (უმცროსი) არტაქსერქსეს II-ის ძმა იყო. იგი, ვითარცა სატრაპი, განაგებდა ლიდიას, ფრიგიასა და კაბადოკიას. კიროსი ტახტის ხელში ჩაგდების მიზნით ძმას აუმხედრდა და შეეწირა კიდეც ამ ბრძოლას. იგი ძ.წ. 401 წელს გარდაიცვალა.

[3] ამონი – ეგვიპტურ მითოსში მზის ღმერთის ერთ-ერთი სახეა. ამონ-რაე ითვლებოდა ყოველივე არსებულის შემოქმედად. ბერძნები ხშირად სტუმრობდნენ ხოლმე ეგვიპტეს და მრავალი მათი ზნე შეისისხლხორცეს. ეგვიპტელებმაც მიიღეს ზოგი რამ ბერძენთა რელიგიიდან. ალბათ ამიტომ ეგვიპტურ ამონსა და ბერძენთა უზენაეს ღვთაებას, ზევსს მრავალი საერთო ფუნქცია ჰქონდათ. ზევს-ამონის ტაძარი ეგვიპტეში მდებარეობდა.

აგესილაოსი

სპარტელი სტრატეგოსი

(დაახლ. ძვ.წ. 444-360 წწ.)

აგესილაოსი სპარტის სამეფო კარზე იზრდებოდა. იგი, მართალია, მეფისწული იყო, მაგრამ ჰყავდა უფროსი ძმა, სახელად აგისი, რომელიც გამეფდა კიდეც მამის, არქიდამოსის გარდაცვალების შემდეგ.

აგესილაოსის დაბადების წელი ზუსტად ცნობილი არ არის. ვარაუდობენ, რომ იგი ძვ.წ. 444 წელს უნდა დაბადებულიყო. მას სპარტელთა მკაცრი წესებით ზრდიდნენ. ბავშვობიდანვე ცნობილი ყოფილა იგი თავისი ნიჭიერებით, გულმოდგინებითა და პატივმოყვარეობით.

აგესილაოსი გამოირჩეოდა გასაოცარი მიზანსწრაფვით, ხალისით ასრულებდა უფროსთა მითითებებსა და არასოდეს გაურბოდა მძიმე დავალებებს. იგი ყველასთან მხიარული და თავაზიანი იყო, მშვიდი იუმორით უმზერდა თავის მანკიერებებს – თანდაყოლილ სიკოჭლეს, სიდაბლესა და ულიმლამო გარეგნობას.

ნიჭიერმა ახალგაზრდამ სახელმოხვეჭილი მთავარსარდლისა და სპარტაში ყველაზე გავლენიანი კაცის – ლისანდროსის ყურადღება მიიპყრო.

მეფე აგისის გარდაცვალების შემდეგ ლისანდროსმა მოახერხა მეფისწულის ჩამოცილება და სახალხო კრებას აგესილაოსის გამეფება შესთავაზა. იგი იმედოვნებდა, რომ აგესილაოსი მის ხელში სათამაშოდ იქცეოდა.

ჯერ კიდევ ბავშვობის ასაკიდან ბევრი მოქალაქე იცნობდა აგესილაოსს და პატივსაც სცემდა. მათ მხარი დაუჭირეს მის გამეფებას, მაგრამ ხალხის ნებას მოულოდნელად წინ აღუდგა ერთი ქურუმი. მან განაცხადა, რომ ადათის თანახმად, ხეიბარი კაცის მეფედ არჩევა სპარტას დიდ უბედურებას უქადის და ასეთი უცნაური მისნობა წართქვა:



„ამაყო სპარტა! თუმც ჯანსაღია შენი ფეხები, მაინც გეშინოდეს!
თუკი ხეიბარს აღაზევებ სამეფო ტახტზე,
მაშინ დიდი ხნით დაიტანჯები მოულოდნელი სენისაგან,
მაშინ დიდი ხნით იხეტიალებ დამღუპველი ბრძოლის ტალღებით".

ამ შემზარავი წინასწარმეტყველებისდა მიუხედავად, ლისანდროსის მხარდაჭერით, აგესილაოსი მეფედ აკურთხეს.

სპარტაში მეფენი ეფოროსთა და გერონთა ნების აღმსრულებელნი იყვნენ მხოლოდ. ეფოროსები იძლეოდნენ ბრძანებებს და მეფეები, ვითარცა ჩვეულებრივი მხედართმთავრები, ამ ბრძანებებს ემორჩილებოდნენ. ხშირად მეფეთა და ეფოროსთა შორის მტრული დამოკიდებულება სუფევდა.

მეფედ აღიარებულმა აგესილაოსმა განიზრახა ეფოროსთა და გერონთა კეთილგანწყობის დამსახურება. ახალი მეფე ცდილობდა, პატივით მოპყრობოდა მათ: როდესაც ისინი ოთახში შემოდიოდნენ, ფეხზე დგებოდა, ხოლო როდესაც ვინმეს ახალ თანამდებობაზე ირჩევდნენ, მას მოსასხამითა და ხარით ასაჩუქრებდა. უბრალო მოქალაქეებს თავაზიანად ეპყრობოდა, ყოველთვის მზად იყო დახმარებოდა არა მხოლოდ მეგობრებს, არამედ მეტოქეებსაც კი. მალე აგესილაოსმა ისეთი გავლენა მოიპოვა, რომ ამ მზარდი ძალაუფლებით დაშინებულმა ეფოროსებმა მისი დამდაბლება განიზრახეს.

აგესილაოსი თავისი მეფობის პირველ ხანებში ლისანდროსს ემორჩილებოდა. მისი შემწეობით მიიღო მთავარსარდლის თანამდებობა სპარსეთის წინააღმდეგ წარმოებულ ომში. ლისანდროსის ცხოვრების აღწერილობიდან კი ვიცით, თუ რა ოსტატობით დააღწია თავი აგესილაოსმა მის მეურვეობას.

აგესილაოსი ერთპიროვნული მმართველი გახდა და რვაათასიანი ლაშქრით შეებრძოლა სპარსეთის მეფის სატრაპ ტისაფერნესს. ამ ომში პირველად გამოვლინდა აგესილაოსის ბრწყინვალე სამხედრო ნიჭი.

სპარტელთა მეფემ მოატყუა სპარსელები: ისე მოიქცა, თითქოს კარიის დასაპყრობად ემზადებოდა. დაიცადა, ვიდრე სპარსელებმა თავი არ მოუყარეს იქ თავის ძალებს და მოულოდნელად თავს დაესხა ფრიგიას, დაიმორჩილა რამდენიმე ქალაქი და ხელთ მდიდარი ნადავლი ჩაიგდო.

ტისაფერნესმა გაიგო თუ არა, რომ სპარტელები დიდძალი ლაშქრით ლიდიისაკენ მიემართებიან, მათ შესახვედრად ისწრაფა. ლიდიის დედაქალაქ სარდეს მახლობლად მდებარე ველზე ფიცხელი ბრძოლა გაიმართა. აგესილაოსმა სრული გამარჯვება მოიპოვა. სპარსეთის მეფემ ამ მარცხის გამო ტისაფერნესი სიკვდილით დასაჯა.



შემდეგ სპარსეთის მეფემ აგესილაოსს მიუგზავნა ერთ-ერთი თავის ახლობელთაგან, რათა ქრთამით სპარტელები ზავზე დაეთანხმებინა. აგესილაოსმა შეუთვალა, რომ ზავის დადება სპარტის ხალხისა და ხელისუფლების ნებაა. „ბერძნებს დიდებული თვისება აქვთ, – განაცხადა მან, – ისინი მტრისგან საჩუქრებს კი არ იღებენ, არამედ – ნადავლს".

აგესილაოსი დაუკავშირდა პაფლაგონიის მეფეს და მისგან 3000 მეომარი მიიღო დამხმარე ძალად. ახლა უკვე მის განკარგულებაში მნიშვნელოვანმა ძალებმა მოიყარეს თავი; იგი შეიჭრა სატრაპ ფარნავაზის სამფლობელო ფრიგიაში.

ფარნავაზმა ვერ გაბედა წინააღმდეგობის გაწევა. იგი გაიქცა და თან გაიყოლა დიდძალი სიმდიდრე. რამდენიმე ხნის შემდეგ ბერძნები და პაფლაგონიელები სპარტელი მხედართმთავრის მეთაურობით დაეწივნენ ფარნავაზს, ხელში ჩაიგდეს მისი ბანაკიცა და გატაცებული საგანძურიც. თვით ფარნავაზმა გაქცევა მოასწრო. აქ, ნადავლის განაწილებისას, მოკავშირენი ერთმანეთს გაუნაწყენდნენ. პაფლაგონიელებმა მიატოვეს სპარტელები და შინ დაბრუნდნენ.

მცირე აზიაში აგესილაოსის სამხედრო მოქმედებათა მეორე წელი იდგა. სპარტელთა მიერ დაპყრობილი ქალაქები დაუმორჩილებლობას აცხადებდნენ, მაგრამ აგესილაოსი ძალადობისა და მკვლელობების თვინიერ ცდილობდა სპარტელთა მმართველობის აღდგენას.

მცირე აზიის მთელ სპარსულ სამფლობელოებს მოედო მისი საბრძოლო დიდების ამბავი. მიუხედავად ამისა, აგესილაოსი უბრალოდ ცხოვრობდა. ეძინა მაგარ სალაშქრო საწოლზე, როგორც ჩვეულებრივ ჯარისკაცს, არ ეპუებოდა სიცხესა და სიცივეს და საომარი ცხოვრების გასაჭირს. მცირეაზიელი ბერძნები კმაყოფილებით ადევნებდნენ თვალ-ყურს, თუ როგორ იხრიდნენ ქედს მდიდრული სამოსით მოსილი ამაყი სპარსი სატრაპები უბრალო მეომრის მოსასხამში გამოწყობილი ადამიანის წინაშე.

მაშინ, როდესაც აგესილაოსს განზრახული ჰქონდა, სპარსეთის სამფლობელოს შუაგულში იერიშით შეჭრა, მოულოდნელად მიიღო ეფოროსთა ბრძანება შინ დაუყოვნებელი დაბრუნების თაობაზე.

სპარსელებს იმედი არ ჰქონდათ, რომ სპარტელებს დაამარცხებდნენ ხელჩართულ ბრძოლაში. მეფემ და სატრაპებმა ბრძოლის სხვა გზა ირჩიეს: გადაწყვიტეს აგესილაოსისთვის თავად საბერძნეთში დაერტყათ. მათ წააქეზეს ათენელები და თებელები აღმსდაგრიყვნენ სპარტის წინააღმდეგ.

სპარსელებმა უზარმაზარი თანხა გაიღეს ათენის გრძელი გალავნის აღსადგენად და ათენისა და თებეს ლაშქრის აღსაკაზმად.



ბოლოს, ათენელებმა და თებელებმა დაიწყეს კიდეც ბრძოლა სპარტის წინააღმდეგ. ასე გადარჩა სპარსეთი. აგესილაოსი იძულებული გახდა, თავისი ლაშქარი ხომალდებზე აეყვანა და სამშობლოს დასაცავად შინ დაბრუნებულიყო.

ტოვებდა რა მცირე აზიას, აგესილაოსმა აღნიშნა, რომ იქედან იგი სპარსეთის მეფის 10 000 მშვილდოსანმა გააძევა (სპარსულ ოქროს მონეტებზე გამოსახული იყო მშვილდოსანი). ამ სიტყვებით აგესილაოსს სურდა ეთქვა, რომ სპარტა სპარსულმა ოქრომ დაამარცხა.

საბერძნეთში სპარტის არმიას ლისანდროსი მეთაურობდა. მაგრამ იგი ბეოტიაში დაიღუპა. მოკავშირეებმა განზე გადგომა დაიწყეს.

ამასობაში აგესილაოსმა სასწრაფოდ გადალახა ჰელესპონტოსი და თრაკიაში შეიჭრა. ადგილობრივი ტომები უმეტეს შემთხვევაში მას კეთილგანწყობით ხვდებოდნენ. მხოლოდ მცირე ტომის – ტრალისის ელჩებმა მოსთხოვეს მას ვერცხლის 100 ტალანტი, რათა მათ მიწაზე გავლის ნება დაერთო. აგესილაოსმა მათ ომით უპასუხა და დაარბია ისინი.

მაკედონიას მიახლოებულმა აგესილაოსმა ელჩი გაუგზავნა ამ ქვეყნის მეფეს, რათა ეკითხა, სპარტის ლაშქარს იქ გავლის ნებას დართავდა თუ არა. მეფემ უპასუხა, რომ იფიქრებდა. „დაე, იფიქროს, – უთქვამს აგესილაოსს, – ჩვენ წინ გავწიოთ!"

რამდენადაც თესალიელები სპარტის მტერთა მოკავშირენი იყვნენ, აგესილაოსმა გაანადგურა ეს ქვეყანაც. შემდეგ თესალიის ქალაქ ლარისას მკვიდრებს ელჩები მიუგზავნა და მეგობრობა შესთავაზა. ლარისელებმა ეს ელჩები საპყრობილეში ჩააგდეს. განრისხებულმა სპარტელმა მეომრებმა აგესილაოსს ქალაქის ალყაში მომწყვდევა მოსთხოვეს. მაგრამ მთავარსარდალმა მოახერხა თავისი ელჩების გათავისუფლება და სწრაფად გასწია წინ.

გზად მიიღეს ცნობა სპარტელთა თებელებთან და ათენელებთან სისხლისმღვრელი ბრძოლის თაობაზე. სპარტელებმა გაიმარჯვეს, მაგრამ მრავალი მეომარი დაიღუპა ორთავე მხრიდან. აგესილაოსი მძიმედ განიცდიდა იმას, რომ ბერძნებმა კვლავ დაიწყეს ძმათა სისხლისმღვრელი ომი, ნაცვლად იმისა, რომ გაერთიანებული ძალებით შეეტიათ სპარსელებისთვის. მას თავისი მეომრებისადმი მიმართვისას მწარედ აღმოხდა: „ვაი შენ, ელადა! საკუთარი ხელით დაღუპე უამრავი მამაცი შვილი. ისინი ცოცხლები რომ დარჩენილიყვნენ, გაერთიანდებოდნენ და ბარბაროსთა რისხვად იქცეოდნენ!"

ეფორისთა ბრძანებით, აგესილაოსმა თავის ლაშქარს შეუერთა რამდენიმე რაზმი კორინთოდან და ბეოტიაში შევიდა. აქ მას ელოდა კნიდოსთან სპარტის ფლოტის განადგურების (ძვ.წ. 394 წ.) თავზარდამცემი ამბავი.



ნიჭიერი ათენელი სტრატეგოსი კონონი ეგოსპოტამოსთან ათენის ფლოტის დამარცხების შემდეგ გადარჩა და გაემგზავრა ჯერ კუნძულ კვიპროსზე, ხოლო შემდეგ სპარსეთის სამფლობელოში. სპარსული ფულით კონონმა მრავალი ხომალდი აღჭურვა და კნიდოსთან თავისი ფლოტის სამარცხვინო დაღუპვისათვის იძია შური.

აგესილაოსი ბეოტიელებთან საბრძოლველად ემზადებოდა. მეომრები რომ სულით არ დაცემულიყვნენ, მან დაუმალა მათ სპარტელთა დამარცხების დამამწუხრებელი ამბავი. ბრძოლის დაწყების წინ კი გამოაცხადა, რომ სპარტის ფლოტმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. იგი მეომრების წინ წარდგა როგორც გამარჯვებული, მხიარული სახით, საზეიმო სამოსითა და გვირგვინებით დამშვენებული და ბრძანა, ღმერთებისათვის შეეწირათ სამადლობელო მსხვერპლი. ამით მას სურდა, თავის მეომრებში საბრძოლო განწყობილება აემაღლებინა.

შემდეგ კი მედგრად შეუტია თებელთა და არგოსელთა გაერთიანებულ ძალებს კორონეასთან. ბრძოლა იყო შეუპოვარი და სისხლისმღვრელი; ორივე მხარე გმირულად იბრძოდა, მაგრამ ვერცერთმა ვერ შეძლო სრული გამარჯვების მოპოვება. სპარტელთა ძალა დაიშრიტა და ამიტომ ისინი იძულებულნი გახდნენ, თებელებთან დროებითი ზავი დაედოთ.

თავად აგესილაოსი უბრალო მეომარივით იბრძოდა და რამდენიმე მძიმე იარაც მიიღო. იგი საკაცით გადაიყვანეს დელფოში, სადაც აპოლონის ორაკულის საკურთხეველი იყო აღმართული. აგესილაოსმა ღმერთს სპარსული ნადავლის მეათედი შესწირა და სპარტაში დაბრუნდა.

უცხო ქვეყნებში ნამყოფ მრავალ სპარტელ მხედართმთავარს აღარ სურდა ძველებურად, უბრალოდ ცხოვრება. ისინი ითვისებდნენ სამხედრო ნადავლს, უარს ამბობდნენ მკაცრ სპარტულ ადათზე და ფუფუნებით ცხოვრობდნენ. მაგრამ აგესილაოსი მუდამ იცავდა თავისი სამშობლოს ოდინდელ ზნესა და ჩვევებს: მისი საკვები უწინდელივით მწირი იყო, არ შეცვლილა მისი ცოლის და ქალიშვილის სამოსი, არც ცხოვრების ნირი. აგესილაოსს უზარმაზარი სპარსული ნადავლიდან არაფერი მიუთვისებია.

დიდხანს არ დარჩენილა აგესილაოსი სამშობლოში. გამოჯანმრთელებისთანავე ჩაება იგი ბრძოლაში და კორინთო დაიპყრო.

იმხანად ათენის მხედართმთავარმა იფიკრატესმა გაანადგურა სპარტელთა დიდი რაზმი; მრავალი საზრუნავი გაუჩინა სპარტელებს ათენის ფლოტმა კონონის მეთაურობით ლაკონიკეს ნაპირებთან. ეფოროსებმა სწორედ იმიტომ, რომ ერთი მტრისგან მაინც დაეღწიათ თავი, აგესილაოსის წინააღმდეგობისდა მიუხედავად, გადაწყვიტეს სპარსელებთან დაზავება.

ეფოროსი ანტალკიდასი ელჩად წარგზავნეს სპარსეთის მეფესთან „სამეფო", ანუ „ანტალკიდური" ზავის დასადებად. ზავის პირობები სამარცხვინო იყო: სპარტელებმა საბერძნეთში რომ გადაერჩინათ სამფლობელო, სპარსელებს დაუთმეს მცირეაზიელი ბერძნები.

მთელი საბერძნეთი აღშფოთდა, სპარტელთა საქციელი ღალატის ტოლფასი იყო. აგესილაოსმა და ეფოროსებმა მიაღწიეს იმას, რომ ათენელებსა და თებელებს აღუკვეთეს დახმარება სპარსეთიდან. ახლა მათ შეეძლოთ მტერთან საბრძოლველად სხვა რამ ეღონათ. კერძოდ, ათენსა და თებეში სპარტელთა თანამოაზრე არისტოკრატიის ძალა უნდა გამოეყენებინათ.

სპარტელ მხედართმთავარ ფოიბიდასს ზავის დადების შემდეგ თავისი რაზმი ბეოტიის გავლით მიჰყავდა. უეცარი იერიშით მან ქალაქი თებე და მისი ციხე-ბურჯი კადმეა აიღო. შემდეგ დაამხო იქ დემოკრატიული მმართველობა და არისტოკრატთა მეთაურობით ახალი ხელისუფლება შექმნა. ასე ჩამოიცილეს სპარტელებმა ერთ-ერთი მტერი.

ბერძენთა დიდი გულისწყრომა გამოიწვია თებეს ვერაგულმა აღებამ, რაც საზავო ხელშეკრულების დარღვევას ნიშნავდა. თავად სპარტაშიც ბევრი კიცხავდა აგესილაოსს. მაგრამ, როდესაც ფოიბიდასი თვითნებური საქციელისთვის სამსჯავროს წინაშე წარდგა, აგესილაოსმა იგი ასეთი სიტყვებით დაიცვა: „ყველაფერი, რასაც სარგებლობა მოაქვს სპარტისთვის, საგანგებო ბრძანების გარეშეც უნდა აღსრულდეს". სპარტის მმართველებმა ფოიბიდასის ვერაგობა გაამართლეს. სპარტის გარნიზონს კვლავაც ეკავა კადმეა. ხელისუფლების სათავეში მოსული თებელი არისტოკრატები სასტიკად უსწორდებოდნენ დემოკრატებს.

ახლა სპარტელებმა განიზრახეს კიდევ ერთი მტრის განადგურება. ჯერი ათენზე მიდგა.

ბეოტიის ქალაქ თესპიას სპარტელმა განმგებელმა მიზნად დაისახა ათენის ხელში ჩაგდება. მან იცოდა, რომ წარმატების შემთხვევაში მის საქციელს გაამართლებდნენ. იმხანად ათენი დიდი ქალაქი იყო, მრავალრიცხოვანი მოსახლეობით. ქალაქის ახლად აღდგენილ გალავანს საგულდაგულოდ იცავდნენ. დღისით ათენზე თავდასხმა სავსებით შეუძლებელი იყო. ამიტომ სპარტელები მცირე რაზმით ღამით გამოვიდნენ თესპიადან ათენის ნავსადგომის, პირეოსის ხელში ჩასაგდებად. მათ განზრახული ჰქონდათ, მიეღწიათ ქალაქამდე და ღამის წყვდიადში დაეპყროთ იგი. მაგრამ მტერმა დრო ვერ განსაზღვრა: მან ნავსადგომს მაშინ მიაღწია, როცა მზის შუქი ანათებდა უკვე მიადგოს. გუშაგებმა განგაში ატეხეს. ნავსადგომის კარიბჭე ჩარაზული აღმოჩნდა. მოულოდნელი თავდასხმა ვერ განხორციელდა, სპარტელებმა სამარცხვინოდ დაიხიეს უკან.

თავზარდაცემული ათენელები სახლებიდან იარაღით ხელში გამორბოდნენ. მათ აღშფოთებასა და მღელვარებას საზღვარი არ ჰქონდა. დაუხანებლივ შედგა სახალხო კრება. სპარტაში გაგზავნეს ელჩები საზავო ხელშეკრულების ვერაგული დარღვევისათვის დამნაშავეთა დასჯის მოთხოვნით.

შეიტყვეს რა ამ მარცხის ამბავი, აგესილაოსმა და ეფოროსებმა სპარტელი მხედართმთავარი სამსჯავროს გადასცეს, მაგრამ თავადვე შეუწყვეს ხელი გაქცევაში. ეფოროსებმა განუცხადეს ათენელ ელჩებს, რომ დამნაშავე მათგან დაუკითხავად მოქმედებდა და ამიტომ სპარტის ხელისუფლება პასუხს არ აგებს მის საქციელზე. აგესილაოსის დაჟინებითი მოთხოვნით მსაჯულებმა გაამართლეს ზავის დამრღვევი.

ამან ათენში დიდი აღშფოთება გამოიწვია. სახალხო კრებამ სპარტას ომი გამოუცხადა. ათენელებმა ჯერ კიდევ ადრე გაუწიეს დახმარება თებედან გაძევებულებს კადმეას დაბრუნებასა და დემოკრატიის აღდგენაში. ახლა ათენელებმა თებელებთან ერთად დაიწყეს ბრძოლა სპარტის წინააღმდეგ საბერძნეთის გათავისუფლებისათვის.

სპარტის ლაშქრის სათავეში იდგა მეორე მეფე, სახელად კლეომბროტოსი. იგი გაუბედავად იბრძოდა. მაშინ აგესილაოსმა, მიუხედავად ხანდაზმულობისა (იგი 70 წელს იყო უკვე გადაცილებული), თავის თავზე აიღო ერთ-ერთი რაზმის მეთაურობა და ბეოტიისკენ წარიმართა. მალე ბრძოლისას მძიმედ დაიჭრა და ხანგრძლივი დროით ლოგინად ჩავარდა.

აგესილაოსის ავადმყოფობისას სპარტელებმა მრავალი უბედობა დაითმინეს ხმელეთსა და ზღვაზე; ისინი პირველად დამარცხდნენ თებელებთან ბრძოლაში ტეგირას მახლობლად. სპარტის მოკავშირეთა შორის მღელვარებამ იჩინა თავი. ისინი თვლიდნენ, რომ აგესილაოსმა თებელებთან ბრძოლა დაიწყო პირადი უთანხმოებების გამო და განაცხადეს, რომ აღარ სურთ სპარტის საბერძნეთში გაბატონებას შესწირონ თავი.

სპარტელები იძულებულნი გახდნენ, დათანხმებულიყვნენ ზავზე. საბერძნეთის ყველა სახელმწიფოს წარმომადგენელმა სპარტაში მოიყარა თავი. თებედან წარგზავნილი სახელმოხვეჭილი მხედართმთავარი ეპამინონდასი თავყრილობაზე გამოვიდა სპარტელთა წინააღმდეგ მიმართული ბრძნული სიტყვით. „საბერძნეთი, – ამბობდა იგი, – იტანჯება ძმათა შორის სისხლისმღვრელი ომებით. მას მშვიდობა სწყურია. დროა ვაღიაროთ საბერძნეთის ყველა სახელმწიფოს თანაბარუფლებიანობა". თავშეყრილებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ეპამინონდასს.

მაშინ აგესილაოსმა თებეს გარდა ყველა სახელმწიფოს შესთავაზა ზავი. იგი თვლიდა, რომ მოკავშირეთა გარეშე დარჩენილ თებელებს სპარტელები იოლად სძლევდნენ. საბერძნეთის სახელმწიფოთა უმეტესობამ სპარტასთან ზავი დადო.



სპარტის ეფოროსებმა კვლავ გამოუცხადეს ომი თებეს. მეფე კლეომბროტოსმა, რომელიც თავის ლაშქართან ერთად ფოკისში (შუა საბერძნეთი) იმყოფებოდა, ბრძანება მიიღო დაუხანებლივ დაძრულიყო ბეოტიისკენ. სპარტის მოკავშირეები, მრისხანე აგესილაოსის შიშით, უხალისოდ და ზანტად ჩაებნენ ბრძოლაში. მეფე კლეომბროტოსი დიდძალი ლაშქრით დაიძრა პირდაპირ თებესკენ, რათა ერთხელ და სამუდამოდ გადაეწყვიტა მისი ბედი.

თებედან 10 კილომეტრის დაშორებით ლევკტრასთან მოხდა საქვეყნოდ ცნობილი ბრძოლა. თებელთა სათავეში იდგა ეპამინონდასი – ძველი სამყაროს მთავარსარდალთაგან ალმატებულად გამორჩეული.

ეპამინონდასმა პირველად გამოიყენა ახალი წყობა – ირიბი სოლი; მან ლაშქრის ძირითად ძალას თავი მოუყარა მარცხენა ფრთაზე, შეასუსტა რა შუა ნაწილი და მარჯვენა ფრთა. გრძელი შუბებით შეიარაღებული თებელების 50 ფარის სიღრმის ძალუმი ფალანგა თავს დაესხა სპარტელთა მარჯვენა ფრთას და ერთიანად მოსრა იგი. შემდეგ ეპამინონდასმა გაარღვია მტრის შუაგული და მარჯვენა ფრთიდან ალყაში მოიქცია იგი. სპარტის არმია ერთიანად განადგურდა. მეფე კლეომბროტოსი, 1000 სპარტელი და მოკავშირეთა მრავალი მეომარი ბრძოლის ველზე დაეცა.

სპარტაში კლეომბროტოსის დამარცხების ამბავი ზეიმის დღეს მივიდა. ქალაქი სავსე იყო სტუმრებით, რომლებიც თეატრში მომღერალთა გამოსვლებს ისმენდნენ. ეფოროსებმა ბრძანეს, გაეგრძელებინათ ზეიმი.

დილით, როდესაც ცნობილი გახდა გადარჩენილთა და დაღუპულთა სახელები, მგლოვიარენი ქალაქის მოედანზე შეიკრიბნენ და სიამაყით ულოცავდნენ ერთმანეთს, რომ მათი ძმები და ქმრები დაიღუპნენ სამშობლოსათვის. გადარჩენილ მეომართა დედები ელოდნენ შვილებს და ნაღვლიანი მდუმარებით დაღუპულთა ნათესავებისადმი თანაგრძნობას გამოხატავდნენ.

ლევკტრასთან დამარცხება სპარტისგან მეკავშირეთა განდგომის ნიშანი იყო. სპარტელებს ახლა უკვე მარტო უწევდათ ბრძოლა მრავალრიცხოვანი მტრის წინააღმდეგ. ისინი შიშობდნენ, რომ ეპამინონდასი შემოიჭრებოდა პელოპონესოსში. აგესილაოსი და ეფოროსები ვერ ბედავდნენ ბრძოლაში ცოცხლად გადარჩენილ მეომართა წესისამებრ დაგმობასა და მათთვის მოქალაქეობის ჩამორთმევას; ისინი ბევრნი იყვნენ და ეფოროსებს მათი ამბოხებისა ეშინოდათ. მიუხედავად ამისა, სპარტელები დაბრუნებულებს შეურაცხყოფდნენ და მასხრად იგდებდნენ; ქალწულთათვის სამარცხვინოდ ითვლებოდა მათზე დაქორწინება. აგესილაოსმა კი ისინი კვლავ გაიწვია ლაშქარში და სასწრაფოდ განარიდა ქალაქს.



ამასობაში ეპამინონდასი ორმოცი ათასიანი ლაშქრით ლაკონიკეში შეიჭრა და დაარბია იგი. ექვსი საუკუნე იწურებოდა, რაც სპარტის მიწას არ უნახავს მტერი: ვერავინ ბედავდა აქ შემოჭრას, თუმცა მის დედაქალაქს, სპარტას, კედლები არ ჰქონდა. სპარტელები ყოველთვის ამაყობდნენ იმით, რომ მათი საუკეთესო დამცველი მოქალაქეთა სიქველე იყო.

აგესილაოსს ესმოდა, რომ მტრის აღმატებულ ძალებთან აშკარა ბრძოლა შეუძლებელი იყო. მან ქალაქი მიწაყრილებითა და ზვინულებით გაამაგრა, ქუჩები გადათხარა; შედარებით მნიშვნელოვან მაღლობებზე ჰოპლიტები განალაგა. თავისუფლება ეძლეოდათ იმ ჰელოტებს, რომლებიც არმიაში საკუთარი ნებით შევიდოდნენ. 6000 ჰელოტზე მეტმა მიიღო თავისუფლება.

მოხუცები და ქალები შიშმა მოიცვა იმ მრავალრიცხოვანი მტრის ხილვაზე, რომელიც ევროტასის მეორე ნაპირზე განლაგდა. ამ უბედურებებში აგესილაოსს ადანაშაულებდნენ. ისინი ამბობდნენ, რომ მისი ტახტზე ასვლისას სპარტა ძალმოსილების მწვერვალზე იდგა, ახლა კი იგი დაღუპვის პირამდეა მისულიო. იგონებდნენ აგესილაოსის სიამაყით წარმოთქმულ ამ სიტყვებსაც: „სპარტელ ქალებს არასოდეს დაუნახავთ მტრის ცეცხლის კვამლი". გადმოგვცემენ, რომ ერთ ათენელს უთქვამს სპარტელისათვის: „ჩვენ არაერთგზის გაგვიდევნიხართ თქვენ კეფისოსის ნაპირებიდანო". „სამაგიეროდ, – მიუგია სპარტელს, – ჩვენ არასოდეს გაგვიდევნიხართ თქვენ ევროტასის ნაპირებიდანო!"

ეპამინონდასი ვერ ბედავდა ევროტასის საგაზაფხულო მოქცევის გამო მის მეორე ნაპირზე გასვლასა და სპარტაზე თავდასხმას. მან უკან დაიხია და ზამთრის დადგომის ჟამს ლაკონიკეს განერიდა. სპარტა გადარჩა.

შემდგომ გაზაფხულზე ომი განახლდა. სპარტელთა მხარეს გადავიდნენ თებელთა ძალმოსილებით დაშინებული ათენელები. თებეს მოკავშირე პელოპონესოსის სახელმწიფოთა შორის თავი იჩინა უთანხმოებამ, რის გამოც ეპამინონდასი იძულებული გახდა, რამდენიმეგზის დაელაშქრა პელოპონესოსი, რათა იარაღის ძალით შეენარჩუნებინა მოკავშირენი.

ერთხელ ეპამინონდასმა კინაღამ აიღო სპარტა (ძვ.წ. 362 წ.). არკადიის ქალაქ მანტინეას მოქალაქეებმა დახმარება სთხოვეს სპარტელებს. აგესილაოსი გაეშურა მათ მისაშველებლად.

ეს გაიგო თუ არა, ეპამინონდასმა, ღამით შეუმჩნევლად დაიხია არკადიის ქალაქ ტეგეადან; რომელიც ალყაში ჰყავდა მოქცეული და აგესილაოსისაგან შეუმჩნევლად პირდაპირ სპარტისკენ გაეშურა. ვილაც კრეტელმა ათენელთა ჯარის გადაად-



გილების ამბავი აგესილაოსს აცნობა და მეფემაც დაუხანებლივ ისწრაფა დედაქალაქისაკენ. ამასობაში ეპამინონდასმა შეძლო ევროტასის მეორე ნაპირზე გასვლა.

თებელები შეტევაზე გადავიდნენ, მაგრამ ამ დროს გამოჩნდა აგესილაოსიც თავისი ჯარით. მტერმა მოახერხა ქალაქში შეჭრა. მათ მიაღწიეს აგორასაც კი და დაიკავეს ევროტასის მარჯვენა ნაპირას მდებარე მაღლობები. მაგრამ სხვა ადგილებში თავდასხმა მოიგერიეს შეუპოვარი სიმამაცით მებრძოლმა სპარტელებმა. ღრმად მოხუცებული მეფე აგესილაოსი ლომივით იბრძოდა თავისი ლაშქრის წინა რიგებში. სპარტის ყოველი ქუჩა, ყოველი სახლი სიმაგრედ იქცა. ქალები და ბავშვები სახლების სახურავებიდან მტერს თავზე აყრიდნენ კრამიტებს.

სპარტელებმა შეძლეს მტრის შეკავება მოკავშირეთა მოსვლამდე. ეპამინონდასი იძულებული გახდა, ქალაქიდან გასულიყო.

მშობლიური ქალაქისათვის ბრძოლაში მრავალმა სპარტელმა გასაოცარი სიმამაცე გამოიჩინა. გადმოგვცემენ, რომ ერთი ახალგაზრდა სპარტელი სახლიდან შიშველი გამოვარდნილა შუბითა და მახვილით ხელში. იგი ჩეხავდა და კლავდა მტერთაგან ყოველს, ვინც კი გზად შემოხვდებოდა, თავგანწირულად იბრძოდა მანამ, ვიდრე მტერი უკუ არ იქცა. ბრძოლების შემდეგ ეფოროსებმა იგი გვირგვინით შემოსეს ამ სიმამაცისთვის, თუმც ამავე დროს ჯავშნის გარეშე ბრძოლის გამო დააჯარიმეს.

რამდენიმე დღის შემდეგ მანტინეასთან გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა (ძვ.წ. 362 წ.) თებელებმა გაიმარჯვეს, მაგრამ ძვირი დაუჯდათ ეს გამარჯვება: დიდი ბელადი ეპამინონდასი სასიკვდილოდ დაიჭრა. იგი კარავში მოასვენეს. როდესაც მას თებელთა გამარჯვების ამბავი ამცნეს, ესლა აღმოხდა: „მე ვკვდები, მაგრამ თქვენ ორ უკვდავ ქალიშვილს გიტოვებთ – ლევკტრასა და მანტინეას“. ამ სიტყვებთან ერთად მან იარიდან შუბის ნატეხი ამოიღო და სული განუტევა.

მანტინეასთან ბრძოლის შემდეგ თებელებმა მძიმე დანაკლისის გამო ველარ შეძლეს ბრძოლის გაგრძელება. დაიდო ზავი: სპარტამ პელოპონესოსის ყველა სამფლობელო დაკარგა, გარდა ლაკონიკესი. აგესილაოსის ყოველი ცდა მესენიის შესანარჩუნებლად, მარცხით დამთავრდა.

ზავის დადების შემდეგ მრავალჭირნახულ აგესილაოსს არ შეეძლო სიკვდილის მოლოდინში მშვიდად ჯდომა. ოთხმოცი წლის მოხუცი, მაგრამ ჯერ კიდევ ენერგიით აღსავსე, დაქირავებულ ჯარს ჩაუდგა სათავეში და ეგვიპტისკენ გასწია სპარტელთა წინააღმდეგ მებრძოლი მმართველის, ტაქოსის დასამორჩილებლად. მალე აგესილაოსმა მიატოვა ტაქოსის წინააღმდეგ ბრძოლა და გადავიდა მისი



მეამბოხე ძმისწულის, ნექტანებოსის მხარეს. იგი დაეხმარა მას და ეგვიპტის მმართველად გამოაცხადა.

შემდეგ აგესილაოსი სპარტაში დასაბრუნებლად გაემზადა, მაგრამ ნავსადგომ მენელაოსში (დასავლეთ ეგვიპტე) გარდაიცვალა, 85 წლის ასაკში (ძვ.წ. 361/60 წ.).

მეფე, თავის წინაპართა ადათის თანახმად, სპარტაში უნდა დაკრძალულიყო. აგესილაოსის თანამგზავრებმა მიცვალებულის გვამი ცვილით დაფარეს და სპარტაში ჩამოასვენეს.

პელოპიდასი

თებელი მთავარსარდალი

(ძვ.წ. IV ს.)

ათენის მახლობლად მდებარეობდა ბეოტიის სახელმწიფო, რომლის მთავარი ქალაქი იყო თებე. ჰომეროსი მას „შვიდბჭე თებედ" მოიხსენიებდა. ამ ეპითეტით დარჩა იგი ისტორიის მეხსიერებაში. თებეს სახელს მრავალი ლეგენდარული ამბავი უკავშირდება. საკმარისია, გავიხსენოთ კადმოსის, ოიდიპოსისა თუ ანტიგონეს მრავალ შემოქმედთა შთამაგონებელი სახელები.

ძვ.წ. IV საუკუნისთვის თებე საბერძნეთის მნიშვნელოვან პოლიტიკურ ცენტრად იქცა, რაც ისტორიოგრაფოსთა აზრით, მისი მმართველების, პელოპიდასისა და ეპამინონდასის დამსახურება იყო. მათი ცხოვრება სიმამაცის, უანგარობისა და სამშობლოსადმი არნახული ერთგულების ნიმუშად შეირაცხა. ისინი იყვნენ უბრწყინვალესი სახელმწიფო მოღვაწეები და ნიჭიერი მთავარსარდლები, რომლებმაც გასაოცარი გმირობებით გაუთქვეს სახელი სამშობლოს. პელოპიდასისა და ეპამინონდასის გამარჯვებათა წყალობით თებე მთელ საბერძნეთზე გაბატონდა, თუმცა მცირე ხნით. ორთავე გმირის უდროო სიკვდილი ბრძოლის ველზე თებელთათვის საბედისწერო აღმოჩნდა.

პელოპიდასი თავდაუზოგავმა სიმამაცემ იმსხვერპლა. მეგობართაგან ზოგი აღფრთოვანებით ასხამდა ხოტბას მის გასაოცარ შემართებასა და გამბედაობას, ზოგიც კიცხავდა მას ამის გამო. ძველად ბერძენნი სამართლიანად მიიჩნევდნენ, რომ სიმამაცე და თავგანწირვა ერთი და იგივე არ იყო. მათი აზრით, ის, ვინც არ უფრთხილდება თავის სიცოცხლეს, ყოველთვის როდია ჭეშმარიტად გულადი. ისტორიამ ამის მრავალი ნიმუში შემოგვინახა: ერთხელ ცნობილმა მხედართმთავარმა ყურადღება მიაპყრო სუსტსა და დაძაბუნებულ მეომარს, რომელიც მტერს ლომივით



ერკინებოდა. როდესაც ბრძოლა დასრულდა, მეომრის ავადმყოფური გამომეტყველებით გაოცებულმა მხედართმთავარმა თანაგრძნობით იკითხა, თუ რა იყო მისი სიფერმკრთალის მიზეზი. აღმოჩნდა, რომ მეომარს მძიმე სენი შეჰყროდა და გამოჯანმრთელების იმედი აღარ ჰქონდა. მხედართმთავრის ბრძანებით ექიმებმა ყველი ღონე იხმარეს მის განსაკურნავად. მაგრამ მას შემდეგ, რაც იგი გამოჯანმრთელდა, საფრთხეში აღარ იგდებდა თავს. მხედართმთავრის საყვედურის პასუხად მას ასე უთქვამს: „შენი მიზეზითა ვარ მხდალი, რადგან განმკურნე იმ სენისაგან, რომელიც მაიძულებდა, სიცოცხლე არად ჩამეგდო". ასე რომ, სიმამაცე ვერ სდებს პატივს მას, ვინც სიცოცხლის წილ ეძიებს სიკვდილს. ჭეშმარიტად გულადი მხოლოდ ის არის, ვისაც სიცოცხლე უყვარს და თავს მხოლოდ საერთო საქმისთვის სწირავს.

ძველი მხედართმთავრები აღნიშნავდნენ, რომ ლაშქრის ხელები ქვეითნი არიან, ფეხები – ცხენოსნები, ხოლო თავი კი მთავარსარდალია. მას სძულს საფრთხე, რამეთუ საკუთარი თავი კი არ უნდა გაწიროს მხოლოდ, არამედ მასზე მინდობილი ხალხის სიცოცხლეც. მხედართმთავრის სიკვდილმა, შესაძლოა, მთელი საქმე დაღუპოს. ამიტომ მან უბრალო მეომარივით როდი უნდა ჩაიგდოს თავი საფრთხეში. ეს აზრი დაებადება ყოველს, ვინც კი წაიკითხავს პელოპიდასის ცხოვრების ამბავს.

პელოპიდასი, ჰიპოკლესის ძე, თებეს წარჩინებულთა მოდგმის ჩამომავალი იყო. მას არაფერი დაჰკლებია ბავშვობაში. ხოლო ჭაბუკმა მიიღო უზარმაზარი მემკვიდრეობა, რომელიც კიდევ უფრო გაიზარდა ილბლიანი ქორწინების შემდეგ. და მაინც, იგი როდი ამაყობდა თავისი სიმდიდრით, ცხოვრობდა უბრალოდ, ჭამდა ზომიერად და კუთვნილ სახსრებს უქონელთა დასახმარებლად ხარჯავდა, მთელ დროს საზოგადოებრივ საქმიანობას უთმობდა.

ერთხელ მეგობრებს უთქვამთ პელოპიდასისათვის: „ნუთუ ვერ ხვდები, რომ ცხოვრებაში ფულია მთავარი". „დიახ, ფული აუცილებელია... აი, ამ კაცისთვის", – მიუგია მას და ბრმა ხეიბარი დაუნახვებია მათთვის.

მისი უახლოესი მეგობარი იყო შემდგომში სახელმოხვეჭილი მხედართმთავარი ეპამინონდასი. ისინი ერთნაირად იყვნენ ბუნებისაგან მიმადლებული ნიჭით დაჯილდოებულნი. პელოპიდასს უფრო მოსწონდა სხეულის ვარჯიშები, ეპამინონდასს კი – გონებრივი. ერთი თავისუფალ დროს ატარებდა გიმნასიონში, დადიოდა სანადიროდ, ხოლო მეორე – საუბრობდა ფილოსოფოსებთან.

მათი მეგობრობა პელოპონესოსის ომის დროიდან დაიწყო. მაშინ თებელები არკადიელებისა და ათენელების წინააღმდეგ იბრძოდნენ. რაზმი, რომელშიც პელოპიდასი და ეპამინონდასი ჰოპლიტებად მსახურობდნენ, უკუიქცა, მხოლოდ ორი მეგობარი დარჩა ბრძოლის ველზე და მტერს გმირულად ეომებოდა.



მტერი კი მრავლად იყო. მძიმედ დაჭრილი პელოპიდასი დაეცა. ეპამინონდასს ეგონა, რომ იგი მოკლეს, მაგრამ გმირულად განაგრძობდა ბრძოლას მისი ცხედრისთვის. თავად მკერდსა და მკლავში დაჭრილი იგი მარტოდმარტო ებრძოდა ბევრს, რამეთუ თვლიდა, რომ უმჯობესი იყო მომკვდარიყო, ვიდრე უპატრონოდ მიეგდო სულამოხდილი მეგობარი. და აღარც ჩანდა ხსნის იმედი, რომ მოულოდნელად გამოჩნდა სპარტელთა მეფე, რომელმაც გადაარჩინა მეგობრები.

იმ დროიდან ისინი განუყრელად ერთად იყვნენ და ერთმანეთისადმი უანგარო ერთგულებით განვლეს ხანმოკლე, მაგრამ მღელვარე და ბობოქარი ცხოვრება. მათ არაერთგზის უბრძოლიათ ერთად, არაერთგზის ყოფილან ერთად მხედართმთავრები და სახელმწიფოს განმგებლები. მათ გულებში არასოდეს დაუბუდებია შურსა თუ შულლს. ისტორიამ იცის, თუ როგორ მტრობდნენ ერთმანეთს არისტიდასი თუ თემისტოკლესი, კიმონი თუ პერიკლესი, ნიკიასი თუ ალკიბიადესი. მით უფრო საოცარია პელოპიდასისა და ეპამინონდასის მეგობრობა. მათი ურთიერთსიყვარულის მიზეზი ის იყო, რომ ისინი იბრძოდნენ არა პირადი დიდებისა და კეთილდღეობისათვის, არამედ სამშობლოს ძლიერებისათვის. აი, რატომ მიიჩნევდნენ ისინი ერთმანეთის წარმატებას საკუთარ გამარჯვებად.

იმხანად მდიდარმა არისტოკრატებმა არქიასმა, ლეონტიადესმა და ფილიპოსმა სპარტელთა დახმარებით თებეში სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა ჩაიფიქრეს. მათ მოლაპარაკება გამართეს სპარტელ მხედართმთავარ ფოიბიდასთან, რომელიც ძლევამოსილი რაზმით თებეს მახლობლად იყო დაბანაკებული. იგი დათანხმდა, დახმარებოდა არისტოკრატებს.

ფოიბიდასმა განიზრახა, თავს დასხმოდა თებეს სიმაგრე კადმეას ღვთაება დემეტრესადმი მიძღვნილი ზეიმის დღეს. ეს სიმაგრე ქალაქის განაპირას იდგა და იოლი იყო მასთან შეუმჩნევლად მიახლოება.

თებელებს ფიქრადაც არ მოსვლიათ, რომ სპარტელი ფოიბიდასი განიზრახავდა მათზე თავდასხმას. შუა დღეს, როდესაც სიცხემ ხალხი აიძულა, დაეტოვებინა ქუჩები, მოლალატე ლეონტიადესმა შეუმჩნევლად მიიყვანა ფოიბიდასი კადმეასთან, სადაც იმხანად იქ მხოლოდ ქალები იმყოფებოდნენ.

როდესაც სპარტელმა მხედართმთავარმა ხელთ იგდო თებეს ციხე-სიმაგრე კადმეა, მთელი ქალაქი მის ძალას დაემორჩილა. დემოკრატების ბელადი სპარტის გზას გაუყენეს და იქ დასაჯეს. პელოპიდასმა და სხვებმა მოასწრეს ათენში გაქცევა. ეპამინონდასი ქალაქში დარჩა: მას საფრთხე არ ემუქრებოდა, რადგანაც მშვიდობიან და საზოგადოებრივი ცხოვრებისგან განდგომილ კაცად ითვლებოდა.

სპარტელებმა ფოიბიდასს მოჩვენებითი სასჯელი დაადეს და მხედართმთავრობა ჩამოართვეს. სინამდვილეში კი მეფეები და ეფოროსები სავსებით ამართლებ-

დნენ თებეს დაპყრობას. მდიდარი არისტოკრატები არქიასისა და ლეონტიადესის მეთაურობით, სპარტის სამხედრო ძალაზე დაყრდნობით, თებეს სრულუფლებიანი მმართველები გახდნენ.

არქიასისა და მის მომხრეთა ძალაუფლება შეუვალი ჩანდა: მათ ხომ ვერავინ დაამხობდა, ვიდრე სპარტა მიწისა და ზღვის მბრძანებელი იქნებოდა. გაძევებული დემოკრატები ათენშიც კი ვერ გრძნობდნენ თავს უსაფრთხოდ. იქაც გაგზავნეს არისტოკრატებმა დაქირავებული მკვლელები, რომლებმაც ერთ-ერთი მათგანი განგმირეს კიდეც. ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო, რომ ყოვლის შემძლე სპარტის შიშით ათენელები თავშესაფარს წაართმევდნენ გაძევებულებს.

მრავალი დაეცა სულით, მაგრამ პელოპიდასი, თუმცა ასაკით ყველაზე უმცროსი იყო, მათ ამხნევებდა და ერთობლივი მოქმედებისკენ მოუწოდებდა: „სამარცხვინოა, – ამბობდა იგი, – დამონებულ სამშობლოს ჭვრეტდე! ნუთუ ის უნდა გვახარებდეს ჩვენი უბადრუკი სიცოცხლე რომ შევინარჩუნეთ? ჩვენ იძულებულნი ვართ ვეპირფეროთ და ქედი ვუხაროთ ყოველს, ვინც კი ათენის სახალხო კრებაზე რაღაც გავლენით სარგებლობს. უმჯობესია, ათენელ გაძევებულებს მივბაძოთ. დამარცხების შემდეგაც კი შეძლეს ათენელებმა თავიანთ სამშობლოში დემოკრატიის აღდგენა. მიუხედავად სპარტის ძალმოსილებისა, მათ დაამხეს წარჩინებულთა ძალაუფლება. ჩვენც შევძლებთ, ბოლო მოვუღოთ არისტოკრატთა ბატონობას ჩვენს სამშობლოში".

პელოპიდასის სიტყვებმა ლტოლვილთა მიმქრალი სიმხნევე კვლავ აღაგზნეს. თებედან გაძევებულებმა თავიანთ მომხრეებს სამშობლოში ამცნეს, რომ ბრძოლა გრძელდება.

თებეში დარჩენილი დემოკრატები ამ ამბავმა ფრიად გაახარა. ერთ-ერთმა მათ განმა, ქარონმა, რომელსაც ქალაქში საპატიო თანამდებობა ეკავა, თავისი სახლი შესთავაზა გაძევებულებს თავშესაფრად. სხვამ – ფილოსმა – შეძლო თებეს მმართველთა მომადლიერება და მათი ნდობით აღჭურვილი პირი გახდა.

ეპამინონდასი უკვე დიდი ხანია მოუწოდებდა ახალგაზრდებს უცხოელთა ბატონობის დასამხობად. გიმნასიონებში, როდესაც ახალგაზრდა თებელები დამარცხებდნენ ხოლმე სპარტელებს, ეპამინონდასი მათ არწმუნებდა, რომ მხოლოდ სიმხდალის გამო ემონებიან ისინი იმ სპარტელებს, რომელთაც ძალითაც და მოხერხებითაც ესოდენ აღემატებიან.

ამასობაში გაძევებულებმა შეადგინეს შეთქმულების გეგმა და მისი აღსრულების დღეც დანიშნეს. შეთქმულთა დიდი ნაწილი დარჩა თებეს საზღვართან, მხოლოდ თორმეტმა კაცმა, პელოპიდასის მეთაურობით, გააგრძელა გზა თებესაკენ.



ისინი მოკლე მოსასხამებში იყვნენ გამოწყობილნი, მიდიოდნენ ძალლებითა და ბადეებით, რათა გამვლელებს მონადირეებად მიეჩნიათ.

გზად პელოპიდასი და მისი მეგობრები დაიყვნენ და გამთენიისას სხვადასხვა კარიბჭედან შეაბიჯეს ქალაქში. იწყებოდა მძლავრი ქარბუქი. სიცივისა და უამინდობის გამო ყველა სახლს შეფარებოდა, ქუჩებში არავინ იყო. შეთქმულებმა შეუმჩნევლად მიაღწიეს ქარონის სახლს, სადაც მათ უკვე ელოდნენ მეგობრები. სულ 48 კაცი შეიკრიბა.

ფილისმა კი ამ დღეს თებეს არისტოკრატ-მმართველებს დიდი ნადიმი გაუმართა თავის სახლში. იგი შეეცადა, ისე გამოეთრო სტუმრები, რომ დაუბრკოლებლად გადაეცა შეთქმულთა ხელში.

სტუმრები თითქმის მთვრალები იყვნენ, როდესაც ხმა დაირხა, გაძევებულები ქალაქში დაბრუნდნენო. ნაღვინევმა არქიასმა გადაწყვიტა ქარონის დაკითხვა, რამეთუ თვლიდა, რომ ამ საყოველთაოდ პატივდებულ კაცს ყველაზე უკეთ ეცოდინებოდა, რა ხდებოდა ქალაქში.

იმ დროს ქარონის სახლში შეთქმულები თავდასხმისათვის ემზადებოდნენ, საომრად იმოსებოდნენ. მოულოდნელად კარებზე დააბრახუნეს. მოვიდა მონა და არქიასს ქარონის ბრძანება გადასცა. ყველას ეგონა, რომ შეთქმულება გამჟღავნდა და მთელი საქმე დაილუპა. მაინც გადაწყვიტეს, რომ წასულიყო ქარონი, იქნებ რაიმე ელონა.

ქარონი მამაცი კაცი იყო და არასოდეს ეცემოდა სულით. მას მხოლოდ იმისი ეშინოდა, რომ მეგობრებს არ დაებრალებინათ მისთვის შეთქმულების გაცემა.

ქალთა სამყოფელიდან მან მოაყვანინა თავისი საყვარელი ვაჟი და მეგობრებს სთხოვა, არ დაენდოთ იგი, თუკი მას, ქარონს, შეთქმულთა გაცემა მოუხდებოდა. აზრი იმაზე, რომ მისი შვილი მძევლად დარჩა, ფიქრობდა იგი, შეთქმულთა გაცემას არ დაანებებდა, თუკი მტერი მის წამებას განიზრახავდა. დაინახეს რა ქარონის კეთილშობილება, გაძევებულებმა მოითხოვეს, ბავშვი განერიდებინათ საფრთხისგან. უმჯობესი იქნებოდა მისი გადამალვა, რომ უკვე შემდგომ, თუ ეს საჭირო გახდებოდა, მამისათვის ეძია შური და სამშობლოს თავისუფლებისათვის ებრძოლა. „არა, – თქვა ქარონმა, – მე არ დავინდობ ჩემს შვილს. არაფერია მისთვის უფრო ძვირფასი, ვიდრე მამასთან და მეგობრებთან ერთად კეთილი საქმისათვის სიკვდილი". ამ სიტყვებით იგი გამოეთხოვა მეგობრებს, გადაკოცნა ყოველი მათგანი, სთხოვა, მხნედ ყოფილიყვნენ და წავიდა. არქიასის სახლთან მიახლოებულმა მთელი ძალა მოიკრიბა, რათა ხმასა თუ სახის გამომეტყველებაზე არაფერი დასტყობოდა.



არქიასი და ფილისი მის შესახვედრად გამოვიდნენ. „ქარონ, – მიმართა არქიასმა, – მე მამცნეს, რომ ქალაქში გაძევებულები იმალებიან და ზოგიერთი მოქალაქე მათ თურმე კიდეც თანაუგრძნობს". „სად იმალებიანო ლტოლვილები?" – ჰკითხა ქარონმა და პასუხიდან მისთვის ცხადი გახდა, რომ შეთქმულება ჯერ კიდევ არ გამჟღავნებულიყო. გახარებულმა ასე მიმართა ხელისუფალთ: „ნუ აღელდებით! ყველაფერს გავარკვევ და მოგახსენებთ".

იქვე მდგომმა ფილისმა არქიასი შინ შეიყვანა, თან შეახსენა, რომ მეგობრები ელიან.

დაბრუნებულმა ქარონმა შეთქმულები უიმედო მდგომარეობაში იხილა: მათ ეგონათ, რომ ყველაფერი დაილუპა და სასიკვდილოდ განწყობილიყვნენ.

ერთმა საფრთხემ ჩაიარა, მაგრამ მოულოდნელად თავი იჩინა მეორემ, ამჯერად უფრო სერიოზულმა. ათენიდან არქიასთან მოვიდა მაცნე წერილით. ამ წერილში უკვე იყო არა ეჭვი, არამედ ზუსტი ცნობები შეთქმულებასა და მის მონაწილეებზე.

მაცნე არქიასს მიჰგვარეს მაშინ, როდესაც იგი ისე იყო გამომთვრალი, რომ ველარ აზროვნებდა. მაცნემ მიაწოდა არქიასს წერილი და უთხრა: „გთხოვენ დაუყოვნებლივ წაიკითხო, ეს მეტად მნიშვნელოვანია". – „მნიშვნელოვანია? მაშინ ხვალამდე!" – თქვა არქიასმა და გვერდზე გადასდო წერილი. ამ სიტყვებმა იმსხვერპლეს იგი.

დადგა მოქმედების დროც. შეთქმულები ორ ჯგუფად დაიყვნენ. ერთი ჯგუფი ქარონის მეთაურობით გაემართა არქიასის სახლისკენ, სადაც ნადიმი იყო გამართული. თორათა ზემოდან შეთქმულებს ქალთა სამოსი ეცვათ, ხოლო თავები, სახის დასაფარად, ფიჭვისა და ნაძვის რტოთა გვირგვინებით ჰქონდათ შემოსილი. დარბაზში შესულებს მთვრალი სტუმრები ტაშისკვრით შეეგებნენ, ასე ეგონათ, მათ გასართობად მოცეკვავე ქალები შემოიყვანეს.

შეთქმულებმა მახვილები იშიშვლეს და მოქეიფე არისტოკრატებს მისცივდნენ. ფილისმა სტუმრებს უბრძანა, არ დაძრულიყვნენ ადგილებიდან, ბევრი დამორჩილდა, დანარჩენებმა თავის დაცვა სცადეს, მაგრამ მცირე ხანში დამარცხდნენ.

პელოპიდასსა და მის მეგობრებს უფრო მძიმე დავალების აღსრულება ხვდათ წილად. მათ უნდა დაემორჩილებინათ ორი განმგებელი – ლეონტიადესი და ჰიპატოსი, რომლებიც ნადიმს არ ესწრებოდნენ. როდესაც ისინი ლეონტიადესის სახლს მიუახლოვდნენ, ყველას ეძინა და სახლის კარები ჩარაზული იყო. ისინი დიდხანს აბრახუნებდნენ. როგორც იქნა გამოჩნდა ნახევრად მძინარი მონა და კარს ურდული ახსნა. გამოალო თუ არა კარი, შეთქმულები შეცვივდნენ სახლში, მონა ხმლის დაკვრით ჩამოიცილეს და საძინებელ ოთახს მიადგნენ. ხმაურზე ლეონტიადესმა საფ-



რთხე შეიგრძნო, ლოგინიდან წამოვარდა და მახვილი იშიშვლა. მოულოდნელობისაგან სინათლის ჩაქრობა დაავიწყდა, მისი საძინებელი ოთახი განათებული იყო, რამაც დაღუპა კიდეც. მართალია, პირველი, ვინც შეხვდა შეთქმულთაგან, მან განგმირა, მაგრამ პელოპიდასთან ორთაბრძოლა მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა.

შემდეგ შეთქმულები ჰიპატოსის სასხლისკენ გაემართნენ. ჰიპატოსმა, როგორც კი ბრძოლის ხმა შეესმა, მეზობლის სახლისკენ გასწია, მაგრამ იგი გზად შეიპყრეს და განგმირეს.

შეთქმულთა განზრახვა აღსრულებული იყო. პელოპიდასმა დაუხანებლივ გაგზავნა მაცნე ათენში დარჩენილ ლტოლვილებთან. შემდეგ შეთქმულებმა ხელთ იგდეს იარაღთა საწყობები. ამბოხებულებს შეუერთდა ეპამინონდასი და ნაწილი ახალგაზრდებისა, რომელთაც იგი თავის ბელადად და მოძღვრად მიაჩნდათ.

ქალაქი ღელავდა, ვერავინ ხვდებოდა, რა ხდებოდა: ქუჩებიდან საშინელი ხმაური მოისმოდა, ხალხი ჩირაღდნებით მიმორბოდა. ყველა სახლში ენთო შუქი, მაგრამ შეშინებული ადამიანები განთიადამდე არ გამოსულან გარეთ.

ათას ხუთასი მეომარი იყო იმ სპარტულ გარნიზონში, კადმეა რომ ჰქონდა დაკავებული. ამას გარდა, სპარტელებთან მრავალი არისტოკრატი გაიქცა. ასეთი ძალებით, რა თქმა უნდა, იოლად შეიძლებოდა შეთქმულთა მცირერიცხოვანი ჯგუფის დამარცხება. მაგრამ ხმაურმა, ჩირაღდანთა სიმრავლემ, ხალხის ბრბომ, რომელიც ყოველგან იკრიბებოდა, დააბნია სპარტელი მხედართმთავრები. ნაცვლად იმისა, რომ შეტევაზე გადასულიყვნენ, მათ სპარტაში წარგზავნეს ელჩები დამხმარე ძალების მოთხოვნით.

გამთენიისას თებეს მოადგნენ შეიარაღებული ლტოლვილები, რომლებიც საზღვართან იყვნენ ჩასაფრებულნი. სახალხო კრებამ პელოპიდასი და ქარონი ბეოტარქოსებად (უმაღლესი თანამდებობის პირები თებეში) დანიშნა.

პელოპიდასმა სასწრაფოდ შეკრიბა ჯარი და ალყა შემოარტყა კადმეას. საჭირო იყო დამხმარე რაზმების მოსვლამდე განედევნათ იქედან სპარტელები. როდესაც თებელებმა იერიში მიიტანეს ციხე-სიმაგრეზე, სპარტელებმა ზავი მოითხოვეს და თებელებს ჯარების გაყვანის პირობა დაუდეს.

კადმეას გარნიზონს კიდევ ერთი დღით რომ შეენარჩუნებინა სიმაგრე, თებეს გათავისუფლება არ მოხერხდებოდა, რადგანაც ჯერ მეგარამდეც არ იყო უკანდახეული რაზმი მისული, რომ გზად შემოხვდა მის დასახმარებლად მომავალი სპარტელთა მძლავრი ლაშქარი მეფე კლეომბროტოსის მეთაურობით. მაგრამ უკვე გვიანი იყო. თებეში სპარტელთა მმართველობის აღდგენა აღარავის შეეძლო.

უკანდახეული გარნიზონის ორი სპარტელი მეთაური სიკვდილით დასაჯეს. მესამეს დიდი ჯარიმა გადაახდევინეს. ათენის სახალხო კრებამ სპარტელთა შიშით



უარი განაცხადა თებეს მოკავშირეობაზე. თებეს საქმეს თითქოს დაღუპვა ეწერა: მშველელი არ ჩანდა, თებე მძლავრი მტრის პირისპირ მარტო აღმოჩნდა. მაგრამ იმხანად ერთმა შემთხვევამ სპარტის წინააღმდეგ განაწყო ათენელები.

სფოდრიოსმა, ბეოტიის ერთ-ერთ ქალაქში დაბანაკებული სპარტული გარნიზონის მხედართმთავარმა, სცადა ხელში ჩაეგდო ათენის ნავსადგომი პირეოსი, მაგრამ ამაოდ. მან მიაღწია ელევსინს, მაგრამ იძულებული გახდა სამარცხვინოდ უკან დაეხია. ამბობენ, რომ სფოდრიოსი წააქეზაო პელოპიდასმა, რომელსაც სურდა, ათენსა და სპარტას შორის ჩამოეგდო განხეთქილება. მაგრამ უფრო სავარაუდოა, რომ სპარტელმა მხედართმთავარმა მეფე აგესილაოსის ბრძანება აღასრულა.

სპარტელთა ვერაგობით აღშფოთებულმა ათენელებმა მათ ომი გამოუცხადეს და თებესთან დადეს კავშირი. ამ ბრძოლის მთელი სიმძიმე თებელებს ხვდათ წილად. ისინი თავდაუზოგავად იბრძოდნენ სამშობლოს თავისუფლებისათვის და მრავალი ბრწყინვალე გამარჯვებაც მოიპოვეს სპარტელებზე, რომლებიც ხმელეთზე ჯერ არავის დაემარცხებინა.

პელოპიდასი და მისი მეგობარი ეპამინონდასი დიდებული მთავარსარდლები იყვნენ. ამასთანავე ეპამინონდასი თებეში საყოველთაოდ აღიარებული სამხედრო რეფორმის შემოქმედიცაა.

თებელებმა აღმოაჩინეს ტაქტიკის უმთავრესი წესი, რომელიც დღემდე გადამწყვეტად ითვლება ბრძოლათა წარმოების ჟამს: მნიშვნელოვან უბანს მთავარი დარტყმა რომ მიაყენო, ძალა მთელ ფრონტზე თანაბრად კი არ უნდა გაანაწილო, არამედ სწორედ იმ უბანთან უნდა მოუყარო თავი ძალის უდიდეს ნაწილს.

პირველად პელოპიდასმა ტეგირასთან გაანადგურა სპარტელები „პირდაპირი" ბრძოლით. ეს გამარჯვება ეპამინონდასისთვის ღია კარივით იყო ლევკტრას აღებისას.

პელოპიდასმა გადაწყვიტა, თავს დასხმოდა ბეოტიის ქალაქ ორქომენოსს, რომელსაც მიუახლოვდა „წმინდა რაზმისა" და მცირერიცხოვანი მხედრიონის თანხლებით. ქალაქის მახლობლად მან შენიშნა მოლაშქრე სპარტელთა ჯარი, რის გამოც თავის რაზმს უკან დაახევინა. მაგრამ იქ წააწყდა სპარტელთა სხვა ლაშქარს, რომელიც მოპირდაპირე მხრიდან ბრუნდებოდა.

როდესაც სპარტელები გამოჩნდნენ ხეობაში, ერთ-ერთი მეომარი მიიჭრა პელოპიდასსთან და შესძახა: „ჩვენ მტერს ჩავუვარდით ხელში!" „იქნებ ის ჩვენ ჩაგვივარდა ხელში?" იკითხა პელოპისმა და ცხენოსანთა ჯარს უბრძანა, დაუყოვნებლივ იერიშზე გადასულიყო. თავად კი მძიმედ შეიარაღებულ ქვეითთა „წმინდა რაზმს" ჩაუდგა სათავეში და მტრის ერთ ფრთას ეძგერა. სპარტელები უკუიქცნენ,

მათი მეთაურები ბრძოლის ველზე დაეცნენ. პელოპიდასი არ დადევნებია მათ, მან ახლა საბრძოლო მზადყოფნაში მდგომ მეორე ფრთას შეუტია და ისინიც უკუაქცია. თებელებმა მრავალრიცხოვან მტერზე ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. სპარტელებს ხომ არასოდეს უგემიათ დამარცხება მცირერიცხოვან მტერთან ბრძოლის ჟამს. ისინი ხომ საუკუნეთა განმავლობაში ამაყობდნენ დაუმარცხებელი ძალით. სპარტელის სახელის გაგონებაც კი მტერს შიშის ზარს ჰგვრიდა.

წარუმატებლობა თან სდევდა სპარტელებს ზღვაზეც: ისინი ორგზის დაამარცხეს ათენელებმა. მაშინ სპარტელებმა გადაწყვიტეს, ზავი დაედოთ ათენელებთან და თებეს გარდა ყველა ბერძნულ სახელმწიფოსთან. თებელებს ისინი მთავარ მტრად მიიჩნევდნენ და მათ განადგურებაზე ოცნებობდნენ.

მეფე კლეომბროტოსი მძლავრი არმიით შეიჭრა ბეოტიაში. მძიმე განსაცდელის ჟამი ედგა თებეს: ულმობელი მტერი იმუქრებოდა, რომ ქალაქს მიწის პირისგან აღგვიდა, ხოლო მოსახლეობას მონებად გაჰყიდდა. თებელები შეძრწუნდნენ.

პელოპიდასმა დაუხანებლივ გასწია ქალაქ ლევკტრასკენ, სადაც დაბანაკებული იყო თებეს ლაშქარი. გამომშვიდობებისას თვალცრემლიანი მეუღლე სთხოვდა, თავს გაფრთხილებოდა. „ასეთი რამ, ჩემო კარგო, – მიუგია პელოპიდასს, – უნდა უთხრან უბრალო მეომრებს: მთავარსარდალი თავს კი არა, სხვას უნდა უფრთხილდებოდესო!“

შეიკრიბა თებეს ლაშქრის სამხედრო საბჭო. ეპამინონდასმა მხედართმთავრებს მოუწოდა, მტერს შებმოდნენ დაუხანებლივ. პელოპიდასმა მას მხარი აუბა. სხვა მხედართმთავრები მერყეობდნენ: ერთობ დიდი იყო შიში სპარტელთა წინაშე; მაგრამ მაინც გადაწყდა, დაუყოვნებლივ შეეტიათ მტრისთვის.

თებეს არმიის მთავარსარდალი ეპამინონდასი იყო, პელოპიდასი კი სათავეში ედგა რჩეულთა „წმინდა რაზმს“, რომელიც დიდ ძალას წარმოადგენდა და ცალკე იბრძოდა.

ეპამინონდასმა შეადგინა მოქმედების გეგმა. ჩვეულებრივ, ბერძნები ძლიერ მებრძოლებს მარჯვენა ფრთაზე განალაგებდნენ ხოლმე, სუსტებს – მარცხენა ფრთაზე. ასე რომ, იმარჯვებდა მარჯვენა ფრთა, ხოლო შემდეგ კი მტერი ფალანგებიდან ესხმოდა თავს ერთმანეთს. ეპამინონდასი პირიქით მოიქცა: მან მძიმედ შეიარაღებულ ქვეითთა დიდ ძალას, რომლის სიღრმეც 50 რიგი იყო, თავი მოუყარა სპარტელთა ძლიერი (მარჯვენა) ფრთის წინ. თებელთა მოიერიშე ფალანგა შეიარაღებული იყო გრძელი შუბებითა და ირიბი სოლის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

სპარტელებმა შენიშნეს მტრის ასეთი განლაგება და დაიწყეს თავისი რიგების გადაადგილებაც. მეფე კლეომბროტოსმა უფრო დააგრძელა მარჯვენა ფრთა და ეპამინონდასის ალყაში მომწყვდევა განიზრახა.



ამ დროს პელოპიდასიც გამოჩნდა თავისი „წმინდა რაზმითა“ და კლეომბროტოსს დაასწრო იერიში. მეფემ ვერც ფრთის გაშლა მოასწრო ალყის შემოსარტყმელად და ვერც მისი შემჭიდროვება უწინდებურად. „წმინდა რაზმის“ მძლავრმა შეტევამ სპარტელთა შეთხელებული რიგები გაანადგურა. მტერმა ამოსუნთქვაც ვერ მოასწრო, რომ მას მთელი ძალით დაესხა თავს ეპამინონდასი. სპარტელთა მარჯვენა ფრთა ერთნაირად მოისრა.

შემდეგ ეპამინონდასი ლაშქრის შუა გულში შეიჭრა და მტრის მარცხენა ფრთა თავისი აღმატებული ძალებითურთ გააცამტვერა. ბრძოლის ველზე დარჩა 1000 სპარტელი და მისი მრავალი მოკავშირე. მათ შორის იყო სიქველითა და სიმამაცით გამორჩეული მეფე კლეომბროტოსიც. პელოპიდასმა და ეპამინონდასმა თანაბრად გაინაწილეს გამარჯვების დიდება (ძვ.წ. 371 წ.).

ლევკტრასთან გამარჯვებით თებელებმა არა მხოლოდ საკუთარი სამშობლო იხსნეს განადგურებისაგან, არამედ აღკვეთეს სპარტის მმართველობა მთელ საბერძნეთში. პელოპონესელ მოკავშირეთა დიდი ნაწილი ჩამოშორდა სპარტას და თებეს მიემხრო.

იდგა ზამთარი. ეპამინონდასისა და სხვა განმგებელთა თანამდებობაზე ყოფნის დრო იწურებოდა. თებეს კანონის თანახმად, განმგებელს (ბეოტარქოსს) სიკვდილი ელოდა, თუკი იგი ვადის გასვლისთანავე არ დათმობდა თანამდებობას. ბეოტარქოსები პასუხისმგებლობის შიშით ჯარების თანხლებით შინ დაბრუნდნენ. ეპამინონდასმა კი, პელოპიდასის რჩევით, გადაწყვიტა, რომ ბეოტიაში დასაბრუნებლად დროის დაკარგვას აზრი არ ჰქონდა.

იგი დიდძალი ლაშქრით პელოპიდასთან ერთად შეიჭრა სპარტის ლაკონიკეში, დაარბია და თავად სპარტასაც დაემუქრა.

ეპამინონდასის ამ ლაშქრობამ სპარტას დააკარგვინა არკადია და მესენია. სპარტას მხოლოდ უმნიშვნელო სახელმწიფოები დარჩა საბერძნეთში.

ამ ბრწყინვალე ლაშქრობიდან დაბრუნებულ ეპამინონდასსა და პელოპიდასს თებეს მოქალაქეთა დიდი ნაწილი აღფრთოვანებით შეეგება. მაგრამ აღმოჩნდნენ არაკეთილმოსურნე პირებიც, რომლებმაც ორთავე მთავარსარდლის სამსჯავროზე წარდგომა მოითხოვეს, რადგანაც მათ განმგებლობის კანონიერი უფლებები ვადის გასვლიდან კიდევ ოთხი თვით შეინარჩუნეს. ხალხმა გმირები გაამართლა. ეპამინონდასი ბრალდებას მშვიდად შეხვდა, პელოპიდასი კი, რამდენადაც უფრო ფიცხი იყო ბუნებით, აღაშფოთა თანამოქალაქეთა ამ უგუნურებამ.

ეპამინონდასი მალე ისევ გაეშურა სალაშქროდ პელოპონესოსზე. მაგრამ კორინთოს კედლებთან ბრძოლაში ბეოტიელები დამარცხდნენ, რადგანაც სპარტელებს დახმარება გაუწიეს ათენელებმა. ამ მარცხმა საბაბი მისცა მტრებს, გაეკიცხ-



ათ ეპამინონდასიცა და პელოპიდასიც. მოწინააღმდეგეებმა ისიც კი შეძლეს, რომ სამსჯავროზე გაეყვანათ ეპამინონდასი და დროებით გაეთავისუფლებინათ ბეოტარქოსის თანამდებობიდან. და მაინც, მომდევნო წელსვე ეპამინონდასი კვლავ სათავეში ჩაუდგა ლაშქარს და პელოპონესოსისაკენ დაიძრა.

იმხანად, საბერძნეთის ჩრდილოეთით მდებარე თესალიაში დაარსდა ახალი სახელმწიფო, რომელსაც განაგებდა თერას მმართველი ალექსანდრე. თესალიის ზოგმა სახელმწიფომ, არ ისურვა რა დამორჩილებოდა ტირანს, დასახმარებლად მიმართა თებეს. მაშინ პელოპიდასმა ბრძოლა გამოუცხადა ალექსანდრეს, რომელიც ლამობდა მთელ საბერძნეთზე გაბატონებას.

პელოპიდასმა ხელში ჩაიგდო თესალიის ქალაქი ლარისა და აიძულა ალექსანდრე მასთან მორჩილებით გამოცხადებულიყო. შემდეგ მან მაკედონიაში დააშოშმინა ტახტისთვის მებრძოლები და მძევლად აიყვანა მეფის უმცროსი ძმა ფილიპოსი (რომელმაც მოგვიანებით მთელი საბერძნეთი დაუმორჩილა მაკედონიას).

მაკედონიიდან თებესკენ მიმავალ პელოპიდასს ალექსანდრე ვერაგულად დაესხა თავს, დაატყვევა და თერაში ჩაიყვანა.

პელოპიდასის ტყვეობამ თებე აღაშფოთა. მის დასახსნელად დაუყოვნებლივ გაგზავნეს ლაშქარი თესალიაში.

პელოპიდასს ამაყად და შეუდრეკლად ეკავა თავი მტერთა შორისაც. იგი აშკარად გმობდა ტირანის საქციელს და აცხადებდა, რომ არ ითხოვდა შეწყალებას და დაუხანებლივ იძიებდა შურს, თუ მიიღებდა თავისუფლებას.

„რატომ ესწრაფვის პელოპიდასი სიკვდილს?" – იკითხა მეფემ, როდესაც მას თებელი მთავარსარდლის სიტყვები ამცნეს. „იმიტომ, რომ, – მიუგეს ტირანს, – შენც მალე მოგეღება ბოლო, თუკი დასჯი პელოპიდასს. თებელები შურს იძიებენ ამ მკვლელობისთვის".

ამასობაში თებეს ლაშქარმა მიაღწია თესალიას, მაგრამ ვერ შეძლო პელოპიდასის გათავისუფლება. მაშინ თებედან გაიგზავნა ახალი ლაშქარი ეპამინონდასის მეთაურობით.

როდესაც ცნობილი გახდა, რომ მათკენ მოემართება სახელოვანი მთავარსარდალი, ალექსანდრეს მხედართმთავრები შეძრწუნდნენ. საკმარისი იყო ერთი შეტევაც კი და ტირანის ძალმოსილებას ბოლო მოეღებოდა.

მაგრამ ეპამინონდასმა უწინარეს ყოვლისა პელოპიდასის გათავისუფლება განიზრახა. მას ეშინოდა, რომ სასოწარკვეთილი ტირანი მოკლავდა ტყვეს. ამიტომ რადაც არ უნდა დასჯდომოდა, უნდა დაეხსნა პელოპიდასი.

ალექსანდრემ ეპამინონდასთან ელჩები წარგზავნა დასაზავებლად, მაგრამ მთავარსარდალმა მხოლოდ დატყვევებული მეგობრის გათავისუფლება მოითხოვა. ასე



დაიხსნეს პელოპიდასი ტყვეობიდან და სამშობლოში დაბრუნებულს ისე შეხვდნენ, როგორც ჭუშმარიტ გმირს ხვდებიან.

მოგვიანებით თებელებმა შეიტყვეს, რომ სპარტელებმა და ათენელებმა ელჩები გაგზავნეს სპარსეთის მეფესთან თებეს წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარების თხოვნით. მაშინ მათაც გაგზავნეს სპარსეთში თავისი წარმომადგენლები პელოპიდასის მეთაურობით.

პელოპიდასისა და მისი მეგობრის ეპამინონდასის დიდების ამბავი მთელ სპარსეთში იყო განთქმული. როდესაც პელოპიდასი სპარსეთის მეფის წინაშე წარდგა, სატრაპები უმზერდნენ მას და გაოგნებულნი ამბობდნენ: „აი, ის კაცი, რომელმაც საბერძნეთში მოსპო სპარტელთა განმგებლობა. ეს მან აქცია სპარტა პელოპონესოსის ერთ უბადრუკ სახელმწიფოდ, სპარტა, რომელიც სულ ახლახანს სპარსეთსაც კი ემუქრებოდა“.

პელოპიდასმა თავისი ელჩობა ბრწყინვალედ დააგვირგვინა: სპარსეთის მეფემ თებეს ელჩი დიდი პატივით მიიღო, უხვად დაასაჩუქრა და თებელთა ყველა სათხოვარის აღსრულების პირობა დაუდო.

პელოპიდასმა არ მიიღო სამეფო ძღვენი, რამეთუ თავისუფალი კაცის ღირსების შელახვად თვლიდა მეფის წყალობას. დაბრუნდა თუ არა თებეში, დიდძალი ლაშქრით გაემართა თესალიისკენ.

პელოპიდასმა არ აპატია თერას ტირანს ვერაგობა და გადაწყვიტა, შური ეძია მიყენებული შეურაცხყოფისათვის. ამას გარდა, მას სურდა, დაემტკიცებინა ბერძენთათვის, რომ საბერძნეთში მხოლოდ თებელებს ძალუძთ ტირანთა და მეფეთა წინააღმდეგ ბრძოლა.

თესალიაში პელოპიდასს შეუერთდა მოკავშირეთა დიდი ლაშქარი, რომლის თანხლებითაც დაიძრა იგი ალექსანდრესკენ.

დაიწყო საბედისწერო ბრძოლა. პელოპიდასმა გაანადგურა მტრის ცხენოსანთა ჯარი და ბოლომდე გასდია მას. მაგრამ ალექსანდრემ მოახერხა თებეს მოკავშირეთა შევიწროვება. პელოპიდასი, ჩვეულებისამებრ, თავს არ ზოგავდა. იგი ჩადგა თავის მებრძოლთა პირველ რიგებში და ისე აღაფრთოვანა, რომ მათ უპირატესობაც კი მოიპოვეს. შენიშნა რა მაღლობიდან, რომ ალექსანდრეც ასევე ამხნევებდა თავის დაქირავებულ მეომრებს, რომლებიც მზად იყვნენ დაეყარათ ფარ-ხმალი, პელოპიდასი მოსცილდა რაზმს და ალექსანდრე ორთაბრძოლაში იხმო, მაგრამ ტირანი თავის მცველებში მიიმალა. პელოპიდასი მცირერიცხოვან მეომართა თანხლებით მედგრად ეკვეთა დაქირავებულთა ბრბოს. თავგანწირულად იბრძოდა მთავარსარდალი, პირველი რიგი ამოხოცა, მრავალი დაჭრა. მებრძოლები, რომელთაც ეშინოდათ მასთან მიახლოება, შორიდან ისროდნენ შუბებს. პელოპიდასი სა-



სიკვდილოდ დაიჭრა. როდესაც მეკავშირე თესალიელები მოცვივდნენ დასახმარებლად, უკვე გვიანი იყო, იგი უსულოდ იწვა მიწაზე.

თებეს მხედრიონმა იერიში მიიტანა მოწინააღმდეგის ქვეით ჯარზე, სძლია და დიდხანს მისდევდა გასანადგურებლად. მტერი დამარცხდა. მან ამ ბრძოლაში სამი ათასი მეომარი დაკარგა.

გაიგეს თუ არა მებრძოლებმა პელოპიდასის გარდაცვალების ამბავი, არ განიკაზმეს საბრძოლო აღსაჭურველი, ცხენებს არ ახსნეს ლაგამ-უნაგირები, არ შეიხვიეს იარები და დაუხანებლივ მოიყარეს თავი ცხედართან, თითქოს ბელადი მათ ხედავდა, ესმოდა მათი... გლოვის ნიშნად, ადათისამებრ, მეომრებმა თმა მოიკვეცეს, ცხენებს ფაფარი შემოაჭრეს; ბანაკში კოცონს არ ანთებდნენ, არ ჭამდნენ საჭმელს. ირგვლივ ისეთი მდუმარება სუფევდა, თითქოს თებელებს ბრწყინვალე გამარჯვება კი არ მოეპოვებინათ, არამედ დამარცხებულებს მონობის უღელქვეშ მოეხარათ ქედი.

მთავარსარდლის სიკვდილმა ღრმად დაამწუხრა არა მხოლოდ თებელები, არამედ მათი მოკავშირენიც. ყველას მოჰქონდა სამაროვანთან ტროფეები, ოქროცურვილი აღსაჭურველი, გვირგვინები. თესალიელმა უხუცესებმა სთხოვეს თებელებს, მიცვალებულის დაკრძალვის პატივი მათთვის დაეთმოთ. აღმატებულად ღვაწლმოსილმა მათ შორის ასე მიმართა დამწუხრებულებს: „კეთილშობილნო, იმ წყალობას გთხოვთ, ამ უმძიმეს წუთებში რომ ჩვენ გვანუგეშებს... გვერწმუნეთ, თესალიელთათვის ეს უბედურება კიდევ უფრო მძიმეა, ვიდრე თებელთათვის. თქვენ ეთხოვებით დიად მთავარსარდალს, ჩვენ მასთან ერთად ვეთხოვებით თავისუფლებას! პელოპიდასს რომ ვერ გიბრუნებთ, განა გავბედავთ ჩვენს მხსნელად თქვენგან მოვითხოვოთ სხვა ბელადი?“ – და თებელებმაც მათ დაუთმეს.

პელოპიდასის გარდაცვალების შემდეგ სულ მალე, მანტინეასთან ბრძოლის ჟამს დაილუპა ეპამინონდასი, მისი დიდებული მეგობარი. ეპამინონდასის სიკვდილმა ისე შეძრა თებელები, რომ მათ ვერ შეირგეს მოპოვებული გამარჯვებით გამოწვეული სიხარული. ისინი ბელადთა გარეშე დარჩნენ. ხანმოკლე აღმოჩნდა მათი ბრწყინვალების ხანა. მალე მოუხდათ თებელებს პირველობის დათმობა საბერძნეთში.

დემოსთენესი

ათენელი სახელმწიფო
მოღვაწე და სახელოვანი
ორატორი
(ძვ.წ. 384-322 წწ.)

ანტიკურ სამყაროში დემოსთენესის სახელი სამშობლოს უანგარო სამსახურის სიმბოლოდ იქცა, მისი მჭევრმეტყველების ოსტატობით გამოწვეული აღფრთოვანება კი არ მინელებულა მრავალი საუკუნის შემდეგაც. როდესაც ერთხელ სახელოვანი რომაელი ორატორისთვის, ციცერონისთვის უკითხავთ, თუ რომელს მიიჩნევდა საუკეთესოდ დემოსთენესის სიტყვათაგან, „უდიდესო" – ასე მიუგია.

ძველ სამყაროშივე უბრწყინვალეს ორატორად აღიარებული დემოსთენესი დაიბადა ძვ.წ. 384 წელს ათენში. მისი მამა, რომელსაც ასევე დემოსთენესი ერქვა, ფლობდა იარაღის სახელოსნოს და იყო საკმაოდ შეძლებული კაცი. იგი მაშინ გარდაიცვალა, როდესაც მომავალ ორატორს შვიდი წელი შეუსრულდა. მისგან შვილებს (დემოსთენესს ორი წლით უმცროსი დაც ჰყავდა) დიდძალი მემკვიდრეობა დარჩათ.

ბავშვების აღზრდა მიენდოთ დედასა და მეურვეებს, მაგრამ ეს მეურვენი (ბიძები დედის მხრიდან) არაკეთილსინდისიერნი აღმოჩნდნენ. ისინი მოძღვრებს არ უხდიდნენ გადასახადსა და არ ზრუნავდნენ ბავშვების აღზრდასა და განათლებაზე. იმხანად დემოსთენესი სუსტი და განუვითარებელი მოზარდის შთაბეჭდილებას ტოვებდა. როდესაც იგი სრულწლოვანი გახდა, მეურვეებმა მისთვის მხოლოდ სახლი გაიმეტეს მონებით, ხოლო ფულისა და ქონების დიდი ნაწილი თავად მიისა-



კუთრეს. ახალგაზრდა კაცი თავდაპირველად ლამობდა დაერწმუნებინა მეურვეები, საკუთარი ნებით დაებრუნებინათ მისთვის მემკვიდრეობა, მაგრამ ვერაფერს გახდა. მაშინ განიზრახა სამსჯავროსათვის მიემართა. საქმე წარმატებით რომ წარემართა, აუცილებელი იყო ათენის კანონთა საფუძვლიანი ცოდნა და, რაც მთავარია, ორატორული ხელოვნების ფლობა.

იმხანად, დემოკრატიული წყობის პირობებში, ათენის ყოველ მოქალაქეს უხდებოდა სასამართლოსა თუ სახალხო კრებაზე გამოსვლა. ნიჭიერი ორატორები საყოველთაო ალიარებით სარგებლობდნენ; მათ ირჩევდნენ საპატიო თანამდებობებზე და სხვა ქვეყნებში აგზავნიდნენ ელჩებად. ათენში გამოჩნდნენ ადამიანები, რომელთაც შეეძლოთ ორატორულ ხელოვნებაში გაეწაფათ მსურველები.

მჭევრმეტყველების ყველაზე უფრო სახელმოხვეჭილ მოძღვრებად იმხანად ითვლებოდნენ ისოკრატესი და ისეოსი. ისოკრატესს შინ ჰქონდა მჭევრმეტყველების სკოლა გახსნილი, მაგრამ დემოსთენესს არ შეეძლო იქ სიარული, რამეთუ სწავლის ქირა ერთობ დიდი იყო. მაშინ მან მიმართა ისეოსს, რომელიც მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ საქმეებში ყველაზე მეტად იყო დახელოვნებული.

ოთხი წელი გულმოდგინედ მეცადინეობდა ახალგაზრდა ჭაბუკი ისეოსთან. მოძღვარს დიდძალი თანხა კი გადაუხადა, მაგრამ სანაცვლოდ კარგად გაეცნო სახელგანთქმულ მწერალთა ნაწარმოებებს. განსაკუთრებული ყურადღებით ეუფლებოდა ცნობილი ისტორიოგრაფოსის თუკიდიდესისა და ფილოსოფოს პლატონის თხზულებებს. თუკიდიდესის „ისტორია" მომავალმა ორატორმა თითქმის ზეპირად იცოდა, რამეთუ საკუთარი ხელით რვაგზის ჰქონდა გადაწერილი. როგორც კი სათანადო განათლება მიიღო, დემოსთენესმა დაიწყო მეურვეებთან დავა. სასამართლო მთელი ხუთი წლის განმავლობაში გრძელდებოდა. მეურვეები ყოველნაირად არიდებდნენ თავს პასუხისმგებლობას: მათ მოსპეს მნიშვნელოვანი საბუთები, მათ შორის დემოსთენესის მამის ანდერძიც კი. ბოლოს და ბოლოს მეურვეებს მსჯავრი დასდეს, მაგრამ ახალგაზრდა დემოსთენესმა მაინც ვერ მიიღო თავისი მემკვიდრეობა სრულად.

მეურვეებთან ხანგრძლივმა და მძიმე ბრძოლამ მომავალი ორატორის ხასიათს სიმტკიცე შეჰმატა. ხალხის წინაშე გამოსვლაზე დემოსთენესი ბავშვობიდანვე ოცნებობდა და აი, რატომ: ერთხელ, ადრეულ ახალგაზრდობაში, დემოსთენესმა დაჟინებით სთხოვა თავის მოძღვარს, წაეყვანა სასამართლოს სხდომაზე სახელგანთქმული ორატორის სიტყვის მოსასმენად. ჭაბუკმა იხილა, თუ როგორი ოვაციებით აცილებდა ბრბო ორატორს. იგი გაოცებული იყო ენამჭევრობის იმ ძალით, რომელმაც ესოდენ მონუსხა ყველა. მას შემდეგ დაივიწყა ყველა სხვა საქმე თუ



გასართობი და დაიწყო გაძლიერებული ვარჯიში მჭევრმეტყველებაში. მან მიზნად დაისახა გამხდარიყო ორატორი. მაგრამ ვიდრე ხალხის წინაშე წარსდგებოდა, დემოსთენესი იძულებული იყო, თავისი მოძღვრის მსგავსად, სასამართლო სიტყვები ეწერა. ასეთ შრომას ათენში დიდი ანაზღაურება ჰქონდა და დამწყებმა ორატორმა მოახერხა არა მარტო საკუთარი დედისა და დის შენახვა, არამედ სახსრების დაზოგვაც. თუმცა მხოლოდ სიტყვათა თხზვას არ შეეძლო დემოსთენესის დაოკება: იგი მხურვალე პატრიოტი იყო და ოცნებობდა, მთელი თავისი ძალები საზოგადოებრივი საქმიანობისათვის შეეწირა.

ახალგაზრდა ორატორის პირველი საჯარო გამოსვლა წარუმატებლად დამთავრდა: ბრბოს ხმაურმა, სიცილმა და სტვენამ მას სიტყვის თქმის საშუალება არ მისცა. და ეს სავსებით გასაგები იყო: დემოსთენესს ჰქონდა ძალზე სუსტი ხმა, იგი გაურკვევლად მეტყველებდა, ოდნავ ებმოდა ენა, ვერ გამოთქვამდა ასო „რ"-ს, მხარს ათამაშებდა და ყოველივე ამასთან ერთად, სავსებით არ შეეძლო ხალხის წინაშე თავის დაჭერა.

ასევე წარუმატებელი იყო მისი მეორე ცდაც, გამოსულიყო სახალხო კრებაზე. დაღონებულმა სახლისკენ ისწრაფა და თავდაპირველად ვერც კი შენიშნა, რომ კვალდაკვალ მისდევდა მეგობარი, ცნობილი ათენელი მსახიობი. ისინი ერთად გაუყვნენ გზას. დემოსთენესმა გულდაწყვეტით გაანდო მეგობარს თავისი წუხილის მიზეზი. უთხრა, რომ ხალხისთვის გაუგებარი დარჩა მისი სიტყვების სილრმე. „რას იზამ, – მიუგო მსახიობმა, – მაგრამ მე შევეცდები ვუშველო შენს საწუხარს. აბა, წამიკითხე რაიმე სოფოკლეს ან ევრიპიდეს ტრაგედიებიდან". დემოსთენესმა წაიკითხა. როდესაც კითხვა დაასრულა, მსახიობმა გაიმეორა იგივე, მაგრამ ისეთი გამოთქმით, რომ დემოსთენესს მოეჩვენა, თითქოს სულ სხვა ლექსებს ისმენდა. მისთვის ცხადი გახდა, თუ რაოდენ ამშვენებს სიტყვას გამოთქმა.

დემოსთენესმა განიზრახა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, გამოესწორებინა მეტყველების ყოველი ნაკლი. ხელი რომ არავის შეეშალა, განმარტოვდა. შემდეგ თავი სანახევროდ გადაიპარსა, სახლიდან რომ არ გამოსულიყო, ვიდრე თმა არ გაეზრდებოდა. დღეში რამდენიმე საათი დაუღალავად ვარჯიშობდა მეტყველების გამოსასწორებლად. პირს ივსებდა კენჭებითა და ლამობდა ხმამაღლა და ნათლად წარმოეთქვა სიტყვები. ასო „რ"-ს გამოსათქმელად შეიჩვია ლეკვი, დიდხანს უსმენდა მის ღრენასა და იმეორებდა ბგერებს. მან აიძულა თავი ხმამაღლა ეთქვა ლექსები მთაზე ასვლისას ან ზღვის ნაპირზე სეირნობის ჟამს. ამასთანავე ცდილობდა თავისი ხმით დაეფარა ტალღათა ხმაური. ზოგჯერ იგი თვეობით არ გამოდიოდა სახლიდან.

ბოლოს და ბოლოს დემოსთენესი დაეუფლა საკუთარ ხმასა და ჟესტებს. ხანგრძლივი შრომითა და რუდუნებით მიაღწია კიდეც მიზანს: მან დიდებული ორატორის სახელი მოიხვეჭა.

აღსანიშნავია, რომ დემოსთენესი არასოდეს გამოდიოდა ხალხის წინაშე მოუმზადებელი. იგი ყოველთვის იზეპირებდა წინასწარ დაწერილ სიტყვას. ღამ-ღამობით, ლამპის შუქზე მონდომებით წერდა სათქმელსა და გულდასმით იაზრებდა ყოველ სიტყვას. ყოველივე ამან ორატორის მტრებს საბაბი მისცა ეთქვათ, რომ მას არ გააჩნდა ბუნებისაგან მიმადლებული ნიჭი და შთაგონება. ერთხელ ვილაც არაკეთილმოსურნეს მისთვის ასეთი რამ წამოუძახნია: „შენს სიტყვებს ზეთის სუნი ასდითო", ანუ „ზეთის ლამპის შუქზე გაზეპირებულ სიტყვებს წარმოთქვამო", რაზეც დემოსთენესს ასე მიუგია: „სიტყვის გულმოდგინედ მომზადება ხალხის პატივისცემის ნიშანია, რამეთუ მჭევრმეტყველისთვის არ უნდა იყოს სულ ერთი ის, თუ როგორ მიიღებს ხალხი მის გამოსვლას".

თავდაუზოგავმა შრომამ თავისი გაიტანა: მტრებიც კი იძულებულნი გახდნენ ელიარებინათ ორატორის ძალა და მჭევრმეტყველების მაღალი ხელოვნება. მის გამოსვლებში სათქმელის გამოხატვის არაჩვეულებრივ უბარლოებას თან ერწყმოდა გრძნობისა და აზრის გასაოცარი სიღრმე, სინათლე და დამაჯერებლობა. დემოსთენესი არასოდეს გადაუხვევდა-ხოლმე ძირითად სათქმელს, მას არ უყვარდა ფუჭი ყბედობა; იგი ხან მშვიდად საუბრობდა, რითაც იპყრობდა თავის მსმენელთა ყურადღებას, ხან მათ გრძნობათა მგზნებარებით იმორჩილებდა, შთააგონებდა რა ყოველ მათგანს აღძრული საქმის ჭეშმარიტების ღრმა რწმენას.

როდესაც დემოსთენესს 30 წელი შეუსრულდა, მან საზოგადოებრივ მოღვაწეობას მიჰყო ხელი და თავისი ორატორული ნიჭის მთელი ძალისხმევა ბერძენთა ყველაზე უფრო სახიფათო მტრის – მაკედონიის მეფე ფილიპოსის წინააღმდეგ მიმართა. სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულით შთაგონებული უდიდესი ორატორი მთელი ძალით იბრძოდა მაკედონელთა და მათ ბერძენ დამქაშთა წინააღმდეგ.

ჯერ კიდევ მცირეოდენი ხნის წინ მაკედონია იყო სუსტი და ჩამორჩენილი სახელმწიფო, რომელსაც ბერძნები არაფრად აგდებდნენ. მეფე ფილიპოსმა (ძვ.წ. 359-336 წწ.) გააერთიანა ქვეყანა და შექმნა დიდებულად შეიარაღებული უზარმაზარი ლაშქარი, რომელიც ისეთი ნიჭიერი მხედართმთავრის ხელში, როგორიც თავად იყო, მრისხანე ძალად გადაიქცა.

იმხანად საბერძნეთის დამორჩილება მაკედონიისათვის ერთობ ხელსაყრელი აღმოჩნდა: ბერძნები გამუდმებით აწარმოებდნენ შიდა ომებს, ათენელები ებრძოდნენ მოკავშირეებს, თებელები – ფოკისელებს, ხოლო სპარტელები – პელოპონესოსის სახელმწიფოებს.

მეფე ფილიპოსი ოსტატურად სარგებლობდა ბერძენთა შინაური აშლილობით: მას ყოველგან თავისი მომხრეები ჰყავდა, მოწინააღმდეგეთა შორის კი – ჯაშუშები. იგი უკან არ იხევდა იმ შემთხვევაშიც, თუკი აუცილებელი იყო ვინმეს მოსყიდვა. „ოქროთი დატვირთული ვირი ნებისმიერ ციხე-სიმაგრეს აიღებს" – ამბობდა ფილიპოსი და ქედუხრელად მიიწევდა თავისი მიზნისკენ – მას განზრახული ჰქონდა მთელი საბერძნეთის დაპყრობა.

თავდაპირველად ფილიპოსმა დაიმორჩილა თესალია და გამაგრდა ჩრდილოეთ საბერძნეთში. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. რამდენიმე ხნის შემდეგ მაკედონელებმა შეძლეს თრაკიულ სახელმწიფოთა ხელში ჩაგდება, ისინი შიდა საბერძნეთში შესაჭრელად ემზადებოდნენ.

ფილიპოსის ასეთი სწრაფმავალი წარმატება განპირობებული იყო იმითაც, რომ საბერძნეთი მდიდართა და ღარიბთა შორის წარმოებული ომებით ორ ბანაკად იყო დაყოფილი. ღარიბები ყველგან აშკარად მოითხოვდნენ მდიდართა მიწებისა და ქონების დანაწილებას. მდიდარი მონათმფლობელები ფილიპოსისა და მაკედონელთა სახით ხედავდნენ მხსნელს ღარიბთა წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში, ამიტომ ხალხისთვის მიწების გადაცემას მაკედონელთა მორჩილებას ამჯობინებდნენ. ისინი ფიქრობდნენ, რომ მაკედონელთა ბატონობის დროს უფრო მშვიდად დაეპატრონებოდნენ საკუთარ ქონებასა და მონებს და აღარც ხალხის ამბოხების შიში ექნებოდათ. მხოლოდ უბრალო ხალხი და ღარიბები იყვნენ მზად დაეცვათ სამშობლო მაკედონელი დამპყრობლებისგან.

დემოსთენესმა იმთავითვე განჭვრიტა, თუ რა საფრთხეს უქადდა ათენსა და საბერძნეთს მაკედონია და მისი მეფე. ამიტომ იგი სათავეში ჩაუდგა ფილიპოსის მოწინააღმდეგე პატრიოტთა პარტიას.

ათენში იმხანად ძალაუფლება მაკედონიის მომხრეთა ხელში იყო. მაკედონური პარტიის სათავეში იდგნენ ევრიბულოსი და ცნობილი ორატორი ესქინესი.

ევრიბულოსი იყო მშვიდობის მომხრე და განგებ ხუჭავდა თვალს იმ საფრთხის წინაშე, რაც მაკედონელთა მხრიდან ემუქრებოდა ქვეყანას. მას სურდა ხალხის დაშოშმინება სახელმწიფო ხაზინის ხარჯზე (ეგრეთ წოდებული „სანახაობითი ფულით").

დემოსთენესმა გამეფებული წყობის წინააღმდეგ დაიწყო ბრძოლა. იგი ხალხს მოუწოდებდა, დღევანდელი სიმშვიდე დაეთმო ხვალინდელი დღის ბედნიერებისა და სახელმწიფოს ხსნის ფასად. „მდიდრები, – ამბობდა იგი, – ხალხს სახელმწიფოს ხარჯზე უგდებენ ნასუფრალს, თავად კი თავს არიდებენ სახელმწიფოებრივ პასუხისმგებლობას". ორატორმა შეძლო, დაერწმუნებინა ხალხი, რომ „სანახაობითი ფული" მაკედონელთა წინააღმდეგ საბრძოლველად გამოეყენებინა. ეს იყო დემოსთენესისა და მის მომხრე პატრიოტთა მნიშვნელოვანი გამარჯვება.



დემოსთენესი უკვე გამუდმებით გამოდიოდა სახალხო კრებებზე მგზნებარე სიტყვებით და ათენელებში პატრიოტული გრძნობების გაღვივებას ლამობდა. მეფე ფილიპოსის წინააღმდეგ მიმართული მისი ცნობილი სიტყვები „ფილიპიკებად" იწოდებოდა (ახლაც, მგზნებარე, მხურვალე სიტყვებს „ფილიპიკებად" მოიხსენიებენ).

ფილიპოსი თრაკიის დაპყრობის შემდეგ ქალკიდიკეს მთავარ ქალაქ ოლინთოსს ემუქრებოდა.

ათენში ჩამოვიდნენ ოლინთოსელი ელჩები დახმარების თხოვნით. დემოსთენესმა მათ გულწრფელად დაუჭირა მხარი: მან ოლინთოსელთა სასარგებლოდ სახალხო კრებაზე სამი სიტყვა წარმოსთქვა. მაგრამ ათენელთა დახმარება ნაგვიანევი აღმოჩნდა: მეფე ფილიპოსმა დაიმორჩილა ქალაქი, მისი მკვიდრნი კი მონებად გაყიდა.

შემდეგ ფილიპოსმა ათენელებს ზავი შესთავაზა. ათენელი ელჩები – ფილოკრატოსი და ესქინესი – მშვიდობიანი მოლაპარაკებების დროს მეფემ მოისყიდა: დემოსთენესის წინააღმდეგობისდა მიუხედავად მათ დადეს ზავი, რაც ათენისათვის ერთობ არახელსაყრელი იყო. მალე ფილიპოსმა ეს ზავიც დაარღვია და ათენელთა მოკავშირე ფოკისელები დაარბია.

მაშინ კი, როგორც იქნა, ათენელებმა დაიწყეს მზადება ფილიპოსის მოსაგერიებლად. დემოსთენესი აირჩიეს პირველ სტრატეგოსად და სახელმწიფოს მეთაურად. ყოფილ ელჩს, ფილოკრატოსს, ბრალად დასდეს ღალატი და დაუსწრებლად გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი.

შემდეგ დემოსთენესმა გაილაშქრა მეორე ელჩის – ესქინესის წინააღმდეგ. მასაც ღალატში დასდო ბრალი. ესქინესმა ოსტატურად დაიცვა თავი. იგი ხმათა უმნიშვნელო უმრავლესობით გაამართლეს.

ეს იყო დიდი ორატორის მნიშვნელოვან წარმატებათა და დიდების ხანა. მან მოახერხა გაეძლიერებინა ათენელთა მთავარი ძალა – ფლოტი. მაგრამ ათენელებს არ შეეძლოთ მარტო გამკლავებოდნენ მრისხანე მტერს. ამის გამო დემოსთენესმა მაკედონელთა წინააღმდეგ მიმართული საერთო ბერძნული კავშირის დაარსება განიზრახა. იგი სათავეში ჩაუდგა წარმომადგენლობასა და შემოიარა ბერძნული სახელმწიფოები. ყველგან გამოდიოდა მგზნებარე სიტყვებითა და ბერძნებს გაერთიანებისკენ მოუწოდებდა. „მაკედონელთა ძალა, – ამბობდა იგი, – ბერძენთა სისუსტე და დაქსაქსულობაა; თუკი ბერძნები გავერთიანდებით, ფილიპოსი ჩვენზე თავდასხმას ვერ გაბედავს". ბერძნულ სახელმწიფოთა მოსახლეობა აღფრთოვანებით ეგებებოდა დიდ ორატორს, მალე კორინთო, მეგარა და პელოპონესოსის სხვა ქალაქები ათენელთა კავშირში გაერთიანდნენ.



ამასობაში ფილიპოსი ყურადღებით ადევნებდა თვალს ათენელთა საქმიანობას. ვიდრე მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ერთიანობის თაობაზე, მოვიდა საშინელი ამბავი: ფილიპოსის ჯარი შუა საბერძნეთშია, მეფემ აიღო ბეოტიის საზღვართან მდებარე ციხე-სიმაგრე ელატეა – თებესა და ატიკის გზაჯვარედინის მნიშვნელოვანი პუნქტი. გადამწყვეტი ბრძოლის დრო დადგა. ბევრი იყო დამოკიდებული იმაზე, თუ ვის მხარეს დაიკავებდა თებე – შუა საბერძნეთის უძლიერესი სახელმწიფო.

მაშინ დემოსთენესი ათენელ ელჩთა თანხლებით ჩავიდა თებეში ფილიპოსის წინააღმდეგ გაერთიანების წინადადებით. მოხდა ისე, რომ იქ უკვე იმყოფებოდნენ მაკედონელი ელჩები (მეფემ დაასწრო დემოსთენესს), რომლებიც დიდი მისაგებლის წილ ცდილობდნენ თებელთა მიმხრობას. მაგრამ დემოსთენესმა მათ აჯობა. მისმა მგზნებარე სიტყვებმა, რომლებითაც იგი ხალხს საბერძნეთის დიდებისა და ღირსების ამბებს შეახსენებდა და სამშობლოსთვის თავდადებისკენ მოუხმობდა, თავისი საქმე გააკეთეს: თებელები ათენელებს მიემხრნენ.

ძვ.წ. 338 წლის ზაფხულში ქერონეასთან საბედისწერო ბრძოლა გაიმართა.

ფილიპოსის არმია 30 ათასი ქვეითისა და 2 ათასი ცხენოსნისაგან შედგებოდა. ათენელთა და თებელთა ლაშქარი რიცხობრივად უფრო მცირე იყო.

გამთენიისას მოწინააღმდეგენი საბრძოლო მზადყოფნით ერთმანეთის პირისპირ იდგნენ. მაკედონელთა ლაშქრის მარჯვენა ფრთას თავად ფილიპოსი მეთაურობდა, მარცხენას – მისი თვრამეტი წლის ვაჟიშვილი ალექსანდრე, რომელიც შემდგომ უდიადესი მთავარსარდლის სახელს მოიხვეჭს, ხოლო შუაში იდგა გამოცდილი მხედართმთავარი ანტიპატროსი.

დაიწყო მრისხანე და ხანგრძლივი ბრძოლა. პირველი გადამწყვეტი წარმატება ალექსანდრემ მოიპოვა: მისმა მებრძოლებმა გამანადგურებელი დარტყმა მიაყენეს თებელთა „წმინდა რაზმს“.

მარჯვენა ფრთაზე კი პირიქით, ათენელებმა გაარღვიეს მაკედონელთა რიგები და დაჯაბნეს მოწინააღმდეგენი. „მომყევით! – შესძახა ათენელთა სტრატეგოსმა, – ჩვენ გავიმარჯვეთ!“ წარმატებით თავბრუდახვეულმა მოიერიშე ათენელებმა დაშალეს მწყობრი რიგები.

„მტერს არ სცოდნია გამარჯვება!“ – თქვა ფილიპოსმა, რომელიც ბრძოლის მსვლელობას თვალ-ყურს ადევნებდა ბორცვის თხემიდან. მან სწრაფად გადაალაგა თავისი ფალანგა და ათენელებს ეკვეთა. ათენელები შედრკნენ, ლაშქარმა უკან დახევა დაიწყო.

ათენელ ჰოპლიტთა შეუპოვარი ბრძოლისა და თებელთა „წმინდა რაზმის“ თავგანწირვის მიუხედავად მაკედონელებმა გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვეს.

ამ ომში ათენელებმა დაკარგეს 1000 კაცი, 2000 ტყვედ ჩაბარდა.



დემოსთენესი იბრძოდა როგორც რიგითი ჰოპლიტი და მან თავის ლაშქართან ერთად დაიხია უკან. ამის გამო, ორატორმა ესქინესმა იგი სიმხდალეში დაადანაშაულა. მაგრამ ათენელებმა ყურად არ იღეს ეს ცილისწამება და სახელოვან ორატორს ქერონეასთან დაღუპულ მებრძოლთა მოსახსენიებელი სიტყვის წარმოთქმა სთხოვეს, რაც უდიდეს პატივად ითვლებოდა.

ქერონეასთან დამარცხების ამბავმა შეაძრწუნა ათენელები. დაუხანებლივ შედგა სახალხო კრება, რომელმაც მიიღო დადგენილება თავდაცვისათვის მზადებისა და სოფლებიდან ქალთა და ბავშვთა ქალაქის კედლებში შემოხიზვნის თაობაზე. გარდა ამისა, ვიღაცამ მოუწოდა თანამოქალაქეთ, გაენთავისუფლებინათ მონები და უცხოელებისათვის მიენიჭებინათ მოქალაქეობა, რათა მათი არმიაში გაწვევის შესაძლებლობა შექმნილიყო. ათენის სახალხო კრებამ სამშობლოსათვის ესოდენ დაძაბულ დროსაც კი ვერ გაბედა ამ უკიდურესი ზომების მიღება.

დემოსთენესმა თავის მომხრეებთან ერთად რა არ იღონა ქალაქის გასამაგრებლად, მოქალაქეთა შესაიარაღებლად, კედლების შესაკეთებლად და არც დამშვრალა ამაოდ. მრისხანე საფრთხე მინელდა, შესაძლებელი გახდა ზავის დადება შედარებით ხელსაყრელ პირობებზე: ათენელების განმგებლობაში რჩებოდა ფლოტი და მთავარი სამფლობელოები; ათენის საზღვაო კავშირი – მათი ძლიერების საფუძველი – დაიშალა და ათენელები იძულებულნი გახდნენ შესულიყვნენ ფილიპოსის მეთაურობით შექმნილ ახალ საერთო ბერძნულ კავშირში.

ქერონეას ბრძოლამ გადაწყვიტა საბერძნეთის ბედი: ბერძნულმა სახელმწიფოებმა დაკარგეს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ყველგან ძალაუფლება მაკედონელთა მომხრე მდიდართა ხელში გადადიოდა.

ათენში ხმა აღიმაღლეს მოღალატეებმა, ფილიპოსის აშკარა თუ ფარულმა მომხრეებმა. ისინი გამუდმებით სდევნიდნენ დემოსთენესსა და სახალხო პარტიის სხვა წარმომადგენლებს.

მაგრამ აღმოჩნდნენ სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანებიც, რომლებიც დაუღალავად იღწვოდნენ სახელმწიფოს ძლიერების აღსადგენად. მათ სათავეში ედგნენ დემოსთენესი, ლიკურგოსი და სხვა ბელადები.

ლიკურგოსმა ოთხი წლის განმავლობაში მკაცრი მომჭირნეობის გზით წელიწადში 1200 ტალანტონით გაზარდა სახელმწიფოს შემოსავალი. დემოსთენესი განაგებდა „სანახაობით ხაზინას", რომელიც იმჟამად ათენელ ღარიბთა ერთადერთი დასაყრდენი იყო. ქალაქი შემზარავი დამარცხების შემდეგ თანდათანობით წელში იმართებოდა.



ამასობაში მეფე ფილიპოსმა კორინთოში მოიწვია ბერძენთა გაერთიანებული ყრილობა, სადაც მაკედონიის მეფის მეთაურობით შექმნილი პანელინური კავშირი საზეიმოდ აღიარეს.

ლაშქრობისათვის გაცხარებული მზადების ჟამს ფილიპოსი მოკლეს მისივე ქალიშვილის ქორწილში ქერონეას ბრძოლიდან ორი წლის შემდეგ (ეს მოხდა ძვ.წ. 336 წელს მაკედონიის ქალაქ ეგეში).

დემოსთენესმა ფილიპოსის გარდაცვალების ამბავი უფრო ადრე შეიტყო, ვიდრე ეს სახალხო კრებისთვის გახდებოდა ცნობილი. იგი გამოცხადდა საბჭოზე და სიხარულით განაცხადა, რომ იხილა ათენელთათვის დიადი ბედნიერების მაუწყებელი სიზმარი. მალე მოვიდა მაცნეც და ფილიპოსის გარდაცვალების ამბავი აუწყა თავშეყრილთ. სახალხო კრებამ დაადგინა, ღმერთთათვის სამადლობელი მსხვერპლი შეეწირათ, ხოლო ფილიპოსის მკვლელობისთვის ლოცვა აღევლინათ. დიდი ორატორი იმ დღეს სახალხო კრებაზე საზეიმოდ მორთული და დიადემით შემოსილი გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, რომ მის ოჯახს უდიდესი უბედურება დაატყდა თავს: რამდენიმე დღით ადრე გარდაიცვალა დემოსთენესის ქალიშვილი. მაგრამ სახალხო სიხარულს სახელმორჭმული ორატორი საკუთარ უბედურებაზე მალლა აყენებდა. ხალხი ზეიმობდა, რადგანაც მაკედონელთა უღლიდან თავის დაღწევის იმედი გაუჩნდა.

დემოსთენესი კვლავ მიიწვიეს სახელმწიფოს სათავეში. საბერძნეთის ყველა ქალაქი აღდგა მაკედონელთა წინააღმდეგ. ათენელებმა თებესა და საბერძნეთის სხვა სახელმწიფოებში წარგზავნეს ელჩები მაკედონელთა წინააღმდეგ კავშირის შექმნის წინადადებით. ათენელებმა ხმა მიაწვდინეს სპარსელებსაც და მოუწოდეს დაუყოვნებლივ დაეწყოთ ბრძოლა ალექსანდრესთან. დემოსთენესი ვარაუდობდა, რომ ფილიპოსის მემკვიდრე სულელ ბიჭუნას, ასე უწოდებდა იგი ალექსანდრეს, იოლად გაუმკლავდებოდა. მას აჯანყების წარმატების იმედი ჰქონდა.

მაგრამ იმედი გაუცრუვდა. ალექსანდრემ მალე დააშოშმინა თავისი მეტოქეები მაკედონიასა და თესალიაში, ხოლო კორინთოს ბერძნები აიძულა ეცნოთ იგი სპარსეთთან მებრძოლი საერთო ბერძნული ლაშქრის ბელადად. ალექსანდრე იძულებული გახდა, გაელაშქრა ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთში მოსახლე ტრიბალების წინააღმდეგ, რამეთუ ისინი მაკედონიის საზღვრებს ემუქრებოდნენ.

ისარგებლეს რა ალექსანდრეს არყოფნით, უწინარესად ამბოხდნენ თებელები, მათ მიჰყვნენ სხვა ბერძნული სახელმწიფოებიც. თებელებმა ალყა შემოარტყეს მათ მიწაზე განლაგებულ მაკედონელთა გარნიზონს და მრავალი მებრძოლი გამოასალმეს სიცოცხლეს.

ალექსანდრემ მუსრი გაავლო ტრიბალებს და თავის ლაშქართან ერთად მოულოდნელად მიადგა თებეს კედლებს. მან აიღო და დაარბია მთელი ქალაქი. ხელი არ ახლო ერთადერთ სახლს, რომელიც სახელოვან პოეტ პინდაროსს ეკუთვნოდა. გადარჩენილი მოსახლეობა, დაახლოებით 30 ათასი კაცი, მონად გაჰყიდა.

ალყაში მომწყვდევის შიშით ძრწოდა ათენი. მაგრამ სრული მორჩილების ფასად შეძლო გამარჯვებულისაგან მოწყალება გამოეთხოვა. ალექსანდრემ დემოსთენესსა და მაკედონელთა სხვა მოწინააღმდეგეებს უხმო.

დემოსთენესი გამოცხადდა სახალხო კრებაზე და ხალხს უამბო არაკი ცხვრებზე, რომლებმაც თავიანთი მფარველი ძაღლები მგლებს მიუგდეს. საბედნიეროდ, ალექსანდრეს ყურადღება სპარსეთის წინააღმდეგ ლაშქრობის მზადებაზე ჰქონდა გადატანილი და მას აღარ გახსენებია დემოსთენესი, რომელიც თავის მეგობრებთან ერთად ათენში დარჩა.

ალექსანდრემ 5 ათასი მხედრითა და 30 ათასი ქვეითი ჯარისკაცით სპარსეთზე გაილაშქრა. ჯერ გრანიკოსთან და ისოსსთან მოიპოვა გამარჯვება (ძვ.წ. 334-333 წწ.), ხოლო შემდეგ სპარსელთა ჯარი ერთიანად მოსრა გავგამელასთან (ტიგროსის სანაპიროზე), დაეუფლა ბაბილონსა და სპარსელ მეფეთა აღურაცხელ საგანძურებს.[1]

ამასობაში ათენის სახელმწიფოს კვლავ მაკედონური პარტია ჩაუდგა სათავეში. ახლა დემოსთენესის მტრებმა დრო იხელთეს ანგარიშის გასასწორებლად. საქმე ის იყო, რომ ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ რესპუბლიკელთა პარტიის ერთერთმა წარმომადგენელმა შესთავაზა სახალხო კრებას, სამშობლოს წინაშე მაღალ დამსახურებათა გამო დემოსთენესი ოქროს გვირგვინით შეემკოთ. სახალხო კრებამ მიიღო ეს წინადადება და დაადგინა ათენის დიადი მოქალაქისათვის მიენიჭებინა ეს პატივი. რა თქმა უნდა, მაკედონიის მომხრეები აღშფოთდნენ, ესქინესმა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში საჩივარიც კი შეიტანა; იგი მიუთითებდა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილების უმართებულობაზე და ქადაგებდა, რომ დემოსთენესი არ იმსახურებდა ასეთ მაღალ ჯილდოს.

ორატორი იძულებული იყო, თავი დაეცვა. სასამართლო ათენის ორი ყველაზე მეტად სახელმოხვეჭილი მჭევრმეტყველის ორთაბრძოლის არენად გადაიქცა. მაგრამ დიდი დემოსთენესის მტრებმა ვერ გაითვალისწინეს განწყობილება იმ ხალხისა, რომელსაც არ სურდა შეგუებოდა დამოუკიდებლობის დაკარგვას.

სამსჯავროზე მრავალრიცხოვანმა ხალხმა მოიყარა თავი. ესქინესმა წარმოთქვა უსამართლო ბრალდებებით აღსავსე სიტყვა. ხოლო დემოსთენესმა თავის საპასუხო სიტყვაში, რომელიც საქვეყნოდ გახდა ცნობილი სახელწოდებით „გვირგვინისათვის", წარმოადგინა სამშობლოს საკეთილდღეოდ მიმართული მთელი თავისი



მოღვაწეობა და ნათლად დახატა ესქინესის მოღალატეობრივი სახე. მოწინააღმდეგეთა გაძალიანებისდა მიუხედავად მსაჯულებმა სამართლიანი განაჩენი გამოიტანეს. ესქინესს უნდა გადაეხადა ფულადი ჯარიმა და დაეტოვებინა სამშობლო. წარმატება, რომელიც შედეგად მოჰყვა სიტყვას „გვირგვინისათვის", იყო არა მხოლოდ დიადი ორატორის გამარჯვება, არამედ ათენისა და მთელი საბერძნეთის სამშობლოს მოყვარე ხალხთა ძალების ზეიმი.

ამ გამარჯვების შემდეგ დემოსთენესის გავლენა კიდევ უფრო გაიზარდა. მწარე გამოცდილებამ მის მოღვაწეობას სიფრთხილე შეჰმატა. იგი კარგად ხედავდა მტრის ძალასაც და იმასაც, რომ ბერძენთა შორის არ იყო ერთიანობა. ამიტომ ლამობდა მაკედონელთა წინააღმდეგ მოუფიქრებელ გამოხდომათაგან თანამოქალაქეთა შეკავებას. ასე მოხდა მაშინაც, როდესაც ათენელებმა, მისი რჩევით, მხარი არ აუბეს სპარტელთა ამბოხებას. ეს ამბოხება უმალ ჩაახშეს მაკედონელებმა.

იმხანად ალექსანდრე ერთიანად იყო ჩაფლული აზიურ საქმეებში. საბერძნეთის სრულუფლებიანი განმგებლობა კი თავის მხედართმთავარს – ანტიპატროსს მიანდო. ალექსანდრემ საბერძნეთისთვის ორი განკარგულება გასცა: უპირველეს ყოვლისა, იგი მოითხოვდა მის ღმერთად აღიარებას, ამასთანავე ბრძანებდა, რომ ბერძნულ სახელმწიფოებს დაებრუნებინათ თავიანთი გაძევებულები. პირველი განკარგულება ბერძნებს სიცილადაც არ ჰყოფნიდათ, უკანასკნელმა კი დიდი აღშფოთება გამოიწვია, რადგანაც სამშობლოდან გაძევებულნი იყვნენ ხალხისგან მოძულებული მოღალატეები. სწორედ ამ დროს მოხდა ისეთი რამ, რაც საბედისწერო აღმოჩნდა დემოსთენესისათვის.

ალექსანდრეს ხაზინადარმა ჰარპალოსმა, ისარგებლა რა მეფის ბაბილონში ხანგრძლივი ყოფნით (მეფე იმხანად ინდოეთზე გასალაშქრებლად ემზადებოდა), სპარსეთის მეფეთა უზარმაზარი საგანძური მიიტაცა. ამ ფულით მან 6 ათასი მებრძოლი დაიქირავა და 30 ხომალდით მოულოდნელად მიადგა ათენის ნავსადგომ პირეოსს. ხაზინადარს სურდა ათენელ სახელმწიფო მოღვაწეთა ფულით მოსყიდვა, უქადაგებდა რა მათ საბერძნეთის დამოუკიდებლობის შესაძლებლობას.

ზოგი ორატორი კრებას სთავაზობდა, აეღოთ ფული ჰარპალოსისგან და დაუყოვნებლივ დაეწყოთ საერთო ბერძნული აჯანყება ალექსანდრეს წინააღმდეგ. მაგრამ დემოსთენესმა და სხვა ცნობილმა სახელმწიფო მოღვაწეებმა ამის წინააღმდეგ გაილაშქრეს.

ჰარპალოსი არ შემოუშვეს ათენში. მან პელოპონესოსის სამხრეთით მდებარე ტენარონისკენ გასწია. იქ დატოვა თავისი ჯარი და საგანძურის ნაწილი. თავად კი 750 ტალანტონით ათენში დაბრუნდა. ახლა იგი მხოლოდ თავშესაფარს ითხოვდა.

ამასობაში ანტიპატროსმა და ალექსანდრეს დედამ – ოლიმპიასმა ათენელებს მოსთხოვეს საგანძურის მიმტაცებლის გაცემა. დემოსთენესის წინადადებით ჰარპალოსი დააკავეს, ხოლო მის მიერ შემოტანილი ფული აკროპოლისზე შეინახეს იმ განზრახვით, რომ შემდგომ იგი ალექსანდრესთვის დაებრუნებინათ. ჰარპალოსმა მოახერხა კრეტაზე გაქცევა, სადაც იგი მალე სიცოცხლეს გამოასალმეს.

როდესაც ჰარპალოსის ფული აღნუსხეს, აღმოჩნდა, რომ მისგან დარჩენილიყო მხოლოდ 350 ტალანტონი. დანარჩენი ფული გაქრა. დემოსთენესმა ბრძანა ამ საქმის მკაცრი ძიება, თავად კი თავს დებდა, რომ უბრალო იყო ამ საქმეში. მოეწყო მასიური ჩხრეკები, მაგრამ ფული არსად აღმოჩნდა.

მაკედონური პარტიის წარმომადგენლებმა დემოსთენესი და სხვა პირები დაადანაშაულეს ფულის მიტაცებაში, ქრთამის აღებასა და ჰარპალოსის გაქცევის მონაწილობაში. მოწინააღმდეგეთა ძალისხმევით სასამართლომ დემოსთენესი დამნაშავედ სცნო და 50 ტალანტონით დააჯარიმა. რადგანაც ორატორმა ვერ შეძლო ამ უზარმაზარი თანხის გადახდა, საპყრობილეში ჩასვეს. მალე მეგობრებმა ხელი შეუწყვეს მას, გაქცეულიყო და თავშესაფარი ეპოვა ათენის მახლობლად მდებარე კუნძულ ეგინაზე, საიდანაც მის წინ მშობლიური მიწის ხედი იშლებოდა.

მოქიშპეთა წინააღმდეგ გამუდმებული ბრძოლით დათრგუნული დემოსთენესი მწვავედ განიცდიდა ამ გაძევებას; მისი ჯანმრთელობა შეირყა. იგი მწუხარებით უზიარებდა მეგობრებს თავის აზრებს განაჩენის უმართებულობაზე. მაგრამ დიდებული ორატორის ეს გაძევება ხანმოკლე აღმოჩნდა: მოულოდნელად მოვიდა ცნობა, რომ ბაბილონში გარდაიცვალა ალექსანდრე (ძვ.წ. 323 წლის ივნისი). ეს ამბავი მთელ საბერძნეთში გამანთავისუფლებელი მოძრაობის მაუწყებელ ნიშნად იქცა. ამბოხებამ იფეთქა მცირეაზიელ ბერძენთა შორისაც. ამ ტალღამ აიყოლია მაკედონელთა მომხრე მდიდრებიც კი. ათენში მგზნებარე სიტყვებით გამოდიოდნენ ორატორები, რომლებიც თანამოქალაქეებს უქადაგებდნენ მაკედონური უღლის დამხობას. ათენიდან პელოპონესოსში წარგზავნეს ელჩები, რათა პელოპონესური სახელმწიფოებიც ჩაებათ გამანთავისუფლებელ ბრძოლაში.

ათენის სახალხო კრებამ დადგენილება მიიღო დიდი ორატორის გაძევებიდან დაბრუნების თაობაზე. კუნძულ ეგინაზე მას გაუგზავნეს ხომალდი. როდესაც დემოსთენესი მშობლიურ მიწას მიუახლოვდა, ათენის ნავსადგომ პირეოსში მას, ვითარცა ჭეშმარიტ გმირს, საერთო-სახალხო ზეიმი მოუწყვეს.

დემოსთენესი დაუხანებლივ ჩაუდგა სათავეში მაკედონელთა წინააღმდეგ აღძრულ ამბოხებას. დაიწყო ომი, რომელიც თავდაპირველად ათენელთა წარმატებით მიმდინარეობდა. ათენელი მხედართმთავარი ლეოსთენესი, რომელიც ადრე სპარსეთის მიერ დაქირავებულ ბერძენთა ჯარს ედგა სათავეში და რომელიც ალექ-



სანდრემ გაათავისუფლა, 8 ათასი მებრძოლით ანტიპატროსის წინააღმდეგ დაიძრა თესალიისკენ. ათენელებს გზად შემოუერთდნენ ეტოლიელები და თესალიელები. მოკავშირეებმა დაამარცხეს ანტიპატროსი, რომელიც გადარჩენილ მეომრებთან ერთად ჩაიკეტა ლამიას ციხე-სიმაგრეში (თესალიაში). ლამიას ალების დროს ათენელებს დიდი უდებურება შეემთხვათ: ბრძოლის ველზე დაეცა ლეოსთენესი.

მისი გარდაცვალების შემდეგ ომი გაჭიანურდა და ათენელთათვის არახელსაყრელად წარიმართა. მოკავშირეთა ლაშქარი შედგებოდა სხვადასხვა ბერძნული სახელმწიფოების მოქალაქეებისა და დაქირავებული მებრძოლებისაგან, რომელთაც გასამრჯელოს ცუდად უხდიდნენ.

ალყაში მომწყვდეული ანტიპატროსის დასახმარებლად მოვიდა მხედართმთავარი ლეონატოსი თავის ლაშქართან ერთად. ათენელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მას და დაამარცხეს კიდეც. მაგრამ მაკედონიიდან კვლავ ისწრაფა დამხმარე ძალამ. ახლა უკვე მაკედონელები სჭარბობდნენ. ამას გარდა, ათენის ფლოტი ორგზის დამარცხდა, რამაც ათენელთა საზღვაო ძლიერებას ბოლო მოუღო.

მაკედონელებმა შეძლეს ათენელთა მოკავშირეებთან ზავის დადება. ათენელები მრისხანე მტრის პირისპირ მარტო ალმოჩნდნენ, მაგრამ მაინც გაიბრძოლეს უკანასკნელად.

ბრძოლა მოხდა ქალაქ კრანონთან (ძვ.წ. 322 წლის აგვისტო). ათენელები დამარცხდნენ, მაგრამ არც ისე მწარედ, როგორც ქერონეასთან. დაიდო ზავი, რომლის პირობებიც ერთობ მძიმე იყო: ათენის დემოკრატია დაემხო; მთელი პოლიტიკური უფლებები გადაეცა მხოლოდ მდიდრებს; დანარჩენ მოქალაქეებს შეეძლოთ დაეტოვებინათ სამშობლო და გადასულიყვნენ თრაკიაში; მაკედონურმა გარნიზონმა დაიკავა ათენის ნავსაყუდარი.

დემოსთენესსა და სხვა პატრიოტებს დაუსწრებლად მიუსაჯეს სიკვდილი. დემოსთენესმა მოახერხა კუნძულ კალამბრიაზე გაქცევა და იქ პოსეიდონის ტაძარს შეაფარა თავი.

გამოჩნდნენ მოღალატენიც, რომლებმაც საკუთარი ნებით დაიწყეს ლტოლვილთა ძებნა. მათ შორის განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ვინმე არქიასმა, ყოფილმა მსახიობმა, რომელსაც მეტსახელად „ლტოლვილებზე მონადირეც" კი შეარქვეს.

გაიგო რა, რომ დემოსთენესი იმყოფებოდა კალაბრიაზე პოსეიდონის ტაძარში, ვითარცა „მფარველობისთვის მლოცველი",[2] არქიასი დაქირავებულ მებრძოლებთან ერთად იქ მიიჭრა. იგი ვერაგულად მოუწოდებდა დემოსთენესს, გამგზავრებულიყო ანტიპატროსსთან, თან არწმუნებდა, რომ ეს მგზავრობა არ იქნებოდა სახიფათო. დემოსთენესმა მას ამ სიტყვებით მიმართა: „არქიას, როგორც ადრე არ მაღელვებდა შენი მსახიობური თამაში, ასევე ახლაც არა მჯერა შენი. მცირე ხნით

დამიცადე, რაღაცას მივწერ ახლობლებს...“ დემოსთენესი ტაძარში შევიდა, აიღო პაპირუსის ნაგლეჯი და ლერწმის კალამი, თითქოს საწერად ემზადებოდა. შემდეგ კალამი ბაგეებთან მიიტანა და მოკვნიტა; ასე იქცეოდა იგი, როდესაც ფიქრობდა და საწერად ემზადებოდა. ლერწმის კალამში მოთავსებული იყო ძლიერი საწამლავი, რომელიც დემოსთენესმა წამისუმალ შესვა. გადააბიჯა თუ არა ტაძრის ზღურბლს, იგი შექანდა და დაეცა სულამოხდილი. ეს მოხდა ძვ.წ. 322 წლის 12 ოქტომბერს.

ასე გამოესალმა სიცოცხლეს დემოსთენესი, რომელმაც არ ისურვა დალოდებოდა თავისი სამშობლოს იავარყოფას. მალე ათენელებმა ქალაქის მოედანზე მას ბრინჯაოს ქანდაკება აღუმართეს: ნაღვლიან ორატორს შეუპოვრად მოემუჭა ხელები. ქანდაკების კვარცხლბეკზე კი ასეთი სიტყვები იყო ამოტვიფრული: „დიდო დემოსთენეს, შენი გონების საკადრისი ძალაუფლებაც რომ მოგეპოვებინა, მაშინ ელადას ვერ სძლევდა მაკედონური არესი“.

შენიშვნები:

[1] უფრო დაწვრილებით იხ. ალექსანდრეს ბიოგრაფია.

[2] ძველად ტაძარი წმინდა ადგილად ითვლებოდა. ამიტომ ის, ვინც ტაძარში შეეიდოდა და ღვთაებას მფარველობას შესთხოვდა, ხელშეუხებლად ითვლებოდა. საკურთხეველთან ან ღვთაების ქანდაკებასთან მდგომს ვერავინ შეიპყრობდა. საბერძნეთის სახელგანთქმულ და პატივდებულ ტაძრებში თავშესაფარს პოულობდნენ დამნაშავენიც და გაქცეული მონებიც. მაგრამ შეფარებულის კვება არავის ევალებოდა. ამიტომ ხშირად ლტოლვილს შიმშილი აიძულებდა დაეტოვებინა წმინდა ადგილი. მაშინ კი შესაძლებელი იყო მისი შეპყრობა.

ალექსანდრე მაკედონელი

მაკედონიის მეფე, ძველი სამყაროს უდიდესი მთავარსარდალი

(ძვ.წ. 356-323 წწ.)

ოცდახუთი წლისაც არ იქნებოდა მაკედონიის მეფე ალექსანდრე, როდესაც ეგვიპტელმა ქურუმებმა მზის ღმერთის, ამონის ძედ აღიარეს. ეს მოეწონა მეფეს, რადგანაც მუდამ ლამობდა სარწმუნო გაეხადა ლეგენდა თავის ღვთაებრივ წარმომავლობაზე. მან შექმნა პირველი დიდი მსოფლიო იმპერია, დაიმორჩილა რა ბერძნული სახელმწიფოები: სპარსეთი, ეგვიპტე, ბაბილონი, შუა აზია და ინდოეთი. ეს იმპერია გადაშლილი იყო დუნაიდან ინდოსამდე, კავკასიიდან ეგვიპტემდე. ალექსანდრეს უფრო მეტი სურდა, მხოლოდ ნაადრევმა სიკვდილმა შეუშალა ხელი განეხორციელებინა „დიადი ოცნება". თავისი დაპყრობითი ომების ბოლოს (ბოლო თუ იყო ალექსანდრემ ეს არ იცოდა, რადგანაც მაშინ ოცდაათი წლის იქნებოდა), როდესაც არისტოტელეს მოწაფე მეფემ ინდოეთში ათი ბრძენი ასკეტი ტყვედ ჩაიგდო, ისურვა მათგან მოესმინა პასუხი ფილოსოფიურ შეკითხვებზე. ერთ-ერთი შეკითხვა ასეთი იყო: „ძალუძს თუ არა ადამიანს გალმერთება?" ბრძენმა მიუგო: „დიახ, თუ შეძლებს აღასრულოს ის, რისი აღსრულებაც ადამიანს არ შეუძლია". ძნელი წარმოსადგენია, რას ფიქრობდა იმხანად დიდი დამპყრობელი. შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყვეს, რომ მის გრანდიოზულ ოცნებებს აღსრულება არ ეწერათ.

ალექსანდრე ოცდაცამეტი წლის ასაკში გარდაიცვალა. დაიბადა კი ზუსტად იმ დღეს, როდესაც ავადსახსენებელმა ბერძენმა ჰეროსტრატოსმა, საკუთარი სახელის რაიმეთი-მაინც განთქმის მოსურნემ, მცირე აზიის ქალაქ ეფესოსში ცეცხლს მისცა ღმერთქალ არტემისის ტაძარი, რომელსაც მსოფლიოს ერთ-ერთ საოცრე-

ბად აღიარებდნენ. წინასწარმეტყველთა განმარტებით, ტაძრის დაწვა იმის მაუწყებელი იყო, რომ სწორედ ალექსანდრეს ეწერა ბედად აზიის ძლევამოსილი სახელმწიფოს, სპარსეთის განადგურება. ზუსტად იმავე დღეს მამამისმა, მაკედონიის მეფე ფილიპოს მეორემ, ეტლით სრბოლაში გაიმარჯვა ოლიმპიურ ასპარეზობებზე; სამეფო ჯარმა ბრძოლით აიღო ბერძნული ქალაქი პოტიდეა, ხოლო მისმა მთავარსარდალმა პარმენიონმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა ილირიელებთან ბრძოლისას. მისნებმა ასე ამცნეს ფილიპოსს: „სამი გამარჯვების დღეს შობილ შენს ძეს ქვეყნად ვერავინ დაამარცხებსო".

მაკედონელებმა, დაამყარეს რა თავიანთი მმართველობა საბერძნეთში, ამ დიდებული ქვეყნის ტრადიციებიც შეისისხლხორცეს. ბერძნული არისტოკრატული გვარის ჩამომავლები უბრალო ხალხისგან გამოსარჩევად და საკუთარი ძალაუფლების დასამკვიდრებლად ლამობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ისინი ღმერთებისა და გმირების მოდგმისა იყვნენ. მაკედონელმა მეფეებმაც, ბერძენთა მსგავსად, თავიანთი წარმომავლობა მითოსურ გმირებს დაუკავშირეს. სწორედ ამიტომ ალექსანდრე მაკედონელი მამის მხრიდან თავს ბერძენთა დიადი გმირის, ჰერაკლეს ჩამომავლად მიიჩნევდა, დედის მხრიდან კი – ეაკოსისა, რომელსაც თვლიდნენ ტროას ომის ერთ-ერთი მთავარი გმირის, აქილევსის წინაპრად.

ალექსანდრეს მამა, ფილიპოს მეორე, ისტორიაში შევიდა, როგორც მაკედონური მმართველობის საფუძველის დამდები საბერძნეთში, ხოლო დედა, ოლიმპიასი,[1] როგორც ამაყი და დემონური დედოფალი, რომლის ძალაუფლებისადმი დაუნდობელმა ლტოლვამ და შურისძიების მძაფრმა წადილმა მრავალი სიცოცხლე შეიწირა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოლიმპიასმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ალექსანდრეს ცხოვრებაში.

ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა მეფისწული უსამანო პატივმოყვარეობით, გამბედაობითა და საკუთარი თავისადმი რწმენით. თუმცა იგი, თავისი მამის მსგავსად, ყოველგვარ დიდებას როდი ესწრაფოდა. ფილიპოსი ერთნაირად ამაყობდა სამხედრო ღირსებებით, ბრწყინვალე ორატორული ნიჭითა და ოლიმპიურ ასპარეზობებზე თავისი ცხენების გამარჯვებებით. მისი ძე კი ქედმაღლობით გამოირჩეოდა: ერთხელ, როდესაც მეგობრებმა ჰკითხეს ალექსანდრეს, მიიღებდა თუ არა მონაწილეობას ოლიმპიურ ასპარეზობებში, ჭაბუკმა ასე უპასუხა: „სიამოვნებით, თუ მეფეებს შევებრძოლები!"

ყოველთვის, როდესაც მოვიდოდა ცნობა ფილიპოსის მეთაურობით მაკედონელთა გამარჯვების თაობაზე, ალექსანდრე ნაღვლიანად მიმართავდა თავის მეგობრებს: „მამაჩემი ყველა ქვეყანას დაიპყრობს და მე აღარაფერს დამიტოვებს, თქვენთან ერთად საგმირო და ბრწყინვალე საქმენი რომ აღვასრულო!"



ჯერ კიდევ ადრეულ წლებში გამოამჟღავნა ალექსანდრემ ხასიათის სიმედგრე. ერთხელ ფილიპოსს შესთავაზეს ეყიდა ცხენი, რომელიც თავით ისე მოჰგავდა ხარს, რომ სახელად ბუკეფალოსი[2] შეარქვეს. ფილიპოსი ცხენის სანახავად ალექსანდრესთან ერთად გაემგზავრა. ცხენი გაუხედნავი იყო, წამდაუწუმ ყალყზე დგებოდა, ჩლიქებს სცემდა და მხედარს ახლოსაც არ იკარებდა. ფილიპოსმა უარი თქვა ცხენის ყიდვაზე და ბრძანა, გაეყვანათ იგი. მაშინ ბრაზმორეულმა ალექსანდრემ მამასა და მის მახლობლად მდგომთ შესძახა: „სიმხდალისა და უმეცრების გამო თქვენ უარს ამბობთ დიდებულ ცხენზე!" ფილიპოსმა შვილს დუმილით უპასუხა. მაგრამ ალექსანდრე რომ აღარ გაჩუმდა, ასე მიმართა: „შენ ისე კიცხავ უფროსებს, თითქოს მათზე უკეთ შეგეძლოს ცხენის დაურვება!" „მე დავიმორჩილებ ამ ცხენს!" – ამაყად წამოიძახა უფლისწულმა. „რომ ვერ მოახერხო, რით დაგსაჯოთ მაგ თავხედობისთვის?" – ხუმრობით იკითხა მეფემ. „ვფიცავ ზეცას, ცხენის ფასს გადავიხდი!" – თქვა ალექსანდრემ და მედგრად გაემართა ცხენისკენ, აღვირში ჩაავლო ხელი და მზისკენ მიაბრუნა, რადგან შენიშნა, რომ იგი საკუთარ ჩრდილს უფრთხოდა. შემდეგ კარგა ხანი ხელით ეფერებოდა და მასთან ერთად მირბოდა, რათა ცხოველი შეჩვეოდა. ხოლო როდესაც შეამჩნია, რომ ცხენი დაიღალა და მძიმედ სუნთქავდა, მოიხსნა მოსასხამი და მორბენალს ზურგზე მოექცა. გამძვინვარებული ცხენი წინ გაიჭრა, თან მხედრის ჩამოგდებას ლამობდა. მაგრად ეკავა რა სადავეები, ალექსანდრემ ცხენი ნებას მიუშვა და მის მოქანცვას დაელოდა. როდესაც ცხენი შეეგუა თავის ტვირთს, ალექსანდრემ აიძულა იგი სადავეებსაც დამორჩილებოდა. ასე მოთვინიერდა ბუკეფალოსი, რომელიც შემდგომ, ბრძოლათა ჟამს მაკედონელი დამპყრობლის ერთგულ მეგობრად გვევლინებოდა.

ფილიპოს
მაკედონელი

ფილიპოსი და მისი ამალა შიშითა და მდუმარებით ადევნებდნენ თვალს კაცის და ცხენის ამ ორთაბრძოლას; როდესაც ალექსანდრემ მოაბრუნა ბუკეფალოსი და სიამაყით გაბრწყინებული მამას მიუახლოვდა, ყველამ შეჰყჭირა აღფრთოვანებით, ფილიპოსს ცრემლებიც კი გადმოსცვივდა სიხარულისგან. მან თავისი ძე გულში ჩაიკრა, ეამბორა და ასე მიმართა: „შენი შესაფერისი საბრძანებელი უნდა ეძიო, შვილო, შენ ვერ დაგიტევს მაკედონია!"

ფილიპოსი ცდილობდა, დარწმუნებით უფრო ემოქმედა შვილზე, ვიდრე ბრძანებითა და მუქარით, რადგანაც შენიშნა, რომ ალექსანდრე ძალდატანებას ქედუხრელად ხვდებოდა, კეთილ რჩევას კი იოლად ნებდებოდა.

მაკედონელმა მეფემ თავისი ძის განათლება ადგილობრივ მოძღვრებს კი არ მიანდო, არამედ საბერძნეთიდან მოიწვია იმ დროისათვის უდიდესი სწავლული არისტოტელე.[3] იგი თავის მოწაფეს ამეცადინებდა პატარა ქალაქ მიეძას ბორობან ხეივნებში სეირნობისას. ამ დიდად განათლებულმა კაცმა შეძლო ალექსანდრეში გაელვივებინა არა მხოლოდ პოლიტიკური და სამხედრო საქმეებისადმი, არამედ მედიცინისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისადმი ინტერესიც. შემდგომში მეფე ყოველთვის ყურადღებით ეპყრობოდა სნეულ ახლობლებს, წამლობდა მათ და სათანადო საკვებსაც კი ურჩევდა.

ალექსანდრემ ბავშვობიდანვე შეიყვარა ლიტერატურა და ურთულეს ლაშქრობათა ჟამსაც კი პოულობდა დროს საყვარელი წიგნის წასაკითხად. ჰომეროსის პოემა „ილიადა" მუდამ თან ჰქონდა მაკედონელ დამპყრობელს. მას თავად არისტოტელემ შეუდგინა „ილიადას" ნუსხა, რომელსაც მდიდრულ კოთხოში ინახავდა სასთუმალთან. ალექსანდრე თვლიდა, რომ ომების წარმოებისთვის უკეთესი სახელმძღვანელო არსად ეგულებოდა. ჭაბუკი მეფისწული ხარბად ითვისებდა ბრძენი მოძღვრის ყოველ სიტყვას. მოგვიანებით იგი იტყვის: „მამაჩემის მადლიერი ვარ იმით, რომ ვცოცხლობ, არისტოტელესი კი იმით, რომ ღირსეულად ვცოცხლობ".

არისტოტელეს გარდა ალექსანდრეს ჰყავდა ალმზრდელები მაკედონელთა არისტოკრატიული წრიდანაც. ისინი ცდილობდნენ გამოეწრთოთ ბავშვი, მიეჩვიათ იგი ზომიერებას. ალექსანდრე მოგვიანებით იგონებდა, თუ როგორ მოდიოდა მასთან საწოლ ოთახში ალმზრდელი ლეონიდასი, როგორ ათვალიერებდა მის საძინებელს, რათა წაელო ის ტკბილეული, რომლითაც დედა ანებივრებდახოლმე საყვარელ შვილს.

მოძღვრები ამაოდ არ დამშვრალან. მეფისწული თავის ასაკთან შედარებით ბევრად უფრო განათლებული და განვითარებული იყო. ერთხელ, მამის არყოფნის დროს ალექსანდრემ მიიღო სპარსეთიდან ჩამოსული ელჩები. სპარსელები გაოცებულნი იყვნენ ჭაბუკის გონების მოქნილობითა და ფართო განათლებით. ისინი იმასაც ამტკიცებდნენ, რომ ფილიპოსი, თავისი ბრწყინვალე თვისებებით, ბევრად ჩამოუვარდებოდა შვილს, რომელიც უბადლო ნიჭიერებით გამოირჩეოდა.



არისტოტელე

ჯერ კიდევ ჭაბუკმა ალექსანდრემ თავი გამოიჩინა როგორც შეუდრეკელმა მებრძოლმა და გონიერმა მმართველმა. თექვსმეტი წლის იყო იგი, როდესაც სალაშქროდ მიმავალმა ფილიპოსმა მთელი მაკედონიის განმგებლობა მიანდო. ვაჟიშვილმა გაამართლა მამის იმედები: მან ჩაახშო თრაკიელთა ამბოხებები და დამორჩილებულ ქვეყანაში და-



აარსა რამდენიმე ქალაქი, რომელთაც ალექსანდროპოლისები (ალექსანდრეს ქალაქები) უწოდა.

ქერონეასთან ბრძოლის ჟამს (ძვ.წ. 338 წ.), როდესაც ფილიპოსმა ბერძენთა გაერთიანებული ძალები გაანადგურა და საბერძნეთის სახელმწიფოთა დამოუკიდებლობა დაასამარა, ალექსანდრე მაკედონიის არმიის მარცხენა ფრთას მეთაურობდა.

მეფე ხარობდა ვაჟიშვილის წარმატებებით და სულს არ იშურებდა მისთვის. მაგრამ მალე ფილიპოსსა და ალექსანდრეს შორის ურთიერთობა დაიძაბა. ფილიპოსი გაეყარა ალექსანდრეს დედას – ოლიმპიასს და დაქორწინდა მაკედონელთა წარჩინებული გვარის ჩამომავალ კლეოპატრაზე.

პატივმოყვარე ალექსანდრე, რომელიც თავს ტახტის ერთადერთ კანონიერ მემკვიდრედ თვლიდა, მძვინვარებამ მოიცვა: ფილიპოსს შეეძლო მეორე ქორწინებისას შეძენილი ვაჟიშვილისთვის ისე ებოძებინა სამეფო ძალაუფლება, რომ ანგარიში არ გაეწია უფროსი ძისთვის. ეს აზრი ალექსანდრეს დედამ, ოლიმპიასმა შთააგონა.

მამასა და შვილს შორის ისე გამწვავდა ურთიერთობა, რომ ალექსანდრე იძულებული გახდა დედასთან ერთად გასცლოდა მაკედონიას. ამ გამგზავრებამ მაკედონიის სამეფო კარის ზნეზე მრავალი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ამიტომ ფილიპოსი უფრთხილდებოდა რა თავის კეთილ სახელს, შუამავალთა მეშვეობით ცდილობდა დაერწმუნებინა ალექსანდრე, არ გამოემჟღავნებინა მამისადმი აშკარა მტრობა და შინ დაბრუნებულიყო. ალექსანდრე დაბრუნდა მაკედონიაში, მაგრამ ურთიერთობა მამასა და შვილს შორის კიდევ უფრო დაიძაბა.

იმხანად ალექსანდრე ფარულ მოლაპარაკებას აწარმოებდა სპარსელებთან და მამისგან დაუკითხავად სპარსეთის მეფისნაცვლის ქალიშვილზე დასაქორწინებლად ემზადებოდა. როდესაც ეს ფილიპოსმა გაიგო, მაკედონიიდან გააძევა ალექსანდრეს მომხრეებიცა და ამ მოლაპარაკების თანამონაწილეებიც.

არავინ იცის, რა ზომებს მიიღებდა ფილიპოსი თვით ალექსანდრეს წინააღმდეგ, იმ დროისათვის რომ არ მოეკლათ. მკვლელი, წარჩინებული მაკედონელი, მეფის მცველებმა ადგილზევე განგმირეს.

ამ დანაშაულის მიზეზები აუხსნელი დარჩა. მაშინ ამ სიბნელით მოცულ საქმეზე დიდი მიეთ-მოეთი ატყდა. ერთნი ვარაუდობდნენ, რომ მკვლელი მოსყიდული იყო სპარსეთის მეფის მიერ, რამეთუ მას შეატყობინეს ფილიპოსის განზრახვა მაკედონელთა და ბერძენთა აზიაში ლაშქრობის თაობაზე. მეორენი ფიქრობდნენ, რომ მკვლელმა შური იძია ფილიპოსზე რალაც პირად შეურაცხყოფათა გამო. მაგრამ მრავალნი თავდასხმის მომწყობებად იდუმალ ასახელებდნენ ალექსანდრესა და მის დედას, რადგანაც მათ მხოლოდ ამ გზით შეეძლოთ დაებრუნებინათ უწინ-



დელი ძალაუფლება სახელმწიფოში. მართალია, ალექსანდრემ დაუხანებლივ დასაჯა ყოველი, ვისზეც კი ეჭვი მიიტანეს ფილიპოსის წინააღმდეგ შეთქმულებაში, მაგრამ მაინც ზოგიერთები თვლიდნენ, რომ ეს მეფისწულმა განზრახ მოიმოქმედა სწორედ იმ მიზნით, რომ ჩაეჩუმებინა ისინი, ვინც კი რაიმე იცოდა ამ საქმეში მისი მონაწილეობის თაობაზე. ყოველი შემთხვევისათვის, ფილიპოსის გარდაცვალებისთანავე მოკლეს მისი შვილიც მეორე ქორწინებიდან, ხოლო საპყრობილეში ჩაგდებულმა კლეოპატრამ თავი ჩამოიხრჩო. ასე რომ, ალექსანდრე ფილიპოსის ერთადერთ კანონიერ მემკვიდრედ რჩებოდა.

ტახტზე ასვლისას მეფე მხოლოდ ოცი წლის იყო. მაკედონიის ძლიერებას ყოველი მხრიდან ემუქრებოდა საფრთხე. დაიწყო თრაკიის ველურ ტომთა ამბოხებები. სამხრეთით ფილიპოსის მიერ დამონებული საბერძნეთი ემზადებოდა თავისუფლების დასაბრუნებლად. ალექსანდრე მაკედონიის ლაშქართან ერთად ჩრდილოეთისაკენ გაემართა. სულ რამდენიმე ბრძოლით მან იოლად ჩაახშო თრაკიელთა ამბოხებები და ისტროსის (დუნაის) სანაპიროზე გაანადგურა მათი მომხრე თავისუფალი ტომები.

ამის შემდეგ მეფე გაემართა მის წინააღმდეგ აღმდგარი საბერძნეთისკენ. მან უსწრაფესი სვლით მიაღწია თერმოპილეს – ჩრდილოეთიდან შუა საბერძნეთისკენ გამავალ ერთადერთ გასასვლელს. დაასწრო ბერძნებს და თავდაცვისათვის ესოდენ მნიშვნელოვან ადგილას მოხერხებულად დაბანაკდა. შემდეგ შეიჭრა შუა საბერძნეთში და ალყა შემოარტყა ქალაქ თებეს, რომელიც ათენთან ერთად სათავეში ედგა მაკედონელთა წინააღმდეგ ამბოხებულ ბერძნულ სახელმწიფოებს. მიუხედავად თებელთა თავგანწირული ბრძოლისა, ალექსანდრემ ქალაქი აიღო და ერთიანად დაარბია; მის წინააღმდეგ შემართული მოქალაქენი მონებად გაყიდა. ხელი არ ახლო მხოლოდ ქურუმებს, მაკედონელთა ახლობლებსა და სახელოვანი პოეტის, პინდაროსის შთამომავლებს. ამ შემზარავი მოქმედებით ალექსანდრეს სურდა სხვა ბერძნულ სახელმწიფოთა დაშინება. გადმოგვცემენ, რომ დაიხოცა დაახლოებით ექვსი ათასი თებელი, სამი ათასმა კი მონობის მწარე ხვედრი იწვნია.

ამ საშინელებით შეძრული ბერძნები დაცხრნენ. სპარსეთში სალაშქროდ გამზადებულ ალექსანდრეს ეშინოდა, რომ მის არყოფნაში ბერძნები ისევ აღსდგებოდნენ მაკედონელთა წინააღმდეგ. ამან აიძულა მეფე მძვინვარე სიმკაცრე ყოვლად შემწყნარებლური კეთილგანწყობით შეეცვალა. იგი თავაზიანად ილებდა მის კარზე მისულ სახელმწიფო მოღვაწეებსა და სწავლულებს, ყოველნაირად ლამობდა მათ მიმხრობას. მან მოწყალება გამოიჩინა ათენისადმიც კი, რომელიც ამ ამბოხებას წინამძღოლობდა.



ალექსანდრე გაემართა ქალაქ კრანიოში (კორინთოს მახლობლად), რათა მოენახულებინა იქ მცხოვრები ფილოსოფოსი დიოგენესი, რომელიც ქადაგებდა, რომ ადამიანები მხოლოდ მაშინ იქნებიან ბედნიერნი და თავისუფალნი, როდესაც შეძლებენ პირად მოთხოვნილებათა დაოკებას. ეს მათ საშუალებას მისცემს, არ იყვნენ დამოკიდებულნი საზოგადოებასა და სახელმწიფოზე. დიოგენესი პირადი მაგალითით ცდილობდა თავისი მოძღვრების გამართლებას: მან უარი თქვა თავის სიმდიდრეზე, საკუთარ ჭერზე; სადგომი დაიდო დიდ თიხის კასრში, რომელიც იდგა ქალაქ კრანიოს ბაზრის მოედანზე; მას ეცვა დაძონძილი სამოსი, გაცვეთილი სანდლები; იკვებებოდა იმ ნარჩენებით, რომლებსაც იქვე, მოედანზე პოულობდა. დიოგენესის მოძღვრებასა და ცხოვრების წესზე ხმა მთელ საბერძნეთს მოსდებოდა. ზოგიერთი მას ბრძნად მიიჩნევდა, ზოგი კი, მისი საქციელით აღშფოთებული, ცხოვრების ამ წესს „ძაღლურს"[4] უწოდებდა.

როდესაც ალექსანდრე კრანიოში ჩავიდა, დიოგენესი, ჩვეულებისამებრ, თავისი კასრის წინ მტვერში იწვა შუა მოედანზე და მზეზე თბებოდა. ხმაურზე ფილოსოფოსმა თავი მიაბრუნა, თვალი შეავლო მოახლოებულ ალექსანდრეს, მის მრავალრიცხოვან ამალას და კვლავ განაგრძო მზეზე ნებივრობა. ალექსანდრე მიესალმა დიოგენესს და ჰკითხა, ხომ არ ისურვებდა რაიმეს: ნებისმიერი მისი სურვილი დაუყოვნებლივ აღსრულდებოდა.

„მე მხოლოდ ერთი სურვილი მაქვს, – მიუგო ბრძენმა, – რომ განზე გადგე და მზე არ დამიჩრდილო". ამ სიტყვებით დიოგენესმა ზურგი შეაქცია ალექსანდრეს და მზეს მეორე გვერდი მიაფიცხა. მეფე უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. ალექსანდრემ ამ ღარიბ კაცს ყველა სურვილის აღსრულება აღუთქვა, ხოლო მან კი, მადლობის ნაცვლად ძლევამოსილ მბრძანებელს სთხოვა, გაცლოდა იქაურობას, რამეთუ მზე არ დაეჩრდილა მისთვის! ალექსანდრეს ამალამ აღშფოთება ხმამაღალი შეძახილებითა და ფილოსოფოსისადმი დამცინავი სიტყვებით გამოხატა. მაგრამ მეფემ ამ უხერხულ მდგომარეობას დიდებულად დააღწია თავი. ნაცვლად იმისა, რომ დაესაჯა თავხედი ბრძენი, რითაც მას წამებულის დიდებას მოუხვეჭდა, ალექსანდრემ გაიღიმა და თქვა: „ალექსანდრე რომ არ ვიყო, დიოგენესად ყოფნას ვინატრებდიო!"



ალექსანდრე და დიოგენესი

ალექსანდრემ, დაიმედებულმა, რომ ბერძნები მაკედონელთა ბატონობას შეეგუენ, შეკრიბა ბერძნულ სახელმწიფოთა წარმომადგენლები და სპარსელთა წინააღმდეგ გალაშქრება შესთავაზა. მეფემ სცადა, დაერწმუნებინა ისინი, რომ ეს ომი საერთო ბერძნული საქმე იყო, შურისძიება იყო ელინთა იმ სიწმინდეების წაბილწვისათვის, რაც ძვ.წ. 480 წელს სპარსელთა ბერძნებზე გამარჯვებას მოჰყვა. ბერძნულ სახელმწიფოთა წარმომადგენლები იძულებულნი იყვნენ, მიეღოთ მეფის ეს წინადადება.

ლაშქრობის წინ ალექსანდრე დელფოს სამისნოს ეწვია, რათა აპოლონის ქურუმისაგან მოესმინა წინასწარ თქმული სიტყვა ომის დასასრულზე. მეფე იმ დღეს ჩავიდა დელფოში, როდესაც, კანონის თანახმად, პითია (აპოლონის ქურუმი ქალი) არ მისნობდა. მიუხედავად ამისა, ალექსანდრემ ბრძანა მისი ტაძრად მოყვანა, ხოლო როდესაც პითია არ დამორჩილდა, თავად გაემართა მისკენ. მეფის ხილვისას ქურუმს აღმოხდა: „დაუმარცხებელი ხარ, შვილო ჩემო!" „სწორედ ამის მოსმენა მსურდა!" – წამოიძახა ალექსანდრემ და დელფო დატოვა.

ჯერ კიდევ ფილიპოსის სიცოცხლეში დაწყებული მზადება ლაშქრობისათვის დასასრულს უახლოვდებოდა. არმია, რომელსაც ალექსანდრე წვრთნიდა სპარსელთა წინააღმდეგ საბრძოლველად, შედგებოდა ოცდაათი ათასი ქვეითი მეომრისა და ხუთი ათასი მხედრისაგან. იგი თავისი სამხედრო ღირსებებით დიდად აღემატებოდა იმ ლაშქარს, რომელსაც სპარსელები დაუპირისპირებდნენ მაკედონელებს.

ყველაზე ცუდად ფულის საქმე ჰქონდა ალექსანდრეს. ომის დასაწყისისთვის მისი სურსათის მარაგი მხოლოდ ერთ თვეს თუ გასტანდა, ხაზინაში კი სულ 70 ტალანტონი რჩებოდა. ალექსანდრესთვის აუცილებელი იყო გადამწყვეტი გამარჯვებების მოპოვება პირველივე ბრძოლებში, რათა მიტაცებული ტერიტორიების მკვიდრთა ხარჯით დაეფინანსებინა შემდგომი ლაშქრობები. ყოველი წარუმატებლობა დაღუპვას უქადდა მაკედონიის არმიას, რომელსაც არ გააჩნდა საარსებო სახსრები. ალექსანდრეს კარგად ესმოდა ჩაფიქრებული ლაშქრობის მთელი სიმწვავე: ომს მაკედონიისათვის ან სრული გამარჯვება უნდა მოეტანა, ან დაღუპვა. ამიტომაც წინა დღეებში მან მთელი თავისი ქონება მეგობრებსა და ახლობლებს დაურიგა. ერთ-ერთმა მათგანმა, ასეთი გულუხვობით გაოცებულმა, ჰკითხა ალექსანდრეს: „კი მაგრამ, შენთვის რაღას იტოვებ, მეფეო?"

„იმედს", – ასეთი იყო მეფის პასუხი.

ალექსანდრე ვარაუდობდა, რომ იმ სიმდიდრესთან შედარებით, რასაც იგი მტერზე გამარჯვებით მოიხვეჭდა, მაკედონიის საგანძური არარაობად გამოჩნდებოდა, დამარცხებულს კი აღარაფერი დასჭირდებოდა.



ძვ.წ. 334 წლის გაზაფხულზე ალექსანდრემ თავისი არმია ჰელესპონტოსისაკენ წარმართა და სითავხედით გაუგონარი ომი დაიწყო. მაკედონელი დამპყრობელი აღსავსე იყო ბრძოლის წადილით და ხელიდან არ უშვებდა უმნიშვნელო წვრილმანსაც კი, რომელიც მას წაადგებოდა გასამარჯვებლად.

მცირე აზიის ჩრდილო და დასავლეთ სანაპიროებზე განლაგებული იყო ბერძენთა ქალაქები, რომელთა მრავალი მკვიდრი მსახურობდა სპარსეთის მეფის არმიაში. მომავალ ბრძოლებში მათი მხარდაჭერისათვის მნიშვნელოვანი იყო ბერძენთა პატრიოტული გრძნობების გამოღვიძება. ამის მისაღწევად საუკეთესო საშუალებად ჩანდა მაკედონელთა ლაშქრობის წარმოსახვა ევროპასა და აზიას შორის წარმოებული საუკუნეობრივი ბრძოლის გაგრძელებად. ალექსანდრემაც დაუხანებლივ მოიშველია ისტორიაც და მითოლოგიაც.

მცირე აზიის სანაპიროზე გადასული მეფე უპირველეს ყოვლისა მიემართება ტროას ნანგრევების მოსანახულებლად, აწყობს ბრწყინვალე ზეიმს ტროას გმირების პატივსადებად. განსაკუთრებით გამოარჩევს იგი აქილევსს, რომელიც მაკედონიის მეფეთა წინაპრად ითვლებოდა. ამ ზეიმების არსი ყოველისათვის იყო ნათელი: აქილევსის ჩამომავალი აგრძელებს წინაპრის საქმეს და სათავეში უდგება ბერძენთა ლაშქარს, რათა ოდესღაც ელინთა მიერ აზიელთა წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლა კვლავ გამარჯვებით დააგვირგვინოს. აზიელ-ტროელთა ნაცვლად ახლა სპარსელები წარმოსდგებიან.

ამასობაში სპარსელმა სატრაპებმა თავი მოუყარეს დიდძალ ლაშქარს და ხელსაყრელი პოზიცია დაიკავეს მდინარე გრანიკოსის ციცაბო ნაპირებთან, რომლებზეც მაკედონელები უნდა გადასულიყვნენ, რათა ქვეყნის შიგნით შეეღწიათ. სპარსელთა მიერ გამაგრებული მდინარის გადალახვა მეტად რთული და სახიფათო აღმოჩნდა.

ალექსანდრეს ყველა მხედართმთავარი წინააღმდეგი იყო თავდასხმისა. ისინი მიუთითებდნენ მდინარის სიღრმესა და მისი დინების სისწრაფეზე, სპარსელთა მიერ დაკავებული პოზიციის უპირატესობაზე, ურჩევდნენ ბრძოლის გადადებას და მოითხოვდნენ სხვა, ნაკლებად სახიფათო გზების ძიებას. „ამ თვეში – ეუბნებოდნენ ისინი ალექსანდრეს, – მაკედონელები არ იბრძვიან, ასეთია ჩვენი ადათი!“ მაშინ მეფემ ბრძანება გასცა, შეეცვალათ სახელი თვისთვის. კარგად იცოდა მან, რომ მცირეოდენი დაყოვნებაც კი მისი ხაზინისათვის დამღუპველი იქნებოდა. ამიტომ, ყველას რჩევისდა მიუხედავად, გადაწყვიტა შეეტია სპარსელებისთვის და რადაც არ უნდა დასჯდომოდა, გაერღვია მათ მიერ დაკავებული პოზიცია. ალექსანდრე სათავეში ჩაუდგა მაკედონელ არისტოკრატთა რჩეულ მხედრიონს და გრანიკოსის გადალახვას შეუდგა. ამ შეტევის მხილველები გვამცნობენ, რომ ალექსანდრეს ეს ნაბიჯი სრულ უგუნურებად ჩანდა. მრავალი მხედართმთავარი თვლიდა, რომ ალექსანდრეს თავისი ლაშ-

ქარი დასალუპად ჰყავდა განწირული: მას არ სურდა იმის დაჯერება, რომ მდინარის ნაპირი იყო ციცაბო და კბოდე, რომ ზღვის დინებას თან მიჰქონდა უამრავი კაცი და ცხენი, რომ მომაკვდინებელი ისრები სეტყვასავით ცვივოდა მათზე.

თავგანწირული და მძვინვარე შეტევა წარმატებით დაგვირგვინდა; მაკედონელთა მხედრიონის ნაწილმა მეფის წინამძღოლობით შეძლო ლამით მოლიპულ ნაპირამდე მიღწევა. სწრაფმა დინებამ მიმოფანტა მაკედონელთა მწყობრი რიგები, მტრის მიერ დაკავებულ სანაპიროზე მხედრები პატარ-პატარა ჯგუფებად, ზოგჯერ კი თითო-თითოდ გამოდიოდნენ. სარგებლობდა რა ამით, სპარსეთის ცხენოსანთა ჯარი თავს ესხმოდა მაკედონელებს და კვლავ წყლისკენ მიერეკებოდა უადრეს, ვიდრე ალექსანდრე შეძლებდა თავისი გაფანტული მხედრიონის შეგროვებას.

მდინარის ციცაბო ნაპირებთან უწესრიგო საკავალერიო ბრძოლა გაიმართა. მოწინააღმდეგეებმა პირველივე შეტევისას გადატეხეს შუბები და მახვილები იშიშვლეს. სპარსელები ცდილობდნენ მიეღწიათ მეფემდე, რომელიც გამოირჩეოდა თავისი აღსაჭურველითა და მუზარადზე მიმაგრებული თეთრი, დიდებული ჯიღით. სპარსელთაგან ვილაცამ მეფეს სტყორცნა ხელშუბი, რომელმაც გახვრიტა ჯავშანი, მაგრამ ვერა დააკლო რა სხეულს.

იმავე წამს ალექსანდრეს თავს დაესხა ორი სპარსელი მხედართმთავარი: რესაკოსი და სპითრიდატესი. მეფემ ზურგი აქცია სპითრიდატესსა და რესაკოსს სტყორცნა ოროლი. იგი გადატყდა ისე, რომ სპარსელისთვის ზიანი არ მიუყენებია. მეფემ მახვილი იშიშვლა და კვლავ რესაკოსისაკენ გაექანა. ამ დროს სპითრიდატესმაც მოაბრუნა ცხენი და უკნიდან მოუქნია ალექსანდრეს მახვილი, რომელმაც, მხოლოდ თეთრი ჯიღა მოკვეთა მის მუზარადს. სპარსელმა კვლავ მოიქნია მახვილი, რათა უფრო ზუსტად დაერტყა, მაგრამ იმავ წამს მას თავს დაესხა ალექსანდრეს ძუძუმტის ძმა კლიტოსი, მეტსახელად „შავი" და შუბით განგმირა სპითრიდატესი. იმავდროულად მეფის მახვილმა მიწას განართხო რესაკოსიც.

ვიდრე მაკედონელთა მხედრიონი თავგანწირული ბრძოლით ცდილობდა ნაპირზე გამაგრებას, გადმოსვლა იწყო ალექსანდრეს ქვეითმა ლაშქარმაც. როგორც კი მაკედონელთა მრავალრიცხოვანი ქვეითი ჯარი ბრძოლაში ჩაება, მოწინააღმდეგის ცხენოსნებმა პირი იბრუნეს და უკუიქცნენ. მხოლოდ სპარსელთა მიერ დაქირავებულმა ბერძენთა ჯარმა არ ისურვა უკან დახევა. ამიტომ მაკედონელებმა ბრძოლა დაიწყეს ამ მედგარ და კარგად გაწვრთნილ ქვეით ჯართან.

ალექსანდრე კვლავ თავის მხედრიონს ედგა სათავეში. ამჯერად მას მოუკლეს ცხენი, მაგრამ ეს არ იყო ბუკეფალოსი. როგორც იქნა, დაქირავებული ბერძნებიც დამარცხდნენ, მაკედონელები კი ბრძოლის ველზე დაბანაკდნენ.



გადმოგვცემენ, რომ ამ ბრძოლაში სპარსელებმა დაკარგეს ოცი ათასი ქვეითი და ორნახევარი ათასი მხედარი. ალექსანდრეს დანაკარგი კი თითქოს სულ ოცდათოთხმეტ ადამიანს შეადგენდა. მათ შორის ცხრა იყო მხოლოდ ქვეითი. მაგრამ ეს ციფრები არ არის სანდო, რამეთუ მაკედონელ დამპყრობელს, მრავალი მხედართმთავრის მსგავსად, საკუთარი დანაკარგის მცირედ, ხოლო მტრისა კი გადაჭარბებით წარმოდგენა სჩვეოდა.

გამარჯვებულებს წილად ერგოთ დიდი ნადავლი, რომლის ნაწილიც ალექსანდრემ გაუგზავნა ათენის მკვიდრთ, რადგანაც სურდა, მათი კეთილგანწყობის დამსახურება საბერძნეთში რომ დასაყრდენი ძალა ჰქონოდა.

გრანიკოსთან გამარჯვებამ მაკედონელ დამპყრობელს მცირე აზიაში შესაღწევი გზა გაუხსნა. ერთი მეორის მიყოლებით, წინააღმდეგობის გაუწევლად ნებდებოდნენ ალექსანდრეს მცირე აზიის ბერძნული ქალაქები. მაკედონელთა წინარე ქედის მოდრეკა არ ისურვეს მხოლოდ მილეტოსმა და ჰალიკარნასოსმა, მდიდარმა და ძლევამოსილმა ქალაქებმა, რომელთა მკვიდრნიც სპარსელთა ბატონობის პერიოდში განსაკუთრებული უპირატესობით სარგებლობდნენ. ეს ქალაქები მაკედონელებმა იერიშით აიღეს.

მალე მცირე აზიის სიღრმეში მდებარე მხარეც ალექსანდრეს ხელში აღმოჩნდა. გორდიონში, ფრიგიის ერთ-ერთ ქალაქში, მაკედონიის მეფემ იხილა ოთხთვალა, რომლის ხელნაზეც სხვა ნაწილები მიმაგრებული იყო რთული კვანძით. ეს კვანძი დრო-ჟამს კიდევ უფრო გაემყარებინა. არსებობდა გადმოცემა, რომ ის, ვინც ამ კვანძს გახსნიდა, ვინც ხელნასა და უღელს ერთმანეთისგან განაცალკევებდა, სამყაროს მბრძანებელი შეიქნებოდა. პატივმოყვარე და ამპარტავანმა ალექსანდრემ განიზრახა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, კვანძი გაეხსნა. მაგრამ ყოველგვარი ცდა ამაო იყო. ბოლოს ალექსანდრემ მახვილი იშიშვლა და კვანძი გააპო.[6] მეფესთან დაახლოებულმა პირმოთნეებმა ეს კეთილ უწყებად აღიარეს და ალექსანდრეს მთელი სამყაროს მბრძანებლობა უწინასწარმეტყველეს.

ამასობაში მოვიდა ამბავი, რომ სპარსეთის მეფე დარიოს III უზარმაზარი არმიით დაიძრაო მაკედონელთა წინააღმდეგ. ალექსანდრემ მის შესახვედრად ისწრაფა. სირიისა და მცირე აზიის საზღვართან მაკედონიისა და სპარსეთის ჯარები ღამით უღელტეხილზე გადასვლისას ერთმანეთს ასცდნენ, რამეთუ სხვადასხვა გზას დასდგომოდნენ. მხოლოდ დილით აღმოაჩინეს მეფეებმა თავიანთი შეცდომა და კვლავ ერთმანეთისკენ იბრუნეს პირი. ალექსანდრე მოხარული იყო ამ შემთხვევითობისა: მისთვის არ იქნებოდა ხელსაყრელი, თუკი სპარსელთა სახელოვან ცხენოსნებს სირიის გაშლილ ველებზე შეებრძოლებოდა. ამიტომ ალექსანდრემ

სასწრაფოდ გადაისროლა თავისი არმია ჩრდილოეთით, რათა სპარსელებისათვის მთის ვიწრობებიდან გამოსვლის საშუალება არ მიეცა.

ორივე ლაშქარი ერთმანეთის პირისპირ დადგა სირიის ქალაქ ისოსის მახლობლად. აქ მთები ზედ ზღვის ნაპირთან არიან აღმართულნი, შუაში მოქცეულია ვიწრო ვაკე, რომელზეც მდინარე პინაროსი მიედინება. მიუხედავად იმისა, რომ სპარსეთის არმია ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი იყო, დარიოსმა ვერ შეძლო ამ უპირატესობის გამოყენება. ალექსანდრემ, ჩვეულებისამებრ, პირველ რიგებში რომ იბრძოდა, უკუაქცია მეფის დამცველთა რაზმი, რომელიც ურჩეულესი მებრძოლებისგან შედგებოდა.

დარიოსმა ვერ გაუძლო მაკედონელთა მოიერიშე მხედრიონის ხილვასა და ბრძოლის ველი მიატოვა. მეფის გაქცევის ამბავი სპარსელთა უკუქცევის ნიშნად იქცა. სპარსეთის არმია სასტიკად დამარცხდა. გამარჯვებულთა ხელში აღმოჩნდა სპარსელების მთელი აღალი და ამ აღალის ყველა თანმხლები. აგრეთვე სპარსეთის მეფის მდიდრული ეტლი, მისი კარავი, აღსაჭურველი, ძვირფასი ჭურჭელი და ფული. ტყვეთა შორის იყვნენ დარიოსის დედა, მეუღლე და ორი ქალიშვილი.

უზარმაზარმა ნადავლმა საშუალება მისცა გამარჯვებულ ალექსანდრეს გულუხვად დაესაჩუქრებინა ლაშქარი და დიდი განძი გაეგზავნა სამშობლოში ახლობლებისა და მეგობრებისთვის. თავის აღმზრდელ ლეონიდასს კი გაუგზავნა კეთილსურნელებანი, რომელთა ღირებულებაც 600 ტალანტონს შეადგენდა. ეს იყო იმ ფიცის აღსრულება, რომელიც ალექსანდრემ, ჯერ კიდევ ჭაბუკმა, საკუთარ თავს აღუთქვა: ერთხელ, მსხვერპლშეწირვისას მან ორივე ხელით მობოჭა გუნდრუკი და ცეცხლში ჩაყარა. ლეონიდასმა, რომელმაც ვერ მოასწრო ყმაწვილის შეკავება, წარბები შეკრა და დატუქსა თავისი აღსაზრდელი: „არ გმართებს იმის განიავება, რაც თავად არ მოგიპოვებია. აი, როდესაც კეთილსურნელოვანი ხეებით მდიდარ ქვეყანას დაეპატრონები, მაშინ ყარე ცეცხლში გულუხვად საკმეველი". ლეონიდასისადმი გაგზავნილი ამ ძღვენით პატივმოყვარე ალექსანდრეს სურდა შეეხსენებინა მისთვის ეს ნათქვამი და თავი მოეწონებინა თავისი წარმატებებით. ძღვენს ალექსანდრემ თან ეს სიტყვებიც მიაყოლა: „მოძღვარო, სამყოფად გიგზავნი გუნდრუკსაც და სხვა საკმეველსაც, რათა ღმერთების წინაშე აღარ იძუნწო!"

დარიოსის ძვირფასეულობებს რომ ინაწილებდნენ, ალექსანდრეს მიართვეს ერთი საუცხოო ყუთი. მეფემ მეგობრებს ჰკითხა: მათი აზრით, რა შეიძლებოდა ყოფილიყო ამ ყუთში ჩადების ღირსი. მათგან სხვადასხვა პასუხი მოისმინა და ბოლოს თავად დასძინა, რომ შიგ მოათავსებდა ჰომეროსის „ილიადას", თავის საყვარელ წიგნს.



ისოსთან სპარსელთა დამარცხების შემდეგ ალექსანდრემ დაიმორჩილა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპირზე მდებარე ქვეყნები: სირია, ფინიკია და პალესტინა. ზღვისპირა ქალაქთა დიდი ნაწილი მაკედონელებს უბრძოლველად დანებდა. კუნძულ კვიპროსის მეფენიც კი გამოცხადნენ ალექსანდრესთან თხოვნით, მიელო კვიპროსი და მფარველობა გაეწია მისთვის.

არ ნებდებოდა ფინიკიის მდიდარი ქალაქი ტიროსი, რომლის მცხოვრებლებსაც ხელთ ეპყრათ სპარსეთის სამეფოს საზღვაო ვაჭრობის სადავეები, რითაც ისინი დიდებულად სარგებლობდნენ. ქალაქის ნაწილი კუნძულზე იყო განლაგებული. ტიროსი ბატონობდა ზღვაზე და ამიტომ მისი მცხოვრებნი თვლიდნენ, რომ ალექსანდრე ვერ შეძლებდა მათ დამონებას.

ტიროსის ალყა ნახევარ წელზე მეტ ხანს გაგრძელდა (ძვ.წ. 332 წ.). ალექსანდრემ ბრძანა, ზღვაში ჩაეყარათ ქვიშა, რაც კუნძულზე განლაგებულ ქალაქთან მიახლოების საშუალებას მისცემდა. მაკედონელები განუწყვეტლივ უტევდნენ ქალაქს, მაგრამ მცხოვრებნი მედგრად ეწინააღმდეგებოდნენ. მხოლოდ უდიდესი მსხვერპლის წილ იქნა შესაძლებელი ქალაქის აღება. განრისხებულმა ალექსანდრემ ბრძანა ტყვედ ჩაგდებულ მოქალაქეთა ნაწილის მონებად გაყიდვა, ნაწილისა კი – ჯვარზე გაკვრა.

ალექსანდრე კინალამ შეეწირა ტიროსის ალყას, მხოლოდ საკუთარმა წარმოუდგენელმა სიმამაცემ იხსნა იგი: სირიელი არაბები ხშირად ესხმოდნენ თავს მაკედონელებს. მათი თავიდან მოცილების მიზნით ალექსანდრემ მთების დალაშქვრა განიზრახა. მთებში დაკარგა თავისი ლაშქარი და იძულებული შეიქნა მცირე რაზმთან ერთად გაეთია ღამე. მიუხედავად იმისა, რომ მათ ცეცხლის გაჩაღების საშუალებაც არ ჰქონდათ, მთებში კი საკმაოდ ცივდა, ალექსანდრემ დააყენა გუშაგები, თავად კი მშვიდ ძილს მიეცა. შუალამისას შეშინებულმა გუშაგმა გააღვიძა მეფე და დაანახა ყოველი მხრიდან აღმართული ჩირაღდნები. ცხადი იყო, რომ მათ გარშემო არაბები იმყოფებოდნენ. საკმარისი იყო, არაბებს აღმოეჩინათ მაკედონელები, რომ ალექსანდრეს ლაშქრობა დასაღუპად განიწირებოდა.

გაიცნობიერა რა საფრთხე, მეფემ მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო: იგი მიიჭრა უახლოეს კოცონთან, მოკლა ცეცხლს მიფიცხებული ორი არაბი, ხელი დაავლო მუგუზალს და კვლავ თავის რაზმთან მობრუნდა. ამ მუგუზალით ალექსანდრეს თანამგზავრებმა მტრის ბანაკის ირგვლივ მრავალი კოცონი დაანთეს, ისეთი შთაბეჭდილება შექმნეს, თითქოს მაკედონელებმა, ისარგებლეს რა სიბნელით, მათ ალყა შემოარტყეს. არაბები დაფრთხნენ და გაიქცნენ ისე, რომ არც კი დაუცადეს გათენებას. ალექსანდრე და მისი თანამგზავრები გადარჩნენ.

ტიროსის აღების შემდეგ ალექსანდრე სამხრეთით, ეგვიპტისაკენ დაიძრა. ეგვიპტის მოსახლეობა დიდი ხანია გმინავდა სპარსთა უღელქვეშ და ხშირად ამბოხებებსაც აწყობდა. ეგვიპტელები სიხარულით შეხვდნენ მაკედონელებს, რადგანაც ფიქრობდნენ, რომ მათი შემწეობით თავს დაიხსნიდნენ მძიმე უღლისგან. აღო თუ არა ეგვიპტე (ძვ.წ. 332 წ.), ალექსანდრემ ხალხის კეთილგანწყობის დამსახურება განიზრახა, დააინტერესა ისინი ვაჭრობით, რაც მათ ახლად შექმნილი უზარმაზარი სახელმწიფოს სამფლობელოში შესვლის უფლებას მისცემდა. ეგვიპტის საერთაშორისო ვაჭრობაში ჩასაბმელად მეფემ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე ახალი ნავსადგომის დაარსება განიზრახა.

გადმოგვცემენ, თითქოს ალექსანდრეს ძილში გამოეცხადა თავად ჰომეროსი და უჩვენა ადგილი, სადაც ქალაქი უნდა გაეშენებინა. მეფე იმავე დილას გაემართა სიზმრად ხილული ადგილისაკენ, მოეწონა და აღფრთოვანებულმა წამოიძახა: „ჭეშმარიტად, ჰომეროსი დიდებული პოეტი კი არ არის მხოლოდ, იგი დიდებული ხუროთმოძღვარიც გახლავთ!" მან იქვე ისურვა ქალაქის სავარაუდო გეგმის დახატვაც. ცარცი რომ ვერ აღმოაჩინეს, მიწაზე ფქვილით შემოხაზეს მომავალი ქუჩები. მოულოდნელად მოფრინდნენ ჩიტები და მთელი ფქვილი აკენკეს. ცუდად ენიშნა მეფეს ფრთოსანთა მოვლინება, მაგრამ წინასწარმეტყველებმა დააწყნარეს ასეთი სიტყვით: „შენი ქალაქი დიდების სახელს მოიხვეჭს და ასაზრდოებს მრავალ ქვეყანას!" მისანთმისნობა გამართლდება. სულ მალე ახლად დაარსებული ქალაქი აღმავლობის გზას დაადგება და ეგვიპტის სავაჭრო, სამეცნიერო თუ კულტურულ ცენტრად იქცევა. იქ აღმართავენ მსოფლიოს საოცრებათა შვიდეულიდან ერთ-ერთს: ალექსანდრიის შუქურას. მაგრამ ეს მოხდება მოგვიანებით.

მისანთაგან გამხნევებულმა ალექსანდრემ თავდაპირველად ნილოსის ორ განშტოებას შორის მიწის ფართო ზოლი შეარჩია. იქვე, სანაპიროსთან მდებარეობდა კურძული ფაროსი, რომელიც მისი ბრძანებით ხმელეთს მიწაყრილით შეუერთეს. მიწაყრილიან კუნძულთან კეთდებოდა საკმაოდ ვრცელი ზღვის უბე, სადაც ერთდროულად მრავალ ხომალდს შეეძლო დგომა. არხები, რომლებიც ნავსადგომს სამხრეთით მდებარე დიდ მარიოტისის ტბასთან აერთებდნენ, უზრუნველყოფდნენ მეზღვაურებს ხომალდთა აგებისა და შეკეთებისთვის საჭირო დოკებით და ეგვიპტეში შესაღწევი ხელსაყრელი გზებით.

მეფემ თავად დახაზა ქალაქის სავარაუდო გეგმა, განსაზღვრა მთავარ ქუჩათა, ბაზართა და ტაძართა ადგილები და ბრძანა ახალშენისათვის ეწოდებინათ ალექსანდრია, რათა მისი სახელი არასოდეს დაევიწყებინათ ეგვიპტეში. იდგა ძვ.წ. 331 წელი.

ალექსანდრე მოსახლეობის კეთილგანწყობის დამსახურების მიზნით ყოველნაირად ცდილობდა გამოეხატა თავისი მოწიწება ეგვიპტელთა ადათისა და რელი-



გიისადმი. ალექსანდრიის დაარსებისთანავე იგი გაემართა ეგვიპტის დასავლეთით მდებარე ლიბიის უდაბნოსაკენ. აქ ნილოსის დაბლობიდან რამდენიმე ასეული კილომეტრის მოშორებით, უდაბნოს მხურვალე ქვიშით გარემოცული ოაზისი მდებარეობდა. ეს იყო ნაყოფიერი მიწის მადლით ამწვანებული პატარა ადგილი. ეგვიპტელებს მიაჩნდათ, რომ აქ დავანებული იყო მზის ღვთაება ამონი, რომელსაც ბერძნებიც სცემდნენ თაყვანს და ზევსთან აიგივებდნენ. ამ ოაზისში იყო ამონის ტაძარი, სადაც ქურუმები მომავალს წინასწარმეტყველებდნენ. ურწყულ უდაბნოში მრავალდღიანმა ლაშქრობამ კინალამ იმსხვერპლა ალექსანდრეს თანმხლები ჯარი. როდესაც, ბოლოს და ბოლოს, მეფემ ოაზისს მიაღწია და ტაძარს უძღვნა დიდებული საბოძვარი, ქურუმმა იგი ზევსი-ამონის ძედ აღიარა და მთელი სამყაროს გამგებლობა უწინასწარმეტყველა.

ამის შემდეგ ალექსანდრე თამამად საუბრობდა თავის ღვთაებრივ წარმომავლობაზე და არ უკვირდა, როდესაც ღმერთის ძედ იხსენიებდნენ. მეფეთა გალმერთება აღმოსავლეთში ჩვეულებრივი მოვლენა იყო: ეგვიპტის ფარაონები, ბაბილონისა და სპარსეთის მეფეები ღმერთებად მიიჩნეოდნენ მათი ტახტზე ასვლისთანავე. აღმოსავლეთის ხალხს იმის ქადაგება, რომ ალექსანდრეს მამა იყო არა მეფე ფილიპოსი, არამედ თავად უზენაესი ღვთაება ზევსი-ამონი, მაკედონელი დამპყრობლის სამეფო ძალაუფლების დამკვიდრებად მიაჩნდა და არა უაზრო მზვაობრობად. მეფეს ეგვიპტელ ქურუმთა ლეგენდა თავის ღვთაებრივ წარმომავლობაზე მოსწონდა კიდეც, რამეთუ ამით მისი ძალაუფლება კიდევ უფრო ძლიერდებოდა აზიაში.

თავდაპირველად ალექსანდრე მეგობართა წრეში თავადვე მხიარულად იცინოდა იმ უაზრობაზე, რომ იყო უკვდავი და ყოვლისშემძლე ღმერთი. მაგრამ როდესაც იმრავლეს წარმატებებმა, რასაც მოჰყვა საყოველთაო პირფერობა, პატივმოყვარე მბრძანებელმა მართლაც ირწმუნა, რომ მას ღმერთები მფარველობენ და რომ არ არსებობს მისი წინაღმდგომი რაიმე ძალა.

პირველად ალექსანდრემ ჯერ კიდევ ეგვიპტის დაპყრობამდე განაცვიფრა ყველა თავის განზრახვათა სითამამით. მალე ისოსთან დამარცხებულმა დარიოსმა, რომელიც წუხდა თავის ოჯახზე, ალექსანდრეს მიუგზავნა ელჩები და ზავის დადება შესთავაზა. იგი მაკედონიის მეფეს აღუთქვამდა თავისი ასულის ხელსა და მდინარე ევფრატის ჩრდილოეთით მდებარე სპარსეთის მიწებს. სპარსეთის მეფე თანახმა იყო დაეთმო არა მხოლოდ ის, რაც დაიპყრო მაკედონიამ, არამედ კიდევ სხვა მიწებიც. დარიოსი დატყვევებული დედის, მეუღლისა და ქალიშვილების გამოსყიდვის ფასად უზარმაზარ დათმობებზე მიდიოდა.

სათათბიროდ შეკრებილი ახლობლები ერთხმად ურჩევდნენ ალექსანდრეს, მიელო ეს წინადადება. სიტყვა ითხოვა ხანდაზმულმა პარმენიონმა, ფილიპოსის უახ-

ლოესმა თანამოაზრემ, რომელიც ცვლიდა-ხოლმე მეფეს არყოფნის ჟამს. „ალექსანდრე რომ ვყოფილიყავი, – თქვა მან, – დავთანხმდებოდი".

„მეც დავთანხმდებოდი, – სწრაფად მოუჭრა ალექსანდრემ, – პარმენიონი რომ ვყოფილიყავი!"

მოხუცი დადუმდა. ყოველისათვის იყო ნათელი, რას გულისხმობდა ახალგაზრდა მეფე: მხოლოდ მას ძალუძს იმის აღსრულება, რაც მიუღწეველია ნებისმიერი მთავარსარდლისათვის. პარმენიონისათვის წარმოუდგენელია მთელი სპარსეთის დამორჩილება. ალექსანდრე კი არ დათანხმდება თუნდაც უომრად მიღებულ ნახევარ სპარსეთს, მას მთელი სპარსეთის დამონება სურს.

მაკედონიის არმიას მდიდარი, ნაყოფიერი ეგვიპტის მიწად ერთი წელიც არ დაუყვია. ძვ.წ. 331 წლის გაზაფხულზე ალექსანდრემ თავისი მეომრები გამოიყვანა ნილოსის ხეობიდან და წინა აზიის უდაბნოს გავლით მესოპოტამიისკენ გაემართა. იგი იმედოვნებდა, რომ იქ შეხვდებოდა სპარსეთის ლაშქარს.

დარიოს III ხვდებოდა, რომ მისი სახელმწიფოს ბედი წყდებოდა, ამიტომ დიდი გულმოდგინებით ემზადებოდა ამ ბრძოლისათვის. მან აღმოსავლეთის ქვეყნებიდან დიდძალი ჯარი შეაგროვა. გადაწყვიტა, არ ეჩქარა მაკედონელებთან შებმა, რათა თავს არ დასტეხოდა ის, რაც ისოსთან მოხდა. სპარსელთათვის არახელსაყრელმა პირობებმა იმხანად მაკედონიას გამარჯვება მოაპოვებინა.

ამჯერად დარიოსმა თავად შეარჩია ბრძოლის ველი. მდინარე ტიგროსის აღმოსავლეთ სანაპიროსთან, ასირიის ძველი დედაქალაქის, ნინევიას ნანგრევების მახლობლად, პატარა დაბა გავგამელასთან მდებარეობდა ვრცელი ველი, სადაც სპარსელები ჩაუსაფრდნენ აღმოსავლეთისაკენ მიმავალი ალექსანდრეს არმიას.

ისინი ერთმანეთს შეხვდნენ ძვ.წ. 331 წლის სექტემბრის ბოლო დღეს. როდესაც მაკედონელები მიუახლოვდნენ წინა ხაზზე განლაგებულ სპარსელებს, უკვე საღამო ხანი იყო. დარიოსმა მოულოდნელი თავდასხმის თავიდან ასაცილებლად თავისი არმია საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანა. მეჩირაღდნეებით გარემოცული მეფე მთელი ღამის განმავლობაში ამოწმებდა მებრძოლთა რიგებს. მთელი ღამის დაძაბულობით განაწამები მებრძოლები გამთენიისთვის ძლივს იდგნენ ფეხზე.

ალექსანდრეს არ სურდა პირდაპირ გზიდან დაეწყო ბრძოლა. მძიმე ლაშქრობის შემდეგ მებრძოლებისათვის აუცილებელი იყო დასვენება. მეფემ, ღრმად დარწმუნებულმა, რომ სპარსელები არ დათმობდნენ მათ მიერვე შერჩეულ ველს, იქვე, მახლობლად ბრძანა ღამის გათევა.

მაკედონელი მთავარსარდლები შიშით უმზერდნენ უზარმაზარ ველს, რომელსაც ტალღათა ხმაურივით ეფინებოდა ადამიანურ ხმათა ყრუ გუგუნი. სპარსთა კოცონების სწორი მწკრივები იქვე, სულ ახლოს იწყებოდა და ყოველ მხარეს ვრცელ-

დებოდა, იმ სიშორეზე, რასაც კი თვალი მისწვდებოდა. მოწინააღმდეგეთა მრავალრიცხოვნებით თავზარდაცემული მხედართმთავრები პარმენიონის მეთაურობით ალექსანდრეს ეახლნენ და ევედრებოდნენ, თუკი მას მტკიცედ ჰქონდა უკვე გადაწყვეტილი სპარსელებთან ამ ველზე შებმა, დილას აღარ დალოდებოდა, ესარგებლა სიბნელით, რომელიც მტრის რიცხობრივ უპირატესობას მაინც დაფარავდა.

„მე გამარჯვებებს არ ვიპარავ!" – მიუგო მათ ალექსანდრემ და გაისტუმრა რა ისინი, მშვიდ ძილს მიეცა. ისე ღრმად ეძინა მეფეს, რომ გამთენიისას ჩვეულებისამებრ ვერც გაიღვიძა. როდესაც გაოცებულმა მთავარსარდალმა, ხანდაზმულმა პარმენიონმა გაბედა მისი გამოფხიზლება, უსაყვედურა, ისე გძინავს, თითქოს უკვე გაიმარჯვეო. ალექსანდრეს გაეღიმა და ასე მიუგო: „განა ხელთ არ გვაქვს გამარჯვება? დარიოსი ხომ ჩვენს წინ არის, სად გაგვექცევა!"

ბრძოლა დაიწყო. ალექსანდრეს ეშინოდა ალყისა და ამიტომ თავისი ლაშქარი ორ მწკრივად განალაგა. თუკი მტერი გარს შემოევლებოდა პირველ მწკრივს, მეორე მწკრივი უკან გაბრუნდებოდა, შექმნიდა კარეს და ორ ფრონტზე შეძლებდა ბრძოლას.

სწორი აღმოჩნდა მეფე. ბრძოლის დასაწყისშივე სპარსელთა მძლავრმა მხედრიონმა შეავიწროვა მაკედონელთა მარცხენა ფრთა, რომელსაც პარმენიონი მეთაურობდა. სპარსელთა ფრონტი გაცილებით უფრო ფართო იყო, ვიდრე მაკედონელებისა. ამით ისარგებლეს ცხენოსნებმა, გვერდი აუარეს პარმენიონს და მის ზურგს უკან აღმოჩნდნენ, სადაც აღალი იდგა. მდგომარეობა სავალალო იყო. მოხუცმა მხედართმთავარმა მეფესთან აფრინა კაცი დახმარების თხოვნით, თან გააფრთხილა – აღალს ვკარგავთო.

ამ ბრძოლამ ნათლად გამოავლინა ალექსანდრეს ხასიათის უმთავრესი თვისება – რისკისადმი ლტოლვა. მოსალოდნელი საფრთხე უფრო ფრთხილ მთავარსარდალს აიძულებდა გაეგზავნა ძალები პარმენიონის დასახმარებლად – აღალის გარეშე მაკედონიის არმია ვერ გაძლებდა მტრულ ქვეყანაში. მაგრამ ალექსანდრეს არ სურდა მის მიერ განზრახული შეტევიდან მოეხსნა თავისი მებრძოლები. „ხომ არ გაგიჟდა პარმენიონი, რა დროს აღალზე ფიქრია. თუ დავიღუპეთ, აღარც აღალი დაგვჭირდება, თუ გავიმარჯვეთ, ჩვენი აღალის ნაცვლად მტრისას დავეუფლებით. თუკი პარმენიონი თვლის, რომ დამარცხდა, ვურჩევ ქონების გადარჩენაზე კი არ იფიქროს, არამედ იმაზე, თუ როგორ დაიღუპოს დიდებით!"

ამ სიტყვისთანავე ალექსანდრემ ბრძანა, მოეტანათ მისთვის ალაჭურველი და დაიწყო ბრძოლისთვის მზადება. შალის მჭიდრო პერანგზე ჩამოიცვა ტილოს უხეში, ორმაგი ჯავშანი, რომელიც ისოსთან ბრძოლაში ხელთ ჩაიგდო. ალექსანდრეს მუზარადი რკინისა იყო, მაგრამ ისეთი ოსტატობით ნაკეთი, ისე ბზინვარე, რომ ვერცხლის

შთაბეჭდილებას ტოვებდა. მუზარადზე მიმაგრებული იყო ძვირფასი თვლებით მოოჭვილი ლითონის საყელო. მაგრამ ყველაზე ძვირფასი მეფის აღსაჭურველში იყო დიდებულად გამოწრთობილი, უმსუბუქესი მახვილი, რომელიც მას კვიპროსის განმგებელმა უბოძა. ეს მახვილი ალექსანდრეს უსაყვარლესი იარაღი იყო.

მეფეს მოჰგვარეს ბუკეფალოსი. ჩვეულებრივ, ალექსანდრე სხვა ცხენზე იჯდა, რადგანაც ბუკეფალოსი უკვე 25 წლისა იყო და მის ძალებს უფრთხილდებოდა. მაგრამ ამჟამად თავის საყვარელ ცხენზე ამხედრება ისურვა მეფემ.

სწორედ ამ დროს სპარსეთის არმიის მარცხენა ფრთაც გადავიდა შეტევაზე. ცხენოსანთა ნაწილი გამოეყო სპარსელთა ძირითად მასას და იქით გაემართა, სადაც იმყოფებოდა ალექსანდრე მაკედონიისა და თესალიის მხედრებთან ერთად.

ამ გადაადგილებამ ერთგვარი დერეფანი შექმნა მტრის რიგებში. ამით ისარგებლა ალექსანდრემ და მთელი ძალით შეიჭრა ამ რღვეულში. მან შორს თვალი მოჰკრა სპარსეთის მეფეს. მაღალ ეტლზე ამხედრებული დარიოსი გარშემორტყმული იყო საგულდაგულოდ შერჩეული ახოვანი მცველებით. მზეზე ბზინავდა მათი იარაღი. ალექსანდრემ თავის რაზმთან ერთად გააფრთებული იერიშით ისწრაფა მეფისკენ. შედრკნენ მცველები, მრავალმა მათგანმა გაქცევაც კი იკადრა, მაგრამ დარჩენილები თავგანწირულად იბრძოდნენ. დაიბნა სპარსეთის მეფე. მის თვალწინ მაკედონელები უმოწყალოდ ჟლეტდნენ მეომრებს. ისეთი ალიაქოთი შეიქნა, რომ დარიოსმა თავისი ეტლის შემობრუნებაც კი ვერ მოახერხა, ბორბლებთან ოხრად ეყარა დაღუპულთა გვამები. ცოტაც და ალექსანდრე, რომელიც პირველ რიგებში იბრძოდა, მახვილით მისწვდებოდა თავის მეტოქეს. საბედისწერო შიშმა აიტანა დარიოსი, იგი შეახტა ერთ-ერთი მცველის ცხენს და ბრძოლის ველიდან უკანმოუხედავად გაქუსლა.

გაქცეულ მთავარსარდალს უკან მიჰყვა მისი ლაშქარიც. მარჯვენა ფლანგსა და ცენტრში მაკედონელებმა სრული გამარჯვება მოიპოვეს. მხოლოდ მარცხენა ფლანგის მდგომარეობა რჩებოდა მძიმე. პარმენიონი დახმარებას ითხოვდა. ალექსანდრემ მიატოვა დარიოსის დევნა და დაიწყო მარცხენა ფრთის გამაგრება. მტერმა უკან დაიხია.

გავგამელასთან ბძოლამ საბოლოოდ შეარყია სპარსელთა ძალმოსილება. ალექსანდრეს ახლა უკვე აღარ ჰყავდა ძლიერი მოწინააღმდეგეები. მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთის ზოგი სახელმწიფო კვლავაც განაგრძობდა ომისთვის სამზადისს, მაკედონელ დამპყრობელს სრული უფლება ჰქონდა გამოეცხადებინა თავი აზიის მეფედ. სპარსეთის დიდებულთაგან მრავალი ისწრაფოდა დაემტკიცებინა მორჩილება ალექსანდრესათვის და მეფეც ხალისით ნიშნავდა მათ მმართველებად.



ალექსანდრეს თავისი უფლებების გასამყარებლად დარიოს III თავიდან მოცილება სურდა. ამისათვის საჭირო იყო ან მოეკლა იგი, ან იძულებული გაეხადა, დაეთმო ძალაუფლება. მაგრამ ვიდრე აღმოსავლეთისაკენ მცირე რაზმით გაქცეულ დარიოსს დაედევნებოდა, ალექსანდრემ განიზრახა თავისი გამარჯვების სიტკბო შეეგრძნო. მთელი აზია მის ფერხთ იყო განრთხმული. მბრძანებელმა, უპირველეს ყოვლისა, გადაწყვიტა, ხელთ ეგდო სპარსეთის მთავარი ქალაქები, რომლებსაც აღარ იცავდა ჯარი.

მაკედონიის ლაშქარი შევიდა აღმოსავლეთის უბრწყინვალეს ქალაქ ბაბილონში, რომლის ზღაპრულ სიმდიდრეებზეც ესოდენ ბევრს წერდნენ ბერძენი მოგზაურები. ალექსანდრე ჩქარობდა, თუმცა იძულებული გახდა, აქ დაესვენებინა თავისი მებრძოლები, რათა ისინიც დამტკბარიყვნენ ცხოვრებისეული სიამეებით იმ მძიმე განსაცდელის წინ, რაც ელოდათ.

შემდეგ მაკედონელებმა ხელთ იგდეს სუსა – სპარსეთის მეფეთა საზაფხულო რეზიდენცია. აქედან, ძვ.წ. 331 წლის მიწურულისთვის ლაშქარი გაემართა სპარსელთა უძველესი სამოსახლოსკენ. ქალაქ პერსეპოლისში მდებარეობდა სამეფო სასახლე და დარიოსის წინაპართა სამარხები. ამ სასახლის სარდაფები საუკუნეთა განმავლობაში ივსებოდა იმ სიმდიდრით, რომელსაც სპარსელები დამორჩილებულ ხალხებს ართმევდნენ. ახლა ამ საგანძურს დაეუფლა ალექსანდრე. პერსეპოლისისა და სუსას სასახლეებში მოპოვებულ მონეტათა წონა რამდენიმე ათასი ტონა ყოფილა. გამარჯვებულ მეფეს დანარჩენ ძვირფასეულობათა გასატანად დასჭირდა ათი ათასი ჯორი და ხუთი ათასი აქლემი.

ალექსანდრეს გასაოცარ გულუხვობას, უდარდელ დამოკიდებულებას სიმდიდრისადმი, რომლის მოპოვებაც მას არასოდეს გასძნელებია, საზღვარი არ ჰქონდა.

როდესაც სასახლიდან გაჰქონდათ სპარსული ოქრო, მეფემ თვალი მოჰკრა მისთვის უცნობ მეომარს, რომელიც ტვირთის სიმძიმით იზნიქებოდა. ალექსანდრემ მის გასამხნევებლად შესძახა: „ტვირთი აღარ მოგეჩვენება მძიმე, თუკი მას ურმისკენ კი არა, შენი კარვისკენ წაილებ!“ ამ სიტყვებით მეფემ ბრძანა, ეჩუქებინათ მეომრისათვის მთელი ის ოქრო, რაც მას ზურგზე ჰქონდა წამოკიდებული.

უფრო გულუხვად ასაჩუქრებდა ალექსანდრე თავის მეგობრებსა და ახლობლებს. როდესაც ეს დედამისს შეატყობინეს, მან შვილს ასეთი წერილი გაუგზავნა: „უწინ, როდესაც არ იყავი ასე მდიდარი, საჩუქრებით მეგობრებს იძენდი. ახლა კი, შენი განუზომელი გულუხვობის გამო ისინი სიმდიდრით მეფეებს გაუტოლე და მეგობრების შეძენის ნაცვლად მტერს იმრავლებ“. პატივმოყვარე ალექსანდრემ დედის რჩევა ყურად არ იღო. ოლიმპიასი ერთადერთი იყო, ვისი საყვედურებიც



რისხვას არ გვრიდა დიდ დამპყრობელს. მიუხედავად ამისა მეფის საქმეებში ჩარევის ნება მასაც არ ჰქონდა.

სპარსეთის ძველი დედაქალაქის დაპყრობისთანავე ალექსანდრემ მეფის სასახლე დაიკავა. ბერძნები და მაკედონელები აღტაცებით შეხვდნენ ბალდახინში სამეფო ტახტზე მჯდომ ალექსანდრეს. მხოლოდ ზოგიერთები ხვდებოდნენ, რომ შორს არ იყო ის დრო, როდესაც მაკედონიის მეფე ისეთივე დესპოტად იქცეოდა, როგორიც იყო მისი წინამორბედი მბრძანებელი სპარსეთისა.

სპარსელთა დამცირებისა თუ შურისძიების წადილმა უბიძგა ალბათ ალექსანდრეს ისეთი რამ ჩაედინა, რამაც მის სახელსა და დიდებას ჩრდილი მოჰფინა: ქსერქსესის ლაშქრობათა ჟამს დაფერფლილი ათენისა და საბერძნეთის დარბეული ტაძრების წილ ალექსანდრემ გაანადგურა სპარსული ხელოვნების ბრწყინვალე ძეგლი – პერსეპოლისის სასახლე. არავინ იცის, იყო ეს მისი შეგნებული და წინასწარგანზრახული სისასტიკე თუ სპარსთა მოძულე თანამეინახეთაგან წაქეზებული წამიერი სისუსტე. ლაშქრობის მონაწილეთა გადმოცემით, გვირგვინდარქმულმა ალექსანდრემ საკუთარი ხელით მიიტანა სასახლეში ანთებული ჩირაღდანი. გაშმაგებული ყვირილით მისდევდა მას უკან მაკედონელთა და ბერძენთა აღვირახსნილი ბრბო. ცეცხლმა მოიცვა დარბაზები, სადაც ინახებოდა მრავალ თაობათა ღვაწლით შექმნილი ხელოვნების დიდებული ნიმუშები. და სულ რამდენიმე საათში სპარსეთის დედაქალაქის უმშვენიერესი ნაგებობიდან დარჩა ფერფლი და ნანგრევები.

რა აზრი ჰქონდა ხელოვნების რაღაც ნიმუშებს, თვით ადამიანთა ცხოვრებასაც კი ალექსანდრესთვის, რომელმაც დაამხო „დიადი მეფის" სამფლობელო და მისი ტახტი დაისაკუთრა! სისასტიკემ, რომელიც უცხო იყო უწინ ახალგაზრდა მეფისათვის, ახლა უკვე მყარად გაიდგა ფესვი ყოვლისშემძლე მბრძანებლის სულში.

მიდიაში გაქცეული დარიოსის დევნის ჟამს ალექსანდრემ აილო ამ ქვეყნის დედაქალაქი ეკბატანა. მის გარეუბანში მეფეს აჩვენეს უფსკრული, საიდანაც განუწყვეტლივ ამოდიოდა ცეცხლი. იქვე, ახლოს მოედინებოდა ნავთობი. იმ ადგილების მკვიდრებმა აუხსნეს მეფეს, რომ ეს სითხე ფისივით იწვის და რომ უფსკრულიდან ამოხეთქილი ცეცხლი არ ქრება, რადგანაც მას სწორედ ამ ნავთობის წყაროსთვალი ასაზრდოებს. ალექსანდრემ ისურვა იქვე გამოეცადა ნავთობის ეს თვისება.

მეფის მსახურთა შორის იყო პატარა ბიჭი სახელად სტეფანოსი, სასაცილო და შეუხედავი, მაგრამ სიმღერის ნიჭით დაჯილდოებული. ალექსანდრემ ბრძანა, ეს ბიჭი ამოეთხვარათ ამ ნავთობში და წაეკიდებინათ ცეცხლი, რათა ენახა, აალდებოდა თუ არა იგი ადამიანის სხეულზე. და თუ ეს ასე მოხდებოდა, ამ ნავთობის ბრძოლებში გამოყენების შესაძლებლობა ისახებოდა.



არ ელოდა რა თავისი მბრძანებლისაგან ბოროტებას, სტეფანოსი ხალისით დათანხმდა, საკუთარ თავზე გამოეცადა უცნობი სითხის თვისებები. და მხოლოდ მაშინ, როდესაც ცეცხლის ძალით შეშინებულმა ალექსანდრემ უკან დაიხია, მიხვდა სტეფანოსი, რომ იგი გაწირეს. ცეცხლი ჩააქრეს, მაგრამ ბიჭუნა დასახჩრდა საბედისწეროდ.

მიდიიდან ალექსანდრემ ისწრაფა პართიისაკენ, სადაც სპარსელები ძალას იკრებდნენ ახალი ბრძოლებისათვის. აქ იყო დარიოსიც, განცდილი მარცხების გამო საბოლოოდ დასუსტებული. ხმა დაირხა, თითქოს დარიოსი მზად იყო ეცნო ალექსანდრე აზიის მეფედ, თუკი სიცოცხლეს შეუნარჩუნებდნენ.

ამ საშიშროებამ აიძულა აღმოსავლეთის სამეფოთა მმართველები, რომლებსაც არ სურდათ მაკედონელთა საკუთარ სატრაპიებში შემოშვება, ჩამოეგდოთ მეფე. ამბოხებულებს სათავეში ჩაუდგა ბაქტრიის სატრაპი ბესოსი. შეთქმულებმა შეიპყრეს დარიოსი და განიზრახეს მისი ბაქტრიაში წაყვანა. აქ მას საკუთარი ნებით უარი უნდა ეთქვა სამეფო ძალაუფლებაზე.

ცნობამ იმის თაობაზე, რომ დარიოსი ხელთ იგდო ბესოსმა, აიძულა ალექსანდრე ეჩქარა. აღმოსავლეთის სატრაპთა გეგმების განხორციელება ომის გახანგრძლივების საშიშროებას ქმნიდა.

მხედართა მცირერიცხოვან რაზმთან ერთად ალექსანდრე დაედევნა ბაქტრიელებს, რომლებსაც მიჰყავდათ ტყვედ შეპყრობილი დარიოსი. მეფემ განიზრახა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, დაწეოდა გაქცეულებს. ამის გამო დღე და ღამე გასწორებული ჰქონდათ მის მხედრებს. თავაწყვეტილი სრბოლითა და წყურვილით განამებული მეომრები და ცხენები მოიქანცნენ. ერთხელ, შუადღის პაპანაქების ჟამს, მხედრიონს გზად შემოეყარნენ მეხრეები, რომელთაც მცირეოდენი წყალი ჰქონდათ გადანახული. მწყურვალი მეფე რომ იხილეს, მეხრეებმა მუზარადით მიართვეს მაცოცხლებელი წყალი. ალექსანდრემ ორთავე ხელით ფრთხილად აიღო მუზარადი და ის-ის იყო წყალს უნდა დასწაფებოდა, რომ თვალი ჰკიდა გარეშემო მყოფთა გათანგულ სახეებს. მეფემ წყურვილის მწველი გრძნობა დაძლია და უკანვე მიუბრუნა მეხრეებს მუზარადი ამ სიტყვებით: „მე რომ დავლიო წყალი, ისინი სულით დაეცემიან. დაე, ჩვენ ერთად დავიტანჯოთ!" ალექსანდრეს დიდსულოვნებამ მის თანხმლებთა აღტაცება გამოიწვია. მეფე დარწმუნდა, რომ მისი მეომრები ყველაფერს იღონებდნენ, რაც კი ადამიანურ ძალებს არ აღემატებოდა.

დევნა გრძელდებოდა, მაგრამ ცხენები იღუპებოდნენ უწყლო უდაბნოში. მხოლოდ 60 მებრძოლი ახლდა ალექსანდრეს, როცა მოწინააღმდეგეთ დაეწია.

ბაქტრიელებს მიეტოვებინათ ბანაკი. მიწად ეყარა მტვერში ამოგანგლული ოქროსა და ვერცხლის ნივთები. ურმებიდან ქალთა და ბავშვთა ტირილის ხმა ისმო-



და. იმდენად დიდი იყო შიში ალექსანდრეს წინაშე, რომ შეთქმულებს არც უფიქრიათ შებრძოლება. მათ ბედის ანაბარა მიატოვეს ყველაფერი და გაიქცნენ.

ერთ-ერთ ოთხთვალაზე მაკედონელებმა აღმოაჩინეს მომაკვდავი დარიოსი. ბაქტრიელებმა იგი განგმირეს, რამეთუ ცხადი გახდა, რომ ალექსანდრე არ შეწყვეტდა დევნას, ვიდრე ხელთ არ ჩაიგდებდა მეფეს, ცოცხალსა თუ მკვდარს.

ალექსანდრემ თავი ისე მოაჩვენა ყველას, თითქოს ღრმად შეძრა სპარსეთის მეფის სიკვდილმა. მან თავად მიაფარა მიცვალებულს ძოწისფერი მოსასხამი, ბრძანა, გადაეტანათ მისი ნეშტი პერსეპოლისში და საზეიმოდ დაეკრძალათ წინაპართა საფლავებს შორის.

დარიოსს არ დაუნიშნავს თავისი მემკვიდრე, ამიტომ ხალხის უმეტესმა ნაწილმა ტახტის მემკვიდრედ აღიარა ალექსანდრე, რომელსაც, ვითარცა გამარჯვებულს, უნდა გადასცემოდა უზარმაზარი საბრძანებელი. ბესოსსთან ბრძოლა მან განაგრძო უკვე არა როგორც სპარსეთის სამფლობელოს გადარჩენილი აღმოსავლეთის სახელმწიფოების დამპყრობელმა, არამედ, როგორც კანონიერი ძალაუფლების წარმომადგენელმა, რომელსაც სურდა დაესაჯა მეფის მკვლელი. სპარსეთის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც დარიოსის ერთგული იყო, ალექსანდრეს მხარეს გადავიდა. მაკედონიის მეფემ თავისი ლაშქარი სპარსთა მიწაზე მოსახლე მეომრებით შეავსო.

ახლა, როდესაც დარიოსი გარდაიცვალა, ხოლო მისი საბრძანებელი ალექსანდრემ დაისაკუთრა, მაკედონელებსა და ბერძნებს აღარ სურდათ იმ მძიმე ლაშქრობაში მონაწილეობა, რომლის მიზანიც მათთვის სავსებით გაუგებარი იყო. სულ უფრო ხშირად ითხოვდნენ მაკედონელი მეომრები სამშობლოში დაბრუნებას, მაგრამ ალექსანდრემ კარგად იცოდა, თუ როგორ უნდა ჩაეხშო მათი ამბოხი.

მან შეარჩია მისთვის თავდადებული და ბრძოლებში გამობრძმედილი მეომრები და მიმართა თხოვნით, არ მიეტოვებინათ მეფე უცხო ქვეყანაში. ალექსანდრემ შეახსენა მათ, თუ რაოდენი სიმდიდრე ჰქონდათ მოხვეჭილი და აღელვებულმა ჰკითხა, ნუთუ შეძლებდნენ ისინი იმ მეფის მიტოვებას, რომელმაც მათთვის მთელი სამყარო დაიმორჩილა. ალექსანდრე კარგი ორატორი იყო. როდესაც იგრძნო, რომ მსმენელთა ყურადღება მიიპყრო, ისიც თქვა: „ძალით არავის შევაკავებ, ნებას მივცემ ყოველს, ვისაც მეგობართა დატოვების გამო არ შეაწუხებს სინდისი, შინ დაბრუნდეს!“ მეომრები ხმამაღალი შეძახილებით გამოხატავდნენ ალექსანდრესადმი მორჩილებას. არავის ეყო გამბედაობა, გამოსულიყო მეფის წინააღმდეგ ან თავისი გულისნადები გამოეთქვა. დაიყოლია რა მეომართა დიდი ჯგუფი, ალექსანდრემ იოლად აიძულა სხვანიც, გაეგრძელებინათ ბრძოლა.



მან თავისი ლაშქრის ნაწილი პარმენიონის მეთაურობით მიდიაში დატოვა, თავად კი, რჩეულ მეომრებთან ერთად ირანის ერთ-ერთ ცენტრალურ მხარეს, პართიას მიადგა. აქედან ალექსანდრეს ჯარები ბაქტრიაში შეიჭრნენ. ბესოსი ჩრდილოეთისკენ გაიქცა; ადგილობრივმა მოსახლეობამ არ ისურვა ალექსანდრეს რისხვის დამსახურება და გასცა ბესოსი, რომელსაც, მეფის ბრძანების თანახმად, წამებით სიკვდილი მიუსაჯეს.

აღმოსავლურ ლაშქრობათა ჟამს ალექსანდრეს თანმხლებთა შორის სულ უფრო ხშირად გაისმოდა მოწოდებები, დასრულებულიყო ბრძოლა, დასჯერებოდნენ უკვე დაპყრობილს. შორსმჭვრეტელთ კარგად ესმოდათ, რომ ახალ დაპყრობით ომებს წარუმატებლობა მოჰყვებოდა; დაპყრობილი ხალხები ამბოხდებოდნენ და ყოველივე, რაც მახვილითა და სისხლით იყო მოპოვებული, დაიკარგებოდა. მაგრამ წარმატებებით თავბრუდახვეულ ალექსანდრეს აღარ ესმოდა ხმა კეთილგონიერებისა. ბაქტრიის დაპყრობა მას დიად ლაშქრობათა დასაწყისად მიაჩნდა მხოლოდ. ჯერ კიდევ წინ იყო მთელი აზია, მთელი სამყარო.

მეფეს ესმოდა, რომ ამ გეგმათა განხორციელებისათვის საკმარისი არ იყო მაკედონიაში შეგროვებული ლაშქარი. მაგრამ არც სპარსეთის ჯარს, რომლის სისუსტეც ყველაზე კარგად უწყოდა ალექსანდრემ, ძალუძდა მის განზრახვათა აღსრულება. ამიტომ ბრძანა, მოეგროვებინათ 30 ათასი სპარსი ბიჭუნა, ესწავლებინათ მათთვის ბერძნული ენა და მაკედონური სამხედრო ხელოვნება.

ალექსანდრე ცდილობდა კეთილად განეწყო ადგილობრივი მოსახლეობა. იგი დაქორწინდა სახელოვანი სპარსი დიდებულის უმშვენიერეს ქალიშვილ როქსანაზე, უარი თქვა მაკედონურ ჩაცმულობაზე და სპარსულად შეიმოსა.

თავდაპირველად ალექსანდრე ერიდებოდა მდიდრული სამეფო სამოსის ტარებასა და მას მხოლოდ ზეიმებისას ან სპარსთა თავყრილობებისას იცვამდა. მაგრამ მალე მიეჩვია ახალ ჩაცმულობას. მაკედონელი მეომრები აღშფოთდნენ, რადგანაც მეფის ამ საქციელში ისინი ჭვრეტდნენ ალექსანდრეს სწრაფვას, ჩამოეცილებინა ძველი თანამზრახველები, რომელთა შემწეობითაც იგი აზიის მბრძანებელი შეიქნა.

პატივმოყვარე დამპყრობლის ჩაცმულობითა და საქციელით გაღიზიანება თავდაპირველად გამოიხატებოდა ფარული დაცინვებით, რომელიც შემდეგ გადაიზარდა ამბოხებებსა და თავდასხმებშიც კი. ალექსანდრეს წინააღმდეგ პირველი შეთქმულება მოაწყო მაკედონელმა დიმნოსმა. მეფის საქციელით შეურაცხყოფილმა მისი მოკვლა განიზრახა და ამ ჩანაფიქრის განსახორციელებლად თავისი უახლოესი მეგობარი ნიკომაქოსი მოიწვია. ნიკომაქოსმა ეს ამბავი თავის ძმას გაანდო, რათა რჩევა ეკითხა. ძმამ კი ყველაფერი ალექსანდრეს აუწყა. მეფემ დამცველთა



რაზმი გაგზავნა დიმნოსის შესაპყრობად. მამაცმა შეთქმულმა არ ისურვა ალექსანდრესთან გამოცხადება, რის გამოც ადგილზევე იქნა მოკლული.

ისე ჩანდა, თითქოს დიმნოსის მოკვლით ამ საქმის ყველა ძაფი გაწყდა; შეუძლებელი იყო შეთქმულების სხვა მონაწილეთა ძიება.

ამის შემდგომ ალექსანდრემ დაიწყო იმ შედარებით გავლენიან მაკედონელ მხედართმთავართა დევნა, რომლებიც მისი პოლიტიკით უკმაყოფილონი იყვნენ. შეთქმულების სულისჩამდგმელად გამოაცხადეს მაკედონელთა შორის ყველაზე პატივდებული უხუცესი პარმენიონი და მისი ძე ფილოტასი, მაკედონური მხედრიონის უმამაცესი მეთაური. მიუხედავად იმისა, რომ ფილოტასმა უსასტიკესი წამების ჟამსაც თავი არ სცნო დამნაშავედ, მაინც დასაჯეს. პარმენიონი კი გასამართლების გარეშე მალულად მოკლეს მეფის ბრძანებით.

მალე ალექსანდრემ თავად განგმირა კლიტოსი, სწორედ ის კლიტოსი, რომელმაც იხსნა იგი გრანიკოსთან ბრძოლის ჟამს. ეს მკვლელობა კი მაშინ მოხდა, როდესაც ალექსანდრე სოგდიანას[6] დამორჩილებას ლამობდა: მიუხედავად გამოვლენილი სისატიკისა, მაკედონელებმა ვერ დაიმონეს ადგილობრივი მოსახლეობა. სამხედრო წარუმატებლობამ მეფის პოლიტიკით უკმაყოფილება კიდევ უფრო გაამწვავა.

ერთ დღეს ალექსანდრეს მიართვეს საბერძნეთიდან ჩამოტანილი დიდძალი ხილი. გაიმართა ნადიმი. ყველამ მოილხინა. სუფრასთან მღეროდნენ სიმღერებს, სადაც მასხრად იყო აგდებული ის მაკედონელი მხედართმთავრები, რომლებმაც მარცხი განიცადეს იქ მოსახლე ტომებთან ბრძოლაში. კლიტოსი აღაშფოთა იმან, რომ მეფე სპარსელთა თანდასწრებით მაკედონელთა დაცინვის ნებას რთავდა მომღერლებს. ატყდა დავა. ალექსანდრემ, რომელსაც სიმღერა მოეწონა, შესძახა, კლიტოსი იმიტომ ექომაგება მხდალებს, რომ ეს გრძნობა მისთვისაც არ არისო უცხო. „სწორედ ჩემმა სიმხდალემ გიხსნა შენ, ღმერთთა შვილო, როცა სპითრიდატესის ხმალს ზურგი უჩვენე! – აღშფოთდა კიდევ უფრო მეტად კლიტოსი, – სწორედ მაკედონელთა სისხლითა და იარებით აღზევდი შენ ეგზომ მაღლა, რომ ფილიპოსს მამად აღარა სცნობ და თავს ამონის მოდგმად ასაღებ!"

ეს სიტყვები ალექსანდრემ გამოწვევად მიიღო. ვაშლი, რომელიც იქვე ხელთ მოხვდა, ესროლა კლიტოსს, მოითხოვა მახვილი და მებუკეს უბრძანა მიეცა განგაშის ნიშანი.

ამაყი მაკედონელი წარჩინებული უკან არ იხევდა: „თუკი გსურს მხოლოდ საამო სიტყვების მოსმენა და ისეთი ხალხის დანახვა, რომლებიც ქედს იხრიან შენი სპარსული ჩაცმულობის წინაშე, ნუ მოიწვევ სუფრასთან ისეთ ადამიანებს, რომლებიც მიჩვეულნი არიან თავისუფლებას!" – ასე მიმართავდა კლიტოსი მეფეს.

მეგობრებმა, რომლებსაც სურდათ ჩაეხშოთ დავა, აიძულეს იგი, გასულიყო დარბაზიდან. თუმცა ამაოდ დაშვრნენ, კლიტოსი უკანვე შემობრუნდა, დადგა კარებში და წაიკითხა ნაწყვეტი სახელოვანი ევრიპიდეს ტრაგედიიდან „ანდრომაქე“:

„რა ცუდი ზნე გვაქვს! საბერძნეთში გამარჯვების ძეგლს
მტერთა მომსვრელი როს აღმართავს დიდი ლაშქარი,
ვინც ღვაწლი დასდო, როდი ხდება დიდების ღირსი,
ხოტბას ბელადი იმსახურებს მხოლოდ და მხოლოდ“.

არც დაფიქრებულა, ისე გამოსტაცა ალექსანდრემ ერთ-ერთ მცველს შუბი და სტყორცნა კლიტოსს, რომელიც იქვე ჩაიკეცა სულამოხდილი. ასე მოკლა ალექსანდრემ თავისი მეგობარი, რომელმაც მას სიცოცხლე შეუნარჩუნა, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი გამოექომაგა თავის თანამებრძოლებს და დაუფარავად უთხრა მეფეს ის, რასაც დიდი ხანია ვერ ამბობდნენ დანარჩენები. უმალ მოეგო გონს ალექსანდრე. მის ირგვლივ დადუმებული მეგობრები რომ დაინახა, სწრაფად ამოაძრო კლიტოსის გვამს შუბი და თავის მოკვლა სცადა. პირადმა მცველებმა ხელები გაუკავეს და ძალით შეიყვანეს საწოლ ოთახში. სამი დღე და ღამე თვალი არ მოუხუჭავს ალექსანდრეს, არც ჭამდა, წყალსაც არ იკარებდა. გოდებისაგან ღონემიხდილი უსიტყვოდ იწვა და ხანდახან თუ ამოიოხრებდა. ძლივს მოახერხეს მეგობრებმა მისი დამშვიდება.

მალე ალექსანდრეს წინააღმდეგ მიმართული მეორე შეთქმულებაც გამომჟღავნდა. მაკედონური არმიის საბჭოსთან არსებობდა დიდგვაროვან ჭაბუკთა ჯგუფი, რომელიც სამხედრო ხელოვნებას ეუფლებოდა, იმავდროულად ემსახურებოდა მეფეს და მის დავალებებს აღასრულებდა. ჭაბუკებს ამზადებდნენ იმისთვის, რომ დროთა განმავლობაში დაეკავებინათ უმაღლესი სამხედრო თანამდებობები. ისინი სამეფო სუფრასთან სადილობდნენ და მუდამ თან ახლდნენ მეფეს, ვითარცა მისი პირადი მცველები. ერთხელ, ნადირობისას ერთ-ერთმა ამ წარჩინებულ ჭაბუკთაგან, ჰერმოლაოსმა მოკლა ტახი, რომელიც მეფეს უნდა მოეკლა. განრისხებულმა ალექსანდრემ მისი გაროზგვა ბრძანა. დასჯილის მეგობრები აღშფოთდნენ და შეთქმულება მოაწყვეს მეფის მოკვლის მიზნით. მაგრამ ერთ-ერთმა გასცა ისინი.

ალექსანდრემ იმზაკვრა, უარი თქვა ჭაბუკთა დასჯაზე და ეს საქმე თავის მეომრებს მიანდო. ცდილობდნენ რა მეფის გულის მოგებას, მეომრებმა შეთქმულებს სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანეს და ქვებით ჩაქოლეს.

ამჯერადაც ალექსანდრე დამნაშავეთა დასჯით კი არ დაკმაყოფილდა მხოლოდ, არამედ ისარგებლა შემთხვევით და თავიდან მოიცილა მისთვის არასასურველი ადამიანიც. ეს ამბავი კი ასე მოხდა:



მეფის თანმხლებთა შორის იყო ფრიად განსწავლული ბერძენი კალისთენესი, დიდი არისტოტელეს ახლობელი და ნათესავი. იგი იზრდებოდა თავისი მოძღვრის სახლში. სწორედ არისტოტელემ ურჩია ალექსანდრეს, თან ჰყოლოდა ეს უნიჭიერესი კაცი ლაშქრობათა ჟამს.

კალისთენესი იმიტომ ახლდა მეფეს, რომ დაწვრილებით აღეწერა მისი ბრძოლები, რათა თაობათა მეხსიერებაში შემორჩენილიყო ალექსანდრეს საგმირო საქმეები. სწავლული დიდის გულმოდგინებით წერდა ლაშქრობის ისტორიას და ალექსანდრეს შეუპოვრობითა და გამბედაობით აღფრთოვანებული ყოვლისშემძლე მბრძანებლის კეთილგანწყობას იმსახურებდა მუდამ. მაგრამ როდესაც ალექსანდრემ სპარსული ზნე-ჩვეულებანი შეისისხლხორცა, როდესაც იგი უმოწყალო დესპოტად იქცა, კალისთენესი თავს არიდებდა მასთან შეხვედრებს. ვითარცა ჭეშმარიტი ბრძენი და პატიოსანი ადამიანი, იგი ცდილობდა გამოეყენებინა თავისი გავლენა, დაუფარავად იმაღლებდა ხმას იმ აღმოსავლურ ჩვევათა წინააღმდეგ, რომლებიც აკნინებდნენ მაკედონელთა ღირსებებსა და რყვნიდნენ თავად ალექსანდრეს სულს.

როდესაც მლიქვნელები მეფის წინაშე ფორთხავდნენ, რათა მისი ყურადღება დაემსახურებინათ, ალექსანდრეს ეს ისე მოსწონდა, რომ ამბორის ნება დართო მათ, ვინც ფერხთა ქვეშ განერთხმებოდა.

კალისთენესმა არ ისურვა ქედის მოდრეკა. მეფემ შერისხა იგი და არ დართო ამბორის ნება. „რას იზამ, – თქვა ამაყად ფილოსოფოსმა, – მოგაკლდებათ ერთი ამბორი!"

ამ შემთხვევის შემდეგ ალექსანდრეს ამალა კალისთენესისადმი უსაზღვრო პატივისცემით განიმსჭვალა. ისინი აღნიშნავდნენ, რომ იგი „ერთადერთი თავისუფალი ადამიანი იყო" მეფის თანმხლებთა შორის.

კალისთენესი, მიუხედავად იმისა, რომ მსჯავრდებულთაგან არავის წარმოუთქვამს მისი სახელი, ვითარცა შეთქმულების მონაწილე დააკავეს და მეფის ბრძანებით ჩასვეს ციხეში, სადაც გარდაიცვალა კიდეც. მაგრამ ამანაც ვერ დააცხრო მეფის რისხვა. შინ გაგზავნილ წერილებში ალექსანდრე დასჯით ემუქრებოდა თავის მოძღვარს, დიდ არისტოტელეს მხოლოდ იმიტომ, რომ მისი რჩევით თან ჰყავდა კაცი, რომელმაც გაბედა და ესოდენ აშკარად ამხილა მეფე.

დაახლოებით ოთხი წელი გავიდა გავგამელასთან ბრძოლის შემდეგ. ალექსანდრე ახალი დაპყრობითი ომებისათვის ემზადებოდა. ამჯერად იგი ოცნებობდა, ხელთ ეგდო მდინარე ინდოსის მდიდარი მხარე და მიეღწია დიადი მდინარის, ოკეანოსის[7] ნაპირებამდე, რომელიც, ძველების აზრით, სამყაროს დასალიერი უნდა ყოფილიყო.



გადალახეს რა ჰინდუკუშის ქედი, რომელიც კავკასიონად მიიჩნიეს, მაკედონელები აღმოჩნდნენ ინდოეთში. ეს იყო მდიდარი ქვეყანა ულამაზესი იალაღებითა და დიდებული ხეხილით სავსე. თუმცა ამ მშვენიერი ქვეყნის ჰავა მაკედონელთათვის მძიმე და უჩვეულო აღმოჩნდა. საშინელი სიცხე ისეთი ძლიერი წვიმებით იცვლებოდა, რომ მდინარეები დიდდებოდნენ და ნაპირებიდან გადმოდიოდნენ. მოსახლეობა დანაწილებული იყო პატარა სახელმწიფოებად, რომელთა მმართველებს განუწყვეტელი შუღლი ჰქონდათ ერთმანეთში.

ალექსანდრეს ლაშქარმა გადალახა მდინარე ინდოსი და შეიჭრა იმ მიდამოებში, რომელსაც ამ მძლავრი მდინარის შენაკადები ასაზრდოებდნენ. აქ, ინდოსსა და მის მარცხენა შენაკადს ჰიდასპეს[8] შორის მდებარეობდა ძლევამოსილი მეფის, ტაკსილას სამეფო, რომელიც ნებაყოფილობით შეუერთდა ალექსანდრეს, რათა მასთან ერთად გაელაშქრა თავის მუდმივ მტერზე, პოროსზე, ვისი სამფლობელოებიც მდინარე ჰიდასპეს აღმოსავლეთით იწყებოდა.

მიუახლოვდა რა მდინარეს (ძვ.წ. 326 წ.), ალექსანდრემ მოპირდაპირე ნაპირზე დაინახა პოროსის დიდძალი ლაშქარი, რომელიც ითვლიდა არა მხოლოდ ქვეითებსა და მხედრებს, არამედ მრავალრიცხოვან საბრძოლო ეტლებსა და რამდენიმე ასეულ სპილოს. წარმოუდგენელი იყო მეორე ნაპირზე გასვლა, ვიდრე იქ ასეთი ძალა იდგა. ალექსანდრე იძულებული იყო ხერხი ეხმარა. მან თავი ისე მოაჩვენა პოროსს, თითქოს ზუსტად იმ ადგილას აპირებდა მდინარის გადალახვას, სადაც ეს ძალა იყო ჩასაფრებული; სინამდვილეში კი ქვეითი ლაშქრის ნაწილი და რჩეული მხედრიონი შეუმჩნევლად აიყვანა მაღლა, მდინარის გასწვრივ და იქ გავიდა მეორე ნაპირზე.

როდესაც გონს მოსულმა პოროსმა მაკედონელთა წინააღმდეგ მიმართა თავისი კავალერია და საბრძოლო ეტლთა ნაწილი, გვიანლა იყო. ალექსანდრემ შეძლო იერიშის მოგერიება. შემდეგ პოროსი თავად შეებრძოლა ალექსანდრეს მთელი თავისი ლაშქრით. ბრძოლა შეუპოვარი იყო და რვა საათს გრძელდებოდა. ინდოელებმა დაკარგეს რამდენიმე ათასი მებრძოლი და თითქმის ყველა მთავარსარდალი. თავად პოროსი, რომელიც საბრძოლო სპილოზე ამხედრებული იბრძოდა, მძიმედ დაიჭრა და ტყვედ ჩავარდა. მისმა თავგანწირულმა ბრძოლამ მოხიბლა ალექსანდრე. „ერთი მითხარი, როგორ მოგექცე?" – ჰკითხა ტყვედქმნილს. „მეფურად"! – მიუგო პოროსმა. „ასეც მოხდება, – შეეპირდა ალექსანდრე, – მაგრამ მაინც მითხარი, როგორ გამოვხატო ჩემი პატივისცემა?" „აკი გითხარი, მეფურად-მეთქი, ამ სიტყვაში ყველაფერი იგულისხმება!" – არ ცხრებოდა პოროსი.

ალექსანდრე მიხვდა, რომ აუცილებელი იყო დამარცხებულთა შეწყნარება და ადგილობრივ მმართველთა გადმობირება, რათა მთელი ინდოეთი არ აღმსდგარიყო მის წინააღმდეგ, როგორც ეს მოხდა სოგდიანაში. ამიტომ მეფე პოროსი კი არ



დასაჯა, არამედ დანიშნა იმ მხარეთა მმართველად, რომელთაც იგი უწინაც განაგებდა. პოროსის ერთგულების იმედი რომ ჰქონოდა, ალექსანდრემ გააფართოვა მისი სამეფო, დაუმორჩილა სხვა დამოუკიდებელი ტომები, რომლებმაც, დაკარგეს რა თავისუფლება, შეიძულეს ახალი მმართველი. პოროსი კი, თავისი ძალაუფლების შენარჩუნებას მაკედონელთა გარეშე ვეღარ შეძლებდა.

ალექსანდრემ თავისი არმიის მნიშვნელოვანი ნაწილი ჰიდასპეს ხეობაში დატოვა პოროსისა და ტაკსილას მეშველ ძალად. მათი უშიშროების უზრუნველსაყოფად მეფემ რამდენიმე ციხე-სიმაგრე ააგო. იქ, სადაც მაკედონელებმა დაამარცხეს პოროსი, აშენდა ქალაქი, სახელად ნიკეა (რაც ბერძნულად „გამარჯვებას" ნიშნავს); უფრო ჩრდილოეთით კი, სადაც მაკედონელმა მეომრებმა გადალახეს მდინარე, დასაბამი მიეცა ახალი ქალაქის მშენებლობას. მას ბუკეფალია ეწოდა ალექსანდრეს საბრძოლო ცხენის სახელის მიხედვით, რომელსაც ხანდაზმულობის გამო იქვე აღმოხდა სული.

პოროსთან ბრძოლამ შეარყია მაკედონელთა ძალა და სიმედგრე. ისინი დარწმუნდნენ, რომ ინდოეთი სავსე იყო მრავალი ტომით, რომელთაც შეეძლოთ მათ წინააღმდეგ აღდგომა.

ქანცგაწყვეტილ მეომართა გამოსაფხიზლებლად ალექსანდრემ უმოწყალო სიმკაცრეს მიჰყო ხელი. იგი სიკვდილით სჯიდა ყოველს, ვინც კი არღვევდა კანონით მიღებულ წესებს, მიუხედავად მათი ადრეული დამსახურებებისა თუ წოდებისა. ალექსანდრე ცდილობდა მეომართა სულის ამაღლებას საკუთარი თავგანწირვით. არასოდეს ჩაუგდია მას თავი ისეთ საფრთხეში, არასოდეს მიუღია იმდენი იარა, რაც ინდოეთში ლაშქრობის ჟამს. ერთ-ერთი ციხე-სიმაგრის იერიშისას იგი კინაღამ მოკლეს. წინ მიუძღოდა რა თავის მეომრებს, ალექსანდრე მცირერიცხოვან მცველთა თანხლებით პირველი აცოცდა გალავანზე და ციხის ეზოში გადავიდა. ამ დროს კიბე, რომელსაც სხვები მოჰყვებოდნენ, ჩატყდა და მეფე თავის ორ მცველთან ერთად მარტო აღმოჩნდა მტრის პირისპირ. მაკედონელები თავგანწირულად იბრძოდნენ. მალე ერთ-ერთი მცველი განგმირული დაეცა მიწაზე, თავად ალექსანდრემ რამდენიმე მძიმე ჭრილობა მიიღო და კედელთან ჩაიმუხლა. ახლა უკვე მისი მამაცი მეაბჯრე პევკესტოსი იბრძოდა მხოლოდ და მედგრად იცავდა მეფეს. ამასობაში მაკედონელებიც გამოჩნდნენ და უკანასკნელ წამს მტერს გამოსტაცეს გონმიხდილი ალექსანდრე. ამის შემდეგ მეფემ დიდხანს იავადმყოფა. მისი ჯანმრთელობა შეირყა.

დამორჩილებულ ხალხთა წინალობისდა მიუხედავად ალექსანდრე სულ უფრო მეტ სისასტიკეესა და მზაკვრობას იჩენდა. ერთ-ერთ ქალაქში ინდოელ მეომართა დაქირავებული რაზმი მედგრად იცავდა თავს მანამ, ვიდრე მაკედონელებმა არ



შესთავაზეს დაზავება. ინდოელებმა ირწმუნეს ალექსანდრეს სიტყვა. დატოვეს გამაგრებული ადგილები და ის-ის იყო დაშლა დაიწყეს, რომ მაკედონელმა დამპყრობელმა დაარღვია პირობა და ერთიანად მოსრა ისინი.

სხვა დროს ალექსანდრემ დაარღვია ომის კანონი, ბრძანა მშვიდობიან მაცხოვრებელთა, ინდოელ ქურუმთა, ჩამოხრჩობა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი თავიანთ ხალხს არწმუნებდნენ, დაეცვათ ქვეყნის დამოუკიდებლობა.

ამგვარმა სისასტიკემ კი არ დააფრთხო ინდოელები, პირიქით, გააძლიერა მათში თავისუფლებისათვის ბრძოლის სურვილი.

ალექსანდრე ფიქრობდა, რომ მდინარე ინდოსის ხეობათა მილმა ქვეყნის დასალიერი უნდა ყოფილიყო. ახლა კი, ინდოელთა გამოკითხვის შედეგად ცხადი გახდა, რომ სამყაროს დასასრულამდე ჯერ კიდევ შორი იყო. ჯარებმა მიაღწიეს ინდოსის აღმოსავლეთ შენაკადთაგან უკიდურესს – მდინარე ჰიფასისს. ალექსანდრეს მოახსენეს, რომ ამ მდინარის იქით გადაჭიმულია უდაბნო, რომლის შემდეგ იწყება მდინარე განგის ხეობა, სადაც მრავალი ტომი სახლობს და სადაც მდებარეობენ მდიდარი და ხალხმრავალი სახელმწიფოები.

ალექსანდრეს ფიქრადაც არ მოსვლია ის, თუ როგორ შეძლებდა განახევრებული არმიით დედამიწის დანარჩენ ხალხთა დამორჩილებას. თავისი დიდებით თავბრუდახვეულს მიაჩნდა, რომ განგების ძალით იგი, ვითარცა ამონის ძე, მთული სამყაროს მბრძანებელი უნდა ყოფილიყო. მეფემ აღმოსავლეთით დაძვრის ბრძანება გასცა. მაგრამ აქ, ჰიფასისთან, მან პირველად იგრძნო თავი უძლურად თავისი მოწინააღმდეგის წინაშე და ეს მოწინააღმდეგე იყო მისივე საკუთარი არმია. შეუძლებელი აღმოჩნდა მეომართა სალაშქროდ გაყვანა მუქარითა თუ დაპირებებით. შემდგომი ბრძოლების უაზრობა ალექსანდრეს გარდა ყველასთვის ნათელი იყო. მეფე მიხვდა, რომ დათმობაზე უნდა წასულიყო.

სამი დღით ჩაიკეტა ალექსანდრე თავის კარავში. მხედართმთავართაგან არავის ხილვა არ სურდა. ბოლოს იგი მეომართა წინარე წარსდგა და განაცხადა, რომ ლაშქარი გაემართება დასავლეთისკენ. ალექსანდრეს არ შეეძლო დაეშვა, რომ შექცეული გზა უკანდახევად გამოჩენილიყო. ასე ითქვა, რომ მეფეს სურდა ოკეანეს ხილვა და ინდოსის შესართავთან მოსახლე ტომთა დამორჩილება.

ააგეს ორი ათასამდე ნავი და ტივი, სადაც მოათავსეს ქვეითი ჯარის ნაწილი. ქარავანი მდინარის დინების მიმართულებით გაემართა „გარე ზღვისაკენ", ასე უწოდებდნენ იმხანად ინდოეთის ოკეანეს. დანარჩენი მეომრები მდინარის ორთავე ნაპირიდან მიაცილებდნენ ხომალდებს.

გზა არ ყოფილა მშვიდი: მეომრებს ხშირად უწევდათ ხმელეთზე გადმოსვლა და იქ მოსახლე ხალხებთან მძიმე ბრძოლების წარმოება.



ერთხელ ალექსანდრემ ტყვედ ჩაიგდო ათი ინდოელი ფილოსოფოსი-ასკეტი, რომლებიც მოუწოდებდნენ ადგილობრივ მმართველს, ებრძოლა მაკედონელთა წინააღმდეგ. ბერძნები ამ ფილოსოფოსებს „გიმნოსოფისტებს", ანუ „შიშველ ბრძენთ" უწოდებდნენ. ალექსანდრეს გაგონილი ჰქონდა ამ ასკეტთა სიბრძნის ამბავი, ამიტომ იხმო ისინი და შესთავაზა, პასუხი გაეცათ რამდენიმე ფილოსოფიურ შეკითხვაზე. თან გააფრთხილა, პირველი დაისჯებოდა ის, ვინც ყველაზე უმეცარი აღმოჩნდებოდა, მას მიჰყვებოდა დანარჩენიც. ამ პაექრობის მსაჯული უხუცესი გიმნოსოფისტი უნდა ყოფილიყო. პირველ ბრძენს ჰკითხეს: „ვინ უფრო მეტია დედამიწაზე – ცოცხალი თუ მკვდარი?" „ცოცხალი, – იყო პასუხი – რადგანაც მკვდრები აღარ არიან". მეორეს ჰკითხეს: „ვინ შობს ყველაზე დიდ ცხოველებს – მიწა თუ ზღვა?" „მიწა, რადგანაც ზღვა დედამიწის ნაწილია". მესამეს ჰკითხეს: „რომელი ცხოველია ყველაზე უფრო მოხერხებული?" „ის, რომელსაც ადამიანი ჯერ არ იცნობს". „რატომ აქეზებდი შენს მბრძანებელს ჩემს წინააღმდეგ?" – ჰკითხა ალექსანდრემ მეოთხეს. „მსურდა, პატივით რომ ეცხოვრა, ან ღირსეულად მომკვდარიყო", – მიუგო ბრძენმა. მეხუთეს ჰკითხეს: „რა იყო უფრო ადრე – დღე თუ ღამე?" „დღე, რადგან დღე ერთი დღით ადრე იყო ღამეზე", – იყო პასუხი. მეექვსეს ჰკითხეს: „რა უნდა მოიმოქმედო, სიყვარული რომ დაიმსახურო?" „ძლიერი უნდა იყო, ოღონდ ისე, რომ შიშს არ იწვევდე". მეშვიდეს ჰკითხეს: „ძალუძს თუ არა ადამიანს გაღმერთება?" „დიახ, თუ შეძლებს აღასრულოს ის, რისი აღსრულებაც ადამიანს არ შეუძლია". „სიცოცხლე უფრო ძლიერია თუ სიკვდილი?" – ჰკითხა ალექსანდრემ შემდეგ ბრძენს. „სიცოცხლე. მას ხომ მრავალი უდიდესი ტანჯვის დათმენა შეუძლია". „როდემდე უნდა იცოცხლოს ადამიანმა?" – ასეთი იყო ბოლო შეკითხვა. „ვიდრე არ გაიაზრებს, რომ მის სიცოცხლეს სიკვდილი სჯობს". ალექსანდრემ იხმო მსაჯული, რომელმაც აღნიშნა, რომ მისი მეგობრები პასუხობდნენ ძალიან ცუდად. მაშინ მეფემ განაცხადა, რომ ასეთი განაჩენის გამომტანი მსაჯული პირველი მოკვდებაო. „მართალი ხარ, მეფეო, – არ აღშფოთებულა მსაჯული, – შენ ხომ პირობა დადე, რომ პირველი ის მოკვდებოდა, ვინც ყველაზე ცუდად გიპასუხებდა". ალექსანდრეს მოეწონა ინდოელი გიმნოსოფისტები, რომელთაც ყველა შეკითხვაზე დაეძებნებოდათ ბრძნული პასუხი. თავისუფლება მიანიჭა მათ და უხვადაც დაასაჩუქრა.

შვიდთვიანი მოგზაურობის შემდეგ მაკედონელებმა მიაღწიეს ინდოეთის ოკეანეს. აქ ლაშქარი გაიყო. ალექსანდრეს მიაჩნდა, რომ აუცილებელი იყო ინდოეთიდან სპარსეთის ყურემდე საზღვაო გზის გამოკვლევა. მან ხომალდები ჩააბარა გამოცდილ წინამძღოლს, ბერძენ ნეარქოსს და ევფრატის შესართავისკენ გამგზავრება უბრძანა. არმიის დიდი ნაწილი თავად მეფის მეთაურობით დაიძრა ჩრდი-

ლოეთისკენ, ინდოეთის ოკეანეს სანაპიროთა გასწვრივ. ორი თვე მიუნდა ალექსანდრე უწყლო და ხორშაკიანი უდაბნოს გადალახვას. ამ ხნის განმავლობაში ქანცგაწყვეტილმა ლაშქარმა საშინელი დანაკლისი განიცადა: უზარმაზარი, ასი ათასიანი არმიიდან, რომელთან ერთადაც ალექსანდრემ ინდოსის ხეობის დალაშქვრა დაიწყო, მეოთხედილა გადარჩა. უმძიმესმა ავადმყოფობებმა, საშინელმა სიცხემ და შიმშილმა უფრო მეტი მეომარი იმსხვერპლა, ვიდრე ყველაზე სისხლისმღვრელმა ომებმა.

მაკედონელები მიემართებოდნენ იმ ქვეყანათა გავლით, რომლის მოსახლეობაც, მიწათმოქმედების უმეცარი, იყო ისეთი ღარიბი, რომ ადგილობრივთაგან ყველაზე მდიდრებს თითო-ოროლა ცხვარი თუ დაეძებნებოდათ და მათაც, ბალახის უკმარისობის გამო თევზით კვებავდნენ.

დაძონძილმა მაკედონელებმა უიარაღოდ, უცხენოდ და სასაპალნე ჯოგის გარეშე მიაღწიეს სპარსეთის სატრაპიის, გედროსიის (დღევანდელი ბელუჯისტანი), მთავარ ქალაქს.

გედროსიას დედაქალაქში წინასწარ იყო მომზადებული ყველაფერი დაბრუნებული არმიის დასახვედრად. ალექსანდრემ დაასვენა ჯარი, შემდეგ კი სპარსეთის გავლით ბაბილონისკენ დაძვრის ბრძანება გასცა. მეფე ცდილობდა ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს ადამიანები ამაოდ არ კვდებოდნენ და რომ ინდოეთის ლაშქრობა გრანდიოზული წარმატებებით დაგვირგვინდა.

ალექსანდრეს ბრძანებით, არმიის დაბრუნებას საზეიმო სვლის ელფერი უნდა ჰქონოდა. ჯარი, ხშირ-ხშირი შეჩერებებით, ნელა მიდიოდა. წინ, რვა ცხენშებმული ეტლით, მიბრძანდებოდა მეფე, მდიდრული ამალით გარემოცული. უკან მიჰყვებოდა უთვალავი ეტლი, რომლებზეც ისხდნენ მეფის მეგობრები და მხედართმთავრები. ბოლოს მისდევდა მთელი ლაშქარი. არსად მოსჩანდა მუზარადი, ფარი, მახვილი. მეომრები თასებითა და ფიალებით უზარმაზარი თიხის ჭურჭლებიდან ხაპავდნენ ღვინოს და ლაშქრობის წარმატებით დასრულების სადღეგრძელოებს სვამდნენ. ზოგი მათგანი განაგრძობდა სვლას, ზოგი კი, მთვრალი, ძირს ეცემოდა და მანამ იყო მიწად განრთხმული, ვიდრე ვინმე არ წამოაყენებდა. ყველგან ისმოდა ფლეიტისა და სიმღერის ხმები. პროცესია ღვინის ბერძენი ღვთაების, დიონისე-ბაკქოსის ზეიმს უფრო ჰგავდა, ვიდრე არმიის შინ დაბრუნებას.

ასე გასრულდა ალექსანდრეს აღმოსავლეთის ლაშქრობა. მეომრები დაბრუნდნენ ბაბილონში, სადაც მდინარე ევფრატით ჩამოვიდა ნეარქოსიც თავისი ფლოტით.

ალექსანდრეს ხანგრძლივი არყოფნისა და მისი დაღუპვის თაობაზე არაერთგზის გავრცელებული ხმების გამო ქვეყანაში გახშირდა ამბოხებები მაკედონელთა წინააღმდეგ. ალექსანდრესვე მიერ უზარმაზარ სატრაპიათა სათავეში დაყენებულმა სპარ-

სმა დიდებულებმა და მაკედონელმა მხედართმთავრებმა ულალატეს მეფეს. ისინი თავიანთ სამფლობელოებში დამოუკიდებელი მმართველობისათვის იღვწოდნენ.

ინდოეთიდან დაბრუნებისთანავე მაკედონელმა დამპყრობელმა გაილაშქრა აჯანყებულ ტომთა და დაუმორჩილებელ სატრაპთა წინააღმდეგ. ალექსანდრეს ქმედება, ჩვეულებისამებრ, გამოირჩეოდა სისწრაფითა და სისასტიკით: მან დასაჯა მრავალი წარჩინებული სპარსი, ბერძენი თუ მაკედონელი; დაიმორჩილა ამბოხებული ტომები.

თუმცა უზარმაზარი იმპერიის რღვევამ ცხადი გახადა, რომ მართვის ძველი, სპარსული სისტემა არ იყო საიმედო, მეფემ მაინც გადაწყვიტა მისი უცვლელად შენარჩუნება. იგი იმედოვნებდა, რომ ესოდენ ხანგრძლივად არსებული სახელმწიფოს ეს მოდელი უზრუნველყოფდა მისი სამფლობელოს სიმტკიცეს.

ალექსანდრე ბაძავდა ძველ მბრძანებლებს. სპარსეთის მეფეთა ჩვეულებისამებრ, ინდოეთიდან დაბრუნებულმა ყოველ ქალს ოქროს მონეტა უბოძა, ალადგინა სპარსეთის სამეფოს დამაარსებლის, კიროსის სამაროვანი, რომელიც მაკედონელებმა დაარბიეს. გამარჯვებულთა და დამარცხებულთა შორის შუღლის მოსასპობად და მათი ერთ ხალხად გაერთიანების მიზნით ალექსანდრემ უბრძანა თავის მეომრებსა და მხედართმთავრებს, შეუღლებოდნენ სპარსელ ქალებს.

სუსაში ალექსანდრემ გრანდიოზული ქორწინება მოაწყო. სპარსელთა ადათის თანახმად, მან მეორე ცოლად შეირთო სტატირა, მის მიერვე განწირული მეფის, დარიოს III-ის ქალიშვილი. იმავდროულად, ალექსანდრეს უახლოესმა მეგობრებმა და თანამზრახველებმა, დაახლოებით 80 კაცმა, იქორწინეს წარჩინებულ სპარს ქალწულებზე. ათი ათასმა მეომარმაც იმ დღეს იზეიმა ქორწინება. მათ მეფემ ვალების გაუქმება აღუთქვა. გაიმართა მდიდრული ნადიმი. ყოველ სტუმარს ალექსანდრემ ოქროს თასი უძღვნა საჩუქრად.

ამაოდ ლამობდა მეფე მაკედონელთა და ბერძენთა სპარსელებთან დაახლოებას. სპარსელებს, რომლებსაც ჯერ კიდევ ახსოვდათ საკუთარი სამეფოს დამოუკიდებლობა და სიდიადე, სძულდათ დამპყრობელი და ყოველნაირად მტრობდნენ მას. ბერძენთა და მაკედონელთა უკმაყოფილება დღითი დღე იზრდებოდა. მეომართა განსაკუთრებული აღშფოთება გამოიწვია ალექსანდრეს გადაწყვეტილებამ, ჩაერიცხა ლაშქარში ის 30 ათასი სპარსი ჭაბუკი, რომლებიც, მისი ბრძანებით, ბერძნებთან ემზადებოდნენ სამხედრო საქმისთვის.

როდესაც მეფემ ბაბილონის მახლობლად მდებარე ქალაქ ოპისში სამშობლოში გასაგზავნ ავადმყოფ და დაჭრილ მებრძოლებთან გამოსამშვიდობებელი ზეიმი მოაწყო, მაკედონელთა ლაშქარი აჯანყდა და ყველა მეომრის შინ დაბრუნება მოითხოვა. ალექსანდრეს ეს გასაოცარ უმადურობად მოეჩვენა. იგი ჯარის წინაშე წარდგა,



ამოარჩია 13 მეომარი, რომლებიც, მისი აზრით, ყველაზე ხმამაღლა ყვიროდნენ და მათი იქვე დასჯის ბრძანება გასცა. როდესაც ცხადი გახდა, რომ ჯარისკაცები არ შეშინდნენ და შფოთი ამბოხებაში გადაიზარდა, ალექსანდრემ შეცვალა ტაქტიკა. ახლა იგი მებრძოლთა გადაბირებას, ძველ თანამზრახველთა დანამუსებას შეეცადა.

– „წადით, – მიმართავდა იგი ჯარისკაცებს – და ყველას უამბეთ, თუ როგორ მიატოვეთ საკუთარი მეფე იმ მტრის ანაბარა, რომელსაც სულ ახლახანს ებრძოდით!"

ალექსანდრემ პირობა მისცა მებრძოლებს, რომ გულუხვად დაასაჩუქრებდა და კიდევ ერთხელ შეძლო მათი დიდი ნაწილის დაყოლიება. მხოლოდ ათი ათასი ჯარისკაცი დაუბრუნდა თავის სამშობლოს.

წარმოუდგენელ ჩანაფიქრთა აღმსრულებელი ალექსანდრე თავს სავსებით ეულად გრძნობდა. მას საფუძველი ეცლებოდა. უზარმაზარი იმპერია, რომლის განუსაზღვრელი უფლებებით მოსილი მბრძანებელიც იყო იგი, მოჩვენებითი სიმშვიდისა და მორჩილების მიუხედავად, თავის თავში მრისხანე და მტრულ ძალებს ასაზრდოებდა. საკმარისი იყო ერთი მცდარი ნაბიჯი, მცირე შეცდომა, უმნიშვნელო მარცხი და ყველგან საყოველთაო ამბოხება იფეთქებდა. და რადგანაც ამ საფრთხეს გრძნობდა, ოდესლაც ეს შეუდრეკელი და შეუპოვარი მაკედონელი დამპყრობელი გახდა მხდალი და ცრუმორწმუნე. მას აწამებდა შიში. იგი ცდილობდა შეეცნო თავისი ბედი და განეჭვრიტა მომავალი. სამეფო სასახლე სავსე იყო ქურუმებით, მკითხავებით, მისნებითა და სხვა ჯურის მოლაყბეებით, რომლებიც სარგებლობდნენ მეფის სულიერი სიძაბუნით.

ალექსანდრე არ ენდობოდა უახლოეს მეგობრებსაც კი. მას ყოველგან შეთქმულება და ღალატი ელანდებოდა. იგი უფრთხოდა მამამისის სიყრმის მეგობარს, მთავარსარდალ ანტიპატროსს, რომელსაც, სპარსეთში გამგზავრების წინ, საბერძნეთისა და მაკედონიის გამგებლობა მიანდო.

ალექსანდრე თვლიდა, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეინარჩუნებდა ძალაუფლებას, თუკი ქვეშევრდომებს მისი შიში ექნებოდათ, თუკი დამორჩილებულ ხალხებს გააოგნებდა გრანდიოზული საქმეებით, თუკი ახალი გამარჯვებებით მათ საკუთარი ყოვლისშემძლეობის რწმენას შთაუნერგავდა. იგი იმედოვნებდა, რომ ეს ერთადერთი საშუალება იყო მის მიერ დამონებულ მრავალრიცხოვან ხალხთა დასაოკებლად. იმპერიის დიდ მბრძანებელს უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდა; მას არ შეეძლო შეჩერება, შესვენება, უკან მიხედვა. იგი სულ უფრო თამამსა და ფანტასტიურ მიზნებს ისახავდა. და აი, ალექსანდრე ჩაიფიქრებს დიდ საზღვაო ექსპედიციას, ნეარქოსის მეთაურობით. მის ფლოტს გარს უნდა შემოევლო არაბეთისთვის, აფრიკისათვის და ჰიბრალტარის სრუტის გავლით ხმელთაშუა ზღვად შეეღწია. მეფე ამზადებდა გრანდიოზულ ლაშქრობას დასავლეთით – ჩრდილო



აფრიკის, იტალიისა და ესპანეთის დასამორჩილებლად. ამ ჩანაფიქრის განსახორციელებლად მას განზრახული ჰქონდა საჰარის უდაბნოში გზის გაყვანა და ჭების გათხრა. სამი ათასი ბერძენი სწავლული და ხელოსანი თავდაუზოგავად მუშაობდა მდინარე ევფრატის კალაპოტის გასაღრმავებლად, რათა ქალაქი ბაბილონი ნავსადგომად გადაექციათ.

არქიტექტორმა სტასიკრატესმა განიზრახა თრაკიაში მდებარე ათონის მთის ალექსანდრეს გიგანტურ ქანდაკებად გარდაქმნა. ამ ქანდაკების მარცხენა ხელის გულზე უნდა გაშენებულიყო ათასკაციანი ქალაქი, მარჯვენა ხელიდან კი მთის ნაკადულს უნდა ეჩქეფა, რომელიც მერე ზღვას მიერთვოდა.

ეს გეგმები ნათელს ხდიდნენ, რომ საკუთარი წარმატებებით გონგადასულ მაკედონელ დამპყრობელს რეალობის გრძნობა განლტვოდა. მეფის თანამზრახველებს ესმოდათ, რომ ამ ჩანაფიქრთა განხორციელების ცდა მხოლოდ გააუარესებდა ისედაც დაღმავლობის გზაზე დამდგარი სახელმწიფოს მდგომარეობას. საჭირო იყო არა ახალ ქვეყანათა დაპყრობაზე ფიქრი, არამედ უკვე დაპყრობილ ტერიტორიათა შენარჩუნება, თუნდაც ზოგიერთ შორეულ და მეამბოხე მხარეთა დათმობის ფასად. მაგრამ ალექსანდრე უკვე აღარ იღებდა ყურად სხვათა რჩევებს, თუმცა მეფისაგან განსხვავებულ აზრთა გამოთქმას ველარავინ ბედავდა. ალექსანდრე ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ბედი სწყალობდა და ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ უცილობლად განახორციელებდა ყველა ჩანაფიქრს. იგი თვლიდა, რომ ბუნებასაც კი უნდა დაეთმო მისთვის. და ამაში რომ დაერწმუნებინა სხვებიცა და საკუთარი თავიც, მან აფრიკის ლაშქრობის დასაწყისად ზაფხულის ყველაზე მცხუნვარე თვე შეარჩია. მაგრამ ალექსანდრეს ოცნებას აღსრულება არ ეწერა. ძვ.წ. 323 წლის პირველ ივნისს მეფემ ხურვება იგრძნო, თუმცა არ შედრკა და გააგრძელა დაწყებულ საქმეზე ზრუნვა. მაშინაც კი, როდესაც ციებ-ცხელებამ ლოგინად ჩააგდო, თავის საწოლთან შემოიკრიბა მხედართმთავრები და სამომავლო ლაშქრობებზე გაებაასა. დღითი-დღე უარესდებოდა მისი ჯანმრთელობა. 13 ივნისს მეფე გარდაიცვალა. მაშინ ალექსანდრე 33 წლის იყო და თითქმის 13 წელი იმეფა. ამ საოცრად მცირე დროის მანძილზე მან აღასრულა ის, რისი აღსრულებაც მანამდე ვერავინ შეძლო – შექმნა პირველი უზარმაზარი იმპერია.

ალექსანდრეს გარდაცვალებისთანავე უმალ დაიწყო დავა იმაზე, თუ ვის უნდა რგებოდა ძალაუფლება. მეფეს არ დაუტოვებია მემკვიდრე. მისი მეუღლე, როქსანა, ფეხმძიმედ იყო მხოლოდ, ნახევარძმა კი გონებაჩლუნგი აღმოჩნდა. მეფე არც იყო დაკრძალული, რომ დავა მის ცხედართან შეიარაღებულ შეტაკებაში გადაი-

ზარდა. სულ დაავიწყდათ ალექსანდრე და მისი გვამი ოცდაათი დღის განმავლობაში არ დაუმარხავთ. ბოლოს მისანმა სასახელში ხმა გაავრცელა: „განდიდდებაო ის ქალაქი, სადაც დიადი ალექსანდრე დაიკრძალება! რადგან არ იყო სხვა მეფე მასზე აღმატებული ბედნიერებით, ვიდრე ცოცხლობდა და გარდაცვლილიც სხვებზე უფრო ბედნიერია!" ითქვა თუ არა ეს, იმ წამიდან დაიწყო ბრძოლა მისი გვამისთვის. ყველას აჯობა ალექსანდრეს მხედართმთავარმა პტოლემაიოსმა, რომელმაც მოიპარა მისი ნეშტი, მალულად წაიღო ალექსანდრიაში და იქ დაკრძალა.

ძალაუფლებისათვის ბრძოლას შეეწირა სამეფო ოჯახი. სამფლობელო კი დაინაწილეს მთავარსარდლებმა, რომლებსაც დიადოქოსები (ბერძნ. „მემკვიდრეები") უწოდეს. ალექსანდრეს მიერ შექმნილი ვეებერთელა იმპერია დაიშალა. მას დიდი ხანი არც ეწერა, იმიტომ რომ შიშითა და ძალით იყო მორჩილადქმნილი.

ასეთი იყო ალექსანდრეს ცხოვრების გზა. ასე იცვალა დიდმა დამპყრობელმა სახე, როდესაც ძალის მეოხებით ხელთ იგდო განუსაზღვრელი უფლებები, როდესაც გახდა მილიონობით მისივე მსგავსის ბედის განუსჯელი გამგებელი. ეჭვნეულობა და სისასტიკე, გარეშემომყოფთადმი ზიზღი და შეთქმულების შიში ალექსანდრეს გაუჩნდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მიაღწია ისეთ უფლებამოსილებას, მიწიერთაგან მანამდე რომ არავის ღირსებია. ალექსანდრეს სასიქადულო თვისებებმაც კი პირფერობისა და საყოველთაო თაყვანების გამო ნირი იცვალეს: მისი სიქველე გარდაისახა უსამანო პატივმოყვარეობად, სიმამაცე – განუსჯელობად, სიამაყე კი – განდიდების მანიად.

ალექსანდრეს თავისი ბიოგრაფოსები ჰყავდა. მისი ცხოვრება აღუწერია მისივე თანამებრძოლს, მხედართმთავარ პტოლემაიოსს; ბრძოლათა სურათები არისტობულოსის ჩანაწერებით შემორჩენია ისტორიას. სახელოვანმა პლუტარქოსმა კი თავი მოუყარა ყველა მართალ და არამართალ ამბავს, რაზედაც ხელი მიუწვდებოდა და იმდროინდელი სამყაროს პირველი იმპერიის დიადი მბრძანებლის დაუვიწყარი პორტრეტი დაუტოვა შთამომავლობას.

ალექსანდრე მაკედონელი — ახალმნიშვნელობა და დიადოქოსების სახელმწიფოები


PONTOS EUXEINOS
(შავი ზღვა)
ბალკანეთი
ბალკანეთის ნახევარკუნძული
ბალკანეთის ზღვა
ბალკანეთის ზღვა
ბალკანეთის ზღვა



შენიშვნები:

[1] ოლიმპიასი ელადის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ეპიროსის განმგებლის ერთ-ერთი ქალიშვილი იყო.

[2] ბუკეფალოსი ბერძნულად „ხარისთავას" ნიშნავს.

[3] არისტოტელე (ძვ.წ. 384-322 წწ.) – ძველი სამყაროს უდიდესი ფილოსოფოსი. მისი მამა ფილიპოს მეორის კარის ექიმი იყო. შესაძლოა, ეს გახდა არისტოტელეს უფლისწულის აღმზრდელად მოწვევის საბაბიც (ძვ.წ. 343 წ.). მას შემდეგ რაც ალექსანდრე სამეფო სკიპტრის მპყრობელი გახდა, არისტოტელემ ათენში დააარსა სკოლა სახელწოდებით ლიკეიონი (გიმნაზია აპოლონ ლიკეიელის ტაძრის მახლობლად). ამ სახელს უწოდებდნენ სკოლებს ახალ დროშიც. თუმცა მას შუა საუკუნეების ლათინურისთვის დამახასიათებელი გამოთქმით მოიხსენებენ: ლიცეუმი.

[4] სახელწოდება „კინიკური" ანუ „ცინიკური" (სიტყვასიტყვით თუ ვთარგმნით – „ძაღლური") დაამკვიდრეს იმ ფილოსოფოსებმა, რომელთაც დიოგენესიც ემხრობოდა. კინიკოსები თავისებურად გამოხატავდნენ ღარიბთა და უუფლებო თავისუფალთა პროტესტს მონათმფლობელურ საზოგადოებაში სიმდიდრის არათანაბარი განაწილების გამო. მოგვიანებით „კინიკოსი" („ცინიკოსი") სალანძღავ სიტყვად იქცა.

[5] სწორედ ამ გადმოცემას უკავშირდება თანამედროვე გამოთქმა: „გორდიონის კვანძის გახსნა", რაც ნიშნავს ძლიერ დახლართული ამოცანის ამოხსნას უმარტივესი გზით, ურთულესი საქმის აღსრულებას ერთი, გადამწყვეტი მოქმედებით.

[6] სოგდიანა, სპარსეთის სამეფოს ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე სატრაპია, მდებარეობდა მდინარეების, ამურ-დარიასა და სირ-დარიას შორის (ახლა იქ ტაჯიკეთისა და უზბეკეთის სახელმწიფოებია განლაგებული).

[7] ძველების რწმენით, მდინარე ოკეანოსით იყო გარშემორტყმული ხმელთაშუა ზღვაში მდებარე მიწები. ვარაუდობდნენ, რომ ეს მდინარე სათავეს იღებდა დასავლეთ ევროპაში (ატლანტის ოკეანე), მიედინებოდა აფრიკისა და არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთით, შემდეგ გარს უვლიდა ინდოეთსა და ჩრდილოეთიდან ბრუნდებოდა ევროპაში. ალექსანდრეს დროს მატერიკების ზომებზე შედარებით შემცირებული წარმოდგენა ჰქონდათ. ალბათ ამით აიხსნება ის, რომ ჰინდუკუში კავკასიონის გაგრძელებად მიაჩნდათ, ხოლო არალის ზღვა – კასპიის ზღვის ნაწილად და მას ჩრდილოეთ ოკეანის ყურეს უწოდებდნენ.

[8] თანამედროვე მდინარე ბეხატი, ან ჯელამი.

იულიუს კეისარი

რომის სახელოვანი სახელმწიფო მოღვაწე, მთავარსარდალი, იმპერატორი

(ძვ.წ. 100/102-44 წწ.)

თუკი დაარღვევ კანონს, მხოლოდ ბატონობისთვის, ისე კი, მუდამ უნდა იყო სამართლიანი[1] – ხშირად იმეორებდა თურმე ამ სიტყვებს იულიუს კეისარი, რომლის ცხოვრების არსს ძალაუფლებისადმი დაუოკებელი სწრაფვა წარმოადგენდა. იგი რომის პატრიციათა მოდგმის ჩამომავალი იყო. ამ მოდგმის ფუძემდებლად ლეგენდარული ენეასის ძე იულიუსს ასახელებდნენ, ხოლო ენეასის დედად თავად ქალღმერთი ვენუსი იგულისხმებოდა. ასე რომ, სახელოვანი იმპერატორი ღვთაებრივი წარმომავლობით ამაყობდა.

გაიუს იულიუს კეისარი დაიბადა ძვ.წ. 100 წლის[2] 12 კვინტილისს. ეს იყო რომაული კალენდრის მეხუთე თვე, რომელსაც მოგვიანებით, მისი სახელის უკვდავსაყოფად ივლისი ეწოდა. ოჯახმა იზრუნა იმაზე, რომ ნიჭიერ ყმაწვილს მიეღო ჩინებული განათლება, რაც გულისხმობდა ბერძნული ენისა და ლიტერატურის, ფილოსოფიის, ისტორიისა და ორატორული ხელოვნების ცოდნას. განსაკუთრებული მონდომებითა და წარმატებით კეისარი მჭევრმეტყველებას ეუფლებოდა. თავისი ხელოვნებით იგი მხოლოდ სახელოვან ორატორს, ციცერონს თუ ჩამოუვარდებოდა. ასე ფიქრობდა ციცერონიც.

თექვსმეტი წლის არც იქნებოდა მომავალი იმპერატორი, მამა რომ გარდაეცვალა. მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, გავლენიან ნათესავთა წყალობით მან იუპიტერის ქურუმის წოდება მიიღო. კეისრის მამიდა, იულია, ცოლად ჰყავდა სახელმოხვეჭილ მხედართმთავარს, გაიუს მარიუსს, რომელსაც შვიდგზის ეკავა



სახელმოხვეჭილ მხედართმთავარს, გაიუს მარიუსს, რომელსაც შვიდგზის ეკავა კონსულის თანამდებობა. ალბათ იულიას სურვილი იყო, რომ სულ მალე კეისარი დააქორწინეს მარიუსის უახლოესი თანამოაზრის, კორნელიუს კინას ასულზე. რომის რჩეულ საზოგადოებასთან სიახლოვე ღირსეულ ჭაბუკს ბრწყინვალე მომავალს უქადდა, თუმცა მის გავლენიან მფარველთა ძალმოსილება მალე ისტორიას ჩაბარდა. ეს მოხდა მაშინ, როდესაც სახელმწიფოს სათავეში მოვიდა სულა (ძვ.წ. 82-79 წწ.), მარიუსის დაუძინებელი მტერი.

ჩაიგდო თუ არა ხელში დიქტატორის ძალაუფლება, სულამ ქურუმის წოდება აჰყარა კეისარს და მეუღლესთან გაყრაც მოსთხოვა. ხოლო როდესაც ამაყმა და თავნება ჭაბუკმა არად ჩააგდო მისი მუქარა, ჯერ ცოლისაგან მიღებული მზითვი და მამისეული მემკვიდრეობა ჩამოართვა, ხოლო შემდეგ კი მისი მოკვლის ბრძანებაც გასცა. კეისარი იძულებული გახდა, რომიდან გაქცეულიყო. იგი ყოველ ღამე იცვლიდა სადგომს, რადგანაც ვერსად გრძნობდა თავს უსაფრთხოდ. რომში აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც გაბედეს და სთხოვეს სულას, შეეწყნარებინა ჭაბუკი. ამბობენ, რომ დიქტატორმა მათ ასე მიუგო: „როგორ ვერ ხედებით, რომ კეისრის გადარჩენით დაღუპავთ იმ საქმეს, რომლისთვისაც ასე ვიბრძოდით: ამ ერთ ყმაწვილში უამრავი მარიუსია ჩაბუდებული!" მიუხედავად ამგვარი რწმენისა, სულამ მაინც შეიწყნარა კეისარი, რომელმაც, გადასცეს რა ეს სიტყვები, დაუხანებლივ დატოვა იტალია. მან სამსახური დაიწყო რომაულ ჯარში და თავი გამოიჩინა ლესბოსის ქალაქ მიტილენეს აღებისას, რის გამოც ჯილდოდ მიიღო მუხის რტოების გვირგვინი.

სულას გარდაცვალების შემდეგ კეისარი დაბრუნდა რომში, მაგრამ მალე გაემგზავრა როდოსისაკენ, რათა მჭევრმეტყველების ხელოვნებას დაუფლებოდა სახელმოხვეჭილ აპოლონიოს მოლოსთან. ეგეოსის ზღვაში, კუნძულ ფარმაკუსას მახლობლად იგი ტყვედ იგდეს ყაჩაღებმა და გამოსასყიდად 20 ტალანტონი მოსთხოვეს.

„იაფად მაფასებთ!" – გაუცინია დატყვევებულს და 50 ტალანტონს შეპირებია თავის გამოსახსნელად. შემდეგ კეისარმა თანამგზავრები დაგზავნა ფულის შესაგროვებლად, თავად კი ყაჩაღებთან დარჩა პირადი ექიმისა და ორი მსახურის ამარა. ორი თვე დაჰყო ყაჩაღებთან ისე, რომ მათი შიში არ ჰქონია. პირიქით, ისე იქცეოდა, თითქოს ისინი მას მცველებად ემსახურებოდნენ. მოსასვენებლად განწყობილი უკრძალავდა მათ მღერას და ხმაურს, აიძულებდა მოესმინათ მის მიერ შეთხზული სიტყვები და პოემები, ხოლო როდესაც ყაჩაღების სახეზე აღფრთოვანებას ვერ ამჩნევდა, ლანძღავდა მათ, ველურებს უწოდებდა და ჩამოხრჩობით ემუქრებოდა. სასაცილოდ არ ჰყოფნიდათ ყაჩაღებს მისი მუქარა. ამბობენ, აოცებდათო მათ ტყვე-ჭაბუკის ხალისიანი განწყობილება.



სულ მალე ცხადი გახდა, რომ კეისარი ამაოდ არ იმუქრებოდა. როდესაც გამოსასყიდი თანხა ყაჩაღებს გადაუხადა და თავისუფლება დაიბრუნა, შეკრიბა რამდენიმე სამხედრო ხომალდი და დამტყვევებლებს დაედევნა. იქ დაეწია, ფარმაკუსასთან, სადაც თავად დააყაჩაღეს. ხელთ იგდო ყველა. ჯერ თავისი ფული დაიბრუნა, ხოლო შემდეგ კი ყაჩაღები ჯვარს აცვა ისე, რომ ხელისუფალთა თანხმობას არც კი დალოდებია.

მთელი წელი დაჰყო კეისარმა როდოსზე. თავდაუზოგავმა შრომამ თავისი ნაყოფი გამოიღო: თანამედროვენი აღფრთოვანებით ისმენდნენ მის ბრწყინვალე სიტყვებს. აპოლონიოს მოლოს მოწაფე უკვე სახელმოხვეჭილი ციცერონიც კი აღიარებდა, რომ კეისრის მიერ წარმოთქმული სიტყვები გამოირჩეოდნენ მახვილგონიერებით, სისხარტითა და აზრის გამოთქმის სინათლით. საგულდაგულოდ შერჩეული სიტყვები, მოხდენილად აწყობილი ფრაზები კეისრის ყოველ გამოსვლას საზეიმო დიდებულების ელფერს ჰმატებდნენ. მის წარმატებას ხელს უწყობდა ხმის სილამაზეც.

რომში სულას გარდაცვალების შემდეგ მის მიერ დამყარებული დიქტატურის მოწინააღმდეგეთა ამბოხებამ იფეთქა და კეისარმაც სათანადოდ გამოიყენა ეს დრო სამშობლოში დასაბრუნებლად. მას არ მიუღია მონაწილეობა ამ ამბოხებაში დედის რჩევით, რომელიც მისი კრახით დასრულებას წინასწარმეტყველებდა.

კეისარმა მალე მიიმხრო საზოგადოება მისთვის ჩვეული სითამამით, მსჯავრს დებდა რა აწ გარდაცვლილი დიქტატორის გავლენიან თანამზრახველებს. ძალას, ენერგიასა და სახსრებს არ იშურებდა იგი ხალხის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად. უზარმაზარი ვალის აღება მოუხდა, რათა სამხედრო ტრიბუნის თანამდებობა მიეღო. ამის შემდეგ კი მაღლა და მაღლა მიიწევდა და ახლა უკვე ერთი მეორის მიყოლებით სთავაზობდნენ მას საპატიო წოდებებს. იყო კვესტორიც (კონსულის დამხმარე ფინანსურსა და სამსჯავრო საქმეებში), ედილიც (მოხელე, რომელსაც ქალაქის კეთილმოწყობა და ქალაქური ზეიმები ევალებოდა). ამ თანამდებობაზე კეისარი ენერგიულად შეუდგა რომის გამშვენიერების საქმეს, ხოლო ხარჯებით, ხალხის გართობას რომ ემსახურებოდა, ყველა დაჩრდილა, ვისაც ოდესმე ღირსებია ეს სამსახური. მან პირველმა დაუთმო არენა გლადიატორთა მანამდე არნახულ რაოდენობას – 320 წყვილი ერთ ჯერზე – და ეს იყო ბევრად უფრო ცოტა, ვიდრე მას სურდა. აი, როგორ ახასიათებდა მას პლუტარქოსი: „რომში კეისარმა თავისი მეჭურმეტყველური გამოსვლებით სამსჯავროებში ბრწყინვალე



სულა

წარმატებები მოიპოვა, ხოლო თავაზიანობითა და კეთილგანწყობით უბრალო ხალხის სიყვარულიც დაიმსახურა, რადგან ყოველი ადამიანისადმი უფრო მეტ ყურადღებას იჩენდა, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო მისი ასაკის კაცისაგან. ხოლო ნადიმები, წვეულებები, და საერთოდ, ცხოვრების წესის დიდებულება ხელს უწყობდა მისი გავლენის გაძლიერებას სახელმწიფოში. ალბათ ციცერონი იყო პირველი, რომელმაც სახიფათოდ აღიქვა კეისრის მოღვაწეობა გარეგნულად მშვიდი, გაკრიალებული ზღვის მსგავსი და ამ ადამიანში განჭვრიტა მხიარულსა და მოალერსე ნიღაბს ამოფარებული მტკიცე და შეუპოვარი ხასიათი. იგი აღნიშნავდა, რომ კეისრის ყველა ჩანაფიქრსა და მოქმედებაში ძალაუფლების ხელში ჩაგდების მძაფრი სურვილი გამოკრთოდა. „მაგრამ – დასძენდა ამასთანავე – როდესაც ვხედავ, თუ რა საგულდაგულოდ არის დალაგებული მისი თმა და როგორ მოხდენილად იფხანს იგი თავს ერთი თითით, მეჩვენება, რომ ამ ადამიანს არ შეუძლია ისეთი დანაშაულის ჩადენა, როგორიც არის რომის სახელმწიფო წყობის დამხობა" (პლუტარქოსი, კეისარი, IV).

კეისარი კი სწორედ ამ მიზანს ისახავდა. იგი თვლიდა, რომ შეეძლო არისტოკრატულ-რესპუბლიკური წყობის დამხობა მრავალრიცხოვან პლებსზე დაყრდნობით. ამიტომ იყო სახსრებს რომ არ იშურებდა და ვალებში იძირებოდა.

რომში ჯერ კიდევ მრავლად იყვნენ მარიუსის ყოფილი მომხრეები. მათ სძულდათ სულა, მაგრამ ხმას ვერ იღებდნენ იმათი შიშით, ვისაც ჯერ კიდევ ეკავა თანამდებობა. და აი, კეისარმა სცადა მათი შეგულიანება. მან სითამამით გაუგონარი რამ მოიმოქმედა: ღამით, კაპიტოლიუმის ბორცვზე აიტანა მარიუსის მოოქროებული ქანდაკებები. მათი წარწერები იუწყებოდნენ მხედართმთავრის სახელოვან საქმეთა ამბებს. სენატი ღელავდა პოპულარების სახალხო პარტიის აღორძინებით და კიდევ იმით, რომ „კეისარი ახლა მხოლოდ ძირს კი არ უთხრიდა რესპუბლიკას, არამედ თავს ესხმოდა ყველა იარაღით" – როგორც გამოთქვა ერთმა სენატორმა. ხალხი კეისრის მხარეს იყო, ხოლო სენატმა იგი კანონის დარღვევაში დაადანაშაულა. სამსჯავროზე კეისარმა ისეთი საპასუხო სიტყვა წარმოთქვა, რომ იოლად აიცილა სასჯელი, რითაც უამრავი აღფრთოვანებული მომხრე შეიძინა.

ამის შემდეგ მან წარადგინა თავისი თავი უზენაესი ქურუმის – დიადი პონტიფექსის თანამდებობაზე. ამ დროისათვის მას ისეთი ვალი დაედო, რომ არჩევნებზე მიმავალმა სახლიდან გასვლის წინ დედას დაუბარა: „დღეს ან დიდებულ პონტიფექსად დაგიბრუნდები, ან რომიდან გამაძევებენ". კეისარმა ბრწყინვალე გამარჯვება იზეიმა, მიიღო რა უფრო მეტი ხმა, ვიდრე ორივე მოცილემ ერთად. იმხანად განცხადდა ლუკიუს სერგიუს კატილინას შეთქმულება, რომელიც სახელმწიფო გადატრიალებას ისახავდა მიზნად. როგორც კი იგრძნო საფრთხე, კატი-



ლინამ დატოვა რომი. მაგრამ ქალაქში დარჩნენ მისი მომხრენი, რომელთა სიკვდილით დასჯასაც ერთხმად ითხოვდა სენატი. წინააღმდეგ გამოვიდა მხოლოდ კეისარი, რომელიც ქადაგებდა შეთქმულების არა დახოცვას, რადგან ისინი რომის უძველესი და ღირსეული მოდგმის ჩამომავალნი იყვნენ, არამედ დატყვევებას ქონების ჩამორთმევით. რატომ ითხოვდა კეისარი ასეთი თავგამოდებით კატილინას მომხრეთა შეწყალებას? დაკითხვისას ცხადი გახდა, რომ თითქმის ორი წლის განმავლობაში კრასუსი და კეისარი ფარულ მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ კატილინასთან იმ იმედით, რომ მიიღებდნენ განუსაზღვრელ უფლებებს რესპუბლიკაში. კატილინა გამარჯვების შემთხვევაში თავის მომხრეებს ჰპირდებოდა ვალების გაუქმებასა და მდიდართა ქონების დანაწილებას. და აი, მდიდარი კრასუსი დაფრთხა, განზე განუდგა შეთქმულებს და კონსულ ციცერონს გადასცა მათი მამხილებელი საბუთები. იმ დროისათვის კეისარი, ფლობდა რა უზენაესი პონტიფექსის თანამდებობას, ისეთი სიყვარულით სარგებლობდა ხალხში, რომ ციცერონმა არ ისურვა მისი დადანაშაულება. კონსული დარწმუნებული იყო, რომ იგი ვერ გაბედავდა ხმის ამაღლებას, საკუთარი უსაფრთხოების მიზნით მაინც. მაგრამ კეისარს ეყო ჭკუა და სითამამე, წინ აღდგომოდა სენატს სწორედ მაშინ, როდესაც მის მეგობართა ბედი წყდებოდა. ხალხი არასოდეს აპატიებდა მას, არ დაეცვა ისინი, ვინც გაილაშქრა მდიდართა და არისტოკრატთა ძალმომრეობის წინააღმდეგ.

კეისარმა ბრწყინვალე სიტყვა წარმოთქვა. მან თავი ისე მოაჩვენა ყველას, თითქოს ზრუნავდა არა შეთქმულთა, არამედ სენატორთა ბედზე, რომელთა დაუფიქრებელი გადაწყვეტილება სახალხო მღელვარებას გამოიწვევდა. თავისი ღრმა და გააზრებული სიტყვით კეისარი ალბათ მიიმხრობდა კიდეც სენატს, სენატორ მარკუს კატოს რომ არ დაერწმუნებინა შეკრებილი საზოგადოება შეთქმულთა სიკვდილით დასჯის აუცილებლობაში. კეისარი კი ემსხვერპლებოდა ამ სითამამეს, ციცერონს რომ არ ეხსნა იგი. კონსულმა სენატს დაუდასტურა, რომ მან თავად ამცნო კეისარს შეთქმულების ზოგი საიდუმლო.

მომდევნო წელს (ძვ.წ. 67 წ.) კეისარმა პრეტორის (უზენაესი მოსამართლე და კონსულის მოადგილე) თანამდებობა მიიღო. აქაც სცადა მან, ეთამაშა ღარიბთა და უპოვართა გრძნობებზე, რათა მათი „ერთადერთი ქომაგის" სახელი დაემსახურებინა: მისი წინადადებით სენატორმა კატომ მიიღო კანონი, რომლის თანახმადაც სახელმწიფოს ხარჯზე მოარსებე ღატაკთა რაოდენობა უნდა გაზრდილიყო.

პრეტორის მოვალეობიდან გათავისუფლების შემდეგ კეისარს სამართავად გადასცეს პროვინცია ესპანეთი. მაგრამ იგი ქალაქიდან ვერ გადიოდა, მოვალეები არ უშვებდნენ, რადგანაც მისმა ვალმა ასტრონომიულ ციფრს მიაღწია – 25 მილიონ სესტერციუსს. მაგრამ წყალობდა ბედი კეისარს: თავდებობა რომის უმდიდ-



რესმა წარჩინებულმა – მარკუს ლიკინიუს კრასუსმა იკისრა. უანგარო როდი იყო ეს თავდებობა: კრასუსი იმედოვნებდა, რომ კეისრის გავლენებს პომპეუსის წინააღმდეგ ბრძოლისას გამოიყენებდა. ესპანეთის მმართველს კი გამდიდრების საშუალება ეძლეოდა.

პროვინციისკენ მიმავალი გზა ერთობ დამღლელი აღმოჩნდა. გალიის ერთი უბადრუკი ქალაქის ხილვისას ვილაცამ ამალიდან კეისრის გასამხნევებლად თუ გასამხიარულებლად იკითხა: „ნუთუ აქ, ამ მივარდნილ ადგილზეც იბრძვიან ადამიანები ძალაუფლებისათვის, შურთ ერთმანეთის, გაიძვერობენ?" „რა თქმა უნდა, – უპასუხა მას კეისარმა, – მაგრამ მე ვისურვებდი ვიყო პირველი აქ, ვიდრე მეორე რომში!" (პლუტარქოსი, კეისარი, XI).

კეისარი ყოველთვის იყო პატივმოყვარე. ამ მიყრუებულ პროვინციაში კი მას კიდევ უფრო მეტად არ ასვენებდა განდიდების მძაფრი წადილი. ერთხელ ალექსანდრე მაკედონელზე წიგნის კითხვით გართულს ცრემლები წამოსცვენია. „რა გატირებსო?" – უკითხავთ ამის მხილველებს. პასუხად კი კეისარს უთქვამს: „ალექსანდრეს ჩემს ასაკში უკვე მრავალი ქვეყანა ემორჩილებოდა, მე კი ჯერ ერთი სასახელო საქმეც არ ჩამიდენია" (იქვე).

ესპანეთში ყოფნისას კეისარმა პირველად გააცნობიერა ის, რომ განუსაზღვრელი უფლებების ხელში ჩასაგდებად უნდა დაყრდნობოდა მხოლოდ კარგად გაწვრთნილ ერთგულ ჯარს და არა ღარიბ მოსახლეობას. მან თავი გამოიჩინა როგორც ნიჭიერმა მხედართმთავარმა, მრავალი ტომი დაიმორჩილა და დიდძალი სიმდიდრეც ჩაიგდო ხელში. კეისარმა გულუხვად დაასაჩუქრა თავისი თანამებრძოლები, მათ კი მადლიერების ნიშნად იგი იმპერატორად აღიარეს.

სიტყვა „იმპერატორი" რესპუბლიკურ რომში მხოლოდ საპატიო სამხედრო ტიტული იყო, რომელიც ენიჭებოდა გამარჯვებულ მთავარსარდალს რომის სენატის გადაწყვეტილებით ან სულაც მისივე ჯარის სურვილით. ამ ტიტულის მფლობელი, ძალაუფლების თვალსაზრისით, პრივილეგიებით არ სარგებლობდა.

კეისარი რომისკენ ისწრაფოდა, რათა თავისი თავი წარედგინა კონსულის თანამდებობაზე. ამჯერად მან უარი თქვა ტრიუმფზე, რადგანაც საზეიმო სვლით რომში შესვლის მსურველი ქალაქის კედლებს მიღმა უნდა დალოდებოდა მისთვის განკუთვნილ რიგს. დრო კი არ ითმენდა. კეისარმაც დიდებას ძალაუფლების ხელში ჩაგდება ამჯობინა და ამჯერადაც გაუმართლა. სენატის პარტიის წინააღმდეგობებისდა მიუხედავად იგი კონსულად აირჩიეს. მეორე კონსული, მარკუს ბიბულუსი, შეურიგებელი არისტოკრატი იყო. წარჩინებულებმა სცადეს კეისრის გამარჯვება დაეკნინებინათ. ამიტომ სენატმა მიიღო დადგენილება იმის თაობაზე,



რომ ამ წელს არჩეული კონსულები არ დაენიშნათ მმართველებად პროვინციებში. მათ უმნიშვნელო საქმე ჩააბარეს – სახელმწიფო ტყეებისა და საძოვრების მოვლა.

კეისარს კარგად ესმოდა, რომ მხოლოდ მას გაუჭირდებოდა სენატთან ბრძოლა. ამიტომ განაახლა მეგობრობა კრასუსთან და თანამდგომად იხმო სახელგანთქმული მხედართმთავარი პომპეუსი. თუმცა კრასუსი და პომპეუსი აგერ უკვე ათი წელი იყო, რაც ერთმანეთს ექიშპებოდნენ, კეისარმა მაინც დაარწმუნა ისინი, რომ გაერთიანებული ძალებით იოლად შეძლებდნენ თავის ნებაზე ეტარებინათ სენატიცა და სახალხო კრებაც. პომპეუსი ვარაუდობდა, რომ ამ კავშირით განიმტკიცებდა უფლებებს აღმოსავლეთში. სურდა აგრეთვე თავის ხანდაზმულ ჯარისკაცთა დაჯილდოებაც. ამიტომ მან სიამით მიიღო კეისრის წინადადება და უფრო მეტიც, დაუნათესავდა კიდეც, იქორწინა რა მის ქალიშვილ იულიაზე.

ამგვარად ძვ.წ. 60 წელს რომის სამმა აღმატებულად ძლევამოსილმა კაცმა შეკრა საიდუმლო კავშირი, ტრიუმვირატი (სამი კაცის შეთანხმება), არსებული არისტოკრატული წყობის დამხობისა და საკუთარი ძალაუფლების დამყარების მიზნით.

ტრიუმვირატი თავდაპირველად იყო ფარული. მაგრამ როდესაც მომავალმა დიქტატორმა დაინახა, რომ სენატი მის ყველა წინადადებას უგულებელყოფდა, ფორუმზე იხმო შეთქმულები და თანადგომა სთხოვა მათ წინააღმდეგ, ვინც იარაღით ხელში აბრკოლებდა ხალხის საკეთილდღეო კანონების მიღებას. მეგობრებმა დახმარება აღუთქვეს, პომპეუსმა კი დასძინა: „თუკი ვინმე იშიშვლებს მახვილს, მახვილითა და ფარით მეც წინ აღვუდგებიო". მალე მან თავისი შეიარაღებული მეომრებით დაიკავა ფორუმი. დაფრთხნენ დიდგვაროვანნი და კეისრის ნებას დაჰყვნენ.

მეორე კონსული, მარკუს ბიბულუსი, ცდილობდა ჩაეგდო ახალი კანონები არასასურველი ზეციური ნიშნების მოშველიებით, მაგრამ კეისარმა იგი ფორუმიდან გააძევა. მეორე დღეს ბიბულუსმა სენატს კეისრის საქციელის დაგმობა მოსთხოვა, მაგრამ ტრიუმვირთა შიშით ხმის ამოღება ვერვინ გაბედა. ბიბულუსი ისეთმა სასოწარკვეთილებამ შეიპყრო, რომ შინ ჩაიკეტა და არც გამოსულა იქიდან, სანამ მისი კონსულობის დრო არ ამოიწურა. მას შემდეგ კეისარი ყოველ საქმეს საკუთარი თვალსაწიერიდან განაგებდა. ამბობენ, ზოგიერთი ხუმარა, როდესაც წერილს ათარიღებდა, ნაცვლად ჩვეული მინაწერისა – „კეისრისა და ბიბულუსის კონსულობის წელი", ასე მიანიშნებდა: „იულიუსისა და კეისრის კონსულობის წელი". და მართლაც, კეისარმა შეძლო თავისი ნების გაბატონება სენატში, ტრიუმვირატის მომხრეთა დანიშვნა უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობებზე. როდესაც მისი კონსულობის ხანა გასრულდა, ხუთი წლით სამართავად მიიღო გალია, რაც მას საშუალებას აძლევდა, შეექმნა კარგად შეიარაღებული არმია. იმხანად რომაელე-



ბი გალიის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს ფლობდნენ. კეისარმა განიზრახა ამ ქვეყნის ერთიანად ხელში ჩაგდება. თითქმის ათი წელი შეალია მან ამ საქმეს. დაიპყრო უზარმაზარი ტერიტორია. ბრიტანეთზეც კი გაილაშქრა, იქ, სადაც ჯერაც არ დაედგა ფეხი რომაელს. გალია რომის პროვინციად გამოცხადდა და დაიბეგრა. კრასუსისა და პომპეუსის შემწეობით კეისარმა მიაღწია იმას, რომ არმიაზე მბრძანებლობა კიდევ ხუთი წლით გაუგრძელეს. სახელმწიფოსგან მიღებულ ოთხ ლეგიონს მან საკუთარი ხარჯით აღჭურვილი კიდევ ექვსი ლეგიონი შეეპმატა. მისი დიდება იზრდებოდა, რასაც ხმარდებოდა ის ნადავლი ბრძოლების ჟამს რომ ხელთ იგდებდა მხედართმთავარი. კეისარმა ჯარისკაცებს გაუორმაგა საზღაური და არ იშურებდა სახსრებს საჭირო საქმისათვის. ის აკეთებდა იმას, რასაც მიიჩნევდა აუცილებლად ისე, რომ რჩევას არ ეკითხებოდა არც ხალხსა და აღარც სენატს.

გალიის ბრძოლებს კეისარმა მიუძღვნა წიგნი სათაურით „გალიის ომის ჩანაწერები", რომლის დახვეწილობამ, მსუბუქმა და უბრალო სტილმა ისე აღაფრთოვანა ციცერონი, რომ ასეთი რამ ათქმევინა: „ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ კალამს ველარ აიღებ ხელშიო".

კეისარი რომის პირველ კაცად აღიარეს. იგი წარმოუდგენელი გავლენით სარგებლობდა. გასული იყო თითქმის ათი წელი და გალიაზე მისი უფლებების ვადა იწურებოდა. ტრიუმვირატი დაიშალა. კრასუსი დაიღუპა მცირე აზიაში, ხოლო პომპეუსი რესპუბლიკის ისტორიაში პირველად აირჩიეს „ერთპიროვნულ კონსულად", ანუ იგი რომს მარტო მართავდა. გარდაიცვალა მისი მეუღლე, იულია (კეისრის ქალიშვილი). ახლა პომპეუსს ძალაუფლების ერთადერთი მოცილე ჰყავდა – ეს იყო იულიუს კეისარი. და პომპეუსმა, ყოფილ თანამზრახველთან საომრად შემართულმა, მიიღო კანონი, რომელიც კრძალავდა კეისრის კონსულის თანამდებობაზე დანიშვნას მანამ, ვიდრე იგი თავის ჯარს არ დაშლიდა. კარგად ხვდებოდა პომპეუსი, რომ კეისარი არა თუ არ დაშლიდა თავის ჯარს, არამედ პირიქით, თავს მოუყრიდა და სამოქალაქო ომს დაიწყებდა. სენატი ვარაუდობდა, რომ მცირე რაზმით იმპერატორი ვერ გაბედავდა რომში შეჭრას, მთელ გალიაში გაფანტული მისი მეომრების შეგროვებას კი დრო სჭირდებოდა. ამიტომ პომპეუსს უნდა დაეწრო. სენატმა მას სახელმწიფო ხაზინიდან დიდძალი თანხა გამოუყო. ქალაქებში კი საოცარი სისწრაფით გროვდებოდა დამატებითი სახსრები.

კეისარმა, უპირველეს ყოვლისა, თავის ლაშქარს უხმო. წლების მანძილზე მიღებული გამოცდილებით იგი ამჯობინებდა ემოქმედა უმალ მოულოდნელობის ეფექტითა და გამბედაობით, ვიდრე დრო დაეკარგა საგულდაგულო მზადებებში. ამ ისტორიული მოვლენების თაობაზე აპიანუსი წერდა: „ეს დიადი ომი კეისარმა ხუთი ათასი მებრძოლით დაიწყო. მან განიზრახა, დაუხანებლივ გადასულიყო შე-

ტევაზე, რათა მოესწრო მისთვის ხელსაყრელი ადგილების დაკავება იტალიაში. წინ წარიმძღვარა თავისი მხედართმთავრები სამოქალაქო სამოსში გამოწყობილი მამაცი მეომრების თანხლებით. მათ უნდა შეეღწიათ არიმინუმში (თანამედროვე რიმინი ჩრდილოეთ იტალიაში) და სასწრაფოდ აეღოთ გალიიდან იტალიისკენ მიმავალ გზად მდებარე ეს პირველი ქალაქი. თავად კეისარმა კი საღამო ხანს უგუნებობა მოიმიზეზა, მიატოვა ვახშამი და განმარტოვდა. შემდეგ ეტლში ჩაჯდა და არიმინუმისაკენ გაემართა. ოდნავ მოშორებით მას თავისი ერთგული მოსაგრეები მისდევდნენ. მალე მიადგა იგი მდინარე რუბიკონს, რომელიც გალიისა და იტალიის საზღვარზე მიედინებოდა. კეისარი შეჩერდა. დიდხანს უმზერდა მდინარეს და ფიქრობდა იმ უბედობებზე, რომელიც ამ ომს უნდა მოჰყოლოდა. ბოლოს მიბრუნდა დადუმებული მეგობრებისკენ და აუწყა: „თუ ეს მდინარე არ გადავლახე, ბედი უკულმა დატრიალდება ჩემთვის, ხოლო თუ გადავლახე – ყველასათვის!" შემდეგ, თითქოს მაღლიდან შთაგონებულმა წამისუმალ გადაიარა რუბიკონი და შეჰყვირა: „დაე, ასე გადაწყდეს ბედი!"

სწრაფად მიადგა კეისარი არიმინუმს, მზის ამოსვლამდე დაიპყრო და გზა განაგრძო. ელვის სისწრაფით იგდებდა ხელთ იგი ქალაქებს. პანიკურმა შიშმა მოიცვა მოსახლეობა, რომელიც ვერ ხვდებოდა, რა ხდებოდა. ყველას ეგონა, რომ კეისარი წინ მიიწევდა ურიცხვი ჯარით" (აპიანუსი, სამოქალაქო ომები, II, 34-35).

ძალაუფლების ხელში ჩაგდების სურვილით მოღვაწეობა იულიუს კეისარმა დაიწყო მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო ოცი წლის. რუბიკონი რომ გადალახა (ძვ.წ. 49 წლის 10 იანვარს) თავისი ცხოვრების ორმოცდაათი წელი უკვე განვლილი ჰქონდა.

„არიმინუმის აღების შემდეგ ომისთვის თითქოს ყველა კარი ერთად გაიღო ყოველ სახელმწიფოსა და ყოველ ზღვაზე. წარიხოცა პროვინციათა ყველა სამანი და მასთან ერთად რომაელთა ყველა კანონი. ისე ჩანდა, თითქოს მხოლოდ ადამიანები კი არ დაქროდნენ შეძრწუნებულნი იტალიაში, არამედ თავად ქალაქებიც მოსწყდნენ საფუძრებს და ერთმანეთს ეომებოდნენ" (პლუტარქოსი, კეისარი, XXXIII-XXXIV).

ისეთი სისწრაფით მიიწევდა წინ კეისარი, რომ პომპეუსმა ჯარის შეკრებაც ვერ მოასწრო, ისე გაიქცა საბერძნეთში. გაიქცნენ კონსულებიც, სენატორებიც. ყველა დაიბნა. კეისრის მომხრეებსაც ისე დაებინდათ გონება, რომ ისინიც „ამ საყოველთაო ლტოლვის მორევში აღმოჩნდენ" (პლუტარქოსი, იქვე). ალარავინ იცავდა ქალაქის კარიბჭეს და კეისარი შევიდა რომში. პომ-



პეუსმა ვერ მოასწრო თან წაელო სახელმწიფო ხაზინა და ახლა იგი გამარჯვებულს ხელთ ჩაუვარდა. როდესაც სახალხო ტრიბუნთაგან ერთერთმა მას წინააღმდეგობა გაუწია და შეახსენა კანონი ხაზინის ხელშეუხებლობის თაობაზე, კეისარმა წამოიძახა: „განა არ იცით, რომ იარაღი კანონებს არ ემორჩილება!"

პომპეუსმა სცადა პროვინციებში თავმოყრილი ჯარების ამოქმედება. გადამწყვეტი ბრძოლა შედგა ძვ.წ. 48 წლის 6 ივნისს თესალიის ქალაქ ფარსალუსთან. აქაც იმძლავრა კეისარმა, ისე დააფრთხო პომპეუსის ჯარისკაცები, რომ სამარცხვინოდ უკუაქცია. ხოლო როდესაც პომპეუსმა ეს დაინახა „თავ-გზა აებნა, დაავიწყდა რომ იყო დიადი პომპეუსი და იმ კაცს დაემსგავსა, რომელსაც ღმერთმა გონება აურია" (პლუტარქოსი, კეისარი, XLV). მთავარსარდალმა მცირერიცხოვანი ამალის თანხლებით მიაშურა პტოლემაიოსთა ეგვიპტეს, სადაც ვერაგულად მოკლეს. მაგრამ ეს ჯერ არ იცოდა კეისარმა. იგი დიდებით მოსილი დაბრუნდა რომში, სადაც დიქტატორად აღიარეს. ჩვეულებრივ, დიქტატორებს ნიშნავდნენ უკიდურესი არეულობის ჟამს, როცა სახელმწიფოს სჭირდებოდა „ძლიერი ხელი" და მათი უფლებამოსილება წელიწადნახევარს არ აღემატებოდა. კეისარს კი ეს წოდება სიცოცხლის ბოლომდე გაუხანგრძლივეს.

მალე კეისარი ეგვიპტისაკენ გაემართა, რათა საბოლოოდ გაენადგურებინა პომპეუსი და პტოლემაიოსთა სახელმწიფოდან ათი მილიონი სესტერციუსი ამოელო თავისი მეომრებისთვის. იმხანად ეგვიპტეს მართავდნენ მცირეწლოვანი პტოლემაიოს XIII მეურვეები, რომლებსაც მეფის უფროსი და და თანამეტახტე, კლეოპატრა VII, სახელმწიფოდან გაეძევებინათ.

როდესაც კეისარი ალექსანდრიას მიადგა, ეგვიპტელებმა ლანგრით მიართვეს პომპეუსის მოკვეთილი თავი და ბეჭედი. ამის მხილველი კეისარი შეწუხდა, მაგრამ ეს წუხილი მოჩვენებითი იყო. მან რომაელთა გულის მოსაგებად საკადრისი პატივი მიაგო მთავარსარდლის ხსოვნას და რამდენადაც თავის გარშემო მტერს ველარ ჭვრეტდა, თავს უფლება მისცა ხანგრძლივი დროით დარჩენილიყო ეგვიპტეში.

რომში თავდაპირველად არ სჯეროდათ კეისრის გამარჯვებისა, მაგრამ როდესაც ეგვიპტიდან გაგზავნილი პომპეუსის თავი და ბეჭედი იხილეს, საოცარი რამ მოხდა: „სახელმწიფოს გავლენიანი პირები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მლიქვნელობაში. თავს არ იზოგავდნენ და ისე იქცეოდნენ, თითქოს კეისარი იქ იყო და ყველაფერს ხედავდა" (დიო კასიუსი, რომაული ისტორია, 42, 19-21). რომაელ დიქტატორს განუსაზღვრელი უფლებები მიანიჭეს, ისეთი, რაც მანამდე სხვას არ ჰქონია: თანამდებობის პირთა დანიშვნა მისი სურვილისამებრ უნდა მომხდარიყო. და კეისარმაც გამოიყენა ეს უფლება. ტრადიციის და ყველა წესის დარღვევით ცხენოსანთა ჯარის მთავარსარდლად (ეს უმაღლესი სამხედრო წოდება იყო) დანიშნა

მარკუს ანტონიუსი, რომლის სახელიც სამუდამოდ დაუკავშირდება ეგვიპტის დედოფლის სახელს. ეს იქნება კლეოპატრა VII, რომელსაც ბედად ეწერა ჯერ დიდი კეისრის საყვარელი ყოფილიყო.

მაშ ასე: კეისარი ალექსანდრიაშია, რომლის სამეფო კარი სამოქალაქო ომს იწყებდა. ეგვიპტეს მცირეწლოვანი პტოლემაიოს XIII მეურვეები მართავდნენ. მათ მიერ გაძევებული კლეოპატრა კი დიდძალი ჯარით ეგვიპტისა და პალესტინის საზღვართან იდგა. იქვე მოეყარა თავი ეგვიპტის უზარმაზარ არმიას. კლეოპატრამ ბრძნული გადაწყვეტილება მიიღო: კეისარს დაუკავშირდა. მას ძალაუფლების ხელში ჩაგდების ერთადერთ გზად კეისართან პირისპირ საუბარი ესახებოდა. როგორც კი დიდი რომაელისგან თანხმობა მიიღო, იგი მალულად შეიპარა სამეფო სასახლეში. აი, როგორ აგვიწერს ამ სურათს პლუტარქოსი: „კლეოპატრამ თან წაიყვანა მხოლოდ ერთი მეგობარი. ეს იყო აპოლოდოროს სიცილიელი. ისინი ჩასხდნენ პატარა ნავში და შუაღამისას მიუახლოვდნენ სამეფო სასახლეს. შეუმჩნეველი რომ ყოფილიყო, კლეოპატრა გაეხვია ბარდანაში. აპოლოდოროსმა გარს შემოაკრა ბარდანას თასმები, მოიგდო ზურგზე და კეისართან შეიტანა. ასე ამბობენ, კლეოპატრას ამ თამამმა და ოინბაზურმა საქციელმა თავიდანვე მოხიბლაო კეისარი, ხოლო მისი სილამაზითა და დიდებულებით მონუსხულმა იგი მეფესთან შეარიგა, რათა ერთად ემართათ სახელმწიფო" (პლუტარქოსი, კეისარი, 49). იმ წუთიდან ეგვიპტის დედოფალი დიდი რომაელის საყვარლად იქცა. მაშინ კეისარი 52 წლის იყო, კლეოპატრა კი მხოლოდ ოცის. მალე მათ შეეძინებათ ვაჟი, რომელსაც კესარიონს დაარქმევენ. მანამდე კი დიქტატორს „ალექსანდრიულად" წოდებული ომი უნდა მოეგო, რათა რომაელთა და ლეგენდად ქცეული კლეოპატრას წინაშე მთელი თავისი ბრწყინვალებით წარმდგარიყო.

კლეოპატრა

კეისარმა ომი მოიგო. ყველა ელოდა, რომ გამარჯვებული ეგვიპტეს რომის პროვინციად გამოაცხადებდა, მაგრამ ყველასდა გასაოცრად მან იგი „რომაელი ხალხის მოკავშირე და მეგობარ ქვეყნად" აღიარა, ხოლო მის სათავეში ერთპიროვნულ მეფედ და მბრძანებლად დასვა კლეოპატრა. შემდეგ ისისის სამოსში გამოწყობილ დედოფალთან ერთად ნილოსის ზემო დინებას აჰყვა მდიდრულად მანათობელი ხომალდით და ღვთაებრივი სვლით ძველი ეგვიპტე, „მთელი მსოფლიოს საოცრება", მოიხილა.

ამასობაში ფარნაკესმა, ბოსფოროსის მეფემ განიზრახა, ხელიდან არ გაეშვა შესაძლებლობა და ვიდრე რო-



მაელები დალაგდებოდნენ, გამოეგლიჯა მათგან პონტოს სამეფო (მცირე აზიის ჩრდილო ნაწილი). ფარნაკესი დარწმუნებული იყო, რომ რომაელებს ახლა საომრად არ ეცალათ. მაგრამ მწარედ მოტყუვდა. როდესაც ლხინს, ზეიმსა და ბაკქანალიას თავმიცემულ კეისარს ახალი ომის დაწყების ხმა მიაწვდინეს, დაუხანებლივ, ამჯერად მხოლოდ ერთი ლეგიონით გაემართა იგი ეგვიპტიდან აზიაში. გზად მეშველი ძალაც შემოიკრიბა და პონტოს სამეფოში ელვასავით შეჭრილმა მეფე ფარნაკესის არმია გაანადგურა. ახლა უკვე რომაელთა მორჩილი გახდა „მუდამ შიშის მომგვრელი პონტოც". მოულოდნელი და სწრაფი გამარჯვებით აღფრთოვანებულმა კეისარმა რომს მისწერა: „Veni, vidi, vici" („მივედი, ვნახე, გავიმარჯვე!"). იგი არ მიიჩნევდა საჭიროდ უფრო ვრცლად ესაუბრა ამ იოლად მოპოვებულ გამარჯვებაზე. მცირე აზიიდან კეისარმა რომისკენ ისწრაფა. გზადაგზა დიდძალ სიმდიდრეს იხვეჭდა. მას ფული სჭირდებოდა. კეისარი თვლიდა, რომ „ძალაუფლების მოპოვება, შენარჩუნება და გაფართოება მხოლოდ ორ რამეს ეფუძნება: ჯარსა და ფულს. ისინი კი განუყრელნი არიან: ჯარს სჭირდება ფული, ფულის მოხვეჭა კი მხოლოდ ჯარს შეუძლია. თუ შემოგაკლდა ერთი, ხელიდან გაგისხლტება მეორეც... უსაფუძვლოდ როდი ისწრაფოდა მთავარსარდალი რომისაკენ. მის შემოგარენში მდგარი მეომრები ამბოხებისთვის ემზადებოდნენ. მართალია, მათ მიილეს ის, რასაც შეჰპირდნენ, მაგრამ ისინი უფრო მეტს ითხოვდნენ. თუ კეისარი მათ სურვილს არ დააკმაყოფილებდა, ჯარის დაშლით იმუქრებოდნენ. ასე იმიტომ კი არ იქცეოდნენ, რომ მართლაც სურდათ შინ დაბრუნება, არამედ იმიტომ, რომ სიხარბე დაუფლებოდათ. სინამდვილეში მათ მებრძოლებად დარჩენა სურდათ. კარგად იცოდნენ, რომ კეისარი აფრიკაში სალაშქროდ ემზადებოდა და ამ საქციელით მის შეშინებას ლამობდნენ, რათა მიეღოთ ის, რაც სურდათ.

კეისარმა კი მხოლოდ ეს უთხრა ამბოხებულებს: „მართალი ხართ, მოქალაქენო. თქვენ გადაიღალეთ ომების სიმძიმითა და იარებით!" შემდეგ დაუხანებლივ დაშალა ჯარი, ისე მოიქცა, თითქოს ეს ჯარი მას არაფერში სჭირდებოდა.

ამ სიტყვებმა ისე იმოქმედეს მეომრებზე, რომ უმალ გუნება წაუხდათ, განსაკუთრებით კი იმიტომ, რომ კეისარმა მათ მეომრების ნაცვლად მოქალაქენი უწოდა. ისინი გონს მოეგნენ და ვედრებით გამოხატეს თავისი სურვილი, მუდამ კეისრის გვერდით მდგარიყვნენ ლაშქრობათა ჟამს" (დიო კასიუსი, რომაული ისტორია, 42, 49-54).

დიქტატორმა შედარებით მშვიდი ჯარისკაცები სხვადასხვა სოფელში ჩაასახლა, მეამბოხენი კი აფრიკაში გაამგზავრა, რათა ისინი ყველაზე სახიფათო ბრძოლებში ჩაება და მათი სიცოცხლის ფასად მტერი დაემარცხებინა. „კეისარი ადამიანთაგან აღმატებულად კაცთმოყვარე იყო და მრავალი სიკეთეც ახსოვდათ მისგან



გარეშემომყოფთ, მაგრამ იგი ვერ იტანდა მეამბოხეებს და მათ განსაკუთრებული სიმკაცრით სჯიდა" (იქვე).

ძვ.წ. 47 წლის დასასრულსა და 46 წლის დასაწყისში კეისარმა დაამარცხა პომპეუსის მომხრეები აფრიკაში და რომში დაბრუნდა, სადაც სამი ტრიუმფი იზეიმა: ეგვიპტის, პონტოსი და აფრიკის. ეს უკანასკნელი სამოქალაქო ომში მიღწეული გამარჯვების ზეიმი იყო და იგი განსაკუთრებული პომპეზურობით აღნიშნა ტრიუმფატორმა.

მას შემდეგ, რაც კეისარი მეოთხეგზის აირჩიეს კონსულად, იგი თავისი მეომრებით გაემართა ესპანეთისკენ, სადაც პომპეუსის ვაჟიშვილებს დიდძალი ჯარი შეეკრიბათ. მძაფრი წინააღმდეგობისდა მიუხედავად კეისარმა მაინც გაიმარჯვა. ბრძოლის დასრულების შემდეგ მან თავის მებრძოლებს განუცხადა, რომ პირველად იბრძოდა არა გამარჯვებისთვის, არამედ სიცოცხლისათვის.

ეს კეისრის ბოლო ომი იყო. ამ გამარჯვების ტრიუმფით, რომელიც ძვ.წ. 45 წელს შედგა, სულაც არ იყვნენ რომაელები აღფრთოვანებულნი, რადგანაც კეისარმა უცხო ქვეყნის მეფეები კი არ დაამარცხა, არამედ ძირფესვიანად ამოძირკვა ყველაზე უფრო სახელოვანი რომაელის მოდგმა. სამოქალაქო ომებში გამარჯვებით არც კეისარი იწონებდა თავს. და მაინც, რომაელები ქედს იხრიდნენ ამ ადამიანის ილბლიანი ბედის წინაშე. იგი ერთპიროვნულ მმართველად აღიარეს, რადგან მიაჩნდათ, რომ ასე უფრო აიცილებდნენ თავიდან სამოქალაქო ომებით გამოწვეულ უბედურებებს.

„თავად კეისარს ღირსეულად ეჭირა თავი. მის წინააღმდეგ იარაღით მებრძოლი მრავალი მოწინააღმდეგე შეიწყნარა. მათ შორის ბრუტუსი და კასიუსიც კი, რომელთაც პრეტორთა საპატიო თანამდებობები უბოძა. ბრძანება გასცა, რომ პომპეუსის კვარცხლბეკიდან ჩამოგდებული ყველა ქანდაკება თავის ადგილზე დაედგათ. ამის თაობაზე ციცერონი აღნიშნავდა, რომ პომპეუსის ქანდაკებების აღდგენით კეისარმა საკუთარი ქანდაკებები გაიმყარაო.

მეგობრები კეისარს ურჩევდნენ, რომ გაეზარდა მცველთა რაოდენობა. კეისარი კი არ თანხმდებოდა და აცხადებდა: „სჯობს ერთხელ მოკვდე, ვიდრე მუდამ ელოდო სიკვდილს!" გრძნობდა რა გარეშემომყოფთა კეთილგანწყობას, იგი გულუხვად ასაჩუქრებდა ყველას, ვისზეც ხელი მიუწვდებოდა: ხალხს ურიგებდა საჩოვაგეს, მეომრებს – მიწებს, წარჩინებულებს – თანამდებობებს. იგი ცდილობდა ებატონა იმ ადამიანებზე, რომლებიც მას ხალისით ემორჩილებოდნენ.

კეისრის ენერგიული ბუნებისათვის მრავალრიცხოვანი წარმატებებით ტკბობა სულაც არ იყო ნიშანდობლივი. პირიქით, ამ წარმატებებით გამხნევებული და აგზნებუ-



ლი იგი თითქოს ვერ კმაყოფილდებოდა მიღწეულით და უფრო გრანდიოზული საქმეებისა და დიდებისკენ ისწრაფოდა. ეს იყო რალაც შეჯიბრი საკუთარ თავთან; ეს იყო სწრაფვა მომავალი დიადი საქმეებით გადაეფარა ის, რაც უკვე წარსულს ჩაბარდა. იგი პართიელებთან (მესოპოტამია) საომრად ემზადებოდა. მათი დამორჩილების შემდეგ კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროსა და კავკასიონის გავლით, პონტოს (შავი ზღვა) გარშემოვლით სკვითიაში (ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთი) უნდა შეჭრილიყო, დაეპყრო გერმანია მისი მოსაზღვრე სახელმწიფოებით და დაბრუნებულიყო იტალიაში გალიის (ჩრდილოეთ საფრანგეთი) მხრიდან, რითაც რომაულ სამფლობელოთა წრეს ისე შეკრავდა, რომ იმპერია ყოველის მხრით ზღვის სივრცეებით იქნებოდა გარშემორტყმული" (პლუტარქოსი, კეისარი, LV-LVIII).

მაგრამ ამ გრანდიოზულ ჩანაფიქრს აღსრულება აღარ ეწერა. ახლოვდებოდა კეისრისათვის ავადსახსენებელი 44 წელი. იმხანად რომში ბრძანდებოდა ეგვიპტის დედოფალი კლეოპატრა, რომელმაც ყოვლისშემძლე დიქტატორს შესძინა ძე, მისმა მესამე კანონიერმა მეუღლემ, კალპურნიამაც რომ ვერ აღირსა. იგი ეგვიპტეში დაიბადა ძვ.წ. 47 წლის 23 ივნისს და, ტრადიციისამებრ, პტოლემაიოსი უწოდეს. ჰქონდა ამ ყმაწვილს მეორე სახელი – კეისარი. ალექსანდრიელები კი მას უბრალოდ კესარიონად (პატარა კეისრად) უხმობდნენ.

ეგვიპტის სამეფო ოჯახი რომში ღირსეულად მიიღეს. დიქტატორმა მათ თავისი ვილა დაუთმო ტიბერისის სანაპიროზე გაშენებულ დიდებულ პარკში. აქ იღებდა ეგვიპტის დედოფალი თავის მფარველს და წარჩინებულ რომაელებს. აღშფოთებას ვერ ფარავდნენ ჭეშმარიტი რესპუბლიკელები. განსაკუთრებით ბობოქრობდა ციცერონი. კლეოპატრა ცდილობდა, რაც შეიძლება დიდხანს დარჩენილიყო რომში და ამიტომაც შეიქნა მოწმე მარტის იდების სისხლიანი ტრაგედიისა. ისტორიოგრაფოსები ხშირად სვამენ კითხვას: იყო თუ არა დედოფლის რომში ყოფნა კეისრის წინააღმდეგ მიმართული შეთქმულების მიზეზი? მათი აზრით, ამის დაშვება შეიძლებოდა და აი, რატომ: ძველი თაობის რომაელებმა, ტრადიციის მესვეურებს რომ უწოდებდნენ, კეისარი გაწირეს უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ იგი დაუსრულებლად ეწინააღმდეგებოდა ძველრომაულ ტრადიციებს. მისი აშკარა კავშირი ეგვიპტის დედოფალთან ამ ტრადიციის შელახვად აღიქმებოდა. რომაელები შიშობდნენ, რომ იმპერიის დედაქალაქი ტიბერისის სანაპიროდან ნილოსის სანაპიროზე არ გადაეტანა დიდ დიქტატორს. ამას დაერთო ისიც, რომ სენატმა კეისარს „იმპერატორის" ტიტული უბოძა მისი მემკვიდრეებზე გადაცემის უფლებით. ამასთანავე მიანიჭა „სამშობლოს მამის" („Pater Patriae") წოდება და მეფედაც აღიარებდა, თავად კეისარს რომ ესურვა. მაგრამ შეშინდა ტრიუმფატორი, რადგან ახსოვდა, თუ როგორ სძულდათ რომაელებს ძველი მეფენი. თუმცა მისი შინაგანი სწრაფვა სამეფო ძალაუფლებისად-

მი არ დაფარულა რომაელთაგან. ხმა დადიოდა, თითქოს კეისარს განზრახული ჰქონდა სამეფო ტახტზე აღზევება. დაიწერა და იდუმალ გავრცელდა წერილები, არ დაეშვათ მისი გამეფება. იმ ლუკიუს ბრუტუსის ქანდაკებაზე კი, რომელმაც ოდესღაც რომიდან განდევნა უკანასკნელი მეფე, გაჩნდა წარწერა: „ნეტა გეცოცხლა!" კეისრის წინააღმდეგ თანდათან მწიფდებოდა შეთქმულება, რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ გაიუს კასიუს ლონგინუსი და მარკუს იუნიუს ბრუტუსი, რომლებიც თავს ლუკიუს ბრუტუსის მემკვიდრეებად მიიჩნევდნენ. კეისარი კი მარკუს ბრუტუსს თავის ახლობლად თვლიდა და ყველაფერში ენდობოდა. ზოგიერთები იმასაც ამბობდნენ, და არც თუ ისე უსაფუძვლოდ, რომ ეს ბრუტუსი დიქტატორის უკანონო შვილიაო.

მკითხავმა კეისარს ურჩია მარტის იდებში (ანუ 15 მარტს) სიფრთხილე გამოეჩინა, რადგანაც მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. მაგრამ იმპერატორმა ყურად არ იღო ეს გაფრთხილება, თუმცა ავი წინათგრძნობა არ ასვენებდა. ამ საბედისწერო დღის წინაღამეს ესიზმრა, თითქოს ღრუბლებში დაფრინავდა და იუპიტერს ესალმებოდა. მის მეუღლეს კი ჰქონდა ხილვა: თითქოსდა მათი სახლის ჭერი თავს ემხობოდა, ხოლო კეისარს აწრთობდნენ მის მკლავებში.

რაღაც გაუგებარი მღელვარებით მოცულ დიქტატორს იმ დღეს არ სურდა სენატში წასვლა. მაგრამ შეთქმულთაგან ერთ-ერთის დაჟინებული რჩევით, მაინც წავიდა. სენატის შენობის წინ თავშეყრილ ბრბოს ვილაც გამოეყო და პაპირუსის გრაგნილი გადასცა, თან გააფრთხილა, დაუყოვნებლივ წაეკითხა, მაგრამ კეისარმა მისი წაკითხვა მოგვიანებით განიზრახა. როგორც ამბობენ, პაპირუსი მას შეთქმულთა ამბავს ამცნობდა. მან მშვიდად შეაბიჯა სენატში და იქვე მკითხავს რომ ჰკიდა თვალი, სიცილით ჰკითხა: „ხომ ხედავ, მარტის იდებიც მოსულა და მე ისევ ცოცხალი ვარ! ხომ არ ახდა შენი მისნობა!" ხოლო მკითხავს პასუხად უთქვამს: „მოსულა, მაგრამ არ გასულა!" (პლუტარქოსი, კეისარი, LXIII) – ეს გამოთქმა ანდაზად იქცა მოგვიანებით.

ამასობაში კეისარმა კურიაშიც (დარბაზში) შეაბიჯა. სალმის სათქმელად ყველა ფეხზე წამოეშალა. შეთქმულები გარსშემოერტყნენ, თითქოს სურდათ თაყვანი ეცათ, მაგრამ, მოულოდნელად, ტოგებში მიმალული მახვილები იშიშვლეს და ძლევამოსილ დიქტატორს თავს დაესხნენ. ვინც არ იცოდა, რაც ხდებოდა, შიშით გაქვავდა. კეისარმა მიმოიხედა და მხოლოდ მკვლელობის ჟინით ალეწილი სახეები რომ დალანდა, დუმილით დაუწყო ლოდინი სიკვდილს, მხოლოდ მაშინ ამოიგმინა, როცა ბრუტუსი დაინახა მახვილმომარჯვებული. შეთქმულებს პირობა ჰქონდათ დადებული, ყველას დაეკრა მახვილი დიქტატორისთვის, რათა დანაშაულის თანაზიარნი ყოფილიყვნენ. ოცდასამი ნაიარევით აღმოხდა სული დიად რომაელს. „შენც, შვილო ჩემო?" ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები მიმართული ბრუტუსისადმი. შემდეგ სახე ტოგით დაიფარა და სულთმობრძავი ჩაიკეცა პომპეუსის ქან-



დაკების კვარცხლბეკთან, რომელიც სისხლით დაიფარა. „და ისე ჩანდა, თითქოსდა თავად პომპეუსმა იძიაო შური იმ მტერზე, რომელიც ახლა მის ფერხთა ქვეშ იყო განრთხმული" (სვეტონიუსი, იულიუსი, 87).

ეს მოხდა ძვ.წ. 44 წლის 15 მარტს. ამ დღეს რომაელები მარტის იდებს უწოდებდნენ. რესპუბლიკელთა შეთქმულებას პომპეუსის თანამოაზრე ის ბრუტუსი და ის კასიუსი მეთაურობდნენ, რომლებიც კეისარმა თავის დროზე შეიწყნარა და საკმაოდ მაღალი თანამდებობებიც უბოძა.

ბრუტუსმა სენატის წინაშე გამოსვლა დააპირა, მაგრამ შეძრწუნებული სენატორები თავქუდმოგლეჯილნი გარბოდნენ. მათი შემყურე ხალხი შფოთავდა, ზოგი შინისკენ ისწრაფოდა, ზოგი სისხლისღვრის ადგილისკენ, ზოგიც უგზო-უკვლოდ დაქროდა. რომი ღელავდა.

ერთხელ, როდესაც იულიუს კეისრისთვის უკითხავთ, თუ როგორ სიკვდილს ამჯობინებდა, დაუფიქრებლად მიუგია: „მოულოდნელსო".

იგი ხშირად აღნიშნავდა, რომ მისი სიცოცხლე ძვირფასია არა იმდენად მისთვის, რამდენადაც სახელმწიფოსთვის; რომ თავად უკვე მიაღწია ძალაუფლების და დიდების უმაღლეს მწვერვალს, სახელმწიფო კი, თუ მას რაიმე შეემთხვევა, სამოქალაქო ომებით დაითრგუნება.

და ასეც მოხდა.

კეისრის გარდაცვალებისთანავე ხალხს განუცხადეს მისი ანდერძი: იმპერატორი ყოველ რომაელ მოქალაქეს მნიშვნელოვან თანხას უტოვებდა. რა თქმა უნდა ამანაც იმოქმედა რომაელებზე, რომლებიც თავდაპირველად დუმდნენ. და ისე ჩანდა, თითქოს წუხდნენ კიდეც მომხდარის გამო, თან ბრუტუსსაც თანაუგრძნობდნენ. მაგრამ როდესაც იხილეს, თუ როგორ გაჰქონდათ ფორუმიდან კეისრის იარებით დასახიჩრებული გვამი, მათ დაკარგეს სიმშვიდე, გარსშემოეხვივნენ მიცვალებულს, მოზიდეს სკამები, მაგიდები და ხით ნაკეთი სხვა ნივთები, ცეცხლი წაუკიდეს და კოცონს მისცეს მისი სხეული. შემდეგ ყველაფერი აირია. ერთნი მუგუზალებითა და ჩირაღდნებით ხელში გარბოდნენ კეისრის მკვლელთა სახლების გადასაბუგად, სხვანი – ქალაქის ქუჩებში დაეძებდნენ შეთქმულებს, რათა ადგილზევე გაეგლიჯათ, მაგრამ ვერავინ იპოვნეს, რადგანაც ყველა საიმედოდ მიმალულიყო.

კეისარმა 56 წელი იცოცხლა. ორმოცდაათის იყო უკვე, რუბიკონი რომ გადალახა. მან ვერ მოასწრო დამტკბარიყო ძალმოსილებით, რომლისკენაც მთელი თავისი არსებით მიისწრაფოდა და რომელიც ესოდენ მძიმე ბრძოლებით დაიმსახურა. მაგრამ ვერც შეთქმულებმა მიაღწიეს მიზანს. სენატმა ვეღარ აღიდგინა ოდინდელი უფლებები, ამ საზარელი მკვლელობის მონაწილეთაგან მალე ყველა გამო-



ესალმა სიცოცხლეს. კეისრის დიქტატურით დამთავრდა რომაული რესპუბლიკის ხუთასწლოვანი ისტორია.

მთელი თავისი მოლვაწეობით დაამტკიცა კეისარმა, რომ მის ხასიათში პატივმოყვარეობასთან ერთად რისკის გრძნობაც დომინირებდა. ბიოგრაფოსები აღიარებდნენ, რომ „არავის აოცებდა მისი ლტოლვა ფათერაკებისადმი. მაგრამ ყველას აოგნებდა ის, თუ როგორ იტანდა იმ განსაცდელს, რაც მის ფიზიკურ ძალებს აღემატებოდა, რადგანაც იგი იყო სუსტი აგებულებისა, ჰქონდა მკრთალი და ნაზი კანი, იტანჯებოდა თავის ტკივილებითა და ეპილეფსიით, რომლის პირველი შეტევაც მან ესპანეთში იწვნია“ (პლუტარქოსი, კეისარი, XVII). კეისარი ცდილობდა დაემარცხებინა ეს სისუსტე არა ნებიერი ცხოვრებით, არამედ საკუთარ თავთან გამუდმებული ბრძოლით. „ცხენს და იარაღს ბრწყინვალედ ფლობდა; წარმოუდგენელი იყო მისი გამძლეობა. ლაშქრობათა ჟამს ჯარისკაცებს წინ მიუძღოდა, ჩვეულებრივ, ფეხით, იშვიათად კი ცხენზე ამხედრებული, თავშიშველი წვიმაშიც, ხვატშიც. ურთულეს გადასასვლელებზე გასაოცარი სისწრაფით მიიწევდა წინ, მდინარეებზე ხან ცურვით გადადიოდა, ხანაც ჰაერით ამოვსებული გუდებით. და ძნელი სათქმელია, მის საბრძოლო მოქმედებებში სიფრთხილე უფრო მეტი იყო თუ სითამამე... კეისარი არც ჭამით ინებივრებდა თავს. ღვინოს ძალიან ცოტას სვამდა. ამას აღიარებდნენ მისი მტრებიც, რომელთაგან ერთ-ერთს უთქვამს კიდეც: „კეისარი იყო ერთადერთი, რომელიც ფხიზელი შეუდგაო რესპუბლიკის დამხობას“ (სვეტონიუსი, იულიუსი, 53-62) და დაამხო კიდეც.

მრავალი წლის შემდეგ, როდესაც ჩაცხრა სამოქალაქო ომის მძვინვარება, კეისრის მემკვიდრემ, რომაული იმპერიის შემოქმედმა, გამარჯვებულმა ოქტავიანუს ავგუსტუსმა ფორუმის ცენტრში, სწორედ იქ, სადაც დაიფერფლა იმპერატორი, ღვთაებრივი იულიუსის სახელობის მარმარილოს ტაძარი აღმართა. და ვიდრე რომის იმპერია არსებობდა, ყველა იმპერატორი კეისრის სახელს ატარებდა, ვითარცა ტიტულს. მართალია, იულიუს კეისარი დიდხანს არ ყოფილა რომის მბრძანებელი, მაგრამ მან მაინც შეძლო ფართო მშენებლობების წამოწყება, რათა „მსოფლიოს დედაქალაქი“ უფრო ბრწყინვალე გაეხადა. რომის მთავარი მოედნის, ძველი ფორუმის გვერდით მან საფუძველი ჩაუყარა ახალი მოედნის – იულიუს კეისრის ფორუმის მშენებლობას, რომლის ცენტრშიც მისი ღვთაებრივი წინაპრის, ვენუსის სახელობის ტაძარი უნდა აღმართულიყო. ძველ ფორუმზე კეისრის ბრძანებით შენდებოდა ორი ნაგებობა: ბასილიკა (სავაჭრო ადგილი) და კურია (სენატის სხდომათა დარბაზი), რომლებიც შემდგომ მის სახელს ატარებდნენ. იულიუსის კურია ერთადერთი სამოქალაქო ნაგებობაა, რომელმაც იმპერატორთა ხანიდან შედარებით სრულყოფილად მოაღწია ჩვენამდე.



კეისრის მიერ წამოწყებულ საქმეთა შორის საქვეყნო აღიარება ხვდა წილად კალენდარს, რომლის დახვეწის მიზნითაც იმპერატორმა, ვითარცა რომის უზენაესმა პონტიფექსმა, ეგვიპტიდან მოიწვია ასტრონომები. ეს კალენდარი მსოფლიოში არსებულ კალენდართა შორის უზუსტესი აღმოჩნდა. იმ თვეს, კეისრის დაბადების დღეს რომ დაემთხვა, მისი სახელის მიხედვით ივლისი უწოდეს, მთულ კალენდარს კი, იულიანური. ასე რომ, უბრწყინვალესი ორატორი და მწერალი, უნიჭიერესი მთავარსარდალი იულიუს კეისარი ისტორიაში შევიდა როგორც დიდი რეფორმატორიც.



შენიშვნები:

[1] ეს სიტყვები ეკუთვნის ცნობილ ბერძენ ტრაგიკოსს ევრიპიდეს („ფინიკიელი ქალები").

[2] ამ თარიღს ანტიკური წყაროები გვამცნობენ. გასული საუკუნის მეცნიერებმა კეისრის დაბადების თარიღად ძვ.წ. 102 ან 101 წელი მიიჩნიეს.



ავგუსტუსი

რომის პირველი იმპერატორი

(ძვ.წ. 63 წ.-ახ.წ. 14 წ.)

რომს განაგებდა ძვ.წ. 27 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე

როგორ გგონიათ, კარგად გავითამაშე ცხოვრების კომედია? – ეს იყო ბოლო კითხვა, რომლითაც რომის დიდმა იმპერატორმა თავის მეგობრებს მიმართა, თუმცა პასუხი თავადაც კარგად მოეხსენებოდა. მაშინ იგი 76 წლის იყო და სიცოცხლის ხანგრძლივი, რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე გზა უკვე განვლილი ჰქონდა.

მას ისტორიოგრაფოსები რომის წარჩინებულთა მოდგმის ჩამომავლად მიიჩნევდნენ, თუმცა ეს მოდგმა ვერ იწონებდა თავს სახელოვანი წინაპრებით. მამამისს, გაიუს ოქტავიუსს, მუდამ ეკავა მაღალი თანამდებობა, თავდაპირველად პრეტორისა, ხოლო შემდგომ რომის ერთ-ერთი პროვინციის, მაკედონიის მმართველისა. იგი, გამბედაობითა და სამართლიანობით გამორჩეული, თანამედროვეთა შორის დიდი პატივით სარგებლობდა. როდესაც გაიუს ოქტავიუსი გარდაიცვალა, რომის მომავალი იმპერატორი ოთხი წლის იყო. მოგვიანებით იგი იშვილა იულიუს კეისარმა. ჩვეულებისამებრ, მიიღო რა მამობილის სახელი, მას ეწოდა გაიუს იულიუს კეისარ ოქტავიანუსი. როდესაც მან ხელში ჩაიგდო ძალაუფლება, სენატმა შესთავაზა, მიეღო რომის ერთ-ერთი დამაარსებლის, რომულუსის სახელი. კეისარმა უარი თქვა ამ პატივზე. მაშინ სენატმა მას „ავგუსტუსი" უწოდა, რომელიც იქცა მის მთავარ სახელად (მას შემდეგ ამ ტიტულს ატარებდა რომის



ყველა იმპერატორი). მაგრამ ეს მოხდება მოგვიანებით. მომავალ იმპერატორს ჯერ ოქტავიუსი ერქვა.

იგი კარგად აღზარდეს. მისი დედა, ატია, მუდამ ზრუნავდა, რომ შვილს სათანადო განათლება მიეღო და კეთილი ზნე შეეთვისებინა, მაშინაც კი, როდესაც ყმაწვილი სრულწლოვანი გახდა და რომაელი მოქალაქის ნაციონალური სამოსი, ტოგა მოისხა.

ოქტავიუსის სამხედრო კარიერა ფრიად წარმატებული აღმოჩნდა, რასაც ისტორიოგრაფოსები იულიუს კეისრის მფარველობით ხსნიან. რა თქმა უნდა, თავად ოქტავიუსიც მთელი არსებით ცდილობდა კეისრის ყურადღების დამსახურებას. იგი თან ახლდა მას ესპანეთში პომპეუსის ვაჟთა წინააღმდეგ ბრძოლების ჟამს და თავიც გამოიჩინა, როგორ ღირსეულმა მეომარმა.

როდესაც ვერაგულად მოკლეს იულიუს კეისარი, ოქტავიუსი საბერძნეთში იმყოფებოდა. სწორედ იქ შეიტყო, რომ კეისარმა მას თავისი მემკვიდრეობა დაუტოვა. 19 წლის ოქტავიუსმა ისწრაფა რომისკენ, რომელსაც ერთპიროვნულად მართავდა მარკუს ანტონიუსი, კეისრის თანამოსაგრე. სწორედ მას მიაბარეს კეისრის მემკვიდრეობა, საიდანაც ანდერძის თანახმად, ოქტავიუსს რომის ყოველი მოქალაქისათვის 300 სესტერციუსი უნდა გადაეხადა. ანტონიუსი არ ჩქარობდა კეისრის სიმდიდრის გაცემას. ეს მისი შეცდომა იყო. ამ უჩვეულო ბედის ადამიანმა, „თავისი ეპოქის კელაპტარმა და გრიგალმა", როგორც მას ძველი რომის ერთ-ერთმა ისტორიოგრაფოსმა („Epitome de gestis Romanorum", IV, 3, 1-2) უწოდა, მრავალი შეცდომა დაუშვა, რასაც ემსხვერპლა კიდეც. ეს ის ანტონიუსია, რომლის სახელიც სამუდამოდ დაუკავშირდება ეგვიპტის დედოფლის, კლეოპატრას სახელს.

რომში ჩასული ოქტავიუსი კეისრის მემკვიდრედ აღიარეს და რომაული წესის თანახმად, სწორედ მაშინ უწოდეს გაიუს იულიუს კეისარ ოქტავიანუსი. სუფიქსი „ან" იმის მიმანიშნებელი იყო, რომ პიროვნება, გვარის შეცვლისდა მიუხედავად, კვლავაც თავისი მოდგმის რჩებოდა. დიდი იულიუს კეისრის ღვთაებრივ წარმომავლობასთან შედარებით ოქტავიუსთა მოდგმა ერთობ მოკრძალებული იყო. ამიტომ პატივმოყვარე ჭაბუკი სრული სახელით კი არ მოიხსენიებდა თავს, არამედ უბრალოდ: იმპერატორი კეისარი, ხოლო ძვ.წ. 27 წლიდან კი – იმპერატორი კეი-

სარ ავგუსტუსი. ტიტული – იმპერატორი მან თავის საკუთარ სახელად აქცია. მაგრამ რადგანაც მომდევნო ხანის ყველა იმპერატორი კეისარიც იყო და ავგუსტუსიც, ისტორიოგრაფოსები იძულებულნი იყვნენ ისინი თავიანთი სახელებით მოეხსენებინათ. ასე რომ დიდი იულიუს კეისრის მემკვიდრე ისტორიაში შევიდა, როგორც ოქტავიანუს ავგუსტუსი, თუმცა მას ასე არ უნდოდა.

ოქტავიანუსმა თხოვნით მიმართა ანტონიუსს კეისრის მიერ დატოვებული მემკვიდრეობის გაცემის თაობაზე. თანაც მხოლოდ იმ ნაწილს ითხოვდა, რომელიც ხალხისთვის უნდა დაერიგებინა, მაგრამ უარი მიიღო. ანტონიუსი ირწმუნებოდა, რომ გარდაცვლილი კეისრის ფინანსური საქმეები ერთობ დახლართული იყო და რომ მან, დაეპატრონა რა სახელმწიფო ხაზინას, ცარიელი დატოვა იგი. მაშინ ოქტავიანუსმა მის ხელთ არსებული მემკვიდრეობის ნაწილი და საკუთარი ქონება გაყიდა, ხოლო ფული ხალხს დაურიგა, რითაც მათი კეთილგანწყობა დაიმსახურა. ისტორიოგრაფოსთა აღიარებით, „გარეგნულად ერთობ მომხიბლავი ახალგაზრდა ოქტავიანუსი ძალაუფლებისადმი რკინისებური ლტოლვითა და გველისებური ეშმაკობით გამოირჩეოდა. ამ გულქვა და უმოწყალო ადამიანს შეეძლო ერთი შეხედვით თავაზიან და მოკრძალებულ კაცად წარმოეჩინა თავი. მან მოახერხა იმხანად სენატში დიდი უფლებებისა და გავლენის მქონე ციცერონის მიმხრობა და მისი ანტონიუსთან დაპირისპირება, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ ციცერონმა ანტონიუსი რომიდან გააძევა“ (პლუტარქოსი, ციცერონი, XLVI).

ციცერონი

ოქტავიანუსმა სენატის მხარდაჭერით დაიწყო ომი ანტონიუსის წინააღმდეგ. მათ შორის გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა ქალაქ მუტინასთან, სადაც გაიმარჯვა ოქტავიანუსმა. სენატმა მას, 20 წლის ყმაწვილს, ციცერონის დაჟინებული თხოვნით, კონსულის თანამდებობა უბოძა.

დამარცხებულმა ანტონიუსმა ერთ-ერთ მხედართმთავართან, მარკუს ლეპიდუსთან, გამართა მოლაპარაკება. მათ შეუერთდნენ იულიუს კეისრის თანამოსაგრე სხვა მხედართმთავრებიც. მაშინ ოქტავიანუსმა გონივრული ნაბიჯი გადადგა: დაუპირისპირდა სენატს და დაუკავშირდა ანტონიუსს.

ძვ.წ. 43 წლის შემოდგომაზე ჩრდილოეთ იტალიაში ერთმანეთს შეხვდნენ ოქტავიანუსი, ანტონიუსი და ლეპიდუსი, რასაც მოჰყვა სამშვიდობო ზავის დადება ე.წ. მეორე ტრიუმვირატი. მისმა მონაწილეებმა ერთმანეთს შორის დაინაწილეს რომის პროვინციები და ხუთი წლით მიიკუთვნეს რომში უმაღლესი ძალაუფლება. სენატი დაჰყვა ტრიუმვირთა ნებას.



რომში პროსკრიპციების შემზარავი ხანა დაიწყო. ადგენდნენ ნუსხებს იმ მოქალაქეებისას, რომელთაც ღალატში სდებდნენ ბრალს. ისინი კანონგარეშე ცხადდებოდნენ და საჯაროდ ისჯებოდნენ. ტრიუმვირებს ძალაუფლების გასამყარებლად სჭირდებოდათ ფული, რომელსაც ილებდნენ სიკვდილმისჯლითა ქონების კონფისკაციით. ასე რომ, დაიწყო უმოწყალო ნადირობა ადამიანებზე. რომი პანიკამ მოიცვა. ყველგან შიში და გაუტანლობა მეფობდა. ზოგს საკუთარი მეუღლისა ეშინოდა, ზოგსაც შვილების, მეგობრების თუ მეზობლების. „სულ ზედაპირზე ამოტივტივდა ის სიბინძურე, რაც ფსკერზე იყო დალექილი. წაღმა-უკუღმა დატრიალდა ყველაფერი: სენატორები მუხლებზე დამხობილნი ევედრებოდნენ თავიანთ მონებს, ყოფილიყვნენ შემწყნარებელნი, ცრემლებს ღვრიდნენ და ბატონებად მოიხსენებდნენ. ყველაზე ამაზრზენი კი ის იყო, რომ ეს სიმდაბლე სულ არ იწვევდა თანაგრძნობას. ქალაქში ბოროტებამ დაისადგურა, უფრო შემზარავმა, ვიდრე ეს ხდებოდა ომებისა თუ ამბოხებების ჟამს. ბრბო სიკვდილმისჯილთა სახლებს ძარცვავდა და ისეთი მძაფრი იყო ამ ნაძირლებში სხვისი ნაამაგარის მითვისების სურვილი, რომ მათი გონება ვერ აღიქვამდა განსაცდელი დროის სიავეს. შედარებით ზომიერი და კეთილგონიერი ადამიანები გაოგნებულნი იყვნენ ამ საშინელებით" (აპიანუსი, სამოქალაქო ომები, IV, 13-14).

თავდაპირველად ოქტავიანუსი პროსკრიპციათა წინააღმდეგი იყო, მაგრამ ბოლოს ყველას აჯობა სისასტიკით და შეუბრალებლობით. ანტონიუსმა მიაღწია იმას, რომ საჯაროდ დაესაჯათ თავად „დიადი ციცერონი". მას მოკვეთეს თავი და იქ გამოფინეს რომის ფორუმზე, სადაც წარმოთქვამდა ანტონიუსის განმაქიქებელ სიტყვებს.

დიდი ხნის შემდეგ, როდესაც ხანში შესული და უკვე ავგუსტუსად შერაცხული ოქტავიანუსი თავის შვილიშვილს ეწვევა, მის ხელში ციცერონის თხზულებას შენიშნავს, რომელსაც დამფრთხალი ყმაწვილი სასწრაფოდ დამალავს თავისი ტოგის ქვეშ. ავგუსტუსი გრაგნილს გამოართმევს, გახსნის და ზეზეულად გადაიკითხავს მის დიდ ნაწილს, ფრთხილად დაახვევს და წყნარად იტყვის: „უაღრესად განათლებული იყო ეს კაცი, რაც მართალია, მართალია და უყვარდა თავისი სამშობლო" (პლუტარქოსი, ციცერონი, XLIX).

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ოქტავიანუსი მთელი ძალით ეწინააღმდეგებოდა ციცერონის სიკვდილით დასჯას. მაგრამ ანტონიუსის მძვინვარება მასზე ძლიერი აღმოჩნდა. ტრიუმვირთა საიდუმლო თათბირი, ამ საკითხთან დაკავშირებით, სამი დღე გაგრძელდა. გადმოგვცემენ, რომ პირველი ორი დღე ოქტავიანუსი თავგამოდებით იცავდაო თავის კეთილისმყოფელს. მხოლოდ მესამე დღეს დანებდა. ტრიუმვირები ასე შეთანხმდნენ: ოქტავიანუსს უნდა გაეწირა ცი-



ცერონი, ანტონიუსს – თავისი ბიძა დედის მხრიდან, ხოლო ლეპიდუსს – ძმა. „ასე რომ, რისხვითა და უმოწყალო ბოროტებით შეპყრობილებმა დაივიწყეს ყოველივე ადამიანური, უფრო ზუსტად კი, დაამტკიცეს, რომ არ არსებობს ადამიანზე უფრო მეტად მძვინვარე მხეცი, თუკი იგი ძალაუფლებისაკენ მიისწრაფვის" (პლუტარქოსი, ციცერონი, XLVI).

ოქტავიანუსმა და ანტონიუსმა გაილაშქრეს იულიუს კეისრის მკვლელების, ბრუტუსისა და კასიუსის წინააღმდეგ. მძიმე ბრძოლების შემდეგ მათ დაამარცხეს მოწინააღმდეგეთა ჯარები. კასიუსი ბრძოლის ველზე დაეცა, ხოლო ბრუტუსმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

ეს მოხდა ძვ.წ. 42 წელს. ამის შემდეგ ტრიუმვირებმა ხელახლა დაინაწილეს სამფლობელოები. ოქტავიანუსს ერგო იმპერიის დასავლეთი ნაწილი (რომი), ანტონიუსს – აღმოსავლეთის პროვინციები, ლეპიდუსს – აფრიკა.

რომში შიმშილი მძვინვარებდა. ზღვით შემოსავალი შეწყდა, რადგანაც იქ დიადი გნეიუს პომპეუსის ვაჟი, სექსტუს პომპეუსი მბრძანებლობდა. რომში გამეფებული აღვირახსნილობის გამო მისი გავლენა იზრდებოდა. საზღვაო ნადავლმა სექსტუს პომპეუსი უმდიდრეს კაცად აქცია. მას ჰქონდა დიდი ფლოტი და ჰყავდა კარგად გაწვრთნილი და ბრწყინვალედ შეიარაღებული ჯარი. მიუხედავად ამისა, ოქტავიანუსთან ბრძოლა მაინც წააგო.

ძვ.წ. 41-40 წლებში ოქტავიანუსმა წამოიწყო ბრძოლა მარკუს ანტონიუსის ძმის, კონსულ ლუკიუს ანტონიუსის წინააღმდეგ, რომელიც კვლავ მისი გამარჯვებით დასრულდა. ბიოგრაფოსები აღნიშნავენ, რომ „მან, მართალია, მემკვიდრეობით მიიღო კეისრის სახელი, მაგრამ ამ სახელისთვის შეურაცხმყოფელი სისასტიკე გამოამჟღავნა. ყველას, ვინც კი ეახლებოდა მას შეწყალების თხოვნით ანდა თავის მართლების სურვილით, იგი უმალ აწყვეტინებდა სათქმელს სამი სიტყვით: შენ უნდა მოკვდე!" იმასაც წერენ, თითქოს ოქტავიანუსმა მარტის იდებში ღვთაებრივი იულიუს კეისრის საკურთხეველთან სამასი კაცი დააკვლევინა, ვითარცა სამსხვერპლო ჯოგი" (სვეტონიუსი, ავგუსტუსი, 15). სხვასაც ბევრს წერდნენ ისტორიოგრაფოსები მის უმოწყალო ხასიათზე.

აშკარა იყო, ოქტავიანუსი ერთპიროვნული მმართველობისაკენ მიისწრაფოდა. მან შედარებით იოლად მოახერხა ლეპიდუსის ჩამოცილება, სამაგიეროდ დიდხანს გაგრძელდა ომი ანტონიუსის წინააღმდეგ. ოქტავიანუსს კარგად ესმოდა, რომ თავისი ძალებით ჯერ ვერ შეძლებდა ანტონიუსთან შებმას. ამიტომ მეტოქეს შერიგება შესთავაზა. ანტონიუსი დათანხმდა. ძვ.წ. 40 წელს ისინი ერთმანეთს შეხვდნენ იტალიის სამხრეთით მდებარე ნავსადგომ ბრუნდისიუმში. ამ შერიგების სიმტკიცის საწინდრად ოქტავიანუსის და, ოქტავია უმცროსი, ცოლად შეირთო

ანტონიუსმა, რომელიც, მართალია, უკვე ცხოვრობდა ეგვიპტის დედოფალ კლეოპატრასთან, მაგრამ მასზე ჯერ არ იყო დაქორწინებული. მისი პირველი ცოლი, ფულვია, ამ დროს აღარ იყო ცოცხალი. რა თქმა უნდა, ეს შერიგება დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. ოქტავიანუსი არ ჩქარობდა, ხელსაყრელ დროს ელოდებოდა და ეს დროც დადგა.

ძვ.წ. 32 წელს ოქტავიანუსმა დაიწყო მზადება ეგვიპტეში გასალაშქრებლად. ამის საბაბად გამოცხადდა ანტონიუსის კავშირი ეგვიპტის დედოფალთან: ანტონიუსმა უგულებელყო რა რომის ყველა კანონი, იქორწინა კლეოპატრაზე, მიუხედავად იმისა, რომ ჰყავდა კანონიერი მეუღლე, ოქტავია. ამასთანავე მან თავის შვილებად სცნო კლეოპატრას მიერ ნაშობი ქალ-ვაჟი და უბოძა მათ აღმოსავლეთის უმდიდრესი სამფლობელოები; აღიარა ისინი თავის მემკვიდრეებად და განაცხადა თავისი სურვილი – გარდაცვალების შემდეგ დაკრძალულიყო ეგვიპტეში. ყოველივე ამან რომში დიდი აღშფოთება გამოიწვია.

ოქტავიანუსმა ომი გამოუცხადა არა ანტონიუსს, არამედ კლეოპატრას, რადგანაც მიაჩნდა, რომ დიდი რომაელი ეგვიპტის დედოფლის გავლენის ქვეშ მოექცა. და ასეც იყო.

ძვ.წ. 31 წელს საბერძნეთის დასავლეთით მდებარე აკტიუმის კონცხთან შედგა გადამწყვეტი საზღვაო ბრძოლა, სადაც ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა ოქტავიანუსმა.

ანტონიუსი და კლეოპატრა ეგვიპტეში დაბრუნდნენ.

ანტონიუსმა ალექსანდრიასა და წითელ ზღვაზე ხომალდების გასვლის ბრძანება გასცა. კლეოპატრა ხსნის გზას ეძებდა. იგი აგროვებდა განძს, რომელიც თან უნდა წაეღო, თუ იძულებული გახდებოდა დაეტოვებინა ეგვიპტე. მას განზრახული ჰქონდა, ინდოეთისკენ აეღო გეზი.

ამასობაში ოქტავიანუსი ეგვიპტეს მიუახლოვდა. მან ჯარი ორად გაყო: ნაწილი კირენეს (ეგვიპტიდან დასავლეთით) სანაპიროზე გადასხა, დანარჩენით კი, სირიის გავლით დაიძრა. ანტონიუსის ოთხი კირენული ლეგიონი ოქტავიანუსს ჩაბარდა. მას სირიის მმართველმაც ულალატა. მისი ბრძანებით არაბებმა დაწვეს წითელ ზღვაში შენავებული ხომალდები, რომლებითაც კლეოპატრა ინდოეთს უნდა გამგზავრებულიყო.

ანტონიუსმა და კლეოპატრამ ოქტავიანუსს დაზავება შესთავაზეს. რომის იმპერატორმა კლეოპატრას შეუთვალა: ეგვიპტეს დაუტოვებდა სამართავად, თუ ანტონიუსს გაწირავდა. მაშინ კლეოპატრამ ღალატის ფასად ეგვიპტის ხსნა განიზრახა. მან, ანტონიუსისაგან ფარულად, არმიასა და ფლოტს იარაღის დაყრა უბრძანა და თავისი ხომალდი ნაპირისაკენ მიაბრუნა. მას დაედევნა ანტონიუსიც.



დედოფალი მთელი თავისი საგანძურით აკლდამაში ჩაიკეტა. სასოწარკვეთილმა ანტონიუსმა თავი მოიკლა.

გულით სურდა ოქტავიანუსს, რომ ეგვიპტის დედოფალი თან წაეყვანა რომში თავისი ტრიუმფალური სვლის სამშვენისად. კლეოპატრამ კი, ოდეს დარწმუნდა, რომ ეგვიპტის მბრძანებლობა აღარ ეწერა, ოქროს ბორკილებში ყოფნას სიკვდილი არჩია.

ოქტავიუსმა დიდი პატივით დაკრძალა ერთ სამაროვანში ეგვიპტის უკანასკნელი დედოფალი და ანტონიუსი. მისი ბრძანებით დასაჯეს კლეოპატრას ძე კეისრისაგან (კესარიონი) და ანტონიუსის უფროსი ვაჟი ფულვიასაგან. კლეოპატრას დანარჩენი შვილები აღზარდა ავგუსტუსის დამ, ოქტავიამ.

რომაელებმა ოქტავიანუსს დიდებული შეხვედრა მოუწყვეს. სამი დღე გრძელდებოდა მისი ტრიუმფი. სენატმა ტრიუმფატორს იმპერატორის გვირგვინი უბოძა. იმპერატორად იწოდებოდა მას შემდეგ რომის ყველა მბრძანებელი.

ოქტავიანუსმა გაიმარჯვა. სამოქალაქო ომების ხანა დასრულდა. კარგად ხვდებოდა იმპერატორი, რომ მშვიდობიანი რომის მართვა იოლი საქმე არ იყო. მან დაიწყო იმაზე ფიქრი, თუ როგორ გადაეცა უფლებები სენატისა და ხალხისათვის. იმ დროის სახელოვანმა მოღვაწემ, გაიუს კილნიუს მეკენასმა (მეცენატმა, ასე წარმოითქმოდა მისი სახელი შუა საუკუნეებში), რომელსაც დიდად აფასებდა ოქტავიანუსი, მას ურჩია: „თუკი შენ ზრუნავ სამშობლოსათვის, რომლის გამოც ამდენი ომი გადაიტანე და რომლისთვისაც ალბათ სულსაც არ დაიშურებ, მაშინ შეცვალე იგი და გონივრულად მოაწესრიგე. თქვა და აკეთო ყველაფერი, რასაც ისურვებ, საყოველთაო კეთილდღეობის წყაროა, თუკი ხალხი გონიერია, მაგრამ ამას უბედურება მოჰყვება, როდესაც ხალხი უგუნურია. ამიტომ ის, ვინც უგუნურ ხალხს ანიჭებს თავისუფლებას, ალესილ მახვილს აძლევს ბავშვს ან შერეკილს; ხოლო ის, ვინც კეთილგონიერ მოქალაქეებს მიანიჭებს თავისუფლებას, იხსნის ყველას... ამიტომ აუცილებლად მიმაჩნია კარგად გაიაზრო შექმნილი მდგომარეობა და თავად მართო სახელმწიფო ღირსეულ ადამიანებთან ერთად... რამეთუ მდაბიო ხალხის ყბადაღებული თავისუფლება ღირსეული ადამიანებისათვის მონობაზე უმწარესია, იგი ერთნაირად დამღუპველია ყველასათვის. ხოლო თავისუფლება, რომელიც კეთილგონიერებას ემყარება და რომელიც ყველას ღირსებისამებრ მიეგება სამართლიანად, ბედნიერების მომტანია“ (დიო კასიუსი, ისტორია, 52, 41).

ყურად იღო ოქტავიანუსმა მეგობრის რჩევა. მან ისეთ სახელმწიფოს ჩაუყარა საფუძველი, რომელიც ფაქტიურად მონარქია იყო, თუმცა მას რესპუბლიკის ნიშნებიც ჰქონდა. ოქტავიანუსმა თავი პრინცეპსად გამოაცხადა, რაც ნიშნავდა პირველ, საპატიო სენატორს. პრინცეპსს ენიჭებოდა ერთადერთი და ფასდაუდებელი



უფლება – პირველს გამოეთქვა თავისი აზრი სენატში. მოგვიანებით ავგუსტუსის მიერ შექმნილ ხელისუფლებას პრინციპატი ეწოდა.

ძვ.წ. 27 წლის იანვრის შუა რიცხვებში სენატმა ოქტავიანუსს მიანიჭა საპატიო სახელი – ავგუსტუსი („ღმერთებისგან განდიდებული", ან „ვინც განადიდა სახელმწიფო", ან „სიკეთის შემოქმედი"). მას შემდეგ რომაელთა მბრძანებელს ეწოდა იმპერატორი კეისარ ავგუსტუსი. რომში მთელი ძალაუფლება ამ ერთი ადამიანის ხელში მოექცა. იგი ფლობდა ყველა უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობას: ცხოვრების ბოლომდე იყო კონსულიც, უზენაესი ქურუმიც (პონტიფექსი) და სახალხო ტრიბუნიც. ის განაგებდა უმნიშვნელოვანეს რომაულ პროვინციებსაც (გალიას, ილირიას, მაკედონიას, სირიას), მის ხელთ აღმოჩნდა რომის არმიაც. მონარქიული უფლებების მქონე ავგუსტუსი მუდამ ცდილობდა ისე გამოჩენილიყო, თითქოსდა იგი პირველი იყო თანასწორთა შორის. იმპერატორი არასოდეს აძლევდა თავს იმის უფლებას, დამტკბარიყო ძალმოსილებით, თუმცა მთელი რომაული სამყარო მის ფერხთა ქვეშ იყო განრთხმული. ხალხი აღმერთებდა თავის მბრძანებელს, რადგანაც, ბოლოს და ბოლოს სახელმწიფოში მშვიდობამ დაისადგურა. თავად ავგუსტუსიც ამისკენ მიისწრაფოდა: უმიზეზოდ არავის უცხადებდა ომს და არ ილტვოდა ახალი ტერიტორიების დაპყრობისაკენ. იგი თვლიდა, რომ იმპერიამ ახალი სამფლობელოები კი აღარ უნდა შემოიერთოს, არამედ უნდა დაიცვას ის, რაც გააჩნია. ავგუსტუსის მმართველობის ხანაში სამგზის დაიხურა იანუსის ტაძარი სრული სიმშვიდის ნიშნად (იანუსის ტაძარი მხოლოდ მაშინ იხურებოდა, როდესაც რომაელი ხალხის მთელ სამფლობელოში, ხმელეთზეც, ზღვაზეც, მშვიდობა ისადგურებდა. რომის დაარსებიდან (ძვ.წ. 753 წ.) ავგუსტუსის ხანამდე ეს ტაძარი მხოლოდ ორგზის დაუხურავთ). იმპერატორმა რომში დააწესა მშვიდობიანი ხანის ღვთაების ახალი კულტი და მას „Pax Augusta" („ავგუსტუსის მშვიდობა") უწოდა; მარსის ველზე ააგო თეთრი მარმარილოთი ნაკეთი „მშვიდობის საკურთხეველი", რომელიც დიდებული სკულპტურული რელიეფებით დაამშვენა.

ომებს ჩამოცილებული ავგუსტუსი დიდ აღმშენებლობით მოღვაწეობას შეუდგა. მან დაამშვენა რომი შესანიშნავი ნაგებობებით, მოედნით, რომელსაც „ავგუსტუსის ფორუმი" უწოდა. აქ იყო აღმართული „შურისმაძიებელი მარსის" ტაძარი, რომელიც იმის მაუწყებელი უნდა ყოფილიყო, თუ როგორ იძია შური ავგუსტუსმა იულიუს კეისრის მკვლელობისათვის. ამ ტაძრის უზარმაზარი, თეთრი მარმარილოს სვეტები დღემდე შემორჩა. რესპუბლიკური ხანის რომი არ გამოირჩეოდა თავისი დიდებულებით; ავგუსტუსმა ის ბრწყინვალე ქალაქად აქცია. იგი სიამაყით აცხადებდა: „მე მივიღე ქვის რომი და ვტოვებ მარმარილოს რომს" (სვეტონიუსი, ავგუსტუსი, 28).



ავგუსტუსმა შემოიღო მრავალი კანონი მშვიდობის, წესრიგის, ადამიანური ღირსების დასაცავად; დაამყარა განსაკუთრებული წესრიგი სენატში, ქალაქსა თუ სახელმწიფოში. მან პირადი დაცვისთვის პრეტორთა გვარდია შექმნა, რომელიც განსაკუთრებული უფლებებით სარგებლობდა. პრეტორიანელებს სამჯერ მეტ გასამრჯელოს უხდიდნენ, ვიდრე სხვა ჯარისკაცებს. დროთა განმავლობაში ეს გვარდია მნიშვნელოვან ძალად იქცა რომში: მას შეეძლო ჩამოეგდო და აღეზევებინა იმპერატორები, მასზე დიდად იყო დამოკიდებული სახელმწიფოს პოლიტიკური ამინდი.

ავგუსტუსი რომში მართავდა ბრწყინვალე ზეიმებს, თამაშებს, ასპარეზობებს; უხვად გასცემდა საჩუქრებს და თანამდებობებს; წვავდა სასჯელმისჯილთა ნუსხებს; აუქმებდა ვალებს. მისი პოპულარობა უფრო და უფრო იზრდებოდა. იტალიის ზოგიერთი ქალაქი ახალი წლის დასაბამად მიიჩნევდა იმ დღეს, რა დღესაც ავგუსტუსმა მის მიწაზე შემოდგა ფეხი. მეზობელ სახელმწიფოთა მეფენიც კი ახლად დაარსებულ ქალაქებს მის სახელს არქმევდნენ; რომის პროვინციებში ავგუსტუსის სახელობის ტაძრებს აგებდნენ.

რომაელებმა ერთხმად მიანიჭეს თავიანთ იმპერატორს „Pater Patriae"-ს („სამშობლოს მამა") წოდება, რომელიც მანამდე მხოლოდ ციცერონსა და კეისარს ერგოთ პატივად. მისი სახელი ეწოდა რომაული კალენდრის მეექვსე თვესაც.

დიადი იმპერატორის პირადი ცხოვრება კი რთული და შფოთიანი იყო. თავდაპირველად მან იქორწინა მარკუს ანტონიუსის გერზე – კლავდიაზე, რათა გაემყარებინა თავისი კავშირი ანტონიუსთან. მაგრამ სიდედრთან უთანხმოების გამო მალე კლავდია დაუბრუნა მშობლებს. მეორე ცოლიც ანგარებით მოიყვანა: ეს იყო სკრიბონია, სექსტუს პომპეუსის ნათესავი. მაგრამ მასაც ვერ შეეწყო, როგორც ამბობენ, უზნეობის გამო და გასცილდა ზუსტად იმ დღეს, როდესაც იშვა მათი ასული იულია. ავგუსტუსს შეუყვარდა ანტონიუსის მომხრე ტიბერიუს კლავდიუს ნეროს (ნერონის) მეუღლე ლივია დრუსილა, რომელიც, ჯერ კიდევ ფეხმძიმე, ქმარს გააცილა და ცოლად შეირთო. ლივიასადმი სიყვარული დიდ იმპერატორს ცხოვრების ბოლომდე არ განელებია მიუხედავად იმისა, რომ მათ არ ჰყავდათ საერთო შვილები. ამ ჭკვიანმა და ძლიერი ხასიათის ქალმა დიდი გავლენა იქონია მეუღლის პოლიტიკურ მრწამსზე. ლივიას ჰყავდა ორი ვაჟი პირველი ქმრისგან – ტიბერიუსი და დრუსუსი. ეს

ლივია



უკანასკნელი გერმანიაში წარმოებული ბრძოლებისას გარდაიცვალა. ყოველი ლონე იხმარა ლივიამ, რათა ტიბერიუსისათვის საიმპერატორო ტახტი განემზადებინა. და ასეც მოხდა. გარდაიცვალა ყველა, ვინც კი იმპერატორმა მემკვიდრედ აღიარა. უპირველეს ყოვლისა ეს იყო მისივე დის, ოქტავია უმცროსის შვილი მარკელუსი, რომელიც ავგუსტუსმა დააქორწინა თავის ერთადერთ ასულზე, იულიაზე. მარკელუსი მოულოდნელად გამოესალმა სიცოცხლეს. მაშინ ოქტავიანუსმა იულია თავის უახლოეს მეგობარს, მარკუს აგრიპას მიათხოვა. ეს ის მხედართმთავარი აგრიპა იყო, სექსტუს პომპეუსი რომ დაამარცხა. მისგან იულიამ სამი ვაჟი შვა: გაიუსი, ლუკიუსი და აგრიპა პოსტუმუსი, აგრეთვე ორი ქალიშვილი: იულია უმცროსი და აგრიპინა. ავგუსტუსმა თავის მემკვიდრეებად გამოაცხადა გაიუსი და ლუკიუსი, რომლებიც ტრადიციისამებრ, იშვილა, გამოისყიდა რა ისინი აგრიპასაგან. მაგრამ გაიუსი და ლუკიუსიც მოულოდნელად გარდაიცვალნენ. მაშინ ოქტავიანუსმა აგრიპა პოსტუმუსი იშვილა, მაგრამ მალე განირიდა ეს ყმაწვილი მდაბალი და ულმობელი ზნის გამო. ვარაუდობენ, რომ აგრიპა პოსტუმუსი სულიერად იყო დაავადებული.

როდესაც მარკუს აგრიპაც გარდაიცვალა, ავგუსტუსმა იულიას მესამე ქმარი გამოუძებნა. ხალხში ხმა დაირხა, თითქოს ოქტავიანუსის მიერ მემკვიდრეებად აღიარებულთა ცხოვრებიდან წასვლა ლივიას საქმე იყო. ამას ამტკიცებენ ისტორიოგრაფოსებიც, მაგრამ ასე არ ფიქრობდა თავად ავგუსტუსი. მას მთელი არსებით უყვარდა ლივია და გულწრფელად განიცდიდა დისშვილისა თუ შვილიშვილთა გარდაცვალებას. უფრო მეტად კი თავისი ასულის, იულიასა და შვილიშვილის, იულია უმცროსის უზნეობაზე წუხდა. გარყვნილებაში დადანაშაულებული დედა-შვილი და სულიერად ავადმყოფი აგრიპა პოსტუმუსი იმპერატორის ბრძანებით რომიდან გააძევეს. თავის სამ ტკივილს უწოდებდა მათ ავგუსტუსი და მაინც, არავის რთავდა იმის ნებას, დახმარებოდნენ ან თუნდაც გაკარებოდნენ გაძევებულებს. სენატმა არაერთგზის მიმართა თხოვნით იმპერატორს მათი შეწყნარების თაობაზე, მაგრამ ამაოდ. ხოლო როდესაც იულიას ერთ-ერთმა მეგობარმა, შეურაცხყოფილმა ფებემ, თავი მოიკლა, ავგუსტუსს დანანებით აღმოხდომია, ნეტა მე ვიყო მისი მამაო. იულიათა დაკრძალვა ოქტავიუსთა სამაროვანში ანდერძით იყო აღკვეთილი. ბოლოს და ბოლოს ლივიამ მიაღწია იმას, რომ ავგუსტუსმა იშვილა მისი ვაჟი პირველი ქორწინებიდან – ტიბერიუსი.

როგორც გადმოგვცემენ, ავგუსტუსი არ იყო მაღალი. იგი მწითურ ფერს გადაიკრავდა და განსაკუთრებული მომხიბლაობით გამოირჩეოდა. მის სხეულზე მრავალ ხალს ითვლიდნენ. ისინი თავისი განლაგებით დიდი დათვის თანავარსკვლავედს გამოსახავდნენ, რაც იმპერატორის უაღრესობის სიმბოლოდ აღიქმებოდა.

განუსაზღვრელი ძალაუფლების მქონე იმპერატორი ცხოვრობდა არა ფუფუნებით, არამედ მოკრძალებულად ფორუმის მახლობლად ერთ ჩვეულებრივ სახლში. ბევრს მუშაობდა, წვებოდა გვიან, არ უყვარდა ადრე ადგომა. დიდი სიამოვნებით კითხულობდა ბერძენ და რომაელ ავტორთა თხზულებებს, თავად წერდა პროზაულ ნაწარმოებებს, სიტყვებს, წერილებს.

ავგუსტუსი, ისევე როგორც მისი უახლოესი მეგობარი გაიუს კილნიუს მეკენასი (მეცენატი), მრავალი პოეტისა თუ ხელოვანის მოწყალე იყო. მისი მმართველობის პერიოდის რომაულ ლიტერატურას „ოქროს ხანის ლიტერატურას" უწოდებენ. სწორედ იმ დროს მოღვაწეობდნენ ჰორაციუსი, ტიტუს ლივიუსი, ვერგილიუსი. მართალია, ავგუსტუსმა რომაელებს არ მისცა ნება აეგოთ მისი სახელობის ტაძარი, მაგრამ ერთობ კმაყოფილი იყო იმით, რომ ვერგილიუსმა თავის პოემაში „ენეიდა" იგი ღმერთად გამოაცხადა. ვერგილიუსი ისე გარდაიცვალა, რომ ვერ მოასწრო ამ პოემის დასრულება. ჩანს, არ მოსწონდა პოეტს თავისი ქმნილება და ამიტომ სიკვდილის წინ მისი დაწვა სთხოვა მეგობრებს. მაგრამ ავგუსტუსმა არ აღასრულა ვერგილიუსის უკანასკნელი სურვილი. პირიქით, ლიტერატორებს უბრძანა, მოეწესრიგებინათ პოემა და რაც შეიძლება სწრაფად გამოექვეყნებინათ.

მეკენასი

ამ კეთილმოწყალებასთან ერთად ავგუსტუსი ზოგჯერ საოცარ გულგრილობასაც იჩენდა. იგი შეუბრალებელი იყო მათ მიმართ, ვინც მის ღირსებას შეურაცხყოფდა. ზუსტად ცნობილი არ არის რისთვის, მაგრამ ფაქტია, რომ ავგუსტუსმა რომიდან გააძევა პოეტი ოვიდიუსი, რომელიც თავისი წერილებით შეწყალებას სთხოვდა მბრძანებელს, მაგრამ იგი არ შეიწყალეს, ისევე როგორც იულიები და აგრიპა.

ავგუსტუსის ხანიდან რომში პროფესიონალი დამსმენები გამოჩნდნენ. იმპერატორი დიდად არ აქცევდა ყურადღებას იმას, თუ ვინ რას იტყოდა მასზე. ერთხელ მას ასე დაუმოძღვრავს თავისი შვილობილი, რომის მომავალი მბრძანებელი ტიბერიუსი: „ნუ აღშფოთდები, თუკი ვინმემ აუგად მომიხსენია. მე უკვე ზიანს ველარავინ მომაყენებსო!" (სვეტონიუსი, ავგუსტუსი, 51).

ხალხის სიყვარულით გარემოცული ავგუსტუსი 44 წელი მართავდა რომს. იგი 76 წლის ასაკში გარდაიცვალა, ახ.წ. 14 წლის 19 აგვისტოს. ამიტომაც ეწოდა ამ თვეს მისი სახელი.

სვეტონიუსის თანახმად, ავგუსტუსი გარდაიცვალა მსუბუქად და უმტკივნეულოდ, ისეთი სიკვდილით, თავადვე რომ ნატრობდა. მას ლივიას მკლავებში აღმოხდა სული ამ სიტყვებით: „ლივია, გახსოვდეს, როგორ ვიცხოვრეთ ერთად!

იცოცხლე დიდხანს, მე კი გემშვიდობები!" (ავგუსტუსი, 99, 1). ისტორიოგრაფოს ტაციტუსის გადმოცემით კი, ავგუსტუსის გარდაცვალებაშიც ლივიას ხელი ერია (ანალები, I, 5).

„ცხოვრება თამაშია" – ალბათ ამას ფიქრობდა მომაკვდავი იმპერატორი, როდესაც თავის გარეშემომყოფთ ეკითხებოდა: „როგორ გგონიათ, კარგად გავითამაშე ცხოვრების კომედიაო?" (იქვე, 99). ეს თამაში მისი გარდაცვალების შემდეგაც გაგრძელდა: ავგუსტუსის ნეშტი, ადათისამებრ, მარსის ველზე დაფერფლეს. იმ დროს ერთი წარჩინებული რომაელი ეფიცებოდა თურმე ხალხს, რომ იხილა ავგუსტუსის ცად აღზევება. ეს ფიცი ლივიას მილიონი სესტრეციუსი დაუჯდაო, ასე ამბობდნენ.



რომის იმპერია

ტიბერიუსი

რომის იმპერატორი იულიუსთა და კლავდიუსთა დინასტიიდან

(ძვ.წ. 42 წ.-ახ. წ. 37 წ.)

რომს მართავდა ახ.წ. 14-37 წლებში

ტიბერიუს კლავდიუს ნერო, რომელმაც ტვირთად მიიღო დიადი ავგუსტუსის მემკვიდრედ ყოფნის პასუხისმგებლობა, ისტორიაში დარჩა, როგორც წინააღმდეგობებით აღსავსე პიროვნება. ისტორიოგრაფოსი დიო კასიუსი მას ასე ახასიათებს: „ეს იყო მრავალი კარგი და ასევე მრავალი ცუდი თვისების მქონე ადამიანი. როდესაც იგი თესდა სიკეთეს, გეგონებოდათ, რომ მასში არაფერი იყო ცუდი და პირიქით“ (58, 28). ტიბერიუსის მოღვაწეობის ტრაგიზმად ითვლება ის, რომ მის მიერ აღსრულებული ყოველი სასიკეთო საქმე გაქარწყლდა მისივე მმართველობის ჟამს, რადგანაც ავგუსტუსის მიერ აკინძულ იმპერიაში ყველაფერი აირია. ამას ემატებოდა ისიც, რომ იმპერატორს მუდამ სურდა გასცლოდა მისთვის საძულველ რომს.

ტიბერიუსი კლავდიუსთა უძველესი გვარის ჩამომავალი იყო. მისი წინაპრები რომში დასახლებულან ჯერ კიდევ ტიტუს ტატიუსის მეფობის ჟამს. ეს ის ტიტუსი იყო, რომს ამ ქალაქის დამფუძნებელ რომულუსთან ერთად რომ განაგებდა.

მომავალი იმპერატორი ძვ.წ. 42 წლის 16 ნოემბერს დაიბადა რომში ლივია დრუსილასა და თავგამოდებული რესპუბლიკელის, ტიბერიუს კლავდიუს ნეროს ოჯახში. მამამისი იულიუს კეისრის თანამებრძოლი იყო და ალექსანდრიის ომში ფლოტს წინამძღოლობდა. ნიჭიერი მთავარსარდალი კეისარმა პონტიფექსად (ქუ-



რუმად) დანიშნა და გალიის კოლონიები ჩააბარა. როდესაც „ღვთაებრივი იულიუსი" ვერაგულად მოკლეს და ტრიუმვირთა შორის უთანხმოება ჩამოვარდა, ტიბერიუსი ანტონიუსის მომხრეთა ბანაკში აღმოჩნდა. ამიტომ იძულებული გახდა რომიდან გადახვეწილიყო. ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ იგი სიცილიაზე დასახლდა თავის მეუღლე ლივია დრუსილასა და მცირეწლოვან ტიბერიუსთან ერთად. თუმცა მალე, მისენაში დადებულმა ხელშეკრულებამ მის ოჯახს საშუალება მისცა რომში დაბრუნებულიყო. აქ კი ტიბერიუსს ახალი უსიამოვნება ელოდა: მისი მეუღლე, ლივია დრუსილა, რომელიც იმხანად ფეხმძიმედ იყო და მეორე ვაჟს ელოდა, შეუყვარდა ოქტავიანუსს. ტიბერიუსი იძულებული გახდა, ცოლს გაყროდა. ისტორიოგრაფოსები არაფერს გვამცნობენ ლივიასა და ოქტავიანუს ავგუსტუსის პირველ შეხვედრაზე. ისინი უბრალოდ მიანიშნებენ, რომ „ავგუსტუსმა ტიბერიუს ნეროს წაართვა ფეხმძიმე მეუღლე, ლივია დრუსილა, რომელიც სიცოცხლის ბოლო წუთებამდე უყვარდა და რომელსაც მთელი არსებით ეთაყვანებოდა" (სვეტონიუსი, ავგუსტუსი, 62). ქორწინებიდან სამი თვის შემდეგ ლივიას მეორე ვაჟი შეეძინა, რომელსაც დრუსუსი შეარქვეს. მისი ვაჟები საიმპერატორო ოჯახის წევრებად მიიღეს. ასე რომ, ავგუსტუსის მომავალი მემკვიდრე თავისი სიცოცხლის ბოლომდე დიადი მამინაცვლის ჩრდილს ეფარებოდა. თუმცა ამას არ დაუბრკოლებია იგი ძვ.წ. 33 წელს სამგლოვიარო სიტყვა წარმოეთქვა მამის სამაროვანთან. ტიბერიუსი არ იყო უნიჭო ბავშვი და ამიტომაც სამოქალაქო ზეიმებისას მეთაურობდა ყმაწვილთა რაზმებს. მან ბრწყინვალე განათლება მიიღო. მოწიფულობის ასაკში იქორწინა წარჩინებულთა ოჯახის ჩამომავალ აგრიპინა ვიპსანიაზე, რომელიც წრფელი გულით უყვარდა.

რაც შეეხება ავგუსტუსს, იგი სხვადასხვა სამხედრო-პოლიტიკურ მისიას ანდობდა თავის შვილობილის, ისიც წარმატებით ართმევდა თავს დაკისრებულ მოვალეობას: ძვ.წ. 20 წელს ტიბერიუსმა აღმოსავლეთს მიაშურა. იქ ტახტზე დასვა რომს თავშეფარებული სომეხთა მეფე ტიგრანი. შემდეგ უკან დაიბრუნა კრასუსის ლეგიონთა დროშები ძვ.წ. 55 წელს კარესთან რომ დაიკარგა პართიელთა წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლის ჟამს. ძვ.წ. 12 წელს მან თავი გამოიჩინა, როგორც ნიჭიერმა მხედართმთავარმა რომაულ პანონიაში, სადაც სამი წელი (ძვ.წ. 12-9 წწ.) დაჰყო; შემდეგ გაემგზავრა გერმანიაში (ძვ.წ. 9-7 წწ.). აქ ტიბერიუსს მძიმე განსაცდელი ელოდა: ერთ-ერთი ბრძოლისას დაიღუპა მისი ძმა დრუსუსი, რომლის ცხედარიც მან რომში ჩამოასვენა. ამ პროცესიას ტიბერიუსი მთელი გზა ფეხით წინ მიუძღვებოდა.

იმ დროს ავგუსტუსი უკვე ეძებდა რომის ტახტის მემკვიდრეს. ტიბერიუსის ღირსებებისდა მიუხედავად (იმ დროისათვის მას უკვე სახალხო ტრიბუნის თანამდებობა

ეკავა) იმპერატორის სავარძელი მას თავისი შვილიშვილებისათვის, გაიუსისა და ლუკიუსისათვის უფრო ემეტებოდა. ძვ.წ. 6 წლისათვის ტიბერიუსმა რომის დატოვება განიზრახა. ვერც დედის მუდარამ, ვერც მამობილის (ავგუსტუსის) თხოვნამ ვერ შეაცვლევინეს ტიბერიუსს აზრი. უფრო მეტიც, მან ოთხი დღე იშიმშილა და როგორც იქნა, მიიღო გამგზავრების უფლება. იგი კუნძულ როდოსზე განმარტოვდა. ამის მიზეზების ძიებას უფრო ადრეულ წლებში გადავყევართ: ჯერ კიდევ ძვ.წ. 12 წელს ავგუსტუსმა, რომელიც განაგებდა ტიბერიუსის ბედს ისევე, როგორც თავად იმპერიის ბედს, აიძულა შვილობილი, გაყროდა საყვარელ მეუღლეს (რომლისგანაც უკვე ჰყავდა ვაჟი, დრუსუს უმცროსი და მეორე შვილსაც მალე ელოდა) და დაუხანებლივ ექორწინა იულიაზე. ეს გახლდათ თავად ავგუსტუსის ქალიშვილი, რომელსაც უკვე ორი ქმარი გამოეცვალა და მათგან ხუთი შვილის შეძენაც მოესწრო. ახალ მეუღლეს ვერ იტანდა ტიბერიუსი, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც მათი ერთადერთი შვილი გარდაიცვალა. უზნეო იულიასთან ერთად ცხოვრება სულ უფრო გაუსაძლისი ხდებოდა პატივმოყვარე ტიბერიუსისათვის, მაგრამ ვერც გაყრას ახერხებდა. აი, ერთ-ერთი მიზეზი მისი განმარტოებისა. მეორესაც ასახელებენ: ვარაუდობენ, თითქოს ტიბერიუსი უბრალოდ განერიდა საიმპერატორო კარს, რათა ძალაუფლებისადმი სწრაფვაში არ დაედანაშაულებინათ მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ იულიას ვაჟები – გაიუსი და ლუკიუსი.

როდოსზე ტიბერიუსი უბრალო მოქალაქის ცხოვრებით ცხოვრობდა: დაუახლოვდა როდოსელ მოქალაქეებს და მათთან ერთად ისმენდა სახელოვან ფილოსოფოსთა მოძღვრებებს. მალე ტიბერიუსს აცნობეს, რომ იულია ულირსი საქციელის გამო რომიდან გააძევეს, ხოლო ავგუსტუსმა მისი სახელით მოითხოვა განქორწინება. ტიბერიუსი ამ ამბავმა ფრიად გაახარა და როგორც კი დასრულდა მისი სახალხო ტრიბუნად ყოფნის დრო, საიმპერატორო კარს წერილი გაუგზავნა რომში დაბრუნების თხოვნით, იმ მიზეზით, რომ ნათესავები ენატრებოდა. მაგრამ უარი მიიღო. ესეც არ აკმარეს და განუცხადეს, რომ უმჯობესია, არც იფიქროს ნათესავებზე, რომლებიც ესოდენი სიამით მიატოვა. ამის შემდეგ ტიბერიუსის ცხოვრება როდოსზეც გაუსაძლისი აღმოჩნდა. მას ბრალად დასდეს ხელისუფლებისადმი სწრაფვა. ახლა უკვე ლტოლვილად მყოფ რომაელს ეშინოდა, რომ ბერძნები მის მოკვლას განიზრახავდნენ. დიდი ძალისხმევით შეძლო მან რომში დაბრუნება იმ პირობით, რომ სახელმწიფო საქმეებში არ ჩაერეოდა.

მოვლენები კი სულ სხვაგვარად დატრიალდა: ერთი მეორის მიყოლებით გარდაიცვალა ყველა, ვინც კი ავგუსტუსმა თავის მემკვიდრედ დაიგულა. ამაში ისტორიოგრაფოსები ლივია დრუსილას წვლილზე მიუთითებენ და აღნიშნავენ, რომ მისი ოცნება იყო საიმპერატორო ტახტზე ეხილა ტიბერიუსი. ახ.წ. 4 წელს ტიბე-



რიუსი იშვილა ავგუსტუსმა. იმავდროულად მას მიენიჭა სახალხო ტრიბუნის უფლებები ათი წლის ვადით. ასე აღმოჩნდა ტიბერიუსი საიმპერატორო ტახტის მემკვიდრედ. მაგრამ უკვე ხანდაზმულ ავგუსტუსს მოვლენათა ასეთი შემობრუნება არ მოსწონდა. იგი მთელი ძალისხმევით ეძებდა უფრო შესაფერის შემცვლელს საიმპერატორო ტახტზე აღსაზევებლად. ამიტომ იშვილა აგრიპა პოსტუმუსი, აწ გარდაცვლილი გაიუსისა და ლუკიუსის კიდევ ერთი ძმა, ხოლო ტიბერიუსი აიძულა, ეშვილებინა თავისი ძმის, დრუსუსის ძე – გერმანიკუსი.

ამასობაში იფეთქეს ამბოხებებმა გერმანიასა (ახ.წ. 4-6 წწ.) და პანონიაში (ახ.წ. 6-9 წწ.). მათ ჩასახშობად გაგზავნეს ტიბერიუსი. მან წარმატებით გაართვა თავი ამ საქმეს, დიდებით დაბრუნდა რომში და ერთხანს ავგუსტუსთან ერთად განაგებდა იმპერიას. რაც შეეხება აგრიპა პოსტუმუსს, ლივიას ბრძანებით იგი რომიდან გააძევეს.

ახ.წ. 14 წლის ზაფხულში ავგუსტუსი ავად გახდა. ლივიამ მომაკვდავი იმპერატორის სარეცელთან მიიწვია ტიბერიუსი. მასთან საუბრის შემდეგ ავგუსტუსს უთქვამს: „საბრალო რომაელი ხალხი! რა ზანტ ხახაში უწევს ჩავარდნა!" ლივიას ბრძანებით მოკლეს აგრიპა პოსტუმუსი და ამდაგვარად, ავგუსტუსის გარდაცვალების შემდეგ ტახტის ერთადერთი მემკვიდრე, ტიბერიუსი აღიარეს იმპერატორად. იგი დიდი ხანია თანახმა იყო, მიელო ეს უმაღლესი პატივი, თუმცა სენატის სხდომაზე ისე ეკავა თავი, თითქოს არ სურდა ძალაუფლების ხელში ჩაგდება. ამის გამო სხდომა გახანგრძლივდა. ერთ-ერთ სენატორს აღუნიშნავს კიდეც: „ზოგიერთები აყოვნებენ იმის კეთებას, რასაც გვპირდებიან; ეს კი აყოვნებს მოგვცეს პირობა იმისა, რასაც უკვე დიდი ხანია აკეთებსო". ტიბერიუსს წინ მრავალი საფრთხე ელოდა. ერთ-ერთი უკავშირდებოდა მის ძმიშვილ გერმანიკუსს, რომელიც ხალხსა და არმიაში დიდი სიყვარულით სარგებლობდა.

„მგელი ყურებით მიჭირავს", – ხშირად იმეორებდა ამ სიტყვებს ტიბერიუსი, სანამ ერთპიროვნული მმართველი გახდებოდა. დროთა განმავლობაში მან კარგად შეიგრძნო ძალაუფლების ხიბლი და მისი სიმფრთხალეც გაქრა. რომაელები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მლიქვნელობაში, თუმცა იმპერატორს თავი მოკრძალებულად ეჭირა, არ იღებდა რა შეთავაზებულ პატივსა თუ ძვირფას საბოძვრებს. სენატი ისე აშკარად ეგებოდა ფეხქვეშ ტიბერიუსს, რომ მას ჩვევად ექცა დარბაზის დატოვებისთანავე წარმოეთქვა ბერძნულად: „ო, ადამიანებო, მონობისათვის მოვლენილნო ამ ქვეყანაზე!" ცხადი იყო, რომ ყოვლისშემძლე იმპერატორსაც კი ზიზღს ჰგვრიდა სენატის მონური მორჩილება (ტაციტუსი, ანალები, III, 65). მან მოქმედების თავისუფლების ნება დართო სენატსაც და თანამდებობის პირთაც და

მათ საქმეში მხოლოდ მაშინ ერეოდა ხოლმე, თუ ამას თავად მოითხოვდნენ; იგი არ სდევნიდა თავის მოწინააღმდეგეებს და მოთმინებით იტანდა მის მიმართ გამოთქმულ შენიშვნებსა და ლანძღვასაც კი. რა თქმა უნდა, სენატორები ამ „თავისუფლებით" კიდევ უფრო იბნეოდნენ, რადგანაც ვერ ხვდებოდნენ, რას ფიქრობდა მიჩუმებული იმპერატორი.

მომჭირნე ტიბერიუსმა შეამცირა ის თანხები, რომლებიც გლადიატორთა ბრძოლებზე თუ სხვა გასართობ სანახაობებზე იხარჯებოდა; მისი წვეულებები არ გამოირჩეოდნენ ადრინდელი ფუფუნებით; იგი აწესრიგებდა საბაზრო ფასებს და მოუწოდებდა ხალხს ზომიერებისაკენ. ტიბერიუსმა სცადა საზოგადოების ზნის გამოსწორებაც: მიიღო რამდენიმე კანონი გარყვნილების აღსაკვეთად; აკრძალა ეგვიპტური, იუდეური და სხვა არარომაული ზეიმები. სამხედრო ძალის გამოყენების გარეშე ემორჩილებოდნენ მას პროვინციები, რომელთა მეფეებსაც იგი რომში იტყუებდა და უკან აღარ აბრუნებდა.

ტიბერიუსმა გაზარდა გადასახადები, რამაც ხალხის უკმაყოფილება გამოიწვია. მათში უფრო და უფრო პოპულარული ხდებოდა გერმანიკუსი, რომლის ბრწყინვალე გამარჯვებებმა გერმანიაში რომის იმპერიას მეტი ძალმოსილება შესძინა. სამეფო კარზე დაძაბულობამ იმატა: უბრალო ხალხს თავის იმპერატორად გერმანიკუსის ხილვა უფრო ეწადა, ვიდრე პირქუში ტიბერიუსისა. გერმანიკუსის მიმართ საყოველთაო სიყვარული გახდა ალბათ მიზეზი იმისა, რომ იგი ახ.წ. 17 წელს აღმოსავლეთის გზას გაუყენეს. ამას კი მძიმე შედეგები მოჰყვა, რამეთუ ახ.წ. 19 წელს რომაელთა რჩეული მოულოდნელად გარდაიცვალა ანტიოქიაში. გერმანიკუსის ქვრივმა, აგრიპინა უფროსმა მეუღლის სიკვდილში ტიბერიუსი და მისი დედა – ლივია დაადანაშაულა. „მათ უდიდებულესობათა" შეურაცხყოფისათვის აგრიპინა შორეულ კუნძულზე გააძევეს, სადაც გარდაიცვალა კიდეც.

საიმპერატორო ძალმოსილების გაძლიერებასთან ერთად იცვლებოდა ტიბერიუსის ზნე და ხასიათი. იგი სულ უფრო სასტიკი და შეუბრალებელი ხდებოდა. სასამართლო სისტემაში იმძლავრა დამსმენთა ბოროტებამ, ხოლო იმპერიაში აგორდა უსაფუძვლო ბრალდებათა ტალღა. უმაღლესი თანამდებობის პირებსაც და უბრალო მოქალაქეებსაც უმიზეზოდ ასამართლებდნენ ღალატის ბრალდებით. ამ სამსჯავროთა ინიციატორი იყო პრეფექტი სეიანუსი. იგი, ლამობდა რა იმპერატორის ნდობის დამსახურებას, უნამუსოდ არწმუნებდა მას გარეშემომყოფთა სიერაგეში. ეჭვიან ტიბერიუსს სჯეროდა, რომ სასახლეში მრავალი შეთქმულება მზადდებოდა, რომ მის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ მისივე ერთგული ადამიანები. იმპერატორი სულ უფრო და უფრო ექცეოდა თავის პრეფექტის გავლენის ქვეშ.

ბოლოს ისე მოხდა, რომ ტიბერიუსმა დატოვა რომი და კუნძულ კაპრიზე (იმ დროს ამ კუნძულს კაპრეად უხმობდნენ) დასახლდა, სადაც ერთიანად მიეცა ისეთ გარყვნილებას, რომაელებიც რომ გააოგნა.

იმპერატორმა სახელმწიფო საქმეები სეიანუსს გადააბარა, თანაც ნება დართო, დაესაჯა მოღალატენი. მაგრამ სეიანუსმა თავად მოაწყო შეთქმულება ტიბერიუსის წინააღმდეგ ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით. შეთქმულება გამომჟღავნდა, სეიანუსი დასაჯეს. ამის შემდეგ მომრავლდნენ დამსმენები. ხშირად უდანაშაულო ადამიანებს იჭერდნენ, აწამებდნენ, დილეგში აგდებდნენ, შიმშილით კლავდნენ. და არა მხოლოდ მათ, აწამებდნენ მსჯავრდებულთა ოჯახის წევრებს, იქნებოდა ის ხანდაზმული, ქალი თუ სულაც მცირეწლოვანი ბავშვი. ხოლო ეჭვებში ჩაფლული ტიბერიუსი ახლა უკვე მოსალოდნელი სიკვდილის წინაშე გამუდმებული შიშით იტანჯებოდა.

რომთან განრიდებით ტიბერიუსმა ვერ იხსნა თავისი უკვე შერყვნილი და წაბილწული სული. სენატისადმი გაგზავნილი მისი ერთი წერილი ასე იწყებოდა: „რა მოგწეროთ, დიდად ღირსეულო სენატორო მამებო, ან როგორ მოგწეროთ, ან რაღაზე არ ვწერო ახლა? თუკი გგონიათ, რომ მე ეს ვიცი, დაე, ღმერთებმა და ქალღმერთებმა, დღენიადაგ დაღუპვისკენ რომ მიმაქანებენ, იმაზე უფრო მძიმე სასჯელი მომივლინონ!" ისტორიოგრაფოსი ტაციტუსი, რომელმაც შემოგვინახა ეს წერილი, დასძენს: „ასე შემოუბრუნდა მას საკუთარი უკეთურება და სიავკაცე! ამაოდ კი არ ამბობდა ხოლმე ბრძენთაბრძენი სოკრატე: თუკი ტირანთა სულში ჩახედვას შევძლებთ, იქ უამრავ წყლულსა და იარას ვიხილავთ, რამეთუ პატივმოყვარეობა, ულმობლობა და უკეთური ზრახვები ფლეთენო სულს. და მართლაც, ვერც განუსაზღვრელმა უფლებებმა, ვერც განმარტოებამ ვერ იხსნეს ტიბერიუსი სულიერი ტანჯვისა და წამებისაგან, რასაც თავადაც აღიარებდა" (ტაციტუსი, ანალები, VI, 6).

არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ ამ სასტიკსა და ულმობელ ტიბერიუსს მთელი არსებით უყვარდა პოეზია. იგი თავადაც წერდა ლექსებს, დიდებულად ფლობდა ბერძნულ ენას, თავდავიწყებით კითხულობდა ლიტერატურას და უკვე ხანდაზმული ბევრს მოგზაურობდა.

მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ტიბერიუსი მხოლოდ ერთხელ გახდა ავად, 78 წლის ასაკში და ეს ავადმყოფობა საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის. იმხანად იგი მისენის კონცხზე (ნეაპოლის მახლობლად) სახლობდა და მისთვის ჩვეული მოჩვენებითობით ცდილობდა დაეფარა თავისი უძლურება. მაგრამ მკურნალმა ყველას ამცნო, რომ იმპერატორს ორიოდ დღის სიცოცხლეა

ჰქონდა დარჩენილი. ამ ამბავმა ყველა ააფორიაქა, დარბაზში შემოაბიჯა ტახტის მემკვიდრემ, გაიუს კეისარმა (კალიგულამ), მის გარშემო კი თავი მოიყარეს მლიქვნელებმა და სწორედ მაშინ, როდესაც ყველას ეგონა, რომ იმპერატორი სულს ღაფავდა, სასახლეში ხმა დაირხა, მომაკვდავმა თვალი გაახილა და საჭმელს ითხოვსო. „ყველა შეძრწუნდა, კვლავ მიიღეს რა მწუხარე სახე, თავშეყრილებმა იწყეს დაშლა. გაიუს კეისარი კი, სულ ახლახანს თავი რომ იმპერიის მბრძანებლად წარმოედგინა, უარესი ამბის მოლოდინში მიყუჩდა. არ დაბნეულა საიმპერატორო გვარდიის მეთაური (ნევიუს სერტორიუს მაკრო), რომელმაც ბრძანა, მოეგუდათ ტიბერიუსი" (ტაციტუსი, ანალები, VI, 50).

ტიბერიუსის გარდაცვალების სხვა ვერსიებზე საუბრობს სვეტონიუსი: „ზოგიერთი თვლის, რომ მას გაიუსმა ჩაუყარა ხანგრძლივმოქმედი საწამლავი; ზოგიერთი იმასაც ამბობს, რომ უბრალო ციების შემდეგ მან ისურვა, ეჭამა რამე და არ მიართვეს; სხვათა თქმით, იმპერატორი მაშინ გაგუდეს ბალიშით, როგორც კი მოითხოვა თავისი ბეჭედი, გულყრისას რომ წაეძროთ მისთვის. სენეკა კი წერს, რომ მან, გრძნობდა რა სიკვდილის მოახლოებას, თავად მოიხსნა ეს ბეჭედი, თითქოს სურდა ვინმესათვის გადაეცა. შემდეგ კვლავ თითზე გაიკეთა, ხელი ხელს გადააჭდო და დიდხანს იწვა განუძრევლად. შემდეგ თავის მონას გასძახა. პასუხი რომ ვერ მიიღო, წამოდგა, მაგრამ სარეცელთანავე უსულოდ დაეცა ძალაგამოლეული" (სვეტონიუსი, ტიბერიუსი, 73).

ეს მოხდა ახ.წ. 37 წლის 16 მარტს.

ტიბერიუსის სიკვდილმა ხალხი აღარფთოვანა. „ტიბერიუსი ტიბერისში!" – ღრიალებდა ბრბო. მეომრებმა დიდი ძალისხმევით გადაასვენეს იმპერატორის ცხედარი რომში.

ტიბერიუსის გარდაცვალების დღეს დანიშნული იყო მსჯავრდებულთა სიკვდილით დასჯა. ასეთი ბრძანება ჯერ კიდევ თავის სიცოცხლეში გასცა იმპერატორმა. როგორც კი გავრცელდა მისი გარდაცვალების ამბავი, სასიკვდილოდ განწირულებმა შეწყალება სთხოვეს ხელისუფალთ, მაგრამ ამაოდ. კალიგულას ჯერ კიდევ არ ჰქონდა მინიჭებული უფლებები, ჯალათებმა კი აღასრულეს განტევებული იმპერატორის უკანასკნელი განჩინება.

ტიბერიუსის გარდაცვალებასთან ერთად გაჩნდა იმედი, რომ სისასტიკეს და ძალადობას, რაც დაღად აჩნდა მის გამგებლობას, ბოლო მოელებოდა. მაგრამ ახალმა იმპერატორმა კალიგულამ მძვინვარებით წინამორბედს გადააჭარბა.



კალიგულა

(ახ. წ. 12-41 წწ.)

რომის იმპერატორი იულიუს-კლავდიუსთა

გვარიდან. რომს მართავდა 37-41 წლებში

კალიგულა ძველი რომის ისტორიაში დარჩა ყველაზე უფრო ოდიოზურ და ზიზღის აღმძვრელ ფიგურად. შედარებით ვრცლად მის შესახებ მოგვითხრობს სვეტონიუსი, რომელიც ასე წარმოგვიდგენს მის პორტრეტს: კალიგულა იყო მაღალი, ჰქონდა წვრილი კისერი და კიდევ უფრო წვრილი ფეხები. ფერმკრთალ სახეზე ჩავარდნილი თვალები მრისხანე გამომეტყველებას სძენდნენ. მეჩხერი თმა თავის თხემზე უმელოტდებოდა, ამიტომ მისი ხილვა ზემოდან სასიკვდილო დანაშაულად ითვლებოდა. ჰქონდა უსიამოვნო სახე, რომელსაც კიდევ უფრო უმახინჯებდა სარკის წინ სხვათა შესაძრწუნებლად საგულდაგულოდ დაყენებული გრიმასა.

მისი ფიზიკური და სულიერი მანკიერებანი ბავშვობისას გადატანილი ავი ზნით იყო გამოწვეული. კალიგულა დროდადრო მოულოდნელი სისუსტისაგან ფეხზე ვერ იდგა. როდესაც გრძნობდა, რომ გონება ებინდებოდა, ცდილობდა საქმეს განრიდებოდა. მას უძილობა აწუხებდა და მოჩვენებები სტანჯავდნენ. გადმოგვცემენ, რომ მოგვიანებით კესონიამ (მისმა მეუღლემ) კალიგულას რაღაც ჯადო-წამალი შეასვა, სიყვარულით რომ აღეგზნო. მაგრამ ამ ჯადომ იგი საბოლოოდ გადაიყვანა გონებიდან.

კალიგულას სამოსი უკადრისი იყო არა მხოლოდ წარჩინებული რომაელისთვის, არამედ მდაბიო ადამიანისთვისაც კი. ხშირად იგი ხალხის წინაშე გამოდიოდა მარ-



გალიტებით მორთული ფერადი მოსასხამებით, აბრეშუმებსა და ქალის ფეხსაცმელებში გამოწყობილი, ზოგჯერ მეომრის წაღებით ან კოტურნებით (თეატრალური ფეხსაცმელი დიდი პლატფორმით), ოქროს წვერებით; იგი ხან ზევსის, პოსეიდონის ან სულაც ვენუსის სახით მოევლინებოდა ხოლმე ქვეშევრდომთ, ხან თავს ირთავდა ალექსანდრე მაკედონელის საფლავიდან ამოღებული საომარი აღსაკაზმავით. მას არ აინტერესებდა ხელოვნება, მეცნიერება. სამაგიეროდ იტაცებდა მჭევრმეტყველება. მრისხანების ჟამს იგი ოოლად პოულობდა სათქმელად სიტყვებს.

გლადიატორი და მეეტლე, მომღერალი და მოცეკვავე კალიგულა არენაზე საომარი იარაღით იბრძოდა, მონაწილეობდა საცირკო წარმოდგენებში, ხოლო სიმღერითა და ცეკვით ისე ხალისობდა, რომ არ შეეძლო თავის შეკავება სახალხო ზეიმებზე. აქ უნდა გავიხსენოთ, რომ ძველად ხალხის წინაშე სიმღერა და მითუმეტეს ცეკვა წარჩინებული რომაელი მამაკაცისთვის შეუფერებელ საქციელად მიიჩნეოდა. სვეტონიუსი, რომელმაც აღნუსხა კალიგულას მიერ ჩადენილი საშინელებანი და მანიაკალური თვისებები, აღნიშნავდა, რომ იგი სრულ ჭკუაზე არ იყო.

კალიგულა, რომლის ნამდვილი სახელიც ასე ჟღერს: გაიუს იულიუს კეისარ გერმანიკუსი, დაიბადა ახ.წ. 12 წელს. იგი იყო ტიბერიუსის ძმის შვილის, სახელოვანი მხედართმთავრის, გერმანიკუსის მესამე ვაჟი. ბავშვობის წლები გაიუს კეისარმა მშობლებთან ერთად გაატარა სამხედრო ბანაკებში. ამიტომ მამის ნებიერი პატარა ბიჭუნა ჯარისკაცის სამოსით შემოსეს და პაწაწინა წაღებიც შეუკერეს. „კალიგულა“ ამ წაღების ლათინური სახელწოდებაა. გერმანიკუსისადმი დიდი სიყვარული და მოწიწება ჯარისკაცებმა მის შვილზეც გადაიტანეს და მოფერებით კალიგულა შეარქვეს. ეს მეტსახელი ოფიციალურ დოკუმენტებსა და წარწერებში არ გვხვდება. მისი დამკვიდრება ისტორიოგრაფოსების მცდელობას უნდა მივაწეროთ.

გერმანიკუსი

შვიდი წლის იყო კალიგულა, მამა რომ გარდაეცვალა. მის სიკვდილში ადანაშაულებდნენ ტიბერიუსს, რომელიც ყოველნაირი ხერხით ლამობდა ძალაუფლების შენარჩუნებას. გერმანიკუსი რომაელთა შორის გასაოცარი სიყვარულით სარგებლობდა. ისტორიოგრაფოსები გადმოგვცემენ, რომ ხალხს მისი იმპერატორად ხილვა უფრო სურდა, ვიდრე პირქუში და უმოწყალო ტიბერიუსისა. ეს განწყობილება კიდევ უფრო გამოიკვეთა მაშინ, როდესაც ხმა დაირხა, 34 წლის გერმანიკუსი სირიის მმართველის, გნეიუს კალპურნიუს პისოს საწამლავს ემსხვერპლაო. გამწარებული ხალხი ტაძრებს ქვებს უშენდა და სამსხვერპლოებს აყირავებდა, ქალები თმებს იჭრიდნენ, ხოლო მშობლები ახალშობილებს, ადათისამებრ,



მაღლა ისროდნენ იმის ნიშნად, რომ უბედურ დღეს დაიბადნენ ამ ქვეყანაზე; ბარბაროსებმაც, რომაელებს რომ ებრძოდნენ თავგამოდებით, თანაგრძნობის და გლოვის ნიშნად შეწყვიტესო საომარი მოქმედებები.

მამის გარდაცვალების შემდეგ კალიგულა სირიიდან რომში დაბრუნდა და ცხოვრობდა თავის დედასთან, აგრიპინა უფროსთან და დიდ ბებია ლივიასთან ერთად. 29 წელს გარდაიცვალა ლივია და კალიგულას აღზრდა ითავა მისმა დიდედამ, ანტონია პირველმა, რომელმაც შეძლო თავისი შვილიშვილისათვის აერიდებინა პრეფექტ სეიანუსის მრისხანება მაშინ, როდესაც ამ მრისხანებას ემსხვერპლნენ მისი რძალიცა და სხვა შვილიშვილებიც. სეიანუსისა და ტიბერიუსის მიერ გერმანიკუსის მთელი ოჯახისა და ახლობლების განადგურებას კალიგულა ოლიმპიური სიმშვიდით შეხვდა. უფრო მეტიც, მათი მოდგმის მტრად აღიარებულ იმპერატორ ტიბერიუსთან დაახლოება სცადა და 31 წელს სეიანუსის დასჯის მოწმეც გახდა.

უზნეობას კალიგულას ახალგაზრდული ასაკიდანვე ამჩნევდნენ: მას სიამეს ჰგვრიდა ადამიანთა წამებისა და დასჯის მზერა; ღამ-ღამობით, გრძელი სამოსით იმოსებოდა, დუქნებსა და პრიტონებში დაეხეტებოდა, სადაც სცენაზე მღეროდა და ცეკვავდა თავდავიწყებით. ტიბერიუსი კარგად გრძნობდა, თუ რას წარმოადგენდა კალიგულა. ამიტომაც არაერთხელ აღუნიშნავს, ეს ახალგაზრდა დაიღუპავს თავსაც და სხვასაც ზედ მიიყოლებსო.

იმპერატორმა კალიგულა 32 წელს გაიცნო კუნძულ კაპრიზე, სადაც იგი თავისი ცხოვრების ბოლო წლებს ატარებდა. იმ ხნიდან კალიგულა იმპერატორის შვილიშვილ გემელუსთან ერთად ტახტის მემკვიდრედ აღიარეს. კალიგულას სახელმწიფო მოღვაწეობის არანაირი გამოცდილება არ ჰქონია მიუხედავად იმისა, რომ ბებერი იმპერატორი გვერდიდან არ იცილებდა, მასთან ერთად მონაწილეობდა რა ორგიებსა თუ სხვა სულის საამებელ ზეიმებში. ტიბერიუსი არაფრად აგდებდა კალიგულას სისასტიკესა და მანკიერებებს, თუმცა ამბობდა: „გველი აღვზარდე რომაელი ხალხის გულზეო“.

37 წელს გარდაიცვალა ტიბერიუსი. ზოგი თვლიდა, რომ იგი ბუნებრივი სიკვდილით მოკვდა, რამეთუ იყო ხანდაზმულიც და უკურნებელი სენით შეპყრობილიც. უმრავლესობის აზრით კი, ტიბერიუსი სიცოცხლეს კალიგულამ გამოასალმა, და აი, როგორ: თავდაპირველად მისი მოწამვლა სცადა, შეასვა კიდეც საწამლავი, მაგრამ ველარ გაუძლო ლოდინს, და ვიდრე შხამი ბოლოს მოულებდა, ბალიში დააფარა სულთმებრძოლ მოხუცს და საკუთარი ხელით მოგუდა. არსებობს ტიბერიუსის გარდაცვალების სხვა ვერსიებიც.

ასე იყო თუ ისე, კალიგულა ამ დღისთვის დიდხანს ემზადებოდა. მისი ერთგული პრეფექტი სერტორიუს მაკრო იმპერატორის გარდაცვალებისთანავე გამოცხ-



ადდა სენატში, რათა გაეუქმებინა გემელუსის კანონიერი უფლებები ტახტის მემკვიდრეობის თაობაზე. მან იოლად მიაღწია თავის საწადელს და სენატმაც დაუხანებლივ აღიარა კალიგულა რომის იმპერატორად. ხალხი აღტაცებული იყო სენატის ამ გადაწყვეტილებით, რადგანაც იმედოვნებდა, რომ სახელოვანი გერმანიკუსის ვაჟი ბოლოს მიუღებდა ტიბერიუსის სისასტიკესა და შეუწყნარებლობას.

თავდაპირველად კალიგულამ სცადა გაემართლებინა ხალხის იმედი: შეიწყნარა განკიცხულები, დააბრუნა უმიზეზოდ გაძევებულნი და განაცხადა, რომ მისი სმენა დახშულია დამსმენთა მიმართ. მან განსაკუთრებული პატივი მიაგო დედისა და ძმების ხსოვნას; მათი ნეშტი რომში ჩამოასვენა და თითოეული მათგანისათვის დააწესა პატივსადები ზეიმები; მამის სახელის უკვდავსაყოფად სექტემბრის თვეს გერმანიკუსი უწოდა; არც დები დატოვა უყურადღებოდ. ბრძანა, ყოველი ფიცის ბოლოს წარმოთქმულიყო ეს სიტყვები: „დე, არ მიყვარდეს თავი ჩემი და შვილნი ჩემნი უფრო, ვიდრე გაიუსი და მისი დები!"

კალიგულამ სცადა განეახლებინა ავგუსტუსის მიერ წამოწყებული ის საქმეები, ტიბერიუსის დროს რომ მინავლდა; იგი გულუხვად არიგებდა საჩუქრებსა და აწყობდა მდიდრულ ზეიმებს, იქნებოდა ეს გლადიატორთა გრანდიოზული ბრძოლები თუ თეატრალური სანახაობები. უფრო მეტიც, თავად იგონებდა მანამდე არნახულ გასართობებს: ზღვის ერთ-ერთ ყურეზე მან ხიდის გადება ბრძანა. ამისათვის თავი მოუყარა სატვირთო ხომალდებს და ორ მწკრივად განალაგა. შემდეგ ზედ მიწა დააყარა და სასეირნო გზა მოაწყო.

კალიგულა სანახაობებს პროვინციებშიც აწყობდა. ამასთანავე ცდილობდა გაეგრძელებინა ტიბერიუსის მიერ დაწყებული მშენებლობანი. მისი ბრძანებით დასრულდა ავგუსტუსის ტაძარი და პომპეის თეატრი, თავად კი დაიწყო არხის გაყვანა, ამფითეატრის აგება, სირაკუსაში აღადგინა ძველთაძველი ტაძრები, დროთა სიავეს რომ დაენგრია. ამ და კიდევ სხვა სასიკეთო საქმეებით კალიგულამ ხალხის გული მოიგო. მაგრამ მალე ახალგაზრდა იმპერატორი თავისი ნამდვილი სახით წარმოჩნდა, გამოავლინა რა არნახული მძვინვარება, სისასტიკე და ავადმყოფური მიდრეკილებები. ამის მიზეზად ასახელებენ მისი ბუნების თანდაყოლილ მანკიერებებს, რომლებიც კიდევ უფრო გაამწვავა 37 წელს გადატანილმა მძიმე სენმა.

კალიგულამ მრავალი წოდება მიისაკუთრა: „ღვთისმოსავი", „მამა ლაშქრისა", „კეისარი დიდებული და კეთილი" და სხვა. იგი თავს მეფედაც გამოაცხადებდა, რომ არ ერწმუნა მლიქვნელთა სიტყვა: თქვენ უფრო მეტი ხართ, ვიდრე პრინცეპსი და მეფეო. მაშინ მან ღვთაებრივი დიდებულება ისურვა: საბერძნეთიდან საუკეთესო ქანდაკებების მოხსნა ბრძანა, რათა მათი თავები საკუთარი თავით შეეცვალა. პალატიუმის სასახლე ფორუმამდე გააგრძელა, ხოლო მითოსური გმირების – კას-



ტორისა და პოლუქსის ტაძარი მის წინაოთახად აქცია. კალიგულა ხშირად იდგა იქ ტყუპების ქანდაკებათა შორის და ღვთაებრივ პატივს იღებდა. ეს არ იკმარა, თავის თავს, ვითარცა ღვთაებას, ტაძარი უძღვნა და განსაკუთრებული ღვთისმსახურება დააწესა. ტაძარში თავისივე სიმაღლის საკუთარი ქანდაკება აღმართა და თავისივე სამოსით შემოსა. მთავარი ქურუმის თანამდებობისათვის ერთმანეთს ექიშპებოდნენ და ევაჭრებოდნენ უმდიდრესი რომაელები. კალიგულა ხშირად ესაუბრებოდა კაპიტოლიუმის იუპიტერს განმარტოებით, ბოლოს განაცხადა, რომ ღმერთმა ისმინა მისი ვედრება და თავის სამკვიდრებელში მიიწვია საცხოვრებლად.

კალიგულამ დაიწყო ახლობელთა და ნათესავთა გამასხრება და სიკვდილით დასჯა. არაკეთილშობილური წარმომავლობის გამო თავის ღირსად არ სცნობდა პაპას – აგრიპპა პოსტუმუსს, დიდ ბებიას, ლივიას „კაბით შემოსილ ოდისევსად“ იხსენიებდა, დიდედა ანტონიას ისე ამცირებდა, რომ თავი მოაკვლევინა, თუ სხვას მოაწამვლინა (არავინ იცის), თავად კი ტკბებოდა იმ კოცონის მზერით, სადაც მისი გვამი იფერფლებოდა. კალიგულამ თავისი ძმა ტიბერიუსი მხოლოდ იმიტომ დასაჯა სიკვდილით, რომ მას წამლების სუნი სდიოდა. ტიბერიუსი მართლაც იღებდა წამალს, რადგანაც გამუდმებული ხველებით იტანჯებოდა. იმპერატორს კი ეგონა, თითქოსდა ძმას მისი მოწამვლა სურდა.

კალიგულა და დრუსილა

სამი და ჰყავდა კალიგულას (აგრიპინა, დრუსილა, ლივილა) და სამივესთან არაბუნებრივი ურთიერთობა ჰქონდა. ამბობენ, დრუსილა ყველაზე მეტად უყვარდაო მათ შორის. ერთხელ მცირეწლოვან შვილიშვილებს დიდედა ანტონიამ შეუსწრო თურმე, რასაც შედეგად მოჰყვა დრუსილას გათხოვება. მაგრამ კალიგულამ საყვარელი და ქმარს გამოსტაცა და შინ დაისვა, ვითარცა კანონიერი ცოლი. თავისი მორიგი ავადმყოფობის დროს კი ტახტის მემკვიდრედაც აღიარა. დრუსილა ახ.წ. 38 წელს გარდაიცვალა. კალიგულამ საყოველთაო გლოვა მოაწყო. ყველას ეკრძალებოდა გაცინება, დაბანა და ჭამაც კი მშობლებთან, მეუღლესთან თუ ბავშვებთან ერთად. თავად კი, ვერ გაუძლო რა მწუხარებას, მოულოდნელად, ღამით გაქრა რომიდან, გადაიარა კამპანია, მიაღწია სირაკუსას და ასეთივე გამალებით დაბრუნდა უკან. მას შემ-



დეგ ყველა ფიცს იგი დრუსილას ღვთაების სახელით წარმოთქვამდა. კალიგულას ბრძანებით, გალმერთებული დრუსილა ავგუსტუსის თანაბარი პატივის ღირსად ცნეს. დრუსილას დაბადების დღეს იმართებოდა ორდღიანი მხიარული სანახაობები დიდ ცირკში, სადაც თამაშობათა დაწყების წინ მისი ქანდაკება არენაზე გამოჰქონდათ სპილოებს. დანარჩენ დებს კალიგულა არ სცემდა პატივს. ხშირად მათ თავის საყვარელ ბიჭუნებსაც კი ურიგებდა გასართობად.

რაც შეეხება ქორწინებებს, ძნელი სათქმელია, როდის იყო უფრო უხამსი კალიგულა. ლივია ორესტილა ქორწინების დღეს წაართვა გაიუს პისოს, რამდენიმე დღის შემდეგ დაუბრუნა, ორი წლის შემდეგ კი ქალაქიდან გააძევა, ბრალად დასდო რა ქმართან სარეცლის გაზიარება. ლოლია პავლინა, მხედართმთავარ გაიუს მემიუსის მეუღლე, პროვინციიდან იხმო მხოლოდ იმიტომ, რომ დიდედა ჰყავდა ლამაზი. რამდენიმე ხნის შემდეგ გაუშვა და კაცებთან სიახლოვე აუკრძალა. კესონია, რომელიც არ გამოირჩეოდა თავისი სილამაზით თუ ასაკით და რომელსაც სხვა ქმრისგან უკვე სამი გოგონა ჰყავდა, კალიგულას შედარებით ხანგრძლივად და მეტად უყვარდა ავხორცობის და უდარდელობის გამო. ხშირად გამოჰყავდა ახალგაზრდა იმპერატორს მხედრული სამოსით შემოსილი კესონია ჯარისკაცებთან, მეგობრებთან შიშვლადაც კი წარუდგენია.

კალიგულამ მრავალი თავისი ახლობელი და ნათესავი სიკვდილით დასაჯა: მეფე იუბას ძე პტოლემაიოსი სიმდიდრის გამო გამოასალმა სიცოცხლეს; მაკროს უბრძანა, თავი მოეკლა, ტიბერიუს გემელუსს თავი მოჰკვეთეს. სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს ყველა დამნაშავე თუ უდანაშაულო ადამიანს, ვისაც სამშობლოსა და იმპერატორის ღალატი ცილად დასწამეს.

კალიგულა მასხრად იგდებდა სენატორებსაც. ტოგებში გამოწყობილ ამ წარჩინებულ რომაელებს აიძულებდა თავისი ეტლის კვალდაკვალ ერბინათ, სადილის შემდეგ კი მონებივით მდგარიყვნენ მის სარეცელთან. ზოგიერთ მათგანს მალულად კლავდა, ოჯახებში კი მოსაწვევ ბარათებს უგზავნიდა და როგორც ცოცხლებს, ისე უხმობდა სასახლეში. რამდენიმე დღის შემდეგ უნამუსოდ აცხადებდა, თითქოსდა მათ თავი მოიკლეს.

არად უღირდა კალიგულას ადამიანთა სიცოცხლე თუ ღირსება. სიამეს ჰგვრიდა მათი ერთმანეთზე გადამტერება. ერთხელ თეატრალურ სანახაობებზე პლებეები და მხედრები რომ დაეპირისპირებინა, დროზე ადრე გასცა საშვები, რათა უბრალო ხალხს მხედართა ადგილები დაეკავებინა. ხშირად გლადიატორთა ასპარეზობებზე კალიგულას ბრძანებით შუადღის ხვატში ხსნიდნენ ჩარდახებს და მაყურებელს ადგილიდან დაძვრის ნებას არ რთავდნენ; ან ნაცვლად შეპირებული მხეცებისა, გამოჰყავდათ მისავათებული გლადიატორები და ა.შ. როდესაც გაძ-

ვირდა პირუტყვი, რითაც კვებავდნენ სანახაობათათვის განკუთვნილ გარეულ ნადირთ, კალიგულამ ბრძანა, მათთვის მსჯავრდებულები მიეგდოთ; თუკი ვინმე მის მიერ მოწყობილ სანახაობას აუგად მოიხსენიებდა, გავარვარებული რკინით შანთავდა, ანდა სულაც სიკვდილით სჯიდა. მამებს აიძულებდა, ემზირათ შვილთა წამებისათვის, ხოლო შემდეგ ემხიარულათ.

როგორიც ჰქონდა საქციელი, ისეთი ჰქონდა მეტყველებაც ამ კალიგულას. ერთხელ დიდედა ანტონიასთვის უთქვამს: „არ დაგავიწყდეს, რომ შემიძლია ის ვაკეთო, რაც მინდა და ვისთანაც მინდა!" ადამიანის დასჯას იგი ითხოვდა ხშირი და მსუბუქი დარტყმებით, იმეორებდა რა თავის ცნობილ ბრძანებას: „ისე დაარტყი, იგრძნოს, რომ კვდება!" კიდევ ერთ ფრაზას იმეორებდა კალიგულა ძალიან ხშირად: „დე, ვძულდე, ოღონდ ეშინოდეს!" როდესაც ერთ-ერთი ასპარეზობისას ბრბო იმპერატორის ჯიბრზე სხვა ეტლებს ესალმებოდა, კალიგულამ წამოიძახა: „ნეტა ერთი კისერი ჰქონდეს რომაელ ხალხსო!" იგი წუხდა მისი მმართველობის ჟამს საყოველთაო უბედურება რომ არ ხდებოდა. მისი აზრით, ავგუსტუსს მხოლოდ ვარუსის დამარცხებით მოიგონებდნენ, ტიბერიუსს იმით, რომ ფიდენეში ჩამოინგრა ამფითეატრი, მას კი – ვერაფრით. ამიტომ ოცნებობდა რომაელთა ლაშქრის დამარცხებაზე, შიმშილზე, ჭირიანობაზე, ხანძარზე ან თუნდაც მიწისძვრაზე.

კალიგულა ველური სიშმაგით იყო შეპყრობილი. ტაძარში თუ სასახლეში, ისვენებდა თუ ილხენდა, მასთან მუდამ იდგა ჯალათი, რომელიც იქვე აძრობდა თავს ნებისმიერს, ვისაც იმპერატორი სასიკვდილოდ დაიგულებდა. ერთი მდიდრული ნადიმის ჟამს კალიგულამ მოულოდნელად გაიცინა. მის ახლოს მიწოლილმა კონსულებმა პირმოთნეობით ჰკითხეს მიზეზი, რაზედაც ასეთი პასუხი მიიღეს: „საკმარისია ვანიშნო და ყველას ყელს გამოგღადრავენო".

შური ამ ველურ სიშმაგეზე ნაკლებად როდი ღრღნიდა მის სულს. მან დალეწა ყველა სახელოვანი რომაელის ქანდაკება, ჰომეროსის პოემებსაც კი უპირებდა განადგურებას. კალიგულა კითხვას ასე სვამდა: რატომ შეეძლო პლატონს ჰომეროსის გაძევება მისი სახელმწიფოდან, მას კი არა? იგი ერჩოდა ვერგილიუსს, ტიტუს ლივიუსს, მართლმსაჯულების ხელოვნებას, ყოველ წარჩინებულს, საგვარეულო ღირსებით შემკულს, მდიდარს, ახოვანს.

სირცხვილის გრძნობა არ გააჩნდა, ქალთან თუ კაცთან, ღირსეულთან თუ ულირსთან, თუ მდაბიოსთან ერთნაირად ეძლეოდა სიამოვნებას. შემდეგ მათივე ოჯახის წევრებთან, ქმრებთან, მამებთან, შეკრებილ ხალხთან უსინდისოდ ჰყვებოდა იმას, თუ რით იამა, ანდა რით ვერ დაიოკა თავისი ვნება.

„უნდა იცხოვრო დარიდებით, ანდა მეფურად!" – ამბობდა ხოლმე კალიგულა და საზღვარი არ ჰქონდა მის სწრაფვას ფუფუნებისადმი. გამოიგონა არნახული



კეთილსურნელებანი ტანთაგანსაბანად, სვამდა ძმარში გადამდნარ ძვირფას მარგალიტებს, ოქროს თეფშებით აწყობდა სუფრებს, იულიუსის ბასილიკიდან ფანტავდა ფულებს. აგებდა ძვირფასი თვლებით მოოჭვილ, მდიდრულ ხომალდებს და იქ ილხენდა, გარს უვლიდა რა კამპანიის სანაპიროებს, სურდა ისეთი რამ შეექმნა, რაც სრულიად წარმოუდგენელი იყო: შუა ზღვაში აშენებდა ვილებსა და აგარაკებს, ველზე მთას დგამდა, ხოლო მთებს მიწასთან ასწორებდა და ეს ხდებოდა წარმოუდგენელი სისწრაფით, რადგანაც დაყოვნება სიკვდილის ტოლფასი იყო. ტიბერიუსის მიერ დატოვებული უზარმაზარი მემკვიდრეობა ერთ წელიწადში რომ გაანიავა, კალიგულამ ხელი მიჰყო წარჩინებულ და მდიდარ მოქალაქეთა ძარცვას. გააუქმა ყველა ანდერძი, სადაც მემკვიდრეთა შორის მას არ ასახელებდნენ. ამიტომ მოქალაქეებს ანდერძებში მისი სახელიც შეჰქონდათ. შემდეგ ბრაზობდა კალიგულა, რად არ კვდებიანო მეანდერძენი და უგზავნიდა მათ საწამლავებს. იმპერატორის ბრძანებით იბეგრებოდა ყოველგვარი მომსახურება, ნებისმიერი ვაჭრობა და პროსტიტუციაც. თავისი ახლად შემოღებული კანონები რომ ხალხისათვის ვითომც გასაგები გაეხადა, კალიგულამ მათი ქუჩებში გამოკიდების ბრძანება გასცა. მაგრამ ამ კანონებს ისეთი პატარა ასოებით წერდნენ და ისე მაღლა კიდებდნენ, რომ მათი წაკითხვა შეუძლებელი იყო.

თავისი მმართველობის პერიოდში კალიგულამ ერთადერთხელ განიზრახა გალაშქრება და ისიც გერმანიაზე. მაგრამ ბრძოლის ნაცვლად ბრძანება გასცა ზემო გერმანიის მმართველის დასჯის თაობაზე. შემდეგ დაიწყო სამხედრო მანევრები მდინარე რეინისა და ლა-მანშის სანაპიროთა გასწვრივ. რატომლაც ბრიტანეთის დამორჩილების სურვილი გამოთქვა, ვერც ეს შეძლო და რომისაკენ აილო გეზი. თავდაპირველად დიდ ქალაქში არნახული ტრიუმფით შესვლა განიზრახა, შემდეგ სენატი გამოლანძლა, მისთვის პატივის მიგება აუკრძალა, რადგანაც ამით გამოჩნდებოდა, რომ სენატი მის საიმპერატორო ძალმოსილებაზე მაღლა იდგა.

კალიგულა მოითხოვდა, რომ მისთვის ღმერთივით ეცათ თაყვანი. თავი ღმერთებზე ძალმოსილად წარმოედგინა, თუმცა შიშის ზარს ჰგვრიდა იუპიტერის მიერ მოვლენილი ელვა და მეხი. სულ უმნიშვნელო ჭექა-ქუხილიც კი აკრთობდა. მეხისტეხისას იგი მუდამ საწოლს ქვეშ იმალებოდა. სენატისთვის რომ თავისი ღვთაებრიობა დაემტკიცებინა, კალიგულამ ერთხელ სხდომაზე შეაბიჯა თავისი ცხენით, რომელსაც ინკიტატა ერქვა და რომელიც სენატის წევრად გამოაცხადა. ამ ცხენისათვის რომის იმპერატორმა ბრწყინვალე სასახლე ააშენა და იქ მისი სახელით

ინვევდა სტუმრებს. მხოლოდ სიკვდილმა შეუშალა კალიგულას ხელი, თორემ ინკიტატა სულ მალე კონსულის თანამდებობასაც მიიღებდა.

კალიგულას თავნებობამ და უღირსმა საქციელმა ბოლოსდაბოლოს რომაელთა მოთმინების ფიალა აღავსო. მისი თავიდან მოცილების მიზნით ეწყობოდა შეთქმულებები, რომელთაგან რამდენიმე გამომჟღავნდა კიდეც. იმპერატორი უსასტიკესად უსწორდებოდა თავის მტრებს, მაგრამ უკვე იმდენი ჰყავდა, რომ მათი ძირფესვიანად ამოძირკვა ველარ შეძლო.

კალიგულას სიკვდილი, რომაელთა აზრით, წინასწარ ყოფილა განსაზღვრული მრავალი ნიშნით. მათ შორის მნიშვნელოვანი თავად იმპერატორის სიზმარი იყო: წინაღამეს მას უხილავს, თითქოს იგი ზეცად იყო აღზევებული და იუპიტერის ტახტთან იდგა. ღმერთს მარჯვენა ფეხის ცერა თითით იგი მიწად ჩამოუგდია.

არსებობს რამდენიმე ვერსია კალიგულას წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების თაობაზე. საერთო აღიარებით, მთავარი როლი უტვირთავს საიმპერატორო კოჰორტის ტრიბუნს, ვინმე კასიუს ქერეას, რომელსაც მისი ხანდაზმულობისდა მიუხედავად მასხრად იგდებდა კალიგულა.

41 წლის 24 იანვარს, როდესაც საიმპერატორო კარი თეატრალური სანახაობით ერთობოდა, კალიგულა შეყოვნებულა იმ ყმაწვილებთან, რომლებიც სცენაზე გამოსასვლელად ემზადებოდნენ. სწორედ მაშინ მიუახლოვდა მას კასიუსი და უკნიდან ჩასცა მახვილი. იქვე იდგა შეთქმულების მეორე მონაწილე, ტრიბუნი კორნელიუს საბინუსი, რომელმაც ახლა უკვე მკერდი გაუპო იმპერატორს. „მე ცოცხალი ვარ!" – ამ სიტყვებით აღმოხდა სული კალიგულას, რომელსაც შეთქმულებმა კიდევ მრავალგზის ჩასცეს მახვილი. ხმაურზე მცველები შემოცვივდნენ და რამდენიმე შეთქმული ადგილზევე განგმირეს. დაილუპნენ უდანაშაულო ადამიანებიც. მათ შორის კალიგულას მეულლე კესონია და მათი მცირეწლოვანი გოგონა, რომელიც კედელს მიახეთქეს.

კალიგულამ ოცდაცხრა წელი იცოცხლა, იმპერიას ოთხი წელიც კი არ მართავდა. სახლი, სადაც იგი გამოასალმეს სიცოცხლეს, მხილველთა თქმით, მოჩვენებებით გაივსო, ბოლოს დაიწვა.

კალიგულას მმართველობის ხანა ისეთი შემაძრწუნებელი იყო რომაელთათვის, რომ მრავალი მათგანი დიდხანს არ ივჯერებდა მისი გარდაცვალების ამბავს.

კალიგულას არ დაუტოვებია მემკვიდრე. ამიტომ იმპერატორად გამოაცხადეს მისი ბიძა, გერმანიკუსის ძმა კლავდიუსი. ამას კი სულაც არ ელოდნენ რომაელები.

კლავდიუსი

(ძვ.წ. 10 წ.-ახ.წ. 54 წ.)

რომის იმპერატორი 41-54 წლებში

ერისი შექმნა ბუნებამ დაიწყო და აღარ დაასრულა – ასე ამბობდა ხოლმე კლავდიუსზე დედამისი, რომელიც გულწრფელად წუხდა თავისი შვილის ბედზე. რომის მომავალი იმპერატორი სნეული დაიბადა და იმდენი ფიზიკური ნაკლი ჰქონდა, რომ მშობლები მის პოლიტიკურ კარიერაზე აღარც ზრუნავდნენ. და მაინც, იგი რომს მთელი თოთხმეტი (41-54 წწ.) წლის განმავლობაში მართავდა. „ერთი შეხედვით კლავდიუსი შთამბეჭდავად და ღირსეულადაც კი გამოიმზირებოდა – გადმოგვცემს სვეტონიუსი, – თუმცა მხოლოდ მაშინ, როდესაც იდგა, იჯდა, უფრო მეტად კი, როდესაც იწვა. იგი მაღალი იყო, ახოვანი; სახე და ჭაღარა თმა ლამაზი ჰქონდა, კისერი – მსხვილი. მაგრამ როდესაც დადიოდა, სუსტი მუხლები ღალატობდნენ; თუ რაიმეთი იყო დაკავებული ან ისვენებდა, მაშინ კი მრავალი რამ ამახინჯებდა: უსიამოვნოდ იცინოდა, შემზარავად მრისხანებდა, პირს ქაფი ადგებოდა, ცხვირიდან ცვინგლი ჩამოსდიოდა, ენა ებმოდა და გამუდმებით უკანკალებდა თავი...“ (კლავდიუსი, 30). აი, ასეთი იყო კლავდიუსი, როდესაც წამოიზარდა. იგი ძვ.წ. 10 წელს დაიბადა ქალაქ ლუგდუნუმში (თანამედროვე ლიონი), წარჩინებულთა ოჯახში. მის მშობლებს, დრუსუს უფროსსა და ანტონია უმცროსს ბევრი შვილი შესძენიათ, რომელთაგან მხოლოდ სამი გადაურჩა სიკვდილს: გერმანიკუსი, რომელმაც თავის დროზე რომაელთა უდიდესი სიყვარული დაიმსახურა; ლივია ლივილა, იმპერატორ ტიბერიუსის ერთადერთი შვილის, დრუსუს უმცროსის მეუღლე და კლავდიუსი.



თავად დრუსუს უფროსი იმპერატორ ტიბერიუსის ღვიძლი ძმა იყო. სწორედ მასზე იყო ფეხმძიმედ ლივია, როდესაც ოქტავიანუს ავგუსტუსს გაჰყვა ცოლად. დრუსუსმა თავი გამოიჩინა, როგორც ნიჭიერმა მხედართმთავარმა გერმანელთა წინააღმდეგ წარმოებულ ომში. ამიტომ გარდაცვალების შემდეგ მას მეტსახელი „გერმანიკუსი" (გერმანელი) უწოდეს, რაც მის ჩამომავლებზეც გადავიდა.

ანტონია უმცროსი გამოირჩეოდა თავისი სილამაზით, სიბრძნითა და ოჯახისადმი ერთგულებით, თუმცა ისე იყო გულგატეხილი კლავდიუსის უუნარობით, რომ მას ხშირად ხალხში „მახინჯად" უხმობდა, ხოლო თუკი ვინმეს აუგად მოხსენიებას მოისურვებდა, „ის ჩემს კლავდიუსზე რეგვენიაო!" – ასე ამბობდა. არც ცნობილ დიდედა ლივიას უყვარდა თავისი ენაბლუ და ნაკლოვანი შვილიშვილი, იშვიათად ესაუბრებოდა და მითითებებსაც წერილობით ან მონათა პირით ატყობინებდა. თავად ლივია ლივილაც არ სწყალობდა თავის გასაცოდავებულ და ახლობელთაგან მოძულებულ ძმას. გადმოგვცემენ, რომ მას სახალხოდ დაუწყია თურმე მოთქმა რომაელი ხალხის ბედზე, როდესაც კლავდიუსის იმპერატორად არჩევის ამბავი გაუგია.

ავგუსტუსის ხანგრძლივი მმართველობის პერიოდში (ძვ.წ. 27 – ახ.წ. 14 წწ.) კლავდიუსს ერთადერთხელ უბოძეს წოდება ავგურთა კოლეგიაში. იმპერატორის ანდერძის თანახმად კი მისთვის მხოლოდ ათასი ოქროს მონეტა გაიმეტეს და უფლება მემკვიდრეობის მეექვსედზე იმ ხალხთან ერთად, რომელიც არ ენათესავებოდა ავგუსტუსს; თუმცა არც იმის თქმა შეიძლება, რომ იმპერატორი არ ფიქრობდა მის ბედზე. „...ძვირფასო ლივია – წერდა ოქტავიანუსი თავის მეუღლეს, – საჭიროა, ერთხელ და სამუდამოდ განვსაზღვროთ ჩვენი დამოკიდებულება კლავდიუსისადმი. თუ ის სრულყოფილი ადამიანია და ყველაფერი რიგზე აქვს, რად არ გაიაროს ნაბიჯ-ნაბიჯ ის გზა, რაც მისმა ძმამ გაიარა? ხოლო თუკი ვფიქრობთ, რომ ის სხეულითა და სულით ნაკლულია, მაშინ არ გვმართებს სასაცილოდ ავაგდებინოთ ისიც და ჩვენი თავიც იმ ადამიანებს, რომლებიც მიჩვეულნი არიან იხითხითონ ამგვარ რამეებზე" (სვეტონიუსი, კლავდიუსი, 4).

მართალია, კლავდიუსს მრავალი ფიზიკური ნაკლი ჰქონდა, მაგრამ უგონო ადამიანი არ ყოფილა. სახელოვანი ისტორიოგრაფოსის, ტიტუს ლივიუსის რჩევით, მან ჯერ კიდევ ახალგაზრდულ წლებში დაწერა რომის ისტორია, თავისი ბიოგრაფია და რამდენიმე თხზულება ლათინურ ენაზე; ხოლო ბერძნულ ენაზე – ეტრუსკთა და კართაგენის ისტორიები. მას ორატორული ნიჭიც გამოუმჟღავნებია, რის გამოც აღფრთოვანებულ ავგუსტუსს ლივიასადმი ასეთი რამ მიუწერია: „...ძვირფასო ლივია, თავადაც ვერ ვიჯერებ, რომ შენი შვილიშვილის, ტიბერიუსის დეკლამაცია მომეწონა. ვერ გამიგია, როგორ ახერხებს დეკლამირების დროს ისაუბროს ასე გასაგებად, როცა ჩვეულებრივ ლულლუღებს და მის წარმოთქმულ სიტყვასაც ვერ

გაარჩევ" (სვეტონიუსი, კლავდიუსი, 4). ალბათ თავისი გონიერების გამო კლავდიუსმა მხედართა ფენის სიყვარული დაიმსახურა. ყოველთვის, როდესაც იგი თეატრში შედიოდა, მხედრები ფეხზე დგებოდნენ და ქუდის მოხდით ესალმებოდნენ.

მიუხედავად ამისა, იმპერატორი ტიბერიუსიცა და შემდეგ კალიგულაც მას გონებაშეზღუდულ ადამიანად მიიჩნევდნენ. და რამდენადაც საიმპერატორო ძალაუფლებისაკენ მიმავალ გზად მის მეტოქეობას გამორიცხავდნენ, ყურადღებასაც არ აქცევდნენ. სწორედ ამიტომ გადაურჩა მათ მძვინვარებას კლავდიუსი, მაშინ როდესაც მისი ოჯახის ყველა წევრი და ახლობელი ვერ ასცდა სიკვდილით დასჯასა თუ გადასახლებას. უფრო მეტიც, გაიუს კალიგულამ ტახტზე აღზევებისთანავე, ხალხის გულის მოგება როდესაც განიზრახა, კლავდიუსს ორი თვით კონსულობის უფლებაც კი მიანიჭა. იყო ისეთი დროც, როდესაც რომაელები მას ასეთი შეძახილებით ეგებებოდნენ: „გაუმარჯოს იმპერატორის ბიძას!" „გაუმარჯოს გერმანიკუსის ძმას!" მაგრამ ვერც ამან იხსნა კლავდიუსი ოჯახის წევრთა შეურაცხყოფათაგან. ასე მაგალითად, თუკი მას სადილობისას შეაგვიანდებოდა, ბევრიც რომ ეძებნა, მისთვის ადგილი აღარსად იყო; თუ კარგად დანაყრებულს სუფრასთან ძილი მოერეოდა (რაც ხშირად ხდებოდა), მასხარები ძვლებს ან ზეთისხილის ნარჩენებს ესროდნენ და შოლტებს ურტყამდნენ ხუმრობით, რათა გამოეფხიზლებინათ; ხოლო თუ ხვრინვასაც ამოუშვებდა, ხელებზე სანდლებს წამოაცმევდნენ და თავს ირთობდნენ. ასეთი აგდებული დამოკიდებულების გამო საფრთხეშიც ბევრჯერ ჩავარდნილა. ერთხელ, როდესაც კალიგულა გერმანიაში იყო და მის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულება გამომჟღავნდა, მრავალი წარჩინებული ეახლა მას მისალოცად. მათ შორის იყო კლავდიუსიც. ისე არ ეამა იმპერატორს მისი ხილვა, რომ მდინარე რეინში გადაუძახა ტანსაცმლიანად. კლავდიუსი გადარჩა, მაგრამ ამის შემდეგ კიდევ უფრო ამცირებდნენ და შეურაცხყოფდნენ. სენატში მის ხმას არად აგდებდნენ; რვა მილიონი სესტერციუსი გადაახდევინეს მხოლოდ იმიტომ, რომ ქურუმის ახალი წოდება მოეპოვებინა. ეს ფული მან სახელმწიფო ხაზინიდან ისესხა და გადახდა რომ ვერ მოახერხა, გადასახადების კანონის თანახმად, მთელი ქონება დაკარგა.

აი, ასე დამდაბლებულმა გაატარა კლავდიუსმა თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი, მაგრამ მოულოდნელად, უცნაური შემთხვევის წყალობით საიმპერატორო ტახტზე აღმოჩნდა. ამ უცნაურ ამბავს სვეტონიუსი ასე გადმოგვცემს: „როდესაც შეთქმულებმა კალიგულაზე თავდასხმა განიზრახეს, იმ საბაბით, რომ იმპერატორს მარტო დარჩენა სურდა, კარისკაცები დარბაზიდან გააძევეს. სხვებთან ერთად გამოგდებული კლავდიუსი ჯერ ჰერმესის ოთახში აღმოჩნდა, ხოლო როდესაც კალიგულას მკვლელობის ხმა დაირხა, მან მეზობლად მდებარე მზის გალერეას მიაშურა შეშინებულმა და კარების კრეტსაბმელს ამოეფარა. ვილაც მეომარმა პრეტორიანელთა გვარდიიდან, რომელიც სადღაც გარბოდა, თვალი მოჰკრა მის ფე-

ხებს. ფარდა გადასწია, იცნო იგი და გამოათრია. შეძრწუნებული კლავდიუსი იატაკზე დაემხო, მაგრამ მეომარმა მას იმპერატორის საკადრისი თაყვანი სცა და წარუძღვა თავისი თანამზრახველებისაკენ, რომლებიც ბობოქრობდნენ, რადგან არ იცოდნენ რა ელონათ. ისინი უმალ გონს მოეგნენ, ტახტრევანზე დააბრძანეს... და თავად წაიყვანეს პრეტორიანელთა ბანაკში აცახცახებული კლავდიუსი. ხოლო გზად შემხვედრ ბრბოს იგი ეცოდებოდა, რადგან ფიქრობდა, რომ ამ უდანაშაულო კაცს დასასჯელად მიარბენინებდნენ მეომრები" (კლავდიუსი, 10).

იდგა ახ.წ. 41 წელი და ამ დროისთვის საიმპერატორო მოდგმა ისე იყო შემცირებული, რომ ღირსეული მემკვიდრის პოვნა პრეტორიანელთათვის პრობლემად იქცა. მათ იმპერატორად აირჩიეს კლავდიუსი და აიძულეს რომაელები, ეცნოთ იგი. ლეგიონები იოლად დაითანხმეს, რადგან ისინი მოხარულნი იყვნენ, ტახტზე ეხილათ სახელოვანი გერმანიკუსის ძმა. სენატორებს კი სხვა გზა არ ჰქონდათ, რადგან პრეტორიანელები თავის აზრზე იდგნენ და ამბოხებით იმუქრებოდნენ. ბრბო ბობოქრობდა, ერთპიროვნულ მბრძანებელს ითხოვდა და ამ მბრძანებლად კლავდიუსს ასახელებდა. მეომრებმა თავის რჩეულს ერთგულების ფიცი დაუდეს, რის სანაცვლოდაც მისგან 15 ათასი სესტერციუსი მიიღეს. სვეტონიუსის გადმოცემით, „კლავდიუსი იყო პირველი კეისართაგან, რომელმაც ჯარის ერთგულება ფულით იყიდა" (კლავდიუსი, 10).

51 წლის კლავდიუსმა ძალაუფლების გემო იგრძნო. მან მიიღო საკმაოდ მრავლისმთქმელი ოფიციალური სახელი: ტიბერიუს კლავდიუს კეისარ ავგუსტუს გერმანიკუსი; უბრალოდ კი მას იმპერატორ ტიბერიუს კლავდიუსად მოიხსენიებდნენ. მიეთ-მოეთი, რომელიც მის ხელისუფლებაში მოსვლის თან დაჰყვა, მალე მინავლდა. ტახტზე ასვლისთანავე კლავდიუსმა ბრძანა, სიკვდილით დაესაჯათ კალიგულას მკვლელები, ამასთანავე გააუქმა უმკაცრესი კანონები, რითაც საყოველთაო აღიარება დაიმსახურა. საქმე ის იყო, რომ რესპუბლიკის აღდგენით დაინტერესებული იყო ყველა: სენატიც, პლებსიც, პრეტორიანელებიცა და პროვინციელი წარჩინებულნიც.

კლავდიუსი ზომიერი საიმპერატორო ძალაუფლების მომხრე ჩანდა, თუმცა ძალიან მალე მიაღწია ერთპიროვნულ მმართველობას. მან დააჩქარა სენატის დაქვეითება, როგორც თავად მართვის მეთოდებით, ასევე ცენზორთა პრივილეგიების აღდგენით. ეს აღარ მოსწონდათ სენატორებს და კლავდიუსის მანკიერებებს იხსენებდნენ. იმპერატორის წინააღმდეგ მოწყობილი ექვსი შეთქმულება წარუმატებლად დასრულდა. შეთქმულებაში მონაწილეობისათვის ყველაზე ხშირად ისჯებოდნენ სენატორები, რაც კიდევ უფრო აუარესებდა ურთიერთობებს სენატსა და იმპერატორს შორის. კლავდიუსი საყრდენ ძალას მხედართა და აზატთა შორის ეძებდა. მხედართა ფენის წარმომადგენლები მადლიერი იმპერატორის ზრუნვას მუდამ გრძნობდნენ, მათი დაწინაურება სამოლვაწეო ასპარეზზე სულ უფრო და უფრო იოლდებოდა. მნიშვნელოვნად

გაძლიერდა იმპერატორის აზატთა გავლენები. კლავდიუსმა მრავლად შემოიკრიბა გარს ისინი, რათა თავის მოვალეობათა ტვირთი შეემსუბუქებინა. რომში აზატთა რიცხვი იზრდებოდა. ტაციტუსი შენიშნავდა: „აზატთა აღრიცხვას თუ შევძლებთ, ცხადი გახდება, რომ თავისუფლადშობილნი უმცირესობაში აღმოჩნდებიან" (ანალები, XIII, 27). სასახლის კარზე აზატებმა ხელთ იგდეს საკმაოდ დიდი პრივილეგიები. უფრო მეტიც, მათ მოიპოვეს დიდძალი ქონებაცა და პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების უფლებაც. საყოველთაოდ იყო ცნობილი აზატი ნარკისუსი, მდივანი, რომელსაც თავისი ბატონის ბატონად მოჰქონდა თავი; ისტორიოგრაფოსები ასახელებენ პრეტორიანელთა საპატიო წოდებებით შემკულ აზატ პალასსაც. „ისინი ისეთი მდიდრები იყვნენ, რომ როდესაც კლავდიუსი ხაზინაში ფულის ნაკლებობას უჩიოდა, ხალხი ხუმრობდა: იმპერატორს თავსაყრელად ექნებოდა სესტერციუსები, თუ ეს ორი აზატი მას თავის ახლობლად დაიგულებდა" (ავრელიუსი ვიქტორი, ამონარიდები, IV).

იმპერატორი დიდ ყურადღებას უთმობდა სასამართლო პროცესების წარმოებას. ის თავად ესწრებოდა სამსჯავრო სხდომებსა და, მისი აზრით, სამართლიან გადაწყვეტილებებს იღებდა იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს გადაწყვეტილებები არსებულ კანონმდებლობას ეწინააღმდეგებოდა. ეს სამართალდამცველთა გაღიზიანებას იწვევდა, რაზეც იმპერიის პირველი პირი პასუხობდა: „მე მათ ვამართლებ, ვინც ამბობს სიმართლეს!" (სვეტონიუსი, კლავდიუსი, 15). იმპერატორის კეთილგანწყობით მრავალი სარგებლობდა. კლავდიუსი თავგამოდებით ცდილობდა, არ მოკლებოდა პური დიდ ქალაქს; მან ააგო აკვედუკები წყლით მომარაგების უზრუნველსაყოფად; დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ტიბერისის სანაპიროზე გაშენებულ ნავსადგომს ოსტიაში.

კლავდიუსი უხვად ურიგებდა საჩუქრებს ხალხს, უწყობდა ზეიმებსა და სპორტულ ასპარეზობებს, ილხენდა მათთან ერთად. ცდილობდა მათი განწყობილების ამაღლებას. მისი მმართველობის პერიოდში კალიგულას სისასტიკით შეძრწუნებულმა იმპერიამ ამოისუნთქა.

კალიგულას საგარეო პოლიტიკის უმთავრეს მიღწევად ისტორიოგრაფოსები ბრიტანეთის ომს მიიჩნევენ. 43 წელს მთავარსარდალმა ავლუს პლავტიუსმა კუნძულზე თავისი ჯარები გადასხა და იქაური ბელადები დაიმორჩილა. მალე კლავდიუსს თავადაც შეეძლო გამარჯვებით ეამაყა, რადგანაც სამხრეთ ბრიტანეთის დიდი ნაწილი მის ლეგიონერებს ჩაბარდა. დაპყრობილი ტერიტორიები მან რომის პროვინციად გამოაცხადა.

კლავდიუსი ტრიუმფით დაბრუნდა დედაქალაქში, მაგრამ იქ ცუდი ამბავი დაახვედრეს: იმპერატრისა ვალერია მესალინა უნამუსოდ არცხვენდა მის სახელს.

კლავდიუსი ცოლების არჩევაშიც უიღბლო იყო. მესალინა მას მესამე ცოლად ერგებოდა. პირველს, პლავტია ურგულანილას კლავდიუსი ღალატისა და მისი



მკვლელობის მცდელობის გამო დაცილდა. მეორეს, ელია პეტინას – უბრალო წაკამათებისათვის. მანამდე კი ორი საცოლე ჰყავდა: ემილია ლეპიდა (ავგუსტუსის შვილთაშვილი), რომელიც თავად დაიწუნა, რადგანაც მისი მშობლები ავგუსტუსს მტრად მოეკიდნენ და ლივია მედულინა (კამილა), რომელიც ავად გახდა და ზუსტად ქორწინების დღეს გარდაიცვალა.

14 წლის იყო მესალინა 48 წლის იმპერატორის თანამეტახტეობა რომ იტვირთა და იმ დღიდანვე მოახერხა მეუღლეზე გაბატონება. მან კლავდიუსს ორი შვილი გაუჩინა: ბრიტანიკუსი და ოქტავია.

დაუოკებელი ვნებით გამორჩეული მესალინას სახელი გარყვნილების სიმბოლოდ დამკვიდრდა რომის ისტორიაში. მას მრავალი საყვარელი ჰყავდა და ყოველი მათგანი ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ კლავდიუსმა ყველაფერი იცოდა. ამის საბაბს იმპერატორიც იძლეოდა, რადგან მეუღლის ყველა სურვილს დაუხანებლივ ასრულებდა. თუმცა როგორც 48 წელს გაირკვა, კლავდიუსი იყო ერთადერთი ადამიანი რომში, რომელმაც არა უწყოდა რა მესალინას ამურული საქმეებისა. უმოწყალო და სასტიკი იმპერატრისა დაუნდობლად იცილებდა გზიდან ყველას, ვინც კი მის წინაალმდეგ ხმის ამოღებას გაბედავდა. ამიტომ კლავდიუსის უახლოესი მეგობრებიც კი დუმდნენ. ბოლოს და ბოლოს მესალინას უნამუსობამ ყველა სიბილწეს გადააჭარბა. მისმა აღვირახსნილმა ურთიერთობამ რომაელ წარჩინებულთან, გაიუს სილიუსთან, საიმპერატორო კარის მოთმინების ფიალა ალავსო: იმპერატრისამ, დაიგულა რა კლავდიუსი ბრიტანეთში, დიდი ქორწილი გადაიხადა და თავის მეუღლედ გაიუსი წარადგინა. შეურაცხყოფილი სასახლის კარი აბობოქრდა. აზატმა ნარკისოსმა ეს ქორწინება მისთვის საძულველი მესალინას დასალუპად გამოიყენა. მან იმპერატორს ყველაფერი ამცნო და დაარწმუნა, თუ დაუყოვნებლივ არ მიილებდა ბრძნულ გადაწყვეტილებას, ძალაუფლებას დაკარგავდა. აზატმა შეშინებულ და დაბნეულ კლავდიუსს მესალინას სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოსტყუა.

სენატმა სცადა, დახმარებოდა კლავდიუსს, რათა მას რაც შეიძლება მალე დაევიწყებინა საყვარელი მეუღლე. მისი დადგენილებით, მესალინას სახელი ამოიშალა ყველა ოფიციალური საბუთიდან თუ ქანდაკებათა წარწერებიდან. კლავდიუსმა კი დაიფიცა, რომ აღარასოდეს შეირთავდა ცოლს, თუმცა მომდევნო წელსვე დაარღვია ეს ფიცი და იქორწინა აგრიპინა უმცროსზე (კალიგულას დაც რომ იყო და საყვარელიც), რომელიც სულაც არ ჩამოუვარდებოდა მესალინას თავისი ავხორცობითა და ძალაუფლებისადმი სწრაფვით. აი, როგორ მოხდა ეს:

ყველამ იცოდა რომში, რომ უნებისყოფო კლავდიუსი მეუღლის გარეშე ვერ გაძლებდა, რადგანაც მუდამ გვერდით უნდა ჰყოლოდა ის, ვის ნება-სურვილსაც სიამით აღასრულებდა; ველარც წარჩინებულთა მოდგმის ქალები ისვენებდნენ, იმპერატრისას გვრიგვინი ყველას ხიბლავდა; კლავდიუსის რჩეული აზატები კი თავიანთ ფავორიტებს

ასახელებდნენ. იმპერატორი დაჰყვა პალასის რჩევას: თანამეცხედრედ აგრიპინა უნდა ესურვა. იგი კლავდიუსებისა და იულიუსების გვარს ერთმანეთთან დააკავშირებდა და საიმპერატორო კარს რომაელთა რჩეული გმირის, გერმანიკუსის შვილიშვილს დაუახლოვებდა. არც აგრიპინა იჯდა უმოქმედოდ. მან მოხიბლა და აცდუნა კიდეც დაქვრივებული კლავდიუსი და მას შემდეგ გვერდიდან არ მოსცილებია. მაგრამ აქ ერთმა სირთულემ იჩინა თავი: აგრიპინა კლავდიუსის ღვიძლი ძმისშვილი იყო და ამიტომ ეს ქორწინება რომაელთა ადათ-წესების დარღვევად მიიჩნეოდა. აქ უკვე გააზატებულმა მრჩევლებმა იზრუნეს და დაარწმუნეს სენატორები, მიეღოთ დადგენილება ბიძასა და ძმისწულს შორის ქორწინების კანონიერებების თაობაზე, რადგანაც ამას მოითხოვდა თურმე სახელმწიფოს ინტერესები. მაგრამ ყველაზე საოცარი ის იყო, რომ თავად ხალხი ეეიდრებოდა იმპერატორს, ცოლად შეერთო აგრიპინა. აი, ამაზე ვინ იზრუნა, არავინ იცის. არავინ იცოდა ისიც, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა ამ ქორწინებას. შედეგი კი სავალალო აღმოჩნდა როგორც თავად კლავდიუსისთვის, ასევე მთელი იმპერიისთვის, რადგან აგრიპინამ თან მოიყოლა თავისი შვილი პირველი ქმრისგან, ნერონი, რომელიც კოშმარულ ფურცლებს ჩასწერს რომის ისტორიაში.

ქორწინება შედგა თუ არა, აგრიპინამ სახელმწიფოს მართვის ყველა სადავე ხელთ იგდო. მალე იგი თავისი დროის ყველაზე უფრო გავლენიან ქალად იქცა მთელ მსოფლიოში. ის განაგებდა მოხელეთა აპარატის საქმეებსაც და სახელმწიფო ხაზინასაც; ის წყვეტდა ადამიანთა ბედსაც. მან ყველაფერი ილონა, რათა თავისი შვილისათვის ტახტზე აღსაზევებელი გზა გაეთავისუფლებინა. ამ საშინელმა პიროვნებამ სამუდამოდ დაასამარა კლავდიუსის შვილების იმედები.

უნებისყოფო იმპერატორმა, აგრიპინას მცდელობით, ნერონი ჯერ თავის ქალიშვილ ოქტავიაზე დააქორწინა, შემდეგ იშვილა. როდესაც იმპერატრისა დარწმუნდა, რომ მის ვაჟს წინ ველარავინ აღუდგებოდა (ბრიტანიკუსი, იმიტომ რომ მესალინას ნაშიერი იყო, ხალხს არ უყვარდა), თავის მეუღლეს საყვარელი შეჭამადი, თეთრი სოკოები ლანგრით მიართვა. ოლონდ სოკოები მოწამლული იყო. ეს მოხდა 54 წლის 13 ოქტომბერს. ამბობენ, რომ საწამლავმა უეცრად არ იმოქმედა. საბრალო იმპერატორმა მთელი ღამე იწვალა და მხოლოდ გამთენიისას განუტევა სული. კლავდიუსს მდიდრული დაკრძალვა მოუწყვეს, ისეთი, როგორც ეს დიადი სახელმწიფოს იმპერატორს ეკადრებოდა. იგი, ტრადიციისამებრ, ღმერთადაც აღიარეს. გადმოგვცემენ, რომ მას ეს პატივი მოგვიანებით ნერონმა აჰყარა, ხოლო ვესპასიანუსმა დაუბრუნა. მოკლედ, კლავდიუსის ბედით თამაში მისი გარდაცვალების შემდეგაც არ შეწყვეტილა. იმასაც გადმოგვცემენ, თითქოს იმპერატორი თავისი აღსასრულის დღეს წინდაწინ გრძნობდა: როდესაც იგი უკანასკნელად გამოცხადდა სენატში, უმორჩილესად სთხოვა სენატორებს, ყურადღება და სითბო არ მოეკლოთ მისი შვილებისათვის.

ნერონი

რომის იმპერატორი იულიუს-კლავდიუსთა დინასტიიდან (ახ.37-68 წწ.) რომს მართავდა 54-68 წლებში

ბალიგულას და, ყმაწვილქალობიდანვე უზნეობით ცნობილ აგრიპინას, ნერონი (ასეა ცნობილი კლავდიუს დრუსუს გერმანიკუს ნერო ქართულ ტრადიციაში) შეეძინა პირველი ქმრისგან, გნეიუს დომიტიუს აჰენობარბუსისაგან, რომელიც ისტორიოგრაფოსთა აღიარებით, იყო ასევე „ყოვლად უმსგავსო ადამიანი". მას ვერ იტანდნენ ახლობლები და ლაფს ასხამდნენ ჟამთააღმწერები. აჰენობარბუსმა თავისი კარიერა დაიწყო იულიუს კეისრის დროს, აღმოსავლეთის პროვინციებში, მაგრამ გააზატებული მონის მოკვლის გამო თანამდებობა დატოვა და რომში დაბრუნდა. აქაც ვერ დაიოკა თავი. გართობის მიზნით აპიუსის გზად მიმავალ ყმაწვილს ეტლით გადაუარა და ვიღაც წარჩინებულს, მხოლოდ იმიტომ რომ საყვედურობდა, თვალი ამოსთხარა. იგი ძარცვავდა მდიდრებსა და ასპარეზობათა გამარჯვებულებს. მიუხედავად ამისა, იმპერატორ ტიბერიუსის დროს აჰენობარბუსმა არა მხოლოდ კონსულის, არამედ პრეტორის თანამდებობაც მიიღო. თუმცა ახ.წ. 37 წელს იგი სისხლის აღრევისა და სამშობლოს ღალატის ბრალდებით სამსჯავროს წინაშე წარსდგა. მოულოდნელად გარდაიცვალა ხანდაზმული ტიბერიუსი, რის გამოც აჰენობარბუსის საქმე შეყოვნდა, ხოლო ახალმა იმპერატორმა, კალიგულამ, იგი შეიწყალა.

იმავე 37 წელს დაიბადა ნერონი. როდესაც მეგობრებმა ვაჟის შეძენა ახარეს მამას, პასუხად მიიღეს: „ჩემი და აგრიპინას შვილი მხოლოდ ურჩხული თუ იქნება

და კაცთა მოდგმის მაოხარიო". აჰენობარბუსის წინასწარმეტყველება ახდა, თუმცა თავად ვაჟიშვილის დაბადებიდან სამი წლის შემდეგ გარდაიცვალა და მის ავკაცობას ვერ მოესწრო. სამაგიეროდ აგრიპინამ ნახა ბევრი რამ: თავდაპირველად იმპერატორმა კალიგულამ, რომელიც ძმაც იყო მისი და საყვარელიც, იგი რომიდან გააძევა. მხოლოდ კლავდიუსის მმართველობის ჟამს შეძლო აგრიპინამ შინ დაბრუნება. ეს ქედმაღალი, უმოწყალო, ვერაგი, დაუოკებელი და უზნეო ქალი შეპყრობილი იყო ძალაუფლებისადმი სწრაფვის მძაფრი წადილით. გადმოცემათა თანახმად, გამთენიისას დაბადებულ ნერონს ამომავალი მზის სხივი რომ არაუგვიანეს შეეხო, ვიდრე მიწას, ვარსკვლავთმეტყველმა განაცხადა: „ეს ბავშვი ტახტზე აღზევდება და დედას მოკლავს!" არც დაფიქრებულა აგრიპინა, ისე აღმოხდა: „დე მომკლას, ოღონდ იმეფოსო!"

48 წელს იმპერატორ კლავდიუსის მესამე ცოლი, მესალინა, ყოვლისმხილველი რომაელებისთვისაც კი საოცარი ღალატისა და გარყვნილებისთვის სიკვდილით დასაჯეს. იმპერატრისას ადგილის დასაკავებლად მრავალი დიდებული ქალბატონი იბრძოდა. მათ შორის იყო აგრიპინა, რომელიც, სარგებლობდა რა ნათესავის უფლებით, თავის ღვიძლ ბიძას ხშირად სტუმრობდა სასახლეში. ამ ურცხვმა ქალმა არად ჩააგდო რომაული ტრადიცია სისხლის აღრევას რომ კრძალავდა და უნებისყოფო კლავდიუსი მოხიბლა. როგორც გადმოგვცემს მემატიანე: „იგი ჯერ კიდევ არ იყო ცოლი, ცოლის უფლებით რომ სარგებლობდა" (ტაციტუსი, ანალები, XII, 1-3).

49 წელს კლავდიუსმა იქორწინა აგრიპინაზე. ამ დღიდან რომის იმპერიის მართვის სადავეები იმპერატრისას ხელთ აღმოჩნდება და, რა თქმა უნდა, შეიცვლება ნერონის ბედიც, რომელიც თავდაპირველად ასე უიღბლოდ წარიმართა: ვიდრე აგრიპინა რომიდან იყო გაძევებული, მემკვიდრეობაჩამორთმეული და უსახსროდ დარჩენილი მისი ვაჟი მამიდა ლეპიდას ოჯახში იზრდებოდა. მის მეურვეებად ითვლებოდნენ ბიძები, რომელთაგან ერთი მოცეკვავე იყო, მეორე კი დალაქი. ბავშვობაში ნერონი ხშირად მონაწილეობდა ტროიულ ასპარეზობებში და დიდი წარმატებითაც. როდესაც კლავდიუსმა დაისაკუთრა რომის ტახტი და შეიწყალა აგრიპინა, მის ძეს მამის უკანონოდ ჩამორთმეული ქონება დაუბრუნა, მოგვიანებით კი თავის ქალიშვილ ოქტავიაზე დააქორწინა.

როგორც კი აგრიპინამ ხელთ ჩაიგდო ძალაუფლება, მის გასამყარებლადაც იზრუნა. ამიტომ იმასაც მაიღწია, რომ კლავდიუსს ნერონი აშვილებინა, მის განათლებაზეც იზრუნა და აღმზრდელად იმ დროისათვის უკვე სახელმორჭმული პოეტი და ფილოსოფოსი სენეკა მიიწვია. სენეკას კი სიზმრად უხილავს, თითქოს კალიგულას ზრდიდა. ეს სიზმარი რომ წინასწარმეტყველური იყო, მალე განცხადდა, რამეთუ ნერონმა თავიდანვე გამოამჟღავნა ხასიათის კალიგულას მსგავსი სი-

სენეკა

სასტიკე და უმსგავსობა. დაიწყო იმით, რომ შეიძულა კლავდიუსის ძე, ბრიტანიკუსი, რომელიც მას, ჩვეულებრივ, აჰენობარბუსად უხმობდა. ამის გამო ნერონი კლავდიუსის წინაშეც კი ამასხრებდა მას და დაცინვით ნაბუშარს უწოდებდა.

დადგა დრო და აგრიპინა თავისი შვილის აღმზრდელ მამიდას, ლეპიდას დაუპირისპირდა. ისტორიოგრაფოსის თქმით, ისინი „ასაკით, გარეგნობითა თუ სიმდიდრით მცირედით თუ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. ორთავ გარყვნილი, სახელგატეხილი და წაბილწული... გაცხარებით იბრძოდა ნერონის გამო. ლეპიდას სურდა მისი ახალგაზრდული სული ალერსითა და საჩუქრებით მოეხიბლა. აგრიპინა კი, პირიქით, იყო მკაცრი და შეუვალი; შვილისთვის სურდა უმაღლესი ძალაუფლება, მის მბრძანებლობას კი ვერაფრით ეგუებოდა“ (ტაციტუსი, ანალები, XII, 64). აგრიპინას დაჟინებული მოთხოვნით ლეპიდა სამსჯავროს წინაშე წარსდგა. წარბშეუხრელად იძლეოდა ნერონი მის წინააღმდეგ ცრუ-ჩვენებებს. ლეპიდას ჯადოქრობაში დასდეს ბრალი.

მალე კლავდიუსის ჩამოცილების ჟამიც დადგა. იმაზე, თუ როგორ მოწამლეს იგი, სხვადასხვაგვარად მოგვითხრობენ ჟამთააღმწერები. თუმცა არავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ კლავდიუსი აგრიპინამ გამოასალმა სიცოცხლეს.

ეს მოხდა 54 წლის 13 ოქტომბერს. ნერონი მხოლოდ 17 წლის იყო. შუადღის პირველი საათისათვის შეაბიჯა სასახლეში და კარიბჭის ზღურბლთანვე იხილა მის წინაშე ქედმოხრილი წარჩინებულნი, რომლებმაც ტახტრევანით მიიყვანეს იგი ჯერ სამხედრო ბანაკში, სადაც სიტყვით მიმართა მოსაგრეებს, შემდეგ – სენატში. სენატიდან კი უკვე საღამოს გამოვიდა ნერონი შემოსილი მრავალი პატივით, რომელთაგან ერთად-ერთი, „სამშობლოს მამის“ წოდება არ მიიღო ახალგაზრდული ასაკის გამო.

თავისი მმართველობა ახალმა იმპერატორმა დაიწყო იმით, რომ მოყვასისადმი სიყვარული გამოავლინა: დიდებულად დაკრძალა კლავდიუსი და ღმერთად აღიარა; არ დაივიწყა თავისი მამაც, დომიტიუსი, რომლის ხსოვნასაც სათანადო პატივი ძიაგო; აგრიპინას კი თაყვანი სცა და ძრავალი საქმე ძიანდო. ყოველნაირად ცდილობდა ნერონი ხალხის გულის მოგებას: ამცირებდა გადასახადებს, არიგებდა საჩუქრებს, ათავისუფლებდა მსჯავრდებულებს. ერთხელ, როდესაც სთხოვეს, ხელი მოეწერა ბრძანებაზე, რომელიც ვილაც დამნაშავის დასჯას ითვალისწინებდა, დანანებით უთქვამს: „ო, ნეტა წერა არ მცოდნოდაო!“ როდესაც სენატს მისდამი მადლიერება გამოუხატავს, ახალგაზრდა იმპერატორს განუცხადებია: „მადლობა მე ჯერ უნდა დავიმსახურო!“



ნერონს იმპერიის გაფართოების არც სურვილი ჰქონია და არც იმედი. მხოლოდ ის შეძლო, რომ პონტოსა და ალპიური სამეფოები რომის პროვინციებად გამოაცხადა. იგი დარიალის ხეობაში სალაშქროდაც ემზადებოდა ალბანეთის და სხვა მიმდებარე მხარეთა დასაპყრობად. ველარც ეს შეძლო. სამაგიეროდ ბავშვობის ოცნება ალისრულა: სასახლის კარზე იმ დროისათვის სახელგანთქმული მუსიკოსი მიიწვია და გატაცებით დაიწყო კითარაზე დაკვრისა და სიმღერის ხელოვნების შესწავლა.

პირველად რომის იმპერატორმა ნეაპოლის სცენა ირჩია. მოხდა ისე, რომ მისი გამოსვლისთანავე თეატრი შეძრა მოულოდნელმა მიწისძვრამ. იგი სცენიდან არ ჩამოსულა, ვიდრე სიმღერა არ დაასრულა. მას მოსწონდა აპლოდისმენტები და იგონებდა ახალ ზეიმებს ახლა უკვე რომის სცენაზე გამოსასვლელად. მან დააწესა ისეთი ასპარეზობა, სადაც მსახიობები ერთმანეთს სიმღერაში ეჯიბრებოდნენ, ჟიური კი გამარჯვებულს აჯილდოებდა. ნერონს მსახიობებთან ერთად სურდა გამოსვლა. რომის ისტორიაში ამ გაუგონარ მოვლენას მთელი სენატი წინ აღუდგა. მას შესთავაზეს გვირგვინი სიმღერასა და ორატორულ ხელოვნებაში გამარჯვებისთვის, რაც მას საერთო სახალხო შერცხვენისაგან იხსნიდა, მაგრამ ამაოდ. იმპერატორს მხოლოდ მსახიობობა სურდა. ბრბო ტაშს უკრავდა და იძულებით ისმენდა მის არც თუ ისე ოსტატურად შესრულებულ სიმღერებს „ორესტესის ვნებებზე", „ოიდიპოსის დაბრმავებაზე", „ჰერაკლეს სიგიჟეზე". განათლებული მკითხველი იოლად მიხვდება, რომ ახლობელთა დახოცვისა თუ სისხლის აღრევის მოტივები ნერონს განსაკუთრებით ხიბლავდა.

რომის იმპერატორი საბერძნეთსაც ეწვია, რათა მუსიკალურ აგონებში მიეღო მონაწილეობა. იგი ყოველი გამოსვლის წინ ტრადიციით დადგენილ წესებს იცავდა, ჩვეულებრივი მომღერლების მსგავსად ღელავდა, შიშით უმზერდა მსაჯულებსაც, მეტოქეებსაც და ხშირად მათ მოსყიდვასაც ლამობდა. როდესაც ნერონი მღეროდა, თეატრს ვერავინ დატოვებდა, გამარჯვებულად საკუთარ თავს თავად აცხადებდა, წინამორბედ გვირგვინოსანთა ხსენებაც რომ არ ყოფილიყო, მათ ქანდაკებებს ამსხვრევდა და სახელებს შლიდა.

ნერონის კიდევ ერთი გატაცება მეეტლეთა ასპარეზობებში მონაწილეობა იყო. ოლიმპიაში იგი ისეთ ეტლსაც მართავდა, რომელშიც ათი ცხენი იყო შებმული. მართალია, ის გადმოვარდა, რის გამოც არენის დატოვება მოუხდა, მაგრამ გვირგვინი მაინც ხვდა წილად. ამ პატივისთვის ნერონმა მთელი პროვინცია გაათავისუფლა გადასახადებისგან, ხოლო მსაჯულებს რომის მოქალაქეობა უბოძა და დიდი ფულიც გადაუხადა. შემდეგ, ვით ავგუსტუსი ბრწყინვალედ მოგებული ბრძოლიდან, ისე დაბრუნდა რომში ტრიუმფით და გამარჯვების გვირგვინები თავის მოსასვენებელ ოთახში ჩამოიკიდა.



ასე თანდათან ეგუებოდნენ რომაელები მის სითავხედეს. მოგვიანებით გამოავლინა მან სიბილწე, გარყვნილება, სისასტიკე და ყველა ავი ზნე, რაც შეიძლება დაიძებნოს მოკვდავის სულში. შებინდებისას გადაცმული გამოდიოდა სასახლიდან და საათობით დაეხეტებოდა ქუჩებსა და ღამის დუქნებში. ერთობოდა იმით, რომ გზად შემოყრილებს ჭრიდა და ჩხვლეტდა, თუკი ვინმე წინააღმდეგობას გაუწევდა, არხში აგდებდა, დუქნებს ძარცვავდა, ნაძარცვი სასახლეში მიჰქონდა და იქ გამართულ სახელდახელო ბაზრობაზე ჰყიდდა, მონაგარი სასმელში იხარჯებოდა. იგი დღისითაც კი ილხენდა, თუნდაც დიდ ცირკში, სადაც მთელი იმპერიიდან თავმოყრილი მეძავები და მროკავები თავს ევლებოდნენ. და რაც სურდა, იმას იქმოდა: ცხოვრობდა თავისუფალ ყმაწვილებთანაც, დაოჯახებულ ქალებთანაც; მან ვესტალისი რუბრიაც კი გააუპატიურა; გათავისუფლებული მონა აქტია კინაღამ ცოლად მოიყვანა, აიძულა რა სენატორები დაედოთ ფიცი, რომ ეს აზატი ქალი მეფის მოდგმისა იყო; ლამაზი ბიჭი სპოროსი ქალად გამოაცხადა და ყველა წესის დაცვით ქორწილიც გადაიხადა, იმპერატრისას სამოსით შემოსა, ყველას თვალწინ ეფერებოდა და თან დაჰყავდა ტახტრევანით; რომაელები ხუმრობდნენ: „ბედნიერები ვიქნებოდით, ნერონის მამას რომ ასეთი ცოლი ჰყოლოდაო!"

რომის მბრძანებლის სიბილწეს დასასრული აღარ უჩანდა. იგი დედასთანაც ლამობდა სასიყვარულო ქსელის გაბმას (ზოგიერთი ისტორიოგრაფოსი ამ უმსგავსობას თავად აგრიპინას მიაწერს: ტაციტუსი, ანალები, XIV), მაგრამ სენეკას ძალისხმევით გადაიფიქრა, ძალაუფლების დაკარგვის შიშმა დააფრთხო. თავისი სხეულიც არაერთგზის მიუცია სხვათათვის გასაუპატიურებლად. ბოლოს არნახული სიბილწე მოიგონა: ცხოველის ტყავში გახვეული გამოვარდებოდა ხოლმე გალიიდან, ბოძებზე მიბმულ შიშველ ქალებსა და კაცებს თავს ესხმოდა, ველურ სივეშეს რომ დაიცხრობდა, თავის აზატ დორიფოროსს უვარდებოდა მკლავებში და იმ ქალწულივით იქცეოდა, რომელსაც ის-ის იყო ნამუსს ხდიდნენ. სწორედ ამ დორიფოროსს მისთხოვდა კიდეც ცოლად. ნერონი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ არ არსებობდა სიწმინდე ამ ქვეყანაზე და რომ ყოველი ადამიანი თავის თავში ოსტატურად მალავდა სიბილწეს.

ფული, სიმდიდრე, მისი აზრით, მხოლოდ იმისთვის არსებობდა, რომ გაფლანგულიყო. გლადიატორებს, მუსიკოსებს, ტაშის დამკვრელებს, ნებისმიერს, ვინც კი მოსწონდა, დაუნანებლად უხდიდა ფულს, უძღვნიდა ვილებსა და მამულებს, ტრიუმფატორთა სასახლეებს; თავად ძვირფასი სამოსელით იმოსებოდა, თევზაობდა ოქროს ბადეებით... მაგრამ ყველაზე მეტად მდიდრული ნაგებობების შენებით ტკბებოდა. პალატიუმისა და ესკვილიუმის ბორცვებს შორის უზარმაზარი სასახლე აღმართა, რომელშიც მოთავსებული იყო მინდვრები, ბაღები, ტბები, შად-

რევნები, საძოვრები, ტყეები; მოსასვენებელი ოთახები დაფარული იყო ოქროთი, ძვირფასი თვლებით, მარგალიტებით; კედლებიდან იბნეოდა ყვავილები, იფრქვეოდა კეთილსურნელებანი; მთავარი დარბაზი იყო მრგვალი, მისი ვარსკვლავებიანი გუმბათი ზეცის თალივით ბრუნავდა; აბანოებში მლაშე და გოგირდიანი წყალი მოჩქეფდა... დასრულებული რომ უხილავს „ოქროს სასახლე", – „აი, ახლა კი ვიცხოვრებო ადამიანურად!" – უთქვამს ნერონს. კიდევ მრავალი წარმოუდგენელი მშენებლობა წამოიწყო იმპერატორმა. ხაზინა დაცარიელდა. ნერონმა ახლა ხელი მიჰყო სხვათა ქონების მითვისებას. „უნდა ვეცადოთ, რომ აღარავის აღარაფერი დარჩეს!" – იმეორებდა იგი და ტაძრების ძარცვასაც არ ერიდებოდა.

რაც შეეხება მკვლელობებს, ყველაფერი კლავდიუსიდან დაიწყო. მართალია, წინამორბედი იმპერატორის მოწამვლის იდეა ნერონს არ ეკუთვნოდა, მაგრამ მკვლელობა რომ მზადდებოდა, კარგად იცოდა. კლავდიუსის ძე ბრიტანიკუსი კი ნამდვილად თავად მოწამლა. უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ შურდა მისი (ბრიტანიკუსს კარგი ხმა ჰქონდა), ამასთანავე ტახტის კანონიერი მემკვიდრის შიშიც ჰქონდა. მოწამვლის პირველი ცდა რომ უშედეგო აღმოჩნდა, ქალი, რომელმაც საწამლავი მოამზადა, სიკვდილით დასაჯა. სამაგიეროდ შემდეგ ისეთი შხამი შეასვეს ბრიტანიკუსს, რომ პირველი ყლუპითვე ამოხადეს სული.

შემდეგი მსხვერპლი აგრიპინა იყო. ნერონის მმართველობის მნიშვნელოვანი პერიოდი მის სახელს უკავშირდება. თავდაპირველად ახალგაზრდა და გამოუცდელი ნერონი თანახმა იყო ძალაუფლება დედასთან გაეყო, ამიტომ მას სახელმწიფო და პირადი საქმეები მიანდო. სიტუაცია შეიცვალა, როდესაც პრეტორიანელთა მთავარსარდალმა ბურუსმა და სენეკამ აგრიპინას წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყვეს, რითაც ნერონს აგრძნობინეს, რომ ძალაუფლების სადავეებთან იმპერატრისა იმყოფებოდა. იდგა 59 წელი. იმ დროისათვის თავად შვილსაც მობეზრებოდა დედა, რომელიც მბრძანებლობდა და თანაც ხშირად ახსენებდა, თუ ვისი ძალისხმევით აღზევდა ტახტზე იგი – ნერონი! ამიტომაც მან დედის მეთვალყურეობიდან გამოსვლა სცადა. დაიწყო იმით, რომ ჯერ მისი პროფილი გააქრო მონეტებიდან, შემდეგ მცველები ჩამოაცილა, ბოლოს სასახლიდანაც გააძევა. არც სხვაგან აცალა მშვიდად ყოფნა, მიუჩინა კაცები, რომლებიც გამუდმებით დასცინოდნენ და მკვლელობით ემუქრებოდნენ. რამდენჯერმე მისი მოწამვლაც სცადა, მაგრამ უშედეგოდ. აგრიპინა შხამის საწინააღმდეგო წამლებს სვამდა. მაშინ მისი საწოლის თავზე მსახურებს ისეთი ჭერი დააკიდებინა, რომელიც სათანადო დროს უნდა ჩამოვარდნილიყო. შემდეგ კი გამოცხადდებოდა, რომ აგრიპინა უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა. მაგრამ მოხდა ისე, რომ შეთქმულებმა საიდუმლო ვერ შეინახეს. ისევ გადარჩა აგრიპინა. ბო-



ლოს მისი ზღვაში დაღუპვა განიზრახა. თავაზიანი წერილით ბაიეში გამართულ ზეიმზე მიიპატიჟა. ვიდრე იმპერატრისა სანადიმოდ გაშლილ სუფრასთან იჯდა, მისი გემის დაზიანების ბრძანება გასცა. ხოლო როდესაც აგრიპინა გასამგზავრებლად გაემზადა, შესთავაზა სახელდახელოდ აგებული ხომალდი, რომელიც გაშლილ ზღვაში გასვლისთანავე უნდა ჩაძირულიყო. დედას ალერსით მკერდზე ეამბორა, დაემშვიდობა, თავის ოთახში ჩაიკეტა და ამბის მომტანს მოუთმენლად უწყო ლოდინი. ამბავი კი ასეთი იყო: აგრიპინა ისევ გადარჩა და აი, როგორ: ხომალდის რყევისას იმპერატრისას კაიუტის ტყვიით ნაკეთი ჭერი კი ჩამოიქცა, მაგრამ იგი საწოლის მაღალმა კედლებმა შეაკავეს. არ დაიშალა ხომალდის ძირიც. ამიტომ მან ჩაძირვა კი არ იწყო, არამედ გვერდზე გადაიხარა. აგრიპინა და მისი მხევალი წყალში ჩაცურდნენ. მხევალი ქალი შეშინდა და იწყო ყვირილი: „მიშველეთ, იმპერატორის დედა ვარო!" იფიქრა, ალბათ ასე უფრო გადავრჩებიო, მაგრამ მოტყუვდა. შეთქმულებმა ნიჩბებით ჩაკლეს. აგრიპინამ კი, რომელიც გრძნობდა მის თავს დატეხილ უბედობას, ჩუმად გაცურა, მეთევზეთა ნავსაც მიაგნო და სამშვიდობოს გააღწია. შემდეგ უკანასკნელ ხერხს მიმართა: თავი ისე დაიჭირა, თითქოს ვერაფერს მიხვდა, შვილთან კი მაცნე გააგზავნა თავისი გადარჩენის ამბის საუწყებლად. დაიბნა იმპერატორი. ყოვლად უმსგავსო ხერხს მიმართა: მოიგონა, თითქოს ეს მაცნე დედოფალმა მის მოსაკვლავად მოავლინა და რომ ამხილეს, სასოწარკვეთილმა თავად მოისწრაფა სიცოცხლე. სინამდვილეში კი ნერონმა დედას მკვლელები (ისინი მაღალი თანამდებობის პირებიც იყვნენ) მიუგზავნა. მათ აგრიპინა თავის ოთახში ელოდებოდა. როდესაც ისინი მის სარეცელთან განლაგდნენ, იმპერატრისამ მუცელი გაიშიშვლა და შესძახა: „საშოში ჩამცხეთ!" რითაც იმაზე მიანიშნა, რომ დედის მკვლელი შვილი ამ ქვეყნად არ უნდა შობილიყო (ტაციტუსი, ანალები, XIV, 8).

უფრო საშინელ ამბებსაც გადმოგვცემენ: თითქოს იმპერატორმა თავად მიირბინა იარებით დასახიჩრებული დედის სარეცელთან, დაათვალიერა გვამი და შესძახა: „მე არ მეგონა, თუ ასეთი ლამაზი დედა მყავდაო!" (დიო კასიუსი, 61, 14). შემდეგ სასმელი მოითხოვა და უგონოდ დათვრა. თუმცა სენატმაც, ხალხმაც და ჯარმაც ეს ამბავი აუღელვებლად მიიღო, ნერონს სიცოცხლის ბოლომდე სინდისი ქენჯნიდა. მას ხშირად ეჩვენებოდა, რომ დასდევდა დედის აჩრდილი, მასთან მძვინვარე ფურიებიც, მოგიზგიზე ჩირაღდნებს რომ ახრჩოლებდნენ. ასე ტრაგიკულად დასრულდა რომის ისტორიაშიც კი გაუგონარი ბრძოლა დედასა და შვილს შორის.

ნერონმა რომის სენატს გაუგზავნა უსტარი, სადაც აგრიპინას ადანაშაულებდა იმპერატორის მკვლელობის მცდელობასა და ძალაუფლების მიტაცებაში, თან უნამუსოდ აცხადებდა, რომ იგი თავისი ნებით გამოესალმა სიცოცხლეს. ამ უმსგავსო წერილის ტექსტი ნერონისათვის თავად სენეკას შეუდგენია.



მიღწეული გამარჯვებითა და ხალხის მონური მხარდაჭერით თავაღებული იმპერატორი რომში დაბრუნდა და თავდავიწყებით მიეცა მის სულში დაბუდებულ ყოველგვარ ვნებას, რომელსაც აქომამდის აოკებინებდა დედისადმი თუნდაც მცირედი მორიდება. ახლა უკვე იგი აღვირახსნილი ბოროტების იმ გზას დაადგა, რომელმაც იულიუს-კლავდიუსთა საუკუნოვან ბატონობას რომში ძირი გამოაცალა.

თუკი თავისი მმართველობის დასაწყისში ნერონი საზოგადოებრივ აზრს ანგარიშს უწევდა, ახლა უკვე მისთვის აღარაფერი დარჩა წმინდა. დედის მკვლელობის შემდეგ იგი ხანდაზმულ გამზრდელ მამიდას ეწვია, ლოგინად რომ ჩავარდნილიყო. მისი ბრძანებით იქვე ამოხადეს ლეპიდას სული. მის ქონებას კი თავად დაეპატრონა და რამე რომ არ დაეკარგა, ანდერძი გააქრო.

ახლმა ნერონმა თავისი ცოლის, ოქტავიას თავიდან მოცილება განიზრახა. ოქტავია კლავდიუსის ასული იყო და თავისი სათნოების გამო საზოგადოებაში დიდი სიყვარულით სარგებლობდა. 62 წელს ნერონის ბრძანებით იგი მეძაობაში დაადანაშაულეს, რომიდან გააძევეს და მოკლეს. ეს ამბავი ასახულია ჩვენამდე „ოქტავიას" სათაურით მოღწეულ ტრაგედიაში, რომლის ავტორადაც სენეკას მიიჩნევენ.

ოქტავიას შემდეგ ნერონმა ორგზის იქორწინა. თავდაპირველად პოპეა საბინაზე, რომელსაც ტაციტუსის თქმით, „არაფერი აკლდა, გარდა სულიერი სიწმინდისა" (ანალები, XIII, 45). ოქტავიას გარდაცვალებიდან მეთორმეტე დღეს დაისვა იმპერატორმა თავის ტახტზე ეს მშვენიერი, მაგრამ უზნეო, ულმობელი და ფარისეველი ქალი, რომელიც თავდავიწყებით უყვარდა. თუმცა სამი წლის შემდეგ შემოაკვდა. ავადმყოფი და ფეხმძიმე ქალი ჩაწიხლა მხოლოდ იმიტომ, რომ მისგან შინ გვიან მოსვლის საყვედური ვერ აიტანა.

სტატილია მესალინას, რომლის ცოლად მოყვანაც ისურვა შემდეგ ნერონმა, ქმარი მოუკლა. თუმცა ყველაზე მეტად მაინც აზატი ქალი აქტა უყვარდა, რომელიც სიკვდილამდე მისი ერთგული იყო.

ერთხელ ცის თაღზე კუდიანი ვარსკვლავი გამოჩნდა. რომაელების რწმენით, ეს მეფეთა გარდაცვალების ნიშანი იყო. მაშინ ნერონმა ბედის შემობრუნება განიზრახა: თავის სიკვდილს სხვათა სიკვდილი ამჯობინა. მან სახელმწიფოს თითქმის ყველა მაღალი თანამდებობის პირი და სახელოვანი კაცი გამოასალმა სიცოცხლეს. ის არ ინდობდა არც ახლობელს, არც ახალგაზრდას და არც ხანდაზმულს. კვდებოდა ყველა, ვინც იმპერატორს თვალში არ მოუვიდოდა. მათ შორის იყო ოდესღაც ყოვლისშემძლე პალასი, რომელმაც ნერონს ძალაუფლებისაკენ გზა გაუკაფა. იმპერატორმა მისი მოწამვლის ბრძანება გასცა. იმავე წელს ყელის სიმსივნით გარდაიცვალა პრეტორიანელთა მთავარსარდალი ბურუსი, რომელიც ცდილობდა აღვირახსნილი იმპერატორის მოთოკვას, თუმცა ამაოდ. ყველა თვლიდა,



რომ პალასივით მასაც შხამი მიაღებინეს. თავისი აღმზრდელი სენეკაც კი აიძულა ნერონმა, რომს გაცლოდა. სიცოცხლე რომ შეენარჩუნებინა, ხანდაზმულმა და ჭკვიანმა ფილოსოფოსმა მთელი თავისი მონაგარი მას უანდერძა და მეუღლესთან ერთად პროვინციაში განმარტოვდა.

62 წლიდან ყველაზე გავლენიან პირად სასახლის კარზე სოფონიუს ტიგელინუსი აღმოჩნდება, „ბნელი წარსულის კაცი, რომელმაც ახალგაზრდობა გაატარა სიბინძურეში, ხოლო სიბერე – უნამუსობაში", – იტყვის მოგვიანებით ტაციტუსი (ისტორია, I, 72). ისედაც მეგალომანიით დაავადებულ ნერონს ის აქეზებდა და არნახული ბოროტების მორევში ითრევდა. იმპერატორი აღარც თავის ხალხს სწყალობდა და აღარც ქალაქს. ერთხელ ვიღაცას მასთან საუბრისას უთქვამს: „მე რომ მოვკვდები, ცეცხლს წაულია ეს ქვეყანაო!" ნერონმა იქვე შეაწყვეტინა ამ სიტყვებით: „ჯერ მოიცადე, მე ცოცხალი ვარ!" რა საოცრება დატრიალდა იმ წამს მის სულში, არავინ იცის. არავინ იცის, როგორ აბრიალდა დიდ ცირკთან ცეცხლი, რომელიც მალე მთელ რომს მოედო. ალმოდებულ ქალაქს ნერონი ესკვილინუმის ბორცვზე აღმართული კოშკიდან უმზერდა და თეატრალურ სამოსში გამოწყობილი მღეროდა მის მიერ შეთხზულ ტრაგედიას სახელწოდებით „ტროას დამხობა".

ხალხში ხმა დაირხა, რომ ქალაქი ნერონმა გადაწვა, რათა ძველი რომის ნაცვლად აღეშენებინა ახალი, რომელსაც ნეროპოლისი დაერქმეოდა. მაგრამ იმპერატორი უარყოფდა ამ ბრალდებას, მომხდარში ქრისტიანებს ადანაშაულებდა და უსასტიკესი სიკვდილით სჯიდა. ასე დაიწყო ისტორიაში პირველად ქრისტიანთა დევნა.

ამ უბედურებებს, რომელიც ნერონმა დაატეხა თავს იმპერიას, დაერთო სხვაც: ჟამიანობა, რომელმაც მხოლოდ შემოდგომისას 30 ათასი ადამიანი იმსხვერპლა; ამბოხებები პროვინციებში და რომაელთა ლეგიონების სამარცხვინო დამარცხებები.

ასე რომ, 64 წლის ხანძარი რომში საყოველთაო ქაოსის სიმბოლოდ იქცა. ბოლოს და ბოლოს ხალხმა ნერონის თავიდან მოცილება განიზრახა. 65 წელს მოეწყო შეთქმულება გაიუს კალპურნიუს პისოს მეთაურობით, მაგრამ ტიგელინუსმა მოახერხა მისი მხილება. სიკვდილმისჯლითა ნუსხა დღითიდღე იზრდებოდა. მათ შორის აღმოჩნდა სახელოვანი სენეკაც, რომელიც იძულებული გახდა, თავი მოეკლა.

ნერონმა საბერძნეთისკენ აიღო გეზი, მაგრამ სახალხო მღელვარებისა და მარაგის უქონლობის გამო იძულებული შეიქნა 68 წელს ისევ რომში დაბრუნებულიყო. საყოველთაო სიძულვილისდა მიუხედავად თავისი ცხოვრების ნირს არ იცვლიდა იმპერატორი, არც მოახლოებულ საფრთხეს იმჩნევდა. მარტის თვეში გალიის მმართველი აღსდგა მის წინააღმდეგ, მალე სხვა პროვინციებმაც მოითხოვეს ნერონის ჩამოგდება ტახტიდან. ტიგელინუსი ლოგინად ჩავარდა, მის გარეშე კი

ველარაფერი მოიმოქმედა იმპერატორმა, საყოველთაო მღელვარება რომ დაეცხრო. ხალხს სძულდა იგი და აშკარად შეურაცხყოფდა. ქუჩებში მის ქანდაკებებს სამარცხვინო წარწერებით ამკობდნენ ანდა ამსხვრევდნენ... გარემომცველთაგან მოძულებულ ნერონს მოჩვენებებიც არ ასვენებდნენ. ერთხელ, შუაღამისას გამოღვიძებულმა დაინახა, რომ მცველებიც აღარ იყვნენ მის მახლობლად. შემოიარა ოთახები, მსახურებიც კი გაქცეულიყვნენ თავიანთი ქვეშაგებებით. ბოლოს ნერონმა გლადიატორს ან რომელიმე სულიერს დაუწყო ძებნა, რომ მისი ხელით მომკვდარიყო. „არც მეგობარი აღარა მყავს და აღარც მკვლელი?!" – ამ სიტყვებით ის სასახლიდან გამოვარდა. როგორც იქნა იპოვა აზატი ფაონი, რომელმაც შესთავაზა თავისი მამული, რომიდან რომ ოთხი მილის მანძილზე მდებარეობდა. ფეხშიშველი და მხოლოდ მოსასხამმოსხმული ნერონი ცხენს მოახტა. იმ წამს იელვა და მიწაც იძრა. ძრწოლამ მოიცვა ისედაც თავგზააბნეული მხედარი. ფაონის მამულს რომ მიუახლოვდა, წყალი მოსწყურდა. იქვე, გუბედან მიაწოდეს „ესეც ნერონის სასმელიო!" – თქვა და დალია.

ფაონს თან სამი მსახური ახლდა. რომის იმპერატორი რაღაც მიწურში შეიყვანეს და სთხოვეს, რაც შეიძლება მალე მოეცილებინა თავიდან მოსალოდნელი უბედურება. ნერონი ითხოვდა მის თვალწინ აეღოთ ზომები, ამოეთხარათ საფლავი, შემოეტანათ მარმარილოს ნამსხვრევები და სხვა ნივთები, რაც მისი ნეშტის საპატრონოდ იყო საჭირო. ყოველი ბრძანების გაცემისას თრთოდა და განუწყვეტლივ იმეორებდა: „რა დიდებული მსახიობი კვდებაო!" ვიდრე დროს ახანგრძლივებდა, ფაონს წერილი შემოუტანეს. თავად გახსნა და წაიკითხა: სენატმა იგი ხალხის მტრად გამოაცხადა, რის გამოც წინაპართა ადათისამებრ უნდა დასჯილიყო. სასჯელის წესი რომ იკითხა, ამცნეს: გააშიშვლებდნენ, თავზე მარწუხებს მოუჭერდნენ და როზგებით სულს ამოხდიდნენ. შეძრწუნებულმა ორი მახვილი იშიშვლა, პირი მოუსინჯა, შემდეგ დამალა, თავს იმართლებდა, საბედისწერო წამი ჯერ კიდევ არ დამდგარაო. ხან თავის მსახურს უხმობდა საშველად, ხანაც თავის თავს მიმართავდა: „საზარლად ვიქცევი, სამარცხვინოდ, ისე, ნერონს რომ არ შეეფერის! გონს უნდა ვუხმო ამ დროს, აბა, გამაგრდი!" მალე ცხენების ფეხის ხმაც ესმა და თავისი მრჩევლის, ეპაფროდიტოსის დახმარებით მახვილი ყელში გაიჩხირა. ჯერ კიდევ სუნთქავდა, როდესაც მიწურში შემოვარდა კენტურიონი, რომელმაც მოსასხამი ისე შემოახვია, თითქოს მიშველებას ლამობდა. „დაგაგვიანდა! ერთგულებაც ამას ჰქვია!" – ესლა აღმოხდა და სული განუტევა. თვალები გაუშტერდა და გადმოეკარკლა. შემზარავი სანახავი იყო რომის ოდესღაც ყოვლისშემძლე იმპერატორი. ეს მოხდა 68 წლის 7 ივნისს.

გადმოგვცემენ, რომ სიცოცხლეში ნერონს სახე უფრო ლამაზი ჰქონდა, ვიდრე მომხიბლავი; თვალები ნაცრისფერი და ოდნავ ახლომხედველი; თმები მწითური, ტალღოვანი, ზოგჯერ კისერზე ჩამოზრდილი; ტანად საშუალო სიმაღლის იყო, სხეულზე ცუდი სუნი სდიოდა; ჰქონდა მსხვილი კისერი, წინ წამოწეული მუცელი და ძლიერ წვრილი ფეხები; ჯანმრთელი იყო და იშვიათად ავადმყოფობდა.

ბავშვობიდანვე დაეუფლა იგი კეთილშობილ მეცნიერებებს. ფილოსოფიას აარიდა მხოლოდ დედამ, რომელიც შთააგონებდა, რომ იმპერიის მბრძანებელს იგი ხელს შეუშლიდა. ძველ ორატორთა შესწავლისგან სენეკამ იხსნა, რადგანაც სურდა, რომ მხოლოდ მისი მოძღვრება სცოდნოდა ყმაწვილს. სამაგიეროდ ნერონს ლექსების თხზვა ეიოლებოდა. თუმცა ყველაზე მეტად წარმატებათა მოპოვების ჟინით იწვოდა, რომელსაც ბრძოლისას მოპოვებული გამარჯვებებითა და ტრიუმფებით კი არა, სცენასა თუ არენაზე გამოსვლით იკმაყოფილებდა. ნერონს არად ულირდა სახელმწიფო საქმეები და ისე იქცეოდა, თითქოსდა მთელი სამყარო მის საამებლად არსებობდა. იგი ოცდათორმეტი წლის ასაკში გარდაიცვალა, სწორედ იმ დღეს, როდესაც მოკლა ოქტავია. ნერონი პირველი იმპერატორი იყო, რომელსაც სიცოცხლეშივე ჩამოართვეს ძალაუფლება. სენატმა იგი შეაჩვენა და უარი თქვა მის პომპეზურ დაკრძალვაზე. გაღმერთებაზე საუბარიც ზედმეტი იყო. იულიუს-კლავდიუსთა საუკუნოვანი მბრძანებლობა წარსულს ჩაბარდა.

რომის ისტორიის ამ კოშმარულ დროს რომ აღწერდა, ისტორიოგრაფოსი ტაციტუსი წერდა: „მონური მოთმინება და ქვეყნის შიგნით დაღვრილი სისხლი თრგუნავენ სულს და მწუხარებით ბორკავენ“ (ანალები, XVI, 16). სხვა თხზულებაში კი მრავალმნიშვნელოვნად აღნიშნავდა: „იცოდეს ყველამ, ვისაც ჩვევად აქვს არსებული ხელისუფლების მიმართ გაუმართლებელი სითამამით გამოხატოს აღფრთოვანება, რომ უმსგავსო იმპერატორების დროსაც კი შესაძლებელია ცხოვრობდნენ სახელოვანი ადამიანები, რომ მორჩილებითა და თავდადებული შრომით მოპოვებული დიდება ღირსია არა ნაკლები პატივისა, ვიდრე მოქმედების თავისუფლებითა და შთამბეჭდავი, თუმცა სახელმწიფოსთვის სრულიად უაზრო თავგანწირვით მოპოვებული დიდება“ (აგრიპინა, 42).



ვესპასიანუსი

ფლავიუსთა დინასტიის

დამფუძნებელი

(ახ. 9- 79 წწ.)

რომს მართავდა 69-79 წლებში

საყოველთაო აღფრთოვანება, ნერონის სიკვდილმა რომ გამოიწვია, მალე მინავლდა. 68-69 წლები რომის ისტორიაში დაძაბული და სისხლიანი აღმოჩნდა. ამ პერიოდის ამბებს რომ აღწერს ტაციტუსი, აღნიშნავს: „ეს იყო დრო აღსავსე უბედურებებით, სასტიკი ბრძოლებით, ამბოხებებითა და უმოწყალო შურისძიებით... თავდაპირველად ნერონის სიკვდილს გრანდიოზული სიხარულითა და ზარ-ზეიმით შეხვდნენ. მაგრამ სულ მალე განსხვავებული გრძნობები დაეუფლათ სენატორებსაც, ხალხსაც, პრეტორიანელებსაც, ლეგიონებსაც და მთავარსარდლებსაც, რამეთუ განცხადდა პრინცეპსის ხელისუფლების სათავეში მოსვლის საიდუმლო – აღმოჩნდა, რომ პირველ სახელმწიფო პირს მხოლოდ რომში აღარ ირჩევდნენ" (ისტორია, 1, 2-4).

ერთი წლის განმავლობაში საიმპერატორო ტახტზე ოთხი პრინცეპსი შეიცვალა. მათ შორის ტიტუს ფლავიუს ვესპასიანუსი იყო ბოლო. მან ძალაუფლების შენარჩუნებით დაამტკიცა, რომ უზარმაზარი სახელმწიფოს პირველ კაცად (პრინცეპსად) შეიძლებოდა გამხდარიყო ადამიანი, რომელიც არც მოდგმით იყო სახელოვანი, არც სიმდიდრით და არც თავისი უაღრესობით. ვესპასიანუსს არც უბრძოლია ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. თუმცა იმპერატორობის იმედის ნაპერწკალი ბავშვობიდან ღვივოდა მის სულში. იმედი მამამ შთაგონა და აი, როგორ: ფლავიუსთა მამულში ხარობდა მარსისადმი მიძღვნილი მუხა. ტიტუსის დე-



დამ, ვესპასიამ სამგზის იმშობიარა და ყოველ ჯერზე ამ მუხას ახალი ყლორტი ამოსდიოდა. პირველი ყლორტი სუსტი იყო და მალე გახმა. მართლაც, პირველად ვესპასიამ შვა გოგონა, რომელსაც ერთი წელიც არ უცოცხლია. მეორე ყლორტი გრძლად გაიზარდა, ხოლო მესამე, ტიტუსის დაბადებისთანავე რომ აღმოცენდა, ხეს დაემსგავსა. ამ უწყებით გახარებულმა მამამ, საბინუსმა, საკუთარ დედას განუცხადა, რომ მისი შვილიშვილი კეისარი გახდებოდა. ამაზე ხანდაზუმლმა ქალმა კარგად იცინა და მიუგო, რომ თავად ჯერ კიდევ აზროვნებდა, აი საბინუსი კი, გონებას გადამცდარიყო. იმხანად რომის მომავალი იმპერატორის მამა ბაჟის ამღებად მუშაობდა აზიის ერთ-ერთ რომაულ პროვინციაში და ისეთი პატივით სარგებლობდა, რომ იქაურებმა ქანდაკებაც კი აღუმართეს წარწერით: „სამართლიან მებაჟეს". იგი ადრე გარდაიცვალა. დაქვრივებულ ვესპასია პოლას ორი ვაჟი დარჩა. მათგან უმცროსი, ვესპასიანუსი, დიდედის (მამის დედის) სახლში აღიზარდა.

ახალგაზრდული წლები ტიტუს ფლავიუსმა სამხედრო მოღვაწეობას მიუძღვნა. თავდაპირველად იგი თრაკიაში განლაგებულ რომაულ ჯარში მსახურობდა, შემდეგ კრეტისა და კირენის გამგებელი იყო, მთავარსარდლობდა ლეგიონებს გერმანიაში. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ბრიტანეთში, სადაც ოცდაათი ბრძოლის მონაწილემ ორი ძლევამოსილი ტომი და ოცზე მეტი სოფელი დაიმორჩილა. ამ გამარჯვებებით მან ტრიუმფი დაიმსახურა. 51 წელს იგი კონსულად აირჩიეს.

ვესპასიანუსის ამ წარმატებებზე რომ საუბრობენ ისტორიოგრაფოსები, მისი ხასიათისა თუ ბუნების კეთილ ზნეზეც მიუთითებენ: „თავისი ენერგიულობის, გონიერების, წინდახედულების, სიფრთხილისა და უბრალოების წყალობით ვესპასიანუსმა მშვიდობით განვლო მძვინვარე კალიგულას, უნებისყოფო კლავდიუსისა და გონგარდასული ნერონის მბრძანებლობათა უმძიმესი დრო", – აღნიშნავენ ისინი და საიმპერატორო კარზე მის მფარველად ასახელებენ ნარკისუსს, ერთ-ერთს იმ სამ ძალმოსილ აზატთაგან, რომლებიც არსებითად განაგებდნენ იმპერიის საქმეებს უნიათო კლავდიუსის ჟამს. მაგრამ ამ ნარკისუსმა ნერონის უზნეო და შეუბრალებელი დედის, აგრიპინას რისხვა დაიმსახურა. მაშინ ვესპასიანუსი, ვითარცა გონიერი და წინდახედული კაცი, ვერაგი იმპერატრისას თვალსაწიერიდან გაქრა და მხოლოდ მაშინ დაუბრუნდა სახელმწიფო საქმეებს, როდესაც ნერონმა იგი სიცოცხლეს გაძოასალმა. ვესპასიანუსი აფრიკაში განაწესეს ერთ-ერთი პროვინციის მმართველად. იქ ვერ გამდიდრდა, რომში დაბრუნდა, ღვიძლ ძმას მამული მიაგირავა და ჯორებით ვაჭრობას მიჰყო ხელი, მიუხედავად იმისა, რომ ეს საქმე მისი საკადრისი სულაც არ იყო. ამის გამო ხალხში „მეჯორეს" სახელიც კი დაიმკვიდრა.

66 წლისათვის ვესპასიანუსი იმპერატორ ნერონის კარის მსახურთა შორის აღმოჩნდება და მასთან ერთად საბერძნეთში გაემგზავრება „საგასტროლო ტურნე-

ში" მონაწილეობის მისაღებად. მაგრამ აქაც უმტყუნებს ბედი. ერთ-ერთი წარმოდგენისას ამფითეატრში მჯდომს ჩაეძინება, რის გამოც თანამდებობის დატოვება მოუწევს, თუმცა გონს მოუხმობს და ერთ პატარა ქალაქში მიიმალება.

ვესპასიანუსის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც 66 წელს რომაულ იუდეაში ამბოხების ჩასახშობად უხმეს და რამდენიმე ლეგიონის მთავარსარდლად დანიშნეს. ორი წელი მოანდომა ვესპასიანუსმა იუდეის დამორჩილებას. მხოლოდ იერუსალიმი იდგა მყარად. ვესპასიანუსი შეგნებულად არ ჩქარობდა და ომს მოწყურებულ მებრძოლებს ასე ამშვიდებდა: „ჩემზე ბრძენი მთავარსარდალი მხოლოდ ღმერთია, რომელსაც სურს იუდეა რომს ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე უძღვნას და ჩვენს ჯარს იოლი გამარჯვება არგუნოს. ვიდრე მოქიშპეები საკუთარი ხელებით ანადგურებენ ერთმანეთს, ვიდრე მათ ღუპავს უსაშინლესი ბოროტება – შინა ომი, უმჯობესია მშვიდად ვუყუროთ ამ საშინელებას და არ შევებათ იმ ადამიანებს, რომლებიც სიკვდილს ეძიებენ და უმოწყალოდ ეომებიან ერთმანეთს. თავშეკავებას და საზრიან მოქმედებას თან სდევს ისეთივე დიდება, როგორიც ბრძოლით მოპოვებულ გამარჯვებას. და ვიდრე მტერი უძლურდება, ჩემი ლაშქარი ომის ჯაფისგან დაისვენებს, ძალას მოიკრებს... ასე რომ, საბოლოო გამარჯვებისთვის უმჯობესია ერთმანეთზე მივუშვათ ერთმანეთის მომსვრელი ხალხი" (იოსებ ფლავიუსი, იუდეევური ომები, 4, 6, 2).

ვესპასიანუსი დროს იგებდა, რადგანაც გრძნობდა, რომ თავად რომიც შინაური აშლილობის წინაშე იდგა. რომაელ მთავარსარდალთაგან იგი ერთადერთი აღმოჩნდა, რომელმაც ზუსტად შეაფასა შექმნილი მდგომარეობა, შეძლო დიდი ხნით განზე დგომა, არ ჩაერთო რა აშკარად იმ ბრძოლაში, რომელმაც ნერონის უმსგავსო მმართველობას ბოლო მოუღო.

ვესპასიანუსი მშვიდად ემზადებოდა იერუსალიმის დასალაშქრად, მაგრამ შეიტყო თუ არა ნერონის გარდაცვალების ამბავი, ბრძოლა შეწყვიტა.

რომი საკუთარი ჯარის ტყვეობაში აღმოჩნდა.

ნერონმა მაშინ მოიკლა თავი, როდესაც ესპანეთისა და გალიის ლეგიონებმა იმპერატორად აღიარეს სერვიუს სულპიციუს გალბა. იგი ესპანეთის პროვინციას განაგებდა და ნერონის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების მონაწილე იყო. მის ტახტზე აღზევებას მხარს უჭერდა გალიის მმართველი და, რაც მთავარია, პრეტორიანელთა გვარდია.

გალბამ 68 წლის მიწურულისთვის ჩააღწია რომში, სადაც ისე აირია ყველაფერი, რომ სენატორებს სანატრელი გაუხდათ ნერონის დრო. უკვე 72 წელს მიღწეულმა, მძიმე და უხეში ბუნების იმპერატორმა მრავალი შეცდომა დაუშვა. განსაკუთრებით განარისხა პრეტორიანელები, რადგანაც არ გადაუხადა ნერონის წი-



ნააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების ჟამს შეპირებული ფული. „მე ჩემს მებრძოლებს ვაგროვებ, კი არ ვყიდულობ!" – განაცხადა მან და შეეწირა კიდეც ამ სიტყვებს. 69 წლის 15 იანვარს იმედგაცრუებულმა პრეტორიანელებმა ის მოკლეს და თავის იმპერატორად დაასახელეს 37 წლის მარკუს სალვიუს ოტო, რომელმაც მზაკვრობითა და გაიძვერობით ჯერ ნერონის ყურადღება დაიმსახურა, მონაწილეობდა რა მასთან ერთად უმსგავსო ორგიებში, შემდეგ გალბასი. თავდაპირველად ოტოს იმედი ჰქონდა, რომ ეს უშვილო და ხანდაზმული იმპერატორი მას იშვილებდა, მაგრამ ასე რომ არ მოხდა, სახელმწიფო გადატრიალება მოაწყო. ტაციტუსის ცნობით, ოტო დაუკავშირდა გალბას ორ პირად მცველს, „შინ მიიწვია, საჩუქრებითა და დაპირებებით თავგზა აუბნია, ბოლოს სხვათა გადმოსაბირებელი ფულიც კი მისცა. და აი, ამ ორმა მეომარმა რომის იმპერიის ერთი ხელიდან მეორეში გადაცემა განიზრახა, რაც აღასრულეს კიდეც" (ისტორია, 1, 25).

გალბას სიკვდილადე რამდენიმე დღით ადრე (2 იანვარს) გერმანიაში განლაგებულმა ლეგიონებმა თავის იმპერატორად ვიტელიუსი გამოაცხადეს. ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით იგი რომისკენ დაიძრა. ასე დაიწყო სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომი.

ვესპასიანუსი და სირიის გამგებელი მუტიანუსი სიმშვიდეს ინარჩუნებდნენ. ისინი ასე სჯიდნენ: „გამარჯვებულნი და დამარცხებულნი სამოქალაქო ომში დიდი ხნით ვერ ეგუებიან ერთმანეთს. იმაზე ფიქრს, თუ ვინ აღმოჩნდება ძალაუფლების სათავეში – ვიტელიუსი თუ ოტო – აზრი არა აქვს. გაიმარჯვებენ თუ არა, სახელოვანი მთავარსარდლებიც კი უგუნურად იქცევიან. ხოლო ეს ორი ბედოვლათი, ზარმაცი და თავაშვებული, ძალიან მალე დაიღუპება. ერთი იმიტომ, რომ დამარცხდა, მეორე – გამარჯვებას შეეწირება. ვესპასიანუსი და მუტიანუსი იმ აზრამდე მივიდნენ, რომ შეიარაღებული გამოსვლა გარდაუვალი იქნებოდა, ოღონდ სათანადო ჟამს" (ტაციტუსი, ისტორია, II, 7).



ვიტელიუსი

ჩრდილოეთ იტალიაში ოტოს ჯარი თავს დაესხა ვიტელიუსის ლაშქარს, მაგრამ დამარცხდა და ამ უკანასკნელის მხარეს გადაინაცვლა. ისტორიოგრაფოს დიო კასიუსის მტკიცებით დამარცხებული იმპერატორის ბოლო სიტყვები უდავოდ პატივის ღირსი ყოფილა: „სჯობს ერთი კაცი შეეწიროს ბევრს, ვიდრე ბევრი – ერთს!" – უთქვამს მას და თავი მოუკლავს.

მიუხედავად იმისა, რომ ვიტელიუსი ყველას სძულდა, მაინც აირჩიეს პრინცეპსად. წინდახედულმა ვესპასიანუსმა თავის ჯარს იმპერა-



ტორის ერთგულების ფიცი დაადებინა. ფრთხილად და აუჩქარებლად მიემართებოდა იგი ტახტისკენ, დრო მის სასარგებლოდ მუშაობდა. ორი უგნური მეტოქე ცოცხლებში აღარ ეწერა. დარჩენილი იყო მხოლოდ ერთი – ვიტელიუსი, ისიც ულირსი, რომელმაც სხვა ვერაფერი მოიფიქრა, გარდა იმისა, რომ განაცხადა, „იმპერატორის იდეალი ჩემთვის ნერონი იქნებაო" (სვეტონიუსი, ვიტელიუსი, 11). მისი მმართველობის სულ რამდენიმე თვის განმავლობაში რომის ხაზინა დაცარიელდა.

ამასობაში ვესპასიანუსი ბევრს ფიქრობდა, თუ რამდენად იყო მზად სამოქალაქო ომისათვის, რა ძალა ჰქონდა მის არმიას, ვის მიიმხრობდა. იოლი როდი იყო შინა ომებში ჩართვა. მას უკვე ორი სახელოვანი ვაჟი ჰყავდა, სამოც წელს იყო მიღწეული და ცხოვრების გზა თავადაც გონიერად ჰქონდა გავლილი. მას, მთავარსარდალს, ლეგიონები მორჩილებდნენ. როდესაც იგი ვიტელიუსის ერთგულების ფიცს წარმოსთქვამდა, ლეგიონერები დუმდნენ, თუმცა ყველასთვის ცხადი იყო, რომ ისინი წამისუმალ ამბოხდებოდნენ, თუ ისურვებდა მთავარსარდალი.

„ნუთუ დადგა დრო, მთელი ცხოვრების მონაგარი ბრმა შემთხვევის ძალას – საბრძოლო წარმატებას მივანდო? – თავის თავს ეკითხებოდა ვესპასიანუსი. მან კარგად იცოდა: საიმპერატორო ძალაუფლების ხელში ჩაგდებას ვინც ისურვებს, ერთადერთი არჩევანის წინაშე დგება: ის ან მწვერვალზე აღზევდება, ან უფსკრულში ჩაიჩეხება" (ტაციტუსი, ისტორია, II, 73-74). ამ გზაზე ვესპასიანუსს განსაკუთრებით აქეზებდა სირიის განმგებელი მუტიანუსი, თუმცა პირველი, გადამწყვეტი ნაბიჯი ეგვიპტის მმართველმა, ტიბერიუსმა გადადგა. 69 წლის 1 ივლისს მისმა ალექსანდრიულმა ლეგიონებმა ვესპასიანუსი იმპერატორად აღიარეს. მათ მიბაძეს იუდეველმა ლეგიონერებმაც. თავად ვესპასიანუსი აუღელვებლად უმზერდა მის გარეშემო ატეხილ ხმაურს. მალე სხვა ზღვისპირა პროვინციებში განლაგებულმა მებრძოლებმაც ერთგულების ფიცი დაუდეს, მათ შეუერთდნენ აფრიკის, ესპანეთისა და გალიის ლეგიონებიც.

ვესპასიანუსის ამ წარმატებას ჟამთააღმწერები იმით ხსნიან, რომ მას მიემხრო აღმოსავლეთ იმპერიის მთელი მონათმფლობელური ელიტა, რომელიც რომის არისტოკრატიასთან გათანაბრებას ლამობდა: ძვ.წ. I საუკუნიდან მოყოლებული სამოქალაქო ომებმა და იმპერატორთა თავნებობამ ძველი რომაული არისტოკრატიის მნიშვნელოვანი ნაწილი გაანადგურა. ახლა კი, იულიუს-კლავდიუსთა საუკუნოვანი მბრძანებლობის დასრულების შემდეგ, პროვინციულმა ელიტამ კვლავ მოიკრიბა ძალა და რომის მბრძანებლად ისეთი ადამიანის ხილვა ისურვა, რომელიც მის ინტერესებს დაიცავდა. ზუსტად ასეთი იყო ვესპასიანუსი, უბრალო მოდგმის, გონიერი, მიზანდასახული, მშვიდი და სამხედრო დიდებით შემოსილი.



ბოლოს და ბოლოს მან შეისმინა თავისი ძის – ტიტუსის, ეგვიპტის პრეფექტის – ტიბერიუსისა და სირიის გამგებლის – მუტიანუსის რჩევა და თანხმობა განაცხადა იმპერატორობაზე.

მიუხედავად ამისა იგი მაინც არ ჩქარობდა. რომისკენ ჯარებს წინ წარუძღვნენ მისი ერთგული მუტიანუსი, ანტონიუს პრიმუსი და სხვები.

69 წლის ოქტომბრიდან მოყოლებული იმპერია კვლავ სამოქალაქო ომის ალში მოექცა. 20 დეკემბერს რომი დაეცა. თავგზააბნეულ ვიტელიუსს, რომელსაც დავიწყებოდა, რომ პრინცეპსი იყო, სასახლეში მიაგნეს და სიცოცხლე მოუსწრაფეს.

ომი დასრულდა, მაგრამ ბრძოლები გრძელდებოდა. გამარჯვებულები იარაღით ხელში დაძრწოდნენ მთელ ქალაქში და ხოცავდნენ დამარცხებულებს. მოედნები და ტაძრებიც კი სისხლით აივსო. როგორც კი მუტიანუსმა ხელთ იგდო ძალაუფლება, რომში წესრიგი დაამყარა, თუმცა ჭკუა იხმარა და არ ისურვა ყოფილიყო პირველი კაცი (პრინცეპსი).

70 წლის ზაფხულში ბოლოსდაბოლოს ვესპასიანუსიც ეწვია რომს. ლაშქრის საუკეთესო ნაწილი იუდეაში დატოვა და მთავარსარდლობა გადაულოცა თავის ვაჟს, ტიტუსს, რომელმაც იერუსალიმი ალყაში მოაქცია.

„ვესპასიანუსი ერთადერთი იმპერატორი იყო, რომელიც ძალაუფლებამ უარესობისაკენ კი არა, უკეთესობისაკენ წარმართა: მას გასაოცარი მოთმინების უნარი გააჩნდა და შეეძლო ყოველი სასიკეთო სიტყვის შესმენა". – ასე ახასიათებდა მას ტაციტუსი (ისტორია, I, 50).

ვესპასიანუსმა შეძლო სასიკეთო ურთიერთობის დამყარება სენატთანაც, რომელიც ძველი რომაული არისტოკრატიის საყრდენი იყო და პროვინციულ ელიტასთანაც. ყველაზე მეტად იმპერატორი მშვიდობისათვის იღწვოდა, რაც უპირველეს ყოვლისა გამოვლინდა მის სურვილში, აეგო „მშვიდობის ტაძარი" და ააგო კიდეც.

ვესპასიანუსი იღვწოდა მართვის სისტემის გასაუმჯობესებლად. 73 წელს მან, კლავდიუსის მსგავსად, მიინიჭა ცენზორის უფლებები, რომლის მეშვეობითაც საშუალება მიეცა გადაეხალისებინა სენატი, უფრო ინტერნაციონალური გაეხადა იგი. ახლა უკვე სენატორებს იწვევდნენ ყველა პროვინციიდან. აღმოსავლეთში შესაძლებელი გახდა ახალ ტერიტორიათა ანექსია, პროვინციებში კი – მართვის სისტემის შეცვლა. სენატმაც და იმპერატორის კარის კაცებმაც კარგად იცოდნენ, თუ ვის ძალას ეყრდნობოდა მათი პრინცეპსი. ლეგიონებს, რომელთა დამსახურებითაც აღზევდა ტახტზე ვესპასიანუსი, ყურადღება არ მოჰკლებიათ. თუმცა იმპერატორმა 69 წლის სავალალო გამოცდილება გაითვალისწინა და სამოქალაქო ომის

განმეორების ყოველი გზა დაახშო: ლეგიონები საკმაო მანძილით ერთმანეთს დაეშორა და მათი რაოდენობა შეამცირა. თავად ლეგიონერები კი დაასაქმა, რაც მშვიდობიანობის ჟამს არც თუ ისე იოლი იყო. მიუხედავად ამისა, მას მაინც მოუხდა რამდენიმე ამბოხების ჩახშობა.

ვესპასიანუსი განსაკუთრებით ზრუნავდა რომის იმპერიის საზღვრების უსაფრთხოებაზე. მის თვალსაწიერს მიღმა არაფერი რჩებოდა: მან დახმარების ხელი გაუწოდა რომის მოკავშირე შორეული იბერიის (საქართველოს) მეფე მითრიდატეს. ვესპასიანუსის ბრძანებით, იბერიის უძველესი დედაქალაქის, მცხეთის მახლობლად აშენდა ციხე-სიმაგრე (რაც დასტურდება მე-19 საუკუნეში აღმოჩენილი ბერძნული წარწერით, რომელიც ახლა საქართველოს ისტორიის მუზეუმშია დაცული).

ვესპასიანუსი მფარველობდა ესპანეთს, გალიასა და აფრიკას აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნების საზიანოდ. მან დააკარგვინა საბერძნეთს დამოუკიდებლობა, რომელიც ნერონმა მიანიჭა მხოლოდ იმიტომ, რომ მხურვალე ტაშით ეგებებოდნენ მის გამოსვლებს. ამის გამო იმპერატორს აუგად მოიხსენიებდნენ ბერძენი კინიკოსი ფილოსოფოსები, რის გამოც 71 წელს რომიდან იქნენ გაძევებულნი. მათთან ერთად გააძევეს ასტროლოგოსნიც.

უბრალოება და სისადავე ვესპასიანუსმა სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა. იგი არ იყო წარჩინებულთა მოდგმის და ამას არც მალავდა. პირიქით, მასხრად იგდებდა იმ მლიქვნელებს, რომლებიც მისი გვარის „გაკეთილშობილებას" ლამობდნენ. კეთილმოწყალე მმართველს თანამედროვენი მხოლოდ სიძუნწეს საყვედურობდნენ. მაგრამ მისი ეს სიძუნწეც სახელმწიფო ხაზინის დაცარიელებით იყო გამოწვეული. მან დაბეგრა პროვინციები, ვაჭრობდა თანამდებობებით, აწინაურებდა მექრთამეებს მხოლოდ იმიტომ, რომ შემდეგ, სასამართლოს ძალით მათი ქონება დაეყადაღებინა. მასზე ამბობდნენ, რომ სახელმწიფოს მძარცველებს ღრუბელივით იყენებდა: ჯერ დასველების უფლებას ანიჭებდა, ხოლო შემდეგ მაგრად წურავდა. ვესპასიანუსის სიძუნწეზე ანეკდოტებსაც ჰყვებოდნენ: მან გადასახადები დააწესა საზოგადოებრივ საპირფარეშოებშიც. მისმა საკუთარმა ვაჟმა, ტიტუსმა აშკარად გამოხატა აღშფოთება ამ უცნაური სიახლის გამო. როდესაც ამ გალასახადმა პირველი მოგება მოიტანა, ვესპასიანუსმა ცხვირთან მიუტანა მას მონეტა და ჰკითხა, ყარდა თუ არა. სწორედ ამის შემდეგ იქცა ფრთიან გამოთქმად მისი სიტყვები: „ფული არა ყარს!"

როდესაც ხალხმა თავისი იმპერატორისათვის ძვირად ღირებული ძეგლის დადგმა განიზრახა სახელმწიფოს ფულით, ვესპასიანუსმა მათ ხელის გული გაუწვდინა ამ სიტყვებით: „აღმართეთ, ჩქარა, აი, კვარცხლბეკი".

როგორც არ უნდა ყოფილიყო ნაშოვნი ფული, ვესპასიანუსი მას სახელმწიფო ინტერესებისათვის ხარჯავდა. თავისი მმართველობის დასაწყისშივე აღნიშნა მან, რომ საჭირო იყო უზარმაზარი თანხა, ორმოცი მილიარდი სესტერციუსი, რათა სახელმწიფო ფეხზე დამდგარიყო.

სამოქალაქო ომმა რომი ერთიანად გაანადგურა. დაიწვა კაპიტოლიუმის იუპიტერის ტაძარიც კი, სახელმწიფოს უმთავრესი სიწმინდე. ვესპასიანუსმა საკუთარი ხელით დაიწყო მისი აღდგენა, საკუთარი ზურგით გაიტანა პირველი ნამსხვრევები. რომის გასალამაზებლად მან ღვთაებრივი კლავდიუსის ტაძრისა და ახალი ფორუმის (მოედნის) აგება დაიწყო. ისტორიოგრაფოს იოსებ ფლავიუსის თქმით, „უმოკლეს ხანში დასრულდა მშენებლობა ფორუმისა, რომელმაც თავისი დიდებულებით ყველა მოლოდინს გადააჭარბა. ვესპასიანუსმა მას შეალია წარმოუდგენელი თანხა: ისიც, რისი საშუალებაც მისცა საკუთარმა ხაზინამ და ისიც, რაც მას წინამორბედთაგან ერგო. მოედნის ცენტრში აღმართული ტაძარი, რომელიც მშვიდობის ქალღმერთს მიეძღვნა, მორთული იყო ფერწერისა და ქანდაკების უბრწყინვალესი ნიმუშებით. თავად ტაძარში მოთავსებული იყო ყველაფერი, რის სანახავადაც ადამიანები მთელ დედამიწაზე მოგზაურობდნენ. ვესპასიანუსმა ბრძანა, აქვე შეენახათ იერუსალიმის ტაძრიდან წამოღებული ძვირფასეულობა და ჭურჭელი, რასაც ესოდენი გულმოდგინებით უვლიდა და უფრთხილდებოდა“ (უძველესი ისტორია, 7, 5, 7).

რომაელი ხალხისათვის ვესპასიანუსმა წამოიწყო გრანდიოზული ამფითეატრის მშენებლობა, რომელიც 50 ათას კაცს იტევდა. დასრულებული სახე მან იმპერატორის გარდაცვალების შემდეგ მიიღო და ფლავიუსთა ამფითეატრად იწოდებოდა. ადრეულ შუა საუკუნეებში კი მას კოლოსეუმი შეარქვეს. იგი ძველი რომის საქვეყნოდ აღიარებულ ნაგებობად იქცა. მისი ადგილი შემთხვევით არ შეურჩევიათ. კოლოსეუმი აღმართეს იქ, სადაც უწინ ნერონის „ოქროს სახლის“ ხელოვნური ტბა იყო. ამ მშენებლობით ვესპასიანუსი მიანიშნებდა, რომ ნერონის ხანას რომი აღარასოდეს მიუბრუნდებოდა. ვარაუდობენ, რომ სახელწოდება „კოლოსეუმი“ წარმომდგარია სიტყვიდან „კოლოსი“. ასე ერქვა 30 მეტრის სიმაღლის ნერონის ბრინჯაოს ქანდაკებას, რომელიც ამფითეატრის კარიბჭის წინ იდგა. მას შეუცვალეს თავი და ვესპასიანუსის ბრძანებით, აპოლონის ქანდაკებად გადააკეთეს.

ბიოგრაფოსთა მტკიცებით, ვესპასიანუსი რომის ყველა იმპერატორზე უფრო პრაქტიკული და წინდახედული აღმოჩნდა. იგი გამოირჩეოდა თავისი გონიერებითაც და სიკეთითაც. არც იუმორის გრძნობა აკლდა. ერთხელ ერთმა მსახურმა, რომელსაც განსაკუთრებით წყალობდა იმპერატორი, მას თავისი თითქოსდა ძმის-



თვის რალაც თანამდებობა სთხოვა. ვესპასიანუსი თავად შეხვდა ამ „ძმას", გაესაუბრა და შესაბამისი საზღაურის ფასად თანამდებობა უბოძა. როდესაც მოგვიანებით ამ მსახურმა იკითხა თავისი „ძმის" ამბავი, იმპერატორმა მშვიდად მიუგო: „სხვა ძმა ეძებე, იგი უკვე ჩემი ძმა გახდაო" (სვეტონიუსი, ვესპასიანუსი 23, 2).

70 წლის იყო ვესპასიანუსი, ციება და მუცლის გვრემა რომ შეეყარა. თავს ცუდად გრძნობდა, თუმცა სახელმწიფო საქმეებს ვერ ელეოდა. სიკვდილის წინ მისი ბოლო სიტყვები ყოფილა: „ვაიმე, მგონი გალმერთებას ვიწყებ!", რითაც იმპერატორების სიკვდილის შემდეგ გალმერთების რომაულ ტრადიციაზე მიანიშნებდა იუმორით. იგი ლოგინიდან წამომდგარი შეეგება სიკვდილს, რადგანაც განაცხადა, რომ იმპერატორი ფეხზე მდგარი უნდა მოკვდესო.

ვესპასიანუსმა თავის შვილებზეც იზრუნა. მან იოლად დაიყოლია სენატი და მიაღწია იმას, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ ძალაუფლება მემკვიდრეობით გადაცემოდათ მის ვაჟებს – თავდაპირველად ტიტუსს, შემდეგ – დომიტიანუსს.

მარკუს ავრელიუსი

რომის იმპერატორი ანტონინუსთა დინასტიიდან

(ახ. წ. 121-180 წწ.)

რომს განაგებდა 161-180 წლებში

მარკუს ანიუს კატილიუს სევერუსი, რომელსაც უბრალოდ მარკუს ავრელიუსის სახელით იცნობენ, ისტორიაში დამკვიდრდა როგორც დასავლური ცივილიზაციის უგანათლებულესი მონარქოსი და დიდებული მოაზროვნე. მან თავისი სახელი უკვდავყო ბერძნულ ენაზე დაწერილი ფილოსოფიური ტრაქტატით „საკუთარ თავთან" („Τὰ εἰς ἑαυτῶν"),[1] რომელსაც მისი გარდაცვალების შემდეგ მიაგნეს. ეს გახლავთ მართლაც „საკუთარ თავთან" დარჩენილი ადამიანის ფიქრები, სადაც გასაოცარი სილრმით აღიბეჭდა დიდი იმპერიის კეთილშობილი მბრძანებლის ცხოვრებისეული მრწამსი: „იყავი, როგორც კლდოვანი კონცხი, – წერდა იგი, – რომელსაც ღრიალით აწყდებიან ტალღები, ის კი მშვიდად დგას და მის გარშემო თანდათან ცხრება ბობოქარი წყლის მძვინვარება" („ფიქრები", IV, 49). ამ შეგნებით გაატარა მარკუს ავრელიუსმა თავისი ხანმოკლე სიცოცხლე. იგი 59 წლის ასაკში გარდაიცვალა ბოროტმზრახველთა და შეთქმულთა ხელით კი არა, უმეტეს რომაელ იმპერატორთა მსგავსად, არამედ მძიმე სენით, რომელიც რომში მძვინვარებდა და რომელსაც შავი ჭირი ერქვა სახელად.

მარკუს ავრელიუსი დაიბადა 121 წლის 26 აპრილს რომში, წარჩინებულთა მდიდარ ოჯახში, რომლის წარმომადგენლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ იმპერიის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მისი პაპა, ანიუს ვერუსი სენატორთა წრეს გა-



ნეკუთვნებოდა და მუდამ ეკავა პრეტორისა თუ კონსულის (სამგზის) საპატიო თანამდებობები.

სამი წლის იქნებოდა მარკუსი, როდესაც გარდაეცვალა მამა, რომელსაც ასევე ანიუს ვერუსი ერქვა და შემდგომ უკვე მისი აღზრდა პაპამ ითავა.

მარკუსის დედა, დომიტია ლუკილა, ასევე წარჩინებულთა ოჯახიდან იყო. მის პაპას, კატილიუს სევერუსს, რომის პრეფექტის, ხოლო მამას, კალვისიუს ტულიუსს, კონსულის (ორგზის) თანამდებობები ეკავათ. „დედის წყალობით ვეზიარე ღვთისმოსაობას, გულუხვობას და თავმოზღუდულობას არა მხოლოდ ბოროტების ქმნის, არამედ ბოროტეული ზრახვებისგანაც. მან შთამაგონა უბრალოებაც და ფუფუნების სიძულვილიც" – დაწერს მოგვიანებით ავრელიუსი თავის „ფიქრებში" (1, 3).

რომაული ელიტის წრეში აღზრდილმა ყმაწვილმა, რომელიც თავისი გონიერებით გამოირჩეოდა, იმპერატორ ჰადრიანუსის (ჰადრიანეს) ყურადღება მიიპყრო. ექვსი წლის ასაკში იგი მხედართა წრეში ჩარიცხეს (იმპერიის პერიოდში მხედრებს ანუ ეკვიტებს უფლება ჰქონდათ დაეკავებინათ მაღალი თანამდებობები სახელმწიფოში), ორი წლის შემდეგ კი სალიების ქურუმთა კოლეგიაშიც მიიღეს. იმპერატორმა ჰადრიანემ თავის რჩეულს „უმართლესი" (Verissimus) შეარქვა, საუკეთესო მოძღვრები შეურჩია და პირადად ითავა მის განათლებაზე ზრუნვა. სწორედ ჰადრიანეს ძალისხმევით იქცა იგი თავისი ეპოქის საუკეთესო მოაზროვნედ.



ჰადრიანე

იმხანად რომი უზარმაზარი იმპერია იყო. მისი კულტურის აღმავლობაში მრავალი ქვეყანა იღებდა მონაწილეობას. მართალია, ეს პროცესი თავისებურ სირთულეებს ქმნიდა, მაგრამ ჰადრიანე წარმატებით ართმევდა თავს სახელმწიფოს წინაშე მდგარ პრობლემებს. ეს უგანათლებულესი მბრძანებელი, ელინისტური კულტურისა და ხელოვნების თაყვანისმცემელი და ქომაგი, ცდილობდა თავის გარშემო იმპერიის საუკეთესო მოაზროვნენი შემოეკრიბა. ალბათ, ამიტომ იყო, რომ მარკუს ავრელიუსის პირველ აღმზრდელებად იხმეს მუსიკისა და გეომეტრიის მცოდნე ანდრონი და მხატვარი დიოგნეტოსი. შემდეგ გამოჩნდნენ სხვა სახელოვანი მოძღვრები, რომელთაგან ყმაწვილს ყველაზე მეტად კორნელიუს ფრონტონი უყვარდა. მის აღზრდაში მონაწილეობას იღებდა სახელოვანი სოფისტი ჰეროდე ატიკუსი, რომელიც ორატორულ ხელოვნებასა და იურისპრუდენციას ასწავლიდა მომავალ იმპერატორს.[2] თორმეტი წლის ასაკიდან დაიწყო მარკუსმა ფილოსოფიის შესწავლა. განსაკუთრებით დაინტერესდა იგი სახელოვანი სტოიკოსის, ეპიქტეტესის მოძღვრებით, რომელსაც აპოლონიოს ქალ-

კედონელმა აზიარა. სტოიკოსთა ფილოსოფიის ერთგული დარჩა მარკუს ავრელიუსი ცხოვრების ბოლომდე: იგი ქედუხრელად იტანდა ბედის სიავეთ და ყოველგვარი გასაჭირის ჟამს ინარჩუნებდა სულის სიმშვიდესა და სამართლიანობის გრძნობას.

„დაუცადებლად იზრუნე მისთვის, რომ ის, რასაც დღეს აკეთებ, – ვკითხულობთ მის „ფიქრებში" – აკეთო ისე, როგორც შეჰფერის რომაელს და მამრს – ჭეშმარიტი სიდინჯით და სიდარბაისლით, კაცთა მიმართ სიყვარულით, სრული თავისუფლებითა და სიმართლით; ხოლო განირიდე ყველა სხვა საზრუნავი. შენ შეძლებ ამას, თუ ყოველ საქმეს აღასრულებ, როგორც უკანასკნელს შენს სიცოცხლეში" (II, 5).

იულიუს კაპიტოლინუსის გადმოცემით, თხუთმეტი წლის იყო მარკუსი, მამაკაცის ტოგით რომ შემოსეს. ამის შემდეგ მან მამისგან ნაანდერძევი სიმდიდრე თავის დას დაუთმო, ამტკიცებდა რა, რომ მისთვის საკმარისი იყო პაპის მემკვიდრეობაც; ამასთანავე დედამისსაც მოუწოდებდა, მთელი ქონება ქალიშვილისთვის ებოძებინა, რათა იგი თავის მეუღლეზე ღარიბი არ ყოფილიყო. მარკუსი გამოირჩეოდა დამთმობი ხასიათით. ზოგჯერ მას აიძულებდნენ წასულიყო ცირკში, თეატრში ან სხვაგან მოწყობილ სანახაობათა სახილველად... „იგი ერთობოდა მუშტი-კრივით, სირბილით ან ფრინველთა ბრძოლით; განსაკუთრებით მოსწონდა ბურთით თამაში და ნადირობა. მაგრამ ამ გასართობებს ერჩია ფილოსოფიური სწავლებანი, რომლებმაც იგი უფრო სერიოზული და საზრიანი გახადეს. თუმცა ამის გამო არ მინავლებულა მასში ის სიყვარული, რომელსაც უპირველეს ყოვლისა, გამოხატავდა თავისიანებისა და მეგობრების, შემდეგ კი ნაკლებად ახლობელი ადამიანების მიმართაც. ის იყო სამართლიანი, მაგრამ არამოუდრეკელი, თავმდაბალი, მაგრამ არა უმწეო, სერიოზული, მაგრამ არა პირქუში" (IV, 5-10).

ჰადრიანე რომის იმპერიის მომავალს თავისებურად ხედავდა. მის შორსმიმავალ წარმოდგენებში მარკუსს განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა. 136 წელს ხანდაზმულმა და უშვილო იმპერატორმა ტახტის მემკვიდრედ ლუკიუს ელიუს კეისარი გამოაცხადა იმ პირობით, რომ იგი თავის ქალიშვილს მარკუსს მიათხოვებდა. 138 წელს ელიუსი მოკლეს, რის გამოც მემკვიდრეობითობის წინასწარ განსაზღვრული წყობა დაირღვა. მარკუს ავრელიუსი ამ დროისათვის მხოლოდ 17 წლის იყო. ახალგაზრდული ასაკის გამო ჰადრიანეს არ შეეძლო იგი თავის პირდაპირ მემკვიდრედ გამოეცხადებინა. ამიტომ მძიმე სენით შეპყრობილმა იმპერატორმა, გრძნობდა რა სიკვდილის მოახლოებას, იშვილა 52 წლის ანტონინუს პიუსი, რომელიც გამორჩეულად უყვარდა. ეს მოხდა 138 წლის 25 თებერვალს. იმავე წლის 10 ივლისს ჰადრიანე გარდაიცვალა. იმპერატორისადმი უსაზღვრო ერთგულებისა და მრავალი სხვა ღირ-



სების გამო ანტონინუსს პრინცეპსის კონსულის საპატიო თანამდებობა ეკავა. სენატს არაფერი უშლიდა ხელს, რომის იმპერატორად რომ ანტონინუსი ელიარებინა.

არ შემცდარა ხანდაზმული ჰადრიანე: ანტონინუსი რომს თითქმის მეოთხედი საუკუნის (138-161 წწ.) განმავლობაში მართავდა. იგი ისტორიაში დარჩა იმ სახელოვან იმპერატორად, რომელმაც სათავე დაუდო ანტონინუსთა დინასტიას.

საბედნიეროდ, შორსმჭვრეტმა ჰადრიანემ თავის ანდერძში შეიტანა ისეთი მოთხოვნები, რომლებიც საიმპერატორო ძალაუფლების განმტკიცების შესაძლებლობებს ქმნიდა მისი გარდაცვალების შემდეგაც. ანდერძის თანახმად, ანტონინუსმა (რომლის სრული სახელი ასე იკითხებოდა: ტიტუს ავრელიუს ფულვიუს ბიონიუს არიუს ანტონინუსი) იშვილა ჭაბუკი მარკუსი და ელიუსის უმცროსი ვაჟი, ლუკიუს ვერუსი. იმპერატორს თავისი შვილებიც ჰყავდა, მაგრამ თავიდანვე ცხადი იყო, რომ ტახტის მემკვიდრეთა შორის უპირატესობა სწორედ მარკუს ავრელიუსს ენიჭებოდა. მისი ნიშნობა ელიუსის ქალიშვილთან გაუქმდა. ახლა მარკუსს ცოლად უნდა შეერთო ანტონინუსის ქალიშვილი ანია გალერია ფაუსტინა. ქორწილი ნიშნობიდან ექვსი წლის შემდეგ შედგა. ამ ხნის განმავლობაში კი ანტონინუსმა იგი სახელმწიფოს მართვის ხელოვნებას აზიარა, დანიშნა რა უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობებზე: ჯერ კონსულად (140, 145 და 146 წლებში), შემდეგ პრინცეპსის საბჭოს წევრად (consilium Principis). 146 წელს მას ტრიბუნის უფლებებიც მიენიჭა. ისტორიაში იშვიათად დაიძებნება მამაშვილური სიყვარულის უფრო ნათელი მაგალითი. ანტონინუსი მხოლოდ მამის მაგივრობას კი არ უწევდა შვილობილს, არამედ იგი მისი მეგობარი და მოძღვარიც იყო. მოგვიანებით მარკუსი თავის „ფიქრებში" ასეთ ჩანაწერს გააკეთებს: „მამობილის წყალობით ვეზიარე თვინიერებას. ის მასწავლიდა, არასოდეს მეღალატნა ხანგრძლივი ბჭობის შედეგად მილებული გადაწყვეტილებებისათვის, არად ჩამეგდო ფუჭი დიდება, მყვარებოდა შრომა და ყურადღებით მოვკიდებოდი ყველაფერს, რასაც ოდნავი სარგებლობის მოტანა მაინც შეეძლო ერისათვის; მასწავლიდა, როგორ მიმეგო თვითუულისთვის მისი კუთვნილი, როგორ გამერჩია, სად მლმობელი ვყოფილიყავი, სად – ულმობელი, როგორ მომეკვეთა მამათმავლობის ბილწება და როგორ დავდებოდი მტლად ქვეყნის ინტერესებს... მას სურდა აღმოეფხვრა მემკვიდრის სულიდან ყოველგვარი მზვაობა და სანაცვლოდ უბრალოება და თავმდაბლობა ჩაენერგა მისთვის. ის მასწავლიდა, შეიძლება სასახლის კარზე ცხოვრობდეს კაცი, მაგრამ არ საჭიროებდესო სხეულის მცველთ, არც მდიდრულ სამოსს თუ მაშხალებს, ქანდაკებებს და სხვა მისთანათ, რადგან სასახლის მკვიდრთაც ხელეწიფების თურმე მდაბიორივით უბრალოდ იცხოვროს, მაგრამ ისე კი, რომ ამ უბრალოებას არ უმსხვერპლოს ჰეგემონის მოვალეობანი, რომელთაც ხალხი და სახელმწიფო აკისრებს მას" (I, 16, 17).

161 წლის 7 მარტს ანტონინუს პიუსი გარდაიცვალა. ამ დროისთვის მარკუსი იმპერიის სამართავად უკვე მზად იყო. აცნობიერებდა რა იმ სირთულეებს, რაც წინ ელოდა და გრძნობდა რა უდიდეს პასუხისმგებლობას სამშობლოს წინაშე, მარკუს ავრელიუსმა სენატს მიმართა თხოვნით, მის თანაბარუფლებიან თანამოსაყდრედ ეცნო ლუკიუს ვერუსი. მათ, მიუხედავად ვერუსის მცირეწლოვანებისა და გამოუცდელობისა, ერთად უნდა ემართათ იმპერია. რომის ისტორიაში იმპერიის ტახტზე პირველად აღმოჩნდა ორი მბრძანებელი. უნდა აღინიშნოს, რომ ლუკიუს ვერუსის ძალაუფლება, ფაქტობრივად, ნომინალური იყო. ისტორიოგრაფოსები ერთხმად აღიარებენ, რომ იგი ჰედონიზმისკენ უფრო იყო მიდრეკილი, ვიდრე სახელმწიფოს მართვისკენ, თუმცა უსაზღვროდ სცემდა პატივს თავის ბრძენ თანამოსაყდრეს და ყოველნაირად ცდილობდა არ შეებღალა მისი სახელი.

ანტონინუს პიუსის ხანგრძლივი მმართველობის პერიოდში რომსა და პროვინციებში იმატა დაძაბულობამ, რაც მარკუსის დროს კიდევ უფრო გამწვავდა. სტიქიურ უბედურებებს (არნახული წყალდიდობანი იტალიაში, მიწისძვრები მცირე აზიაში, რასაც შედეგად მოჰყვა ქალაქების ნგრევაც) დაერთო არეულობანი დასავლეთის პროვინციებში (მავრების შეჭრა ესპანეთის იბერიაში, აჯანყება ლუსიტანიაში, ხატების თარეში რომანულ გერმანიასა და რეკიაში, პიქტებთან ბრძოლები ბრიტანეთში, მღელვარება გალიაში). ბრიტანეთში ამბოხებულმა ლეგიონებმა იმპერატორად გამოაცხადეს თავიანთი მთავარსარდალი პრისკუსი. აღმოსავლეთში უფრო მძიმე მდგომარეობა შეიქნა: პართიელებმა განიზრახეს არმენიაში შეჭრა. ამიტომ პართიელთა მეფემ, ვოლოგესუს III 162 წელს ბრძოლა დაიწყო და რომაელთა ორი არმია დაამარცხა. მარკუს ავრელიუსმა მის წინააღმდეგ ლუკიუს ვერუსი გაგზავნა დიდძალი ჯარითა და სანდო მხედართმთავრებით. მძიმე და სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ ვერუსის ლეგიონებმა არმენია დაიბრუნეს და 163 წელს იქ რომის მორჩილი ახალი მბრძანებელი დასვეს ტახტზე, ხოლო სომხეთის ციხეებში რომაელთა გარნიზონები ჩააყენეს.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს რომაელებმა სირიაში. მათ ჯერ ევფრატს გადაღმა გადარეკეს პართიელები, შემდეგ აიღეს მთავარი ქალაქები (ედესა, ნისიბინი, სელევკია, კტესიფონი) და შემოიმტკიცეს ახალი ტერიტორიები (ოსროენა, კარჰე). იქაური მოსახლეობის სამართავად საჭირო იყო ძლიერი პიროვნება. მარკუს ავრელიუსმა ასეთ მბრძანებლად ავიდიუს კასიუსი მიიჩნია და 165 წელს იგი სირიის პროკონსულად დანიშნა.

პართიის ომმა ოთხ წელიწადს გასტანა. ამ ხნის განმავლობაში მარკუს ავრელიუსი დედაქალაქში იყო და საიმპერატორო ტახტზე მჯდომი საერთო ხელმძღვანელობას უწევდა ბრძოლებსაც, საგარეო პოლიტიკასაც და საშინაო საქმეებსაც.

სწორედ ამ პერიოდში განახორციელა მან თავისი ადმინისტრაციული, სამეურნეო, სამეურვეო და იურიდიული რეფორმების უმეტესობა.

მარკუს ავრელიუსის მიერ ჩატარებულ გარდაქმნათაგან უპირატესად აღნიშნავენ ადმინისტრაციული აპარატის შერჩევის პრინციპს. მის დროს იმპერიის უმაღლეს მაგისტრატურებში გვაროვნული არისტოკრატია თანდათანობით შეცვალა ინტელექტუალურმა არისტოკრატიამ. კონსულის წოდება, რომელიც უწინ მხოლოდ რომაელ დიდგვაროვანთა საკუთრება იყო, ახლა ფილოსოფოსთა და ორატორთა ტიტულადაც იქცა.

წარმატებით გადაიჭრა სასურსათო პრობლემაც, რამაც თითქმის მოსპო შიმშილიანობა იტალიაში. იმპერატორმა სცადა სახელმწიფო მეურვეობის, ე.წ. ალიმენტური ინსტიტუტის სრულყოფა, რაც მცირეწლოვანი ობლებისა და უპოვართა შვილებისადმი გაძლიერებული მზრუნველობით გამოიხატა. სახელმწიფო მნიშვნელობის საქმედ იქცა ხანაგების მშენებლობა მოხუცთა და უპატრონო ბავშვებისათვის, აგრეთვე, მიუსაფართა და დავრდომილთათვის; შეიცვალა დამოკიდებულება უუფლებო დედებისადმი, შეიზღუდა რომაული ადათით დაკანონებული ე.წ. მამის ტირანული უფლებები; აღიკვეთა მონობის ზოგიერთი ზღვარგადასული სისასტიკე.

მარკუს ავრელიუსისა და მის წინამორბედთა იურიდიულმა რეფორმებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს რომაული სამართლის სრულყოფაში.

166 წელს რომაელებმა საბოლოოდ დაამარცხეს პართიელები და მესოპოტამია კვლავ რომს შემოუერთეს. ამის აღსანიშნავად მარკუს ავრელიუსსა და ლუკიუს ვერუსს რომში ტრიუმფი მოუწყვეს.

გამარჯვებებს კვალად დიდი უბედურება მოჰყვა. აღმოსავლეთში მებრძოლმა ლეგიონებმა იქ მოარული მძიმე სენი, შავი ჭირი, იმპერიაში ჩამოიტანეს, რასაც მილიონობით რომაელი ემსხვერპლა. რა არ ილონა იმპერიის მბრძანებელმა, სახელოვანი მკურნალი გალენუსიც კი მოიწვია, მაგრამ სენის მძვინვარება ვერ დააცხრო.

167 წლისათვის ეპიდემია რომს მოედო.

ამ ჟამიანობისას დასავლეთის პროვინციები ახალი საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. გერმანული მოდგმის მარკომანები და კვადები, აგრეთვე სარმატები, რომლებიც დუნაის სამანებთან მოსახლეობდნენ, ველარ უძლებდნენ აღმოსავლეთიდან გადმონაცვლებულ ხალხთა შემოტევებს. ეს მოსამანე ტომები რომის ტერიტორიებს უნდა დაუფლებოდნენ, წინაალმდეგ შემთხვევაში მათი დაღუპვა გარდაუვალი იყო. ასე დაიწყო საშინელი მარკომანული ომები, რომლებიც მარკუს ავრელიუსის სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდა.

167 წელს ბარბაროსთა ურდოები შეიჭრნენ დუნაის პროვინციებში, დაარბიეს რომაელთა არმია, ალყა შემოარტყეს აკვილეას და რომზე სალაშქროდ იწყეს მზადება.

მარკუსი ყველაფერს აკეთებდა, რაც შეეძლო, ბარბაროსთა მოსაგერიებლად. ლუკიუს ვერუსი თავდაუზოგავად ეშველებოდა, მაგრამ 169 წელს იგი მოულოდნელად დაიღუპა. დიდად განიცადა იმპერატორმა მისი გარდაცვალება. ერთგული თანამოსაგრის გარეშე დარჩენილმა მაინც შეძლო ძალების მოკრება. რომაელებმა თანდათანობით იმძლავრეს და აკვილეა გაათავისუფლეს.

175 წლისათვის მარკუს ავრელიუსი ვარაუდობდა, რომ ყველაფერი მზად იყო გრანდიოზული ოპერაციისათვის, რომლის წარმატებით დაგვირგვინებას უნდა მოჰყოლოდა მარკომანებისა და კვადების დაჩოქება და რომაელთა მიერ ბარბაროსთა ტერიტორიების დაპყრობა. ამ გეგმის განხორციელებას ხელი შეუშალა ავიდიუს კასიუსის ამბოხებამ სირიაში. ეს ის კასიუსი იყო, წლების წინ ფასდაუდებელი დახმარება რომ გაუწია იმპერატორს პართიელების წინააღმდეგ ბრძოლაში. მას ავრელიუსი განსაკუთრებით ენდობოდა და ბარბაროსებთან ბრძოლისას აღმოსავლეთის პროვინციების ერთპიროვნული განმგებლობა ანდო.

ზოგიერთი ისტორიოგრაფოსი გვამცნობს, რომ ავიდიუს კასიუსთან ფარულად იყო შეკრული იმპერატრისა ფაუსტინა, რომელსაც აღარ ჰქონდა იმის იმედი, რომ იმპერატორი კიდევ დიდხანს იცოცხლებდა. ფაუსტინას ეშინოდა, რომ ძლევამოსილი მფარველის გარეშე დარჩენილი თავისი მცირეწლოვანი შვილების დაცვას ვერ შეძლებდა. ხოლო ის, ვინც ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად გაირჯებოდა, მის არასრულწლოვან ბავშვებს გზიდან ჩამოიცილებდა (ვულკატიუსი, ავიდიუს კასიუსი, VII, 1).

არსებობს სხვა მოსაზრებაც. ისტორიოგრაფოსების ერთი ნაწილი ამტკიცებს, რომ ფაუსტინა ასე იოლად ვერ გაწირავდა თავის მეუღლეს, რომ კასიუსმა თავი მხოლოდ მაშინ გამოაცხადა ტახტის კანონიერ მემკვიდრედ, როდესაც ხმა დაირხა, თითქოს მარკუსი ბრძოლის ველზე დაეცა. ასე იყო თუ ისე, იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციათა უმეტესობამ თავის იმპერატორად კასიუსი აღიარა. რომში შიშმა დაისადგურა. სახელმწიფო ახალი სამოქალაქო ომის საფრთხის წინაშე იდგა.

სენატმა კასიუსი ხალხის მტრად გამოაცხადა. მარკუს ავრელიუსმა ბარბაროსებთან ომი შეწყვიტა და აღმოსავლეთისაკენ დაიძრა, რათა კასიუსს შებრძოლებოდა. მაგრამ ვიდრე რომაელები ერთმანეთს შეებმებოდნენ, მოღალატე მთავარსარდალი საკუთარმა კენტურიონებმა სიცოცხლეს გამოასალმეს.

ანტიკური ხანის ჟამთააღმწერები ამ მოვლენას ასე განმარტავდნენ: „ავიდიუს კასიუსი, აღმოსავლეთში თავი რომ იმპერატორად გამოაცხადა, მარკუს ავრელიუსის თანხმობისა და ნების თვინიერ მოკლეს მეომრებმა. როდესაც მარკუს ავრელიუსს ამბოხებულთა ამბავი შეატყობინეს, არც განრისხებულა და არც არავინ დაუსჯია ავიდიუსის ახლობელთაგან. მხოლოდ სენატმა გამოაცხადა იგი ხალხის მტრად და ქონე-



ბა ჩამოართვა... მარკუს ავრელიუსმა კი არ ბრძანა, არამედ უბრალოდ დაუშვა ავიდიუს კასიუსის მკვლელობა, თუმცა ყველა გრძნობდა: ეს მხოლოდ მისი ნება რომ ყოფილიყო, იგი კასიუსს შეიწყნარებდა" (ვულკატიუსი, ავიდიუს კასიუსი, VII, 9).

კომოდუსი

აი, კიდევ ორიოდ საინტერესო ამონარიდი: „როდესაც ავიდიუს კასიუსმა ძალაუფლების ხელში ჩაგდება განიზრახა, მარკუს ავრელიუსს მიაწოდეს კასიუსის მიერ მეამბოხეებისადმი გაგზავნილ უსტართა შეკვრა, რადგანაც ტყვედ ჩაიგდეს სწორედ ის, ვისაც მიჰქონდა ეს უსტრები. მარკუს ავრელიუსმა ბრძანა უმალ დაეწვათ ეს გზავნილი, რათა არ გაეგო სახელები თავისი მტრებისა და არ შეეძულებინა ისინი" (ამიანუს მარკელინუსი, ავიდიუსი, XXI, 16, 11).

როდესაც მარკუს ავრელიუსს ერთმა რომაელმა უსაყვედურა ავიდიუს კასიუსისადმი ესოდენი გულმოწყალების გამოჩენის გამო და ჰკითხა: „რომ გაემარჯვა?" – იმპერატორმა უპასუხა: „არც ისე ცუდად ვემსახურებოდით ღმერთებს და არც ისე ურიგოდ ვცხოვრობთ, რომ მას გამარჯვება შეძლებოდა". ჩამოთვალა რა შემდეგ ის იმპერატორები, რომლებიც მოკლეს, დასძინა, რომ მათ ასეთი სიკვდილი დაიმსახურეს და რომ ღირსეულ იმპერატორს ტირანი ვერც დაამარცხებს და ვერც მოკლავსო" (ვულკატიუსი, ავიდიუს კასიუსი, VIII, 2-3).

176 წელს რომში დაბრუნებული მარკუს ავრელიუსი დუნაელ ტომებთან გადამწყვეტი ომისათვის მოემზადა. თავის ვაჟიშვილ კომოდუსთან ერთად მან ისეთი მარცხი აგემა მარკომანებსა და კვადებს, რომ 179 წლისათვის ეს ტომები მიწის პირისგან აღგვეს სამანთან აღმოჩნდნენ. მარკუსიც ამას ისახავდა მიზნად: იგი ემზადებოდა ახალ პროვინციათა დასაფუძნებლად, რაც რომაელთა ბატონობის ჩრდილოეთით გავრცელების შესაძლებლობებს ქმნიდა. ამაზე ოცნებობდნენ ავგუსტუსიც, ტრაიანუსიც და ეს რომ მომხდარიყო, ისტორიის გზა სხვაგვარად წარიმართებოდა.

მარკუსის ჩანაფიქრს აღსრულება არ ეწერა. 180 წელს მას შავი ჭირი შეეყარა. გრძნობდა რა აღსასრულის მოახლოებას, იმპერატორმა იხმო თავისი ძე კომოდუსი და ამ დიადი საქმის დაგვირგვინება სთხოვა.

180 წლის 17 მარტს მარკუს ავრელიუსი გარდაიცვალა დუნაის სანაპიროზე მდებარე ქალაქ ვინდობონეში (თანამედროვე ვენა). „უსაზღვრო იყო ხალხის სიყვა-



რული მარკუსისადმი, იმდენად დიდი, რომ ზოგი მას ძმას უწოდებდა, ზოგი – მამას, ზოგი კი – შვილს. ეს სიყვარული ისე ნათლად გამოვლინდა მისი დაკრძალვის დღეს, რომ არავის უგლოვია იმპერატორი, რადგანაც ყველას სჯეროდა: იგი, ღმერთებისაგან მოვლენილი, ისევ ღმერთებთან აღზევდა" – გადმოგვცემს იულიუს კაპიტოლინუსი და განაგრძობს: „და აი, ასეთმა დიდებულმა და მშვენიერმა ადამიანმა, სიცოცხლეშიც და სიცოცხლის შემდეგაც ღვთაებათა თანაზიარმა, დატოვა ისეთი მემკვიდრე, როგორიც იყო კომოდუსი" (XVIII, 1-4).

მამის უკანასკნელი თხოვნა არ აღასრულა ტახტის მემკვიდრემ. მან არ ისურვა სამხედრო ბანაკში ცხოვრება, ნაჩქარევად დადო სამშვიდობო ზავი ბარბაროსებთან და რომში დაბრუნდა. ეს იყო პირველი ნაბიჯი, რამაც კარდინალურად შეცვალა რომის იმპერიული პოლიტიკა.

პართიული და მარკომანული ბრძოლებით როდი ამოიწურებოდა მარკუს ავრელიუსის თავს დამტყდარი სირთულეები. გამუდმებულმა ბრძოლებმა სახელმწიფოს ფინანსური რესურსები დაშრიტეს, შემოსავალი შეამცირეს და 169 წელს რომაელებმა დაინახეს, თუ როგორ ყიდდა იმპერატორი სასახლის საგანძურს, რათა ჯარი შეენარჩუნებინა. მარკუსი ხაზინის შევსებას ყოველნაირი ხერხით ლამობდა; მისი ადმინისტრაციული და სამართლებრივი რეფორმები მიმართული იყო სახელმწიფოს გასაძლიერებლად.

არც ოჯახში ჰქონია სიმშვიდე ამ სიკეთით სავსე იმპერატორს. მეუღლე, რომელიც მას ძლიერ უყვარდა და რომელმაც თორმეტი შვილი გაუჩინა, ცნობილი იყო თავისი ავხორცობითა და სასიყვარულო თავგადასავლებით. კასიუსი როდი იყო ერთადერთი, რომელიც სარგებელს ეძიებდა ფაუსტინას სარეცელზე. ისტორიოგრაფოსები გვამცნობენ სხვა სახელებსაც: ტერტულუსი, ტუტილიუსი და სხვები. მარკუსის ბიოგრაფოსი იმასაც ამბობს, რომ ფაუსტინა საყვარლებს მეზღვაურთა და გლადიატორთაგან ირჩევდა და რომ კომოდუსი მისი ერთ-ერთ გლადიატორთან სიძვის ნაშიერი იყო (XIX, 1). როდესაც იმპერატორს მეუღლის საძრახისი საქციელის ამბავს ამცნობდნენ და სთხოვდნენ გაყროდა მაინც, თუკი მის დასჯას არ ინებებდა, ის ჩვეული სიმშვიდით პასუხობდა: „გაყრა მზითევის დაბრუნებასაც გულისხმობს, მზითევი კი მთელი იმპერიაა" (XIX, 8). როგორც ჩანს, მარკუსი არა მხოლოდ კეთილგონიერების გამო ტოვებდა უყურადღებოდ იმპერატრისას გარეშემო ატეხილ ხმაურს, არამედ იმიტომაც, რომ უყვარდა თავისი მეუღლე. „ფიქრებში" ასეთ ფრაზასაც ვხვდებით: „ღმერთებს უნდა ვუმადლოდე.., რომ აგრერიგად მორჩილი ცოლი მყავს, უბრალო და ვნებაულევი" (1, 17).

ფაუსტინა 175 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა, აღმოსავლეთისაკენ მიმავალ გზად რომ ეშურებოდა კასიუსის მეამბოხე ლეგიონების დასამშვიდებლად.



მისი ნეშტი მცირე აზიიდან რომში ჩამოასვენეს. „მე ყოველდღე ვლოცულობ ფაუსტინასთვის და უკვდავ ღმერთებს ვავედრებ მას", – წერდა მარკუსი და იმპერატრისასათვის სათანადო პატივის მიგებაზე ზრუნავდა. სენატმა აღასრულა თავისი იმპერატორის თხოვნა და ფაუსტინას ღვთაებრიობა აღიარა. რომის კაპიტოლიუმის მუზეუმში ინახება ბარელიეფი, რომელზეც გამოსახულია ცად აღზევებული ფაუსტინა, სასოებით სავსე მზერას რომ აყოლებს იქვე მჯდომი ტახტისმპყრობელი.

ხალხის სათაყვანებელი იმპერატორის უფრო მეტი ტკივილი კომოდუსი იყო. მარკუსმა სცადა თავისი ვაჟისთვის, ამზადებდა რა მას ტახტზე აღსაზევებლად, ისეთივე განათლება მიეცა, როგორიც თავად მიიღო ოდესღაც. მიუხედავად ამისა, მემკვიდრე გლადიატორისათვის შესაფერის ზნეს უფრო ამჟღავნებდა, ვიდრე უზარმაზარი სახელმწიფოს მმართველისა. კომოდუსმა, ბიოგრაფოსის ცნობით, 735-ჯერ მიიღო მონაწილეობა გლადიატორთა ასპარეზობაში. ბოლოს იქამდეც მივიდა, რომ აღარ ისურვა სასახლეში ცხოვრება, გადასახლდა გლადიატორთა ყაზარმაში და ახლად გარდაცვლილი ცნობილი გლადიატორის სახელი დაირქვა.

ასეთ ხვედრს არ იმსახურებდა რომის კეთილშობილი მბრძანებელი. მას არასოდეს განელებია თავისი ოჯახის წევრთა, ახლობელთა თუ მეგობართა მიმართ სიყვარული. თავაზიანი და მოწყალე იყო იგი სულ უცხო ადამიანებთან ურთიერთობისასაც კი. სტოიკოსთა ფილოსოფიით გატაცებამ შეაძლებინა მას თავის თავში უბედობათა და სირთულეთა დასაძლევი ძალა ეპოვა. იმპერატორი თურმე ხშირად იმეორებდა პლატონის სიტყვებს: „სახელმწიფოები აღმავლობის გზით ივლიდნენ, თუკი ფილოსოფოსები იქნებოდნენ მბრძანებლები ან მბრძანებლები იქნებოდნენ ფილოსოფოსებიო" (იულიუს კაპიტოლინუსი, მარკუსი, XXVII, 7; პლატონი, სახელმწიფო, 473 c-d).

სახელმწიფო საქმეთაგან მოცალეობის ჟამს, საკუთარ თავთან განმარტოებული იმპერატორი, ჩანს, ხშირად ფიქრობდა იმ გზაზე, რომელიც მას ჭეშმარიტებასთან მიაახლებდა: „კაცის სიცოცხლე – წამია მხოლოდ; მისი არსი – მარად მედინი; შეგრძნება – ბუნდოვანი; აღნაგობა სხეულისა – ხრწნადი; სული – ცთომილივით მოხეტიალე; ბედი – იდუმალი; დიდება – ფუჭი. ერთის სიტყვით, ყველაფერი სხეულისეული ნაკადს წააგავს, სულისეული – სიზმარს, კვამლს, ნისლს. ცხოვრება ბრძოლაა და ხეტიალი უცხო მხარეში; სიკვდილისშემდგომი დიდება – დავიწყება. მაშ, რაღას მივყვეთ, რა გვიწინამძღვრებს? სიბრძნის სიყვარული მხოლოდ და მხოლოდ. სიბრძნის მოყვარე კი ისაა, ვინც ხრწნილებისგან იცავს და უმწიკვლოდ ამყოფებს საკუთარ სულში დამკვიდრებულ დემონს, რათა ეს უკანასკნელი მარტო ძლევდეს განცხრომის ყველა სურვილსა და ყველა სალმობას, რათა



მარკუს ავრელიუსი



მისთვის უცხო იყოს ყოველგვარი სიშლეგე, სიცრუე და პირმოთნეობა... რათა ყველაფერს, რაც ხდება ან წილად ხვდება მას, უმზერდეს, როგორც იმავე საწყისისაგან წარმომდგარს, რომლისგანაც თავად მოიქცა ყოფად, და, რაც ყველაზე მთავარია, რათა უდრტვინველად უცდიდეს სიკვდილს, როგორც უბრალო შლას და რღვევას იმ სტიქიონთა, რომელთაგანაც იგება და ითხზვის ყველა ცოცხალი არსი" („ფიქრები", II, 17). .

ეამთააღმწერები, მოყოლებული უძველესი საუკუნეებიდან, საქებარ სიტყვებს არ იშურებდნენ მარკუს ავრელიუსისათვის. „უზომო იყო სიქველე ამ ღვთაებრივად მოაზროვნე ადამიანში, – ვკითხულობთ ერთ-ერთ ბიოგრაფიაში – რამეთუ ყველა გასაჭირის ეამს ის მფარველად ევლინებოდა ადამიანებს. მარკუსი იმ დროს რომ არ დაბადებულიყო, მთელი რომაული სამყარო წამისუმალ დაინგრეოდა" (ავრელიუსი ვიქტორი, ეპიტომე, XVI).

რომაელმა ხალხმა მარკუს ავრელიუსი „კეთილმოწყალე ღმერთად" („Deus propitius") აღიარა; მის პატივსადებად ააგო ტაძარი და დააარსა ქურუმთა კოლეგია; რომაელები მის გამოსახულებებს სათუთად ინახავდნენ საკუთარ პენატებში, ხოლო მისი ხსოვნის წინაშე კრძალვით იხრიდნენ ქედს სახელოვანი იმპერატორები.

მარკუს ავრელიუსის გარდაცვალებისთანავე დასრულდა რომაული იმპერიის „ოქროს ხანა", რადგანაც კომოდუსის მმართველობის ეამს რომმა ულმობლობის და სიბილწის მორევში იწყო ჩაძირვა.



შენიშვნები:

[1] ანტიკური ხანის ამ ბრწყინვალე ძეგლის ქართული თარგმანი სახელწოდებით „ფიქრები", რომელიც რამდენჯერმე გამოიცა, ეკუთვნის ბატონ ბაჩანა ბრეგვაძეს. ამონარიდებს წარმოვადგენ წიგნიდან: მარკუს ავრელიუსი, ფიქრები. ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ, თბილისი, 1972.

[2] მარკუს ავრელიუსის ბიოგრაფოსი იულიუს კაპიტოლინუსი (ახ.წ. III-IV საუკუნეთა მიჯნა) მომავალი იმპერატორის კიდევ მრავალ მოძღვარს ჩამოგვითვლის, მათ შორის გრამატიკოსებს, ორატორებს, იურისტებს, ფილოსოფოსებს. ამასთანავე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მარკუსი „მათ განსაკუთრებული პატივით ეპყრობოდა. ლარების (მფარველი სულების) ოთახში ინახავდა თავის მოძღვართა ოქროს ქანდაკებებს, საფლავებს კი მუდამ სნირავდა მსხვერპლს და ყვავილებით ამკობდა, ხოლო ვინც ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, მათდამი განსაკუთრებულ გულუხვობას იჩენდა, ანიჭებდა მაღალ თანამდებობებსა და ზრუნავდა მათი ოჯახების კეთილდღეობაზე" („ფილოსოფოს მარკუს ანტონინუსის ცხოვრების აღწერილობა", II, 5; 9. იხ. Авторы жизнеописаний Цезарей, в книге: Властелины Рима, Биографии Римских императоров от Адриана до Диоклетиана; Пер. С. П. Кондратьева под ред. А. Н. Доватура, Санкт-Петербург, 2001).



უმნიშვნელოვანეს ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

ავგური (ლათ. augur – „ქურუმი", „ფრინველთმისანი"). რომაელები ავგურებს უწოდებდნენ ქურუმებს, რომლებიც ჩიტების ფრენითა და ზეციური მოვლენებით წინასწარმეტყველებდნენ მომავალს. რომის ქურუმთა ამ კოლეგიამ იარსება ქრისტიანობის საბოლოო გამარჯვებამდე. განათლებულ რომაელებს უკვე ძვ.წ. I საუკუნეში აღარ სჯეროდათ ავგურების.

არეოპაგი (ბერძნ. Ἀρεοπάγος – „არესის ბორცვი"). ბორცვი ათენში, სადაც იკრიბებოდა სამსჯავრო ამავე სახელწოდებით. იმას, თუ რატომ დაარსდა ამ ბორცვზე სამსჯავრო, ომის ღვთაება არესთან დაკავშირებული მითოსით ხსნიდნენ ძველი ბერძნები. არეოპაგს თავდაპირველად ევალებოდა სისხლისსამართლებრივ საქმეთა წარმოება. დროთა განმავლობაში მისი უფლებები გაფართოვდა; დაევალა მეთვალყურეობა იმაზე, თუ როგორ სრულდებოდა კანონები; როგორი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ დაკისრებულ საქმეს თანამდებობის პირნი; არეოპაგს შეეძლო საბჭოსა თუ სახალხო კრების გადაწყვეტილებათა გაპროტესტებაც. ძვ.წ. 462 წლისთვის, ეფიალტესის კანონმდებლობით, არეოპაგს სისხლის სამართლის გარდა სხვა ყველა უფლება ჩამოერთვა. მოგვიანებით, ჰადრიანეს დროს, ახ.წ. 130 წლიდან იგი კვლავ უზენაეს მმართველ ორგანოდ დასახელდა, თუმცა ოდინდელი მნიშვნელობა უკვე დაკარგული ჰქონდა.

არქონი (ბერძნ. ἄρχων – „წინამძღოლი", „მბრძანებელი", „ბელადი", „მეფე"). უმაღლესი თანამდებობის პირი ათენში.

დელფო (ბერძნ. Δελφοί). ქალაქი პარნასოსის მთის მისადგომებთან ფოკისში. აქ მდებარეობდა პანელინური ორაკული, რომლის ქურუმებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საბერძნეთის რელიგიურ ცხოვრებაში. მითოსის თანახმად, აპოლონმა



თავად აირჩია დელფო თავის წმინდა ადგილად. მის სახელზე იქ აღმართული უძველესი ტაძარი ძვ.წ. IX საუკუნით თარიღდება. ტაძრის შესასვლელში მდგარა აპოლონის ქანდაკება. დელფოში სხვა სიწმინდეებთან ერთად ინახებოდა წმინდა ქვა – ომფალოსი. ბერძენთა აზრით, იგი იმ ადგილზე იდო, სადაც დედამიწის შუაგული, ანუ ჭიპი უნდა ყოფილიყო. ტაძრის იდუმალებით მოცულ სამისნოში, რომელიც ორაკულისთვის იყო განკუთვნილი, პითიას გარდა ვერავინ შევიდოდა. ეს იყო მისანი ქალი (ძვ.წ. VI საუკუნისთვის უკვე სამი პითია არსებულა), რომელიც იჯდა აპოლონის ოქროს სამფეხზე და მომავალს წინასწარმეტყველებდა. ბერძნულ პოლისთა აღმავლობის ხანაში დელფო სპარტის გავლენის ქვეშ მოექცა.

დიქტატორი (ლათ. dictator). განსაკუთრებული უფლებებით აღჭურვილი თანამდებობის პირი რომაულ რესპუბლიკაში. დიქტატორს სენატისა და ხალხის ნებით ირჩევდნენ ექვსი თვის ვადით საგანგებო ვითარებათა ჟამს. შესაძლებელი იყო მისი უფლებამოსილების ვადის გახანგრძლივება, თუკი პრობლემები არ მოიხსნებოდა

დიქტატორი ერთპიროვნულად მართავდა რომს; წყვეტდა ომისა და მშვიდობის საკითხებს; განაგებდა ადამიანთა ბედს. მისი ბრძანება კანონის ტოლფასი იყო. იგი თავისი უფლებამოსილებით ძველი რომის მეფეებს უთანაბრდებოდა. დიქტატორი ხალხის ნებით იყო არჩეული, მას სხვაგვარად „magister populi“ ეწოდებოდა და რამდენადაც მძიმე არ უნდა ყოფილიყო მისი მბრძანებლობის პერიოდი, იგი ხელშეუხებელი იყო.

დიქტატორი ატარებდა ძოწისფერ სამოსს და დაბრძანებული იყო გამორჩეულ, ე.წ. კურულის (ეტლისებურ) ტახტზე. მას თან ახლდა ფასკიებით აღჭურვილ ლიქტორთა ამალა. რომაული რესპუბლიკის უკანასკნელ დიქტატორს, იულიუს კეისარს სენატმა ეს ტიტული სიცოცხლის ბოლომდე მიანიჭა კურულის ტახტზე ჯდომისა და დაფნის გვირგვინის ტარების უფლებით, რასაც შეეწირა კიდეც: რესპუბლიკური წყობის მომხრეებმა (რესპუბლიკელებმა) იგი გამეფებისადმი სწრაფვაში დაადანაშაულეს და ვერაგულად მოკლეს.

იმპერიის პერიოდში დიქტატორის თანამდებობა გაუქმდა, თუმცა დიქტატორისმიერი უფლებები იმპერატორთა უფლებებში გარდაისახა.

ედილი (ლათ. aedes – „ტაძარი“) ეწოდებოდა რომის ადმინისტრატორს. თავდაპირველად ედილები სახალხო ტრიბუნთა თანაშემწენი იყვნენ. მოგვიანებით ავგუსტუსმა მათი უფლებები შეზღუდა, რათა უფრო პროფესიონალური ადმინისტრაციული სამსახური შეექმნა. ედილებს დაევალათ ეზრუნათ სახელმწიფო შენობების, ტაძრების, მოედნების სისუფთავეზე, წესრიგზე; ისინი ხელმძღვანელობდნენ სპორტულ ასპარეზობებს, იცავდნენ სახელმწიფო ხაზინას, არიგებდნენ პურს და ა.შ.

ედიქტი (ლათ. edictum – „ბრძანებულება"). რომაელი მაგისტრები თანამდებობის მიღებისთანავე ედიქტებში აქვეყნებდნენ იმ პრინციპებს, რომლებითაც მოვალეობათა აღსრულებისას უნდა ეხელმძღვანელათ. იმ პრეტორთა მიერ შედგენილმა ედიქტებმა, რომლებიც აწესრიგებდნენ რომაელ მოქალაქეთა შორის აღძრულ საქმეებს (praetor urbanis), უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს რომაული სამართლის ჩამოყალიბების საქმეში. ჰადრიანეს იმპერატორობის ხანაში (ახ.წ. 117-138 წწ.) არსებობდა ე.წ. შეუცვლელი ედიქტები (edictum perpetuum). შუა საუკუნეებიდან მოყოლებული დღემდე ედიქტებს უმაღლეს ხელისუფალთა განკარგულებებს უწოდებენ.

ევპატრიდი (ბერძნ. εὐπατρίδης – „კეთილშობილ მამათა ჩამომავალი"). ატიკის არისტოკრატული მოდგმა, რომელიც ათენში კლისთენესის რეფორმებამდე პრივილეგიურ ფენას წარმოადგენდა.

ეკვიტები (ლათ. equites – „მხედრები"). ერთ-ერთი ფენა ძველ რომში. რესპუბლიკის პერიოდში ეკვიტებს ეკავათ სოციალური ნიში სენატსა და უბრალო მოქალაქეთა შორის. იმპერიის პერიოდში მათი სტატუსი შეიცვალა: ეკვიტებს შეეძლოთ სახელმწიფო თანამდებობათა დაკავებაც. ამ ფენის წარმომადგენლებს ნიშნავდნენ ახლად დაპყრობილ ტერიტორიათა განმგებლებადაც. ძვ.წ. II საუკუნიდან ეკვიტები ერთ-ერთ ძირითად სოციალურ ფენას წარმოადგენდნენ. მათ სენატორებადაც ნიშნავდნენ იმ შემთხვევაში, თუ ფლობდნენ ოთხი ათასი ოქროს ზოდის ქონებას.

ეფოროსი (ბერძნ. ἔφορος – „მზირი", „მეთვალყურე"). სპარტაში ყოველწლიურად ირჩევდნენ ხუთ ეფოროსს. თავდაპირველად მათ მხოლოდ სასამართლო პროცესების წარმოება ევალებოდათ, მოგვიანებით ისინი მეთვალყურეობდნენ ყველა სახელმწიფოებრივი თანამდებობის პირს და მეფესაც კი. ეფოროსთაგან პირველის (ἔφορος ἐπώνυμος) სახელით იწოდებოდა მათი უფლებამოსილების წელიც. ათენში ხუთი ეფოროსის თანამდებობა ძვ.წ. 405 წლიდან შემოიღეს არისტოკრატული ოლიგარქიის წარმომადგენლებმა.

იმპერატორი (ლათ. imperator – „მბრძანებელი", „მთავარსარდალი"). თავდაპირველად ეს იყო საპატიო წოდება, რომელიც ძლევამოსილ მთავარსარდალს ენიჭებოდა. მოგვიანებით იგი იმპერიის უზენაესი მმართველის ტიტული გახდა.
რესპუბლიკის პერიოდში გამარჯვებული მხედართმთავარი ამ ტიტულს თავისი ჯარისკაცების მისალმებასთან (salutatio) ერთად იღებდა და ტრიუმფის ზეიმამდე ინარჩუნებდა. იმპერატორის წოდების მინიჭების უფლება სენატსაც ჰქონდა. ზოგიერთ მთავარსარდალს ეს ტიტული რამდენჯერმე მიენიჭა (მაგალითად, პომპეუსს, სულას), იულიუს კეისარმა კი იმპერატორობა სიცოცხლის ბოლომდე დაიმსახურა. ძვ.წ. 29 წელს

სენატმა იმპერატორად აღიარა ავგუსტუსი და მასაც სიცოცხლის ბოლომდე შეუნარჩუნა ეს წოდება. ამის შემდეგ „იმპერატორი" რომის ყველა მბრძანებლის სახელის ნაწილი ხდება იმისდა მიუხედავად, იმარჯვებდნენ ისინი ბრძოლებში თუ არა.

კეისარი (ლათ. Caesar), როგორც ტიტული, იმპერატორ იულიუს კეისრის მმართველობის შემდეგ დამკვიდრდა რომში. ჩვეულებრივ, ეს იყო იულიუსთა მოდგმის საგვარეულო სახელი. ძვ.წ. 44 წელს იულიუს კეისარმა იშვილა თავისი დის შვილიშვილი, გაიუს ოქტავიუსი და მას გაიუს იულიუს კეისარ ოქტავიანუსი შეერქვა. მოგვიანებით ოქტავიანუსს უბრალოდ იმპერატორ კეისარს უწოდებდნენ. ძვ.წ. 27 წელს მას სენატმა ახალი ტიტული „ავგუსტუსი" („Augustus" – „სახელმწიფოს განმადიდებელი") მიანიჭა. მას შემდეგ გამოთქმა „იმპერატორი კეისარი ავგუსტუსი" (Imperator Caesar Augustus) რომაული სახელმწიფოს უზენაეს მმართველთა წოდებულების საფუძველი გახდა. საიმპერატორო ძალაუფლება ვრცელდებოდა არა მხოლოდ სახელმწიფო ფინანსებსა თუ მიწათა მფლობელობაზე, არამედ სენატზეც, რამდენადაც იმპერატორი იყო პრინცეპსიც (Princeps – პირველი სენატორთა შორის) და ქურუმთა კოლეგიაზეც, რამდენადაც მას უზენაესი პონტიფექსის (Pontifex maximus) წოდებაც ენიჭებოდა. რომში არსებობდა იმპერატორის კულტიც. პირველი იმპერატორი, რომელიც ღმერთად აღიარეს, იყო იულიუს კეისარი (ძვ.წ. 1.01.42 წ.). მის მემკვიდრეს კი „ღმერთის ძე" („Divi filius") უწოდეს. მოგვიანებით ტრადიციად იქცა ღირსეულ იმპერატორთა გაღმერთება გარდაცვალების შემდეგ. თუმცა ზოგიერთმა მბრძანებელმა (კალიგულამ, დომიტიანუსმა, კომოდუსმა) სიცოცხლეშივე მიინიჭა ეს პატივი.

კვესტორი (ლათ. quaestor – „მაძიებელი"). ყველაზე დაბალი რანგის თანამდებობა რომაულ მაგისტრატში; პატივმოყვარე რომაელთა პირველი საფეხური სენატორის სავარძლის მოსაპოვებელ გზაზე. კვესტორად ნიშნავდნენ რომის მოქალაქეს მხოლოდ 30 წლის ასაკიდან. მისი საქმიანობა ძირითადად, ფინანსებთან იყო დაკავშირებული. თავისი მოვალეობის აღსრულების შემდეგ ექს-კვესტორს საშუალება ეძლეოდა გაეგრძელებინა მოღვაწეობა სენატში ან სხვა რომელიმე დაწესებულებაში.
ზოგიერთ თანამედროვე სახელმწიფოში უნივერსიტეტის ბუღალტერიას კვესტურა ეწოდება.

კონსული (ლათ. consul), რომაული სახელმწიფოს რესპუბლიკის პერიოდიდან მოყოლებული უმაღლესი ჩინი, რომელიც იმპერიის პერიოდში საპატიო თანამდებობად იქცა. თავდაპირველად სახალხო კრება ირჩევდა ორ კონსულს პატრიციათა მოდგმიდან ერთი წლის ვადით. მოგვიანებით, ახალი კანონის (Leges Liciniae Sestiae) თანახმად, ერთი კონსული პლებსის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო.
საიმპერატორო ეპოქაში კონსულებს ნიშნავდა იმპერატორი, ამიტომ ამ თანამდებობამ დაკარგა თავისი მნიშვნელობა, თუმცა გარკვეული ღირსებები მაინც შეინარჩუნა.

კერძოდ, კონსულები სარგებლობდნენ ხმის უფლებით სისხლისსამართლებლივ სასამართლო პროცესებზე; ისინი განაგებდნენ სამოქალაქო სამართლის ზოგიერთ უბანსაც, კერძოდ, მონებთან დაკავშირებულ საქმეებს. მათ საპატიო მოვალეობად ითვლებოდა სახალხო ასპარეზობათა და უმეტეს რელიგიურ ზეიმთა მოწყობა.

კონსულის თანამდებობაზე ყოფნა ამა თუ იმ პირს საშუალებას აძლევდა გზა გაეკაფა საზოგადოებრივ თუ სამხედრო სარბიელზე.

კონსულთა ატრიბუტებად მიიჩნეოდა განსაკუთრებული ტოგა (მოსასხამი, toga praetexta), საცერემონიო სავარძელი (sella curulis) და პირად მცველთა (ლიქტორთა) ამალა.

ძვ.წ. 153 წელს მიღებული კანონის თანახმად კონსულთა ინაუგურაციის დღედ დანიშნული იყო 1 იანვარი. დედაქალაქში ეწყობოდა სენატორთა, მხედართა და სხვა მნიშვნელოვან პირთა საზეიმო სვლა. მათ შორის იყვნენ მომავალი კონსულებიც. საზეიმო ვითარებაში კითხულობდნენ ლოცვებსა და დებდნენ ფიცს. რომაელთათვის ეს იყო წმინდა ცერემონია, რომლის შებღალვაც წარმოუდგენლად მიაჩნდათ. სწორედ ამიტომ, როდესაც იმპერატორმა კომოდუსმა ახ.წ. 193 წელს განაცხადა, რომ თავის ინაუგურაციაზე გლადიატორის ფორმით წარსდგებოდა მოზეიმეთა წინაშე, მის წინააღმდეგ შეთქმულები ისე გაოგნდნენ, რომ ფიცის დადების წინაღამეს მოკლეს იგი.

ლეგიონი (ლათ. legere – „ამორჩევა“, „შეკრება“). იმპერიის ძირითადი სამხედრო ძალა, რომლის საშუალებითაც რომმა ძველი სამყაროს დიდი ნაწილი დაიპყრო. მთელი სამი საუკუნის მანძილზე რომაულ ლეგიონებს არ დაეძებნებოდათ ბადალი დისციპლინის, შემართების, მომზადებისა თუ სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით. ლეგიონერთა ძალისხმევით იმპერია აკონტროლებდა უზარმაზარ ტერიტორიებსა და ხალხებს.

იმპერიის ეპოქაში ლეგიონის შემადგენლობაში შედიოდა 10 კოჰორტა (კოჰორტაში 5 კენტურია იყო გაერთიანებული), იგი ითვლიდა 6095 ქვეითს, 726 მხედარსა და დამხმარე ჯარებს. ლეგიონის შენახვა სახელმწიფოს საკმაოდ ძვირი უჯდებოდა. სამხედრო სამსახურის ვადა ჩვ.წ. I საუკუნეში 20 წლით განისაზღვრებოდა. ამ ვადის გასვლისთანავე ჯარისკაცი იღებდა განსაზღვრულ თანხასა და მიწის ნაკვეთს. რომაული იმპერიის კოლონიები ერთიანად დასახლებული იყო ყოფილი მეომრებით. თითოეული მათგანი თავის სამისდღეშიო გასამრჯელოს (praemia militare) იღებდა სამხედრო ფონდის ხაზინიდან (aerarium militare).

ლიქტორი (ლათ. lictor), პირადი მცველი. ტრადიციის თანახმად, ლიქტორთა ინსტიტუტი რომში ეტრუსკთა მიბაძვით დააარსა რომულუსმა. ლიქტორები, ძირითადად, დაბალი ფენის წარმომადგენლები იყვნენ. ისინი მაღალჩინოსანთა წინ ჩამწკრივებულნი



მიაბიჯებდნენ ფასკიებით ხელში. ყოველი მაგისტრისათვის ლიქტორთა განსაზღვრული რაოდენობა იყო დაწესებული. ასე მაგალითად, დიქტატორის ამალაში 24 ლიქტორი ირიცხებოდა, კონსულს თან ახლდა 12, პრეტორს 6, იმპერატორს თავდაპირველად 12, მოგვიანებით კი 24 ლიქტორი.

მაგისტრი (ლათ. magis – „მეტი", magister – „მეთაური", „მასწავლებელი") ძველ რომში ეწოდებოდა მთელ რიგ თანამდებობებსა და საკრალურ კოლეგიათა მეთაურებს.

1. Magister equitum ანუ ცხენოსანთა ჯარის მეთაური (მაგისტრი) ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თანამდებობა იყო რომაული სახელმწიფოს რესპუბლიკისა და ადრეული იმპერიის პერიოდებში. თავდაპირველად ეს იყო დიქტატორის მოადგილე, რომელსაც თავად დიქტატორი ნიშნავდა სხვადასხვა დავალებათა აღმსრულებლად. იულიუს კეისრის დროს მაგისტრებს შედარებითი დამოუკიდებლობა ჰქონდათ მოპოვებული. სამოქალაქო ომის ჟამს (ძვ.წ. 49-44 წწ.) კეისარი მათ რომში თავის წარმომადგენლებად იყენებდა. ავგუსტუსმა, რომელსაც არ მოსწონდა მაგისტრთა დამოუკიდებლობა, პრინციპატის სისტემის დაწესებასთან ერთად გააუქმა ეს თანამდებობა. Magister equitum-ის მოვალეობათაგან მრავალი პრეტორიათა პრეფექტებს გადაეცათ.

2. მაგისტრებს უწოდებდნენ იმ ჩინოვნიკებსაც (მოხელეებს), რომლებიც მოღვაწეობდნენ რომაული იმპერიის სახელმწიფო თუ სასახლის კარის აპარატში. მაგალითად: Magister ab epistulis (ედიქტებისა და იმპერატორის განკარგულებათა გამავრცელებელი კანცელარიის უფროსი); Magister a rationibus (საიმპერატორო ხაზინის მმართველი); Magister officiorum (კანცელარიის უფროსი).

მეტოიკოსი (ბერძნ. μέτοικος – „გადმოსახლებული", „უცხო"). ათენში მეტოიკოსებად ინოდებოდნენ ის უცხოები, რომელთაც ქალაქში ცხოვრების უფლება ეძლეოდათ გარკვეული საზღაურის ფასად.

მისტერია (ბერძნ. μυστήρια). ღვთაებისადმი მიძღვნილი საიდუმლო წეს-ჩვეულება. მასში მონაწილეობის მიღება შეეძლოთ მხოლოდ განდობილებს, რომლებიც ვალდებულნი იყვნენ შეენახათ საიდუმლოდ ყველაფერი, რაც კი ხდებოდა მისტერიის ჟამს.

ორაკული (ლათ. oraculum). ბერძენთა წარმოდგენით, ორაკული ეწოდებოდა როგორც თავად მისნობას, ასევე იმ ადგილს, სადაც წინასწარმეტყველებდა მისანი. მოგვიანებით ორაკული ეწოდა მისან ღვთაებასაც და ქურუმსაც.

ოსტრაკისმოსი (ბერძნ. ὀστρακισμός). გაძევება ქოთნის ნატეხებისყრით. ათენში, არგოსსა და ზოგიერთ სხვა ქალაქში არასასურველ ადამიანს წილისყრით აძევებდნენ სახელმწიფოდან. ამ საერთო-სახალხო გადაწყვეტილებას ოსტრაკისმოსი ეწოდებოდა და აი, რატომ: ყოველი



მოქალაქე თიხის ქოთნის ნატეხზე, რომელსაც „ოსტრაკონი" ეწოდებოდა, ამოკაწრავდა ხოლმე მისთვის არასასურველი კაცის სახელს. ოსტრაკონებს აგროვებდნენ და ითვლიდნენ. მათი რიცხვი სამოცი ათასზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. ოსტრაკონების დახარისხების შემდეგ აცხადებდნენ იმ კაცის სახელს, რომელსაც ხმათა უმრავლესობით ქალაქი უნდა დაეტოვებინა ათი წლით. ამ იძულებითი დროის გასვლის შემდეგ მას კვლავ შეეძლო ქალაქში დაბრუნება და თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის გაგრძელება.

პრეტორი (ლათ. praeire – „წინ სვლა"). რომაელ კონსულთა და დიქტატორთა ოდინდელი ტიტული, უმაღლესი სახელმწიფო პირი მეფის ჩამოგდების შემდეგ (ძვ.წ. 510 წლიდან) ძველ რომში. ძვ.წ. IV საუკუნიდან, ახალი კანონების შემოღებისთანავე უმაღლეს სახელმწიფო პირს წარმოადგენდა კონსული. მას მორჩილებდნენ პრეტორები, რომელთა საქმიანობის უმთავრესი სფერო სამოქალაქო სამართალი იყო.
იმპერიის პერიოდში პრეტორთა პოზიციები შესუსტდა. მათ მოვალეობათა ძირითადი ნაწილი გადაეცა ქალაქთა პრეფექტებს. განსაკუთრებული უფლებებით სარგებლობდა გვარდიის პრეფექტი.

პრეტორიელები (ლათ. praetorium – „მხედართმთავრის კარავი") ეწოდებოდათ რომის სახელმწიფოს საიმპერატორო გვარდიის მეომრებს. თავად ეს გვარდია საკუთარი ძალაუფლების დასაცავად იმპერატორმა ავგუსტუსმა შექმნა.
სახელწოდების ისტორია ასეთია: რომაელ ლეგიონერთა ბანაკის შუაგულში მხედართმთავრისთვის იშლებოდა კარავი, პრეტორიუმი. მის გარშემო კი განლაგებული იყო მცველთა რაზმი „cohorta praetoria". ასეთი კოპორტები მრავალ სახელოვან ადამიანს გააჩნდა, მათ შორის იულიუს კეისარს, მარკუს ანტონიუსს, ოქტავიანუს ავგუსტუსს. თავდაპირველად იულიუს კეისრისთვის გახდა ცხადი, რომ ერთგულ მცველთა მცირერიცხოვან რაზმს ბრძოლის ველზე გაცილებით მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია, ვიდრე მთელ ლაშქარს. ავგუსტუსი კი უფრო შორს წავიდა. მისი აზრით, ერთგული და კარგად გაწვრთნილი რაზმი არა მხოლოდ ბრძოლის ველზეა აუცილებელი, არამედ პოლიტიკურ არენაზეც. ამიტომ მან პროვინციებში გაფანტულ ლეგიონერთაგან შეკრიბა ჯარი, რომელსაც პრეტორიელთა გვარდია უწოდა. პრეტორიელები განსაკუთრებული უპირატესობით სარგებლობდნენ: მათ ჰქონდათ დიდი ფულადი ანაზღაურება და სამხედრო სამსახურის შედარებით ხანმოკლე პერიოდი.

მოგვიანებით პრეტორიელთა გვარდიის ხელში აღმოჩნდება იმპერატორთა დამხობისა თუ აღზევების სადავეები.



პრეფექტი (ლათ. praefectus – „მეთაური", „მბრძანებელი"). უმაღლესი თანამდებობის პირთა ტიტიული არმიასა თუ სამოქალაქო სამსახურში. პრეფექტის წოდებას იღებდნენ მხოლოდ სენატორები ან მხედართა ფენის წარმომადგენლები.

პრინცეპსი (ლათ. Princeps – „პირველი"). არაოფიციალური, თუმცა ფრიად მნიშვნელოვანი ტიტული, რომელიც გულისხმობდა „პირველ სახელმწიფო მოღვაწეს". რომაული სახელმწიფოს რესპუბლიკის პერიოდში პრინცეპსი ეწოდებოდა სენატის ნუსხის სათავეში მდგომ პირს, რომელიც პირველი ხმის უფლებით სარგებლობდა (პომპეუსი, ციცერონი). ძვ.წ. 49 წელს ეს ტიტული მიაკუთვნეს იულიუს კეისარს, მისი გარდაცვალების შემდეგ კი – ოქტავიანუს ავგუსტუსს.
იმპერიის ეპოქაში „პრინცეპსი" იმპერატორის წოდებად იქცა, თუმცა მას არ ჰქონია სახელმწიფოებრივი ან სამართლებრივი დატვირთვა. პირველ ხანებში ეს ტიტული პრესტიჟული იყო. კალიგულას მმართველობიდან (37-41 წწ.) მოყოლებული კი მან საბოლოოდ დაკარგა თავისი მნიშვნელობა. ამ ტერმინის გავლენით შუა საუკუნეებიდან მოყოლებული სამეფო დინასტიის წარმომადგენელს შეერქვა „პრინცი".

პროკონსული (ლათ. pro consule – „კონსულის ნაცვალი"). ტიტული, რომელიც ენიჭებოდა კონსულის უფლების მქონე პროვინციის განმგებელს.

სალიები (ლათ. Salii – „მხტომელნი", „მროკავნი") – რომაელ ქურუმთა ორი უძველესი კოლეგია, პალატიუმისა და კოლინასი, რომელიც ნუმა პომპილიუსს (რომის ლეგენდარულ მეფეს) დაუწესებია. თითოეულ კოლეგიაში პატრიციული წარმომავლობის თორმეტი წევრი იყო გაერთიანებული. ისინი ნმინდა ანკილთა (ფართა) მფარველი მარსის მსახურებად ითვლებოდნენ.
მარტის თვის დასაწყისში სალიები აწყობდნენ საზეიმო სვლას, თან ოროლს სცემდნენ ანკილეებს, რომელთაგანაც ერთი, გადმოცემათა თანახმად, ციდან იყო ჩამოვარდნილი. ეს საზეიმო სვლა მიმდინარეობდა ცეკვითა და უძველეს ჰიმნთა თანხლებით.

სატრაპი (სპარს., ბერძნ. σατράπης – „სამეფოს მფარველი"). სპარსეთის მეფისნაცვალი დარიოს I დროიდან. სატრაპები მათზე მინდობილ მხარეთა (სატრაპიათა) სრულუფლებიანი მბრძანებელნი იყვნენ. ისინი კრებდნენ გადასახადს, განაგებდნენ მართლმსაჯულებას, ინახავდნენ ლაშქარს, მეთვალყურეობდნენ სიმშვიდეს. მათ ხელში იყო თავმოყრილი მთელი სამხედრო და სამოქალაქო ძალაუფლება, რასაც ისინი ხშირად ბოროტად იყენებდნენ.

სენატი (ლათ. senex – „უხუცესი" senatus, „უხუცესთა საბჭო"). რომში უხუცესთა საბჭო არსებობდა ჯერ კიდევ მეფეთა ხანაში. ეს იყო სახელმწიფო ინსტიტუტი, რომლის დამსახურებითაც რომი აპენინზე მდებარე პატარა სახელმწიფოდან ჯერ ხმელთაშუაზღვისპირეთის მძლავრ რესპუბლიკად, ბოლოს კი უზარმაზარ მსოფლიო იმპერიად იქცა. სენატის წევრები იყოფოდნენ რანგებად, იმის მიხედვით, თუ რა

თანამდებობებს ფლობდნენ ადრე (კონსულები, პრეტორები, ედილები, ტრიბუნები, კვესტორები). დისკუსიათა დროს სენატორებს სიტყვის თქმის უფლება ენიჭებოდათ ამ რანგების მიხედვით. სენატის სათავეში იდგა ყველაზე ღირსეული სენატორთაგან, მას პრინცეპსი ეწოდებოდა (princeps senatus). სენატი ამტკიცებდა კანონებს და არჩევნების შედეგებს; ზედამხედველობდა მაგისტრატების საქმიანობას და აძლევდა მათ რჩევებს; განაგებდა საშინაო პოლიტიკისა თუ ფინანსებთან დაკავშირებულ პრობლემებს; თვალყურს ადევნებდა წმინდა რიტუალთა აღსრულებას. არსებითად სენატი უმაღლესი სახელმწიფო ორგანო იყო. მის დადგენილებებს (Senatus consultum), ისევე როგორც სახალხო კრების თუ პლებსის კრების განკარგულებებს, კანონის ძალა ენიჭებოდა. იმპერიის ხანიდან სენატმა დაიწყო თავისი უფლებების დაკარგვა. იგი იმპერატორთა პოლიტიკური ძალმოსილების იარაღად იქცა. სენატის დადგენილებებმა, მართალია, შეინარჩუნეს კანონის ძალა, მაგრამ მათ ძირითადად იმპერატორთა სურვილით იღებდნენ.

სიკოფანტესი (ბერძნ. συκοφάντης). პროფესიონალი დამსმენი, ცილისმწამებელი. ძვ.წ. V საუკუნიდან ათენში უპასუხისმგებლო ცილისმწამებლებს სასტიკად სჯიდნენ.

სიქველე (ბერძნ. ἀρετή – „არეტე"). ძველ საბერძნეთში „სიქველე" გულისხმობდა სიბრძნის, სიმედგრის, კეთილგონიერებისა და ზნეობრივი სრულყოფილების ერთობლიობას. ფილოსოფოსებმა „არეტე" მიიჩნიეს ეთიკის ძირითად კატეგორიად და მისი არსის კვლევას მრავალი ნაშრომი მიუძღვნეს.

სტრატეგოსი (ბერძნ. στρατηγός – „მთავარსარდალი"). თავდაპირველად სტრატეგოსებად მხოლოდ მხედართმთავრები ინოდებოდნენ. ძვ.წ. 508/507 წლიდან ათენში შეიქმნა კოლეგია ათი სტრატეგოსის შემადგენლობით (ყოველ ფილეს თავისი სტრატეგოსი ჰყავდა), რომელთაც ყოველწლიურად ირჩევდნენ, ვითარცა არმიისა და ფლოტის უზენაეს მბრძანებლებს. შესაძლებელი იყო მათი მრავალგზის არჩევაც. V საუკუნის ათენში სტრატეგოსთა ხელში თავმოყრილი იყო თითქმის მთელი ძალაუფლება. ისინი განაგებდნენ კიდეც სახელმწიფოს (პერიკლესი). სტრატეგოსებად ნიშნავდნენ მდიდარ მიწათმფლობელებს, ამიტომ ეს პატივი უპირატესად არისტოკრატული ფენის წარმომადგენლებს ენიჭებოდათ.

ტრიბუნი (ლათ. tribunus), უმნიშვნელოვანესი არჩევითი თანამდებობა რომში. პლებსის ინტერესების დამცველ ტრიბუნს ეწოდებოდა სახალხო ტრიბუნი ანუ პლებსის ტრიბუნი (tribunus plebis); ტრიბუნის თანამდებობა არსებობდა ლეგიონებშიც სამხედრო ტრიბუნის (tribunus militum) სახელწოდებით.

ტრიბუნები თავის ამომრჩეველთა ინტერესების თავგამოდებული დამცველები იყვნენ. სარგებლობდნენ რა განსაკუთრებული უფლებებით, ისინი აკონტროლებდნენ რომაელ პოლიტიკოსთა საქმიანობას; მათ შეეძლოთ ნებისმიერი ინსტიტუტის ან პირის

(დიქტატორის გარდა) წინ აღდგომა. ძვ.წ. I საუკუნისთვის ტრიბუნის თანამდებობა ყველაზე ავტორიტეტული და საპატიო გახდა.

ტრიბუნატმა IV საუკუნის დამლევამდე იარსება რომში.



ტრიერი (ბერძნ. τριήρης), ხომალდი, რომელსაც სამ მწკრივად ჰქონდა ხოფები.

ტრიუმფი (ლათ. triumphus) იყო დიდი ზეიმი, რომელიც გამარჯვებული მთავარსარდლის პატივსადებად ეწყობოდა რომში. ამ პატივისთვის აუცილებელი იყო სენატის თანხმობა, ამასთანავე გამარჯვება უნდა ყოფილიყო ღირსეული (victoria iusta), რაც იმას ნიშნავდა, რომ უნდა დამარცხებულიყო მხოლოდ სახელმწიფოს მტერი და თანაც დიდი დანაკარგით; სამოქალაქო ბრძოლის ჟამს გამარჯვებული ვერასოდეს გახდებოდა ტრიუმფატორი; ომის შემდეგ მშვიდობას უნდა დაესადგურებინა. იმპერიის ხანაში ტრიუმფი მხოლოდ იმპერატორთა პრეროგატივად იქცა.

ტრადიციის თანახმად, მთავარსარდალი, რომელიც თავს ტრიუმფალური სვლის ღირსად სცნობდა, რომში შესვლამდე სენატის გადაწყვეტილებას უნდა დალოდებოდა. თუკი სენატი მას ტრიუმფის ღირსად მიიჩნევდა, ინიშნებოდა ზეიმის დღე. პროცესია იწყებოდა მარსის ველიდან. ტრიუმფატორი რომში ტრიუმფალური არკის გავლით შედიოდა და წმინდა გზით მიემართებოდა კაპიტოლიუმისკენ, სადაც ორი თეთრი ხარი მზად იყო მსხვერპლშეწირვის რიტუალის აღსასრულებლად. მთელი ეს გზა ყვავილებით იფინებოდა. საზეიმო მსვლელობას წინ მიუძღოდნენ სენატორები და მაგისტრები, მათ უკან მიაბიჯებდნენ მებრძოლები ბრძოლაში მოპოვებული ნადავლით. შემდეგ გზა ეთმობოდა თეთრი ცხენებით შებმულ დიდებულ ეტლს, რომელზეც აღზევებული იყო ტრიუმფატორი. მას თავზე დაფნის გვირგვინი ერქვა; ტანთ ოქრომკერდით მოქარგული ძოწისფერი მოსასხამი ჰქონდა მოსხმული; ფეხებზე ოქროს სანდლები ეცვა; ხელთ ეპყრა სპილოს ძვლის კვერთხი, რომელსაც არწივის გამოსახულება ამშვენებდა. ტრიუმფატორის გვერდით იდგა მონა იუპიტერის დიადემით ხელში. იგი გზადაგზა ჩასჩურჩულებდა თავის მბრძანებელს: „გახსოვდეს, რომ მხოლოდ და მხოლოდ მოკვდავი ხარ!“

ეტლს უკან მოჰყვებოდნენ გამარჯვებული მეომრები და ტყვეები. ზეიმი საყოველთაო ნადიმით სრულდებოდა.

თუ საბრძოლო გამარჯვებას დიდი ტრიუმფის ღირსად არ სცნობდნენ, გამარჯვებულ მთავარსარდალს მცირე ტრიუმფს, ოვაციას (ovatio) უწყობდნენ.

ტროპეონი (ბერძნ. τρόπαιον). გამარჯვების ძეგლი. მას ძირითადად მტრის აღსაჭურველით აღმართავდნენ ხოლმე ბრძოლის ველზე, გამარჯვების ადგილას.

ფასკია (ლათ. fascia). ტყავის თასმებით შეკრული წნელთა კონა, რომელშიც ცული იყო გაჩრილი. ფასკიებს ატარებდნენ რომის მაღალი ჩინის ის მაგისტრები, რომლებიც სადამსჯელო ხელისუფლებას წარმოადგენდნენ. წნელთა კონას გაროზგვის ასოციაცია უნდა გამოეწვია, ნაჯახს – სიკვდილით დასჯის. უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობის პირთა წინ მიაბიჯებდნენ ლიქტორები ფასკიებით (პრეტორისათვის განკუთვნილი იყო 6, კონსულისათვის კი 12 ლიქტორი). თავად რომში ფასკიებიდან ცულს იღებდნენ, რადგანაც იქ სიკვდილით დასჯა მხოლოდ ხალხის ნებით ხდებოდა.

ფასკიები ხშირად გვხვდება ახალი დროის ჰერალდიკაშიც: იგი ფაშიზმის ეპოქის იტალიაში რეაქციული სახელმწიფო ხელისუფლების სიმბოლო იყო. თავად ტერმინი „ფაშიზმი“ სწორედ ლათინური „ფასკიადან“ მომდინარეობს.

ფილე (ბერძნ. φυλή). თავდაპირველად საგვარეულო, შემდეგ – ტერიტორიულ-პოლიტიკური გაერთიანება. ატიკაში უძველეს ხანებში ოთხი ფილე იყო; კლისთენესის რეფორმის (ძვ.წ. 510 წლიდან) შემდეგ – 10; მოგვიანებით – 12. სპარტა სამ ფილედ იყო დაყოფილი.

ცენზორი (ლათ. censor). მნიშვნელოვანი მაგისტრი რესპუბლიკური ხანის რომში. მას ირჩევდნენ ხუთ წელიწადში ერთხელ, 18 თვით, ყოფილ კონსულთაგან (ანუ კონსულარისთაგან). ცენზორთა უმთავრეს მოვალეობად ითვლებოდა მოქალაქეთა აღრიცხვა (census) და მხედართა და სენატორთა ადრეული ნუსხების რევიზია. ცენზორს უფლება ჰქონდა ამოეწერა ან ჩაეწერა ამ ნუსხებში ახალი პირები. აქედან გამომდინარე ისინი თავის თავზე იღებდნენ მოქალაქეთა ზნის ზედამხედველობის ფუნქციასაც. გარდა ამისა, ცენზორთა საქმიანობა დაკავშირებული იყო სახელმწიფო ბიუჯეტის განაწილებასთანაც, ქალაქის ნაგებობათა დაცვასთანაც და ა.შ.

საიმპერატორო ეპოქაში ცენზორთა უფლებებით იმპერატორები სარგებლობდნენ.

ჰეტერა (ბერძნ. ἑταίρα – „მეგობარი“, „თანამგზავრი ქალი“). ჰეტერები სხვადასხვა სოციალური რანგის ქალები იყვნენ, რომლებიც თავისუფალი, დამოუკიდებელი ცხოვრებით ცხოვრობდნენ. ცნობილი ჰეტერები გამოირჩეოდნენ განათლებითაც და სილამაზითაც. მათ კარგად იცოდნენ ლიტერატურა, ფილოსოფია, მუსიკა; ისინი ეუფლებოდნენ ორატორულ ხელოვნებასაც. ისტორია საზოგადო მოღვაწე ჰეტერათა სახელებსაც გვამცნობს. საყოველთაოდ იყო ცნობილი ჰეტერა ასპასია, პერიკლესის მეგობარი და მეუღლე; ფრინე (მნესარეტე), რომლის შთაგონებითაც პრაქსიტელესმა კნიდოსელი აფროდიტეს ქანდაკება შექმნა, აპელესმა კი დახატა „აფროდიტე ანადიომენე“ („წყლიდან ამომავალი აფროდიტე“).

ჰოპლიტი (ბერძნ. ὁπλίτης). მძიმედ შეიარაღებული მებრძოლი.

უმნიშვნელოვანეს პიროვნებათა განმარტებითი ლექსიკონი

აგარისტე – ქსანთიპოსის მეუღლე, პერიკლესის დედა.

აგესილაოსი (დაახლ. ძვ.წ. 444-360) – სპარტის მეფე ძვ.წ. 399-358.

აგისი – აგესილაოსის ძმა, სპარტის მეფე ძვ.წ. 426-397.

აგრიპა, მარკუს ვიპსანიუსი (ძვ.წ. 62-12) – ავგუსტუსის უახლოესი თანაშემწე, იულია უფროსის მამა, სახელოვანი მხედართმთავარი.

აგრიპა პოსტუმუსი, მარკუსი (ძვ.წ. 12 – ახ.წ. 14) – ავგუსტუსის შვილიშვილი, აგრიპასა და იულიას ვაჟი.

აგრიპინა, ვიპსანია – მარკუს აგრიპას ასული, ტიბერიუსის პირველი ცოლი, დრუსუს უმცროსის დედა.

აგრიპინა უმცროსი, იულია (15-59) – გერმანიკუსისა და აგრიპინა უფროსის ასული, მეუღლე გნეიუს დომიტიუს აჰენობარბუსისა, შემდეგ კლავდიუსისა; ნერონის დედა.

აგრიპინა უფროსი, იულია (ძვ.წ. 17 – ახ.წ. 33) – მარკუს აგრიპასა და იულიას ქალიშვილი, გერმანიკუსის მეუღლე, კალიგულას დედა.

ადმეტოსი – ეპიროსის მეფე.

ავგუსტუსი, ოქტავიანუსი (ძვ.წ. 63 – ახ.წ. 14) – რომის პირველი იმპერატორი. რომს მართავდა ძვ.წ. 27 – ახ.წ. 14.

ალექსანდრე – თესალიის მბრძანებელი.

ალექსანდრე III მაკედონელი (ძვ.წ. 356-323) – „დიდი ალექსანდრე", მაკედონიის მეფე ძვ.წ. 336-323.

ალკიბიადესი (დაახლ. ძვ.წ. 450-404) – კლინიასის ძე, ათენელი სახელმწიფო მოღვაწე და მთავარსარდალი.

ამიანუს მარკელინუსი – ძვ.წ. IV საუკუნის ისტორიოგრაფოსი, ავტორი წიგნისა „Rerum Gestarum Libri XXXI" (რომაული იმპერიის ისტორია 91-378 წლებში), რომლისგანაც პირველ ცამეტ თავს ჩვენამდე არ მოულწევია.

ანაქსაგორასი (დაახლ. ძვ.წ. 500-428) – კლაძომენელი ფილოსოფოსი, პერიკლესის მეგობარი.

ანტიპატროსი (გარდ. ძვ.წ. 319) – ფილიპოს მაკედონელის მხედართმთავარი.

ანტონია, კლავდია – კლავდიუსის ასული, რომელიც ნერონმა დასაჯა.

ანტონია უმცროსი (დაახლ. ძვ.წ. 36 – ახ.წ. 38) – ანტონიას და ოქტავიუსის ასული. დრუსუს უფროსის მეუღლე, კლავდიუსის დედა, კალიგულას დიდედა.

ანტონია უფროსი – ანტონიას და ოქტავიუსის ასული, ლუკიუს დომიტიუს აპენობარბუსის მეუღლე, ნერონის დიდედა.

ანტონინუს პიუსი (138-161) – ჰადრიანუსის შვილობილი, რომის იმპერატორი 138-161 წლებში, ანტონინუსთა დინასტიის საფუძვლის დამდები.

ანტონიუს ანტილუსი – ტრიუმვირის უფროსი ძე ფულვიასაგან; მოკლეს ძვ.წ. 30 წელს.

ანტონიუს იულუსი – ტრიუმვირის უმცროსი ძე ფულვიასაგან; იძულებული გახადეს თავი მოეკლა ძვ.წ. 2 წელს.

ანტონიუს პრიმუსი – ვესპასიანუსის მხედართმთავარი, რომელმაც დაამარცხა ვიტელიუსი.

ანტონიუსი, მარკუსი (ძვ.წ. 80-30) – კეისრის მხედართმთავარი, მეორე ტრიუმვირატის წევრი.

აპოლოდოროსი (დაახლ. ძვ.წ. 100-18) – ორატორი პერგამოსიდან, ოქტავიანუსის მოძღვარი.

აპოლონიოს ქალკედონელი – ფილოსოფოსი, მარკუს ავრელიუსის მოძღვარი.

აპოლონიუს მოლო (მოლონი) – ორატორი, როდოსის მჭევრმეტყველების სკოლის წინამძღვარი, ციცერონისა და კეისრის მასწავლებელი.

არეკინა, ტერტულა – კლემენსის და, ტიტუსის პირველი ცოლი.

არეკინუს კლემენსი, მარკუსი – პრეტორიანელთა მეთაური ვესპასიანუსის დროს, რომელიც დომიტიანუსმა დასაჯა.

არისტიდესი (გარდ. ძვ.წ. 467) – ათენელი სახელმწიფო მოღვაწე.

არისტობულოსი – ალექსანდრე მაკედონელის თანამედროვე და მისი ბიოგრაფოსი.

არტაბანუს III – პართიის მეფე (ახ.წ. 11-38), ტიბერიუსის მონინააღმდეგე, გერმანიკუსისა და კალიგულას მომხრე.

არტაქსერქსესი – დარიოს II-ის ძე, მეფობდა ძვ.წ. 405-359.

არქელაოსი – 1. ლიკურგოსის ეპოქის სპარტის მეფე; 2. მაკედონიის მეფე ძვ.წ. 414-399.

არქელაოსი – კაპადოკიის მეფე (ძვ.წ. 41 – ახ.წ. 17), ჯერ ანტონიუსის, შემდეგ კი ავგუსტუსის მომხრე.

არქესტრატოსი – ალკიბიადესის ეპოქის სტრატეგოსი.

არქიდამოსი – ამ სახელით ცნობილია ხუთი სპარტელი მეფე. პერიკლესის დროს მეფობდა არქიდამოს II (ძვ.წ. 468-426), აგესილაოსის მამა.

ასინიუს პოლიო (პოლიონი), გაიუსი (ძვ.წ. 75 – ახ.წ. 4) – იულიუს კეისრის ახლობელი და მხედართმთავარი, სამოქალაქო ომების ისტორიის ავტორი, ორატორი და პოეტი.

ასპასია – აქსიოქოსის ასული, მილეტოსიდან; ჰეტერა; პერიკლესის მეორე ცოლი.

ატია – ავგუსტუსის დედა.

ატიკუსი, ტიტუს კეკილიუსი (ძვ.წ. 109-32) – მდიდარი რომაელი მხედარი, ციცერონის მეგობარი, აგრიპას სიმამრი; ხშირად მას მოიხსენიებენ პომპონიუს ატიკუსის სახელით.

აქტა – ნერონის აზატი და ხასა.

ბერენიკე – იუდეის მეფე აგრიპა I ასული, თავდაპირველად ჰეროდე ქალკისელის, შემდეგ პოლემონ პონტოელის მეუღლე, ტიტუსის საყვარელი.

ბიასი (ძვ.წ. VI ს-ის შუა წლები) – პრიენელი ბრძენი („შვიდ ბრძენთაგანი").

ბიბულუსი, მარკუს კალპურნიუსი – კეისრის თანამედროვე, სახელოვანი არისტოკრატი, კატონის სიძე.

ბრასიდასი – სპარტელი მხედართმთავარი პელოპონესოსის ომის მონაწილე; გარდაიცვალა ძვ.წ. 422 წელს ამფიოპოლისთან ბრძოლის ჟამს.

ბრიტანიკუსი, ტიბერიუს კლავდიუს კეისარი (41-55) – კლავდიუსისა და მესალინას ვაჟი.

ბრუტუსი ალბინუსი, დეკიმუს იუნიუსი – კეისრის მხედართმთავარი, მის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების მონაწილე.

ბრუტუსი, ლუკიუს იუნიუსი – ლეგენდალური პირველი რომაელი კონსული.

ბრუტუსი, მარკუს იუნიუსი (ძვ.წ. 85-42) – კეისრის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების მეთაური, ორატორი და პოლიტიკური მოღვაწე.

ბურუსი, სექსტუს აფრანიუსი – პრეტორიანელთა მეთაური 51-62, ნერონის მმართველობის დასაწყისში სახელმწიფოს პოლიტიკის წარმმართველი.

გაბინიუსი, ავლუსი – პოპულარების ერთ-ერთი ბელადი, ჯერ პომპეუსის, შემდეგ კი კეისრის მხედართმთავარი.

გაბინიუს სეკუნდუსი, პუბლიუსი – მხედართმთავარი, რომელმაც გერმანიაში დაამარცხა ხავკები.

გალბა, სერვიუს სულპიციუსი (ძვ.წ. 5 – ახ.წ. 69) – რომის იმპერატორი ნერონის შემდეგ (68-69).

გალერია ფუნდანა – ვიტელიუსის მეორე ცოლი.

გელიუსი – ნერონის აზატი, რომელიც იმპერატორის საბერძნეთში მოგზაურობის ჟამს რომს განაგებდა.

გერმანიკუსი, იულიუს კეისარი (ძვ.წ. 15 – ახ.წ. 19) – დრუსუს უფროსისა და ანტონია უმცროსის ვაჟი, ტიბერიუსის შვილობილი და სავარაუდო მემკვიდრე, სახელოვანი მხედართმთავარი, კალიგულას მამა.

გორგო – სპარტის დედოფალი, მეფე ლეონიდასის მეუღლე.

გრაკქუსი, გაიუს სემპრონიუსი – ძვ.წ. 123-122 წლებში სახალხო ტრიბუნი, სახალხო მოძრაობის ბელადი, პოპულარების პარტიის დამაარსებელი ტიბერიუს სემპრონიუს გრაკქუსთან ერთად.

გრაკქუსი, ტიბერიუს სემპრონიუსი – ძვ.წ. 133 წელს სახალხო ტრიბუნი, სახალხო მოძრაობის ბელადი, პოპულარების პარტიის დამაარსებელი თავისივე ძმასთან, გაიუს სემპრონიუსთან ერთად.

დარიოსი – 1. ქსერქსესის მამა, მეფობდა ძვ.წ. 521-485; 2. არტაქსერქსესის ძე, მამა არტაქსერქსესი და კიროს უმცროსისა, მეფობდა ძვ.წ. 424-405; 3. მეფობდა ძვ.წ. 336-330. დაამარცხა ალექსანდრე მაკედონელმა, მოკლა ბესოსმა; 4. პართიელი მძევალი კალიგულას კარზე, არტაბანოს III ძე.



დემეტრიოსი – ფილოსოფოსი-კინიკოსი, რომელიც ჯერ კორინთოში, შემდეგ კი რომში მოღვაწეობდა, სენეკას მრჩეველი.

დემოსთენესი – 1. ათენელი მხედართმთავარი პელოპონესოსის ომში; სიცილიური ლაშქრობის მონაწილე; დასაჯეს ძვ.წ. 413 წ. სირაკუსაში; 2. სახელოვანი ათენელი სახელმწიფო მოღვაწე და ორატორი (ძვ.წ. 384-322).

დემოქარესი – სექსტუს პომპეუსის ფლოტის მეთაური, აზატი.

დიოგენესი (დაახლ. ძვ.წ. 412-323) – სინოპელი, კინიკოსთა ფილოსოფიური სკოლის მამამთავარი; ალექსანდრე მაკედონელის თანამედროვე.

დიოდოროსი – მუსიკოსი, კითარაზე დამკვრელი, რომელიც თან ახლდა ნერონს საბერძნეთში.

დოლაბელა, გნეიუს კორნელიუსი – სულას თანამედროვე, მაკედონიის განმგებელი.

დოლაბელა, პუბლიუს კორნელიუსი – წინამორბედი დოლაბელას ძე, ციცერონის სიძე, რომელიც თავისი უზნეობით იყო ცნობილი; თავდაპირველად იგი პომპეუსს ემხრობოდა, შემდეგ ციცერონს, შემდეგ რესპუბლიკელებს, ბოლოს ტრიუმვირებს, დაილუპა ძვ.წ. 43.

დომიტია ლუკილა – მარკუს ავრელიუსის დედა, პრეტორ ანიუს ვერუსის მეუღლე; კალვისიუს ტულიუსის ასული.

დომიტიანუსი (დომიციანუსი), ტიტუს ფლავიუსი (51-96) – რომის იმპერატორი 81-96, ვესპასიანუსის უმცროსი ვაჟი, ტიტუსის ძმა.

დომიტილა, ფლავია – ვესპასიანუსის ასული.

დომიტიუს (დომიციუს) აჰენობარბუსი, გნეიუსი – ნერონის მამა, ძვ.წ. 32 წელს აირჩიეს კონსულად.

დორიფორუსი – ნერონის აზატი.

დრაკონი – პირველი ათენელი კანონმდებელი; მის მიერ შემოღებულ კანონთა შექმნის დროდ დაახლოებით ძვ.წ. 620 წელს ვარაუდობენ.

დრუსილა, იულია (16-38) – კალიგულას და და საყვარელი.

დრუსუს იულიუს კეისარი (8-33) – გერმანიკუსისა და აგრიპინა უფროსის ძე.

დრუსუს უფროსი, კლავდიუს ნერონი (ნერო) (ძვ.წ. 38-9) – ტიბერიუსის ძმა.

დრუსუს უმცროსი, იულიუს კეისარი (ძვ.წ. 13 – ახ.წ. 23) – ტიბერიუსისა და ვიპსანიას ძე.

ევანგელოსი – პერიკლესის მონა.

ევრიბიადესი – სპარტელი მთავარსარდალი.

ევრიპიდე (ძვ.წ. 480-405) – სახელოვანი ათენელი დრამატურგი.

ელია პეტინა – კლავდიუსის მეორე ცოლი.

ელპინიკე – კიმონის და.

ემილიუს პავლუსი, ლუკიუსი – 1. ტრიუმვირ ლეპიდუსის ძმა, რომელიც პროსკრიპციების დროს დასაჯეს სიკვდილით; 2. იულია უმცროსის მეუღლე.

ეპამინონდასი (ძვ.წ. 418-371) – თებელი მთავარსარდალი და სახელმწიფო მოღვაწე.

ეპაფროდიტუსი – ნერონის აზატი და მდივანი; ერთ-ერთი უმდიდრესი რომაელთაგან.

ეპიდიუსი, მარკუსი – ორატორი; ანტონიუსისა და ოქტავიანუსის მასწავლებელი.

ერატოსთენოსი (დაახლ. ძვ.წ. 275-195) – ალექსანდრიელი გრამატიკოსი, პოეტი და სწავლული.

ესქინესი (ძვ.წ. 389-314) – ათენელი ორატორი; დემოსთენესის მოწინააღმდეგე; პრომაკედონური პარტიის მეთაური.

ეფიალტესი – პერიკლესის თანამედროვე, ძვ.წ. 461 წელს გამოვიდა არეოპაგის წინააღმდეგ; მოკლეს არისტოკრატული ოლიგარქიის დამქაშებმა.

ვალერიუს კატო (კატონი) – პოეტი და გრამატიკოსი, ნეოტერიკოსთა ერთ-ერთი მეთაური.

ვარო (ვარონი), მარკუს ტერენციუსი (ძვ.წ. 116-28) – სახელოვანი სწავლული-ენციკლოპედისტი, ციცერონის მეგობარი.

ვარო (ვარონი) მურენა, ავლუს ტერენციუსი – სენატორი, ავგუსტუსის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების მეთაური.

ვარუსი, პუბლიუს კვინტილიუსი – ავგუსტუსის მხედართმთავარი.

ვატინიუსი, პუბლიუსი – კეისრისა და კლოდიას მოკავშირე.

ვერგილიუსი (ძვ.წ. 70-19) – სახელოვანი რომაელი პოეტი; „ენეიდას“, „გეორგიკების“, „ეკლოგებისა“ და სხვა ქმნილებათა ავტორი.

ვერიუს ფლაკუსი, მარკუსი – გრამატიკოსი, ავგუსტუსის შვილიშვილთა მოძღვარი, შემდგენელი ლათინური ენის ლექსიკონისა, რომელმაც ნაწილობრივ მოაღწია ჩვენამდე.

ვერუსი, ანიუსი – 1. მარკუს ავრელიუსის პაპა; 2. მარკუს ავრელიუსის მამა.

ვერუსი, ლუკიუსი – ლუკიუს ელიუს კეისრის უმცროსი ვაჟი, რომელიც იშვილა ანტონინუს პიუსმა; მარკუს ავრელიუსის თანამოსაყდრე 161-169 წლებში; გარდაიცვალა 169 წელს.

ვესპასია პოლა – იმპერატორ ვესპასიანუსის დედა.

ვესპასიანუსი, ტიტუს ფლავიუსი (9-79) – რომის იმპერატორი 69-79. ფლავიუსთა დინასტიის დამაარსებელი.

ვეტიუსი, ლუკიუს – რომაელი მხედარი, კატილინას თანამზრახველი, შემდგომში კეისრის ჯაშუში.

ვინიტიანუსი, ანიუსი – ნერონის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების მეთაური.

ვიტელიუსი, ავლუსი (12-69) – რომის მეცხრე იმპერატორი 69 წელს; მოკლეს ვესპასიანუსის მომხრე მეომრებმა.

ვოლოგესუს I – პართიის მეფე (51-77).

ვოლოგესუს III – პართიის მეფე მარკუს ავრელიუსის დროს.

თალესი (ძვ.წ. VII-VI) – ფილოსოფოსი მილეტოსიდან; „შვიდ ბრძენთაგანი".

თარგელია – ჰეტერა, ასპასიას თანამედროვე.

თემისტოკლესი (ძვ.წ. 526-460) – ათენელი სახელმწიფო მოღვაწე და სტრატეგოსი; ათენის საზღვაო ძალმოსილების შემოქმედი.

თეოპომპოსი (დაახლ. ძვ.წ. 770-720) – სპარტის მეფე.

თუკიდიდესი – 1. ოლორესის ძე (ძვ.წ. 460-396); ისტორიოგრაფოსი, ძვ.წ. 411 წლამდე აღნუსხული „პელოპონესოსის ომის ისტორიის" ავტორი; 2. მელესიასის ძე (ძვ.წ. V ს-ის შუა წლები); ათენელი სახელმწიფო მოღვაწე, არისტოკრატთა პარტიის წინამძღოლი, პერიკლესის მოწინააღმდეგე.

იოსებ ფლავიუსი (37 – დაახლ. 100) – იუდეველი პოლიტიკური მოღვაწე და ისტორიოგრაფოსი; „იუდეური ომების ისტორიისა" და „იუდეურ ძველ დროებათა" ავტორი.

იუბა I – ნუმიდიის მეფე (დაახლ. ძვ.წ. 50-46); პომპეუსის მოკავშირე.

იუბა II – იუბა I-ის ძე, მავრიტანიის მეფე (ძვ.წ. 25-23), ისტორიოგრაფოსი.

იუგურთა – ნუმიდიის მეფე (ძვ.წ. 118-105); რომთან ხანგრძლივი ომის შემდეგ დაამარცხა მარიუსმა.

იულია – 1. იულიუს კეისრის მამიდა, გაიუს მარიუსის მეუღლე; 2. იულიუს კეისრის უმცროსი და; ავგუსტუსის დიდედა; 3. იულიუს კეისრის ქალიშვილი; პომპეუსის მეუღლე; 4. (ძვ.წ. 3-43), დრუსუს უმცროსის ქალიშვილი; გერმანიკუსის ძის, ნერონის მეუღლე.



იულია დრუსილა – კალიგულასა და კესონიას ასული.

იულია ლივილა (ძვ.წ. 17-42) – გერმანიკუსის ქალიშვილი; მარკუს ვინიციუსის მეუღლე; იგი კალიგულამ 39 წელს, ხოლო მესალინამ 41 წელს გადაასახლეს, სადაც დაიღუპა კიდეც.

იულია უმცროსი (ძვ.წ. 19 – ახ.წ. 28) – იულია უფროსისა და აგრიპას ასული; ლუკიუს ემილიუს პავლუსის მეუღლე.

იულია უფროსი (ძვ.წ. 39 – ახ.წ. 14) – ავგუსტუსის ქალიშვილი; მარკელუსის მეუღლე, შემდეგ აგრიპასი, შემდეგ ტიბერიუსისა.

იულია ფლავია – ტიტუსის ასული, დომიტიანუსის საყვარელი; გარდაიცვალა 90 წელს; გარდაცვალების შემდეგ გააღმერთეს.

იუნია კალვინა – ავგუსტუსის შვილთაშვილი; ლუკიუს სილანუსის და; იმპერატორ ვიტელიუსის ძმის ცოლი.

იუნია კლავდილა – მარკუს სილანუსის ქალიშვილი; კალიგულას პირველი ცოლი.

კალიგულა, გაიუს კეისარ გერმანიკუსი (12-41) – რომის იმპერატორი 37-41.

კალიკრატიდასი – სპარტელი მთავარსარდალი, ლისანდროსის თანამედროვე.

კალპურნია – ლუკიუს პისოს (პიზონის) ქალიშვილი, იულიუს კეისრის მესამე ცოლი.

კამილუსი, არუნტიუს ფურიუს სკრიბონიანუს ლუკიუსი – 42 წელს კლავდიუსის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების მეთაური.

კამილუსი, მარკუს ფურიუსი (გარდ. ძვ.წ. 364) – „მეორე რომულუსად" წოდებული, რომის ხუთგზისი დიქტატორი.

კასიუსი, ავიდიუსი – 165 წელს მარკუს ავრელიუსმა დანიშნა სირიის პროკონსულად, მოგვიანებით აღმოსავლეთის პროვინციების ერთპიროვნული გამგებლობა ანდო. 175 წელს ავიდიუსმა ამბოხება მოაწყო; აღმოსავლეთის პროვინციათა უმეტესობამ იგი თავის იმპერატორად აღიარა. იმავე წელს მოღალატე მთავარსარდალი საკუთარმა კენტურიონებმა მოკლეს.

კასიუს ლონგინუსი, გაუსი (ძვ.წ. 85-42) – კეისრის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების ერთ-ერთი მეთაური. სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

კაისუს ლონგინუსი, ლუკიუსი – დრუსილას პირველი ქმარი.

კასიუს პარმელი, გაიუსი – პოეტი და დრამატურგი, კეისრის ერთ-ერთი მკვლელი, იბრძოდა ავგუსტუსის წინააღმდეგ ჯერ სექსტუს პომპეუსთან, შემდეგ ანტონიუსთან.



კასიუს სევერუსი, ტიტუსი – ავგუსტუსის ხანის ცნობილი ოპოზიციონერი ორატორი.

კასიუს ქერეა – პრეტორიანელთა ტრიბუნი, კალიგულას მკვლელი, რომელიც დასაჯა კლავდიუსმა.

კატილინა, ლუკიუს სერგიუსი (ძვ.წ. 108-62) – ძვ.წ. 66 და 63 წლებში სენატის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებათა ბელადი.

კატულუსი, კვინტუს ლუტატიუსი – სენატის არისტოკრატიის ერთ-ერთი მეთაური, პომპეუსისა და კეისრის მოწინააღმდეგე.

კატულუსი, გაიუს ვალერიუსი (ძვ.წ. დაახლ. 86-53) – რომაელი პოეტი.

კეისარი, გაიუს იულიუსი (ძვ.წ. 102/100-44) – სახელოვანი რომაელი საზოგადო მოღვაწე და მთავარსარდალი.

კეისარი, გაიუსი (ძვ.წ. 20 – ახ.წ. 4) – აგრიპასა და იულიას ძე; ავგუსტუსის შვილიშვილი და შვილობილი.

კეისარი, ელიუს ლუკიუსი – ჰადრიანუსის შვილობილი, მოკლეს 138 წელს.

კესარიონი – იულიუს კეისრისა და კლეოპატრას ვაჟი.

კესონია მილონია – კალიგულას მეუღლე.

კვირინიუსი, პუბლიუს სულპიციუსი – ემილია ლეპიდას მეუღლე. ისინი ერთად დასაჯეს 20 წელს.

კიმონი (ძვ.წ. 504-449) – მილტიადესის ძე; ათენელი სტრატეგოსი, რომელმაც ძვ.წ. 469 წელს მდინარე ევრიმედონთან ბრძოლისას ერთიანად მოსრა სპარსეთის ფლოტი და ქვეითი ჯარი. გარდაიცვალა კუნძულ კვიპროსზე სპარსელებთან ბრძოლის ჟამს.

კინა, ლუკიუს კორნელიუსი – მარიანელთა ბელადი, ოთხგზის კონსული (ძვ.წ. 87-84), გარდ. 84 წელს.

კიროსი – 1. კიროს უფროსი, კამბისესის ძე; სპარსეთის მონარქიის დამაარსებელი, მეფობდა ძვ.წ. 559-529; 2. კიროს უმცროსი, დარიოსის ძე; ძვ.წ. 408 წლიდან ითვლებოდა სპარსეთის მეფისნაცვლად წინა აზიაში; დაიღუპა ძვ.წ. 401 წელს თავისივე ძმის, არტაქსერქსესის წინააღმდეგ ბრძოლის ჟამს.

კლავდია – 1. კლოდიუსისა და ფულვიას ასული, ოქტავიანუსის საცოლე; 2. იმპერატორ კლავდიუსისა და ურგულანილას ასული; 3. ნერონისა და პოპეას ასული.

კლავდიუს ნერო (ნერონი), ტიბერიუსი – ლივიას პირველი ქმარი, ტიბერიუსის მამა.

კლავდიუსი, ატა – კლავდიუსთა მოდგმის ლეგენდარული დამაარსებელი.

კლავდიუსი. ტიბერიუს კლავდიუს დრუსუს ნერო (ნერონი) გერმანიკუსი (ძვ.წ. 10 – ახ.წ. 54) – რომის იმპერატორი 41-54.

კლემენსი – აგრიპა პოსტუმუსის მონა, რომელმაც მოაწყო ამბოხება ტიბერიუსის წინააღმდეგ.

კლეონი – ათენელი დაბალი, პერიკლესის პოლიტიკური მოწინააღმდეგე, პელოპონესოსის ომის მოსურნეთა მეთაური, დაიღუპა ძვ.წ. 422 წელს ამფიპოლისთან ბრძოლის ჟამს.

კლეობულოსი (ძვ.წ. VI ს.) – „შვიდ ბრძენთაგანი"; ქ. ლინდოსის ტირანი.

კლეომბროტოსი – 1. სპარტის მეფე, პავსანიასის მამა, რომელიც ბრძოლის ველზე დაეცა ლევკტრასთან ომის ჟამს ძვ.წ. 371 წელს; 2. პავსანიასის ძე; სპარტის მეფე ძვ.წ. 380-371.

კლეოპატრა – 1. მაკედონელი; ფილიპოს II-ის მეორე ცოლი, რომელიც მეფის გარდაცვალების შედეგ მოკლეს ოლიმპიასის (ფილიპოსის პირველი ცოლის) ბრძანებით; 2. ფილიპოს მაკედონელისა და ოლიმპიასის ასული; 3. კლეოპატრა VII; პტოლემაიოს ავლეტოსის ასული (ძვ.წ. 69-30 წწ.) – ეგვიპტის უკანასკნელი დედოფალი; მართავდა ეგვიპტეს ძვ.წ. 51 წლიდან ჯერ თავის ძმასთან და მეუღლესთან, პტოლემაიოს XIII-სთან, შემდეგ კი პტოლემაიოს XIV-სთან ერთად. 47 წლიდან კლეოპატრა, იულიუს კეისრის საყვარელია; 46-44 წლები მან რომში გაატარა. კეისრისა და პტოლემაიოს XIV-ის გარდაცვალების შემდეგ იგი ეგვიპტის ერთპიროვნული მბრძანებელია (მისი ძე კესარიონი, იგივე პტოლემაიოს XV მის თანამესაყდრედ ითვლებოდა ნომინალურად). 41 წლიდან კლეოპატრა მარკუს ანტონიუსის მოკავშირე და საყვარელი ხდება; აკტიუმის კონცხთან დამარცხების შემდეგ დედოფალმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე.

კლინიასი – ალკიბიადესის მამა.

კლისთენესი (დაახლ. ძვ.წ. 600-565) – სიკიონის ტირანი, რომელმაც 510 წელს სოლონის მიერ შემოღებულ კანონთა რეფორმა განახორციელა რა, ეს კანონები უფრო დემოკრატიული გახადა.

კლოდიანუსი – დომიტიანუსის ერთ-ერთი მკვლელი.

კლოდიუს მაკრუსი, ლუკიუსი – აფრიკის ლეგიონთა მეთაური, რომელმაც 68 წელს მოაწყო ამბოხება ნერონის წინააღმდეგ. არ დაემორჩილა რა გალბას, მის მიერვე იქნა დასჯილი.

კოდროსი – ათენის უკანასკნელი ლეგენდარული მეფე, რომელმაც თავი გაწირა, რათა სამშობლო ეხსნა დორიელთა შემოსევისგან.

კომოდუსი (161-192) – მარკუს ავრელიუსის ძე; რომის იმპერატორი 176-192 წლებში.



კონონი – ათენის ფლოტის მეთაური; პელოპონესოსის ომის მონაწილე (ძვ.წ. 413-393), რომელმაც დაამარცხა სპარტის ფლოტი პისანდროსის მთავარსარდლობით (494 წ.).

კორნელია – ცინას (კინას) ასული, კეისრის პირველი ცოლი.

კორნელიუს ბალბუსი, ლუკიუსი – თავდაპირველად კეისრის, შემდეგ კი ოქტავიანუსის მომხრე.

კორნელიუს გალუსი, გაიუსი – პოეტი-ელეგიკოსი, ვერგილიუსის მფარველი, ავგუსტუსის მხედართმთავარი, ეგვიპტის განმგებელი, რომელიც ღალატში დაადანაშაულეს, რის გამოც მოიკლა თავი.

კორნელიუს ნეპოსი (დაახლ. ძვ.წ. 100-25) – ისტორიოგრაფოსი, ავტორი ნაშრომისა „De viris illustribus" („სახელოვან კაცთა შესახებ").

კორნელიუს საბინუსი – პრეტორიანელთა ტრიბუნი, კალიგულას ერთ-ერთი მკვლელი.

კორნიფიკიუსი, ლუკიუსი – ოქტავიანუსის მხედართმთავარი, აფრიკის მმართველი.

კრასუსი, ლუკიუს ლიკინიუსი – ოპტიმატების ერთ-ერთი მეთაური, სახელოვანი ორატორი და საზოგადო მოღვაწე.

კრასუსი, მარკუს ლიკინიუსი – მხედართმთავარი და სიმდიდრით გამორჩეული რომაელი, კეისრისა და პომპეუსის მეკავშირე და მეტოქე.

კროისოსი (ძვ.წ. 560-547) – ლიდიის უკანასკნელი მეფე, რომელმაც დაიპყრო მცირე აზიის უდიდესი ნაწილი (ლიკიისა და კილიკიის გამოკლებით). მას შემდეგ, რაც სპარსელებმა დაიმორჩილეს მიდია, გამუდმებულ ბრძოლებს აწარმოებდნენ ლიდიასთანაც (547-546). სპარსეთის მეფე კიროს II დაამარცხა კროისოსი და თავის საბრძანებელს ლიდიის სამეფოც შეუერთა. კროისოსი ცნობილი იყო თავისი სიმდიდრით, რაც აისახა კიდეც ლეგენდებში. ეს ლეგენდები შემოგვინახა ჰეროდოტოსმა.

კურიო (კურიონი), გაიუს სკრიბონიუსი (უმცროსი) – კურიო უფროსის ვაჟი, ორატორი; ჯერ მტერი, შემდეგ კი მომხრე და მხედართმთავარი კეისრისა.

კურიო (კურიონი), გაიუს სკრიბონიუსი (უფროსი) – სახელოვანი ორატორი, ოპტიმატების მომხრე და კეისრის მტერი.

კურიუსი, კვინტუსი – კატილინას შეთქმულების მონაწილე, რომელმაც შეატყობინა ციცერონს ამ შეთქმულების მიზანი და დათქმული ვადები.

ლაბიენუსი, ტიტუსი – ავგუსტუსის დროის რესპუბლიკური ოპოზიციის ცნობილი წარმომადგენელი, ისტორიოგრაფოსი და ორატორი; მისი თხზულებები დაწვეს, თავად კი თავი მოიკლა შიმშილით.

ლამაქოსი – ნიკიასის თანამედროვე ათენელი მხედართმთავარი.

ლატინუსი – მიმოსის მსახიობი, დომიტიანუსის ნდობით აღჭურვილი პირი.

ლეონიდასი – 1. სპარტის მეფე ძვ.წ. 491 წლიდან. გარდაიცვალა თერმოპილესთან ბძოლისას 480 წელს; 2. სპარტის მეფე, გარდაიცვალა ძვ.წ. 236; 3. ალექსანდრე მაკედონელის ნათესავი და პირველი აღმზრდელი;

ლეპიდა, დომიტია (დომიცია) – ნერონის მამიდა, მესალინას დედა.

ლეპიდა, ემილია – 1. იულია უმცროსის ქალიშვილი; 2. კვირინიუსის მეუღლე; 3. გალბას მეუღლე.

ლეპიდუსი, მარკუს ემილიუსი – „დიადი პონტიფექსი", კეისრის დროს ცხენოსანთა ჯარის მეთაური; კეისრის გარდაცვალების შემდეგ კი ანტონიუსთან და ოქტავიანუსთან ერთად II ტრიუმვირატის წევრი.

ლეპიდუსი, მარკუს ემილიუსი – 1. ტრიუმვირის ვაჟი, ავგუსტუსის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების მონაწილე; 2. დრუსილას მეუღლე.

ლივია დრუსილა, იგივე იულია ავგუსტა (ძვ.წ. 55 – ახ.წ. 29) – ავგუსტუსის მეუღლე, ტიბერიუსის დედა.

ლივია ოკელინა – გალბას დედინაცვალი.

ლივია ორესტილა – კალიგულას მეორე ცოლი.

ლივილა, იულია (17-42) – გერმანიკუსის ასული, კალიგულას და; იგი რომიდან გააძევა კალიგულამ, დააბრუნა კლავდიუსმა; ბოლოს მესალინას ძალისხმევით სიკვდილით დასაჯეს.

ლივილა, ლივია – დრუსუს უფროსის ასული; თავდაპირველად ავგუსტუსის შვილიშვილის, გაიუსის მეუღლე, შემდეგ – დრუსუს უმცროსისა; დასაჯა ტიბერიუსმა.

ლივიუსი, ტიტუსი (ძვ.წ. 59 – ახ.წ. 17) – ცნობილი ისტორიოგრაფოსი.

ლიკინიუს კალვუსი, გაიუსი (დაახლ. ძვ.წ. 82-47) – სახელოვანი ორატორი და პოეტი, კატულუსის მეგობარი, კეისრის მოწინააღმდეგე.

ლიკინიუს მუკიანუსი, გაიუსი – ვესპასიანუსის მეკავშირე ძალაუფლებისათვის ბრძოლის ჟამს, სირიის განმგებელი 67-70, მწერალი.

ლიკომედესი – ათენელი მხედართმთავარი.

ლიკურგოსი (ძვ.წ. IX, VIII ან VII ს.) – სპარტის მეფე, სახელოვანი კანონმდებელი.

ლისანდროსი – სპარტელი მხედართმთავარი ძვ.წ. 407-394 წლებში; დაიღუპა თებელთა წინააღმდეგ ბრძოლის ჟამს.

ლოლია – ავლუს გაბინიუსის მეუღლე, კეისრის საყვარელი.

ლოლია პავლინა – კალიგულას მესამე ცოლი, კლავდიუსის დროს მოკლულ იქნა აგრიპინას მცდელობით.

ლუკრეციუსი კარუს ტიტიუსი (ძვ.წ. 94-55) – პოეტი, ავტორი პოემისა „საგანთა ბუნებისათვის".

ლუკულუსი, ლუკიუს ლიკინიუსი – მხედართმთავარი, მითრიდატეს თანამებრძოლი, სახელი გაითქვა ლეგენდარული სიმდიდრით.

ლუკუსტა – აგრიპინასა და ნერონის კარზე მსახური ქალი, რომელიც ამზადებდა შხამს.

მაგო (მაგონი) – ჰანიბალის უმცროსი ძმა, კართაგენელთა მხედართმთავარი.

მაკრო (მაკრონი) ნევიუს სერტორიუსი – იმპერატორ ტიბერიუსთან დაახლოებული პირი, მხედართმთავარი, რომელმაც სეიანუსის შეთქმულება ჩაახშო; 38 წელს იგი მოკლეს კალიგულას ბრძანებით.

მალონია – ტიბერიუსის საყვარელი.

მარიუსი, გაიუსი (ძვ.წ. 157-86) – პოპულართა პარტიის ბელადი, რომელმაც დაამარცხა ნუმიდიის მეფე იუგურთა. შვიდგზის კონსული.

მარკელუსი, გაიუს კლავდიუსი – ოქტავიას მეუღლე, პომპეელი; გარდაიცვალა 40 წ.

მარკელუსი, მარკუს კლავდიუსი (ძვ.წ. 43-23) – ოქტავიას ვაჟი, რომელიც იშვილა ავგუსტუსმა; იულიას პირველი ქმარი.

მარკია ფურნილა – ტიტუსის მეორე ცოლი.

მარკიუსი, ანკუსი – რომის ლეგენდარული მეოთხე მეფე (ძვ.წ. 640-616).

მარკიუსი, გნეიუს კორიოლანუსი – პლებსის შეურიგებელი მტერი, რომელმაც ძვ.წ. 493 წელს დაიპყრო ვოლსკების (ძველიტალიური ტომი ლატიუმში) დედაქალაქი კორიოლი, შემდეგ გადავიდა ვოლსკების მხარეს და შეეცადა მათი მეშვეობით აეღო რომი.

მარკიუსი, ფილიპუს ლუკიუსი – ავგუსტუსის მამობილი.

მარკუსი, ავრელიუს ანტონინუსი (ძვ.წ. 121-180) – რომის იმპერატორი 161-180.

მარობოდუუსი – მარკომანების (ტომი, რომელიც მაინსა და დუნაის შორის მოსახლეობდა და რომელიც მარკუს ავრელიუსის დროს რომს თავს დაესხა) მეფე, რომელმაც ძვ.წ. 8



წელს დააარსა ძლიერი სამეფო; ახ.წ. 17 წელს იგი არმენებმა, ხოლო 19 წელს გოთებმა (ჩრდილოეთ გერმანიაში მოსახლე ტომები) დაამარცხეს, რის შემდეგაც ცხოვრობდა ტიბერიუსის კარზე.

მაქსიმუსი – აზატი, დომიტიანუსის ერთ-ერთი მკვლელი.

მაქსიმუსი, კვინტუს ფაბიუსი – კეისრის მხედართმთავარი.

მემიუს რეგულუსი, პუბლიუსი (სვეტონიუსთან: გაიუსი) – ლოლია პავლინას პირველი ქმარი, ტიბერიუსის ნდობით აღჭურვილი პირი, ბალკანეთის პროვინციების განმგებელი.

მენა (ან მენოდორუსი) – სექტუს პომპეუსის ფლოტის მეთაური, რომელიც თავისი ფლოტით ორგზის გადავიდა ოქტავიანუსის მხარეს, შემდეგ კი უკან დაბრუნდა.

მენეკრატესი – ნერონის მასწავლებელი კითარაზე დაკვრის ხელოვნებაში.

მესალა ბარბატუსი, მარკუს ვალერიუსი – ავგუსტუსის ახლობელი, მესალინას მამა.

მესალა კორვინუსი, მარკუს ვალერიუსი – რესპუბლიკელი, ბრუტუსის მომხრე, რომელიც მოგვიანებით ოქტავიანუსს მიეკედლა; ოქტავიანუსის შემდეგ პირველი კაცი სენატში, ცნობილი ორატორი.

მესალინა, ვალერია (დაახლ. 23-48) – კლავდიუსის მესამე ცოლი.

მეტელუსი (ნუმიდიელი), კვინტუსი – ოპტიმატების ერთ-ერთი ბელადი.

მეტიუს პომპუსიანუსი – ასტროლოგი, რომელიც დასაჯეს დომიტიანუსის დროს.

მეტიუს რუფუსი, მარკუს იუნიუსი – ეგვიპტის განმგებელი დომიტიანუსის დროს.

მეტონი – ასტრონომი.

მეცენატი (მეკენასი), გაიუს ცილნიუსი (კილნიუსი) – ოქტავიანუსის მრჩეველი სამოქალაქო ომების ჟამს; პოლიტიკას განრიდებული მოგვიანებით პოეტების მფარველი გახდა.

მითრიდატე (მითრიდატესი) ევპატორი (დაახლ. ძვ.წ. 132-63) – პონტოს მეფე, რომელმაც სამგზის გაილაშქრა რომაელთა წინააღმდეგ (88-84; 83-81; 74-64); საბოლოოდ დაამარცხა პომპეუსმა.

მილო (მილონი), ტიტუს ანიუსი – დემაგოგი, ოპტიმატების მომხრე, კლოდიუსის მკვლელობის ორგანიზატორი, რომიდან გააძევეს ძვ.წ. 52 გარდაიცვალა ძვ.წ. 48.

მილტიადესი – 1. მილტიადეს უფროსი, პისისტრატოსის მოქიშპე; 2. მილტიადეს უმცროსი, კიმონის ძე, რომელმაც ძვ.წ. 490 წელს გაიმარჯვა მარათონის ბრძოლაში.



მუმიუსი, ლუკიუს აქაიკუსი – კორინთოს დამარბეველი (ძვ.წ. 146 წელს).

მუნატიუსი (მუნაციუსი), პლანკუს ლუკიუსი – თავდაპირველად რესპუბლიკელთა მომხრე, შემდეგ ანტონიუსისა, ბოლოს კი – ოქტავიანუსისა.

მუტია (მუცია) – გნეიუს პომპეუსის მეუღლე.

ნარკისუსი (ნარცისი) – კლავდიუსის აზატი და მრჩეველი; მოკლეს აგრიპინას ბრძანებით.

ნეოპტოლემოსი – ათენელი მსახიობი (ძვ.წ. IV ს.) ფილიპოს მაკედონელის კარზე.

ნერვა, მარკუს კოკიუსი – დომიტიანუსის მემკვიდრე, რომის იმპერატორი 96-98.

ნერო (ნერონი), იულიუს კეისარი (6-26) – გერმანიკუსის ვაჟი, რომელიც სეიანუსის მცდელობით მოკლეს.

ნერო (ნერონი), კლავდიუს დრუსუს გერმანიკუს კეისარი (37-68) – რომის იმპერატორი 54-68.

ნერო (ნერონი), ტიბერიუს კლავდიუსი – იმპერატორ ტიბერიუსის მამა, პრეტორი ძვ.წ. 42.

ნიკიასი – ათენელი სახელმწიფო მოღვაწე და მთავარსარდალი, პელოპონესოსის ომის მონაწილე. დასაჯეს ძვ.წ. 413 წელს სირაკუსაში.

ნიკომედეს IV – ბითვინიის მეფე (ძვ.წ. 94-74), რომაელთა მეკავშირე მითრიდატეს წინააღმდეგ ბრძოლისას.

ნიმფიდიუს საბინუსი, გაიუსი – პრეტორიანელთა მეთაური (ტიგელინუსთან ერთად) ნერონის მმართველობის ბოლო წლებში; მხარს უჭერდა გალბას, მაგრამ მისი არყოფნის დროს თავად იწყო მზადება ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად; რომ ვერ შეძლო, მოკლულ იქნა პრეტორიანელთა მიერ.

ნოვიუს ნიგერი, ლუკიუსი – კეისრის მტერი.

ნონიუსი, ლუკიუსი – ავგუსტუსის მეგობარი.

ოვიდიუს ნაზო (ნაზონი), პუბლიუსი (ძვ.წ. 43 – ახ.წ. 17) – სახელოვანი რომაელი პოეტი.

ოთო (ოთონი), მარკუს სალვიუსი (32-69) – რომის იმპერატორი 69 წლის 15 იანვრიდან 16 აპრილამდე. მისი თვითმკვლელობის შემდეგ ტახტზე ავიდა ვიტელიუსი.

ოლიმპიასი – ფილიპოს II მაკედონელის მეუღლე; ალექსანდრე მაკედონელის დედა.

ოპიუსი, გაიუსი – რომაელი მხედარი, კეისრის ერთგული მეგობარი და ბიოგრაფოსი; მოგვიანებით მიემხრო ოქტავიანუსს.

ოქტავია კლავდია (42-62) – კლავდიუსის ასული, ნერონის მეუღლე.

ოქტავია უმცროსი (ძვ.წ. 61-11) – ავგუსტუსის და, თავდაპირველად მარკუს კლავდიუს მარკელუსის, შემდეგ კი, 40-32 წწ. მარკუს ანტონიუსის მეუღლე; ავგუსტუსის მემკვიდრის, მარკელუსის დედა.

ოქტავია უფროსი – ავგუსტუსის უფროსი ნახევარდა.

ოქტავიუსი, გნეიუსი და გაიუსი – ოქტავიუს რუფუსის (კვესტორი ძვ.წ. 230) ვაჟები.

ოქტავიუსი, გაიუსი – ავგუსტუსის მამა, რომელიც ძვ.წ. 61 წელს აირჩიეს პრეტორად.

პავსანიასი – 1. სპარტელი მხედართმთავარი, პლატეას ომის (ძვ.წ. 479) გამარჯვებული; 2. წინამორბედის შვილიშვილი, სპარტის მეფე ძვ.წ. 408-394 წლებში; გარდაიცვალა სამშობლოდან გაძევებული 385 წელს; 3. ფილიპოს II მაკედონელის მკვლელი (ძვ.წ. 336).

პალასი – კლავდიუსის მრჩეველი, ანტონიას (კლავდიუსის დედის) აზატი, რომელმაც შეინარჩუნა თავისი გავლენა აგრიპინას დროსაც; მისი გარდაცვალების შემდეგ კი იგი ნერონმა დასაჯა.

პართენიუსი – დომიტიანუსის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების ერთ-ერთი მონაწილე.

პარისი – 1. მსახიობი, დომიტია ლეპიდას აზატი, აგრიპინას მოძულე; დასაჯა ნერონმა; 2. მსახიობი, დომიტიანუსის ცოლის ფავორიტი; დასაჯა იმპერატორმა.

პარმენიონი – ფილიპოს II მაკედონელის მთავარსარდალი.

პასიენუს კრისპუსი, გაიუსი – დომიტიას, შემდეგ აგრიპინა უმცროსის მეუღლე; ნერონის მამინაცვალი; ცნობილი ორატორი.

პედიუსი, კვინტუსი – კეისრის ნათესავი, რომელმაც თავისი კონსულობისას (ძვ.წ. 43) გამოსცა კანონი კეისრის მკვლელთა წინააღმდეგ.

პელოპიდასი (ძვ.წ. IV ს.) – ეპამინონდასის მეგობარი, თებელი სახელმწიფო მოღვაწე და სტრატეგოსი; დაიღუპა კინოსკეფალესთან ბრძოლისას ძვ.წ. 364 წელს.

პერიანდროსი – კიფსელოსის ძე, კორინთოს ტირანი ძვ.წ. 625-585 წლებში; „შვიდ ბრძენთაგანი".

პერიკლესი (გარდ. ძვ.წ. 429) – ათენის სახელმწიფო მოღვაწე და სტრატეგოსი.

პეტრე(ი)უსი, მარკუსი – პომპეუსის მხედართმთავარი; რომელმაც კეისრის წინააღმდეგ ბრძოლაში დამარცხებულმა (ძვ.წ. 46) თავი მოიკლა.



პეტრონია – ვიტელიუსის პირველი ცოლი.

პეტრონიანუსი, ვიტელიუსი – იმპერატორ ვიტელიუსის ვაჟი.

პინდაროსი (დაახლ. 522-442) – თებეს მკვიდრი, ბერძნული ლირიკული პოეზიის უდიდესი წარმომადგენელი.

პისისტრატოსი – ათენის ტირანი ძვ.წ. 560-527 წლებში.

პისო (პიზონი), გაიუს კალპურნიუსი – ლივია ორესტილას მეუღლე, მოგვიანებით – ნერონის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების მეთაური.

პისო (პიზონი), გნეიუს კალპურნიუსი – 1. კეისრის თანამოაზრე კატილინას წინააღმდეგ მოწყობილი პირველი შეთქმულების ჟამს; 2. სირიის მმართველი (ძვ.წ. 18), გერმანიკუსის მტერი.

პისო (პიზონი) ფრუგი, ლუკიუს კალპურნიუსი – პონტიფექსი, ჰორაციუსის „პოეტიკის" ერთ-ერთი ადრესატი; ტიბერიუსის დროს რომის პრეფექტი.

პიტაკოსი (ძვ.წ. VII-VI სს.) – მიტილენელი სახელმწიფო მოღვაწე, სახალხო პარტიის მეთაური, ალკეოსის პოლიტიკური მოწინააღმდეგე, „შვიდ ბრძენთაგანი".

პლავტია ურგულანილა – კლავდიუსის პირველი ცოლი.

პლავტიუსი, ავლუსი – კლავდიუსის მხედართმთავარი, ბრიტანეთის განმგებელი 43-47 წწ.

პლავტიუსი, რუფუსი – ავგუსტუსის მოწინააღმდეგე.

პლავტუსი ტიტუს მაკიუსი (დაახლ. ძვ.წ. 250-184) – რომაელი კომედიოგრაფოსი.

პლატონი (ძვ.წ. 427-347) – სახელოვანი ბერძენი ფილოსოფოსი, წარმოშობით ათენელი, სოკრატეს მოწაფე, ფილოსოფიური სკოლის – „აკადემიის" დამაარსებელი.

პლეისტოანაქსი (ძვ.წ. 458-408) – სპარტის მეფე პავსანიასის ძე.

პლინიუს სეკუნდუსი (უფროსი), გაიუსი (23-79) – ისტორიკოსი და ბუნებათმცოდნე, სვეტონიუსის ერთ-ერთი წყარო.

პლუტარქოსი (დაიბ. ძვ.წ. 46 – გარდ. 119 წლის შემდეგ) – სახელოვანი ბერძენი მწერალი ქერონეადან (ბეოტია). მას შემდეგ, რაც განათლება მიიღო ათენში, აღიარეს დელფოს აპოლონის უზენაეს ქურუმად. მოგზაურობათა ჟამს (ეგვიპტეში, იტალიაში) ხშირად ეკისრებოდა პოლიტიკური მისია; იგი ხვდებოდა და ესაუბრებოდა თავისი დროის წარჩინებულ ადამიანებს. მისი მდიდარი შემოქმედების მხოლოდ ნაწილმა მოაღწია



ჩვენამდე, მათ შორის „პარალელურმა ბიოგრაფებმა“ („Bioi paralleloi“), რომლის გათვალისწინებითაც დაიწერა ეს წიგნი.

პოლემონ II – პონტოსა (38-64) და ბოსფოროსის (38-41) მეფე, რომელიც შემდეგ ნერონმა კილიკიაში განაწესა.

პოლიბიუსი – კლავდიუსის აზატი და მრჩეველი, რომელიც 47 წელს დასაჯეს.

პოლიდექტესი – სპარტის მეფე, ევნომოსის უფროსი ვაჟი, კანონმდებელ ლიკურგოსის ძმა.

პოლიდოროსი (ძვ.წ. VIII ს.) – სპარტის მეფე.

პოლიკრატესი – სამოსის ტირანი (ძვ.წ. VI ს-ის II ნახ.), ლეგენდალურ მოთხრობათა გმირი.

პომპეა – პომპეუს რუფუსის ასული, კეისრის მეუღლე (ძვ.წ. 67-61).

პომპეუს რუფუსი, კვინტუსი – სულას სიძე და კეისრის სიმამრი, მოკლეს ძვ.წ. 88 წ.

პომპეუსი, გნეიუს პომპეუს მაგნუს (ძვ.წ. 106-48) – რომის დიდი მთავარსარდალი; ყაჩაღთა და მითრიდატეს დამმარცხებელი; ძვ.წ. 60 წელს კეისართან და კრასუსთან ერთად პირველი ტრიუმვირატის მონაწილე; 49 წელს განუდგა კეისარს, ხოლო 48 წელს დამარცხდა მის წინააღმდეგ ბრძოლაში (ფარსალოსთან). პომპეუსი მოკლეს ეგვიპტეში გაქცევის ჟამს. კეისრის წინააღმდეგ ბრძოლა განაგრძეს მისმა შვილებმა გნეიუსმა და სექსტუსმა.

პომპეუსი, გნეიუსი – ანტონიას (კლავდიუსის ასულის) მეუღლე.

პომპეუსი, გნეიუსი – დიდი პომპეუსის ვაჟი, ძვ.წ. 45 წელს დამარცხდა მუნდასთან ბრძოლაში და გაქცევის ჟამს მოკლეს.

პომპეუსი, მარკუსი – პალატინური ბიბლიოთეკის მთავარი ბიბლიოთეკარი ავგუსტუსის დროს.

პომპეუსი, სექსტუსი – დიდი პომპეუსის ვაჟი; ძვ.წ. 40-36 წლებში განაგებდა სიცილიას და იბრძოდა ტრიუმვირთა წინააღმდეგ; დაიღუპა ძვ.წ. 35 წელს მილეტოსში.

პომპონიუს ფლაკუსი, ლუკიუსი – ტიბერიუსის მეგობარი.

პონტიუს აკვილა, ლუკიუსი – კეისრის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების მონაწილე.

პოპეა საბინა – იმპერატორ მარკუს სალვიუს ოთოს (ოთონის), შემდეგ ნერონის მეუღლე; იგი მოკლა ნერონმა, სიკვდილის შემდეგ კი გააღმერთა.

პოროსი – ინდოეთის მეფე. ძვ.წ. 326 წელს დაამარცხა ალექსანდრე მაკედონელმა, შეიწყალა და თავის ერთგულ მსახურად გაიხადა.



პორციუს ლიკინიუსი – ძვ.წ. II ს-ის პოეტი, ავტორი რომაული ლიტერატურის ლექსით გაწყობილი ისტორიისა.

პრისკუსი – ბრიტანული ლეგიონების მთავარსარდალი ანტონინუსის დროს.

პროპერციუსი, სექსტუსი (დაახლ. ძვ.წ. 49-13) – ცნობილი პოეტი – ელეგიკოსი, მეკენას (მეცენატის) წრესთან დაახლოებული.

პტოლემაიოსი – 1. მაკედონიის მეფე ძვ.წ. 368-365; 2. სოტერი, ეგვიპტის მეფე ძვ.წ. 323-285; 3. ფილადელფოსი, ეგვიპტის მეფე ძვ.წ. 285-247; 4. ალექსანდრე, პტოლემაიოს VII-სა და კლეოპატრას ვაჟი; ეგვიპტის მეფე ძვ.წ. 107-90; 5. ალექსანდრე მაკედონელის ბიოგრაფოსი; 6. პტოლემაიოს XI ავლეტოსი – ეგვიპტის მეფე (ძვ.წ. 80-51); 7. პტოლემაიოს XII – პტოლემაიოს XI ვაჟი, კლეოპატრას ძმა, ეგვიპტის მეფე (ძვ.წ. 51-47); 8. პტოლემაიოს II – მავრიტანიის უკანასკნელი მეფე (23-40), იუბა II ვაჟი, რომელიც მოკლა კალიგულამ.

რაბირიუს პოსტუმუსი, გაიუსი – პტოლემაოს ავლეტოსის გამსესხებელი, რომელიც ძვ.წ. 55 წელს თან ახლდა მეფეს ეგვიპტეში გადასახადების ასაკრეფად.

რომულუსი – რომის ლეგენდარული დამაარსებელი; რომის პირველი მეფე.

როქსანე – ბაქტრიის დედოფალი, ალექსანდრე მაკედონელის მეუღლე, რომელიც ძვ.წ. 311 წელს მოკლეს.

რუბრია – ვესტალისი.

რუტილიუს რუფუსი, პუბლიუსი – ორატორი, იურისტი და ფილოსოფოსი (სტოიკოსი), რომელიც ძვ.წ. 92 წელს გააძევეს რომიდან.

რუფილა – ავგუსტუსის საყვარელი.

რუფინუსი – კეისრის აზატი.

რუფრიუს კრისპინუსი – ნერონის გერი, პოპეას ვაჟი პირველი ქმრისგან.

სალვიდენ რუფუსი, კვინტუსი – ავგუსტუსის მხედართმთავარი, მეგობარი; ანტონიუსთან ურთიერთობის გამო დაისაჯა და ძვ.წ. 39 წელს გარდაიცვალა.

სალვიუს ლუკიუსი – იმპერატორ ოთოს ძმა.

სალვიუს ოთო, ლუკიუსი – იმპერატორ ოთოს მამა.

სალუსტიუსი, გაიუს კრისპუსი (ძვ.წ. 86-35) – რომაელი ისტორიოგარფოსი.

სეიანუსი, ლუკიუს ელიუსი – პრეტორიუმის პრეფექტი ტიბერიუსის დროს. გავლენიანი მედროვე, რომელიც ტიბერიუსმა დასაჯა.

სელევკოს II კალინიკოსი – სირიის მეფე (ძვ.წ. 246-226).

სელევკოსი – 1. ტიბერიუსის ხანის ბერძენი გრამატიკოსი; 2. ასტროლოგოსი.

სელენა – კლეოპატრასა და ანტონიუსის ქალიშვილი; იუბა II ნუმიდიელის მეუღლე.

სემირამისი (სემირამიდა) – ბაბილონის ლეგენდალური დედოფალი.

სენეკა (უფროსი), ლუკიუს ანეუსი (დაახლ. ძვ.წ. 54 – ახ.წ. 39) – ორატორი და ისტორიოგრაფოსი, ფილოსოფოს სენეკა უმცროსის მამა.

სენეკა (უმცროსი) ლუკიუს ანეუსი (ძვ.წ. 4 – ახ.წ. 65) – სახელოვანი ფილოსოფოსი-სტოიკოსი, ნერონის აღმზრდელი და მრჩეველი, დაიღუპა პისოს (პიზონის) შეთქმულების შემდეგ.

სერვილიუს კეპიო – იულიუს კეისრის ქალიშვილის, იულიას საქმრო.

სექსტიუსი, კვინტუსი – სტოიკოსი, ავგუსტუსის ხანის ფილოსოფიური სკოლის მეთაური.

სვეტონიუს ლეტუსი – ისტორიოგრაფოს სვეტონიუსის მამა.

სვეტონიუსი, გაიუს ტრანკვილუსი (დაახლ. 75-160) – ისტორიოგრაფოსი, იმპერატორ ჰადრიანუსის (ჰადრიანეს) პირადი მდივანი; ავტორი წიგნისა „თორმეტი კეისრის ცხოვრება“ („Vitae duodecim imperatorum“).

სილანუსი, გაიუს აპიუს იუნიუსი – მესალინას მამინაცვალი, რომელიც 42 წელს დასაჯეს.

სილანუსი, მარკუს იუნიუსი – იუნია კლავდილას მამა, ტიბერიუსის ნდობით აღჭურვილი პირი.

სილიუსი, გაიუსი – მესალინას საყვარელი.

სიმონიდესი (ძვ.წ. 556-468) – ბერძენი პოეტი კუნძულ კეოსიდან.

სოკრატე (ძვ.წ. 470-399) – ბერძენი ფილოსოფოსი.

სოლონი (ძვ.წ. VI ს.) – ათენელი სახელმწიფო მოღვაწე, კანონმდებელი, პოეტი, „შვიდ ბრძენთაგანი“.

სოფოკლე (ძვ.წ. 496-406) – ბერძენი ტრაგიკოსი კოლონოსიდან.

სპარტაკი – იტალიის მონათა დიდი ამბოხების (ძვ.წ. 73-71) ბელადი.

სპიკულუსი – გლადიატორი, ნერონის საყვარელი.

სტატილია მესალინა – ნერონის მესამე ცოლი, სტატილიუს ტავრუსის შვილთაშვილი.

სტატილიუს კორვინუსი, ტავრუსი – კლავდიუსის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების (46) მონაწილე.

სტატილიუს ტავრუსი, ტიტუსი – ოქტავიანუსის მხედართმთავარი, რომის პრეფექტი.

სულა, ლუკიუს კორნელიუსი (ძვ.წ. 138-78) – ოპტიმატების ბელადი, მარიუსის მოწინააღმდეგე, დიქტატორი (82-79).

სულა, პუბლიუს კორნელიუსი – დიქტატორის ახლობელი, კატილინას პირველი შეთქმულების მონაწილე, მოგვიანებით – კეისრის მომხრე.

სულპიციუს აპოლინარიუსი, გაიუსი – კართაგენელი გრამატიკოსი, სვეტონიუსის უმცროსი თანამედროვე.

სულპიციუს ფლავუსი – იმპერატორ კლავდიუსის აღმზრდელი.

სციპიონი (სკიპიო). პუბლიუს კორნელიუს სკიპიო აფრიკანუს მინორ ნუმანტინუს (ძვ.წ. 185-129) – II და III პუნიკური ომების მონაწილე; კართაგენის დამანგრეველი; მისი სახლი ძვ.წ. II საუკუნის რომში ბერძნული კულტურის ცენტრს წარმოადგენდა.

ტაკიტუსი (ტაციტუსი), პუბლიუს კორნელიუსი (დაიბ. 55 – გარდ. 117 წლის შემდეგ) – რომაელი ისტორიოგრაფოსი.

ტაკიუსი, ტიტუსი – საბინთა ლეგენდალური მეფე, რომულუსის თანამეტახტე.

ტარკვინიუსი – რომის მეხუთე და მეშვიდე მეფის სახელი.

ტერენტილა (= ტერენცია, მეკენას (მეცენატის) მეუღლე?) – ავგუსტუსის საყვარელი.

ტერენცია – მეკენას (მეცენატის) მეუღლე და მ. ტ. ვაროს (ვარონის) და.

ტერპნოსი – კითარაზე დამკვრელი, ნერონის მასწავლებელი.

ტერტულა – კრასუსის მეუღლე.

ტიბერიუს იულიუს ალექსანდრუსი – ეგვიპტის პრეფექტი, პირველი ვესპასიანუსის მომხრეთაგან.

ტიბერიუს კლავდიუს ნერო (ნერონი, ძვ.წ. 42 – ახ.წ. 37) – რომის იმპერატორი 14-37.

ტიგელინუსი, გაიუს სოფონიუსი – ნერონის ფავორიტი, პრეტორიანელთა მეთაური 62-68 დაიღუპა ოთოს დროს.

ტიგრან II – არმენიის მეფე (ძვ.წ. 20-6).

ტირიდატეს I – არმენიის მეფე, ვოლოგესუს I პართიელთა მეფის ძმა.

ტისაფერნესი – სპარსეთის სატრაპი მცირე აზიაში ძვ.წ. 414 წლიდან, სპარტელთა მომხრე, რომელიც ძვ.წ. 395 წელს სიკვდილით დასაჯეს.

ტიტუსი (ახ.წ. 41(39)-81) – რომის იმპერატორი (79-81).

ტოლმიდესი – ათენელი მხედართმთავარი.

ტრაიანუსი, მარკუს ულპიუსი (დაიბ. 53) – რომის იმპერატორი (98-117).

ტრებატიუს გაიუსი – რომაელი მხედარი; სახელოვანი იურისტი; ციცერონის, კეისრისა და ავგუსტუსის მეგობარი.

ტულიუსი, სერვიუსი – რომის მეექვსე, ლეგენდალური მეფე.

ფავნუსი – ლატიუმის მითოსური მეფე.

ფაონი – ნერონის აზატი, ფინანსურ საქმეთა მრჩეველი.

ფარნავაზი (ფარნაბაძოსი) – სპარსეთის სატრაპი პელოპონესოსის ომის დროს, ლაკედემონელთა მოკავშირე.

ფარნაკოსი – პონტოს მეფე (ძვ.წ. 63-46), მითრიდატეს ვაჟი და მემკვიდრე, პომპეუსის მეკავშირე.

ფარნასოსი – სპარსეთის სატრაპი ლისანდროსის მეფობის ჟამს.

ფაუსტინა, ანია გალერია – ანტონინუს პიუსის ქალიშვილი, მარკუს ავრელიუსის მეუღლე.

ფიდიასი (ძვ.წ. 490-432) – სახელოვანი ათენელი მოქანდაკე.

ფილიპოს მეორე (ძვ.წ. 382-336) – ალექსანდრე მაკედონელის მამა.

ფლავია დომიტილა – ვესპასიანუსის მეუღლე.

ფლავიუს საბინუსი – 1. ვესპასიანუსის მამა; 2. ვესპასიანუსის ძმა.

ფულვია – ტრიბუნ კლოდიუსის მეუღლე, შემდეგ – კურიონ უმცროსისა, ბოლოს მარკუს ანტონიუსისა. გარდ. ძვ.წ. 40 წელს.

ქარილაოსი – ლიკურგოსის ძმის შვილი.

ქილონი (ძვ.წ. VI ს.) – ლაკედემონელი, „შვიდ ბრძენთაგანი“.

ქსანთიპოსი – პერიკლესის მამა.

ქსენოფონი (დაახლ. ძვ.წ. 430-354) – სახელოვანი ისტორიოგრაფოსი აფრიკიდან.



ქსერქსე (ქსერქსესი) – სპარსეთის მეფე (ძვ.წ. 486-465), რომელმაც ძვ.წ. 480 წელს წამოიწყო დიდი ომი საბერძნეთის წინააღმდეგ.

ციცერონი (კიკერო), მარკუს ტულიუსი (ძვ.წ. 106-43) – სახელოვანი ორატორი და სახელმწიფო მოღვაწე.

ძენოდოტოსი – 1. ეფესოდან, პტოლემაიოს ფილადელფოსის აღმზრდელი, ჰომეროსის პოემათა რედაქტორი და კომენტატორი; 2. მალოსელი, ჰომეროსის პოემათა მკვლევარი; 3. ტროიძენელი, უმბრიის ისტორიოგრაფოსი.

ძენონი (ძვ.წ. V ს.) – ელეელი ფილოსოფოსი.

ჰადრიანუსი (ჰადრიანე), პუბლიუს ელიუსი (ახ.წ. 76-138) – რომის იმპერატორი 117-138 წლებში.

ჰანიბალი (ძვ.წ. 247-182) – კართაგენის სახელოვანი მთავარსარდალი.

ჰარპალოსი – ალექსანდრე მაკედონელის ხაზინადარი.

ჰასდრუბალი – ჰანიბალის ძმა, რომელიც რომაელებმა დაამარცხეს მეტავრუსთან ძვ.წ. 207 წ.

ჰერმიპოსი – ათენელი კომედიოგრაფოსი. პერიკლესის თანამედროვე და მოწინააღმდეგე.

ჰეროდე ატიკუსი – სოფისტი, მარკუს ავრელიუსის მოძღვარი.

ჰეროდოტოსი (დაახლ. ძვ.წ. 484-425) – ბერძენი ისტორიოგრაფოსი ჰალიკარნასოსიდან.

ჰილიპოსი – სპარტელი მხედართმთავარი, ნიკიასის თანამედროვე.

ჰიპერბოლოსი – დემოკრატიული პარტიის მეთაური, ნიკიასის თანამედროვე.

ჰიპოკლესი – პელოპიდასის მამა.

ჰიპონიკოსი – ალკიბიადესის სიმამრი.

ჰირტიუსი, ავლუსი – კეისრის მეგობარი და მხედართმთავარი, მისი „ჩანაწერების" გამგრძელებელი.

ჰომეროსი (ძვ.წ. VIII ს.) – დიდი ბერძენი ეპიკოსი, „ილიადასა" და „ოდისეას" ავტორი.